

926

აქტივობები
და პერიოდები

№ 4 (24)

1926



მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი

საქართველოს
პარლამენტი
ქართული
ენციკლოპედია



გ ა მ თ მ ც რ მ უ ლ ი : { საქართველოს პოლიტ-განათ-
ლების მთავარ-მართველობა.



ამოკარი

სოფლის სასამართლოს წინ აღელვებული ხალხი ირეოდა. ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს პირში შესდგომოდა. ერთმანეთს ეკამათებოდნენ; როგორც ფუტკარი მზიან დღეს გამოიმღერებს, ისე გუგუნებდა ზღვა-ხალხი.

ივინებოდნენ — გინები თვე უპასუხებდნენ. ზოგს ძარღვიანი მკლავი დაეკვალთნა; ზოგს, საჩხუბრად გამზადებულს ჯოხი მოემარჯვნა. ერთმანეთს არ უთმობდნენ.

ერთის თვალის გადავლებით შეატყობდით: სოფლის შეძლებული გლეხობა ცალ მხარეს იდგა, ხოლო მეორე მხარეს — ღარიბ-ღატაკები და ბოვანოები.

ზურაბ თეგაური — ამ სოფლის მამასახლისი ახოვანი, ჩასუქებული, შავს ჩოხაში ოდნავ მუქელ გადმობერილი, მჭექარე ხმის პატრონი, სამმართველოს მოაჯირზე გადმომდგარიყო.

- ხელში გრძელი ქალაღდი ეჭირა და ხალხს უყვიროდა:
- აქ არის ოქმი, თქვენ მიერ დადგენილი და ხელმოწერილი.
- თანახმა არ ვართ! ეგ ოქმი ჩვენ არ დაგვიდგენია!
- ჩვენ აღარ გვკითხაეთ?
- ეგ სულ ბობოლა-ხალხის საქმეა...
- ჩვენ რას გვაბრალებთ? ყვიროდნენ შეძლებულები.
- ნებას არ მოგცემთ! უპასუხებდნენ ღარიბები.
- შენ ვინ რას გკითხავს?
- სადაც წვრილია, დაე იქ გაწყდეს!...
- არ დავთმობთ! არ დავთმობთ! არ დავთმობთ! მიწა ჩვენია!

ზურაბი მცირე ხანს ჩუმად იდგა და ხალხს ათვალიერებდა. გრძელ უღვაშზე ხელს გადაისვამდა. გულში ბრაზი მოსდიოდა. ერთს უცნობს ყმაწვილ კაცს ზიზღით გადახედავდა.

ჩამოგლიჯილ ფარაჯიანი, ომიდან დაბრუნებული მიტრო, რომელს ცალი ხელი-ღა ჰქონდა, გამწარებული იძახოდა:

- გეყოთ, რაც სჭამეთ!
- ხალხი თანდათან უფრო დელდებოდა და კერძო საუბარი მწვავდებოდა.

სოფლის მწერალი „მდივანი“ მამასახლისის უკან იდგა. ~~ერგად გადა-~~
~~კრულში იყო.~~ ხალხის გრიალი მის ყურებს „ჩაკრულად“ მოესმოდა. ხით-
 ხითებდა:

— დაჭამეთ ერთმანეთი? ერთი თბა და მეორე მგებობს! ჩემსი სურვილები ქო-
 თანი ქვას, მაწონი ძაღლს!

ალბად სოფლის მდივანი იმაზე თუ იყო ნაწყენი, რომ დღეს დუქანში
 არავინ დაუძახა და უზმოზე არავინ გადააკვრევინა.

გაჯავრებულმა თავის თავი თითონ დაჰპატიჟა. ერთი ხელადა მიღო და
 ზედ ნივრით ხაში დააყოლა.

ღვინის და ნივრის სუნი იქაურობას აყროლებდა; მდივანს სახელად ვანო
 ერქვა. ხოლოდ რომ გეთქვათ: ვანოს დაუძახეო, ვერ გაიგებდნენ, თუ ზედ არ
 დააყოლებდი „ტიკუსუნეს!“

ვანო უაზროდ აყუდებულობდა, გამოთავყვანებული თვალები დაეჭყიტა,
 თავისდაუნებურად სქელ ქალაღში თამბაქოს ახვევდა.

აღელვებულ ხალხში დაძვრებოდა დაბალი კოლოტი ადამიანი. თითქოს
 მსუქან ღორს ფეხი აუდგავს და დინგი გაუსწორებიაო. ხელში კრელი ხელსა-
 ხოცი ეჭირა და სახეზე ოფლს იწმენდდა. ვანოსთან ერთად ესეც ნივრით
 ყარდა.

ეს იყო სოფლის მედუქნე, რომელს ძველი „კიკიროზი“ ახალ ყარაბაღულ-
 ზე შეეცვალა და პიჯაკზე გაქონილი პალტო წამოესხა. იგიც ამ სოფლის
 მცხოვრები იყო. გიორგი აბრაშვილი—ვაჭრები გურგენს ეძახოდნენ. ქალაქში
 ნათრევი—ბევრჯელ გაკოტრებული და ისევ ფეხზე წამომდგარი. სისქესთან
 შედარებით, მეტად დაბალი იყო და ამის გამო „ქონდარას“ ეძახდნენ.

ვითომც ხალხს ამშვიდებდა, მაგრამ ისეთს სიტყვას ჩაურთავდა, რომ უა-
 რესად არედა. გულში ფიქრობდა:

— იჩხუბონ, ერთმანეთს თავპირი დაამტვრიონ! ჩემს დუქანში შერიგდე-
 ბიან და „მალარიჩს“ ჩამოასხამენო!

მას ღვინის სმისგან ხმა ჩახლჩოდა და ბოლოკის ცხვირი წითლად
 დასიებოდა.

ბოგანო გლეხებში ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი იდგა. ამ კაცს ზურაბ
 თეგაური ზიზლით უმწერდა.

ეტყობოდა ქალაქის იერი, თუმც ჩაცმულობით უბრალო გლეხებიდან
 ძნელად თუ გაარჩევდი.

ამ გლეხების მრავალრიცხოვან ყრილობას ვინც არ უნდა დასწრებოდა,
 ძალა-უნებურად ამ ყმაწვილ კაცს მიაქცევდა ყურადღებას.

ლაპარაკობდა წყნარად, მკათიოდ და დარწმუნებით. მის გარშემო თავი
 მოეყარა ახალგაზრდობას—თამბაქოს პლანტაციებში მყოფ მოჯამაგირეებს და
 ომიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს.

ერთი ქალაქი შერთული გლეხი გამოეყო ყრილობას, ხალხი დაჩუმდა და
 ყური დაუგდო:

— ზურაბ უფროსო! ხარ მოსამართლე და გადამწყვეტიც! შე დალოცვილო,

მიკერძოვება მდიდრებისაა, უხარო და ღარიბი ხალხისი თუნიძე დაწიხულს, ჩვენს ამორჩეულს და სოფლის მამას, უარ ეყვარება! ესაღ ვაგონილი, თაი ემო მიწას ჩვენ გვართმევ და ახიოლუ ოჯახიშვილს აკეთენებუ, ეგევე არ არის თს-ყო როგორც მამული განკვაყო! მიწა ჩვენია, იქ ოფლს ჩვენ ვეყვარებოდი პიღუხ ხალხს მიუბრუნდა და შეუძახა:

— რას იტყვით ხალხო! ხმას რატომ არ იღებთ? აგაიძობდ იბაღლძ-

ხალხი გრიალებდა:

— მიწა ჩვენია! მიწა ჩვენია!

წათამამდა ომში ანაპროფი ცალხელს მმტროს!

— მეც მათემევიინეთ! რომ ამბობთ: ასენ გადაწყდაო, ეკენ იგადოწყვიტა

ოქმი გვიჩვენეთ! იქ ხელს ვინ აწერს... ჩვენ როდის გვეყრთხეთ, რომ ცხდაგი-წყვეტიათ? ეგ ოქმი ყალბია! ყალბია, ხალხო!

ზურაბი შეტოკდა. მდივანს ხელახლად ოქმი წაკითხა, მაგრამ არავინ

უსმენდა... მიტრო განაგრძობდა:

— ხელს ჩვენ არ ვაწერთ, არა! არა!

— ხელს თქვენ აწერთ და უყვირთ ზურაბმა ხელს თქვენ აწერთ: ნოდარ,

ქიტესო, გაიოზ, ნიხიტო და თეითონ უცნ! ეპოვ, მბნძეც მძუდ ეპიგ ამბულუდ ამ სიტყვამ ხალხი ერთმანეთს მშვეტაკა. იფიკრეს, მაგრაპევერ მტეჯონდა,

როდის იყო ყრილობა? როდის გადაწყვიტეს? ან ოქმზე ხელი როდის მოაწერეს? ყრილობა არ მშვიდდებოდა. ოქმის წაკითხვამ უფრო გარედაზია. რა

ეწერა ოქმში? რა აწუხებდა ან ერთს, ან მეორე მხარეს? რა ხელ დაობდნენ?

ოჯახიშვილები ხომ იშვიათად თუ იკადრებდნენ სასოფლოზე გემოსვლას, მაგრამ დღეს ყველას იქ თავი მოეყარა. ერთად დათამბულყვნენ: ეგ იყო

დღეს რამ აიძულათ, რომ სოფლის „ბიკბუკებს“, როგორც თვით ამბობდნენ ხოლჟე, პირში შესდგომოდნენ და ძალით უნდოდნენ ჩვეტუნათათავისი გაეტანათ?

სოფელს სათემო მიწა ჰქონდა, რომლით ყველა გლეხი სარგებლობდა, დროთა ვითარებით ეს ნოყიერი მინდორ-გელი ხელთ ჩვეტრო რამდენიმე შე-

ძლებულ ოჯახიშვილს: ცხვრის და საქონლის პატრონს. დამმართნათ ბღნქები და ღარიბ გლეხებს, „უხარო ხალხს“, სამფლობელოდ მიუ ალარ უშვებდნენ.

ამ მიწის გამო ჰქონდათ დავა, ღარიბი გლეხები მოართოდნენ თანასწო-რად მკლავზე დაყოფას.

ოჯახიშვილები არ უთმობდნენ. განსაკუთრებით თამბულყულნი — ეწინა-

აღმდეგებოდა ოჯახიშვილების ბელადი, ძველმა წამამასხლისაჟი, სახულად ალა-დი. ეს ადამიანი იყო ყველასგან ცნობილი, ვამივერა, ურომელს გ ხედშეტ სა-

ხელად „მელადის“ ეძახოდნენ. იგი არ ბრაზობდა, არც ყვიროდა, მაგრამ თავის ბრტყელ-ბრტყელ ლაპარაკით ყველას „პირში ბუჩოთს სწოდდა“ ხსეთის შმნბა,

რავის ღიმილით, რომ უენო იბნეოდა და პასუხს ველარ ახერხებდა. ათბმიგი

ზურაბ თეგაური ალადის ათამამებდა და სადაპარაკოდ ის გამოჟყავდა, თვითონ ისე იჭერდა თავს, ვათომც არაფერს ყურადღებას არ აქცევდა; ნამ-

დვილათ კი ზურაბი უფრო მეტად იყო დაინტერესებული, რადგან დიდი ნა-

წილი ამ სათემო მინდვრისა მას ჰქონდა „დათრეული“ — ხელში ჩაგდებული. ბოლოს, ზურაბიც გაცეცხლდა, როდესაც უური მოჰკრა ახალგაზრდა ყმაწვილ კაცის სიტყვებს, რომელიც ამბობდა: სათავე მოშეკრულეთ ზურაბს მიუძღვის ბოალი. ეგ არის თვითონ მცარცველი და მცარცველებს მფარველი ეგ არის ჩვენი მტერი!

ზურაბი ბრაზისაგან კბილებს აკრაქუნებდა.

ვინ იყო ის ახალგაზრდა?

— ნებით და თვის სურვილით არაფერს დაგითმობენ! ზურაბი მხარს არ დაგიქერთ! ხომ გაიგეთ, ასეა, და ასე გადაწყდაო! თქვენს კუთვნილს ისინი ეპატრონებიან. ასე იქნება, სანამ...

ხმა მისწყდა არეულ ხმაურობაში.

ზურაბ გაიკლ-გამოივლიდა. გულში ამბობდა:

— ეხლა კი ვიცი, წყალს ვინც ამღვრევს. როგორ ჰკონებ, გადაურჩები ჩემს სასტიკ რისხვას?

ახლო მდკომ გლებებს მიუბრუნდა:

— თქვენც იმას ასდევთ? რა აბადია, თქვენ რა შეგძინოთ? მთაერობა სდევნის, ვინც ხალხს აქეზებს, ვინც აპყვება, ისიც ციხეში ამოყოფს თავს. და თუ მე ტკბილად ვეპყრობი ყველას, ვფიცავ ჭალარას, თუ გამამწარებთ, ჩემს რისხვას საზღვარი აღარ ექმნება!

ამ დროს გაისმა ხმა

— დაჰკა, მაგ მამა...

— გააშველეთ!

ორი გლები ერთმანეთს ჩასკიდებოდა. ერთი მუშტს სცემდა, მეორე — სახრეს.

ერთი იყო ნარიდო, სოფელში განთქმული თავის შეძლებით და მეორე მიხიტო, — ბარზე მომუშავე.

ნარიდოს მიემხრო ბიძაშვილი.

მიხიტოს — ამხანაგი.

ჩაუბში იძახოდნენ:

— დაჰკარით ბობოლებს დამქაშებს...

მიხიტო უყვიროდა: დედას გიტირებ, ჩაგამტვრევ კბილებს, შე ბობოლებს დამქაშო...

— მიწა სათემოა!

— სათემო შავი ქვაა და ნაცარი ცხელი!

ჩხუბი გაუართოვდა. ვინ ვის სცემდა, გაგება აღარ იყო.

მოშორებით პატარა ჯგუფში ერთს დაბალ გლებს მალალი გლები წაექცივნა, კისრის საყელოში ხელი ჩაველო და თავდაღმა მიათრევდა; სცემდა და აგინებდა:

— შე ბობოლების დამქაშო! შენც ნახირ-ნახირ...

შენი ცოლი და დედა...

ეს მალალი კაცი აღადის მწყემსი იყო; სიტყვა წამოსცდა: თქვენ ტომ-

რები ხართ, ეგენი საცალოები, რას გააწყობთო და ამის გამო ბრგანო გლები ყანყრატოში მივარდა.

სხვებმა კომბლები მოიზარჯვეს.

შეძლებულებმა ხანჯლებს დასაქმეს.

ერთი უბედურობა დატრიალდებოდა, რომ ისევ მამასახლისს არ მოესაზრნა და არ დაეყვარნა:

— დამსჯელი რაზმი!

ყველას ეგონა სოფელში დამსჯელი რაზმი შემოვიდაო. დამშვიდდნენ. მხოლოდ აქა-იქ გინება-ლა ისმოდა.

— რას მეჭიჟება? მაგისი რა შევქამე? იძახოდა შეძლებული.

— ჩემი წილი მიწა ძაგას უჭირავს... ეგ ხნავს, ეგ სთესავს, სხვა რაღა ჩემი ფეხები უნდა შემიჭამოს?..

მაღალ მწყემსს სახე გადაყვლეფოდა, შუბლზე სისხლი ჩამოსდიოდა, ერთი ნაწილი ჩოხის კალთისა უკან კუდივით დასთრევდა.

სასაცილო სანახაფი იყო.

სხვები ხარხარებდნენ, მაღალი მწყემსი კი იძახოდა:—ერთი თბა და მეორე მგელი! დალახვროთ გამჩენმა! ერთი ახალუხი მებადა, კვირა დღეა, ჩავიცმევ მეთქი, ესეკ დამახიეს.

ზურაბი რიხით ლაპარაკობდა. ზოგს ემუქრებოდა, ზოგს არცხვენდა.

ბოლოს დაიშაქრა ენა. ყრილობას ტკბილი სიტყვით მიჰმართა:

— მიწა ჩვენ ყველას ამოგვჭამს! რად სჩხუბობთ? ამოარჩიეთ კომისია და როგორც სჯობდეს, ისე მოვიქცეთ, ისე გადავწყვიტოთ!

ხალხი ეწინააღმდეგებოდა:

— შენ გინდა საქმე მიაძინო?

— დღესვე უნდა ბინები აპყარონ! თოკი წავიღოთ და მკლავზე დავიყოთ! ჩვენ ბალახს არ ვძოვო... ჩვენც უნდა მოვხნათ, უნდა დავთესოთ... ჩვენ ამ სოფლის გერები არა ვართ...

ეურჩებოდნენ ლარიბი გლებები და თან ემუქრებოდნენ:

— დავწვავთ, ცეცხლს მივცემთ...

მედუქნე აქამდე განზე იდგა. ჩხუბის სეირს უმზერდა. ეხლა შუა ხალხში ჩამდგარიყო, დოინჯი შემოეყარა, ცხვირის ნესტოები დაებერნა, ქშენით და ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა:

— კაცო! მარცხენა ფეხზე ამდგარხართ? კელა გიჭამიათ? ცოფი შეგყრიათ? ვაჰ, გაგონილა? მიწას ვინ მოიტაცებს? შეშუდია? შენია—წაიღე! ამისია—დაანებე! „ხაკონმა“ ველარ გაარჩია?

ერთი ქალარა გლები ყვიროდა:

— ხიზიყში ბატონყობა არ გვინახავს, ეხლა ეგენი ბატონებათ უნდა გავვიბდნენ? ვინ მისცა ნება ან ალაღის, ან ნარიღოს, ან ბახუტოს, რომ მთელს ჩვენს საცხოვრებელს დაეპატრონენ? მათი საქონელი ჩვენს მინდვრებს შავად ჰქარავს! ჩვენც გვინდა ცხოვრება... მართლაც და განა ჩვენ ბალახს ვძოვო?



კიდევ აირევ-დაირეოდნენ, რომ ამ დროს მაზრის ბოქაული თავის მცველებით არ გამოჩენილიყო და მას არ მიექცია ხალხის ყურადღება.

ხალხს ეგონა ზურაბის დაბარებულიაო, მაგრამ ნამდვილად კი ადგილობრივი მთავრობა ფრთხილობდა. ესპოდა ხალხის არყვ-დარყვებ-ობრლისიდან უბრძანებდნენ: სოფლებში სასტიკი თვალყური ადევნეთ, ხალხმა არაფერი გაჰბედოსო. გრძნობდნენ მოღრუბლულ ცაზე უნდა დაექუხნა.

გაჭირვებულ ხალხს საჯაროდ ზჯანყება ვერ მოეხდინა, მაგრამ თუ რაიმე მიზეზს მონახავდნენ—მოხელეს არ დაინდობდნენ.

უცნობებმა მოჰკლეს მთავრობის აგენტი და მას შემდეგ უფრო ფხიზლად იყვნენ.

ამიტომ იყო, რომ სოფლიდან სოფლად ბოქაული თავის რაზმით დასვენობდა.

ზურაბი ბოქაულს წინ მიეგება.

ორიოდე სიტყვით გააცნო საქმის ვითარება.

ბოქაულმა ხალხს უბრძანა დაიშალენითო!

ერთი გლეხი, წელში მოხრილი, ყავარჯენით ხელში წინ წამოდგა, ქუდი ხელში დაიჭირა და დალაგებით მოახსენა:

— ჩვენ კი დავიშლებით, მაგრამ სამართალს ვეძებთ! სამართალს კი აქ არ გვაძლევენ! ქალაქში გავგზავნეთ, იქიდან—დაპირება და სხვა არაფერი! მაშ სად წავიდეთ? ვის მივმართოთ? ორიოდე კაცის ხელშია ჩვენი სარჩო-საბადებელი, ჩვენი სახნავე-სათესი! ჩვენ ყმები არაოდეს ვყოფილვართ! ეხლა კი ძალაუნებურად ყმად გავგვხადეს...

ხალხი აყაყანდა:

— ნამდვილს ამბობს!..

— სად არის სამართალი!

— სტრუობენ!

— მიწა დავიყოთ!

— ცხვარს და საქონელს რა ეშველება?

— ჩემი შვილები, თუ შენი ცხვარი?

— მე ველარ ვხნავე, სარჩო არ მომდის, გადასახადი კანაკლები არ მაწერია!

ცხენზე მჯდომი ბოქაული ყურს უკდებდა. წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა, რა პასუხი უნდა გაეცა, ან ვინ გაემტყუნებინა.

მოხუცს შეუტია:

— მიწას ვინ გართმევს! ვისაც შნო აქვს, ის ხმარობს კიდევ.

— იქნებ შნო მეც მქონდეს... მე ჩემი წილი უნდა მქონდეს!

— თქვენ გინდათ დაანაწილოთ ის მამული, რომელიც ცხვარისთვის და საქონლისთვის არის გადადებული? რა ჰქნას ცხვრის პატრონმა? შენ იქნებ სთქვა: თავშიმც ქვა უხლიაო, მაგრამ მთავრობა ასე არ ფიქრობს! ცხვარი და საქონელია შემოსავლის წყარო. გინდათ დაანაწილოთ, რომ შემდეგ საქონლის პატრონს გასაქანი აღარ მისცეთ, თქვენი წილი მიაჭიროთ, ღალა აიღოთ! აი ვის სდომებია ბატონობა! ვინ მოგცათ ამისი ნება? დაიშალენით!



ხალხს ცივი წყალი გადაესხა.

შეიქმნა უკმაყოფილო ჩურჩული!

კიდევ არ დაიშლებოდნენ, რომ ბოქაულს უფრო ხმა მატებოდა. სარ შეეყვირა და თავის ამაღლისათვის არ ებძანებინა: დაშალეთ ხალხი!

ხალხი დაიშალა, მაგრამ დაიშალა უკმაყოფილო, გულდაწყვეტილი.

გზებზე და ორღობეებში კიდევ ბევრს ლაპარაკობდნენ. ერთმანეთს უხიროდებოდნენ:

— მაშ რა გეგონა? მოგართმევდნენ ზამზარეულად? ის ახალგაზრდა კაცი მართალს ამბობდა: უნდა დაემხოს!

— როგორ უნდა დაემხოს? ვინ დაამხობს? ე, რაღაც ათიოდე დაჟანგებული თოჯი გვიგდია, მაგით შენ ჯარს უნდა გაუმკლავდე?

— ხომ სთქვა ჯარიც ჩვენ გვემხრობაო! აი, შენ ნახე, ამდენმა გაქირვებულმა ხალხმა რა ჰქნას!

— ჩვენ მარტო რას გავხდებით!

— ჩვენ კი არა, მთელი ქვეყანაა... შენ ვერ გაიგე, რუსეთში ზოგიერთ ადგილას აჯანყება ყოფილა... ომი ცალკე... აჯანყება ცალკე! ამბოჯარმა ხომ სთქვა, მთავრობას გზა-კვალი დაბნეული აქვს! დღეს თუ ხვალ გადატრიალება მოხდებაო! თუ არა და ის მაინც არა გჯერა, ომიდან დაბრუნებული ბიჭები რაებს ლაპარაკობენ? უეჭველად მოხდება რამე!..

— ცხრაას ხუთშიც ეგრე ამბობდით და ისეთი რამ მოხდა, რომ უარეს დღეში ჩავცვივდით... ვნახოთ, თუ მოვესწარით—ჩვენც მზად ვიყვნეთ!

II

სოფლის დუქანში სუფრას შემოსხდომოდნენ: ზურაბი და რამდენიმე ჩასუქებული ოჯახიშვილი.

თავში დაესვათ ბოქაული— „კულა აზნაური“, რომელმაც გიმნაზიის პირველ კლასს ძლივს მიახწია და იქიდანაც უზნეო ყოფაქცევისთვის ორი თვის შემდეგ გამორიცხეს.

თავი „ნასწავლ“ კაცად მოჰქონდა. რაც კი რამ გაეგო, ან ყური მოეკრა, უადგილოდ სადღეგრძელოში ჩაატანდა, უადგილოდ უცხო სიტყვას მოიშველიებდა და ფონს გადიოდა.

რამდენადაც გაუგებრად ლაპარაკობდა, იმდენჯერ მედუქნე „ბრავოს“ მიაძახებდა. სხვებსაც იმდენად ბრძენი ეგონათ, ფიქრობდნენ: დიდი ნასწავლია, „კურსოვნიკს“ არ ჩამოუვარდება და ამისთანა ხალხს „ცოციალები“ როგორ უბედავენ წინააღმდეგობასაო!

თავს კატა ლომი ეგონა.

ზოგი შეზარბოშებული ცხვირით სვრინავდა.

მედუქნე ხანდახან სადღეგრძელოში ჩაერეოდა, იმ მოსახრებით, რომ მეც კაცად გამოეჩინდე, ბოქაულს დავახსომდე, ეგებ რამ გამიქირდესო.

თუნდაც გარეშე სადღეგრძელო ყოფილიყო, უფროსს შეაქებდა.

პატარა ჭიქებს დიდი ჭიქები მოჰყვა. შემდეგ ეს დიდი ჭიქებიც ეპატარავათ და რადგან იმ ჯამად ყანწები არ ჰქონდათ, მორიგი სადღეგრძელო ყაურშიან ჯამით დალიეს.

სადღეგრძელო ისე როგორ დაიწყებოდა, რომ „სოციალისტი“ და „რევოლუციონები“ არ შეეგინებინათ!

განსაკუთრებით განზე გაწეული მედუქნე ჩახლეჩილი ხმით იძახოდა: სხვები ხიდქვეშ, ჩვენ გამარჯობა!

თან კი ფიქრობდა: ნეტა ნისიად სჯამენ თუ ნაღდს მომცემენო!

ღვინო გაუჯდათ და უხნეო აქიებს მოჰყვენენ. უწმაწური ლაპარაკის გუდას მოხსნეს. შეხურდნენ, ოხუნჯობას უმატეს.

ფაშფაშა ქვრივებზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. „ბეწვი რომ გამოაძრო, ქონი გამოჰყვება!“

ზურაბი ტუჩებს აცმაცუნებდა, ულვაშზე ხელს ისვამდა.

— დალიეთ! დალიეთ! უფრო კარგებისას იტყვიეთ! თან გვერდზე მჯდომის საქმელს ხელს ატანდა, რადგან თავისი უკვე გადაეს-ნსლა.

— ქვრივებზე მე მკითხეთ! — ჩაერია ლაპარაკში მხრებ-აჩეჩილი და ცხვირ მიგრეხილი ალაღი.

— ერთ საღამოს რომ მე და ზურაბიმ გავინადირეთ... „ნახტომსა გოგოს გვერდი ჰკრა“...

ზურაბმა გააწყვეტანა. არ ექაშნიკა.

ყველამ იცოდა, ზურაბი ერთ დროს ქვრივებსა და „თვალში ამოღებულ“ ცოლებზე დიდი მონადირე იყო. მაგრამ რა საჭიროა საიდუმლოს გადმოფენა. მით უმეტეს შეიძლება, ქვრივთანაც მიახწიოს ამ ამბავმა და მაშინ ზურაბს ხომ ახლოც აღარ მიიკარებს და ნდობას დაჰკარგავს!

სოფლის მწერალი ტიქსუსუნე ხანდახან ჩაიცილებდა, ისევ გაჩუმდებოდა. თავის საქმე ჰქონდა. მის თეფშზე გროვა იყო გამოხრულ ძვლების და ეხლაც ცხვრის უშველებელ მსუქან ბარკალს ჰბრაავდა.

როდესაც ძვალი გვერდზე გადააგდო, თუთუნი უწყების სქელ ქალაღში გაახვია და იმდენი ბოლი გამოუშვა, რომ მოლაპარაკე უფროსი დაჰფარა.

ბოქაულმა ზურაბს წასჩურჩულა:

— შენც არ გამოგხრას!

ზურაბი ხითხითებდა და გრძელ სკამზე მსხდომით აზანზარებდა.

ერთხელ სიმღერაც დააპირეს, მაგრამ კილო ვერ შეაწყეს. ისევ მედუქნემ დააბოლოვა „მრავალქამიერ“ და თან დააყოლა:

— ჩვენი კამპანია კარგია!

იყო ქეიფი. გზირს დოქებით მოჰქონდა ღვინო. რა ენაღვლებოდათ? სოფელს გასწერდებოდა დანახარჯი. როდესაც აიშალნენ, ბოქაული წაბარბაცდა, შუბლით კარებს მიეჯახა და უშველებელი კოპი დააჯდა.

— არყით დაუზილეთ!

— არაფერია! მომგვარეთ ცხენი.

ღვინო დოქებით გარედ გამოიტანეს. დაწყვაზე დაიწყეს სმა. ბოქაული

ცხენზე შესვეს და „საყველაწმინდო“ მიაწოდეს. რამდენიმე ყლუბი კი დალია, მაგრამ ველარ შესძლო, ხელადა ხელიდან გავარდა. ცხენს მათრახი ამოჰკრა. უკან ამაღლა მიჰყვა. ცხენმა მიუხვია და ბოქაული თავდაცნობა დაიწყო. გამწვავებულს მოაგონდა „ბუნტოვჩიკები“.

— ვინ არის ბუნტოვჩიკი! ეხლავ წარმომიდგინეთ!

თან ცხენზე დანებრეულს და ფერდებ-ნატკენს წითლად აქრილი ღვინო პირიდან ამ ისლიოდა.

როგორც იყო, შესვეს ცხენზე. აქეთ იქიდან ამოუდგნენ და თავჩაქინდრული მძიმე ნაბიჯით წაიყვანეს.

III

ამავე დროს: სოფლის ღელეში, მთვარიანზე გლებკაცობას თავი მოეყარა. ზოგი ფეხზე იდგა ჯოხზე დაყრდნობილი.

ზოგი წამოწოლილიყო.

ზოგიერთებს წრე გაეკეთებინათ. ლაპარაკობდნენ დილანდელს ამბავს, რომ ზურაბი ოჯახიშვილებს მიეჩხრო და სახნავ-სათესი მათ დაუმკვიდრა.

— თვითონ დაიმკვიდრა. სხვებს ალაპარაკებს, თვითონ ჩუმად აკეთებს. ის მაღალი მწყემსი, რთმელსაც ჩხუბას დროს სახე გაეყვლიფა, მათში ერია. ჩურჩული დაიწყეს: ეგ მოგზაენილი ჯაშუშიაო!

სადაც კი მივიდოდა, გაჩუმდებოდნენ.

ერთი ამბობდა: დარჩეს ჩვენთან! რას დაგვაკლებს! იქნებ ჩვენკენ გადმოვიბიროთ.

მეორე ეწინააღმდეგებოდა: ნარიდოს კუდია! წავა და დაგვასმენს!

მთვარიანზე სხვებიც გამოჩნდნენ.

— მოდიან!

— ენახოთ, რას გვეტყვის!

— ვინ!

— ამბოჯარი!

— რა სახელია ამბოჯარი? ან ვინ არის ეგ ყმაწვილი კაცი?

— კაცია, ადამიანი! დღეს რომ ყრილობაზე იყო!

— ჩვენთვის გული შესტკივა!

— მერე, სახელი ამბოჯარი ჰქვია?

— ეგრე ეძახიან!

— ამბოჯარი ხომ უმიწაწყლო გლებია, ჩვენსავით ღარიბი!

ნამდვილი სახელი არ იცია?

— ხილი ნახე, მეხილეს რას ჰკითხულობ?

მოვიდა ამბოჯარიც. თან მოჰყვინენ „ნასალდათარი“ ბიჭები. დასხდნენ. უბრალოთ ილაპარაკეს.

შემდეგ ლაპარაკი გართულდა.

მდაბიო ენით შეეხო კლასთა ბრძოლას, პროლეტარიატის და ბოგანო გლების მდგომარეობას, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას;

შეეხნენ, თუ როგორ დაირაზმნენ, კავშირი გააბან ქალაქის მუშებთან, რომ შეერთებულ ძალით ქვეყნის მტარვალებს, ბობოლა გლეხებს, ანუ „კულაკებს“—იმ გლეხებს, რომელნიც თვითონ არაფერს აკეთებენ და სხვის ნაშრომს ისაკუთრებენ—აი, იმ გლეხებს როგორ ამოსდონ პირში ლაგამი!

ლარიბს ამბოჯარის სიტყვა გულში ჰხვდებოდა.

კამათში გლეხებიც ჩაებნენ!

თვითეული ჰგრძნობდა, ნათქვამი კარგი იყო, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა: გლეხისთვის ბედნიერი დღე ჯერ არ გათენებულაო!

— გათენდება! ცხარობდა ცალხელა, ომიდან დაბრუნებული.

ამოიჩინეს კომიტეტი. ცალხელა კომიტეტში მოჰყვა.

ერთმანეთს შეჰფიცეს და დაიშალნენ.

მაღალი მწყემსი ნაწყენი ბრუნდებოდა:

— მაშ დავიჯერო, ნარიდო ხალხის მტერია? ან ზურაბ თეგაური? რაო, ის რა სთქვს? ჩვენ ვშრომობთ და ჩვენი ოჯლი იმათ მიაქვთო? მერე მე რად დავანებებ! ან იქნებ მართლა მიაქვთ, რომ მუდამ ლარიბი ვარ და ისენი კი ივსებიან?

ათასნაირ ფიქრში გართული მაღალი მწყემსი მიდიოდა გარინდებული. ვერ გამორკვეულიყო.

— ნუ თუ მართალია? დღეს თუ ხვალ დაემხოებიან: მთავრობაც და მისი დამქაშებიც! მკითხავია კოდელი ნინო? მაგან რა იცის?

ფიქრში გართული მაღალი მწყემსი თავის ღობის ხრიხალს გასცილდებოდა, რომ წინ ხვადი ძალღი ქედა არ მიგებებოდა.

ქეჩა დაიგო, ფარაჯა მიიხურა. სიზმარშიაც ვილაცას ეჩხუბებოდა. ბორგავდა. ამბოჯარი ლაპარაკობდა. აჯანყებული ხალხი წითელ დროშას დააფრიალებდა. ინგრეოდა ტაძრები. ინგრეოდა დიდი შენობები. ნანგრევს ქვეშ ცხვარი ჰყვებოდა. მწყემსი ღრიალებდა:

— ცხვარს უშველეთ!

უცოლშვილო იყო, თორემ იმ ღამეს ოჯახს დააფეთიანებდა.

IV

მეორე დღეს ლარიბი გლეხები თავს ამაყად გრძნობდნენ.

ამბოჯარის სიტყვებმა იმედი აღუძრეს. თამამად დაიარებოდნენ. ილიმე-ბოდნენ. გაურკვეველს, მაგრამ მათთვის სასურველს უცინოდნენ.

ერთი გლეხი ზურაბ თეგაურსაც შეხვდა; არც სალამი მისცა და არც გამარჯობა უთხრა.

ზურაბს ამბავი მოსდიოდა:

— ამბოჯარი აღელვებს ხალხს და აჯანყებას აწყობსო.

ზურაბს არ სჯეროდა.

— რა უნდა ჰქნას ერთმა გადმოვარდნილმა კაცმა? საქმე თუ გაჭირდა, შევიპყრობ და ციხეში ამოვალპობ!

ერთხელ გზად-მიმავალს ზურაბს ამბოჯარი შეხვდა.

არც ერთი არ მოელოდა ასეთს უცაბედ შეხვედრას.

უნებურად ორნივე შეჩერდნენ. ერთმანეთს თვალით დიდხანს ზომავდნენ. ცნობის მოყვარეობით დააკვირდა.

თითქოს ეს ყმაწვილი სადღაც ენახა. სადღაც. ^{წარსულში} წარსულში, თავის ახალგაზრდობის დროს! სახე ნაცნობი! თვალები ნაცნობი!

თავის წარსულში როგორ ნახავდა?

ის ყმაწვილი ხომ ახალგაზრდაა?

მაშ როდის ნახა ასეთი ნაცნობი სახე? ვერ მოეგონა.

ამბოჯარმაც შეხედა ზურაბს. გულისყური მიიპყრო ამ ქალარის ძლიერმა თვალებმა. სხეულის ახოვანებამ. ერთმანეთის წინაშე თითქოს ორეულები იდგნენ იმ განსხვავებით, რომ ერთი ქალარა იყო და მეორე ახლად იფურჩქნებოდა. ერთი იყო ცხოვრების დაღმართზე დაქანებული, ხოლო მეორე—ახალგაზრდა, მომავალი!

— ეხლა ჩვენ ორმა ვილაპარაკოთ! უთხრა ზურაბმა.

— სალაპარაკო არაფერი მაქვს! იყო ცივი პასუხი.

— მე ძლიერ ბევრი! შენ, ამბოჯარო! გამაგებინე შენი ნამდვილი გვარი და სახელი!

— აკი გცოდნია! მე ვარ ამბოჯარი!

— ამბოჯარს ვეტყვით უსახლკაროს და ბოვანოს, დღეს რომ ნასწავლები პროლეტარს ეძახიან!

— ასეა სწორედ! არც სახლი მაქვს და არც კარი!

— მე ეგ გამოცვლითი სახელი არ მაკმაყოფილებს. უნდა ვიცოდე შენი ნამდვილი ვინაობა! გყავდნენ მშობლები? ან ვინ იყვნენ?

— მშობლები? ჩაიციხა ჭაბუკმა.

ზურაბი განცვიფრდა და ოდნავ შეკრთა. ვერ გაიგო მიზეზი უცნაურის სიცილის! რა იყო აქ საცინელი? ზურაბს თუ იგდებდა! გულში რაღაც დამამძიმებელი იგრძნო, მაგრამ გარკვევით თავის თავს ანგარიშს ვერ აძლევდა!

შებლზე ხელი მოისვა. თითქოს თავის თავს ეკითხებოდა:

— მშობლებს რად მკითხავ? სულ ერთი არ არის? იგი მტერია ჩვენიც და მთავრობისაც!

კიდევ დააცქერდნენ ერთმანეთს.

ამბოჯარი მხერის გამძლები თვალებით ეკითხებოდა: განა არ იცი მშობლები მეც მეყოლებოდნენ?...

ორივენი ჩუმად იდგნენ. რომელს დაერღვია სიჩუმე?

— მშობლები? მეყოლებოდნენ, ალბად ორნი!

სთქვა ამბოჯარმა კილვიან კილოთი. — მხოლოდ მათში მე ერთს ვიცნობდი — მხოლოდ დედაჩემს! მეორეს — მამას — ალბად ნაკლებად ზრუნავდა ჩემზე, სულ ვერ ვიცნობდი.

ზურაბს ეწყინა ასეთი მიკიბული და ქარავმებით ლაპარაკი. გარდა იმისა, რომ მასზე ამბობდნენ — ხალხს აჯანყებსო, ეხლა ზურაბს სხვა ეტვიც შეეპარა: ვინაობას არ აჩენს, ალბად ბოროტ-მომქმედი იმალება ჩემდამი რწმუნე-

ბულს სოფელშიო! მით უმეტეს, ეჭვად გაეგო, რომ ამბოკარი ოდესღაც ციხეში მჯდარა და მთავრობისაგან დევნილიც ყოფილა.

— როგორ თუ მამას ვერ იცნობდი? ხომ გაგიგია? მტკიცედ მიძალავ გვარსა და სახელს, რომ არ გინდა შენი ვინაობა გავიგო? ჩემი მოვალეობაა ვიცოდე: ვინ ხარ? ვინ ცხოვრობს ჩემს სოფელში! წარმომიდგინე შენი პირადობის მოწმობა!

— რომ არ დავემორჩილო შენს ბრძანებას?

ზურაბს ეწყინა. აიმრიზა. არ ეგონა, ასე უკმეხად და ამაყად დახვდებოდა.

— არ დაემორჩილო? ბრაზობდა ზურაბი.— როგორ თუ არ დაემორჩილო? თავმოყვარე ზურაბს რა ექმნა, არ იცოდა.

მოკიდა ხელი და თვალეებში ჩააცქერდა.

— შენი პირადობის მოწმობა! ვინ ხარ!

— ამბოკარი მაგრა დახვდა. მეორე ხელი ჯიბეზე იტაცა და შესძახა:

— შორს ხელი! სისხლი გაცხია!

ზურაბმა, როგორც მეხნაკრავნა, ხელი გაუშვა.

— რაო? ეგ რა სთქვი? შენ მიბედავ? მაცალე მე შენ...

— ვნახოთ როგორ შეებრძოლება ნაბიჭვარის მამა თვითონ ნაბიჭვარს!

ზურაბი გაბრუებული იდგა. წარბები აეწია. თვალეები საცრის-ოდენა გახდომოდა.

— ნაბიჭვარის მამა? შენ მიბედავ....

— დიახ, გიცნობ ვინც ბრძანდები! გიცნობ ძმის მკვლელს, ქალის შემცდენელს, რომელს შესძინე ნაბიჭვარი!

ზურაბი გონს ვერ მოსულიყო. ვისგან ესმოდა? თითქოს თავში კეტს სცემდნენ.

— „ნაბიჭვარის მამა! თვითონ ნაბიჭვარს“... იმეორებდა ზურაბ თეგაური. — ვინ უთხრა ამ უცნობ ადამიანს საიდუმლო? ან როგორ გაუბედა ვილაც მოთრეულმა... ვილაცის მოჭორილი ამბავი, როგორ გაბედა და პირში მიახალა?

ასწია მუშტები. წინაშე მდგომს გაგლეჯდა, მაგრამ მის წინ ამბოკარი აღარ სჩანდა.

მიმოიხედა.

სხვა ხომ ყურს არ უგდებდა?

იქ არავინ იყო.

მოწყვეტილი, გულჩამკვდარი დაბრუნდა სამმართველოში.

V

ზურაბ თეგაურს აღარ აქვს მოსვენება.

უცნობმა წამოაყვედრა ისეთი რამ, რაც მხოლოდ მან ერთმა იცოდა.

— ნაბიჭვარის მამა! ძმის მკვლელი!

ვინ უთხრა ამბოკარს—ამ უცხო ადამიანს?

მაშ ზურაბის საიდუმლო დაფარული არ ყოფილა? სხვებსაც სცოდნიათ?

ზურაბს დააფიწყდა, რომ ერთხელ დედაბერი დაიბარა, რომელსაც ავა-
ლებდა ეპოვნა მისი უკანონო შვილი.

ყური ვინ უგდო?

იქნებ იმ დედაბერმა გასცა?

მაგრამ არ ჰკონია; ეს რომ ასე იყოს, ხომ არ აცოცხლებს. სადმე ორლო-
ბეში მიახრჩობს.

ძმის მკვლელიც უწოდა!

როგორ? ძმის მკვლელი ზურაბ თევაური?

ძმის მკვლელი უწოდა სოფლის მმართველ კაცს, დიდი ხნის მოხელეს,
რომელს ენდობიან, პატივს სცემენ და გავლენაც აქვს?

ძმის მკვლელი?

როდის??

მეორე დღეს ზურაბ თევაური წელში მოხრილი და სახე-გატეხილი გამო-
ვიდა სოფელში.

ბევრს სცდილობდა ამბოჯარს მარტო შეხვედროდა — ისე რომ გარეშეს არ
სცოდნოდა, თორემ „ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო“, გლეხები ამას კუდს გა-
მოაბამდნენ! ვინ იცის, რა ჯორს არ გაავრცელებდნენ!

იტყოდნენ: ზურაბი ამბოჯარმა მოსტენა, დააშინაო!

ან და: ზურაბი კეთილ განწყობილებას ეძებს უცხო ადამიანთან, რომ
გული მოუნადიროს და საჯაროდ არაფერი წამოაყვედროსო.

— ვინ იცის, იქნებ ამბოჯარმა სხვებსაც უამბო საიდუმლო და თუ მას-
თან დაახლოვებულს მნახავენ, რას არ იფიქრებენ?

კაცს თუ რამ დანაშაული არ მიუძღვის და არ შიშობს, რომ ამ დანაშა-
ულს როდისმე წამოაყვედრებენ, ან გამოამჟღავნებენ, გული დამშვიდებული აქვს
და ამბობს: ვინც რა უნდა სთქვასო..

მაგრამ ზურაბი ასე არ ფიქრობდა.

იგი ყველას სახეს აჩერდებოდა. სცდილობდა გაეგო მასზე ვინ რა აზრის
იყო. თუნდაც არავითარი საქმე არ ჰქონოდა, ლაპარაკს ჩამოუგდებდა ამ მოი-
სას, იმ მთისას.

ასეთ განყენებულ საუბრის დროს ამჩნევდა მოპირდაპირეს გულში რა ედო.
რამდენადაც დარწმუნდებოდა, სხვებს არაფერი გაუგიათო, — თვით ისე-
თებსაც კი, რომლებიც ამბოჯართან ახლო იდგნენ და შეჰქველად უნდა სცოდ-
ნოდათ, თავისუფლად ამოისუნთქავდა, უფრო მეტის სურვილით მოუნდებოდა
ამბოჯარის ნახვა, რომ გაეფრთხილებინა აღარსად ეთქვა.

გამართავდა სადილს.

მისცემდა ოქროს.

მისცემდა, რასაც კი ამბოჯარი მოითხოვდა, თუნდ მთელს თავის საც-
ხოვრებელს.

ოღონდ კი ასეთი რამ აღარსად ეთქვა.


ძმის მკვლელი?

ნაბიჭურის მამა?



საქართველოს
საბჭოთაო მთავრობის

22



ეს ამბავი პატივმოყვარე ზურაბს თავს მოსჭრიდა, თუ კი მთავრობის ყურამდე მიახწევდა.

ნდობით აღჭურვილს უცბად უნდა ნილაბი ჩამოეხრიოს და წარსდგეს შავის წარსულით ბოროტმომქმედი.

ძველის დანაშაულისათვის ეხლა რომ დასვან ბრალდებულის სკამზე— დაუჯერებელია! ეს არც შეიძლება, დრო გარდასულია, მაგრამ შერცხვენა? თავის მოჭრა?

არავინ დაიჯერებს! სისულელეა და ჭორი! ყველაფერს დამტკიცება უნდა! მაგრამ სანამ დაამტკიცებდნენ? ქვეყანა მასზე ილაპარაკებდა!

და თუნდაც ვერაფერი დამტკიცდეს: ვერც ძმის მკვლელობა და ვერც სხვა ბოროტება, მაინც იტყვიან:

— ფულით ჩააჩუმა!

— გავლენა ჰქონდა! საქმე სათავეშივე მოასპობინა!

ამ ფიქრით შეპყრობილი ზურაბი სოფლის სამმართველოს მიუახლოვდა. თავმოყრილი ხალხი დიდხანია ელოდებოდა.

ზურაბი უაზროდ დააცქერდა. მისი გონება სხვა ფიქრით იყო შემსჭვალული. ხალხს უაზროდ ჰკითხა:

— რა გინდათ? რა საქმე გაქვთ?

ერთი ქალარა გრძელუღვანეობიანი—სახელად თედო—ჯგუფს გამოეყო, მოუახლოვდა ზურაბს და მდაბლად მოახსენა:

— შუაკაცად ვარ მოგზავნილი!

— რა გინდა? მოსჭერ მოკლედ, მოკლედ!

— ხალხს აწყენინო, არ არის კარგი! ცხვარი ცხვარია, მაგრამ...

გლებს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ზურაბმა გააწყვეტინა, რადგან მის კილოში რაღაც მუქარა იგრძნო.

— მაინც რა გინდათ?

თედომ დაიწყო დალაგებით:

— ქალარა თედო, შენზე წლოვანებით უფროსი, გვედრები: ნუ იქმ შეილო! ხერს არ მოიტანს ღარიბი ხალხის დაწიხლვა. სად გაგონილა, სათემო იდგილს ისაკუთრებდნენ? მერე ვინ? ვისაც სამყოფი მიწა აქვს!.. ხალხი გაამწარო, არ არის კარგი! შენ ამბობ: ოქმი დავადგინეთო! ისევ გადმოვადგინოთ და ხალხს კი ლუკმას ნუ გაუწყვეტ! ჩენი თხოვნაა: დახიო ეგ ოქმი!

— ბებერო! ჭკუა დაგიკარგავს! შენც აპყოლიხარ ვიღაც ამბოკარს! აღარ გაქვთ შიში! იცი თავს სად გიკრავენ? ამბოკარმა გაგაზრახა, განა?

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა ამბოკარზე, დამუქრებოდა, მაგრამ თავი შეიკავა, სიტყვა გადაუღაპა.

სამაგიეროდ მოხუც გლებზე ჯავრი იყარა და ისეთის რიხით შეუტია, ტყუილუბრალოდ რისთვის მოთრეულხარო, რომ აზრი დაუბნია. გლები გონს მაშინ მოვიდა, როდესაც ზურაბი სამმართველოში შესულიყო და ხალხიც დაშლილიყო.

მის ახლოს იდგა მხოლოდ სოფლის მდივანი ვანო ტიქსუსუნე. არადროს ის თბიზელი არ ყოფილა და არც ეხლა იყო.

ეს ახმაზი გაიძვერულად იცინოდა და თან თუთუნს აბუღებდა.

— ხომ გაგაფრთხილე—ნიშნის მოგებით ეუბნებოდა,—თუ რამ სათხოვარი გქონდა, ჯერ ჩემთვის უნდა გეთქვა. მაშ მე რის მოხელე ვარ? დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შესქამს, ან მგლის შვილი! ავრე მოგივიდა!

— აბა რა ვიცოდით? მე ხალხმა ასე დამაველა: პირდაპირ ზურაბს მიმართეო...

— ხალხმა დაგაველა? ხალხი ქვევრია! ან რომელმა ხალხმა დაგაველა?

— წუხელ დიდი ყრილობა იყო. მე ამომარჩიეს შუაკაცად. საქმის გამწვავება ჩვენ არ გვინდა, მაგრამ ეხლა რა პასუხი მივუტახო? ხალხი აღელვებულია! ცეცხლთან ხუმრობა არ გამოდგება. ყველაფერს გადასწვამს.

— ვინ გადასწვამს?

— ხალხი!

— მაინც ვინ ხალხი? ივანე, პეტრე? ხომ ჰყავთ ამორჩეულები? ხომ ჰყავთ კომიტეტი?

— რად გინდა, მაგას რო მეკითხები? ალბად ეყოლება! შენ ის მითხარ, საქმეს რა ეშველება, თორემ ხალხი უპატრონოდ არ დარჩება! თავის გზას გამონახავს!

ტიქსუსუნეს ცდამ ვერ გასჭრა. მოხუცს გლეხს ვერ დაათქმევინა: ვინ იყვნენ ამორჩეულები.

ბოლოს სიცილით უთხრა:

— ჩემო თევდორე! საქმე ცარიელ ხელით როდის გაკეთებულა, ეხლა გაკეთდეს? ძველი კაცი ხარ! არ იცი, ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირს! ზურაბს პატივისცემა უნდა! ხომ გესმის?

ახლო მივიდა და ყურში უთხრა:

— მხოლოდ არავინ უნდა იცოდეს—ჩემვარდა! იმ მიწების ოქმი ჩემს ხელშია! მინდა გადავგზავნი, მინდა—ცეცხლს შევუკეთებ!

მოხუცი გლეხი, ყავარჯენზე დაყრდნობილი, გულდადებით უსმენდა.

მიხვდა რომ ქრთამს სთხოვდა!

მაგრამ საიდან რა მიეცა?

ისიც საზოგადო საქმისთვის თავის ჯიბიდან რა ამოეღო? ან რა ებადა? თავი ჩალუნა და მოახსენა:

— ვეტყვი ჩვენს ბიჭებს, იქნებ მოვახერხოთ პატივისცემა!

მწერალი შეფიქრიანდა.

— ვის უნდა უთხრა! რას ამბობ? ერიჰაა! საქმე ასე არ კეთდება! თუ კი ქვეყანამ გაიგო, ეგ რა გამოვა? ზელენკიკო! არც რა იყო!

შუბლი შეიკრა და შეუტია:

— კარგად იცოდე, ბებერო, შენთვის არაფერი მითქვამს, არც არა მითხოვნია.

ბუზლუნით განშორდა მდივანი.

ქალარა გლები დიდხანს იდგა ყავარჯენს დაყრდნობილი, შემდეგ ხელა
ჩაიქნია, კეფა მოიფხანა, გადააფურთხა და გზას გაუდგა.

VI

ქალიშვილი
ბიჭუნა

ზურაბი მაინც ერთ ფიქრს შეეპყრო. აღარც ძილი! აღარც მოსვენება!
ლოგინში ბორგავდა. ხან წამოდგებოდა, ტყავს გადაიცვამდა და ოთახში გა-
ივლიდა.

რაც ოცის წლის წინად თავს გადახდენოდა, იმ დროს, როდესაც ის ახალ-
გაზრდა ვაჟკაცი იყო, ძალღონით სავსე—ის ამბავი ეხლა გაუხსენა—ისიც ვი-
ლაც სოფელში შემოხიზნულმა კაცმა, რომლის არც სახელი და არც გვარი
იყო!

საეჭვოა, იგი შინაურს არ გაეცა.

იმ ძველს ამბავზე სოფელშიაც კი აღარ ლაპარაკობდნენ, ყველას დაავიწყდა!
ყველაც დარწმუნებული იყო, ზურაბ თევგაური არ იყო ძმის მკვლელი!
ის მოჰკლეს თავდასხმის დროს მტარცველებმა, როდესაც სახლში ბრუნ-
დებოდა.

ზედ ფული ეგულებოდათ?

მინდორში მომუშავეს რა ფული უნდა ჰქონოდა? ცხენზე ეკიდა ხურჯინი
მცირე საგზლით და ხელთ ეჭირა ნამგალი.

არც ცხენი გაუტაცნიათ და არც ხურჯინი წაუღიათ.—მაშ ვის ჰქონდა
მტრობა? ვინ მოჰკლა მშრომელი და გამრჯელი გლები? ის ხომ ძმასთან გაყრი-
ლი იყო და ცალკე სცხოვრობდა?

აზრიან შრომით და დაუნარელ გარჯილობით უღვეველი ჰქონდა ბელელში
პური, მარანში ღვინო.

მისი ვენახი და ხეხილის ბაღი სოფელში სანიმუშო და თითით საჩვენე-
ბელი გამხდარიყო.

ეზო და კარი? ორსართულიანი სახლი აივანიით? ზედ რომ თითა-ვაზი
ასულიყო და ზაფხულობით გრილოს აყენებდა. შემოდგომობით დამწიფდებოდა
და რომ ჩიტებს არ მოეჭამნათ, პარკებს გაუკეთებდნენ.

ვინ იფიქრებდა, ეს სახლი ვინმე გლები თევგაურის იყო, რომელსაც წი-
ნად ჩალა-დახურული წნურის ქობი ედგა და ძლიერ ქარის დროს ეს ქობი ქა-
ნაობდა წასაქცევად.

აკი მღეროდნენ დაცინვით:

„ქობი ლაწლაწებს,

„ქარი მას არწევს!

„მალე წააქცევს....

დაუნარელი შრომა რას არ შესძლებს, რას არ ააშენებს!

ცოლიც რომ შესაუერი შეხვდა და მართლაც „მეუღლის“ სახელს იმსა-
ხურებდა.

იქნებ ზურაბის ძმის დაწინაურება ცოლის ბრალიც იყო?

მაშ ტყუილად ხომ არ იტყოდნენ:

„კაცმა რომ ცოლი ინატროს,
„გეგენა თეგაურისა!



ცოლი უფრო აღრე მოუკვდა გეგენა თეგაურს, ვიდრე უფრო მას მოჰკლავდნენ.

დარჩათ სამის წლის გოგო, სახელად რინე; ის ჯერ დეიდასთან იზრდებოდა და შემდეგ ზურაბმა თავისთან გადმოიყვანა, თუმცა იქ დიდხანს არ დარჩენილა. დროებით გადმოყვანაც გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „ხალხმა და სამართალმა“, გეგენას ქონების ბატონ-პატრონობა მის ქალიშვილის სრულწლოვანებამდე, ზურაბ თეგაურს არგუნა.

ეს ამბავი მოხდა იცის წლის წინად. რინე ეხლა იცდასამის წლის იყო.

ბევრი ახალგაზრდა ეტანებოდა მის სილამაზეს.

დღეობაში დასანიშნი ბიჭები უფრო იმიტომ მიდიოდნენ, რომ იქ რინე ენახათ, ერთხელ თვალი გადაეგლოთ.

იქნებ რომელიმე მოსწონებოდა.

იშვიათად თუ იცეკვებდა, მაგრამ თუ წრეში გავიღოდა, მტერს თვალებს ჭბრმავებდა და მოკეთეს გულს უხარებდა.

მახლობელ სოფლებიდან მრავალი შუაკაცი და მაჭანკალი მოდიოდა: შავან ბიქს მივათხოვოთო, მაგრამ რინე უარზე იდგა.

იქნებ მას თავის გულის მიჯნური უკვე ამორჩეულიც ჰყავდა? ვინ იცის!

VII

შუაკაცად გაგზავნილი ქალარა თედო გულდაწყვეტილი მოდიოდა. თან ფიქრობდა: რა ვუთხრა ხალხს? პანჩურით გამომისტუმრა—მეთქი, უფრო აღელდებიან და, ვინ იცის, რა არ მოახდინონ? რომ ვუთხრა: ქრთამი მთხოვა—მეთქი,—ეს უარესი! ჯანდაბას! ქრთამს კიდევ გავიღებდით, მაგრამ გამოვა რამე? ჩვენი მწერალი ღორმეცელაა. განა ერთი და ორი ქრთამი აუღია, მაგრამ რა გაუკეთებია? წასულა! დაკარგულა! ჩვენი ბიჭები ამას არ იზავენ ახალგაზრდობა სულ სხვანაირად ფიქრობს! დალახვროს გამჩენმა! რა დროს შევესწარ? სად იყო ჩემს დროს ასეთი ამბები? ვცხოვრობდით, და არც გვესმოდა, როგორ ვცხოვრობდით! ეხლა სულ სხვაა!

და კიდევ მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს.

პატარა ფერდობზე, მუხის ქვეშ, თავი მოეყარა აუარებელ ხალხს.

მათ შორის თედომ შენიშნა ოჯახიშვილი ალადი. ძველი ნამამასახლისარი, დაუძინებელი მტერი ზურაბ თეგაურის, თუმცა ამ მტრობას ზურაბს არ აგრძნობინებდა, მაგრამ ჩუმად სამარეს უთხრიდა.

განა ხალხის მოკეთე კი ყოფილა როდისმე?

არასოდეს!

ის ორჯელ სიკვდილს გადარჩა.

ერთხელ ცხრაას ხუთში პირველ რევოლვიუციის დროს.

მაშინ მან ხალხის წინაშე დაიჩოქა და მოთქმით იტარა:

— მაჩუქეთ სიცოცხლე! დავაშავე, დღეს შემდეგ ერთგული ვიქნები, ცოლშვილი შეიბრალეთ!

სიცოცხლე აჩუქეს.

მაგრამ როდესაც რეაქცია დადგა, კვლავ თავი წამოპყო. რამდენი კაცი ციხეში დააპყროინა. ერთ გლეხის ოჯახს, სადაც ხუთნი ძმანი ცხოვრობდნენ მთავრობის ურჩნი და ხალხის ნომამაგენი, მთელი მაზრის „სტრატეა და პოლიცია“ შუალამისას თავს დაასხა. გლეხები არ დანებდნენ, მოუხდათ სროლა. „სტრატეა“ გაიფანტა და ალაღი კი უყვიროდათ: „სად გარბიხართ ცეცხლი წაუკიდეთ, სახლში ამოწვითო“. გათენებისას ხუთნივე შეიპყრეს, ვისი დაბეზღებით? რამდენს კიდევ თავი უკრეს ციხეს ციმბირში? რამდენი გლეხის ცოლშვილი ატირდა!

მეორედ გადარჩა რეაქციის დროს, როდესაც „ხულიგანების“ წინააღმდეგ ტერორი გაუშვეს. ეტლით მომავალს თავს დაესხნენ, რომ უეჭველად მოეკლათ, მაგრამ მის მაგიერ სრულიად უდანაშაულო ადამიანი განიწირა, მის გვერდით მჯდომი.

მას ვერ მოენელებინა, რომ მის მაგიერ მამასახლისად ზურაბ თეგაური აირჩიეს.

მაშ ხალხს არაფი ტყუილად ასვა და სადილებიც ტყუილად უმართა?

მას არ არგუნეს პატივი და თანამდებობა, საიდანაც ულეველი იყო წყარო არსებობის: ქეიფი, დაპატიება, ქრთამები.

ზურაბი ამის გამო კირივით ეჯავრებოდა, როგორც თავისი მეტოქედღეს ამ ხალხშიაც იმიტომ მოსულიყო, იცოდა უკმაყოფილება და ჰსურდა ეს უკმაყოფილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ჩამდგარიყო გლეხებ შორის და როგორც თავდადებული გაიძახოდა:

— იმ დღეს ვერ გავბედე პირდაპირ შეთქვა, მაგრამ ეხლა ვიტყვი! კაცო, მიწას ვინ გართმევთ? ტყუილი არის უმაღლეს მთავრობას რომ აბრალებთ. ეგ სულ ოინებია! ზურაბის საქმეა! სათემო მიწას ვერავინ წაგართმევთ! სათემო ხალხისაა. იქ ან მე, ან ზურაბს რა საქმე აქვს?—სულ თქვენია! მაგრამ ამას თვით ზურაბი სჩადის! მისი საქონელი იმ მინდვრებს აბნელებს!

ამ ლაპარაკის დროს მოვიდა თედო შუაკაცი. წარბებ ჩამოშვებული, შუბლშეკრული, მოვიდა ჩუმად. უსიტყვოდ. დიდხანს მალლა არც კი აუხედნია. ხალხი შემოეხვია.

— რა ამბავს გვეტყვი?

— რა პასუხი მოგცა?

გკითხვობდნენ აქეთ-იქიდან.

თედო ჯერ კიდევ ხმას არ იღებდა. რა ეთქვა, ვერ გადაეწყვიტა! ბოლოს რაღაც წაილულლულა, მაგრამ ვერ გაიგეს.

— კაცო, ენა ხომ არ ჩაგივარდა?

— არ გვეტყვი, რა პასუხი მოგცა?

— ჟარზეა! ხელის ჩაქნევით წარმოსთქვა თედომ. ალაღის გაუხარდა. ცეცხლზე ნავთი დაასხა:

— ხომ გეუბნებოდით: მგლიდან ბატკანი არ იბადება! ზურაბის იმედი გაქვთ? ეგ რა მოხელე ნახეთ, რომ საქმე წარგიმართოთ? თავისკენ ითლის! ხელეჩოა, ხელეჩო!

ამ დროს მოვიდა ამბოკარიც. მიიხედ-მოიხედა. ნაცნობ ამხანაგებ შორის ალაღის სახე არ მოეწონა და მოურიდებლად სთქვა.

— წავიდეს ეგ კაცი!

ალაღი აიშრინა. პირიქით იმედი ჰქონდა, ხალხი მეორე კვირას მამასახლისად აირჩევდა, მაგრამ რა ესმის? მერე ვისგან? რა უფლება აქვს, ყრილობიდან ითხოვს?

იქნებ ყურმა უმტყუნა?

როდესაც გაუმეორეს, მაშინ კი თავმოყვარეობამ დასძლია.

ხმა აიშალა:

— მე მითხოვთ? რის გამო? სიკეთის მაგიერია?

ამბოკარს მიუბრუნდა:

— შენ თვითონ, ვინ იცის, საიდან მოსთრეულხარ და მე აქაურ მკვიდრს მითხოვ?

— მიზეზს ნუ მათქმევინებ!

— რა მიზეზს? შენ რა მიზეზი უნდა მითხრა?

— იმ დღეს ორლობეში დიდ კაკალთან შენ და ზურაბი რომ მისდიოდით, განა შენ არ აქეზებდი:

ხალხს მუსრუტი მოუჭირეო! მეთაურები შეიპყარეო? ის შენ არ იყავ?

ალაღი დაიბნა. მართალი იყო, დიდ კაკალთან! მან საიდან—როგორ გაიგო?

ხალხი აღელდა. მოაგონდა ალაღის ძველი ცოდვები და მზად იყვნენ შუა გაეგლიჯათ, მაგრამ ალაღიმ აურზაურით ისარგებლა.

მიიხედ-მოიხედეს, ალაღი იქ აღარ იყო,

— ის მუშმუშელა! ბელადი!

გაქანებული ხუსხუსით მიდიოდა პირდაპირ ზურაბ თეგაურთან.

VIII

ალაღიმ ზურაბი ეზოში დაინახა. მის ირგვლივ სხვა „ბობოლა“ ოჯახი-შვილები შემოკრეფილიყვნენ. მსჯელობა ჰქონდათ.

იქ იყო ნარიდო, რომლის ქონება მთელს სოფელს იყიდდა, მაგრამ ისეთი ჩამოწეწილი და ისეთს ძველს გაქონილს ტყავში დაიარებოდა, რომ უცნობს მათხოვარი ეგონებოდა.

— კრიეანგზე კრიეანგი!

სტუმარი რომ მიუვიდოდა, ხმელს პურს და წყალს მიუტანდა, თუმცა მის მარანში ყველიც მძალდებოდა და ღვინოც ძმარდებოდა.

თუ თვითონ იქნებოდა სტუმრად, მის მოღებნას საზღვარი არ ჰქონდა. რა ენადვლებოდა: თავისი რა იზარჯებოდა.

გვერდზე იდგა გრძელ ცხვირმოცრებილი, კისერ გასქელებული ბახუტო.

ჯობით რაღაც ხაზებს აკეთებდა. ეს იყო ძველი ოჯახიშვილი, სიძუნწეში ნარიდოს არ ჩამოუყვარდებოდა. ამასზე იყო ნათქვამი: ნარიდო რწყილს ატყავებდა ბახუტომ გადასძახა: ქონს რად აყოლებო!

წერა-კითხვა არ იცოდა. არც თავის შვილებს ასწავლავდა. მისი შვილებით, რომ შვილებს თუ ვასწავლე მუშაობას იუკადრისებენ და ოჯახს ბარაქა დაეკარგებაო! მის ძროხას შირაქი ვერ იტევდა, ხოლო მის ცხვარს თრიალეთი.

ორ თვეს კალოს ლეწავდა და რთლობის დროს ერთი კვირის განმავლობაში ორი ურმით გოდრებით ყურძენს ეზიდებოდა.

ცოლი ისე მოუკვდა, ექიმი არ მოუყვანა.

ისე შეერთო ქალარა, ფეხზე კამეჩის ქალამნის მეტი არა სცმია-რა. კამეჩის ქალამანი და ისიც ბალნიანი—გვიან გაცვდესო. როცა გაცვდებოდა, ტყლაპს (ნაქერს) წაუგებდა, ერთი-ორი კვირა კიდევ მატაროსო.

არც თვითონ და არც მის მოჯამაგირეებს სველი ლუკმა არ უჭამიათ, თუ სადმე ქელესში, ან ქორწილში არ დაუძახებდნენ.

ოჯახში უბრალო ტახტი არ ჰქონდა, სტუმარი მაინც დაეწვინა. სუფთა ლოგინს არ ხმარობდა, თუმცა წალო სავსე ჰქონდა. მას ინახავდა არ გაცვდესო.

დღესაც მუთაქა სავსე აქვს ძველი ათთუმნიანებით! ამბობენ, ერთი ქილა ოქრო მიწაში აქვს დამარხულიო.

ამათ მიემატა უკეთესი ალაღი.

სოფელში ყოველ გლეხს იცნობდა. სუფთად იცვამდა და თავი აზნაურად მოჰქონდა, რადგან როდესღაც მის საგვარეულოში ნადიაკვნარი ღვდელი ყოფილა და ისიც შორს ზევსურეთში გამწესებული.

აღლოიანი კაცი იყო და სად ვისაც რა სტკიოდა, ხელს იქ დააჭერდა.

არადროს ბარი არ დაუკრავს, არც ნამგალი შემოუტრიალებია, მაგრამ ცხოვრობდა მდიდრულად და ყველაფერიც ებადა.

ან რატომაც არ ექნებოდა?

● მოხელეობის დროს ქურდებს მოაპარინებდა. პატრონი იჩივლებდა. გაგზავნიდა კაცებს, ვითომც-და საძებნელად.

მოდებდა ამბავი: კვალს მიაგნესო, მაგრამ საჭიროა ამდენი და ამდენი ოქრო!

პატრონი იხდიდა.

დანაკარგს მოჰგვრიდნენ.

მოხელეს კი სახელი ჰქონდა გავარდნილი: რა გამჭრიახი კაცია! როგორ მიაგნო, როგორ აღმოაჩინაო!

წასჩხუბებდა ორ მეზობელს.

თავპირს დაამტრეყდნენ.

ერთიც დამნაშავე იყო, მეორეც!

ერთიდანაც ქრთამს იღებდა, მეორედანაც.

შემდეგ შეარიგებდა, ორივეს ცალკეცალკე სადილს დაავალებდა და თვითონ თამადათ დაჯდებოდა.

მასპინძლებს დაათრობდა და შემდეგ ან იქვე რომელსამე რძალს ნამუსს



ახდიდა, ან მთვრალ სტუმარს გააცილებდა და იქ თავის უზნეო ზრახვას აისრულებდა.

ბევრს სჭამდა და გვიან ითვრებოდა. მაშინ გაიგებდნენ მის ჭადლომას, როცა ქშენას მოუმატებდა, ხოლო ლაპარაკს უკლებდა.

თუ ვინმე სმაში მაგარი დახვდებოდა, თავს მოიმძინარებდა, რომ ამ დროს სხვებს ღვინო ესვათ და შემდეგ შესვენებულს ნასვამებზე იერიში მიფრტანია.

სშირად მომხდარა, დასალევი ღვინო მაგიდის ქვეშ დაუღვრია.

თუ რომელსამე ოჯახში უზნეო ქცევას გაუგებდნენ, მეორე დღეს დიდი ბოდლიშით მოადგებოდა, მთვრალი ვიყავიო და იძდენს ილაპარაკებდა, კიდევ სუფრას გააშლევინებდა.

პირში არავის აწყენინებდა.

შენიც იყო, იმისიც.

ზედმეტ სახელად შელადის გარდა, ოლქან-სილქანს და აბრუნდის ეძახოდნენ.

ალადი აღელვებული მივარდა ზურაბს:

— კაცო, ვერ გაგიგიათ, წალეკას გვიპირებენ? თქვენ აქ არხვინად ლაპარაკობთ! ერთი გაიგეთ, ჩვენს თავს რა ხდება!

— რა მოხდა? რამ აგაღელვა? — ჰკითხა ზურაბმა.

— როგორ, რა მოხდა? შენ თუ მოხელე ხარ, უნდა თვალყური ადევნო, ან შენ განმოიჩინო ძალა და კისერი მოუგრიხო. ან მთავრობას მიმართო. წალეკას გვიპირებენ! ჩვენს წინააღმდეგ ყველა ვინგინდარა ამხედრებულია და მერე იცით ვინ მეთაურობს? ვიღაც მოთრეული — ამბოკარი! ჩვენს წინააღმდეგ — ეს კიდევ არაფერი! ხალხს აჯანყებენ მთავრობის წინააღმდეგ! ეს არ არის უბრალო ხუმრობა! გაიარეთ ხალხში და თქვენ გაიგებთ რას ლაპარაკობენ!

— ეგ მე კარგათ ვიცო, ჩემო ალადი! მაგრამ მაგას რა აზრი აქვს? ჩვენი მთავრობა ძლიერია! ამ მივარდნილ თემში რაც უნდა ილაპარაკონ, თუნდ ყველაფერი თავდაყირა დააყენონ, ვერაფერს გახდებიან!

ნარიდო აჭამდე ჩუმად იდგა, ახლა კი კრიჭა მოუშვა:

— კაცო, როგორ თუ ვერაფერს გახდებიან? ვენახი შენ არ გაგიკეთებია — შენი არ არისო; ცხვარს შენ არ უვლი — არც ის არის შენიო! მიწა შენ არ გაგიჩენია, ვინც შიგ მუშაობს იმისიაო! ამაზე მეტი-ლა?

საკუთრება — არაო!

ღმერთი — არაო!

უფროსი — არაო!

მაშ ამ ქვეყნად როგორ გვეცხოვრება?

შენ კი გაიძახი, ვერაფერს გახდებიანო. რომ გახდნენ?

იცოდე, ზურაბ, ყველაზე მეტად შენ მოგხვდება!

— მაშ ჩემი მონაგრებელი მე არ მეკუთვნის? — შეჰყვირა ბახუტომ და დოინჯი შემოიყარა. — ყველაფერს ვიკლებდი, რომ ოჯახში შემეტანა, გამეკეთებინა და დღეს ჩემი აღარ არის. სისხლს დავღვრი, სისხლს!

ერთი ისეთი შეიგინა, რომ ზურაბმა აქეთ-იქით მიიხედა, ვინმე მანდილოსანი ყურს ხომ არ გვივლებსო.

ამ დროს ასწლოვან მუხასთან, რომელიც ფერდობზე იჯდა, იყო დარჩენილი და ცალი მხარე უკვე გახმობოდა, თავმოყრილ ხალხს მუხასთან აკებოდა ამბოჯარი.

დრო იყო შემოდგომის.

ხეებსაც სცვიოდა ჭრელი ფოთლები. ამ ფოთლებს შრიალით ნიაფი იტაცებდა და ეს ფოთლებიც სადღაც შავს ნიადაგს ანოყიერებდნენ.

ამბოჯარი ლაპარაკობდა:

— ვისთან გაქვთ საქმე?

თქვენ მტერთან!

ეგ ბობოლა ხალხი თქვენს ნაშრომს ისაკუთრებს. აი, ხომ ვაჰგზავნეთ — ეგ თქვენი შუაქაცი — რა პასუხი მოგიტანათ? მათ რომ დაგიტომონ, მეორე დღესვე შიმშილით ამოსწყდებიან! გემუჭრებიან: ჩვენკენ არის ძალა და კანონიო! ძალა ხალხშია! თქვენ მათ უნდინხართ მინდვრის საქონლად, გახვნივინონ, მოგამკვივინონ, მოგაზიდინონ შეშა და ფიჩხი! რომ აუგოთ სახლი, გაუძლოთ კუჭი! თქვენ ხართ ნივთებად გარდაქცეული, მაგრამ როდემდის? ხომ ერთხელ უნდა ბოლო მოეღოთ?

ხალხმა იგრიალა:

— უნდა მოეღოთ!

აქვე იდგა სოფლის მედუქნე ქონდარა.

კიდევ დიდხანს უგდო ყური. ამბოჯარი როცა შეეხო ექსპლოატატორებს და სოფლის წურბელებს, ქონდარამ შუბლი შეიჭმუნა.

თვითონვე იგრძნო უხერხულობა; თუმცა თავი „სოციალების“ ამხანაგად მოჰქონდა, მაგრამ ამ უამად ისე მწვავედ ლაპარაკობდა, რომ ქონდარა ადგილზე ცახცახებდა, ვაჰ, ეგ ჩემზე ამბობს? რა კენჭებივით აუჯრეფია!

ისე გაიპარა რომ არაფის გაუგია.

გზაზე ფიქრობდა: დაავიწყდათ ჩემი ამბავი! როცა ჩემს დუქანში ჩუმად კრებებს მართავდნენ. ხან ვახშამი! ხან სადილი! განა თუ ფულით კი არ ვებმარებოდნი? მაგათ გულისთვის წინაღამ დუქანიც კი არ დამიკეტეს და მეც ვირის აბანოში არ მიკრეს თავი! თეალებო, სად ხარ, რატომ არ დაინახავ?

მიდიოდა და თან მიბუხლუნებდა:

— ეხ, დროებას რა ვუთხრა, რომ ყველაფერი უკულმა დატრიალდა!

იარა და მოვიდა ზურაბ თეგაურთან! ჯოჯობეტს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მოემატა. რაც ალაღიმ ვერ უამბო, ქონდარამ დაათავა.

ამ რიგად, სოფელი ორ ბანაკად გაიყო. ყველა გლეხებიდან უკმაყოფილო ზურაბის ირგვლივ იკრიფებოდა.

აქეზებდნენ: შეიპყარ და მთავრობას გადაუგზავნეო!

ზოგნიც უკიდურესობამდე მიდიოდნენ: მოვკლათ ეგ ვიღაც მოთრეულიო.

ზურაბი არც ერთის წინააღმდეგი აო იყო, მაგრამ გამბედაობა აკლდა. ელოდებოდა მალდიდან მთავრობის პასუხს და განკარგულებას.

და ერთს მშვენიერს დღეს ახმახმა ტიქსუსუნემ დეპეშა მიართვა, რითაც საიდუმლოდ ატყობინებდნენ: „გეძლევათ უფლება მიმართოთ ყოველგვარ ღონისძიებას წესიერების და მცხოვრებთა მყუდროების დასაცავად“.

ზურაბმა დეპეშა უბეში ჩაიღო.
თავისუფლად ამოისუნთქა.
გულში უხაროდა, ნდობით ეკიდებოდნენ.

IX

ზურაბი თავის გულის საიდუმლოს მხოლოდ ქონდარას ანდობდა. ერთ დღეს აღრიანად მივიდა მის დუქანში. არაყი დალია, მედუქნესაც შესთავაზა.

ზურაბს სევდა აწუხებდა. რაღაც გაბოროტება ეტყობოდა. უძილო თვალები დასიებოდა. ითმინა და შემდეგ დაიწყო:

— წუხელ უბედური, საზარელი სიზმარი ვნახე: სადღაც ჯურღმულში ვიჯექ. მუხლებამდე ტალახი იყო. უხარმაზარი ცხოველი, რომელიც არც ღომს ჰგავდა და არც ვეფხვს, ადამიანის ენით მელაპარაკებოდა. პირში გველი ბუდობდა. ბრჩხალებიანს შავს თათს მკერდზე ჩამომისვამდა და ხორცის ნაგლეჯები თავისკენ მიჰქონდა. შემდეგ ნადირმა სახე იცვალა და წარმომიდგა ქალი დათალხული, ცეცხლივით მწველი იყო მისი თვალები. ვიცან ის ქალი! ამ ბოლო დროს ხშირად მესიზმრება.

ზურაბმა შესწყვიტა ლაპარაკი. თავი ჩალუნა, მედუქნე გაშტერებით უმზერდა. მან იცოდა რომელ ქალზედაც ლაპარაკობდა. ან ის ქალი იყო, რომელთანაც უკანონო შვილი ეყოლა, ან დაწყევლილი, კუდიანი, ჯადოქარი ფეფელო—რინეს დეიდა.

— თითოც დაასხი!—უთხრა ზურაბმა.—ეს ის ქალია, რომელთანაც შვილი მეყოლა.

მედუქნემ დაასხა. პირველმა ასწია ჭიქა:

— აცოცხლოს, თუ ცოცხალია!

ზურაბმა ამოიოხრა.

— შენ ხომ მოწმე ხარ, აუარებელი ფული დავხარჯე. ყველგან დავიღებული მქონდა, გაეგოთ, სად სცხოვრობდა, მაგრამ ამაოდ! ებ, გურგენ! კაცს სიბერეში გაუხდება სანანურად, რაც ახალგაზრდობაში დაუშავებია. აბა, ეხლა მე რა ვარ? მეხისგან გატუსული მუხა, რომელსაც ტოტებიც ჩამოსცლია და ძირკვებიც გახმობია. სდგას უნაყოფოდ და ელის წაქცევას! განგებამ თუ დამსაჯა, რომ აღარც მეუღლე მყავს და აღარც შვილები! ამიტომ უფრო მეტი თავგამოდებით ვეძებდი ელისოს!...

და ელისოს გახსენებაზე ზურაბმა თავი ჩალუნა. ნიკაპი ჯოხზე დააბჯინა, დიდხანს იყო გაშტერებული. ვინ იცის, ამ დროს ფიქრით სად ჰქროდა! ელისო? მაშინ ახალგაზრდა იყო! სიმთვრალის დროს მიეჭრა.

ზურაბმა კიდევ მოითხოვა აევსო ჭიქები და განაგრძო:

— ოცი წლის წინად და, ვგონებ, უფრო მეტიც იქნება... მომენდო ის

ქალი! მაგრამ ხომ გახსოვს მამაჩემი როგორი ჯიუტი კაცი იყო, თუ იტყოდა — აღარ გადასთქვამდა! სულ სხვისთან გაათავეს საქმე. თუმცა გამოტეხილი სჯობია, წინააღმდეგობა არც მე გამიწევია. ფულს დაეხარბნენ! ალმოჩნდა ბუთი თვის ფეხშიმედ და რომ ეს არ გახმაურებულიყრ, მაშინ ფული და ქალაქში თავის მამიდასთან გავისტუმრეთ, იმ ცრუ იმედით, რომ მეც ქალაქში ჩავიდოდი და საქმეს გავათავებდით. იქ ვაყი ეყოლა. შემდეგ ფულს კიდევ ვუგზავნიდი, მაგრამ...

აღარ დაათავა ზურაბმა, თავი ჩაღუნა და ფიქრს მიეცა.

— განგებამ დამსაჯა — მეთქი! აქ ცოლშვილი ამომიწყდა და იქ ის შვილიც ქალაქში დაგკარგე.

ეხ, რომ ვინმე შემატყობინებდეს: სად არის? როგორ არის? ვის გვარს ატარებს? თუ გადარჩა, ეხლა ხომ იგი ვაყვაცი იქნება! კიდევ დაეხარჯავ, მთელს ქონებას ზედ გადავაგებ, ოღონდ კი მაპოვნინა! ამ სიბერის დროს ჩემი დასაყრდნობი იმედი ის იქნებოდა.

საქვა და თითქმის ცრემლმორეულმა გადაჰკრა არაყი.

— მხარს გამიმაგრებდა. დაე ეყბედნათ, რომ ის ნაბიქვარი იყო და მე მისი მამა...

უცბად წამოდგა, კედელს მიაშტერდა. ხელი ზუბლზე გადაისვა და ნაწვეტად წამოიძახა:

— არა! დასჯილ ვარ უფრო დიდი დანაშაულის გამო! იმ დანაშაულს ველარაფერი გამოისყიდის: ვერც ცრემლი და ვერც მონანიება! მას არა აქვს პატიება! ყველაფერი დღეს თვალწინ ცხადაა მიდგა! თითქოს გუშინ მომხდარიყოს. სადამო ეამი... სოფლის ბოლო... მოდის... ცხენზე ზის... გავარდა თოფი! გულში მოხვედროდა. ახ! რატომ მარჯვენა არ დამიდუნდა! არავინ იცის, რომ დღეს გული მკვდარი მაქვს! არც სინხიარულე! არც ქეიფი! აღარც ძველებური თავდავიწყება. მოშხამულია ჩემი სიცოცხლე... გაცივდა გული... ამას ნურავინ მიაწერს ჩემს სიბერეს... მე სისხლი მტანჯავს...

როგორც გიყი დუქნიდან გარედ გამოვარდა. სად მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა.

მედუქნე სახტად დარჩენილი დანახარჯს დავთარში ნისიად სწერდა და თან ბუზღუნებდა:

— დილა აღრიან დამნავსა! დღეს ნაღდზე ვილა ივაქრებს?

X

როდესაც ობლად დარჩენილი რინე წამოიზარდა, დედის ნათესავეების და განსაკუთრებით, დედის რჩევით, თავისი მამის კუთვნილი მოითხოვა.

მოხდა დიდი დავი-დარაბა. აღიძრა საჩივარიც, მაგრამ ზურაბს ვინ აჯობებდა?

სოფლის კანცელარიაში შედგენილი ოქმი, რომ გეგენას ქონებას იბარებდა მისი ძმა ზურაბი სანამ ქალიშვილი რინე სრულწლოვანი შეიქმნებოდა, და

შემდეგ ეს ქონება: უძრავი თუ მოძრავი, უნდა გადასცემოდეს რინეს მზითვევში, — ეს ოქმი დაეთრიდან ამოიშალა. მისი ასლიც აღარსად აღმოჩნდა.

ამაზე იყო რინეს დეიდა გამწარებული. ის იყო მისთვის ნათესავად და მამრამ სიმართლე აღარსად გადიოდა.

თუ საქმით ვერას გახდა, სიტყვით ზურაბს თავზე კაკალს ამტვრევდა.

მოწმეებმაც ულალატეს. ან რად აწყენინებდნენ ძლიერს ზურაბს, რომლის ხელში იყო თითქმის მთელი სოფლის ბედი.

პირიქით, ცრუმოწმეები ამტკიცებდნენ: ზურაბი იმდენად სათნოიანი და გულშემატკივარი გამოდგა, რომ კისრად იღო თბოლის აღზრდა და აუარებელი ვალი, რომელიც გევენას დარჩა ზურაბმა თავის საკუთარის თანხით მოიშორაო.

ზურაბიც „მამალი ყვაფივით“ გაიბერებოდა მოსამართლეების წინაშე: შემომხედეთ, რა ჭველმოქმედი ვყოფილვარო და ნათქვამს კვერს დაუკრავდა, კიდევ თავს გულკეთილად მოაჩვენებდა და დაუმატებდა: რინე თუ გათხოვდებოდა, ქორწილს მე გადავუხდი და ორხელ ლოგინს მზითვად გავატანო.

დამარცხებული გამოდიოდა რინეც და მისი დეიდაც.

შეიძლება, უდემამოდ დარჩენილი რინე უფრო უარეს დღეში ჩავარდნილიყო, რომ დეიდას მისთვის ოჯახური ხელსაქმე: ქრა-კერვა, მერდინის და ხალიჩების ქსოვა არ ესწავლებინა.

შემდეგში რინე ისე დახელოვნდა, რომ მეზობელ სოფლებიდან ქალიშვილებს მასთან აგზავნიდნენ ხელსაქმის შესასწავლად.

საკმარისი იყო ეთქვათ: „ოსტატ რინეს გაწურთენილიაო“, რომ გასათხოვარ ქალის მშობლებთან მზითვევზე ბევრი აღარ ელაპარაკნათ.

სოფელში გამოჩნდა თუ არა ამბოჯარი, ამ უცნობს პირველადვე რინეს დეიდამ შიაქცია ყურადღება.

ამ მანდილოსანის ზრუნველობა იყო, რინესთვის კარგი და სახელოვანი საქმრო აღმოეჩინა.

ვის არ სცნობდა? მთელს მაზრას და მაზრის გარეთაც იცოდა ვინ რა „დოვლათს“ წარმოადგენდა.

მაგრამ ყველაზე ძალიან თვალში ამბაკორი მოუვიდა.

წარმოიდგინეთ მისი გაბედულობა და სითამამე! ერთ ოჯახში წვეულების დროს ამბოჯარს პირველი თვითონ გამოელაპარაკა და რაკი გულში განზრახვა ჰქონდა ამ ახალგაზრდას დაახლოვებოდა, ბინაც შესთავაზა—მშვენიერი ოთახი, რომ უცნობი ვაჟი ახლო გაეცნო, კარგად აეწონ-დაეწონა მისი ზნე და ხასიათი.

ლოთი ხომ არ იყო, ან ვინმე თავზე ხელაღებული ავარა? თუ ჭკვაში დაუჯდებოდა, შემდეგ მისთვის საძნელო აღარ იყო, ნიშნობას ქორწილიც ზედ მოჰყოლოდა!

რინე ხომ ლამაზი და ჭკვიანი ქალი იყო. შევევრემანი, ტანადი, მსხვილ ნაწნავიანი, წარბებ გადაჭიმული, ნათელთვალეებიანი. ტუჩები მოკუმული და, როცა გაიღიმებდა, თეთრად ჩასხმული მარგალიტები ელავდნენ. მაღალ

ყელს შავი კავები დასთამაშებდნენ, როდესაც ხელსაქმეზე იჯდა და თავი დახრილი ჰქონდა, სახელოვანი მხატვარი მის სახის გადახატვას იმტრებდა.

ვაეი ვერ დაიწუნებდა, პირიქით, რინე მრავალს უფრქვევებდა. ამის გარდა, დეიდას იმდენი განძეული და ოქროული ჰქონდა, ~~მტკნამი~~ ~~მტკნამი~~ ~~მტკნამი~~ მოსულ ნეფეს თავბრუს დაახვევდა.

ოღონდ სასიძო ჯერ თვითონ გამოცდილ დეიდას უნდა მოსწონებოდა.

ქალი გავატანო, — ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი და სიცოცხლე ჩაუმწაროს, გაჟღანგოს შავი ღლით შემონახული ზინეთი და შემდეგ გაფურჩენილი ქალი უკანვე მომიგდოს! უი ჩემს თვალებს! ამას არ იზამს ფეფელო!

ასე მსჯელობდა რინეს დეიდა.

უკნობი ვაეი ფეფელოს თავის სასიძოთ გულში უფრო იმიტომ ჩაუვარდა, რომ მთელს სოფელში კი არა, მთელს მაზრაში — ერთად-ერთი კაცი გამოჩნდა, როჰელმაც თანამი სიტყვით გაკიცხა ზურაბ თეგაური და სოფლის მაჯლაჯუნა უწოდა.

როგორ უხაროდა ფეფელოს. სოფლის ჯაგრიანი მაჯლაჯუნა! თვითონ რამდენს სწყვილიდა, მაგრამ ასეთი ზედგამოჭრილი სიტყვა ჯერ არ უთქვამს.

დაივსოს მაგის ჯანი! ეგ ყველას მაჯლაჯუნაა!

სხვა ყველა ზურაბის ყურმოჭრილი მონა იყო, ყველა მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა, ამ ახალგაზრდამ კი ისეთ-ისეთები უთხრა, რომ ცერცვივით ახტუნა — ლაპარაკობდა მეზობლებში.

ფეფელო იმედით აივსო, რომ ზურაბის შავს საქმეებს გარედ გამოაფენდა და მხარის დამჭერიც ეყოლებოდა.

ოცს წელზე მეტია ფეფო ასეთს მხიარულ გუნებაზე არ ყოფილა. ამ დღეს თითქმის ყველა მეზობლებს ჩამოუარა; თან თითის ტარს ართავდა და თან თავის გულისწყრომას ზურაბის მიმართ ხელახლად აშლიდა.

— ერთი დრო არავის შერჩენია! თვალი დაუდგეს ზურაბ თეგაურს! მაგის განკითხვის დღეც დამდგარა. თუ თავისივე კბილებით ხორცს არ იგლეჯდეს, მაშ მე დედაკაცი არ ვყოფილვარ და ფეფელო არ მრქმევი.

ზურაბიც გრძნობდა, რომ ამბოკარის წამოყვედრება, აშლა ხელახლად ძველის, დავიწყებულის კრილობის ფეფელოს ოინბაზობა იყო, მაგრამ ამას გულში ჰმარხავდა.

ზურაბის ექვი არც უსაფუძვლო იყო, მაგრამ არც ზედმიწევნით სწორი.

ამბოკარს სულ სხვამ გააგებინა.

ერთს საღამოს, როდესაც ამბოკარი სახლში ადრე დაბრუნდა, სრულიად შემთხვევით რინეს გამოელაპარაკა. დიდად მოუწონა, რომ ამდენს მოწაფეებს საოჯახო ხელსაქმეს ასწავლიდა.

ლაპარაკი გართულდა.

რინე ბუნებით დაჯილდოებული ქალი იყო. კარგად იცნობდა ძველსა და ახალ მწერლობას. სოფელში მხოლოდ მას მოსდიოდა გაზეთი. რამდენჯერმე შემთხვევა ჰქონდა დასწრებოდა კრებას, სადაც საჯაროდ გამოდიოდნენ სხვა და სხვა მიმართულების ორატორები, მაგრამ ამ ბოლო დროს გაბედულის

სიტყვით, ნათელი აზრით, გატაცებულ გრძნობით, ყველაზედ მეტად ამბოკარმა მოხიბლა.

თვით რინე სოფლის ცხოვრებას კარგად იცნობდა; ჰხვდავდა უმრავლესობის გაჭირვებას და მწარე ხვედრს.

თუ არა ამ უმრავლესობის გაჯანსაღება და მათი ფეხზე წამოყენება, ისე ვერ წარმოედგინა: ვერც ქვეყნის და ვერც კერძოდ, თავის სამშობლოს ბედნიერება.

ამბოკარიც ხომ ამას ლაპარაკობდა! უფრო ვრცლად და დაღაგებით!

ამიტომ იყო, რომ რამდენიმე შეხვედრის შემდეგ რინე და ამბოკარი თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს ერთმანეთს ბავშობიდანვე იცნობდნენ.

ეს გარემოება ყველაზე ძალიან ფეფელოს ახარებდა.

ერთხელ რინემ თავის ბიძის სახლში გაცხარებულ ლაპარაკს მოჰკრა ყური.

მეორე ოთახში სოფლის ბობოლები შეკრეფილიყვნენ. იქიდან მკაფიოდ ესმოდა როკორც ზურაბის, აგრეთვე სხვების მუქარა, რომ ამბოკარს არ აცოცხლებდნენ.

ბევრჯელ უნდოდა ამბოკარი გაეფრთხილებინა, მაგრამ მოხერხებული დრო ვერ ჩაეგდო.

დღეს კი მიეცა ამის საშუალება. რინემ გადასწყვიტა პირდაპირ უთხრას. რაკი ბრძოლაა გაჩაღებული, სჯობს ბიძა დამარცხდეს, ვიდრე ხალხისთვის თავდადებული მოამაგე, გულწრფელი ადამიანი.

ასე სწამდა რინეს და ამ რწმენას დეიდაც უღრმავებდა.

რინეს ლაპარაკს ამბოკარი გულდასმით უსმენდა. რწმუნდებოდა, რომ მისთვის გული შესტკიოდა, მისდანი თანაგრძნობას ჰპოებდა, რომელ თანაგრძნობას უკვდავნი სიყვარულს ეძახიან.

— ძლიერ მტერთან იოლად იბრძვი, — ეუბნებოდა რინე — მსურს გაგაფრთხილო! ამას მე გული მეუბნება და საჭიროდაც ვსცნობ!

— გამაფრთხილო? ვის წინააღმდეგ? ან ჩემთვის გული რისთვის შეგტკივა?

— მაგას ნუ მკითხავ, — დარცხვენით უთხრა რინემ, — ზომ შეიძლება მამოკმედებდეს კაცმოყვარეობა, ან წმინდა სურვილი? დაე, ეს შენთვის სულ ერთი იყოს! ბიძაჩემთან შენზე ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი; თუ მან ცული იზრახა, ან შეასრულებს, ან თავის ზრახვას თან გადაჰყვება!

— ჩემს ხასიათშიც ეგ სიმტკიცეა!

— ვიცე, მაგრამ შენი სიმტკიცე სიკეთისკენ არის მიმართული, მისი კი — არა! კარგს იზამ იგი ახლო გაიცნო. თეგაურების ოჯახში სამი ღვიძლი ძმა იყო. მამაჩემი საშუალო ყოფილა. ზურაბი უმცროსი. უფროსი ძმა მთაზე ცხვარში მოეკლათ შურის-ძიებით. მამაჩემი და ზურაბი ამის შემდეგ გაყრილან, რადგან ერთმანეთში ველარ მორიგებულან. მამაჩემს საქმე წარმატებით წაუყვანია, ზურაბს კი — ვერა! ის თურმე გარყვნილ ცხოვრებას და ლოთობას ეძლეოდა. უთავებოლოდ და ბედოვლათად ფლანგავდა მოხაგრებულს. ყოფილა მოხარკე

მოვალეების, მამაჩემს კი საქმე თანდათან წინ მისდიოდა. ^{ზურაბს} შვილებიც ჰყოლია უხასიათო. ერთი ქორწილში ჩხუბის დროს მოუკლავთ, მეორესაც საგივეთში სული დაუღვია. სამის წლის ვყოფილვარ, დედა მამაჩემია. აი, ამ დღიდან იწყობა მამაჩემის უბედურობა. ერთს დღეს მინდვრიდან მომავალი გზაში მოუკლავთ! ვინ მოჰკლა? ბრალი ედება თვით ბიძაჩემს, ზურაბს! მამის ქონებას დაებრმავებინა მისი ხარბი თვალი! დაეპატრონა, რაც მამის მონაგრებული იყო, რასაც აქ ჰხედავ, მამაჩემის ყოფილა, მაგრამ დღეს ის ეპატრონება.

— ავაზაკი!

— ცოლს წიხლით სცემდა! დაასწულა და ისიც მოკვდა!

— დღეს სოფლის მამა!

— უარესს ისმენ! შეუცდენია ღარიბი და ობოლი ქალი. ეს ადრე, როცა მე ჯერ არც კი ვყოფილვარ—შეუცდენია! ვითომც და ცოლად შევირთავო. მთვრალი მისწრია. მაგრამ შემდეგ ფულს დახარბებია და სხვა შეურთავს. პირველი ქალი კი ქალაქში გაუგზავნია ცრუ დაპირებით. იქ ქალს ვაჟი უშობნია.

რინეს მოთხოვნამ რაღაც გულის ჩამკვლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბოჯარი ღრმა ფიქრს მიეცა. გაშტერდა. უმოძრაოდ იდგა. შემდეგ სახე შეიკმუხნა. გულში ფიქრობდა:—დედიჩემის ბედი წილად რგებია. ვინ იცის, იმ ქალს რამდენი გაქირვება დაატყდა. ან იქნებ ის ვაჟიც ჩემებრ უთვისტომოდ დაიარება!?

რინემაც შენიშნა ამბოჯარის სახეზე მწუხარება. ინანა: რად უუთხარ, ამ ამბაჟმა რაღაც იარა აუშალა.

ამ დღეს რინე და ამბოჯარი ერთმანეთს მალე განშორდნენ და რამდენსაბე დღეს აღარ შეხვედრიან.

ეს საიდუმლო უკვე იცოდა ამბოჯარმა, როდესაც ზურაბს პირისპირ შეხვდა და შეტაკება მოუხდა.

მაშინ წამოაყვედრა: ვნახოთ, როგორ შეებრძოლება ნაბიჭვრის მამა თვითონ ნაბიჭვარსაო.

მაშ ამბოჯარიც უკანონო შეილი ყოფილა რომელიმე ქალის. რატომ არავის გამოუტყდება. რატომ გულის პასუხს არავის ანდობს. ნუთუ მისთვის ამ ამბის გახსენება ესოდენ ტანჯვას აგრძნობინებს?

რინემ უამბო ყველაფერი დაწვრილებით, არა იმიტომ რომ მისთვის კაეშანი აეშალა. არა! უამბო, რადგან ენდობოდა.

აი თურმე ვის გაუცია ზურაბ თეგაური. ზურაბი კი ფეფელოს სდებდა ბრალს, მაგრამ ეს მისთვის სულ ერთი იყო, მაინც ფეფელოა დამნაშავე, რადგან რინესაც მან ჩაუკენჭა. ფეფელოა ზურაბის სულის ჯალათი.


ზურაბი მზად იყო ერთი ცოდო კადევ ელო კისრად და ეს ავყია დედაკაცი თავიდან მოეშორებინა.

ერთხელ კიდევ დააპირა, სახლში მივარდნოდა, ენა ამოეგლიჯა, მიეღობო ბებერ ძალღივით, მაგრამ ისევ გადაიფიქრა.

— ამ სიბერის დროს სულს ვეღარ დავიმძიმებ! ხელმეორედ ხელგებს სისხ-

ლით ვედარ შევისვრი! დაე, იყევოს მაგ სულკოროტამ! იყევოს, ქარავანი გა-
ივლის! ჩვენც მალე დავიწყებას მივცემით!

ასე მსჯელობდა ზურაბ თევაური, როცა ბრაზმოყვარულად და
თავის საქციელს უკვირდებოდა.



XI

ერთ საღამოს ზურაბთან თავი მოეყარათ სოფელში „აბუებულს“, ანუ
ათვალისწინებულს ხალხს.

პატივსაცემად ზურაბს მსუქანი ცხვარი მოართვეს და იმ ლეშს დასტრია-
ლებდნენ.

აქ იყო ალადი, რომელსაც ენა დაეტკბო და ზურაბს თავს უქონავდა:
გამჭრიახი კაცი ხარ! გასწი, გაგვიძეხ და ჩვენც შენთან ვიქნებითო.

ზურაბს ნაკლებად სჯეროდა ალადის თილისმები, მაგრამ მისგან ქება
მაინც ესიამოვნებოდა.

ბახუტოს ღვინო გადაეკრა, როგორც ულაცი ცხენი ხიზვინებდა და ისე
არ დასძრავდა ენას, რომ „ხლუპუჩა“ და სოფლის „ბიჭბუჭები“ არ შეეგინე-
ბინა.

ჩაფიქრებული ნარიდო ჩიბუხს ეწეოდა და, როგორც თავის სახლში ბუხ-
რის წინ გადაფურთხებას იყო დაჩვეული, ამ ჩვეულებას არც აქ იშლიდა.

აქვე სკამზე გართხმულიყო კონდარა მედუქნე და ბალდადით ოფლს
იწმენდდა.

ეს იყო სოფლის შტაბი.

რასაც წინასწარ მოილაპარაკებდნენ, მეორე დღეს თვითონაც ყვიროდნენ
და თავის კბილისას სხვასაც აყვირებდნენ.

ტიქუსუნემ მარნიდან დიდი ხელადით ღვინო ამოიტანა, მსახურმა ქალმა
—რომელზედაც ჭორად ამბობდნენ ზურაბის ხასა არისო,—სუფრა გაშალა. შე-
მოიტანა ორი დიდი ხონჩა ცხვრის ხაშლაძა, მოხარშული ინდაური, ხის ჯამით
დანაყილი ნიორი და ყველი.

— ღორის მწვადებიც ცეცხლზე იწვის! სთქვა ქალმა და გავიდა.

მსუნაგმა ალადიმ თვალი გააყოლა, უკვე ჩუმად გეგმას აწყობდა: ამ ქალს
სად დაუდარაჯოს, ისე რომ ზურაბმა ვერ გაიგოსო.

სუფრას შემოუსხდნენ. თამადათ მედუქნე დააყენეს, რადგან დღეს მზია-
რულ გუნებაზე იყო და ბევრს ოხუნჯობდა.

მედუქნემ ხელადა ასწია: „ღმერთს დიდება ჩვენ მშვიდობაო“, ხელადას
რუკრუკი დააწყებინა და შემდეგ ლობურად ჩამოაყოლა.

ნარიდოს ისე მოსწყურებოდა, რომ ორ ყლუპზე ხელადა ჩამოსცალა.

— ბეჭის გამოცნობა ვინ იცის?

— თუ კბილი მოარტყი, აღარაფერი გამოჩნდება.

— ჩემმა მზემ, ბეჭი არეულია! აირიოს ამის გამომცემლის ოჯახი! — სთქვა
მედუქნემ და ცხვრის გამოხრული ბეჭი ბუხარში შეაგდო.

მორჩილი მდივანი მარანში დარბოდა. ამოიღებდა ქვევრიდან ღვინოს, ჯერ თვითონ ისუნთქებდა და შემდეგ სტუმრებთან მიჰქონდა.

აკი ამიტომაც ყველაზე ადრე დაიწყო მატრაკვეცობა, მატრაკვეცობა და ლაპარაკს აღარ აცლიდა და სიმღერაც კი შემოსძახა.

ხან სადღევრძელოებში თამადას ასწრობდა, რის გამოც ერთხელ დააჯარიმეს.

— დავლევ, დავლევ! მოჰკლას ხარკი თივამა! მარანში რომ მიდიოდა, კიბეზე დაგორდა, ხელადა გაუტყდა. მსახურმა ქალმა სხვა ხელადა მოუტანა. ბევრი სწმინდა, მაგრამ მაინც ემჩნეოდა, რომ კიბის დაბლა ტალახში ეგორავნა.

ბატის ჭუკივით ამოზუნხლული და დამტვრეული მივიდა მაგიდასთან. ერთი სქელი პაპიროსი კიდევ გააკეთა და ნახევრამდის ვერც კი მოსწია, რომ ჩაეძინა.

ცეცხლმოკიდებულმა პაპიროსმა ჯერ თითები დასწვა. თვალები წამოაქციტა.

— ვინ მჩქმენტავს?

ზურაბის მსახური ქალი ეგონა. წაილულლულა: „გენაცვალე“ და ისევ ჩაჰკიდა თავი.

პაპიროსი გაუვარდა. როცა მისი ჩოხის კალთა აბოლდა, მაშინ-ღა მი-აქციეს ყურადღება.

ასწიეს და იქვე ტახტზე ტომარასავეით დააგდეს. ყბალია ხვრინაუდა. თამადას უშლიდა. მეღუქნემ ხან გადააგორა, ხან გადმოაგორა, მაგრამ ტიკსუსუნე თავისას არ იშლიდა.

იმ ვახშამზე სალაპარაკო საგანი მხოლოდ ამბოკარი იყო.

ზურაბს ამტყუნებდნენ: სისასტიკეს ვერ იჩენ დი აქამდე კისური ვერ მოუგრიხეო.

ზურაბი თავს მართლულობდა: მარტომ რა გავაწყო, თუ თქვენც მხარს არ დამიჭერთ? რომ შევიპყრო და მთავრობას გადაუგზავნო, ხვალ და ზეგ აქვე დაგვიკრავს თავს! მტერი მარტო მე გამოვალ. თავზე ხელაღებული ხალხია! ვინ იცის, რა არ ჩაიდინონ! გამბედაობა კი არ მაკლია, არც შიში ვიცი, მაგრამ მაინც... თქვენ განზე სდგებით! თითქოს მიწების ჩამორთმევა და ჩვენი გაბი-აბრუება თქვენ კი არ გეხებოდეთ!

ქონდარა პათოსით ლაპარაკობდა და მუშტებს კუმშავდა:

— ოჰ, ერთი გამიშვით, ამ პირჯვრის მადლმა, მაგ „სოციალებს“ კბი-ლებით დავგლეჯო.

ნამდვილად კი მასზე ფრთხალი იქ არვინ იყო. თავის ნათქვამ სიტყვისაც კი შეეშინდა, აქეთ-იქით მიიხედა: უცხო ყურს არ მიგდებდესო.

ალადიმ დრო იპოვნა და სადღაც გაიპარა. სამზარეულოში ამოეყო თავი.

— გოგო, მწვადები არ შეიწვა? მოიმიხეხა. განგებ ცხვირი დააცემინა და პატარა ლამფა ჩააქრო.

— კრინტი არ დასძრა, თორემ... მოხვია გოგოს სული.  ხორბლის ტომრები ეწყო. იქითკენ გაიტაცა და თავისი შეისრულა.

შეუწვავ მწვადს ხელი დაავლო და სუფრაზე ცარილნი პანსოწვიდა.

— იფ, იფ! რა გემრიელია, ზურაბს გემო ჰქონია! მწვადსე ამბობდა, თუ მსახურ გოგოზე, მთვრალეები ვერას მიმხვდარიყვნენ.

ბოლოს ვახშამი იმით დათავდა, რომ ერთმანეთს ხელახლად ძმობა შეჰფიცეს. დორდლიანი ტუჩები ერთმანეთს დიდხანს უკოცნეს, ზურაბი წაათამამეს:

— სადაც შენ, ჩვენც იქ თავებს დავიხოცავთო, და დაიშალნენ.

გარედ რომ გამოვიდნენ, უკვე მამლები ჰყოდნენ.

ალადიმ იფიქრა: ამათ რომ ავყვე, ჭირვეული ხალხია, კიდევ სადმე შეუხვევენო და — გაეპარათ. უკან ჩამორჩენილი მედუქნე ქშენით მიგორავდა. გზაში თანდათან ღვინო ეკიდებოდა.

— რა გრჯიდა, თამადათ რომ დკებოდი?, აღარ გინდა, ხვალ ადრე ასდგე და დუქანს მიხედო?

სახლამდის მიახწია და სწორედ თავის ეზოში პირსაქმება აუტყდა. მისმა ცოლმა გაიგო. მსახურს დაუძახა.

— ჩაგსქდეს მუცელი! ეგ საოხრო შენ ქვევით არ არის, შენ ზევით ხომ არა! რა ძალას ატან! ოჯახში აღარაფერი უნდა შემოიტანო?

— დამპატიეეს, დედაკაცო, დამპატიეეს! მე არაფერი დამიხარჯავს! პირი მოჰბანეს და სახლში შეიყვანეს.

ბახუტო და ნარიდო ხელიხელ გადაბმულები მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ. მათი სიმღერა მხოლოდ ძაღლებს აყეფებდა. ერთის კილო ალთას სცემდა, მეორის — ბალთას.

ორლობეში გუბე იდგა და რამდენსამე მანძილზე ისეთი აყალონარევი ტალახი იყო, რომ გავლა ურემსაც უჭირდებოდა. ასცდნენ ბილიკს. ბახუტოს ფეხი გაუსხლტა, წაიქცა. ნარიდოც თან გადაიყოლა. ერთი აყენებდა, მეორე ზედ ეცემოდა. ერთმანეთს ამხნევებდნენ: „რა დაგემართა, დადექ ფეხზეო!“ ჯავრი რომ ვერავიზე იყარეს, ამბოკარს ცოლი და დედა შეაგინეს. შემდეგ წამოდგნენ და შიგ შუა გუბეში გასტოპეს. ეხლა კი მარტო ბახუტო-ლა მღეროდა და რომელღაც ბრუციან აშულს ჰბაძავდა: „დასხდებიან ჩვენი მტრები, ჩვენს საქმესაც განაგებენო!“ „ამოლებულსა მახვილსა ისევ უკან ჩააგებენო!“ მაგრამ შეატყო რომ სიმღერა ჰანგში ვერ მოდიოდა, კილო შესცვალა და „ბალამ-ბალამ“ შემოსძახა.

XII

შემოდგომის მზიანი დღე იყო. სოფლის გადაღმა და გადმოღმა ღელეებში ხეხილის ფურცლები წითელ-ყვითლად აჭრელებულიყო. ზოგს ხეს ფოთოლი უკვე სციოდა.

აქა-იქ სახლებიდან გრძელი „სუფრული“ ისმოდა. ზოგვან ქორწილი იყო, ზოგვან ჩვეულებრივი სტუმარ-მასპინძლობა და წვეულება. ქვეერში ყველას მაქარი ეგულებოდა.

ამ დღეს, მოხუცი თუ ახალგაზრდა, სამხრობის შემდეგ სოფლის მოედანზე გამოშლილიყო. გვერდზე იყო სოფლის სასაფლაოც.

ხალხში ბევრი ერია მაჭრით შექეიფიანებული. უკრინუნუნი

ბახუტომ საიდანღაც ისეთმა მთვრალმა ამოიარა, რომ ტანსაცმელს ამოსვრილი სადღეობო ქულაჯა მხრებზე გადმობრუნებით წამოესხა.

თავზე სხვისი ქუდი ეხურა, ძველი „ნასალდათარის“ კარტუზი — ისიც მობრუნებით.

ახალგაზრდობამ სიცილი დააყარა.

— თქვენი ყველაყისამ, თუ გაიცინეთ, ხვალ ჩემს ვენახს, ან ჩემს ძროხას გადმოგილოცავენ; სისხლს დავეღრი, სისხლს...

იმ ჟამად არავინ ედავებოდა არც ვენახს და არც ძროხას, მაგრამ რაც სიფხიზლით ეფიქრა, გულის ბოლმას სიმთვრალეში იკლავდა. ეძებდა საბაბს რომ ვისმესთვის ჩხუბი აეტეხნა.

კიდევ ერთი-ორი შეიგინა, და რომ ყურადღება არავინ მიაქცია, იქვე ხის ძირას ქვაზე ჩამოჯდა. ქვა გადაუბრუნდა, თვითონაც გადაგორდა და ისე ესიამოვნა, რომ ადგომისთვის თავი აღარ შეუწუხებია.

ამ ადგილზე ახალგაზრდობას — სოფლის დასანიშნ ქალსა თუ ვაჟს დაირამუზიკაზე ცეკვა გაემართა და თამაშიც გაეჩალებინათ.

ჩოხიანი ვაჟი, ვერცხლის ქამარხანჯლიანი და ვერცხლისვე ძეწკვებ-მასრებიანი ნაწნავიან გოგოს ათამაშებდა. ტაშს უკრავდნენ.

პატარა გოგო-ბიჭები, ზოგი ფეხშიშველა, ზოგი თავშიშველა ჟივილხივით დარბოდნენ წრის გარშემო და მწყობრს ცეკვას ხელს უშლიდნენ, რის გამოც უფროსები სტუქსავდნენ.

მხოლოდ იქ კი, სადაც ბახუტოს ქვა გადაუგორდა, თავი მოეყარნა რამდენიმე გლეხს. ერთი ჩონგურს უკრავდა და ძველ შაირებს დამღეროდა.

— ზურაბის შაირი, ზურაბის! დაიძახა ერთმა. სხვებმაც მხარი დაუჭირეს. ბახუტომ ყურები აცქვიტა: როგორ თუ „ზურაბის შაირიო!“ მთვრალს ხანდახან ფხიზელ კაცზე მახვილი გონება აქვს.

— დახე ამ მამა... შაირიც გამოუთქვამთ? დედას გიტირებთ! და ყური დაუგდო.

ქიტესომ ჩონგური სხვა კილოზე ააწყო. ჩამოჰკრა თითები და დამღერა.

— ყური დამიგდეთ, ბიჭებო,

ლექსიც დამიმღერია;

თეგაური გადმომდგარა,

ღიპი გადმოხერია!

სახეს ისე ილამაზებს,

ვითომც უცოდველია.

ამბოკარი წინ შემოხვდა,

იცის რაც ოხერია!

სულ თავბედი აწყევლინა,

მიტომ დღესაც შტერია.



ღარღისაგან დაიჩუტა,
ფერი გადაელთა
ქვრივებს თავი დაანება
ხასა გაუჩენია;
მალე ხეზე დაჰკიდებენ,
მოკლე მისი დღენია;
თან დამქაშებს გავაყოლებთ,
ვინც კი ხალხის მტერია...

ბახუტომ აღარ დააძალა, მივარდა ქიტესოს, გამოჰგლიჯა ჩონგური და
ნამტვრევებად უქცია.

თან ყვიროდა: ვის [უბედავთ, ლაწირაკებო! წუნკალებო! სისხლს დავ-
ღვრი, სისხლს!

შეიქმნა დიდი აურხაური. შესწყდა ცეკვა და თამაში იწვედნენ ერთმა-
ნეთზე და იგინებოდნენ.

ამ ხმაურობაზე ქონდარა გაჩნდა. ხალხს ამშვიდებდა, მოვარდა ალადიც-
ჰხედავენ: ბახუტოს ხანჯალი ამოუღია, ორნი აჩერებენ, მაგრამ ბახუტო
მაინც კირვეულობს.

ერთმა მოხერხებულმა ხელი გადაუგრიხა, ხანჯალი წაართო და ჩირგვებში
ისე შორს გადაისროლა, რომ იმ დღეს ვერც კი იპოვნეს.

კაცი აფრინეს ზურაბ თეგაურთან. სანამ ზურაბი მოვიდოდა, გზირმა ხალ-
ხი დააშველა.

ალადიმ ბახუტო წაიყვანა. შორიდან კიდევ ისმოდა მისი გინება.

გზად ზურაბი შეხვდათ და ამბავი გამოჰკითხა.

— შენ გამო მომივიდა ჩხუბი! ის „რძე ნაწყენი“, „უდღეო ნაშობი“, — ქი-
ტესოს გამოცვლით ეძახდნენ, რადგან გამხდარი და ფერმკრთალი ყმაწვილი
იყო, — თავს გქრიდა! შაირი გამოუთქვამს იმ მამა... თავს წამოგვასხდნენ...
აღარაფრად გვაგდებენ... გამიშვი...

ეცადა. მაგრამ ალადიმ აღარ გამოუშვა.

ზურაბს უკვე გაგონილი ჰქონდა ამ შაირის ამბავი. გულში ესიამოვნა,
რომ ბახუტომ თავი გამოიღო.

მოვიდა ზურაბი გაბრაზებული. პირდაპირ სამმართველოში შევიდა. თავი-
სი მდივანი იქ არ დახვდა, ეძებეს და საიდანღაც მთვრალი მოიყვანეს.

დაიბარეს ქიტესო. ზურაბმა გულზე ძეწკვი დაიკიდა.

— აბა, შენ რა შაირს ამბობდი?

გარედ ხმაურობდნენ. ერთმანეთს არ აცლიდნენ.

ზურაბმა ბრძანება გამოსცა, ხალხი დაშლილიყო, მაგრამ უფრო ემა-
ტებოდა.

— შენ აბიაბრუებ ჩემს სახელს შე არამზადავ? გიჩვენებ რის ღირსიც ხარ.
მდივანო შეადგინე ოქმი, რომ მთავრობას და მის მოხელეს ხალხში სახელს
უტეხდა. ხელისუფლებას უტიფრად იხსენიებდა. წესიერებას არღვევდა და ხელი-

თაც შეეხო მშვიდ მცხოვრებს. ოქმთან ერთად მაზრაში ^{ვადავაჟენო} მანამდე
კი ჩააგდეთ გომში!

ქიტესოს სიტყვაც არ ათქმევინეს, ზურაბის ხელქვეითებმა ^{ქიტესოს} ზურის მე-
თაურობით ხელი სტაცეს და დაბლა სართულის ბნელს ოთახში ჩააგდეს, კარი
ჩაუკეტეს.

ხალხი ჯერ გონს ვერ მოვიდა. შემდეგ აქეთ იქიდან უცბად ალაპარაკ-
დნენ, „რა ბრალშია, რა ბრალშია! დავიხსნათ, ხალხო!“ ისმოდა მოწოდება.

ზოგმა კეტი მოიმარჯვა, ზოგმა ლობეს მარგილი ამოაძრო, ზოგმა ქვას და-
ლოდს წამოაგლო ხელი.

მისცვივდნენ სარდაფს, კარები გამომტვრიეს და ქიტესო გაანთავი-
სუფლეს.

რამდენიმე ქვა სამმართველოს ფანჯრებს მოხვდა და შუშები ჩაულეწა.

ზურაბი დაიბნა ასეთ წინააღმდეგობით. შემდეგ გული მოიმაგრა და და-
რაჯებს შეუყვია:

— რისთვის გიკირავთ იარალი?

ხალხმა რაკი ქიტესო გაანთავისუფლა, არხეინად და სიცილ-ხარხარით დაი-
შალა. დარაჯების თავგამოდება გვიანლა იყო. როდესაც კიბიდან დაბლა ჩამო-
ვიდნენ, მხოლოდ ქონდარა ნახეს კიბის ქვეშ მობლუნძული და ენა ჩავარ-
დნილი.

XIII

ზურაბ თეგაურს გარედ ალარ გამოესვლებოდა. ცალკე ის სირცხვილი,
რომ ასეთი დავიდარაბა მასზე გამოთქმულ შაირის გამო ასტყდა და, ცალკე
კიდევ ის, რომ დაპატიმრებული ხალხმა გაანთავისუფლა—ძალა იხმარა!

მას, როგორც მთაურობის მოხელეს, ალარ ეპუებიან. ალარ აქვთ პატი-
ვისცემა და შიში.

იმ ღამეს ალარ სძინებია და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა საშუალები-
სათვის მიემართა, რომ აღვირახსნილ ხალხისთვის პირში ლაგამი ამოედო და
თავისი მორჩილი გაეხადა.

ძალით კარის გამომტვრევა, ტუსალის განთავისუფლება,—რომ გაიგოს
მალაღმა მთაურობამ, რას იტყვიან? სოფელში ასეთი უწესოება ხდებოდეს,
ყელზე მამასახლისის ჯაჭვი ეკიდოს და პასუხის გებაში ვერავინ მისცეს?—ამას
ხომ მის სისუსტეს მიაწერენ და თვითონვე მისცემენ პასუხისგებაში?

მთაურობა კი მას სრულ ნდობას უცხადებდა და საიდუმლო დებეშაც-კი
გამოუგზავნა.

ატყობინებდნენ: წესიერების და მცხოვრებთა მყუდროების დასაცავად...

მერე სად არის წესიერება? სად არის მყუდროება? მე თვითონ შეურაც-
ყოფას მაყენებენ... ტუსალს ანთავისუფლებენ... ფანჯრებს ამტვრევენ... კარებს
ჭგლეჯენ... კეტი და მარგილი მოუმარჯვნიათ... აბუჩად იგდებენ კანონს და
განკარგულებას...

ზურაბ თეგაურმა მოსძებნა ძველი დებეშა და ერთხელ კიდევ გადაიკითხა:

— აი, ნება გეძლევათ... ყოველ გვარ ღონისძიებას მიჰმართეთ... მთაურო-

ბა ნებას მაძლევს ბოლო მოუღო და მე კი ვყოყმანობ? რათა? რისთვის? იქნებ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ მომაყენოს საჯაროდ შეურაცყოფა?

კიდევ ჩავვარდე სარცხვილში, სილა განარტყას ვილაც უფროსი მოთრეულმა!

კბილები გააკრაქუნა—გაიარ-გამოიარა. ბუხართან წინგარდასსუტიქრობდა:

— ეს ხომ სულ ამბოჯარის საქმეა. არა თუ ჩემდამი რწმუნებულს სოფელში, მთელს თემში ხალხი არია. ის ებრძვის როგორც უმაღლეს მთავრობას, ისე ადგილობრივ მოხელეებს. ეს კიდევ არაფერი! ლარიბი მდიდარს მიუსია, ხალხი გაამხეცა. მისი წაქეზებით გვემუქრებიან მიწისპირიდან ალგვას. მე რას ვაკეთებ, როცა ძალა ჩემს ხელშია და ამდენი მხარის დამჭერნი მყვანან?

და ზურაბმა მტკიცედ გადასწყვიტა შეიპყროს ამბოჯარი! და... თუ გადალიანდა .. თუ გადალიანდა—მოჰკლან ადგილობრივ!

ზურაბმა რამდენჯერმე კიდევ გაიარ გამაიარა. შემდეგ გარედ გამოვიდა თამბაქოს არ ეწეოდა, მაგრამ ამ ჟამად ორჯელ ზედიზედ მოსწია. შემდეგ მარანში შევიდა. იქ ამოღებული ღვინო ეგულებოდა. ასწია ხელადა და თითქმის ჩამოსცალა. ეხოში გამოვიდა. თონესთან ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა.

ჯობზე დაყრდნობილი ღიათვალეებით ერთს წერტილს მიაჩერდა. იქ ორი ჭიანჭველა ერთმანეთს ებრძოდა. ერთს კისერში ჩაეგლო და ზურგზე მოქცეოდა. წინ გადაუხრებოდა. გასაქანს არ აძლევდა.

— ამათ რაღა აჩხუბებთ? ვინ არის მათში მტყუანი, ან მართალი? ნუ თუ ამ პატარა მწერების ცხოვრებაც ჩხუბი და ერთმანეთის თაეპირის მტვრევია? დაადგა ფეხი და ორივე გასრისა. წარმოუდგა, რომ ზურაბ თეგაურსაც ვილაც ძლიერი თაეზე დასცქერის. უთმენს, უთმენს და მოთმინებიდან გამოსული, ისიც ასე ჭიანჭველასავით გასრესავს.

შეაკანკალა. გული მოეღრუბლა. მძიმე, გამოურკვეველი სევდა შემოაწვა.

— რად ვიკისრე მოხელეობა? რომელი ჭკუათა მყოფელი დათანხმდებოდა ამ აშლილ და არეულ დროში? მე უნდა ვგლიჯო ნარი, რომ სხვამ გაწმენდილს გზაზე გაიაროს? ვინ იტყვის მადლობას? ან და ის გზა, რომელზედაც მიედივარ და სხვაც მიმყავს, სინართლის გზაა?

დრონი ჩეთობენ—არა მეფენი!.. მაშ რაზედ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს? იქნებ დადგა ჟამი მათის მეფობის!? მე თუ ვერ ვგრძნობ ამ დროების გარდამავლობას, მე, ერთი ველური მინდვრის მცენარე, სათავეში ხომ განათლებული ხალხია? მაშ რატომ უსისხლოდ იარაღს არ დაჰყრიან? რაებს ვროშავ?.. ვინ უნდა დაჰყაროს იარაღი? ვინ უნდა ავიდეს სახრჩობელაზე? ვინ უნდა მიუშვიროს გულმკერდი ამოღებულ მახვილს!? ყველას სიცოცხლე სწყუროიან, ყველას არსებობა უნდა!... მაშ ეს ჭიანჭველები რაზედ იბრძოდნენ, რა იციან მაგათ მტრობის, ან სიძულვილის?.. მაგათ კუჭი აქვთ... შიმშილი იციან... ლუკმას ხელიდან ვინ გაუშვებს? ვის უნდა გარდაეცვს ხელისუფლება? ვის? ვილაც მაწანწალებს, რომლებსაც არც სახლი გააჩნიათ, არც კარი! თვითონ არაფერი აბადიათ, სხვას რა უნდა შესძინონ? არ შეიძლება მდინარეს კალაპოტი აუნგრიონ! არ შეიძლება ხალხმა ალფირი აიხსნას... დასჭამენ ერთმანეთს. მან ხალხი გააბრიყვა. მშვიდ ხალხს ცოფი აქამა.

აღარც პატივი, აღარც ღირსება, აღარც კალარა.... როგორ და ეკლესია...
 კარგი ვქენ, რომ მთავრობას ვაცნობე! ხვალვე შევიბყრობ... ღვე, ზეზე ჩამოვ-
 კიდებ! შე თვითონ მოვუღებ ბოლოს! გავსრესავ, როგორც გავსრესე ეს ქიან-
 ჭველა!"

ზურაბი თავისმა ფიქრმა შეაქროთ. აიხედა და დაინახა: რინემ ეზოში
 გაიარა და თავის ბიძას მწყრალად შეჰხედა.

ფეფელო ლობეს იქით რაღაცას იწყევლებოდა: „ამოჭამა ქვეყანა, მაგ
 სახლკარ დაესილმა. აგრემც შავს მიწას ამოუჭამია!“

ზურაბს თითქოს ყორანი დასჩხაოდა, ისე შემოესმა ფეფელოს სიტ-
 ყვები.

— დალახვროს გამჩენმა! ეგ კუდიანი ჩემს აზრს ხომ არ მიმხვდარა? მაგ
 სულძაღლმა სიცოცხლე გამიმწარა. დღეს თითქოს ყველანი ჩემს წინააღმდეგ
 შეთქმულან!

წარმოუდგა ზურაბს თავისი წარსული. ოცი წლის წინად... ძმასთან რომ
 მუდამ შეფოთი ჰქონდა... და მერე რაზე? მეტი რომ შეიძინა? ვენახი გააშენა?
 ორსართულიანი სახლი წამოდგა? ცხვარი და ძროხა მოიმრავლა? შურდა მისი
 კეთილი ცხოვრება?...

ის მოჰკლეს!

ზურაბმა თავი ჩაღუნა. დიდხანს იყო ასე გარინდებულნი და კიდევ დიდ-
 ხანს იქნებოდა, რომ მედუქნის მსახურს არ შემოეძახნა:

— ხაზენი გეძახის: ერთს წუთას ჩამობრძანდი, ძალიან საჭიროო საქ-
 მეაო!

ზურაბი უსიტყვოდ წამოდგა და ქონდარას დუქნისკენ გასწია.

XIV

დუქნის უკან, პატარა ოთახში, რომლის კედელზედაც ქონდარას გაშეშე-
 ბული, უფრო გაფშეკილი, კისერ აწეული და თითებ დაჭიმული სურათი ეკი-
 და, ხოლო მოშორებით მოკიდავე ქიზიყელ „კამეჩოსი“ კიდევ ეკიდა რამდენიმე
 შიშველ გოგოს სურათი, ბუზებისგან დაწინწკლული, მაგიდას შემოსხდომოდ-
 ნენ ალადი, ბახუტო და ნარიდო. წითელ ღვინოს შეექცეოდნენ.

ქონდარა მწვადებს ამზადებდა. ხანდახან ღვინოსაც გადაჰკრავდა.

ალადი მზიარულ გუნებაზე იყო. თათრულ ბაიათს ამბობდა:

„როცა ჯიბეში ფული ჩხრიალეებს“,

მაშინ გადაეკრავთ სავსე ფიალებს!

ეს ხალხი ამის დაპატიყებული იყო. რაღაც ეშმაკად წამოსცდა: ერთს
 ხელადას ჩამოვასხამო. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და აღარ ათავებდ-
 ნენ. დღეის შენდეგ დავალებული ჰყავს ნარიდოც და ბახუტოც.

სულ ხომ სხვის ქელებში არ ივლიან, ან მუქთა კუბოში არ ჩაწვებიან?
 ერთხელაც არის: ან სახლში, ან დუქანში იმათაც უნდა თავი მოიქეკონ და
 სადილი გამართონ, თორემ ალადი საყვედურს არ დაუღევს!

ფრთხილობდა ნედუქნეს ზედმეტი არ ეანგარიშნა, რომელიც ილაღი ბახუტოს აფრთხილებდა:

— შენ დაიბსომე რამდენი ხელადაც მოვატანიე, კონდარა ზედმეტს აჰკრავს.

— ვერაფერს გახდება! რამდენი ხელადაც მოდის, იმდენს ამ ჩემს ყავარჯენზე დანით ჭდეს ვაკეთებ!

ვიდრე ზურაბი ამ კამპანიას შეუერთდებოდა, მასზე ჭორაობდნენ. განსაკუთრებით ალაღი, რომელიც მოხელეობაში ეცილებოდა.

— მაშ რა ეგონა? განა ასე ადვილია ხალხის მართვა-გამგეობა? ისიც ამ დროში, როცა ხალხსაც უნდა ასიამოვნო და მთავრობასაც! ეგ პირდაპირ კამეჩივით მიამტვრევს და უეჭველად სადმე გადაიჩეხება კიდევ! აი, ჯერ ერთი, დღეს ჭამა სირცხვილი! მე რომ ვყოფილიყავ, იმ წუთია ჭიტესოს სასოფლოზე არ დავიჭერდი; ჩუმაღ დავიბარებდი, ჯერ სახარჯოს მოვატანიებდი და შემდეგ მათრახით ზურგს ავუღლილავებდი, რომ მეორედ აღარ გაეხედნა.

— ბრავო, ბრავო! აგრე უნდა მოქცეულიყო! კონდარას თავი გამოეყო და დარაბებს უკანიდან იძახოდა.

ნარიღო და ბახუტო შენითხითებდნენ, თუმცა გულში არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ ყველაფერზე კვერს უკრავდნენ, რადგან მისი დაპატივებული სტუმრები იყვნენ.

ყველაზე ძალიან კონდარას მოეღბინა. ერთი ისეთი ფართი-ფურთოხობდა, გეგონებოდა ორას კაცის სუფრას დასტრიალებსო.

უმიზეზოდ მოჯამაგირეს სტუქსავდა და მუშტარს ასმენდა:

— მწვადი არ დასწვა, შამფური ატრიალე! მიართვი! მოართვი! კონდარამ რამდენიმე ნაჭერი ყველი ფოთოლზე თხლად მოთალა და სუფრას მიართვა..

— ლაზათია, ესეც უნდა იყოს. მტერს დარჩით ხელცარიელი: ღვინო შესთავაზეს. ჩამოართვა:

— რაც თქვენს გულს უნდოდეს, ის აგისრულოთ! გადაჰკრა.

შემდეგ დაიწყეს ერთმანეთის გულის მოსაგებად ტყუილი, მართალი, ჭორი თუ ყურმოკრული ამბავი. არავინ ეძიებდა სინამდვილეს, ოღონდ კი „ცოციალები“ მოეთხარნათ. უფრო კი ნიშანში ამოღებული ამბოჯარი ჰყავდათ.

— ახალი ამბავი არ იცით?—განაგრძო კონდარამ.—ზურაბმა გუშინ მაზრიდან საიდუმლოდ ხალხი დაიბარა. შემუღდი მინდოდა... წერილი მე წავიღე.

გულმა არ გამიძლო —ჩვენში კი დარჩეს—წერილი გავხსენ. პერე ისევე ფურთხით დავაკარ.

— შიგ რა ეწერა?

— ჩვენში დარჩეს! სწერდა: ვიხსნი პასუხისმგებლობას, თუ იმ კაცს—ხომ

იციო ვის?—თუ იმ კაცს არ მომაშორებთო! წელან ორნი მოვიდნენ. ზურაბი იკითხეს. ჩვენში კი დარჩეს და...

არ დაათავა და ალაღის ყურში ჩასჩურჩულა, მაგრამ მასე—^{მეტი} ხმით, რომ ნარიდოს და ბახუტოს საიდუმლო არ გამოეპარათ.

— ნახე, ჩვენ კი როგორ გვიძალავს, დაიხვიხვინა ბახუტომ.

— რა საჭიროა, ყველაფერი ვიცოდეთ? ზურაბი არც ისე გამოუცდელია, რომ მაგ საქმეს ყველას დასანახად და გასაგონად აკეთებდეს. თითონაც ფრთხილობს... ვაი თუ სადმე ფონი ახრჩობდეს...

შეექმნათ ჩურჩული:

— გარწმუნებთ ამბოკარს არ აცოცხლებენ! ან დაიჭერენ, ან ციმბირი აქეთ დარჩება!

— ადრე და მალე უნდა ჩაეძაღლებინათ რომ ჩვენში წყალი არ აემღვრია. სხვაგან თავში ქვაც იკრას!

— რას ამბობ, კაცო, სხვაგან თუ მოხდა, შენ გადარჩები?

ამ დროს მოვიდა ზურაბიც. ღვინით შუბლ-შეხურებულები აღტაცებით მიეგებნენ. ქონდარამ სუფრას ცხელ-ცხელი მცვრიანი სუკი მოართვა.

— სიდედრს ჰყვარებიხარ!—გული მოუგო ქონდარამ, თითქოს არ იცოდა, რომ ზურაბი აქ უნდა მოსულიყო.

ქონდარა ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თავი მეტს ხალხს მოეყარნა, რომ დახლში მოგება დარჩენოდა. ქონდარა გუნებაში იძახოდა:

— ალაღი მარცხენა ფეხზე ძლივს ამდგარა, დუქახში ფულს ჰხარჯავს და იაფად გადავარჩენო?

გამულელ-გამომვლელსაც ჯიბრზე, რომ ბევრი ღვინო დაილიოსო, თითო მოზრდილ ქიქას მიაწვდიდა: ჩვენზე კარგის გულით იყვნენო!

თავი შემოჰყო სოფლის მდივანმაც. ვითომაც მოიბოდიშა, მაგრამ ზურაბის გვერდით სუფრის თავს კი წამოჯდა.

ხელები უკანკალებდა, ღვინო სწყუროდა.

— ბატკანი ვინ არის?—ვითომც გაიხუმრა.

— ალაღის მოურთმევეია!

თეფშით სამი ქიქა მდივანს მიაწოდეს:

— ეს აქ მოსულის და ჩვენი აქ დახვედრის! ეს ჩვენი უფროსის! ეს კიდევ რაც სადღეგრძელოები დაილია, აზამბარში გამოხვალ!

მდივანმა სამივე უსუნთქებლივ გადახუბა. შოთი გადასტეხა და მწვადით საესე ჯამფილი ჩაანახევრა,

ამ დროს მსახურმა ქონდარა გამოიხმო, იქ დახვდა ახალგაზრდა გლეხი ამავე სოფლის.

— გურგენ! კომიტეტმა რომ იარაღი მოგაბარა, უნდა გადმომცე და ყურში ნიშანი უთხრა.

— რას ამბობ, კაცო! ყველანი აქ არიან! თუ ძმა ხარ, ყელს ნუ გამომიჭ-

რი! ან ამაღამ მოდი, ან ხვალ ადრე! ის იარაღი სარდალშია და ხწორედ იქ ჩასასვლელ კიბესთან სხედან! ეხლა მობრძანდი, ღვინო მიირთვი!

ყურში ჩასჩურჩულა.

— ჰა, რამეს ხომ არ აპირებთ?

გლებმა ხმა არც კი გასცა, უკან გაბრუნდა!

— მოიცა, კაცო! რაზედ მიწყრები? ხულიგანობას ვერ იტყვი ჩემზე! ხომ იცი. თქვენ გემზრობით! ჩაწერილიც ვარ!

— შენ რა გატოკებს?

— როგორ თუ რა მატოკებს? გამოვა ვინმე ერთი აკარაკი, ქვეყანას შემიყრის: ეგ ბურჯუა, სპეკულიანტიაო და მერე ნახე, თუ მალლა დამკიდეს და ქვეშ ცეცხლი შემიკეთეს. დახლთან მოდი, თითო ჭაშნიკი ვნახოთ, ახლა ეგრეც ნუ იბერები....

— არა, ხვალ მოვალ!

ქონდარა ჩაფიქრებული გამობრუნდა.

— აღარ ხუმრობენ? ალბად რაღაც ამბავი გაუგიათ, თორემ ასე თამამად? სადღაც გავარდება. კაცმა რომ იცოდეს ბოლო რომელს დარჩება, მაშინ კიდევ ჯანდაბას... ეხლა კი: აქეთაც ვაი, იქითაც ვაი! ჩორტიოზნაიტ!

ღუქანში შევიდა და მსახურს დაუძახა:

— ბიჭო! ჭამე! სვი! არა სთქვა ხაზეინი სტროგი მყავდა! ღვინო დალიე, არკი დაითვრა და შინ წადი!

ქონდარას ის აწუხებდა, რომ მსახურისთვის ერთი წლის ჯამაგირი არ მიეცა და რაც ერგებოდა, ბიძის ვალში დახუთა. და, ვაი, თუ საქმე გადაბრუნებულიყო? ეს მოჯამაგირე ხომ პასუხს მოსთხოვდა?

ცეცხლზე უკანასკნელი შამფური იდო. წამოავლო ხელი და კამპანიას მიართვა. თან დააყოლა:

— თამადას ვახლავარო!

უკვე ღვინისაგან მალლა სართულში ასულიყვნენ; ზოგი სხვებზედაც გადასულიყო, ზოგიც სახურავზე კრამიტს ასწორებდა. არგულად ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ: ქალაქში რაღაც ქოთქოთიაო, მაგრამ არავის სჯეროდა, ცხრაას ხუთი წლის ამბავი კიდევ განმეორებულიყო. ამ ლაპარაკში კარგად გამოითვრნენ. ხარჯის გასწორებაზე რომ მიდგა: დავთარში ჩასწერეო. ქონდარამაც ერთი-ორად მეტი დანახარჯი ჩასწერა. ნაღდათ რომ მიეცათ, მაშინ მარტო „აინჰოინს“-ღა მივიდოდა, მაგრამ ნაღდს არავინ აძლევდა, — ფულს კი სარგებელი უნდოდა.

XV

რინე მოუთმენლად ეზოს გარედ ამბოკარს ელოდებოდა. მზე გომბორის მთებს ეფარებოდა. ღრუბლები ალისფრად შეეღებნა—ცას ცეცხლი მოჰკიდებოდა, მისი ალი მაღლიდან დედამიწისკენ დაშვებულიყო, პირდაპირ კავკასიონის მთებზე წითელი გველი გაწოლილიყო, ხოლო ზოგიერთ ალაგას შადრევანი სხივები ალაზნის ველს მრავალრიცხოვან ისრებად დასობოდა.

ამისთანა წითელი საღამო ფეფელოს არ მოსწონდა, „სისხლის ღვრა მოხ-
დებოა“, იტყოდა ხოლმე და თან გუნებაში შელოცვის გაუგებარ სიტყვებს
წაიბუტბუტებდა.

რინე კიშკართან მივიდა. ბაღჩის ბოლოში გავიდნენ და აქვე აღმოჩნდა
ხეს დაეყრდნო. შორს გზას დაუწყო ცქერა.

მაგრამ ამბოკარი არსად სჩანდა. ეს რამდენიმე დღეა, თითქოს ამბოკარი
სოფელში აღარ ტრიალებდა და სხვაგან იყო წასული. მან კი რინეს დაავალა
რამენაირად მოეხერხებინა და ეშოვნა ბეჭედ დასმული პირადობის
მოწმობა.

რინემ თხოვნა შეუსრულა და იშოვნა კიდევ. ამის გამო ტიქსუსუნე
ვანოს გაეარწიყა. მაგრამ ამბოკარი რატომ არსად სჩანს? ნუ თუ წავიდა სხვა-
გან—ქალაქში? მერე, ისე წავიდა, რომ არც კი გამოეთხოვა? და თუ აქვეა,
სად იმყოფება? რინეს დიდად საჭირო საქმე ჰქონდა—უნდა ეთქვა! უნდა
გაეფრთხილებინა.

რინე ჰაერის სიმძიმეს გრძნობდა. გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი უნდა
მომხდარიყო, რადგან მისი ბიძა შუბლშეკრული დადიოდა. რინემ შეამჩნია,
ამასწინად მაზრიდან საექვო პირები მოვიდნენ. დიდხანს ელაპარაკნენ—სწორედ
მას შემდეგ ზურაბ თეგაური აღარ არის თავის დონეზე, ეტყობა გარეგნული
ცვლილება და მუდამ გაბოროტება.

ასეთ მდგომარეობაში სხვა ღროსაც ყოფილა, და შექველად საზარელი
ავკაცობა მოუხდენია.

აღლოთი გრძნობდა, ის უცნობი კაცები ამბოკარის გამო იყვნენ. დღისით
არ ჩნდებოდნენ. შებინდებისას, ან უფრო ღამე, როცა ყველას ეძინა, ზურაბის
ეზოში, როგორც აჩრდილები, გაივლიდნენ და მალე მოჰფარდებოდნენ.

ვინ იცის, რა მახეს უგებს ამბოკარს საზიზღარი ბიძა?

და რატომ არ უნდა გააფრთხილოს? რატომ არ უნდა გაუმფლავნოს თავის
ნაგრძნობი შიში? თუ მართლა ზურაბს გულში ბოროტი განზრახვა აქვს, გადა-
არჩენს საყვარელ ადამიანს.

გადაარჩენს დიად მიზნით გატაცებულს, მდაბიო გლეხებისთვის თავგან-
წირულს, რომელმაც თვით რინეს გულიც გარდაქმნა, მისცა გონებას საზრდო
და გრძნობას მისწრაფება!

რინეც თეგაურების მოდგმისაა. მის ხასიათშიც სიმტკიცეა—ქალური
კდემოსილება ხანდახან ვეფხვის სიფიცხეს აღწევს—გადაარჩენს!

მასთან ერთად დასტოვებს სოფლის ჭაობიანს ცხოვრებას და წავა შორს,
უცხო იდგილს, სადაც ველარც ბიძის ხმა მისწვდება და ველარც სხვა
ნათესავის.

დეიდა ხელს შეუწყობს! ამისთვის საკმარისი ფული აქვს. დეიდა მისთვის
არაფერს დაიშურებს. მან თუნდაც არსად იმსახუროს, იოლად წავლენ, ტკბი-
ლად იცხოვრებენ! თუნდ ფულიც შემოაკლდეთ, რინემ იცის ხელსაქმე, კრა-
კერვა, ხალიჩის ქსოვა. და თუ გაჭირდა,—მოსამსახურედ, მოახლედ წავა,
სარეცხს დარეცხავს, ყოველ-გვარ გაჭირვებას აიტანს,—ოღონდ ამბოკართან

ერთად წავიდეს სადმე შორს... ქალაქში... ქალაქს იქით — სხვა ქვეყანაში, დასტოვოს კი ბიძისაგან მოშხამული, შავი მოგონების აღმძვრელი ზინა!

რინე ამ ფიქრებში იყო გართული, რომ ვილაცის ხელებზე იგრძნობდა. გვერდით ამბოკარი იდგა, უღიმოდა.

— რამ ჩაგაფიქრა? ჩემი მოსვლაც კი ვერ გაიგე!

— ვფიქრობდი! გელოდებოდი.

— მელოდებოდი?

რინე დაიბნა. გული ატკანკალდა. პირი მოარიდა და ერთხანად ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ აღარც ფიქრი შეეძლო და აღარც ლაპარაკი.

რა დაემართა? მოულოდნელი რა მოხდა? თითქოს რინეს ხასიათი მტკიცე იყო! მახეში გაბმულ მტრედით გული უფუთხრიალებდა. რას ამბობდა, სიტყვების აზრი თვითონაც არ ესმოდა.

ისევ ვაჟმა გამოიყვანა უხერხულ მდგომარეობიდან.

— რინე, თითქოს პირველად მხედავდე. ჩვენ ხომ დიდხანს ნაცნობები ვართ!

რინემ შეხედა ჭანდაკის სახეს ცეცხლის თვალებიანს, სიცოცხლით სავსეს, შეურყეველს. თითქოს ამ ჟამად იგი ანათებდა და სხივებით აგზნებდა რინეს აგზნებულს გულს.

რინე მაინც სდუმდა. თავის ნაწნავს ჰკიდებდა ხელს. მას ხომ აუარებელი სათქმელი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი დააევიწყდა. პირველი სიტყვა ვერ გამოეწინა.

ბოლოს რალაცის თქმა მოახერხა და, ვგონებ, ის უნდა ყოფილიყო, რომ რინემ პირადობის მოწმობა იშოვნა, ბეჭედ დასმული.

ამბოკარს გაეცინა.

რად გაეცინა? რა სთქვა ისეთი? უხერხული რამ ხომ არ წამოსცდა? ან რა უნდა წამოსცდენოდა? იწნებ სხვას ფიქრობდა, ხოლო ენით კი სხვას ამბობდა? ხომ არ გამოუტყდა სიყვარულში?

— ეგ მოწმობა აღარ მჭირდება! — უთხრა ამბოკარმა.

— აღარ? მაშ აღარ წახვალ? აქ დარჩები? თუ წახვალ...

— გინდა წავიდე?

რინემ ვერაფერი უპასუხა. თავის თავზე ბრაზი მოსდიოდა — ენა რად დაება? მას ხომ გადაწყვეტილი ჰქონდა, თუნდაც ვაჟს უარ-ეყო, გამოსტეხოდა? უკეთეს მეგობარს სხვას ვის ნახავდა? აი, შემთხვევაც მიეცა გამოსტეხოდა, მაგრამ... განა შესაძლებელია ქალი პირველად გამოუტყდეს? ვაჟმა რომ ასეთი სითამამე სხვანაირად ახსნას? ამბოკარი განა ცუდს რამეს წარმოიდგენს?

არ შეიძლება! ამბოკარი ყოველ ადამიანს იცნობს! ვინ რას ფიქრობს, ისიც კი იცის! მაინც სდუმდა.

ზურაბი რომ მახეს უგებს, ის მაინც გააგებინოს. მოერიდოს. წავიდეს. განა თუ მარტო? არა! რინესთან ერთად! ან რინე მასთან!

ვაჟმა შეატყო: რინე ღელავდა, პირს არიდებდა, თავს დაბლა ჰხრიდა.

— კიდევ დიდხანს დავრჩები, რინე! და თუ წავეღ...

— მინდოდა მეტყვა... ორი საეჭვო კაცი მოვიდა... ბიძაჩემთან... უცხონი იყვნენ! როგორც ლანდები, ისე დადიან...

— თუნდაც ლეგიონი მოვიდეს, ჩემო რინე, ეხლა ^{გვეცხმან ნაზარს!}

— შენი აღფრთოვანება არ მესმის!

— ჩვენთან იქნები—გაიგებ!

ეს სიტყვები რინეს სხვანაირად შემოესმა. თითქოს აღერსით იყო ნათქვამი! თითქოს ვაჟი აგრძნობინებდა რაღაც საიდუმლოს. რინემ შეხედა და უთხრა: ვიქნები!

პირდაპირ თვალებში უმზერდა. ეხლა კი თავს თამამად გრძნობდა. გადაიარა ღელვის ქარიშხალმა.

— გამოგიტყდები... არ ვიცი როგორ ჩამომართმევ... ჩემს ბიძასთან აღარ მეცხოვრება. აღარ შემიძლიან მისი დანახვა. წინადაც ვითხარ, ზურაბმა აუარებელი ფული დახარჯა, რომ კვალი მიეგნო თავის პირველის—დღეს დაკარგულის ცოლისთვის, რომელთანაც ჰყავს ვაჟიშვილი. მან დღეს კვალს მიაგნო. თბილისიდან დაბრუნდა ძველი ნაცნობი. ამბავი მოუტანა: შვილი ცოცხალია, მხოლოდ არ იციან სად იმყოფება. დედა აღარ ჰყოლია, მხოლოდ ვაჟის მოხუცი ბებია ეხვეწება ზურაბს: ნურაფერს დაზოგავ, იპოვნე შენი შვილიო! ჯერ ისედაც რა დღეს მაყრიდა, შვილს რომ იპოვის, რაღა იქნება!

რინემ რაღაც უხერხულობა იგრძნო, რადგან ამბოქარს რომ შეხედა ჩაფიქრებული იდგა. იფიქრა, იქნებ ამ ამბის თხრობა არ ესია მოგონებო.

ბიძაჩემი გდევნის. არც დაგინდობს! აი, დეპეშაც ვნახე... ალბად ბევრს ფიქრობდა, რომ მაგიდაზე დავიწყებოდა.

ხმა აუკანკალდა. თვალები აუჭრელდა, მაინც წარმოსთქვა:

— თუ მართალია ის, რასაც ვგრძნობ, და შენთვის ეს უცხო არ იქნება, წავიდეთ, განვშორდეთ! წავიდეთ ერთად! სადაც კი მეტყვი, ყველგან მზად ვარ! წავიდეთ, სადაც შენიანები ცხოვრობენ...

ორნივე სდუმდნენ. რინემ განაგრძო:

— ფული მაქვს!

ამბოქარს არ ეუცხოვა. იცოდა, რინეს უყვარდა, ვაჟმა ღიმილით უთხრა:

— ჩემიანები? რინე, მე ჩემიანები არავინა მყავს! დედა მომიკვდა, მამა-კი? მამა არც მყოლია არაოდეს.

— როგორ?

— მეყოლებოდა, მაგრამ არ ვიცი სად ბინადრობს! დედის ამბავი ცოტაოდენი მაინც ვიცი, მაგრამ მამის—სულ არაფერი!

— მაშ როგორ იყავ?

— ეხ, რინე! მოსაწყენია! და რომ გაიგო ჩემი ამბავი, იქნებ შეგზარდე კიდევ! მაგრამ რაკი დავიწყე, მოკლედ გიამბობ: დედა ყოფილა უბრალო სოფლის ქალი. როცა შექმნილა ჩემზე ფეხმძიმედ, ქალაქს წასულა. იქ ვუშობივარ. წამოვიზარდე. როცა გონებაში ჩავვარდი, დავაკვირდი: ჩემს ტოლებს მამები ჰყავდათ, მე კი მარტო დედაჩემს ვხედავდი. ერთხელ ვკითხე: ვინ

მყავდა მამა? ან სად იყო? მითხრა: მოკვდაო! ხოლო მამიჩიმის ძმა — შეძლებული ბიძა ქველმოქმედი გვეხმარებაო. ვიზრდებოდი სასწავლებელში და დიდს იმედსაც ამყარებდნენ, მაგრამ ქველმოქმედმა ბიძამ ფულს უხაფიზად წაიღო. ჩავცვივდით გაქირვებაში. დედა დარდისგან ავადმყოფობდა და გარეშე დავრჩი. გადავწყვიტე, სადმე მოჯამაგირედ დავმდგარიყავ, რომ მშვირები არ დავხოცილიყავით. დავდექ ერთს ვაქართან — მხოლოდ საჭმელს ვვაძლევდა მე და დედას. მე იქ რა ტანჯვა გამოვიარე, ამას უბრალო ენა ვერ გამოსთქვამს. მაინც ცხოვრებას ვებრძოდი. დედაც ხანდახან საკერავს იშოვნიდა ხოლმე. როდესაც კარგა წამოვიზარდე, იმდენს ვშოულობდი, რომ კარგად ვჭამდით, კარგად ვიცვამდით. თავმომწონე, განებივრებული ვიყავ — ბავშობაშივე დედისგან და ბებიისგან. ტოლამხანაგებში გავერიე. ერთხელ ნიშნობაში სტუმრად მიმიწვიეს. ცეკვა გამართეს. ერთი ლამაზა ნაცნობი ქალი გამოვიწვიე საცეკვაოდ.

რინე გულდადებით ყურს უგდებდა. ქალის ხსენებაზე შუბლი შეიკრა: იქნებ ის უყვარდეს! იქნებ ცოლიც ჰყავს? იქნებ იმიტომ არის ჩემთან გულცივად?

— ალბად გიყვარდა! ჰკითხა რინემ.

— არა, მე ჯერ არავინ მყვარებია, შეიძლება გატაცება კი იყო, ახალგაზღვრი, გიჟური... მაგრამ მას აქეთ უკვე კარგა ხანია. და შემდეგ მე ქალი არც მომწონებია, რადგან ქალში მე აღაძიანს ვაფასებ და მეგობარს: ჩემთვის და ხალხისთვის...

— ცეკვის დროს ერთმა ლაზლანდარამ — მოვაჭრე იყო ფართლეულობით, ჩემზე ბევრად უფროსი, მაგრამ უცოლშვილო! — უცბად მკრა ხელი შუა ცეკვის დროს და მომადახა: წადი დაიკარგე, ნაბიჭვაროო! თვითონ დაიწყო ქალთან თამაში. ავენთე. გავწითლდი. შემრცხვა და უკან ჩამოვდექ. ხალხს მოვეფარე. შემდეგ ვინანე: რატომ იქვე ვისმე ხანჯალი არ ამოვგლიჯე და გულში არ ჩავეც. ამხანაგები მიმიხვდნენ, შურისძიებას ვაპირებდი, მომიახლოვდნენ და ლაპარაკით გამართეს. მან შემდეგაც არ მომასვენა. წინ ამეტუხებოდა. მასხარად მიგდებდა. ჩემი თავმდაბლობა ბოროტად გამოიყენა. მეუბნებოდნენ: მთვრალია, რა ყურს უგდებო! ის კი ყვიროდა: ნამდვილად ვიცი, ნაბიჭვარიო. იმ ხანად ყველაფერს ვაპატიებდი, მაგრამ დედასაც შეურაცხყოფდა. გამწარებულმა მოვაფლე დანას... ვეცი, ვინც ხალხში მამცირებდა...

ამბოკარი შეჩერდა. თვალები გაუდიდდა. დაბლა გაშტერებით იმზირებოდა, თითქოს მიწაზე მკვდარს, მკერდ გაპობილს ჰხედავდა.

— შემდეგ? ჰკითხა რინემ მოუთმენლად.

— გამოვერკვიე. ხელები მქონდა სისხლში გასვრილი. ის მკვდარი ეგდო.

— საშინელება! შემდეგ შენ?

— იმ დღიდან თავი ციხეში მიკრეს. ციხეშიაც მწამდა დედა პატიოსანი იყო! ეხლა რომ მაგონდება, ჩემს თავზე მეციინება, რამდენად ამახინჯებს აღაძიანს საზოგადოების ყალბი ზნეობა. — ერთ დღეს გამიხმეს კამერიდან. დედა

მიჩვენეს. შემომტირა: რა ჰქენ, შეილო! ცოდო რად დაიდგო? დედამ პირველად აქ გამომიტყდა, რომ მე მართლაც ბუში, ნაბიჭვარი ვიყავი! ის ბოროტება სხვის სიყალბემ ჩამადენინა. სასჯელი მომცეს—ხუთი წლით ციხეში დედაჩემი დარდმა მოიდნო. ციხეში შემხვდნენ პოლიტიკური პატიმრები; მათ ამიხილეს ბნელი თვალი. მათვე მასწავლეს: ხალხს ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე... ამაზე უთქვამთ: ზოგი ქირი მარგებელიაო!

ამბოკარმა რინეს შეხედა. გულდაწყვეტილი რაღაც გამოურკვეველს ფიქრს მისცემოდა. ამბოკარმა ხელი მოჰკიდა და ჰკითხა:

— კმაყოფილია შენი ცნობის-მოყვარეობა? ეხლაც ისურვებ შენ ასეთს კაცს?

— ეხლა უმეტეს! მხოლოდ... მხოლოდ... არ დამიმალო... ერთს გკითხავ...

— მკითხე, გეტყვი!

— თუ გყავს ბებია, იქ... ქალაქში?

მყავს!

რინეს თითქოს ზარი დაეცა. წარმოუდგა უბსკრული, საღაც უნდა გადაჩეხილ იყო. გაფითრდა. ხელები აუკანკალდა.

— რა დაგემართა? შეგეზარე განა?

— არა! არა! არაფერია!... ეხლა წადი!

თითქოს სიზმრად მყოფს რინეს ყრულ ესმოდა ამბოკარის სიტყვები: „კიდევ შევხვდებით!“ რინე უგონოდ ხეს მიეყუდა. შუბლზე ხელი მოისვა. ფიქრობდა: დაუჯერებელია! ნუ თუ „ის“ იყოს? ჩემი ბიძაშვილი?

ქვითინი წასქდა. რად სტიროდა? ნუ თუ იმედი გაუცრუვდა!? იმ ჟამად რინეს აღარაფერი ესმოდა. გიჟივით წამოვარდა. ამბოკარს კივილით დაედევნა.

— გამაგებინე შენი ბებუის სახელი! გეარი!

მაგრამ ამბოკარი უკვე შორს იყო. ველარც დაეწია და ველარც ხმა მიაწვდინა. გზაზედ მეზობლები იდგნენ. შერცხვა და უკან დაბრუნდა იმ იმედით, რომ ნარჯვე დროს ყველაფერს გამოჰკითხავდა და თუნდაც მისი ბიძაშვილი აღმოჩენილიყო და კანონს აეკრძალა მათი კავშირი—ამ კანონსაც გადალაზავდა!

XVI

თებერვლის შუა რიცხვებში ქარი ჰქროდა, ხეებს ჰგლეჯდა. ქარი ჩადგა.

ჩამოწვა მძიმე ღრუბელი.

მთელ ღამეს ითოვლა.

მეორე დილით თოვლი ორ მტკაველზე დადებულ იყო.

ქონდარას დუქანი გაეღო.

მიბარებული იარაღი წაიღეს.

ქონდარა გრძნობდა—დღეს თუ ხვალ რაღაც დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო.

ხალხი მზადებაში იყო.

არაყი ჩამოასხა და ბოთლი დახლზე დადგა. უნდოდა დაელოდა, მაგრამ ფიქრობდა: იქნებ მუშტარი მოვიდეს და იმან დამპატიოებს!

მუშტარი არ სჩანდა; თავის მსახურს დაუძახა, დაესხა და ბიჭსაც მიაწოდა.

— დაიჭი, დალიე! თუ უცხომ რამე გკითხოს, უთხარ: ხაზეინი კარგად შეპყრობათქო! კარგსა ვქანთ, კარგსა ვსვამთ-თქო! თუ გკითხა: რამდენ საათს მუშაობ, ხელით უჩვენე: ვოსემ ჩასოვ-თქო!

— ხან რომ ვათენებთ?

— ეგ არ წამოგცდეს, თორემ დაგიტხოვ! აღარ გრყიდი არც ქუდს, არც მესტებს. თუ გინდა, დღეს შინ წადი და ცოტაოდენ სახარჯოსაც მოგცემ. მხოლოდ ენა არსად ატარტარო!

ამ ლაპარაკში იყო ქონდარა, რომ შემოვიდნენ ალაღი, ბახუტო და ნარიდო.

სახლში ვერ დამდგარიყვნენ...

ცდილობდნენ ამბავი გაეგოთ. სხვაგან სად გაიგებდნენ, თუ არა ქონდარასთან?

ქონდარასაც გაუხარდა:

— ოჰ, თქვენს სამებას კი ვენაცვალე!

სამნივ დალონებულნი იყვნენ. ეგონათ რამ გასახარელს გაიგებდნენ, ქონდარამ კი პირში მიახალათ:

— გაიგეთ! ბატონი გარდაიცვალაო! ხალხი იარალშია... აღარაფერს ჰმალავენ.

ჩვენ გვემუქრებიან: ეხლა კი გაგითენდებათო!

— ჩვენ რას გვემუქრებიან?

— ვის რა მოვბარე?

— ვის რა წავართვი?

სამთავ მიაძახეს.

ქონდარამ „ფრონტი იცვალა“ და სხვა ჰანგზე დაიწყო:

— მაშ რომ ასდევდით ზურაბ თეგაურს, არ იცოდით ხალხი არ გაძატიებდათ? ხალხს რომ მიწა წაართვით, ეხლა რას იპირობთ?

— ნათლიმამ, თითქოს ჯიბრში გვიდგებარ...

— მე ჯიბრში, კაცო? ეე, მე კი არა, ეგრე ამბობენ. აბა, მიჩვენეთ თქვენი ხელები!

სათითაოდ ხელებს უშინჯავდა. ყველაზე ძალიან მედუქნის ქცევა ბახუტოს აკვირვებდა და შუბლშეკრული უყურებდა. ქონდარა განაგრძობდა.

— კაცო, რა ფაფუკი ხელები გაქვთ? გლესს ამისთანა ხელები? შინ შეშა მაინც არ გაგიჭრიათ, რომ ერთი მაზოლი მაინც გქონდეთ? არ იცით, ამას იქით მაზოლიან ხელებს დააფასებენ? ამით იცნობენ, ვინ მშრომელია და ვინ მუქთახორა! აბა, ამ ჩემს ხელებს უყურეთ.

ჰქონდა თუ არ ჰქონდა, ხუთამდე ნაზოლი დაითვალა და ამაყად
სიტყვა:

— ჩემზე ვინ იტყვის, არა შრომობსო!

ალადიმ შეუბღვირა:

— მოშალე მასხრობა!

— ჰი! ერთი ამას უყურეთ, არა სჯერა! ნახეთ, კუდები როგორ აგი-
წვან!

ნარიდო ყურს უგდებდა და ვერაფერი გაეგო. მელუქნე ჩვეულებრივად ხუმ-
რობდა, თუ მართალს ამბობდა. შემდეგ უთხრა:

— რა ყვავსავით დაგვჩხავი? გუშინ არ იყო, შენც მომხრე იყავ?

— მე მომხრე? ვისი?

— ჩვენი!

— მე მომხრე, კაცო? მე როდის ვიყავ თქვენს პარტიაში? თქვენი პარ-
ტია ხომ ბუჯუაძეების პარტიაა. მე? რას ამბობ?

ბახუტომ ითმინა, ითმინა და ბოლოს მოთმინების ფიალა რომ აევისო,
პირში შეუღვა:

— შენ, ჩემო ძმაო, თავს ილამაზებ, მაგრამ შენოდენა ცოლო ჩვენში არც
ერთს ჰკიდია.

შენ ხარ ჩარჩი, მოვახშე, სპეკულიანწი.

ნისიას ორჯელ დავთარში გვიწერ.

მოჯამაგირეს ჯამაგირს ჰხუთავ!

დაგირავებულს აღარ უბრუნებ!..

გლებს ფულს ასესხებ და სარგებელში

მთელ წელიწადს იმსახურებ...

მაშ რით წამოსდგი სართულიანი?

ჩბადალებული მელუქნე უსშენდა. სიტყვა რომ ველარ მოეხერხებინა, ცერ-
კვივით ხტოდა. სულ „ვაჰს“ და „ერიჰას“ იძახოდა.

— მე ვარ ეგეთი? ვინა? მე კაცო?


ჰკითხეთ ჩემს მსახურს.

ეე, პირველად მოჯამაგირეს ჰკითხავენ! თქვენ კი თქვენ მოჯამაგირეებს
სიქას აცლიდით! არ იცით, ნუშათა პარტია არ გაპატიებთ?

ნარიდოც აენტო. ბრაზი ყელში ებჯინებოდა. მივარდა დახლს და ჯობი
დაჰკრა.

— კაცი რომ ამ დახლში დადგება, ვინც უნდა იყოს, სკინდისიც გაყი-
დული აქვს და ნამუსიც! სულ შენგან არის ხალხი გაფცქვნილი! შე თვითონ
ბურჯუავ!

— ვაჰ, გაგიჟდნენ? რის ბურჯუა! ნახე, დუქანში ყაფაზები ცარიელია!
ნისიად თქვენ შესქამეო... თუ არა და ამ დილის სიფთაზე რა იერიშები მოი-
ტანეთ? მე გაგებუმრეთ, თქვენი მომხრე არა ვარ-მეთქი, თქვენც დაიჯერეთ?
კაცს ეგრე მალე გადააგდებენ?



საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

ალადის მიუბრუნდა, ის ჩიბუხზე ნაკვერჩხალს ადებდა და მოკამათებს ყურს უგდებდა:

— ნათლიმამ! ერთი ამ ნარიდოს გააგებინე! ჩვენ კი უფროს მხარი არ დაუჭირეთ და მაგისტანა რამეები ვილაპარაკეთ — ~~მაგისტრის~~ ჩვენს ქამაშა! კაცო, სახლს რომ მაყუედრი წამოსდგიო, ეგ როგორ შეგშურდა? მაშ შენი აზრი ამ ბურჯუა ვარ?

ამ დროს შორს თოფი გავარდა.

ვინც როგორ იდგა, ისე გაქვავდა.

თვალეზი დააჩხიტეს. ფერი წაუვიდათ.

ქონდარა რაღაცას ლულულულებდა.

კიდევ მოისმა თოფის ხმა.

რევოლვერმა უპასუხა.

გარედ გამოცვიდნენ.

ქონდარა, ასეთი მსუქანი კაცი, დაილია.

ეცა დარაბებს და ჩაკეტა.

მსახურს უძახოდა:

უკანა კარებიც ჩაკეტეო, მაგრამ მსახური იქ აღარ იყო.

გზას გასცქეროდნენ. არაფერი სჩანდა.

ქონდარა იძახოდა: სიზმარში ვარ თუ მართლა გავარდა? კაცო, დაიწყო? აჯანყდნენ? რატომ ხმას არ იღებთ?

ეს ოთხი ვაჟკაცი, რომლებიც წინად სოფელში ბობოქრობდნენ, ლანდუბად გადაიქცნენ. ზოგს მათგანს ხმაც კი ჩაუწყდა.

დაინახეს, ზურაბი გამაღებული მოდიოდა.

უკან კოქლი მწერალი მოსდევდა.

ზურაბი აღელვებას ვერ ჰფარავდა.

ეკითხებოდათ:

— რა მოხდა? სროლის ხმა იყო?

პასუხი არაფერს გასცა.

თვითვეული ფიქრობდა, რა ეზრუნა, სად გახიზნულიყო, რომ დროებით მოჰფარებოდა, სანამ ქუხილი გადაივლიდა. წარმოიდგინეს ერთხელ ნაცადი რევოლვიუცია, როდესაც ხალხი დამნაშავეებს არ ინდობდა.

ზურაბმა შეუყვირათ:

— ხმა ხომ არ ჩაგიწყდათ? გაიგეთ რამე?

ისევ ქონდარამ დასძლია და ძლივს წარმოსთქვა:

— გავარდა — რაღა! ალბად ქალაქიდან ნიშანი მიიღეს. სულყველა იარაღშია.

ალადიმ წაიბუტბუტა:

— როცა კაცს არ აგებინებთ, რა ხდება ჩვენს გარშემო, ვინ საით მიდის, სად მივყევართ, დამნაშავე უნდა ცხენის ძუას მოაბას...

— რა დაგემართათ? კიდევ ჰკითხათ ზურაბმა.

— რაც დაგვემართა, სულ შენგან დაგვემართა! უკმეხათ უთხრა ალადიმ და ზურგი შეუბრუნა.

ქონდარა გაშტერებული ხან ალადის შეკუთრებდა, *ქონდა! ზურგის!*

— კაცო, ზურაბი ველარ გიცვნია? *ზინა! იქნის!*

— ვიცნობ და კიდევ ეგ არის მიზეზი, რაც ჩვენ ჭირი გვჭირს, სთქვა და მიუბრუნდა ზურაბს ჯოხის ქნევით:

— შენ არ იკვებდი: ასე და ასე! მკვიდრად ვსდგევართო? მთავრობის შიშით მალლა ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს ჭიანჭველა ვერ გაივლისო? სად არის ეხლა ეს ძლიერება?

— სრულ ჭკუაზე ხარ?

— ჩვენ კი ვართ, მაგრამ შენი არ ვიცით! შენ არც ეხლა ხარ! რად შეგვაჯახე ჩვენ ძმებს? რად აგვიმხედრე გლახკაცობა? სულ შენი წაქეზებით იყო, სათემო აღგიღს რომ დავებატრონეთ და მთელი სოფელი გადავიმტერეთ! შენ უნდა აგო პასუხი! შენ!

მდივანს თვალები გადმოსცვივნოდა. არ სჯეროდა თავის ყურების. გუშინ ერთმანეთს ტუჩებს უკოცნიდნენ, დღეს რა დაემართათ?

გაკვირვება სხვაფრივ რომ ვერ გამოხატა, წამოიძახა: *Bot tene haa!* უმაღურობაც ასეთი უნდა!

ქონდარამ კვერი დაუკრა: ალადი მაინც ჯავრობდა:

— შენ გაამწვავე მდგომარეობა! ეგე, ეხლა აჯანყებულან! მოდიან ჩვენზე, პასუხი გაეც!

— უმაღურობო! ყველა თქვენს ცოდვებს თავზე მე მახვევთ?

ბახუტომაც და ნარიდომაც ხმა აიმაღლეს, თვითეული ცდილობდა თავის გამოლამაზებას. მიესივნენ ზურაბს:

— შენ გვაქეზებდი!

— შენ გვამხედრებდი... შენ მთავრობიდან ოქროს იღებდი, ჩვენ კი ხალხთან გვაჩხუბებდი.

— ყურს შენ გიგდებდით... შენ!. შენ!

— შენი ბრალია! შენი! ჩვენ შენი გვჯეროდა..

— შენი ქცევით და უდიერი მოპყრობით დაგვლუპე... ხალხს შეგვაჯახე...

ჩვენს მეზობლებთან ტკბილად ვცხოვრობდით, შენ კი ჩვენს შორის უბსკრული გასთხარე... ეხლა ვინ აგებს პასუხს, მართლა რომ რამე მოხდეს? კამეჩივით რომ მიაბტვრევდი, რატომ საბოლოოს არა ჰფიქრობდი? შენ აგებს პასუხს! შენ!

ზურაბი ლომივით ბღღვინავდა. ბრაზისაგან ხან ენა ებმებოდა და ხან მუშტებს ჰკუმშავდა:

— თქვენ სთხოულობდით, ვყოფილიყავ მტკიცე, სასტიკი. და როცა ვიყავ და თქვენს საქმეებს ვაგვარებდი—ხომ კარგიც ვიყავ!

ეხლა, როდესაც ფუძით იცვლება ჩვენი მდგომარეობა—დღეს კი რა მესმის? მთელი სიმძიმე ჩემზე გადმოგაქვთ! უმაღურობო! მე თუნდაც წამლეკოს ამ ხალხის ტალღამ, თქვენ მაინც დარჩებით კუზიანები, და საფლავიც ვერ

გაგასწორებთ! რისთვის მირჩევდით მე ჭალაროსანს? მიტომ, რომ შემდეგ წიხლი ჩაგეცათ? წყეულიმც იყოს, ვინც თქვენ მოგენდოთ!

ქონდარა ჩაერია ლაპარაკში:

— ეხლა რა დროს კინკლაობაა? კაცო, დაგიედიო?

აფსუს! აქამდე ზურაბ ბაჯალლო იყო, ეხლა კი ფას! ბრაკია!?

მარჯვენა ხელის გული გადაატრიალა და ისევ გადმოატრიალა:

— ქვეყანა ასე და ხან ასეა!

აბრუნდი-გადმობრუნდია!

მაღადეც, ძალავ!

ეხლა აქ როდემდის უნდა იდგეთ?

წადით-რალა! დაიშალენით, თორემ იტყვიან:

ბურჯუები შეყრილან და თათბირობენო!

ჩვენ ხომ მართლაც და ხალხის მტრები არა ვართ!?

მე ეს განპარსეთ, — უღვაშზე წაივლო ხელი, — თუ წითელი დროშა პირველებმა არ ავაფრიალოთ!

ამ დროს ქუდმოგლეჯილი გლეხი მოვარდა და ზურაბს შეატყობინა:

— სროლის ხმას გაიგებდით! ამბოჯარს შეხედნენ და სროლა მოუხდათ!

მან ერთი მოჰკლა, ხოლო მეორემ ამბოჯარი დასჭრა სასიკვდილოდ.

ზურაბი გაფითრდა.

— რად დასჭრეს? მე ეგ არ მსურდა.. მოწმეა ღმერთი მინდოდა შეეპყროთ!

— დაჭრილს შენი სახლისკენ მიასვენებენ!

— ჩემი სახლისკენ?

თავი ვერ გამოეგო, „როგორ თუ ჩემი სახლისკენ!“ რისთვის? განა სხვა ადგილი ვერსად ნახეს?

— რინემ ასე უბრძანა!

— რინემ? რინეს იქ რა უნდოდა?

— თოფის ხმაზე იქით გაქცეულიყო... იქ ჩემს მეზობლებს დაუძახა და უთხრა ზურაბის სახლში წამოასვენეთო. მოდის და მოსტირის...

ზურაბმა ყური აღარ უგდო და თავის სახლისკენ გაეშურა. შორიდან დაინახა, რომ მის ეზოში მიეყვანათ. ხალხი ეხვეოდა.

რინე მოთქმით დასტიროდა:

— ჩემო თადე, ძვირფასო თადე!..

რინემ რომ დაინახა ზურაბი, ამოიტირა:

— აგერ მოდეს შენი მკვლელი, ჩემო თადე.

— ვინ არის თადე? რა თავს იგდებთ?

— ზურაბ! იტირე! შვილი იპოვნე...

ზურაბს თითქოს თავნი კეტი დაჰკრესო, ამოიგმინა. სული შეუგუბდა. გამწარების ძახილი მაინც ჩაჰკლა. ამოხდა რალაც საზარელი ღრიალი. წაბარბაცდა და თოვლში ჩაიკეცა. ბრმასაებრ ხელებს აფათურებდა. საყელოს იგლეჯდა. სამოსს იხევდა.



დაკარგულს შეიღს ეძებდა და ტყვიით შეხვდა.
სიტყვა ვერ ეპოვნა. ათასში ერთხელ წამოიძახებდა: „შენი! შეილი! მე
მოვკალ!“

რინეს ქვითინი ყველას გულს უკლავდა:
— შენ, ნათესავო! სისხლით თვისტომო!
საქმრო ვიტრო, თუ ბიძა შეილი?
ფეფელო გამწარებული სწყევლიდა ზურაბს!
— სისხლით უძღებო! გეკითხოს ცოდო შენი ძმის, ჩემი დის და შენი
შვილის. დაითხარე თვალები შე ცოფიანო ძაღლო! აგრემც მიწას შეუქამია შე-
ნი ბოროტი მარჯვენა, ზურაბ!
ზურაბი ძროხასავით ბღაოდა.

XVII

ზურაბ თევაური შეიღს მარხავდა და თვითონაც იმარხებოდა. კაცს აღარ
ჰკავდა. მოსტყდა. ლანდს დაემსგავსა. თმა გაუთეთრდა. თვალები ჩაუცვივდა.
როდესაც კუბო ჩაასვენეს და ქვებმა რახრახი დაიწყო, უცნაურად წამო-
იძახა:

— შეიღს გაქორწილებ! ჩემთან ხართ მოწვეული. რა უყოთ, ხანდახან
სიკვდილიც მოსავალია! კარგი იყო, მოგვეკითხათ: იქნებ სადმე ისეთი ექიმი
აღმოჩნდებოდა, კრილობა გაემართელებინა!

მის ჭკუიდან შეშლაში ექვი არავის შეჰპარვია. მხოლოდ ქონდარამ და-
წყო თვალთერება და ყურადღებაც მიაქცია. შენიშნა რომ ეს კაცი დალაგე-
ბულად ველარ ლაპარაკობდა. გულში ფიქრობდა: ვინ იცის, იქნებ დიდმა მწუ-
ხარებამ ასე იცოდესო!

როდესაც მიდიოდა, ვიღაცას ეჩხუბებოდა: ღვინოს ველარ ვიტან, თავი
დამანებეთო.

როდესაც მარტო იყო ბუტბუტებდა: ჩემი ვაჟის პატარძალს ველი, არ
გაკიედეთ და ფანჯრიდან არ შემოიყვანოთო.

დაავიწყდა რომ მოხელედ იყო ამორჩეული. მის თანამდებობას თანაშემწე
ასრულებდა. თვითონ გარედ აღარ გამოდიოდა. ხალხი ეჯავრებოდა. ორი კაცი
რომ ერთად დაენახა, დღის სავალზე დაშორდებოდა. ვიღაცას ემალებოდა. ლო-
ბესთან აიტუხებოდა, იძახდა: ფეფელომ დამღუპა, შეილი მომტაცაო.

რამდენიმე კვირის შემდეგ ლაპარაკიც მოშალა. გაბრუებული, გამოთავყა-
ნებული ეზოში დადიოდა და ქვებს ერთ ადგილს აგროვებდა.

მადლობას გადაუხდიდა. დალოცავდა. ხანდახან ისეთს შთაბეჭდილებას
სტოვებდა, თითქოს ზურაბი ძველს გონებაზე ყოფილიყოს, მაგრამ დაკვირვე-
ბული ადამიანი სიგიჟეს შეამჩნევდა.

დიდ დროს აღარ გაუვლია, ქიზიყის მყუდრო სოფლებშიაც წითელი დრო-
შები აფრიალდა.

სოფლის სამმართველოს წინ ხალხი ბობოქრობდა; დასჯას მოითხოვდნენ.
— ხეზე დაეკიდოთ! ჩავაქვავოთ!

ზურაბ თევაურის სახლს მიესივნენ.

— ძაღლო გამოეთრიე! შეუყვირეს. ხმას არვინ სცემდა. თანჯრებს ქვები დაუშინეს და ჩაღეწეს. შეაღეს კარები. აკანკალებული, დაღმარებული ზურაბი კუთხეში ატუხულიყო. ჩაავლეს ხელი და გარედ გამოათრიეს. ნამჯა მიზიდეს და ზურაბის თვალწინ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. ზურაბი გარინდებულად ხმას არ იღებდა. გარეშე იფიქრებდა: მართლაც შეუპოვარი კაცი ყოფილა, როგორ წარბსაც კი არ იხრისო!

ხელები შეუკრეს. კისერზე თოკი შეაბეს და წაიყვანეს. ზურაბი ბალღით ჰნებდებოდათ. ხანდახან გაიცინებდა. მართლაც რომ გარეშეს ეგონებოდა: თავს იკატუნებს, დიდ დამნაშავედ არ ჩამთვალონ, ეგებ სიკვდილს გადაერჩეო. მიადგნენ ალაღის სახლს.

მას უკვე გაეგო, რომ ზურაბის სახლს არბევდნენ და სადღაც გაპარულიყო.

ბევრი ეძებეს, გადააბრუნეს საბძელ-კალო, მარანი, მაგრამ ვერ იპოვეს.

— სად წაგვივა? სად დაგვემალება. ბრაზობდა ხალხი.

ზოგიერთები ნანობდნენ: ახ, ის ენაქარტალა, ამ ცხელ გულზე ნეტა შემხვედროდაო.

ბახუტოს და ნარიდოს შესაპყრობად შეუხვიეს. ბახუტო სხვენზე ასულიყო და იქ ბუმბულის გოდორში შემძვრალიყო. იპოვნეს, ჩამოათრიეს მელასავით გაბუმბლული. ნარიდო ეძებეს ჯერ ვერ იპოვეს. მარანი დაათვალიერეს. ერთს ქვევრს სარქვეული სწორედ არ ეხურა. ჩაიხედეს, არაფერი ჩანდა.

„ჩაპკარ ფიწალიო“ რომ დაიძახეს, იქიდან ხმა მისცათ: მოიცათ! ამოვალო!

მედუქნეს ჩამოუარეს. კარები დაკეტილი დახვდათ. სად უნდა წასულიყო? მეზობლებმა იცოდნენ, რომ ეხლახან ეზოში ტრიალებდა.

შეამტვრიეს კარები. ჰხედავენ: მედუქნეს ხელები მალლა უწევია და ღრიალებს: ნუ მომკლავთ! ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ კომიტეტს ვეხმარებოდი... მიჩვენეთ მიტრო...ქიტესო! ჰკითხეთ, თუ არა გჯერათ!

— იარალი გაქვს დამალული?

— ვინ თაფმკვდარს! დუქანში მქონდა, კომიტეტმა წაიღო. ჰკითხეთ მიტროს...

— აბა გაჩხრიკეთ!

დაუწყეს ჩხრეკა და რა არ აღმოაჩნდა: ფარჩა, ატლასი მაუდი, შაქარი, ლორი.

ტახტის ქვეშ ნახეს ორი წალა. გამოსწიეს, ვერ გამოიღეს. სხვები მიეშველნენ და ტახტის ქვეშიდან ალაღი გამოათრიეს!

— ლოქო! ლოქო! იცინოდნენ ბიჭები.

ალაღი ოხრავდა. მუხლები ეკეცებოდა. თავზე ხელს იღებდა და ანიშნებდა! ტახტის ქვეშ ქუდი დამრჩაო! საკვირველი კაცი იყო: კისერს აჭრიდნენ და მუწუკი არ მატკინოთო!

ოთხნი ერთმანეთს გადააბეს და სამმართველოსკენ წამოიყვანეს.

გზაზე მელუქნე ალაღის ეჩხუბებოდა: ფეხი მოგტეხოდა. ჩემთან კი არ მოსულიყავ. ტახტი რა ციხე-სიმაგრე ნახე, ბოხობივით ფაფი რომ წაპყავ? ეს ხალხი რას იფიქრებს, ვითომც მე გხფარავდი!?

იძახოდნენ: საღლა მიგყავით? ხევში გადავიყვანოთ და ძაღლებივით ამოვხოცოთო!

ალაღი მოსთქვამდა: ვაიმე, ვაიმეო! მელუქნეც ბანს აძღვედა: კაცო დაიბარეთ მიტრო...

ეგრე შეიძლება?

ნარიღო ქვევრში ტაქის სუნს დაეთრო, თუ წინასწარ გადაეკრა, თამამად იყო: თქვე სახეძაღლებო, რა დავაშავეთ? რა გინდათ? ძროხა? ცხვარი? ცხენი? სახლი თუ კარი! ხელი აგვიღია! სხვას რაღას გვემართლებით?

— თქვით, რო მიჰქარეთ!

— მივქარეთ! მივქარეთ! ყველაზე ძალიან ალაღი და მელუქნე ყვიროდა. ოთხი გაანთავისუფლეს. დროშის ქვეშ დააჩოქეს და ათქმევინეს: ვუცავთ წითელ დროშას, აღარაფერს დავაშავებთ და ხალხის ერთგულნი ვიქნებითო.

ზურაბს ჩასქიდეს ხელი.

— შენ მოჰკალ თადე-ამბოკარი?

— ჰო!

— რის ღირსი ხარ?

— რა ვიცი? შვილს ხომ ველარ დამიბრუნებთ. ის მიწაშია!

— მურღაღო ძაღლო, ჯალათო!

ამ დროს მოვიდნენ: მეთაური მიტრო და რამდენიმე „აბალთაობის კაცი“. მიტრომ იცოდა რომ ზურაბი ჭკუაზე შეშლილი იყო და მაშინვე გაანთავისუფლებინა.

— გიჟ კაცს ვინ დასჯის? ეგ ისრედაც დასჯიღია!

ზურაბი აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა. თითქოს გონს მოდიოდა. აქვითინდა. შემდეგ დაიჩოქა და შეღრიღალა:

— მომკალით! მე ვარ შვილის მკვლეელი.

როდესაც ზურაბი სახლში ბრუნდებოდა, დაინახა ცეცხლის აღი და შავი კომლი. მისი სახლი იწოდა. უკან გამობრუნდა, სად მიდიოდა? მონახა შვილის საფლავი. მიწას ჩაეკონა და ქვითინებდა.

საფლავის თავთან დიდი თეთრი ლოდი იღო.

ეს თვითონ ზურაბმა დაადო. ამ ლოდის კუთხეს დაჰკრა საფეთქელი. სისხლი გაღმოსქდა.

რამდენჯერმე შეაკანკალა. ერთხელ კიდევ წამოიძახა: შვილო! მოფხოქნა ფბვიერი მიწა და თადეს, — ამბოკარად წოდებულის, საფლავზე სამუღამოდ დადუმდა ღიად დარჩენილი თვალებით.

ღ ე ღ ა

(ევდენი ეკ. გაბაშვილს)

შუქი არ მოსჩანს ქოხიდან,
და არც ანთია სანთელი,
დიდი ხანია რაც კერა
მტრისგან ნაობარ-ნათელი
მიმქრალა, მისი ნაცარი
ქარს შიაქვს, წარამართა,
და ჩალა-ბულა ქოხისა
გადადის მთა და ბარადა!
შუქი არ მოსჩანს ქოხიდან
მაგრამ ცა მოწმენდილია,
მთვარე იალბუხს უცინის
ქოხი კი დაღვრემილია!
ჩუ! წამოჰქროლა ნიავეა
გულს თუ მოუტანს ლხენასა,
არა ის ქოხის დირეზე
ეჩურჩულება დედასა;
ჰკითხავს: მაგ ტურფა ჩანგზედა
მწარეთ რათ თრთიან სიმები,
ძაძა რას მოგიხვევია,
რა უყავ შენი შვილები?
— ნიავეო, ჩემო ნიავეო,
თქვენც ჩემო ჩანგის სიმებო,
თქვენც გმირნო ვაჟკაცურადა
ბრძოლაში დახოცილებო, †
ნუ გიკვირთ დედას თუ გული
ცრემლებით აუჩუყდება,
ნუ გიკვირთ დედას თუ თრთოლით
ჩანგს ხელი აუცურდება!
ნიავეო, ჩემო ნიავეო,
დაბადებულო მთაზედა —
მეცა მაქვს ჩემი სამშობლო
მან გამომხარდა მკლავზედა!
იმას უმღერდი პატარა,

*) დაუბეჭდავი ლექსი.



ჭალარა გამოშვრია
 და აჰა, ჰხედავ ნაოხარს
 მის ადგილს ახლა მტვერია!
 გრივალმა დაჰკრა მტრისამა
 თავს რისხვით გადაუარა
 და მრავალ ჭირ-ნახულევი
 ხელ ახლა დაასუდარა!
 ნიავო, ჩემო ნიავო,
 ჩემ ფიქრთა თანაზიარო,
 ნუ თუ თვით კუბოს კარამდე
 სულ ასე უნდა ვიარო?
 ერთხელ ვერ ვნახო ღიმილი
 ტურფა მაისის ვარდზედა,
 ვერ ვნახო მისი მოლხენა
 ვისაც უმღერდი ჩანგზედა!
 ეჰ, ლაღო, თავისუფალო,
 ყინულიანო მთის შვილო
 ხან ალაზანო შიკრიკო,
 ხან კი რიონის სიცილო;
 ნეტა იცოდეთ, როდესაც
 მათ ტალღებს თავზე ევლები
 რამდენმა გმიომა წაიღო
 ბორკილიანი ხელები!
 და რა მშთენია ჭალარას
 თუ არ ვაკვნესო სიმები,
 თუ არ ვიტურო დედამა
 ნაოხარ ქოხის შვილები.
 დავკრავ, დავძახებ იმასვე,
 რაც იყო გულის ღონება:
 ვაი, რა ძნელი ყოფილა
 მონის ბედი და ცხოვრება!
 თმა შემიღება ჭალარამ
 გული დარდმა და ნალველმა,
 სიმები გზირების სისხლმა
 ხანჯლის წვრით ამონაღებნი!
 და მასვე, ჩემო ნიავო,
 დავკრავ, დავმღერებ ჩანგზედა,
 ნუ თუ მოვკვდები ვერ ვნახავ
 ღიმილს მაისის ვარდზედა?

11 მარტი 1911 წელი.

ქ. სოლვიჩეგოდსკი.

გამოთხოვა სოფალთან.

მშვიდობით, ჩემი სოფლის ყანაო,
ნეტავი ერთხელ კიდევ მენახე.
ნიავის ყელზე რწევით ქანაობ
და ქობასავით უვლი ვენახებს.
რამდენი სევდა ჩამოჰხევია
ფიქრებს და განცდა ნამწუხარევი,
როცა შენს სერებს მაღალ ხევიანს
ჩამოუვლიდი ლალი ხარივით.
ჩემო სოფელო, ჩემო კერაო,
მეზარებოდა შენი დათმობა,
ვახების ქალა უსაფერაო
და მაჭრიანი ტკბილი ატმობა.
ჩვენი საყდარიც ველარა ვნახე,
ვინ იცის რამდენ ღამურებს იტევს..
მე იქ ბავშობას ვაგებდი მახეს
და კაკანათით ვიჭერდი ჩიტებს.
ეხლა ქალაქმა თავისებურად
ისევ მიმიღო სად არ ნათრევი..
მანდ მზე ცხუნარე ტანზე შებურა
პირუბანელა და ნაადრევი.

იფიქრებ თავი რად დაგანებე
და რად დავტოვე მწვანე ველები,
საცა იალქნებს დააქანებენ
ღრუბლები ცეცხლში გაწვდილ ხელებით.
მიწა ყამირი, მიწა აზატი,
ჯიშის ძირამდე გადამეპოხა.
თან წამოვიღე შენი ლაზათი,
რომ მივეგებო ამტყდარ ეპოქას..
მიდის ქვეყანა ჟრმის, კამეჩის,

ღირლიტა გუთნის, მეხრის ალოსი,
 ვისლა შეხვდება შუალაშენი
 ზვინების გვერდით თვლენა კალოზე..
 თვალი შორიდან შენს ქედებს იჭერს.
 ფიქრში ელაგენ ლასტის ქოხები..
 ვხედავ მიმავალ ნიშნობის ბიჭებს
 ნუშის გულების ახალოხებით..
 ჩემო სოფელო. მე წამოველი,—
 ქალაქს უამბო შენი იერი..
 აქაც მზისა და მიწის ყოველი
 სუნთქვა ნაზია და ნებიერი.



ვინ იცის ჩემი ძალლი თოლია,
 მოშიებული თვალით დამეძებს.
 ბევრჯერ მინდორში გვერდზე მწოლია
 პირქვე დაფენილ შუალამეზე.
 წვიმა ნაბადზე შრიალით სცრიდა,
 მიჭრიალებდა გზაზე ურემი..
 ბეჭდის თვლებივით ცვიოდა ციდან
 ძნები ავსილი მარცვლით, პურებით..
 ღამე გაყინულს მებადურივით
 ჩემო სოფელო ნისლს გაფარებდა
 და შენი ბედი ლალი ფურივით
 მთის იალაღზე სძოვდა ხარებთან..
 ჩემო თოლია რამდენ ნადირთან
 სცადე თათები და გადამირჩი,
 როცა პატარა მწყემსი ატირდა,
 შუალამისას მარტო ყამირში.
 ეხლა აქედან ვხედავ ნაპირებს:
 ზვრებით, ბაღებით, ძროხის ბინებით..
 მანდ თურმე მარტი კიდევ აპირებს
 მოსვლას მინდვრების აბიბინებით.

ქვეყანამ სულ სხვა წყალი დალია,
 სხვა დაქანებით ბრუნავს ჯარაზე..
 ეხლა მინდება უფრო ძალიან
 გასვლა გაშლილ და ფართო შარაზე.
 დარდით ვიგონებ საწყალ მამაჩემს,
 რომელიც სადღაც ხევეტში ჩარჩა..
 მე ბედი აქეთ მომათამაშებს,
 როგორც გრიგალი ამტყდარი შარშან.

ჩემო სოფელო, როგორ მალაღებს
 შენი რძიანი მიწა, ალაფი..
 მანდ ძუძუს ეწოვდი აწლილ ბალახებს,
 აქ—კი მეძახის გიჟი ქალაქი.
 ეხლა ცხოვრება გამოიცვალა,
 მიდის დროება ურმის, კამეჩის..
 ალაზნის პირზე ბევრჯერ იწვალა
 მებრემ დაძირულ შუალამეში..
 ვიცი მიდარდებს ერთგული ძაღლი
 და ჩვენი საყდრის ბებერი მნათე..
 თვალებს შარაზე ცქერაში დაღლილს
 გადაათარებს დაკბენილ თათებს.



1926 16/III
 ტფილისი.

ბრიზოლ რობაქიძე.



გველის პერანგი

რომანი

ქართლის სხოვრობა

თავი მათეაფსაძეთა

გაგრძელება *)

„ცხოვრებაჲ ქართლისაჲ“ —
არ არის პოემა უმშვენიერეს ამისა.
ძველი ანდერძიდან.

ტფილისი ტორტმანობს: მთვრალი ქალაქი. •

ჩრდილოით მოისმის უცხო გუგუნნი: ვნება ატეხილი რუსეთი ძველ სამყაროს წარღვნას უქადის. სამხრით მოდის ოსმალო: ბძანება ბძანებას მოსდევს მგზობით გარუჯულ სახელით: ვეჭიბ მემედ.

საქართველო ხვილიფიფითაა ორ დენის შუა გარიყული.

ტფილისი ქანაობს: ბორგავს.

ბორგავს არჩიბალდ მეკეშიც. თითქო მთვარეული: დახეტიალობს ქუჩა-ქუჩა. ხსოვა მიდის შორსშორს: უკუნეთში. აქ დაბორგავდა ძველი გვარი ირუბაქიძის. ეს იცის მეკეშიც. არა: ამას მზერს მეკეში ახალი თვალით. შორეული ძირები წნელებივით ხვდებიან მის სხეულს. არის „ტკენა“ და არა „წყენა“. ტკენაში სიტკბილეცაა უცნობი. არჩიბალდ მეკეში გვარში იძირება: ყვინავს უფსკერო ჯურღმულში. ბნელეთს ანათებს მარტო ერთი სიტყვა: მამა. მეკეში მამას უახლოვდება. მამა შვილს გულში იხუტებს. ძე თრთის შევებით. მამა ცრემლებს ღვრის. არჩიბალდ ინთქება მამის უბეში.

— ექსტრა!. ექსტრა!.

ყვირიან მეგახეთე ბიჭები.

— ბოშო: წეიკითხე ერთი რა წერია..

ეუბნება გამვლელი თანამგზავრს.

არჩიბალდ მეკეში გამოდის ბურანიდან სანაპიროს. მზერა ისევ ენისლება.

ნისლში ეხლა სხვა სახე იკვეთება: ოლგა. გული ფეთქს: შიგ შეროყ გულია— შორსმყოფი. გული იწვის. კარგია: როცა ცხელი ტერფებით ცვარჩან მოლზე გაივლი დილით. სადაა ეხლა ეს გრილი ცვარი სიცხე არ დააწვლოს?! იგი შორსაა: ოლგა. ზაფხულში მიწას წვიმა დაესხმის. მიწის სისველეს ჯერ კიდევ არ არის ამშრალი. რიყე შრება მხეზე ნაწვიმარი. ლბილია ქეები და ხალასი. რა დაალობს გახურებულ ტვინს?! ოლგა მოწყვეტილია.

მეკეში მიბორგავს. ხუთავს სიმარტოვე.

ნეტავ: სადაა ვამეხ?! სოფელში თუ წავიდა.

მაგრამ: რად არ დატოვა ცნობა?! ათი დღეა — რაც არ სჩანს.

მეკეში შიშითაა აყვანილი.

ვიწრო ქუჩაში პატარა ოთახია გამოსკუპული. ფანჯარა მცირე — ნახევრად გაღებული. პატარა მაგიდა ოთახში. მაგიდაზე — პაწა ლამფა. მაგიდას ბავში უჩის შვიდი წლის. ბელები ჩვილი და თვალები ნალვლიანი. გვერდით — მეორე ბავში: უმფროსი. პატარა ბავში წიგნს კითხულობს.

მეკეში ჩერდება ფანჯარასთან.

უმფროსი ბავში ეკითხება უმცროსს:

— რა სწერიი?!

— თავსა კოხტისას შეკრებილანო...

— ვინ?!

— შანშე. ეგარსლან. დადიანი ცოტნე. ვარამ გაგელი. ყვარყვარე. კუპრო შოთაძე. ჰერელნი. კახნი. თორელი გამრეკელი. სარგის თმოგველი. მესხნი. ტაოელნი.

— რისთვის შეკრებილან?!

— ჩვენ უბეფონი ვართო.. შევკრბეთ ყველანიო.. ვებრძოლოთ თათართაო..

— მერე?!

— გადასწყვიტეს შეერთება.. ცოტნე დადიანი და რაქის ერისთავი გაგზავნეს სამზადისისათვის..

— დედამ ასე აგიხსნა?!

— ასე ამიხსნა..

— მერე: თათრებმა თუ მონღოლებმა ვერ შეიტყეს?!

— შეიტყეს..

— რა უქნეს?!

— წაიყვანეს ანისის ქვეყანაშიო.. შირაკავანს უკოღებენო.. წაიყვანეს ვილაც ქარმალანის წინაშეო..

— დასაჯეს?!

— ტანსაცმელი გახადეს ყველასო.. სიცხეში დააჯინესო.. საწამებლადო..

— ყველა დასაჯეს?!

— ცოტნე მათთან არ ყოფილა..

— მაშ გადარჩენილა!?

- არა: ისიც წავიდა..
 - სად წავიდა?!
 - თავის ძმებთან..
 - შემდეგ რა მოხდა?! ისიც აწამეს?!
 - მანამდე არ ჩასულვარ.. დედასთვის არ მიკითხავს.
 - აბა წაიკითხე.
- პატარა კითხულობს.
არჩიბალდ გულისყურია.



„ვითარ იხილა ესე ცოტნე, წარჩინებულნი ესრედ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირულნი, გარდაჰხდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსელი თვისი, განშიშვლდა, და შეიკრა მხარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა მწუხარედ. და ვითარ იხილნეს თათართა, განკვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ ცოტნე დადიანი მოვიდა, ორითა კაცითა, და განიძარცვა სამოსელი, და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“...

პატარა მკითხველი ჩერდება.

- რაა „გარდაჰხდა ჰუნისაგან“?!
- არ ვიცი..
- რაა „ვითარ იხილნეს“?!
- არ ვიცი.
- რაა „ნოინთა“?!
- არ ვიცი..
- რაა „განიძარცვა“?!
- არ ვიცი..

პატარა მკითხველი შეწუხებულია.

(ეს არც არჩიბალდს ესმის)

პატარა ბიჭი ნაღვლით იტყვის:

- არ მესმის..

შეორე ეხმარება:

— ცოტნეც თავისიანებთან მისულა.. ტანსაცმელი გაუხდია.. თათრებს გაკვირვებით: მგონი ასეა.. ქვევით რა სწერია?!

პატარა მკითხველი განაგრძობს.

არჩიბალდ სმენას ამახვილებს.

„რომლისათვის განკვირდეს თათარნი, და წინაშე მათსა მოუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისვლისა მისისასა, და ამას საქმისა ქმნისა რომელ მან ჰყო. ხოლო იგი ეტყოდა: ვითარმედ ჩვენ ყოველნი ამაღ შევკერბით რათა განვაგოთ ხარაჯა თქვენი, და ბრძანება თქვენი აღვასრულოთ, ესე იყო მიზეზი შეკრებისა ჩვენისა. ან თქვენ ძვირის მოქმედათ შეგვრაცხენით, და მე ამის

ძლით მოვედ წინაშე თქვენსა, რაღა გამოიკითხოთ, და უკეთუ უბრალონი იყუნეს, მეცა უბრალოდ შევირაცხო, და მართალ თქვენ წინაშე, რამეისცა თქვენსა არა რაღა უქმნიესთ“...

პატარა მკითხველი სულს ითქვამს.

ეკითხება მეგობარს:

- რაა „შევერბით“?!
- „შევერბით“.. „შევიკრიბეთ“ უნდა იყოს..
- „განვაგოთ ხარაჯა“?!
- არ ვიცი..
- „ძვირის მოქმედათ შეგვრაცხენით“?!
- არც მაგ მესმის..
- „თვინიერ“ რაღაა?!
- არ ვიცი..

პატარა ბიჭი მოწყენილია.

(არჩიბალდ წყევლის ქართულის არცოდნას)

პატარა მკითხველი მეგობარს ეკითხება:

- გაიგე რამე?!
- ისე.. მთლად არა..

პატარა ბიჭი დაღონებულია. კარებში დედის ხმა ისმის.

- დედილო!. ეს ამიხსენი!.

დედა კითხულობს. ერთხელ. ორხელ.

— აქ ასე სწერია.. ცოტნეს უთქვამს თათრებისათვის: ჩვენ მისთვის შევიკრიბეთ რომ თქვენი ბრძანება კარგად შეგვესრულებიაო.. თქვენ კი გიფიქრიათ: ვითომ ჩვენ ცუდი რამ გვინდოდა თქვენთვისო..

- ჰააა..

— ეხლა მე მისთვის მოვედი: რომ გამოიძიოთ—სიკვდილის ღირსნი ვართ ჩვენ თუ არაო.. თუ სიკვდილის ღირსნი ვიქნეთ—მეც ჩემ ძმებთან მოვეკვდეთ.. თუ არა და—მეც განვთავისუფლდეთ..

- ჰააა.. რა კაცი ყოფილა..

(არჩიბალდის ფესვები ირხევიან შვებით)

დედა გადის. მეგობარი პატარას მიმართავს:

- აბა კიდევ ქვევით!.

პატარა კითხულობს.

არჩიბალდ უსმენს.

„და ვითარ ესმა ესე ცოტნესაგან ნოინთა მათ, განკვირდეს სათნოებისაგან მისისა და თქვეს: ვინათგან ნათესავნი ქართულთანი ესოთენ კეთილ ხართ, და არა ეცრუებიან ერთი ერთსა, რომე აფხაზეთით მოვიდა კაცი ესე დიდებული, რათა დასდვას სული თავისი მოყვასთა თვისთათვის, და განწირა სული თვისი სიკუდილდ.“

არა არს სიცრუე მათ შორის, და ამის ძლიერ უბრალოდ ვპოვებთ. ამისათვის განუტევოთ ყოველი და ნულარა ვსჯით“...

სიზღვირვითა

ჩერდება პატარა მკითხველი.

გკითხება მეგობარს:

— გესმის?!

— მთლად არა..

— მაინც რა გამოდის?!

— მგონი გაუთავისუფლებიათ.. ყველა..

— რა კაცი ყოფილა ცოტნე!

— ჰოოო: დიდი კაცი..

კარებში მამის ხმა ისმის — (ალბად დაბრუნდა):

— ვინ ცოტნე?!

— აი: დადიანი..

— ეს წიგნი სად იშოვე?!

— დუქანში ვიყიდე..

— სად?! ვისთან?!

— კაცები ამბობენ: კარგიაო.. დავიხსომე.. ჯიბის ფული ვაგროვე.. ვიყიდე..

მამა წიგნს დახედავს: „ქართლის ცხოვრება“.

შვილს თავზე ხელს დაკვამს. შემდეგ სიცილით:

— ბიჭო! ქვეყანა იქცევა და შენ „გამთა აღწერას“ ეპოტინები!?

— რა ქვეყანა?!

ბავში გაკვირვებულია.

...

არჩიბალდს ცრემლი აწეება. მიდის ფეხაკრეფით. უკან იხედება. სახლს თუ იხსომებს. ეხლა თითქო ვიღაცას უსმენს შორს დაფლულს. ფესვები ირხვევიან სიხარულით.

შედის სასტუმროში.

მეკარე ბარათს აწოდებს.

— ეს წერილი ბატონო შვიდმა ნომერმა დატოვა.. დამავიწყდა გადმომეცა.. მაპატიეთ..

მეკარე იგრიხება დარცხვენით.

არჩიბალდ ბარათს კითხულობს — (ვამეხ სწერს?!).

„პეტერბურგს მივალ“... „საქმე მაქვს“... „საშიში არაფერია“... „ოლგას ვნახავ“... „უჩემოდ ტფილისიდან არ წახვალთ“... „იმედია“...

სიტყვები თითქო ამოვარდნას აპირებენ.

სიტყვებში — ორი სიტყვა: „ოლგას ვნახავ“.

არჩიბალდს აგონდება:

ზის სავაძელში ხელში ოლგას სურათი უკავია. დასცქერის დაღვრემილი. უკანიდან ვამეხ ეპარება.



— რას დასცქერით?!

არჩიბალდ ვამეხს მოხედავს.

ვამეხ ილიმება. არჩიბალდ არას ამბობს.

— ძლიერ მოგენატრათ?!

არჩიბალდ თავს ლუნავს. ვამეხ არ ეშვება.

— რომ ტფილისში გაჩნდეს უეცრად?!

— ვინ?!

— ოლგა..

არჩიბალდ გაოცებულია.

— შეუძლებელია..

— შეუძლებელი არაფერია..

ვამეხ ილიმება. „აღლანს“ ეალერსება.

არჩიბალდს აგონდება ვამეხის ღიმილი. „ნუ თუ?!“ რალაც გაირბენს ტვინში: „არა“. შემდეგ „აღლანს“ გადახედავს. დოგი დაღვრემილია—(ვამეხის ალერსი თუ აკლია).

არჩიბალდ ბარათის მინაწერს აკვირდება: „გუშინ ტაბა ტაბაჲს მოვკარი თვალი. მგონი ის იყო“. აკვირდება ამ სიტყვებს და ყურს უგდებს გულისცემას.

კუგო გჯაუი

თავი მათაზვიდმთა

არწივი როცა მხეს უცქერის—

კორტნა უნდა მისი: სიკვდილს თუ ხედავს მასში.

მეცხრე საუკუნის მატთანე.

ხელიკის თავი საუკუნოებში ხანდახან ქვაგდება.

ეს ქვა ზურმუხტია. ასე ამბობენ აღმოსავლეთში.

არჩიბალდს აგონდება ხელიკისფერი თვალები: ორი სქელი ფოთოლი ელამურ რომ იცქირებიან. მივიდა ნეტავ ვამეხ პეტერბურგს?! ნახა ნეტავ ოლგა?!

ფიქრები. ფიქრები. და ფიქრებში: ორი მწვანე ფოთოლი.

არჩიბალდ მეკეში თეატრის გვერდით მიდის.

თეატრის წინ ჯგუფებია.

ჯგუფები ცას გასცქერიან ძველი ასტროლოგებივით—

თვალებზე ოდნავ ხელაფარებით.

არჩიბალდ ჩერდება. ისიც ცას უცქერს. განზე ბაასი.

— არ მომწონს რალაც..

— რა არ მოგწონს?!

— ცა დღეს არ მომწონს..

— ის ღრუბელი თუა საეკეო?!



- საექვოა უთუოდ..
- ვაი თუ წვიმა მოვიდა..
- გადადებენ ვითან გააგენებას?!
(არჩიბალდ ყურს უგდებს)
- ჯგუფებს ჯგუფები ემატებათ.
- წვიკითხე გაზეთში?!
- რა წერია ნეტა!?
- გასვენება გადაიდება თუ მზე არ იქნაო..
- ვინ წერს ბატონო მაგას?!
— პოეტები წერენ..
- მომხთარა სადმე ამდენი გადადება?!
— მაგ მამაცბონებულებს ზამთარი გასული გონიათ..
- პოეტები ძმაო ოცნებით ცხოვრობენ..
— რაფა: პოეტები აქ რა შუაშია?!
— ისინი ასვენებენ..
- ვის ასვენებენ?!
— ვისა და მიცვალებულს..
(არჩიბალდს არაფერი ესმის)
- ჯგუფებში ჩოჩქოლია.
- გინახავს ასეთი?!
— დრო გადაბრუნდა და რას უზამ!
— დევიჯერო მაგ უბედურს პატრონი არ ყოლია?!
— ვის არ ყოლია?!
— ვისა და მკვდარს..
- ყავს ბატონო მარა ქე ვინ მიაკარეს?!
— ახირებული ყოფილან შენ ნუ მომიკვტე..
— გაგონილა ასეთი?!
(არჩიბალდს არაფერი ესმის)
- კილომ რა წერია ბოშო მა გაზეთში?!
— ვისაც ცხენები გყავთ გამოდიეთო..
— რაფა: სეირს ხომ არ აპირებენ?!
— სეირია მა რაა: ხმლები ამოღებული უნდა გქონდეთო..
— სადაა მერე ამდენი ცხენი და ამდენი ხმალი?!
— ნუ გეშინია: სასეიროთ ჭიპზე გასკდებიან და მაინც იშოვიან..
— არაფერი მესმის..
- არც არჩიბალდს ესმის. ეხლა კი ჰბედავს—ერთს შეეკითხოს:
- რა ამბავია?!
— ერთს ყმაწვილს ასვენებენ.. ომში მოკლეს..
— მერე?!
— ყმაწვილი პოეტების მეგობარი ყოფილა..
— თვითონაც ხომ არ ყოფილა პოეტი?!

— არა.. ცხენისა და ხმალის მეტი მას არაფერი სცოდნია.
 არჩიბალდის შეკითხვით სხვებიც იძვრიან. გარს ეხვევიან უცხოს.
 ერთი მათგანი განაგრძობს:

— პოეტებს რო კითხო: მოკლულს მზეც ცოდნია.

— როგორ?! მზე ვინ არ იცის?!

— ასე წერია გაზეთში: მზე უყვარდაო..

— ალბათ მისთვის უნდათ მზეში გაასვენონ..

— თვალთმაქცობაა შენ ნუ მომიკვტე..

— აჰა რაა: მითხარი!?

არჩიბალდ სდგას. შემდეგ ისევ პირველს:

— სად მოჰკლეს ნეტაე?!

— გალიციის ფრონტზე..

— გალიციის..

ქართველი არჩიბალდს აკვირდება:

— თქვენ უცხოელი უნდა ბრძანდებოდეთ..

— დიახ..

— კაი დაგემართოთ.. ქართული გისწავლიათ..

— ცოტა..

— ისემც კაი დაგემართოთ.. თქვენ....

შაგრამ ამ დროს ჯგუფები ირხევიან? ხმა ისმის: „მოდიან“..

არჩიბალდს სიმძიმე ეშვება: ძლივს ნოიშორა მობაასე.

პირველი ჯგუფები ისევ ცას ზვერავენ:

— მგონი მზემ გეიმარჯვა..

— ორი სამი საათი გვაცალოს მაინც..

— ცხენოსნები უკვე ეკლესიასთანაა და თუ არ გვაცლის...

— გადადებენ გკონია?!

— უწინეც ასე არ ქნეს! ცხენოსნებიც მზად იყვნენ და სხვებიც..

— არა: დღეს დარი იქნება..

— შენს პირს შაქარი.. თორენ...

ჯგუფები ქაშვეთის მიმართ ეშურებიან.

არჩიბალდ ნეკეშიც მათ ნიჰყვება.

ხალხის გროვები მატულობენ ყოველ მხრიდან.

იმართება პროცესსია. წინ—შვიდი წლის ბავში. ხელში უჭირავს ტანშა-
 ლალი შროშანა როგორც ანთებული სანთელი. ბავშს მიჰყავს უბელო ცხენი
 აღისფერი. ცხენი თითქო დამთხვეულია: ფრუტუნობს და გიყი თვალებით
 იხედება. შორიახლო ერთი მხედარი ცხენს თვალს ადევნებს: არ დაფეთდეს.
 ცხენის უკან რალაც ტორტმანობს ჰაერში. ორი მხედარი წყვილად—წინ. ორი
 მხედარი წყვილად—უკან. წყვილები — გეზად: ერთიმეორის განზე. მხედრებს
 გძელი შუბები აუშართავთ. შუბები ერთი მეორეზე გადაუქედიათ და ქდეულ
 მუხლში შეუკრავთ. შუბის წვეტებზე დაცმულია შქერისაგან მოწნული ჩელტი.

ჩელტი მიმაგრებულია. ჩელტზე: თეთრი კუბო. კუბო დაფლულია ყუაეილებში. კუბოს თავზე მოსჩანს შიშველი ხმალი.

არჩიბალდ მეკეში გამტერებული უცქერს კუბოს. უკრუნუნში
ჯგუფებში ჩოჩქოლია—თუმცა შენელებული. შიშველიყუაეი

- ქირისუფლები სად არიან ნეტა?!
- ვინ მიუშვებს ბატონო ქირისუფლებს!?
- გინახავს ასეთი?!
- ღვდელი სადაა?!
- ღვდელი არაა..
- გაგონილა სადმე ასეთი?!
- წახთა ბატონო ქვეყანა..

პროცესსია დიდდება. პროსპექტის ტანი ივსება.

კუბოს—მაღლა ატაცებულს—მოჰყვება მთელი მხედრობა. ყველა—თეთრ ჩოხებში და შავ ცხენებზე. მხედრობა—რამოდენიმე ასეული. მხედრებს ხმლები გაუშიშვლებიათ. იხედებიან პირდაპირ—(განზე არც ერთი). სახეებზე—მწუხარება დადუმებული. სვლა ნელი: აუჩქარებელი. ერთი რიტმით—მოდუნებულით.

არჩიბალდ მეკეში გამტერებულია: მხედრებში თითქო ეძებს ვილაკას. ჰო: ვამეხ! სადა ხარ ამ წამს?!

ფიქრი მთელ ტანს დაიარს. რად გაეშურა პეტერბურგს?! ასე უეცრად. ასე მოულოდნელად. „საქმე მაქვსო!“—რა საქმე?! „საშიში არაფერიიო!“.. როგორ არ არის ამ წარღვნის ჟამს?! „ოლგას ვნახავო“.. ჰოო: გულში ეხლა მესამე გული ფეთქავს.

არჩიბალდს ჯგუფები შეარხევენ.

ჯგუფები ჩურჩულობენ.

- კაცო!. მომტირალნი არ არიან?!
- ქე დომეებით სამასი ქალი გამეყვანათ თმაგაშლილი..
- მერე?!
- მერე და პროექტი არ გასულა..
- რავა!. ქალაქის საბჭოა თუ?!
- ასეა და.. გასულა ეს: რო ხედავ..
- მერე: ასე ჩუმად?!
- ასე ჯობსო და.. რა ვიცი..
- რა გასვენებაა ბატონო თუ ტირილი არაა?!
- სსსს...
- რა ამბავია?!
- ხმამაღლა ლაპარაკი აკძალულია..
- ეხლა თუ ძმა ხარ ვნაც დამიბი..
- სსს... მოდიან..
- ვინ?!
- პოეტები.. დამმარხველნი..

— ვაი მაგათ პატარა...

აკვირებულს სიტყვის ნახევარად გადაყლაპული რჩება — (პროტებიდან ერთი მკაცრად გადმოხედავს).

არჩიბალდ მეკეში გაოცებულია სანახაობით.

აგონდება ჰამადანში ნახული ხელიკისფერი ქვა და ქვაზე ამოჭრილი სიტყვები. სატყვეებიდან: „უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა“.

„მზე და ხმალი“: აქ ეს რკალია უთუოდ.

ღუმილი და ღუმილში: გაგუდული წუხილი. თან — შვებაც გაურკვეველი. პროცესსია ფანტასტიურ ჩვენებად იშლება. ყველანი ერთს დიდს სხეულში გადასხმულან თითქო. უნარმაზარი სხეული მიიზლახნება ფიქრით დარეკვილი. მზე კალოს მართავს. შუბებს სურთ თითქო მზეს ესროლონ ვაჟი. ხმლები ელვარებენ მზეზე: მზეს ფიცულობენ.

პროცესსია პროსპექტის ბოლოს უახლოვდება.

პროსპექტი ავსილია ხალხის მასსებით — სიგძით და სიგანით.

არჩიბალდ მეკეში კუბოს უცქერს. ეს რა ჩოჩქოლია?! პროცესსიის თავს თითქო რალაც დაეტაკა: თავი შეტორტმანდა.

ვიწრო ქუჩიდან გამოდის ცხენოსანი. უკან ბიჭები მოსდევენ.

„მარკიზ პრობკა! მარკიზ პრობკა!“ ისმის სიცილი და ძახილი.

„მარკიზ პრობკა“ მეტსახელია. „კობტა“ — ესაა მისი ნამდვილი სახელი. პირველი შეხედვით ბავში გვეკონება რომელიც მოხუცს თამაშობს: თითქო გრიში აქვს გაკეთებული. წვერი მოპარსული — (ხშირად არ იპარსავს; ლოკები შეთრთვილული გგონია). უღვაშები ლახათიანად აკვარწნილი. თვალები: კროლა — უნდო და დამცინავი. წამწამებზე თითქო თოვლის ფიფქი. არა: კობტა მოხუცია მაგრამ ბავშვის სიახლე არ დაჰკარგვია. სახეზე კიდევ ემჩნევა ნაკვერჩხალი: კობტა „ყიფით“ იხედება. თავზე: ჟღალი „ბოხოხი“ უკვე მოძველებული. ტანზე: რუხი ჩოხა — ისიც მოძველებული. ჩოხა თითქო სხვისია: ღვედის ზევით აჩლახულია კობტა პატარა ტანის კაცია. მაგრამ ჩოხა კობტას მუხლებამდი ძლივს წვდება. „ნამლევას“ — (ასე ეძახიან მას ხანდახან) — კაპრიზი თუა. ღვედი დამძიმებულია დიდი სატევარით. ღვედზე იქითაქეთ — მრავალი კვესი დიდი და პატარა. თუ თუთუნს არ სწევს — ჩიბუხი უკან აქვს გვერდში ფიშტოსავით გაყრილი. მაგრამ როცა ჩიბუხს მომართავს მოსაწევად — მაშინ უნდა უყუროთ მის „დიდრაჯობას“. მსმენელნი გარსახევეია. კობტა სიღარბაისლით უყვება მათ სხვადასხვა ამბებს. კობტა ყოფილი თავადია — (ჩვენ შორის: ამბობენ — „მაძიებელიაო“). კობტას ყვარებია ქალაქის თამაში: განსაკუთრებით „ბაქარა“ — (ჩვენში დარჩეს: „კონჩინას“ გარდა არა იცის



რა). კობტას „ბაქარაში“ დიდი ფული წაუგია. კობტას ქალიც ყვარებია—(ქალთან არც ყოფილა: ეტყობა). ქალი რუსი ყოფილა: ქერა გრაფინია, ქალის ცანფი დუელი ჰქონია. დუელში ვიღაც მოუკლავს. შემდეგ ციმბირში გადაუსახლებიათ—(კობტა ღიმილით გადაჰკრავს—რომ აქ „პოლიტიკურ“ მხარესაც ჰქონდა ადგილი: კობტა ლიბერალია). მსძენელებს ყველაფერი ეს და ათასი სხვა სჯერათ. საკვირველი ისაა: რომ ეს კობტასაც სჯერათვითონ. კობტა პოლიტიკასაც თვალს ადევნებს. „როგორაა კობტა ომის საქმე?!“ ეკითხებიან. კობტა ჩიბუხს მოსწევს და გააპურკყებს. კობტა მეტერნიხის სახის გამომეტყველებას იღებს—(გეფიცებით: არ „თამაშობს“—ასე „გამოუდის“): „უნდა ვთქვა: რომ თუ... და კობტა წამოდგება: მხრებში ისე იმართება თითქო გარდაქმნილი იყოს...

— მარკიზ პრობკა!. მარკიზ პრობკა!.

ყვირიან ბიჭები. სიცილი და ხარხარი.

კობტა ცხენით მოდის. ცხენი ძვალა და ტყავი. ბიჭებს ცხენის კულზე დიდი თანაქა გამოუბამთ. ეს კობტამ არ იცის.

ჯგუფები მიიწევიან.

— ბიჭოს!. ეს რაღა საფთხოვებელია!.

— კობტა.. „მარკიზ პრობკა“.. არ იცი?!

— ჰაა.. „პრობკა“.. ეს რა ჯაგლაგი უშოვია..

— კატაფლკიდან თუ გამოხსნა.. ჰა..ჰა..ჰა..

— ხედავ როგორ ხის ცხენზე?!

— თითქო გიორგი სააკაძე იყოს.. ჰა..ჰა..ჰა..

— სსსს .. ჩუმად..

— მარკიზ პრობკა!. მარკიზ პრობკა!.

არ ეშვებიან ბიჭები. სიცილი—(ეხლა შეკავებული).

სიცილი პროცესსიაშიაც გადადის შეუმჩნეველად.

მაგრამ კობტა გულს არ იტეხს. გაბედულობისათვის ცოტა კიდევ „გადაუკრავს“: სახე აწითლული აქვს. სადავე ისე უჭირავს თითქო ბედაურზე იჯდეს. პატარა ბიჭებს წყროშით გადახედავს ხოლმე. მაგრამ ბიჭები არ ეშვებიან. კობტა მათრახით ჰაერსა სჭრის. ცხენი წაიწევს. უკან თანაქა ხვდება ფეხებში. ცხენი გახტება: წაიფორხილებს. კობტა ცხენს აკავებს. „მარკიზ პრობკა!. მარკიზ პრობკა“.. ბაეში—პროცესსიის წინამძღოლი—უფერად ჩერდება და თვითონაც შესძახებს: „მარკიზ პრობკა!. მარკიზ პრობკა!“ უბელო ცხენი ფეთდება. კობტას ცხენი კიდევ უფრო. კობტა მათრახს გადაჰკრავს. ცხენი წინ წაიწევს და ისევ წაიფორხილებს. უბელო ცხენი გავარდება. მას დაედევნებიან. კობტა წაფორხილებულ ცხენს ველარ აკავებს: ცხენი წაიჩოქებს წინა ფეხებზე. კობტა გადმოვარდება. სიცილი. ამ დროს კუბოც შეიბრევა. კობტას შარვალი ძვრება—(შეუბნევი დარჩენია: ისწორებს). სიცილი და ხარხარი. კუბო კიდევ

— შეიძლება.. შეიძლება..

ეხლა „იმედი“ იწყებს სრიალს. გადადის ერთიდან მეორეში. „იმედი“ „იმედს“ აძლიერებს.

არჩიბალდიც თავს აიმედებს.

პროცესსია განაგრძობს სვლას.

არჩიბალდ სცილდება პროცესსიას.

...

არჩიბალდ მეკეში ამას ფიქრობს: სხვების ფიქრს.

კაცის გული ასეა მოწყობილი — „ოღონდ სხვა“. არჩიბალდის გულიც ასეა მოწყობილი: „ნეტავ სხვა ლაშხი აღმოჩნდებოდეს“. ეს არის პატარა ძაფი. ძაფზე აკიდებულია გული — (მეკეშის გული). გული შიშობს ძაფი არ გაწყდეს; ძირს უფსკრულია. არა: ძირს — ყვითელი ნაკვერჩხლებია. გული დაიწვის.

არჩიბალდ მეკეში — მაგარი მეკეში — მემკვიდრე ირუბაქიძეების — უტენი ირუბაქიძეების —

არჩიბალდ მეკეში გამტყდარია

და ამ პატარა ძაფს ეკოწიწება.

(ტაბა ტაბაჲს მაინც შეხვდებოდეს)

მზის ნარკენი

თავი მათკვამათა

და მზით მოვარდნილებს

დახვეწილ მკლავებზე

დალათ გვაჩნევია მზის ცხელი ნარკენი.
კარდუ.

სასტუმროს კარებს სოფლის გოგო მიადგება. თავი წაკრული აქვს თავსათარით. მხრებზე მოხვეული აქვს თავშალი. სოფლის გოგო მალაღია — თუმცა ქოშები უქუსლოა. დარცხვენით შედის სასტუმროში. შესავალში მეკარეა. იგი მაგიდაზე (რომელიც საწიგნეს უფრო ჰგავს) სასტუმროს წიგნს ათვალთქვებს. მეკარე ოდნავ თავს ასწევს. სათვალეების ზემოდან იხედება.

— ვინ გინდა?!

— არჩიბა.. ინგლისელი..

— სარეცხი მოუტანე?!

— რა სარეცხი?!

მეკარე სოფლის გოგოს ათვალთქვებს — (არა: ეს მრეცხავი არაა).

— ბიჭო!. ვასილია!. მერვე ნომერი შინაა?!

რა ნომერი?! სოფლის გოგო გაოცებულია.

— არაა.. გევიდა წებან..

„არაა“: გოგო დაღონებულია..

— ხომ არ იცი: სა წევიდა?!



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბიბლიოთეკო

- ასე დეიბარა თიატრში მივალო..
- რომელ თიატრში?!
- ქართულში..
- გოგო გაჩერებულია—(შესაძლოა არც იცის: რაა თიატრი).
- წასულია.. ქართულ თიატრში..
- სადაა თიატრი?!
- გაყევი მარჯვნივ და იკითხე.. აგერაა ახლო..
- სოფლის გოგო გახარებულია: აქ ყოფილა ჯერ კიდევ—უცხოელი. მიდის თეატრისაკენ. კითხულობს. უჩვენებენ.
- გოგო დარცხვენით შედის თეატრში. სახე კუშტი აქვს და მედიდური. ხოლო სიკუშტეც და მედიდურობაც შიშნარეგია.
- ბილეთი!.
- ეკითხება ვილაც.
- რა ბილეთი!? გოგო გაშტერებულია.
- რა გინდა?! ხმა ამოიღე!.
- უმეორებს იგივე.
- მე.. არჩიბა.. ინგლისელი.. ნახვა მინდა..
- ინგლისელს კი არა ქართველსაც ვერ გაიგებ აქ..
- გოგო არ მიდის. ხალხის დენა თანდათან მატულობს. გოგოსათვის უცხოა ყველა. ვილაცას თვალს მოჰკრავს—(სახე არ უჩანს). გოგო გაექანება. სახე ენთება. შეძახილი თითქმის კივილია:
- ვაშეჰ!.
- უცნობი მოტრიალდება. „არა: ვამეხ არაა“.
- გოგო თავს ღუნავს დარცხენილი. უცნობი ჩერდება. უცქერს.
- ვინა ხარ?!
- გოგო თავს ასწევს. მხოლოდ ეხლა ხედავს უცნობი გოგოს თვალებს.
- ინგლისელის ნახვა მინდა.. არჩიბა ჰქვია..
- შერე?!
- აქ არიო.. სასტუმროში მითხრეს..
- უცნობს ხიბლავენ თვალები.
- წამოდი.. შეიძლება ვნახოთ..
- გოგო მიჰყვება: აწითლული და აღეწილი. ხალხი ზომავს თვალებით. გოგო უცხო ფრინველივით ისვრის დაღურსულ ხედვას იქითაქეთ—(მიმინოს თვალებს აუკერავენ და შემდეგ აუხსნიან რომ უფრო მჭრელი იყოს მხერა: სოფლის გოგოს თვალებში ეს მხერაა).
- უცნობს კულისებში შეჰყავს გოგო.
- აქ დაიცადე..
- გოგო კუთხეში ჯდება განაბული.
- ქურდული მხერით ვაჟებს ათვალაიერებს: „ეგებ აქ იყოს. ეგებ ამათში გამოჩნდეს“. გოგოს გული სასწაულს თუ ელის.
- კულისებში ხრილია. პოეტებსა და არტისტებს კამათი აქვთ.



- პანტომიმა მზადაა.. მაგრამ..
- როგორ „მაგრამ“?!
- (შემკითხავი პანტომიმის მომწყობია)
- თამარი მოვნახეთ.. მედეაც.. ქეთევანიც..
- წმ. ნინო?!
- ნინო ვერ მოვნახეთ..
- ქალი დაილია საქართველოში თუ?!
- არ დაღუულა.. მაგრამ..
- მაგრამ რა!?
- შენ რომ გინდა მისთანა ვერ ვიშოვეთ..
მოდის სხვა. მოჰყავს ქალები.
- ამათში ამოარჩიე..
მომწყობი ათვალღერებს.
- უკაცრავათ.. ესენი არ გამოდგებიან..
(„უკაცრავათ“ ქალების მიმართ არის). ქალები მიდიან.
- გამაგებინე ერთი: რა გინდა?!
- ნინოს მალალი თეძოები უნდა ჰქონდეს.. თვალები გიშერის.. მაგრამ
ისეთი გიშერის სილუშეც რომ ციალობდეს შიგ.. მკერდი აკვრივებული..
- მერე საქართველოში არ მოიძებნება აგეთი?!
- რა ვიცი!? ვინც მოიყვანეთ—არც ერთი არ ვარგოდა..
- ლამაზები არ იყვნენ თუ?!
- მათი სილამაზე ბიზანტიურ ღვთისმშობელისაა.. მკლე არის ყველა..
სისაფსე არ აქვთ.. არც ვნება..
- ასეთი თუ გინდა რუსებში ამოირჩიე..
- არა: უთუოდ ქართველი უნდა იყოს..
- ვინ გაიგებს?!
- ვინ გაიგებს!? რასსა უჩინრად ამხელს თავის თავს.. დღეს რასსის
ზეიშია..
- სოფლის გოგო გარინდულია კუთხეში გუგულივით. ყურს უგდებს ბაასს.
არათერი ესმის—(ნუ თუ სიზმარშია?!).
- მაშ ნინო ნუ იქნება..
ამბობს ერთი.
- ნინოს გარეშე პანტომიმას არ გავმარჯავ..
- კაცო!. ვინ გაარჩევს გიშერში სილუშის ციალს?!
- გეუბნები: რასსა უხილავ ხაზებშია..
ჯიუტობს მომწყობი.
- პოეტებს და არტისტებს ვინმე (რომელმაც გოგო შემოიყვანა) უახლოვ-
დება. სახეზე სიცილი აქვს.
- ნუ თუ ამდენ ხანს ნინო ვერ გამოვნახეთ?!
- გამოვნახეთ.. მაგრამ ამას არც ერთი არ მოსწონს..
- ეგებ ეს სოფლის გოგო მოეწონოს..

ამბობს მოსული სიცილით.

ყველანი კუთხისაკენ გაიხედავენ: საწყალი გოგო წითლდება. მიდიან მის-
კენ: გოგო იღეწება. აკვირდებიან: გოგო იწვის.

— აბა ადექ!

გოგო ღვება. სახე: კუმტი და მედიდური. შიშნარეობა არ ემჩნევა. მხო-
ლოდ ალი ეღება.

სინჯავენ თვალით.

— ლაზათიანი ტანი აქვს..

სოფლის გოგო თავს იწყევლის—აქ რომ მოხვდა.

— მოხსენით თავსაფარი.. მოაცილეთ შალიც..

გოგო გრძნობს: თითქო ატიტვლებენ. მთელი ტანი ნაკვერჩხალია: მხო-
ლოდ ისეთი—ცრემლი რომ მოადგება. გოგო თვალეზზე ხელს იფარებს.

— ნუ გრცხვენია.. ჩამოუშვი ხელი..

გოგო ხელს ჩამოუშვებს. შუბლს ღუნავს. იცქირება გალურსული.

— ეს არის.. ნამდვილი ნინო.. წაიყვანეთ..

იძახის მომწყობი.

— რომ ვერ შეისწავლოს?!

— რა შესწავლა უნდა!? მარტო გამოჩენაც საკმაოა..

სოფლის გოგო მიჰყავთ.

...

თეატრის დარბაზში არჩიბალდ მეკეში ზის. დარბაზი გაქედლია ხალხით.

სცენაზე მიდის მიმოდრამა—(შიგადაშიგ „სიტყვაცა“): „ცოტნე დადიანი“.

შანშე. ეგარსლხნ. ვარამ გაგელი. ყვარყვარე. კუპრო მოთაჲ. სარგის თმოგველი.
პერელნი. კახნი. თორელი გამრეკელი. მესხნი. ტაოელნი. შეთქმულნი ნოინების
კარვების წინ არიან. ელიან დასჯას. მოდიან ნოინების ბრძანების აღმასრულებ-
ბელნი. მიჰყავთ შეთქმულნი. ტანსაცმელი უნდა გახადონ. სიცხეში უნდა გაიყვა-
ნონ საწამებლად. ამ დროს შემოდის მაღალი კაცი. იხდის სამოსელს. „ვინ
არის?“ — „დადიანი ცოტნე“. — „რა სურს?“ — „იგიც დაისაჯოს.“ — „რისთვის?“ —

„იგიც შეთქმულებთან იყო“. ნოინებს უკვირთ—(მონლოლებს სიმართლე უყვარ-
დათ). ხდიან დასჯას. შეთქმულნი იხარებენ. ეხვევიან ცოტნეს.

დარბაზში გულეებია მარტო. თვალეზი ცრემლებს მალავენ.

გულეებში გულია არჩილბადის. თვალეზი არჩილბადის ყველას თვალეზშია.
ირხევა გვარის ხერხემალი. შორიდან ანათებენ სახეები ირუბაქიძის. სიმართლე
მზის—სირაინდე ხმალის: ზვავდება გულში. თვალეზი ცრემლებს ველარ აკავე-
ბენ. არჩილბად მეკეში თავის თავს აღარ ეკუთვნის: შიამქვს სადღაც მომსკდარ
ნიაღვარს. ტალღა იკარგება (იკარგება?!) ოკეანეში.

მიმოდრამას მოსდევენ სხვა სცენები: რასსის ნატეხები.

გურულთა სიმკვირცხლე და კისკასი სიმღერა (რომელ-
მაც მსგავსი არ იცის სამყაროში). მეგროთა დათასმული
ძრაობა და შენპარავი მხერა (რომელსაც მოაქვს ზღვის
ნაპირების სურნელი). სევანების დაკორძილი კუნთები და

ჰიმნი „ლილე“ (რომელიც შუბნაკრაფი მზეა) ქართლელთა კამბეჩური უდრეკობა და გულის სიმართლე (რომელიც ნიშანია მძლეობის თუ გამძლეობის). კახთა როკვა და ხმალი (რომელიც ლხინია თვითონ). ფშაუთა შაირობა (რომელიც ვაჟას გამოისროლის). ხევსურთა ფარიკაობა (რომელიც ცდის უშიშარ მორკინალს). იმერთა რასსიული დახვეწილობა და სიღარბაისლე (რომელიც ედავება ყველა რასსებს).

არჩილბად მეკეში თავის თავს აღარ ეკუთვნის. იგი ყველას ეკუთვნის: ყველა აქ მყოფს. ყველანი ძმებია მისი. ძმების კრებულს მიაქვს იგი შორეულ ფესვებისაკენ. მეკეში ბურანშია. მას ყველაფერი ავიწყდება. ერთი რამ ახსოვს მარტო: ხვლიკისფერი ქვა ჰამადანში ნახული. ჰაა: ეხლა ესმის საოცარი სიტყვა ზედ ამოჭრილი:

„ჩემი ძმა
არყოფილი
ვითარ მიყვარდის
უმეტეს მზისა
და უმეტეს ხმალისა
რამე თუ იყო იგი
სხვაჲ ჩემი“.

ზეიმი საკონცერტო დარბაზში გადააქვთ.

საარტისტო ოთახში ზის სოფლის გოგო: „ნინოდ“ მორთული. ელის არჩიბალდს. ნუ თუ ვერ მონახეს ამდენ ხანს?

— ვერ ნახეთ?!

ეკითხება შემომყვანს დალონებული.

— მითხრეს: აქ არისო.. ნუ გეშინია.. ვნახავთ..

— რომ ვერ ნახოთ?!

— როგორ ვერ ვნახავთ?!.. რა საქმე გაქვს მასთან?!

— ჩემი ძმის ამბავი მინდა გამოვკითხო..

— ვინაა შენი ძმა?! ინგლისში იყო თუ?!

სოფლის გოგო თავს ლუნავს. შემკიოხველს ვილაც უძახის. უცხო კაცი მიდის. გოგო დამცხრალია.

პოეტები და არტიისტები კაბაოესთვოს ემზადებიან.

დარბაზი ავსილია მაგიდებით. ერთს მაგიდას უზის არჩიბალდ ესტრადის ახლო. უზის მარტო.

სასმელები და საკმელები — ქართველებმა რომ იციან. „სუფრაც რასსის ნიშანია“ — ამბობს ერთი პოეტი. ორკესტრი სიმებიანი. ქეიფი. ქართული ქეიფი. (ესეც რასსის ნიშანია?!).

ესტრადაზე: ხან პოეტი — ხან არტიისტი.

სახელებს კინოს ტილო ამცნევს.

კონფერანსიე—მაღალი და ბრგე პოეტი: რომლის თვალეშია გულის გადახსნაა მარტო. პოეტს დავიწყებია რომ ქვეყანაზე პროხით ლაპარაკობენ. რითმებს ისე ისვრის როგორც მონარდე კამათლებს— („დღეშია“ გამოდის ყოველთვის).

არჩიბალდ მეკეში თვრება: ღვინით და არეთი. უფრო უკანასკნელით. მის გვერდით მაგიდაა. მაგიდას უზის ლამაზი ქალი—(ქერა რუსი). ქალთან ქართველია ასხეპილი. არჩიბალდ მეკეში ხანდახან ქალს გადახედავს. ქალს მოსწონს ლალი სახე. მაგრამ „ასხეპილს“ ეს არ მოსწონს. არჩიბალდ ამას ვერ ამჩნევს. რა იცის „ასხეპილმა“ მისი სილალე!?

არჩიბალდ მეკეში ხანდახან ფითრდება: თითქო უცხო ლანდს მოჰკრა თვალი. ვამებ.. სადაა ნეტავ?! როგორ დაშვენდებოდა ამ ზეიმს.. ვაი თუ.. არა.. შეუძლებელია.. მეკეში რალაცას კვნეტავს: ფიქრის კბენას თუ კვნეტავს. სახე უფითრდება. „ასხეპილი“ ამ ფითრს სხვანაირ ხსნის: „წყრომა“ თუა მოპირდაპირის. რა იცის „ასხეპილმა“ მისი გაფითრება?!

ესტრადაზე ატაცებაა და თვითონაც ატაცებულია.

არტისტს ცვლის არტისტი. პოეტს პოეტი.

გამოდის ერთი პოეტი. „სიკვდილი ირრუბაქიძის“—ამბობს ნელი ხმით. (ირრუბაქიძის?! „ვილაც“ წამოვარდნას აპირებს).

პოეტი ჩერდება. ხალხს თვალს გადაავლებს: თითქო ფაკირია. ფერი ეცვლება. ცალ კუთხეს იკვნეტს ბაგისას. საფეთქელში თითქო ელვა ხვდება.

(საფეთქელი „ვილაცასი“ ელვაა თვითონ გამსკდარი)

პოეტი იწყებს. ლექსი თითქო ბუცეფალია. პოეტი: თითქო ალექსანდრე რომელიც ურა ცხენს იურვებს.

„ვილაც“ თავდალუნული უსმენს პოეტს. კუნთებს თითქო ყურები გამობშიათ. კუნთებში ესხმიან სიტყვები. სიტყვები ლითონებია. „ხმალის ჩამოვარდნა და ორად გადამსხვრევა“. „აივანზე გასვლა“. „ცხენის აწყვეტა და გავარდნა“. „ლამაზი ხასის გადევნება და ცხენის ქამანდით დაქერა“. „ცხენზე შეჯდომა და ცხენის გაკენება“. „ლუში ტევრები ყანის და მხის მეწამული ღვარები“. მრავალი მრავალი სხვა. „ვილაცა“ გარინდულია: მთელი სხეული ორკესტრია თითქო. ვინ აახმაურა ორკესტრი?! არ იცის. არაფერი იცის. იცის მხოლოდ: არა: აგონდება—მამისაგან დატოვებული პერგამენტი. მაგრამ ამათ საიდან იცის—პოეტმა?! ვალაც აყვანილია მაღლა: ატორტმანებული. უსმენს პოეტს—(თუ თავის თავს?!). პოეტი განაგრძობს. უეცრად სიტყვა—თითქო ხმალის დარტყმევა და ხმალის შუაზე გადატეხვა: „კვდება ირრუბაქიძე“...

— არ მოკვდება..

ყვირის „ვილაც“ წამომბტარი.

ვინაა?! შეშლილი თუა. პოეტი ჩერდება. გადმოხედავს.

— მე ვარ ირრუბაქიძე..

იძახის ვაჟი. სიერცეში იხედება—თითქო გადარეული.

ჩოჩქოლი გაგუდული. პოეტი აღარ ათავენს. გავარდება.

„ასხეპილი“ პოეტის მეგობარია. შეურაცხებას თუ ხედავს!? წამომბტება და

მეკეშს ხელს მოუქნევს. მეკეში ელვად ხელს ახვედრებს და მოქმედებს იცდენს. შემდეგ ორივე ხელით ჰაერში აიყვანს და აჩერებს. ერთი გამეტება და „ასხე-პილი“ ძირს უნდა დაერთყას. მაგრამ უცერად მეკეში რბილად და „ასხეპილს“ დაუშვებს. ხელებს უკან მოიჭდობს და თავდალუნული ფიქრობის დარტყმევას.

„ასხეპილი“ უკან იხევს გაოცებული.

ხრიალი მდუმარებაში გადადის.

მოვარდება პოეტი (კონფერანსიე). მეკეშს ორ სიტყვას ეტყვის. „ასხე-პილს“—სამს. ხუთი სიტყვა საკმაოა რომ ინციდენტი გათავდეს.

მეკეში—ეხლა დარცხვენილი—პოეტს ათვალეირებს. ნეტავ ვისა ჰგავს?! ისეთივე უშუალობა—ისეთივე სიადვილე.

ესტრადას უკან პოეტს ეშუდარებიან: ხელმეორედ წაიკითხოს ლექსი. პოეტი უტეხია. „არას გზით“: იძახის.

მეკეში ისევ კონფერანსიეს ათვალეირებს. თითქო მის თვალეებში ვილაც დაინახა—მაგიდას დაეკრდნობა დალუნული. შემდეგ ისევ აიწევს და გაქვავდება. პოეტი აღარ სჩანს.

არჩიბალდ მეკეში ძმებშია და ისევ ის სიტყვა აგონდება ხელიკისფერ ქვაზე ამოჭრილი: სიტყვა—ძმის მიმართ. „ძმა“ ეხლა მას ურტყამს—(ხომ მოუქნია?!). ტკივილი ფესვების. მაგრამ „წყენა“ არა: ერთი წვეთიც.

მეკეში ტკივილს უსმენს გარინდული.

ესტრადის თავანზე კინო—ტილო სახელებს ამცნევს:

ნინო—ქეთევან—თამარ—მედია: პანტომიმა.

— რაა ბატონო სულ ნინო და სულ თამარ..

ჩურჩულობს ვილაც..

— სხვა ქალები გაწყდა თუ?!

კვერს უკრავს მეორე.

ერთი ჯგუფი ილიმება. მაგრამ ესტრადანზე უკვე გამოსულია ქალი. ტილოზე სახელი იჭრება: ქეთევან. ღიმილი ჰქრება. ქალის სახე თითქო ზმანებაშია წამებას რომ ელის. დარბაზის განაშვავში რალაც მსერავი გაირბენს. დარბაზი გასუდრულია.

გამოდის მეორე. ტილოზე: მედია.

— ეს ვილაა?!

კითხულობს ერთი.

— კიდომ კარქი რო სამისათვის მაგეც მიუმატიათ..

ამბობს მეორე.

— ვინაა კაცო!?

— სულერთი არაა: ვინაა!?

ქალი კოლხის სილამაზეა და რისხვა. ამორძალი—იგი ხმალზეა ათამაშებული. თუ გახელდა—ძუძუს ამანთავს. თუ იძია შური—საკუთარ ბავშვებს დაახჩობს.



— ძაან ლამაზი ყოფილა..

ამბობს ერთი.

— მწყრალი კია ღმერთ წინაშე..

მიუგებს მეორე.

— თუ ჩაგიგდო ხელში..

— შენს მტერს მაშინ..

ჩუჩქული წყდება. გამოდის მესამე.

აქ ტილო საჭირო არაა. დარბაზი თუხზე დგება და ჰკივის: თამააარ. ასეთი წამწამები მარტო თამარს აქვს.

დარბაზი სხდება. გამოდის მეოთხე. კინო ამცნევს: ნინო.

დარბაზი ინგრევა ტაშის გრიალით. მის წინ დგას წარმართი ასული რომლის რასსა წყაროს თვალში გავლებული სპეკალია. სისხლი მართალი და შეურეველი. ასეთანი იყვენ აღბად ქარსველი ტომების ასულნი შევზღვას რომ მოადგენ პირველად. დარბაზი ინგრევა ტაშის გრიალით.

„ნინო“ იღეწება: არ იცის რა ჰქნას.

არჩიშალდ თვალს ვერ აცილებს. „ის“ ხომ არ არის?! არა. აქ როგორ მოხვდებოდა?! ქართველი ქალები ერთიმეორეს ჰგვანან. მაგრამ თვალის წინ „ისაა“ მაინც. ხომ უწოდა „მას“ ნინო: იქ—„საირმეში“?! მზის ჩასვენებისას ყვითელი აღი ნელდება. „საირმეს“ მთები მაშინ ლილისფერ სამოსს მოიხსამენ. ლუშ სამოსიდან. ლუში თვალი იხედება: ძვირფასი თვალი რომლის გუგაში თითქო მზის ნატეხია გარჩენილი.

„ნინო“ იწვის. ველურია. მან პანტომიმა რა იცის?! მიჰყვება სხვებს რხევაში როგორც მთვარეული. ხანდახან დარბაზში გაისვრის ცქერას მაგრამ ვერაფერს ხედავს. მხოლოდ ერთი მაგიდა იტაცებს: ესტრადასთან რომაა. მაგრამ რათ აქვს იქ მჯდომს ცალ სათვალე. ეს მას რომ არსად უნახავს?! უცხო კაცი მონოკლს იხსნის და ისე უცქერს. „ნინო“ მიჰყვება სხვებს. ჩამოიარს ესტრადის პირას. კიდევ გადაისვრის ცქერას: და უეცრად ესტრადიდან გადმოხტება.

— არჩიბა.. არჩიბა..

— მატასი.. მატასი..

მატასი პირქვედამხობილი მუხლებზე ეხვევა.

არჩიბალდ წამოაყენებს.

ჩოჩქოლი. ხრიალი. გაოცება.

— სად არის ვამეხ?! სად არის ვამეხ?!

არჩიბალდ მატასის თვალებს ხედავს. ამ თვალებს როგორ მოატყუებს?! არჩიბალდ იბნევა. მატასი მისი დუმილით ირევა.

— სად არის?! მითხარით.. თქვენ იცით..

არჩიბალდმა იცის. მაგრამ მან იცის სხვა სიმართლეც: უფრო მაღალი. ამ თვალებს სხვას ვერას ეტყვის.

— ვამეხ სპარსეთშია..

— სპარსეთში? მაშ რუსეთში არ ყოფილა.. არ დაუზვრეტიათ..

— არა.. დამშვიდდით..
 — ვამეხ.. ვამეხ.. ვამეხ..
 და თითქო ვამეხ ნახა — არჩიბალდს ეხვევა.
 მატასის სახე ცრემლით ილტობა.
 არჩიბალდ ცრემლს იმაგრებს.
 დარბაზს სტოვებენ.



...
 ზეიმი ივსება აზარფეშოვით.
 ვინ შესვამს?!

...
 — დედა ნინო როგორაა?!
 — შადლობით.. კარქათი..
 — ბაბუა სარიდან?!
 — ისიც კარქათაა..
 არჩიბალდ მატასის აცილებს. ქუჩაში სიცალიერვა.
 — ხომ ჩამოხვალთ ჩვენსა?!
 — სად?!
 — სოფელში..
 — ჩამოვალ..
 — ვამეხს ჩამოყვებით..
 — ჩამოყვები..
 — მატასი ხარობს. არჩიბალდ ტკივილს მალავს.
 მიდიან ვერის ხიდზე. ეს ვინაა?!
 — სერ არჩიბალდი!
 — ტაბაა ხან!..
 სპარსი თუ ჰინდუ თუ ეგვიპტელი მატასის უცქერს,
 — გაიცანით: ვამეხის დაჰ..
 — ჰაა: ვამეხის.. სადაა ეხლა?!
 — შემდეგ გიამბობთ..
 არჩიბალდ ტკივილს ველარ მალავს. კიდევ კარგი: რომ ლამეა. უფრო
 კარგი: რომ მატასიმ ინგლისური არ იცის.
 „ვამეხის“ ჭაგონებაზე მატასი ილწეობა.
 უცხო კაცს იტყნეულ უცქერს.
 აცილებენ მატასის.
 — მაშ უთუოდ მოხვალთ?!
 — უთუოდ..
 — ვამეხთან ერთად!?
 — მასთან ერთად..
 ემშვიდობებიან. ხელს ართმევენ.
 მატასი აღარ სჩანს.

არჩიბალდის მარჯვენას რალაც შერჩა—ცხელი და შშრალი: მატასის ხელის თრთოლვა—ვით ბადეში გაბმული მიმინოსი.

საქართველოს
საბჭოთაო მემკვიდრეობა

პ ა მ ე ს

თავი მათცხრამება

„ძმური ნუგეში“ გაჩაღებულია. ორკესტრი სერავს ხმაურს. ვინ გინდა იხილო?! ქართველი. სომეხი. თათარი. ოსი. მთიელი. ებრაელი. პოლონელი. ესტონელი. ლიტოველი. რუსი აფიცრები. პოლკოვნიკები. „ზემგუსარები“. ხაკები. შინელები. საბეჭურები მრავალნაირი. და მოელი გუნდი მოწყალების დების. და მთელი ხროვა აფიცერთა ცოლების. ხასები. დებიმონდენები. პაპიროსის ბოლი. ყავა და კონიაკი. „კახური“. ხრიალი. ჟრიალი. ქეიფი. დროსტარება. ახალი რომანსი. ვილაც ტენორი „ზემგუსარი“. ვილაც ბარიტონი: ისიც „ზემგუსარი“. ქალები დაყურსულები და ვაჟები ატეხილები. აქაიქ თვალეში: სიფილასის ციალი. ისტერია და ბაკჰანტები. დახლთან ხანგადასულნი მანდილოსანნი—რომელნიც თავის სილამაზეს იგონებენ. მაგიდებს თავს ევლებიან წამოჩიტული ქალიშვილები: „პირველ გამოსვლას“ აქ ცდიან..

კუთხეში ზის უცხო კაცი. ყოველთვის ამ მაგიდასთან ზის. იციან—და მაგიდა დაკავებულად ითვლება. უცხო კაცი ქალიშვილებს არც მიმართავს დაკვეთისათვის. ქალიშვილებმა ესეც იციან. მოაქვთ: მაგარი შავი ყავა და კონიაკი. გუშინ ასე იყო, დღეს ასე არის. ხვალეც ასე იქნება. უცხო კაცი არავის უცქერს: თვალეები უსაგნოთ იხედებიან. არც ინძრევა. ხანდახან სიგარას თუ მოსწევს. მის ირგვლივ ჩურჩულია ყოველთვის:

- ვინ არის?!
- ინგლისელი თუა..
- ესპანელსაც წააგავს..
- იერი ქართველისა აქვს..
- ჩგებ კიდევ ესმის..
- რას ამბობ?!

უცხო კაცს თითქო არ ესმის.

ორკესტრი აღარ უკრავს. ესტრადაზე პოეტები სცვლიან ერთიმეორეს. ლექსებს წარმოსთქვამენ: თითქო მტერს ეომებიან. უთუოდ მორკინალთა შთამომავალნი არიან. რას არ ახელებენ?! მთვარეს. ივერიის ასულს. ბულბულს. დიონისოს. აპოკალიპსს. და კიდევ რას?! რითმებით ეჯიბრებიან ერთიმეორეს. ასსონანსებით—ხმალში იწვევენ. ყველაფერს ახელებენ: თვითონ კი ტაში ახელებთ: როგორც ალერსი ამორძალის.

კარებში ვილაც თავს შემოყოფს. თავი იგრიხება და კანკალობს. თმებს ჯერ მაკრატელი არ უნახავთ. თვალეებიდან—თვალეები ბზიკებია—ფოსფორი კიაფობს: ლოთობის თუ სიგიჟის თუ ორივესი. უთუოდ გორკის მეგობარია. თავი დაიყვირებს:

В магазинах трехэтажных
продаются трикотажные...

მაგიდები ახითხითლებიან:

— აი პოეტი თუ გინდა ეს არი..

— ასეთს ასსონნანს ჩვენს ესტრადასაც გაუქრდება..

კარებში შემოყოფილი თავი თამამდება:

— Сегодня авиатор

Похитил травнату...

მაგიდები ეგებებიან:

— პოეტი მაგ ყოფილა..

— გაუწვით ესტრადაზე..

თავი განაგრძობს ყვირილს:

— ორააანგ—უტააანგ..

— აი ხმოვანება ლექსისათვის..

თავი შემოგორდება.

საჭმელს აწოდებენ. სასმელს. ღვინოს.

მას არაფერი უნდა. მას უნდა მხოლოდ არაყი. ერთი ჭიქა არაყი. მოუ-
ტანებენ. ხელები აუთამაშდება. უცქერს სავსე ჭიქას. ბოდღერის ლოთს თვა-
ლებში ასეთი ამღვრევა აღბად არ ჰქონებია. ხელი უცახცახებს. ტუჩები კიდევ
უფრო. სიხარულით?! ეგ რომ იცოდეს—ბედნიერი იქნება. მაგრამ ბედნიერი იქ-
ნება: იცის, გადაჰკრავს ერთბაშათ. თვალებს გადმოკაკლავს. თითქო მთელი სა-
მყარო იხილა მთლიან—აღებულს. ჭიქა არაყი—სამყარო. გადის. „უცხო კაცი“
გადმოკაკლულ თვალეში ჩანომჩხვალის მხერას ხედავს—მესოპოტომიაში რომ
წააწყდა..

ისევ ორკესტრი. ისევ ხმაური. ქუჩაში კი:

— პრეჩისტე სპაასეეე..

ვოლგის ნაპირებიდან თუ არიან. კაცი და ქალი. თვალები ორივეს ამომ-
შრალი აქვს. ქალის ხმა: წრიპინი, კაცის ხმა: დიდი სადგურის შევიცარის.
მიდიან. მიიმღერიან. საიდან და საით?! თვითონ კი იციან?!

— სპასიიი..

— ეს ლა გვაკლდა კიდევ!

— ჯერ კიდევ სადაა!?

(მაგიდებს აქვთ წინასწარი გზნება)

— ახალი რომანსი!. ახალი!

— უთუოდ! ხვეწნაა საჭირო?!

„ხემგუსარი“ საყულოს ისწორებს ესტრადაზე:

— Гордая прелесть осанки —

страстная нега очей...

ქუჩაში კი:

— ექსტრა! ექსტრა!

— ბრესტის ზავი!





- ბოლშევიკებმა დათმეს..
- ყარსი.. არდაგანი.. ბათომი..
- ამიერკავკასიის მთავრობა ემზადება..
- ექსტრა!. ექსტრა!. ექსტრა!.

მაგიდები შეირხევიან:

- ვინ ჰკითხავთ მაგათ ზავის შეკვრას?!
- ზავს ვუჩვენებთ მაგათ..
- ერთი ხელთ ვიგდოთ და...
- რომანსი!. რომანსი!.
- ისევ რომანსი სჯობს..

„ზემგუსარი“ განაგრძობს:

Все это есть у пшанки—

Дочери южных полей...

ქალიწვილები დნებიან—მაგიდებს რომ უტრიალებენ.

„უცხოელი“ ზის უძრავად.

ხშირად ტყეში მიდიხარ. ღამეა უნთვარო. ზევით ვარსკვლავები და ირგვლივ ტყის ტევრები. სიჩუმე: რომელსაც კაცი შორს გადაჰყავს. სმენა მახვილდება. ისმის კალიების ზუილი. თითქო თვალწამებია მარადის. გასუდრვა და სმენა იღუმალების.

„უცხო კაციც“ ტყეშია თითქო. კაფეს ხმაური კალიების ზუილია. შორს გადასულა ფიქრებით. ირგვლივ თითქო ოკეანეა და ოკეანეში მხოლოდ ერთი ფიქრი როგორც გაუჩუმებელი ქვალი: „შესაძლოა?!“ მეგაზეთე ბიჭების ძახილი აფხიზლებს. ყიდულობს. კითხულობს. „იმ“ ამბავზე არც ერთი სიტყვა. მაგრამ რა გააქრობს „იმ“ ამბავს?! დახვრეტა სადგურზე. დახვრეტილთა შორის ნაცნობი გვარი. ნუ თუ „ისა“?! ნუ თუ „მასთან“ „ისიც“ იყო?! არა: შეუძლებელია. ფიქრები ავდებიან. ქვევანა თუ იქცევა?! „დაიქცეს—მხოლოდ“..

ჰო: ეს „მხოლოდ“!. ყველაზე უფრო საიდუმლო სიტყვა. ჭიანჭველა მიდის. კამეჩი ფეხს აბიჯებს და გასრესს. კამეჩი ვერც ხედავს რომ გასრისა. მთა სკდება და კამეჩს სრესავს. მთა ვერც ხედავს რომ გასრისა. მიწა ირყევა და მთას მიანგრევს. მიწა ვერ ხედავს რომ მიანგრია. პლანეტა პლანეტას ეჯახება და მიწას მიათუშვნის. პლანეტები ვერ ამჩვენენ რომ მიწა იღუპება. მაგრამ სად არის ის: რომელიც ყველაფერს მიანგრევს და თვითონ უნგრეველი დარჩება?! არ არის?! მაშ ყველაფერი ინგრევა: არა რა რჩება!|. მაგრამ გული რომ სხვას ამბობს:! გული ვერ ურიგდება „არას“. გული ცოცხლობს მხოლოდ მით: რომ „რალაც არის“. იყოს ეს „რალაც“ პაწა ჭიანჭველა: გულისთვის იგი მთელი სამყაროა. ჭიანჭველა გაისრისება—გული სისხლად დაიქცევა...

- ექსტრა!. ექსტრა!. ექსტრა!.

კიდევ მეგაზეთე ბიჭები.

- რევოლუციის იმარჯვებს..
- ბოლშევიკებმა დაამარცხეს..
- ბოლშევიკებმა დახვრიტეს..

„უცხო კაცის“ ტვინი შანთებია:

— გაიმარჯვოს: მაგრამ „მე“... „მას“ ვინ იხსნის?!
რა დააბრუნებს დაკარგულს?!



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამსახური

— ექსტრა! ექსტრა! ექსტრა!

— სმენა წაიღეს ღმერთმანი ამ ბიჭებმა..

კარი იღება. შემოდინან: კაცი და ქალი. მაგიდები აიღეწებიან: ზოგიერთნი წამოვარდებიან.

— ვამეხ! ვამეხ! ვამეხ!

უნდათ ყელზე მოეხვიონ: მაგრამ „აღღან“ ვის მიუშვებს. დოვი თვითონ ეხვევა სიხარულით აყვანილი ვაჟს. შემდეგ ქალს მიაშურებს: იმასაც ეხვევა-არჩიბალდ დგება.

მაგიდები ყვირიან:

— ვამეხ გადარჩი!!

— დახვრეტილი გვეგონე..

— ღებეშებში შენი გვარიც იყო ნახსენები..

— ჩემი მოგვარე დახვრიტეს..

— გილოცავთ გადარჩინას..

მთელს კაფეს „ვამეხ“ აკერია ენაზე. ისეთი დახვედრაა—თითქო ამ ხნის განმავლობაში მარტო მისი ფიქრი ჰქონდათ. მხიარულ სახეებს მართლაც ეტყობათ გახარება. განსაკუთრებით ერთს მაღალ პოეტს: რომელიც „ვამეხს“ საძრაობას არ აძლევს. ვამეხ არჩიბალდს ხედავს. ოლგა უკვე მასთან ხის. ვაგემიც მიდის.

— არჩი!.

— ვამეხ!..

ძმური გადაქდობა ყელი-ყელზე.

ოლგა იხდის ტყავის ფრენჩს. 'მოფერის ქუდს სკამზე დებს. მაგიდები ეხლა მას უცქერიან. წითური თმა აბურძგვნილი აქვს. სახეზე: თითქო მტვერი და ქარი. მაგრამ ერთი მოხედვა განზე — და ქალის მიმართ მაგიდები პერპენდიკულარულ იგეზებიან. მკერდი?! ასე მაგრად ნადირი თუ სუნთქავს.

— ორკესტრი!. ორკესტრი!.

არჩიბალდ თითქო მღვიმედან გამოდის: საცა მარტოობა იყო ბნელი და მორიელები. ხედავს გაშლილ არეს: თითქო დიდი ნიგვზის ჩრდილიდან. მოლას სიმწვანეს მზე ხვითოდ ეფინება. ხვითოში ქალის ტანი იკვეთება ალღეწილი.

გული თქრიალობს ვაჟის: რომ დახუთვას გადარჩა.

— ოლგა!.

ზურმუხტის ფოთლები ხალასდებიან.

ვაჟი ისუნთქავს მათრობელ სივრცეებს ქალის თვალებში რომ ისარკებიან-განზე ისევ შეძახილი:

— ორკესტრი!. ორკესტრი!.

მაგრამ ჯერ არ შექმნილა ორკესტრი: ეს სიხარული რომ გადაიღოს.

(ამას არჩიბალდ ფიქრობს)

ლხინი მატულობს.

— ვამეხ! აქ მატასი იყო..

უეცრად მიახლის მეგობარს ღიმილით..

— მატასი? აქ?! რა უნდოდა?!

ვამეხ ამ წამს ხმალია ქარქაშიდან რომ ამოიღებენ.

არჩიბალდ უყვება მატასის ამბავს.

ვამეხ ავარდება. გარბის.

— ამ წუთში.. დეპეში უნდა გავგზავნო..

მარტო „აღლანს“ უკვირს მისი გაგარდნა.



სკვითაგის მანაღა

თავი მარცხი.

გული მფეთქი ფრიად...
ჰომეროს

რა ემართება ოლგას?!

არჩიბალდს გუშინდელი სცენა აგონდება:

— არჩი!. რა წარმტაცია ივდითი ოლოფერნს რომ თავი მოკვეთა: აღ-
ბად გაძღა მისი სისხლით..

— რად ნოგაგონდა?!

— არჩი!. ივდითს რომ საქმარო ჰყოლოდა.. ერთადერთი..

— მერე?!

— როგორ მიიღებდა უკან ივდითს?!

— როგორც ისრაელისათვის თავდადებულს. როგორც მტარვალის
მკვლელს..

— მტარვალმა რომ სხეული იგემა მისი?!

— ეს უნდა დაევიწყნა საქმაროს..

— „უნდა“... ასე გგონია?!

— მე მგონია..

— ივდითს რომ ვერ მოეკლა ოლოფერნ?!

— მაშინაც... მხოლოდ...

— მხოლოდ დაევიწყება ძნელი იქნებოდა.. არა?!

— მეც ასე მგონია..

— ივდითს რომ ოლოფერნის ნაყოფი ჩარჩენოდა?!

— ?!. ?!. ?!.

— რომ ნაყოფი ვერ გადმოენთხია?!

— ?!. ?!. ?!.

არჩიბალდს აგონდება ოლგას ამღვრეული თვალები და თავისი გარინ-
დება თითქო შიშით.

არჩიბალდს სხვაც აგონდება:

თითქო დაკოდლი ავაზა — ქალი ავარდება და ყვავილთა თაიგულს ეცემა მოსუნთქავს ნადირივით: თითქო წყაროს დაეხრტნო. შემდეგ ეხვეწება თუ გაუგედა?! თაიგულს სრესავს და აბნევეს.

— ოლგა! რა გემართება?! ეს ვარდები ვამეხმა ნოჯიტანა ხომ?! ოლგა! ოლგა!

ოლგა გავარდება. აკრებს ყლორტებს და ფოთლებს. ჰკოცნის სათვითაოდ. შემდეგ არჩიბალდს ეცემა. კისერზე ჩამოეკიდება. თითები თუ სტირიან ასე მწარედ:

— არჩი! არჩი! არჩი!

— ოლგა! რა გემართება?!

რა ემართება ოლგას?!

რუსეთი აიშალა.. ეგებ მან აშალა ოლგაც?! ათასი უბედობა. ათასი ვარამი.. მაგრამ ეს ამბავი ოლოფერნის?! რად მოიტანა?! რად გაახსენდა.. არა: აქ საიდუმლოა რაღაც.. ოლგა გაამხელს მას.. ოლგა არჩიბალდს არას დაუშალავას.. მაგრამ ეს დასრესა და დაურა ყვავილების?! ვამეხის მიერ მიტანილის?! შემდეგ — კოცნა დაურილ ყვავილების?! ბოლოს: ტირილი — ტირილი.. რაა ყველა ეს?! პაწა ფიქრმა ტვინს უკბინა და წამსავე გაქრა.. ვამეხ?! დავიჯერო?! არა.. არა.. უმჯობესი იქნება — ქვეყანა დაიმხოს..

არჩიბალდ წყველის იტეს.

რა ემართება ოლგას?!

არჩიბალდმა არ იცის.

დიონისო როს ახლოვდებოდა ქალთა გუნდი მისი სიახლოეთი ივსებოდა: როგორც ტანდაცლილი წყარო. როს იგი მოვიდოდა უკვე?! მაშინ წყაროს თავს გადასდიოდა წყალი. ქალთა გროვა ღვთიურობით მთვრალი თავდავიწყებას მიეცემოდა. მაგრამ დავიწყებას რაღაც გასეჩავდა მწვავე და ნეტარი. და ქალთა გროვა უეცარი ასხლექით ატყდებოდა და დიონისოს მიმართ გაექანებოდა კივილით: ევოე! ევოე!

ოლგაც მენადაა ატეხილი?! იგიც დიონისოს ხვდება?! ან ელის მას — „დამხსნელს“?! მაგრამ სადაა იგი?! ვინ „დაისხნის“ ქალს?! ოლგას თვალები ფართოვდებიან: გუგები აღარ სჩანან: ნისლოვან სილუშეში ინთქებიან.. თვალები რაღაცას ხედვენ გაშტერებით..

ოლგა ხედავს:

ველები. ველები. დაკარგული სადგური ველებში. კაცმა არ იცის: ვინ არიან ეხლა პატრონნი ამ სადგურის — „წითლები“ თუ „თეთრები“ თუ „მწვანენი“. გადახრუკული არე და დაბეჭილი სივრცე.

მატირებელს აჩერებენ.

ოლგა და ვამეხ გადახტებიან.

მიჰყავთ. ოლგას თეძოებს ვიღაც გაშმაგებით უყურებს და ინერწყვება. ვამეხ თვალს მოჰკრავს.

— ოლგა! დავიუწნოვეთ ტანი! ხომ იცით: რომ ყველას ახლებს იგი..
ხედავთ იმ კაცს?!

— ვხედავ.. ამაზე მეტად რით დავიუწნოვო?!
თავზე: ჩამოფხოტილი შოფერის გახუნებული ქუჩის უკუთელი
ტყავის ფრენჩი გამურული და შავი კაბა შეხეული. ფეხებზე: ჩექმები კაცის.
ვამებს ეღიმება:

— მაინც...

ვილაც მოდის. „ის“: რომელიც სხვანაირად უცქერს,
ქალს მიმართავს:

— თქვენ უნდა დარჩეთ..

— როგორ?!

— თქვენი მხლებელიც..

— რისთვის?!

— ვინაობაა გამოსარკვევი..

მატარებელი მიდის.

გადამწვარი არე კიდევ უფრო გადახრუკულია. სიერცის მელანქოლია
კიდევ უფრო მძაფრია. ჯარისკაცები დაყიადობენ დაგლეჯილ შინელებში და
„სემიჩკას“ კბილავენ. ოლგა უყურებს შორით ნავალ ვამებს. ჯარისკაცები
წამოეწვიან. გვერდული სიცილი. ვამებ იგრუხება. გროვა სადგურს უახლოვ-
დება. უფერად გაისმის:

— Да ты грузо голопятый..

ვამებ დათავენას არ აცდის..

აილებს და იქვე დაანარცხებს. მოვარდება მეორე: იმასაც. მესამე — იმასაც.
მეოთხე — იმასაც. მაგრამ თოფებს რას უზამს?! უფროსი გამოჩნდება:

— შესდექით!. ხელი არ ახლოთ!.

თოფები თავს დაბრიან. ვამებ „ვილაცას“ მიჰყავს.

ოლგას თვალები ფართოვდება.

სალამოს ოლგასთან „ვილაც“ მოდის.

— თქვენი მხლებელი საექვოდ მერვენება..

— როგორ?!

— ესეც არ იყო: მან ჯარისკაცები შეურაცყო მოქმედებით. ჯარის-
კაცები მის დახვრეტას ითხოვენ.

— რას ამბობთ?!

— მე მათ მოთხოვნას წინ ვერ აღვუდგები.

— ღვთის გულისათვის!!

დუმილი ერთი წამით. თვალები აცეცხლებულნი:


— თქვენი გუ..ლი..სათვის...

— რას ამბობთ?!

— „ერთი ღამე“ — პირობა..

— თუ გაგიჟდათ!.

— შემდეგ გაგაპარებთ.. ორივეს..



ქვემოთაა
ქვემოთაა

— შეიშალებო?

— არჩევა სხვა არ არის..

ქალი ფერხთ ქვეშ ეცემა. მუხლებზე ხელებს ხვევს.

— ყველაფერი... ყველაფერი... მხოლოდ „მაგ“ არა...

— მხოლოდ „ეს“ და სხვა არეფერი..

— გე..მუ..და..რე..ბით..

— ვადას გაძლევთ სამს საათს.. მოიფიქრეთ..

— გეხვეწებით.. ყველაფერი.. მხოლოდ...

„ვილაც“ აღარა სჩანს.

რათ ირევა ქვეყანა?! სად მივბრუნდებით? ქალი პირქვე გდია.. ვამეხის დახვრეტა?! არა.. არა.. მერე არჩი?! არა.. არა.. მსხვერპლი უდიდესი?! იყოს— თუ დაიხსნის.. ვილაცას ჩურჩული ესძის: „ერთი ღამე“—თითქო სიზმარია... ქალი იმღვრება.. იღვენთება.. დრო სადღაა?!

კარი გაიღვია.

მზადა ხართ?!

ქალი უხმოთ მიჰყვება.

(ოღვა წამოვარდება.. თითქო სურს გაპრეკოს მოლანდებანი. მაგრამ ლანდები უკან მისდევენ).

ღამე წყველი. დროიდან გამოვარდნილი. ხელშეხება: თითქო ასფებს შეხება. ლოშნა: თითქო გომბეშოს ლორწი. ჰაა: მეტი არ ძალოძს.

ოღვა წამოხტება.. გაგანიერებული თვალები თითქო მოჩვენებას ხედვენ.. მოჩვენება კუთხიდან:

— „ერთი ღამე“ სიზმარია.. წაირეცხება.. წყალი მოვარდება და წალეკავს ხსოვნას.. არაფერი დარჩება.. ნაყოფი?! ამისთვის ექიმია გაჩენილი.. სოპერაციო მოწყობილობაც.. ამოაგდებენ და გასრესენ.. ქალობა შერყვნილი?! ეს ხომ ძალობა იყო!. თუ ქალის გული არ გადაეხსნა ვაჟს როგორც ყვავილის თასი მზის ტევრს: ისე ვაჟი ქალს ვერ მიწვდება.. პერიფერიას თუ შეეხება მისას.. შერყვნილი ქალობა შენ არა გაქვს.. არჩიბაღდ?! არჩიბაღდ არავის ჰგავს.. ის სხვაა.. ის ყველაფერს გაიგებს.. აღარც გაახსენდება?! ხსოვნას მოკლავს.. უთუოდ.. მაგრამ ოლოფერნის ამბავზე რომ შეჰკრთა?!.. ბუნებრივია: ვაჟკაცია. არა: იგი ხსოვნასაც მოჰკლავს...

„მაგრამ შე რომ ვერ მოგვკლავ?!“

ოღვა კიდევ წამოვარდება. ლანდი აღარ სჩანს.

ოთახიდან ქაშვეთი სჩანს. იგიც ქალწული.

ოღვა გავარდება სასტუმროდან.

შედის ტაძარში.. დგება ღთისმშობელის წინ.. ეხლა იგი მარტო გულია.. სიტყვები იბადებიან და ინთქებიან.. არა: შენ ქალი ხარ! შენ გაიგებ! ვაჟისთვის რაა ნაყოფი? არაფერი.. შემთხვევითი „განთავისუფლება“.. ქალისთვის?! იგი სისხლია.. იგი ხორცია.. მაგრამ მოძალადის ნაყოფი?! იგიც სისხლია: მაგრამ ბაღმბიანი.. იგიც ხორცია: მაგრამ შმორიანი.. უნდა ამოვადო?! მაგრამ ნაყოფი ხომ საშოშია ჩაზრდილი!. რომ ამოვადო—ხომ საშოც წახდება!. მაშ

სიბილწე?! დარჩეს?! ჰოი: ღვთისმშობელო!. წაბილწული საშო!. წაბილწული საშო!... სიტყვები იბადებიან და ყელში იგულებიან.. იქითაქით იხედება.. ხალხია.. ნეტავ ხალხი არ იყოს.. დავარდებოდა.. იკეცვებოდა.. უდიდი დედაც მოხედავდა.. ეხლა?! ეხლა მხოლოდ სიტყვა ესმის გაგულებულ წაბილწული საშო!. წაბილწული საშო!.

გარეთ გავარდება. ფიქრები—შანთები.

არა.. ეს ალბად ჩემი ხვედრია.. ნეტავ არჩიბალდ იყოს ცუდი.. ცოტად მაინც.. მაშინ უფრო გადავიტანდი.. არა.. იყოს ასეთი: კარგი.. გული არ მოკვდება.. ყველაფერი კვდება.. გული არ კვდება.. შეწყვეტს ცემას—მაგრამ უხილავ ბადეთ გადაიქცევა.. იქ ეყოლება მეორე გული: დარჩენილი.. რომ გასკდეს ისიც?! ბადეში გაეგება.. არა: ასე სჯობას.. სიკვდილი?! სიკვდილი შიშია მხოლოდ.. სხვა არაფერი.. ვისაც არ ეშინია ფარდის ახდის: იგი უკვდავია.. ვისაც ხელი შეუშინდება ფარდის ახდისას: იგი მხოლოდ არაობას შეხედავს და თვითონაც გაჰქრება...

შედის ოთახში.. რაღაცას ამზადებს.. ეხლა დამშვიდებულია თითქო.. სწერს.. გადახედავს ქაშვეთის ქალწულს.. შებრალებას თუ თხოვს?! შეიბრალებს.. ერთი ფიქრი—გადაწყვეტა: სასტიკი და მოუბრუნებელი..

მხოლოდ ერთი სახელი ტუნებზე დარჩენილი:

არჩი... ბაღდ...

რა ემართება ოლგას?!

არჩიბალდმა არ იცის. ან ეინ იცის?.

„ალანს“ აზმორებს: თითქო ცუდი სიზმარი ნახა.. გარბის.. ყეფს.. რა ემართება?! კარს გაუღებს.. გავარდება.. ოლგას ოთახს ეცემა.. არავინ აღებს.. არჩიბალდ მიდის.. არაკუნებს.. პასუხი არაა..

კარს შეამტვრევს..

ტახტზე ქალის ტანია გაშხვართული. თვალებზე ორი იისფოთოლი გადაჰკვრია. ჩაღურჯებული. თმები ბალიშზე ჩამოშლილან მზის გასუდრულ შქერებად. სახეზე: სიმშვიდე უკანასკნელი. აღარც წყევს. აღარც კრულვს. აღარც შურვს. აღარც ნდომს. სულ პატარა თხოვა მხოლოდ: აპატიონ ეს სასჯელი. გულზე ვაჟის სურათი შერჩენია. მარჯვენა ხელი გადმოვარდნილა გვერდით. ხელს ბარათი დაუგდია.

გაჩერებულა გული: „მფეთქი ფრიალ“. არაოდეს აღარ აიძვრის. არაოდეს?! გული ყოველთვის სხვა გულში ცოცხლობს. მკვდარ გულთან ეხლა მეორე გულია: ამ გულში თუ გადმოეშვა. მაგრამ ეს გულიც რომ ამოვარდნილა?!

ოკეანეში მეზღვაურები ზვიგენს დაიქვრენ ხანდახან. გულს გამოშიგნავენ და უგულო ტანს უკან ისვრიან. გული განაგრძობს ფეთქვას. გულს ბაქანზე დაავდებენ: გული მოაჯირს ეხეთქება. გულს ოკეანეში ისვრიან.

გული მიცურავს როგორც შეშლილი ძველი: საგულეს დაეძებს საცოდავი. მაგრამ გამოუატრული ზვიგენი უკვე ჩაუნთქავთ სხვა ზვიგენებს. მაშინ ვერცხელ კიდე ავარდება ამოგდებული გული: ვინ მისცემს მის კივილს?! გული აფუვდება ბრაზით: რომ უეცრად დაიფშუტოს სამუდამოდ.

ეს გული არჩიბალდის გულია.

გული მასაც ამოვარდნია.

„აღლან“ წკმუნის.

ბარათით პატარა სიტყვები: თითქო ფრთაჩამოყრილი ჩიტუნები სუსხიან ღამეში.. „ვინ აიტანს ნოდალადის ნაყოფს?!“ „შანთები ამოსწვავენ საშოს“.. „ვინ გადალახავს გარდუვალს: ვინ მისცემს დავიწყებას ბილწის ცხელ დაღს?!“.. „რომელ ვაჟს არ აუწვავს იგი ხსოვას?!“.. „ვინ მოსპობს მესამეს ორთა შორის გავლილს?!“.. „ვერავენ—ხორცსმული“.. „ვერც ერთი ქალი ნამდვილი“... „უმჯობესია სიკვდილი“..

მე გადავლახავდი გარდუვალს:

ამას დარჩენილი გული ჰკივის. მაგრამ პირველ გულს კივილი ვვლარ დაეწევა.

ქვითინი გაგუდული.

საულ! საულ! დღეს ვერ დაგამშვიდებს შენ ქნარი დავითის.

ეხლა ორნი არიან. არა: „აღლანიც“ მათთან არის. არა: ოთხნია: გაჩერებული გულიც მათთან არის.

— წაიკითხე!

ჩურჩულით ეუბნება ერთი.

მეორე ბარათს ჰკიდებს ხელს.

ტუჩები იმსხვრევიან... „ვამებს როგორ მივცემდი დასახვრეტად?! ვარჩიე „ერთი ღამის“ მიცემა მსხვერპლად“..

— რად არ დამხვრიტეს მე უბედური!

ვაჟი ტახტთან დავარდება იტირებული.

ეხლა: გაგუდული ქვითინი „ორის“.

არა: „აღლანიც“ წკმუნის.

საულ! საულ! ვინ დაგამშვიდოს?!

ღამით კუბო მიაქვთ დახურული. კუბოს მიჰყვებიან: არჩიბალდ და ვამებს. ტაბა ტაბაც მათთან არის. „აღლანიც“ მათთან არის. მიაქვთ მატერია. ასე მიდიან: თავდახრილები. არას იტყვიან. ეშინიათ—ერთიმეორის შეხედვის.

ხანდახან ერთის ტანი გადაქანდება. ხელი მხარს მოეველება მეორისას.

მიდიან. მიაქვთ.

ასე მიდიან დასახვრეტნი.

ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას.

(დასასრული იქნება).

კონ. ლორთქიფანიძე.



ტყე მ ლ ე ბ ი.

უწინ ბავშვობისას, სავარდო თვეებში
გიყვარდათ ტყემლების დარხევა უთუოდ:
ყლორტებს და ყვავილებს იქსოვდით თმებში და
ლიმილით ლულავდით თვალების ქუთუთოს.

ყოველი ყვავილი გულს ცისკენ აჩქარებს,
ცაო თვალ-მაღალო, ჩვენსკენ გადმოგორდი:
ო, ვსვამდით სიცელტებს, თითქო კლდის ჩანჩქერებს
და მუხლებს ვესროდით ველებს და მთავორებს.

ეხლა იმ ტყემლებთან თუ აღარ ვნაგვარდობ,
რა ვქნა, ყვავილებათ ჩემი ხმებიც ხარობს:
ერთი შევარხიო ხმა გულის სავარდო
ნახე თუ როგორი ზეცა მოვიბარო.



საქართველოს
წიგნწერის
და გამომცემის
კავშირისთვის

ს ა მ ნ ი

რომანი სამ ნაწილად.

ნაწილი მეორე.

გაგრძელება*)

XI

ზნეობრივი აღზრდის გვერდით ბარბარე უდიდეს ყურადღებას აქცევდა შვილის სასწავლებელში აღზრდასაც.

— ღმერთმა პირში სული ნუ მიდგას, თუ ჩემი შალიკო ნასწავ კაცად არ გაუხადოო, — ძახლა იგი თავიდანვე, — ტყავი რო გავიძრო, ურჩის ვალი რო ავიღო, ამას მაინც ვიხამო.

ქართული წერა-კითხვა თითონ ასწავლა შვილს, მოკითხვის წერილების, თამასუქებისა და ასპიდის დაფის საშვალეებით. მათ სოფელში იმ დროს სასწავლებელი არ ყოფილა, მხოლოდ ზამთრობით სოფლის დიაკონი გახსნიდა ხოლმე თვითურ შკოლას: გაზაფხულამდე სწავლება ექნებოდა, თვეში ათ შაურს, ხან სამ აზაზს აკრეფდა შემთხვევით მოწაფეებისაკან, რომელთაგან ბევრი წვერულვაშიანიც კი იყო — და მარტში — ჩვენა თესვის დროს — სასწავლებელიც იკეტებოდა.

— ბავშვებში გაერევა, გათამამდება და იმიტომ ვაბარებ, თვარა ჩვენი დიაკონის ოდენას მეც კი ვასწავლიდიო, — ცოტა არ იყოს თავმოწონებით ამბობდა ბარბარე.

დიაკონს იმ თვეში ამხანაგად აეყვანა ერთი ნასალდათევი „მწიგნობარი“, რომელსაც მთელ სოფელში თავი მოსწონდა „უჩენიის“ ცოდნითა და „ნალევონაპრაფოს“ ძახლით. სოფლელები მას „ფეთებელს“ უწოდებდნენ. ამ ნასალდათევ მასწავლებელს, მართლაც, გაგიყვებით უყვარდა გიმნასტიკა და სოფლის ტიტლიკანა ბიჭებს მთელი საათობით აყუნცულებდა სიცივეში. შალვასაც არა ერთი და ორი საათი გაუტარებია ამ ყოფაში.

— Раз, два, раз, два, — ყვიროდა „ფეთებელი“: როცა სოფელში სკოლა გაიხსნა, შალვაც მაშინვე იქ მიაბარეს მშობლებმა. რაკი შალვამ სოფლის შკოლის კურსი დაასრულა, ტარასიმ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ შვილი „კაცში გაურია“ და განიზრახა მისი სავაჭრო დაწესებულებაში მიცემა. მაგრამ ბარბარეს სულ სხვა გზა ჰქონდა შვილისათვის ამორჩეული: გადაწყვეტილი ჰქონდა შალიკო სოფლის მასწავლებლად გამოეზარდა, ასე ურჩია მათი შკოლის მასწავლებელმა, რომელიც შალვას ნიჭითა და ბეჯითობით პირდაპირ აღტაცებაში მოდიოდა.

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 3 (23).

ცოლის ასეთი გადაწყვეტილება ტარასიმ კარგა ხანია რეკობდა, მაგრამ ეგონა, ისე ლაპარაკობსო, თორემ სერიოზულად ასეთი აზრი როგორ მოუვიდოდა თავში ჩემ დედაკაცს—ვინ ჩვენ და ვინ ნასწავლე შეილიყისა.

მაგრამ ბარბარე მტკიცედ იდგა თავის აზრზე და სრულუბრუნე არ ხუმრობდა, რითაც ძალიან გააკვირვა და კიდევ გააჯაფრა ტარასი, რომელსაც წამოზრდილი შვილი გვერდით უნდოდა ამოეყენებია და მით ცხოვრების უღლის თრევა შეეძსუბუქებია.

ტარასი მრავალის მხრივ შეუჩნდა ცოლს, მთელი თავისი ნათესაობა აამოძრავა; არავინ არ იყო ნათესავებიდან ბარბარეს მხარეზე, ყველა ურჩევდა ეკმარებია შალვასთვის რაც ისწავლა და „გაყურსონიკებაზე“ ფიქრისათვის თავი დაენებებია.

მაგრამ ამოდ: ბარბარემ მაინც თავისი გაიტანა, მაგრამ არა უთავბოლო დაქინებით, არამედ სრულის სახრიანობით და დაფიქრებულის მსჯელობით. შალვამ ბრწყინვალეთ დაიჭირა გამოკდა საოსტატო სემინარიაში. ბარბარეს ცას ხელი უწვდებოდა: ჩემი შვილი მასწავლებელი იქნება და სხვა შეილებსაც გამომიზრდისო.

მეზობლები შურის თვალით უყურებდენ: გადიდკაცება უნდა, გაკვირვებულია, თავის ქერქში არ ეტევაო.

შალვა სემინარიაში სახაზინო ბარჯით იზრდებოდა; მეზობლებს ეს პირველად არ უნდოდათ დაეჯერებიათ: „ჩვენი ტარასიის ქლვინტიან ბალანას სახაზინოთ ვინ გამოზრდისო“, მაგრამ როცა ეს შართალი გამოდგა, შურს გულში იკლავდენ და შემთხვევის დროს ბარბარეს კუდიანს უწოდებდენ.

შალვამ ბრწყინვალეთ დაასრულა სემინარიის კურსი. მშობლების სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით გაფოფინებული იყო ბარბარე.

— ახლა ხომ კარგი შეიქმნა ჩემი ნარჩევი,— ეუბნებოდა ქმარს, როცა შალვამ მასწავლებლობის ხარისხი მიიღო და თავზე ბრჭყვიალა კაკარდიანი ქუდი დაიხურა, — ახლა ხომ გამოგვეზარდა სასახელო შვილი, თითონაც კარგი კაცია და ჩვენაც მოგვეხმარება, აბა!..

— შეილო, დიდი კაცი კი ხარ, მასწავლებელი გამოდი, მაგრამ ჩემი სწავლება კიდევ დიდხანს დაგჭირდება, — ეუბნებოდა შვილს, — ამპარტავნობა არ დაიწყო, უკადრისობა არ დაგჩემდეს, არავინ დაჩაგრო, არავინ დაამცირო, ყველას ტკბილი სიტყვა უთხარი, პირიდან შექარი უნდა გცვივოდეს... ნუ დაგავიწყდება, რომ საწყალი კაცის შვილი ხარ, ლარიბზე ლარიბის, გებრალეზოდეს ჩვენსავით ლარიბი... აბა, შენ იცი, თუ მამაშენივით გულ-საწყალი და ალალ-შართალი იქნები...

შალვამ სემინარიის კედლებიდან გამოიტანა მტკიცე გადაწყვეტილება აუცილებლივ მიელო უძალიესი განათლება. მასში სჩქეფდა დედის სისხლი და მტკიცე ნების ყოფა, ეს კი იმის თავდები იყო, რომ შალვა ამ გადაწყვეტილებას შეასრულებდა.

ოთხი წელიწადი იყო შალვა სოფლის მასწავლებლად; ამ ხნის განმავლობაში ის ერთის მხრივ რომ თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდა, მეორეს მხრივ სიმწიფის მოწმობის მისაღებად ემზადებოდა.

პირველად, როცა სოფელში გაიგეს, ჩვენი ახალი მასწავლებელი უცოლ-შვილოაო, ქალიშვილებს ღიმილიანი ზმორება აუფარდათ და ემბოჯურად გადახედეს ერთი მეორეს—აბა ვინ დააკვესინებს იმის გულს ნაპერწკლებსო. მაშინვე მიიტანეს შესაფერი იერიშები, მაგრამ ამაოდ, მაღტკარწუნდენ, რომ ფუქსავატ ადამიანთან არ ჰქონდათ საქმე და უკან დაიხიეს;—„ან არ კადრულობს ჩვენისთანა დაბალ ხალხს, ან და ბერად თუ უნდა წასვლაო“.— ირონიით ამბობდენ უკუქცეულნი.

შალვა უკიდურეს სიღარიბეში სცხოვრობდა. ერთი რა არის ახალგაზრდური თავდავიწყება და უზრუნველი განავარდება მას არ განუცდია: ღარიბული ჩაცმა-დახურვა, ასეთივე სმა-ჭამა და შრომა, გამუდმებული შრომა.

ოთხი წლის შემდეგ შალვამ მშვენივრად ჩააბარა სიმწიფის გამოცდა და ორიოდ ათეული მანეთით უნივერსიტეტს მიაშურა.

მშობლებს ერთობ არ მოეწონათ შალვას ასეთი ნაბიჯი, ასე გასინჯეთ ბარბარეც კი წინააღმდეგი იყო.

— შვილო, ერთი საწყალი გლების შვილი იყავი, წვითა და დაგვით გამოგზარდეთ, გეკმარებია რაც ისწავლე; რაც შენ შეგეფერებოდა, იმისი სწავლაც კი გქონდა, რა საჭიროა მაინცა და მაინც მეტობა და სხვაზე წინ გასწრება,—ეუბნებოდა დედა, რომელსაც გულის სიღრმეში სიხარული უღვიოდა, რომ მისი ღვიძლი შვილი „უნივერსში“ შედის და დიდი ნასწავლი გამოვა, მაშინ მისი შემადარე ვინ იქნებაო,—ფიქრობდა.

— ეგ სულ შენი ბრალიაო,—უსაყვედურებდა ბარბარეს ქმარი,—შენ შეაყვარე წიგნი და მალე ვნახავ, რომ ისე გადიდკაცდეს, არც კი გიკადროს. მე ბევრი გამიგონია ნასწავლი კაცი, რომ თავისი ღარიბი დედ-მამა არ უკადრებია და თავის გვერდით სუფრაზედაც არ დაუსვამს. ჩვენაც ასე დაგვემართება, დიდი სწავლა დიდი კაცების საქმეა.

ტარასი გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ ბარბარე მის და გასაგონად ესაყვედურებოდა შალვას, თორემ ჩუმად ალბად ამას ეუბნება—სულ ისწავლე, მამაშენს არ დაუჯეროო.

ამაში ტარასი მაშინ უფრო დარწმუნდა, როცა დაინახა, რომ ბარბარემ შალვას რუსეთში წასვლის დღეს რამდენიმე თუმანი ფული უსაგზლა და თანაც წაღმა მოაბრუნა ყველა წმინდანების და ძლიერი ხატების ხსენებით.

შალვა წელიწად ნახევარი იყო უნივერსიტეტში. ამ დროს სახალხო მოძრაობა დაიწყო და შალვაც შეცურდა ატივტივებულ ზღვაში.

ევას სოფელში კომიტეტის დავალებით სარევოლიუციო მუშაობისათვის წასვლა—ეს პირველი ნაბიჯი იყო, რომელიც გადადგა მან საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოქმედოთ.

მშობლები აშკარად ხედავდენ, რომ შალვა თანდათან იზრდებოდა მათ წარმოდგენაში, ყოველ დღე შორდებოდა მათ და სრულებით არ ჰგავდა იმ შალვას, რომელსაც ისინი უყურებდენ მისი სოფლის მასწავლებლობის დროს. მაშინ შალვას ყოველი ნაბიჯი მშობლებისთვის ასე თუ ისე გასაგები იყო, დღეს კი, ამ სახალხო მოძრაობაში ჩარევით, სულ სხვა კაცად დაესახათ იგი:

მიუწვდომლად, უჩვეულო აზრების წყაროდ, დიდი და რთულ საქმის მკეთებელად.

ეს გარემოება ერთის მხრივ რომ სიამაყის გრძნობას უღვივებდა მშობლების გულში, მეორე მხრივ გაურკვეველ შიშსა და მწიფობას ბადებდა მათში.

— ვინ ჩვენი შვილი და ვინ ხელმწიფის ნოჩხუბარი, — ჩაფიქრებით იტყოდნენ ისინი, — განა უფალს მადლობას არ უნდა ვწირავდეთ იმის გამო, რომ შიმშილით არ დაგვხოცა! ვინ ვიყავით და ვინ ვართ? და მერე ანტიომ ისე უნდა გავამპარტავანდეთ, რომ ჩვენმა შვილმა ხელმწიფეს უნდა დაუწყოს დავა? განა იმ ხელმწიფემ არ გამოხარდა იგი თავის ხარჯზე? იმას რომ არ გამოეხარდა, ეხლა უბრალო მიწის მუშა იქნებოდა, ან ჰეკურტნე... ვაი, თუ ჩვენზე ახდეს ნათქვამი: „ქიანქველას ღმერთი მაშინ გაუწყრა, როცა ფრთები გამოესხაო“.

შალვასა და მის მშობლებს შორის ნაპრალი მაშინ უფრო გაღრმავდა, როდესაც მშობლებმა გაიგეს, რომ შალვა თავადიშვილის ქალს ირთავს ცოლად.

— რა ჩვენი საქმეა თავადიშვილის ქალი, ჩვენ გლეხები ვართ და რძლათაც გლეხი შეგვშვენის: არ გვიკადრებს, სხვანაირად დაგვიწყებს ყურებას, გლეხისა და თავადის სისხლი სხვა და სხვანაირია, ერთმანეთში არ შეერევაო, — ეუბნებოდა დედა შალვას, — ისა სჯობია, შვილო, გლეხის ქალი შეირთო, ყველაფერს იკადრებს, გვერდით ამომიდგება და ჩემსავით ისაქნარებსო...

— ნახავ ჩვენ რა დაგვემართოს, — შიშით ამბობდა ტარასი, — ჩვენი შვილი კარგი ხანია, რაც კეთილ გზას აცდა და მის ტყავში არ ეჭევა, ხელმწიფეს ეჩხუბება, ღრუბენატალს არ იყენებს... ახლა კიდევ თავადიშვილის ქალს ირთავს?.. ღმერთმა კაი ქნას, მაგრამ მე რაღაც გული მიშლის!.. იგი გამომიცხობს მე მქადს? იგი დამბანს მე ფეხს?.. იგი იკადრებს ჩემს ქვარტლიან სახლს?.. მეტი არაა ჩემი ტერი!.. ჩემი შვილი მეთოხეთ უნდა გამომეხარდა ჩემი მეზობლებივით და მაშინ იქნებოდა ჩემი მასიამებელი, თვარა ახლა...

შალვამ მაინც შეირთო თავადიშვილის ქალი — ევა; ის ცოლთან ერთად იყო ჩაბმული სახალხო მოძრაობაში და სრულებით არ ჰგავდა ისეთ ადამიანს, რომელსაც უნდა მყუდრო ცხოვრების და წყნარი ოჯახის შექმნა.

ასე გასინჯეთ, მხოლოდ სამის დღით მოვიდა დედ-მამასთან, მხოლოდ მოაჩვენა მშობლებს რძალი და სასწრაფოდ წავიდა ცოლიანათ თავის საქმეზე.

XII.

ევას შერთვა შალვასთვის უდიდესი საკითხი იყო, მაგრამ არა იმ მხრივ, რა მხრივაც ამას მისი მშობლები უდგებოდნენ.

ცოლის შერთვის საკითხი შალვასათვის ევასთან დაახლოვებამდე არც კი არსებობდა.

მისი პირველი, მტკიცე გადაწყვეტილება ასეთი იყო: არაფერ შემთხვევაში ცოლი არ შეერთო უნივერსიტეტის კურსის დასრულებამდე, ამ გზას ჯერ

კიდევ საოსტატო სემინარიის უკანასკნელ კლასში დაადგა და მტკიცედაც იცავდა მას.

ღიანაც რომ უნდა დაეცვა: ეს იმიტომ რომ სწორედ იმ ხანებში მისმა ჩვილმა არსებამ სრულიად მოულოდნელად იგრძნო რაღაც ნასიამოვნო გრძნობა ერთ მშვენიერ არსების მიმართ. ეს იყო შალვას სოფელში — კორდში. იგი საზაფხულო არდადეგებში ორიოდე გროშის ალების მიზნით ამხანაგთან ერთად შეგირდებს ამეცადინებდა. შენობად სამრევლო სკოლა ჰქონდათ, სოფლის მღვდელმა ათხოვა ახალგაზრდებს.

ერთ დღეს შალვამ შეანჩნია, რომ ეკლესიის გალავანთან აგებულ სენაკში მცხოვრებ მონაზონის დერეფანში ვიღაც თეთრად მორთული არსება იყო. შალვას გაუკვირდა — ბიჭოს, მაკრინე მონაზონი თეთრად მორთულაო, — უთხრა ამხანაგს. გამოირკვა, რომ მონაზონი კი არა, მისი ნათესავი ქალი ყოფილიყო, ჩვიდმეტ — თვრამეტის წლის ქეთინო, რომელიც დროებით ნოსულიყო თავის მამიდასთან.

შალვა მსწრაფლ მოაჯადოვა მოხდენილმა ქეთომ, რომელსაც გიშრის თვალები მუდამ უცინოდა შავი წარბების კალთებ ქვეშ და ჟრუანტელის მომგვრულ წითელ ტუჩებზე ყოველ წამს ღიმილი დათამაშებდა. განსაკუთრებით განმგმირავნი იყვნენ ქეთინოს თვალები, რომელნიც ისე შემოგაცქერდებოდნენ, თითქოს გიბრძანებდნენ — რას აყოვნებ, პასუხი მომეციო. შალვამ ვერ გაუძლო ამ გამოხედვას და მყისვე პირი იბრუნა.

— უკაცრავად... მაკრინე შინ არის? — ძლივს ჩაილულულულა ყმაწვილმა და სირცხვილით დაიწვა... ასეთი გრძნობა მას ჯერ არ განეცადა.

— შინ გახლავსთ, — მიაცინა ქეთინომ, რომელიც ლამაზი ყმაწვილის დანახვამ ერთიანად შეაშფოთა და თავისი დაფანტულობის დასაფარავად სენაკისაკენ შებრუნდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ საძირკველზე ფეხი ნელა გადაედგა, უცებ ქურციკივით შეახტა ზედ, ორივე ფეხები დაკრა და ზე შუა სენაკში დასკუპდა — აფეთქებულმა გრძნობამ შირას ბურთივით გადაისროლა.

— რა დაგემართა, გენაცვალე, რა გიგი რამა ხარ, შემაშინე, — უთხრა მაკრინე მონაზონმა, რომელსაც მოხუცებულობის გამო ყბა-ყბაში გაცმოდა და ერთიანად მოღრეცილი ზღაპრულ ჯადოქარს მოგავგონებდათ.

— ვიღაც ყმაწვილია... ხა-ხა-ხა!

მაკრინე მოჩვენებასავით მიადგა დაწმენდილ დაკანკალებულ სენაკის კარებს და თვალების ხუჭვითა და ზედ გაშლილ მარჯვენა ხელის აფარებით უსიამოვნოდ დაუწყო სტუმარს თვალიერება.

— შალვა, შეილო, შენა ხარ? წყალი ხომ არ გინდოდა?

— არა, მაკრინე... ისე მოველი... კი, წყალი მინდა, წყალი, — დაიბნა შალვა.

— შეილო, ქეთინო, მიაწოდე წყალი. ეს ყმაწვილი ღვთისნიერი ადამიანის შეილია, ბარბარეს შეილია. მაგ გაეზარდა მის მშობლებს სასახლო კაცი, ასე ჰქვიანი რო არის და დედ-მამას შრომა რო არ დაუკარგა.

ქეთინოს სცხვენოდა შალვასთვის წყლის მიწოდება და შეკაცებულის ღი-

მილით, თვალ-წარბის მოკმუხვნით მაკრინეს ჩაულაპარაკა — შენ მიუტანეო.

— რათა ხარ, შვილო, აგრე დაუდევარი!..

ქეთინომ არ დააცალა სიტყვის დასრულება — კიდევ უფრო უნებოდა, რომ მართლა მაკრინეს მიეწოდებია წყალი და თავისებურად ჩამყვინებების გამო-მეტყველებით წყლით სავსე ჭიქა გაუწოდა სტუმარს, თანაც ეცადა წარბები შეეკრა და არ გაეღიმა, მაგრამ მხოლოდ ერთის წუთით შესძლო: მუდამ ღიმილსა და სიცილს შეჩვეული თვალები ჩვეულებრივ აციმციმდენ და თითქოს შეწუხებული ტუჩები თრთოლვით დაეთიშნენ ერთმანეთს. აღელვებულმა შალვამ ნაძალადევად შესვა წყალი და მადლობის ჩურჩულით მყისვე გაშორდა იქაურობას.

ამ სურათმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა შალვაზე, რომ ერთი კვირის განმავლობაში გონება-დაკარგულა დადიოდა — დღე და ღამე ქეთინოზე ფიქრობდა და ოცნებობდა. ასეთი ნარნარი, უმანკო და ჰაეროვანი ქმნილება მას ჯერ არ ენახა, „ნამდვილი მოჩვენებააო“ — ფიქრობდა.

მაკრინეს სენაკი უსაყვარლეს ადგილად გადაიტყა მისთვის, ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და საუკუნო სიყვარულიც შეპფიცეს ერთი-მეორეს.

ის ამხანაგი, რომელიც მასთან ერთად ამეცადინებდა შევირდებს, ღიმილით ისმენდა შალვას გულწრფელ აღსარებას და თითონაც სიამოვნებით შეჰყურებდა ქეთინოს. როცა შალვა მოწიწებით მოჰკვებოდა ქეთინოს ღვთიურ არსებად ხატვას და თავის უნარნარეს გრძნობათა გადმოშლას, მისი ამხანაგი სრულიად მოულოდნელად რაღაც ისეთ შეუფერებელსა და ნახევრად ქუჩურ სიტყვებს იტყოდა ქეთინოს შესახებ, რომ შალვას შეოცხვებოდა ხოლმე მათი გაგონება.

— სიმო, თუ გიყვარდე მეორედ არ მითხრა მაგისტანები! განა შემიძლია მაგ აზრით მიფუახლოვდე ისეთ ციურ და უმანკო არსებას, როგორიც ქეთინო არის? მე არასოდეს არ მიგრძენია მაგის მსგავსი რამ, პირიქით, ასე მგონია, როცა ქეთინოს ველაპარაკები, ხატის წინაშე ვდგევარ და უნარნარესის გრძობით ვლოცულობ. არა, მაგ ხომ წმინდა გრძნობის გატალახება იქნებოდა, გაპირუტყვება.

შემოდგომაზე შალვა სასწავლებელში წავიდა, სიმო კი სოფლად დარჩა. არ გაუვლია ერთ თვეს, რაც ქეთინო და შალვა დაშორდნენ ერთმანეთს და შალვამ ასეთი ამბავი გაიგო: სიმო და ქეთინო დაგვირგვინდნენ. შალვასათვის თავხარდამცემი იყო ეს ამბავი, როგორ, განა ისეთ მშვენიერ არსებას ორპირობაც შეეძლო? ასე უსინიდიანო მოტყვილება, წმიდა გრძნობის ასეთნაირად ფეხ ქვეშ გათელვა?

რა იქნა მისი ფიცი, სად გაქრა სამარადისო ერთგულების დაპირება?..

მთელი თვეები შალვა გაბრუებული დადიოდა, კინაღამ სწავლაზედაც კი აუარდა გული და... ბოლოს ასეთი დასკვნა გამოიტანა: ქალი მართლაც მხაკვარი არსება ყოფილა, დაუნდობელი... ღმერთმა მაშოროს დღეიდან მასთან დაახლოვება, შორს ჩემგან მაცდურებო.

ქეთინო მას აქეთ არ ენახა შალვას, მაგრამ მისი მოგონება დღესაც სიამოვნებას ჰგვრის და წმიდა გრძნობის ცეცხლს უღვიძებს, იმ ცეცხლს, რომელიც სადღაც შორს, შორს ცის დასავალს ანთია და ნუფის ცეცხლით იმედს უღვიძებს მოღლილ მგზავრს. ოც წელიწადზე მეტია, რაც ამ ცეცხლს შორდება შალვა, წლითი წლობით იხვეს უკან, მაგრამ ჯერაც არ დამალულა იგი, მაინც უნათებს, მაინც უნათებს...

ამ შემთხვევის შემდეგ შალვასთვის სულ თუ არა, დიდის ხნით მაინც მოიხსნა ცოლის შერთვის საკითხი. ეს გადაწყვეტილება ერთობ გაამაგრა იმ გარემოებამაც, რომ სწორედ იმ დროს შალვა მტკიცედ აღგებოდა იმ რწმენას, რომ მთელის თავის არსებით უნდა დაბალ ხალხს ემსახუროს.

XIII.

მან შემთხვევით წაიკითხა მოთხრობა, რომელშიაც გამოყვანილი იყო ერთი ღირსშესანიშნავი პიროვნება, ამ გმირმა ერთიანად მიიპყრო შალვას ყურადღება.

მოთხრობიდან ბევრი მისთვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ ერთი რამ სრულიად ნათელი იყო: მოთხრობის გმირს სრულებით არ ახსოვდა თავისი თავი და სხვების ბედნიერებისთვის იწვოდა, დღე და ღამ იბრძოდა და ბოლოს თავიც კი შესწირა ამ საქმეს.

შალვა უადრესად ღვთის მორწმუნე იყო იმ ხანებში, ამიტომ ეგონა, რომ ამ მოთხრობის გმირიც იმავე რწმენით იყო გატაცებული.

უპატიოსნესი მისწრაფება, კეთილშობილური იდეალი, სიმართლისათვის თავგანწირვა—ყოველივე ამაზე ლაპარაკი იყო იმ მოთხრობაში, — შალვას წარმოდგენით მარტო რელიგიურ გატაცებას უნდა შეხებოდა. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ტიპი ერთხელაც კი არ ახსენებს ქრისტეს სახელს, ერთის სიტყვითაც კი არ იგონებს სარწმუნოებას და სულ სხვა რაიმეს უწოდებს ადამიანის ამაღლებელ გრძნობას, სპეტაკ აზრებს, უფიადეს დაღმწულებას, სამართლიანობას, ძმობას, სიყვარულს, ერთობას.

შალვა დაინტერესდა თუ რაში იყო საქმე, ამხსნელი და გზის მჩვენებელი მას არავინ ჰყავდა, ამიტომ საკუთარის კვლევა-ძიებით შეუდგა გაღვიძებული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას...

ამ ძიებაში იყო, რომ ერთი მკრსნის ლექსებმა საშინლად გაიტაცეს იგი. ამ მკრსნის ლექსებს საზოგადოთ მთელი მაშინდელი ახალგაზრდობა მოჰყავდა აღტაცებაში.

რამდენი აღტაცება, რამდენი აღმაფრენა იყო ჩაქსოვილი ამ ლექსებში! დაუცხრომელი ბრძოლის ყიჟინა, მქუხარე ენერჯია, თავგანწირული თრთოლვა, უსამართლოების წყევლა და კრულვა!..

შალვა მარტო როდი იყო, მას მრავალი თანამგრძნობი აღმოუჩნდა, რომელთაც ასე თუ ისე გააგებინეს, თუ რა გვარის ბრძოლისკენ მიუთითებდა ეს მგოსანი, რას ნიშნავს ამ ქვეყნიური წმინდა იდეალები და მაშვრალთათვის თავდადება.

ახლა კი მიხვდა შალვა, რაშიც იყო საქმე და რისთვის იბრძოდა იმ მოთხრობის გმირი აგრე თავგამოდებით.

ამის შემდეგ მთელმა ქვეყანამ შალვას წარმოდგენაში ფერი იკვალა: მან აშკარად დაინახა უსამართლობის ტაბტი და მისი მსხვერპლნი, მსწრაფლ გაერკვა ცხოვრების ავ-კარგში და ალტაცებულის გამომეტყველებით შალვა მებრძოლთა რიგებში.

სად ვიყავი ამდენი ხანი? როგორ აბმული მქონდა თვალები! რა უგუნური ვყოფილვარ, გონება დაშხული! თურმე ამდენი ბოროტება და უსამართლობა იყო ჩემს გარშემო და მე არაფერი არ მესმოდა და... სარწმუნოებრივ გატაცებაზე ვფიქრობდი, ღვთისვედრებაში ვატარებდი დროს, —დაცინვით ანბობდა თავისი თავის შესახებ. ახლა მუშათა გაფიცვებიც გასაგები შეიქნა მისთვის სტუდენტების არეულობაც, სოციალისტების გამოჩენაც და უდიდესი ტერორისტული აქტებიც. სულ ორიოდვე თავის განმავლობაში შალვას შეხედულებანი ძირითადად შეიცვალნენ, მისი მსოფლმხედველობა ერთიანად გარდაიქმნა. უწინ რალაც მოდუნებას და უნერგიობას უნვითარებდა სარწმუნოებრივი მისწრაფება. დღეს ბრძოლის ცეცხლით იწვის, ქვეყანას შეჰხალისებს, მთა და ბარს შეჰხარის და მისი თვალები ცეცხლს აფრქვევენ...

ოოჰ, რა სიამოვნებით იგონებს შალვა იმ კუროთხეულ მგოსანს! რამდენი წმიდა გრძნობა, რამდენი ალტაცება და თავდავიწყება განუცდია მას ამ პოეტის ლექსების კითხვის დროს! ეს კრებული ისე უყვარს შალვას, ვით უძვირფასესი ცოცხალი არსება, მას ახლაც მშენივრად ახსოვს, რომ ნახევრად დაფლეთილი ეს წიგნი დედის სკივრში აქვს შენახული მოწაფეობის დროინდელ რვეულებთან ერთად.

ოოჰ, რა ბედნიერი იქნება იგი, როცა თავის ღარიბ სახლ-კარს ნახავს, ღიმილით მივა საყვარელ დედის სასთუნალში დადგმულ ჩაქვარტულ სკივრთან, გადააბრუნებს ვეებერთელა კლიტებს, რომელნიც „დნოუ, დნოუ“-ს დააძახებინებენ ბოქლომებს, მერე კლიტებზე ჩამოფარებულ თუნუქებზე ხელების მიბჯენით სკივრს თავს ახდის, იქიდან რალაც ხილვეულობის სუნი ეცემა, იქავ დახვდება დედის ტანსაცმელი და კუნჭულში კიდევ მისი ბავშობის რვეულები, რომელთა შორის სხვა წიგნებთან ერთად ის სათაყვანო კრებულიც არის. ოოჰ, რა ბედნიერი იქნება შალვა ამ დროს! ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებია ციხის კედლებში ყოველივე ამაზე და რამდენჯერ სევდით ჩაუქნევია ხელი, როცა ოცნებიდან გამორკვეული, სინამდვილეს დაინახავდა.

ცოლის შერთვა და საზოგადოთ ოჯახი, საზოგადო მოღვაწეობისათვის ხელის შემშლელიაო, —გაიგონა შალვამ ცხოვრებაში გამოსვლის დროს და თავი ბედნიერად ჩათვალა, რომ ქეთინოს დროზე ჩამოშორდა, —მადლობა ღმერთს, რომ ბორკილები არ შევიყარე ფეხებშიო, —ფიქრობდა იგი.

ის სრული დარწმუნებული იყო, რომ ცოლის შერთვის საკითხი მან სამუდამოთ მოიშორა თავიდან და ახლა მთელი ყურადღება იქით ჰქონდა მიქცეული, რომ ასკეტად ქცეულს, ხორცის ერთიანად შემბოქველს, მხოლოდ იმაზე ეფიქრა, თუ როგორის თავგანწირვით ემსახურნა ხალხის ინტერესებისთვის. ყოველივე კერძო, ყოველივე პირადი ამ დროს დავიწყებული უნდა ყოფილიყო;

ტანჯული მოძმე და მისი ინტერესები, მშობელი მამა და მისთვის თავდადება, — დანარჩენი ყველაფერი ეშმაკეულისა იყო.

იმ წრეში, რომელმაც შალვა მოხვდა, სწორედ ასეთი შეხედულება იყო ცხოვრებაზე: მდიდრულად და კარგა ჩაცმა-დახურვა, ისეთივე სწავლა, სიყვარული და სხვა ამგვარები „დრომოჭმულ ბურჟუაზიულ მისწრაფებად“ იყო აღიარებული. ქვეშაობი ადამიანი, ნამდვილი და სათაყვანო მოღუაწე ის იყო, ვისაც შავ ხალათზე იაფი და ძველის-ძველი პიჯაკი ეცვა, თავზე ჩამოფხატული შლიაპა ნახუა და თეხებზე წულა ან ქუსლებ-მოდრეცილი ჩექმა ეცვა. „გახამებული საყვლოიანები“ იმ წრეში არ უყვარდათ, ასეთებს ეჭვის თვალთ უყურებდნენ — ბურჟუაზიის წიწილას, ან კიდევ ბურჟუაზიულის ფსიქოლოგიით არის გაჟღენთილი. ეს შეხედულება არ ყოფილა ამ წრის მხრივ ფარისევლური ნიღაბი და უგულწრფელობის ნიშნუში. არა, ასეთი შეხედულება აქ მთელის არსებით სწამდა ყველას.

ისედაც ღარიბულად ნაცხოვრებ შალვას საშინლად მოსწონდა თავისი ამხანაგების ასეთი სულისკვეთება და ერთობ კმაყოფილი იყო, რომ ასეთი ამხანაგები ჰყავდა. „თავისი თავის დავიწყება და სხვებისთვის ფიქრი სწორედ ამასა ჰქვია, აი ეს არის ნამდვილი დემოკრატიზაო“, ამბობდა თავის ამხანაგებთან ერთად.

ამ ხანებში შალვამ ისიც გაიგო, რომ მათ სათაყვანო ლიდერებს და სასიყვარულო ბელადებს ერთ კრებაზე სადღაც ასე შეეფიცნათ ერთმანეთისათვის: არც ერთმა ჩვენგანმა პირად საქმეებზე არ იზრუნოს, ჩვენი დევნი იყოს მხოლოდ და მხოლოდ მშრომელთა სამსახური და მისთვის თავგანწირვა. ამ პირობის თანახმად, მათ ხელი უნდა აეღოთ ოჯახურ ბედნიერებაზე და საკუთარ თავზე ზრუნვაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო წამქეზებული შეიქნა შალვასთვის პირად ბედნიერებაზე ფიქრის დავიწყებაში.

ასეთი აზრებით იყო იგი გაჟღენთილი, როდესაც ხალხის გასათვითცნობერებლად სოფლად წასული, პირველად შეხვდა ევას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იგი სრულიად გულგრილად ეპყრობოდა ევას, რომელიც, როგორც ქალი, მისთვის დიდი ხნის განმავლობაში არც კი არსებობდა.

ამიტომ იყო, რომ ნესტორ ნაბადაძის ორჭოფული ფრაზები და სიტყვის გადაკვრა ევას შესახებ ისე არ მოსწონდა პირველ ხანებში.

XIV.

როცა შალვა მამის სახლიდან გამოქცეულ ევას უსმენდა, მისი არსება უჩვეულო სიხარულით ივსებოდა:

ევას პიროვნება შალვასთვის მანამდე იმდენად არსებობდა, რამდენადაც ევა ახალი იდეების სამსახურს ეწეოდა, დღეს კი ასეთი რომანტიული ნიადაგის გამო შალვა დინტერესდა მისი პირადი თვისებებითაც.

— რამდენი რევოლიუციონური ტემპერამენტი უნდა ჩქეფდეს იმ ადამიანის სხეულში, რომელმაც ასე დემონსტრირებულად და კადნიერად უარჰყო ის წრე, რომელმაც ის გაზარდა და ძუძუ აწოვა, — ფიქრობდა შალვა.

— თქვენი ასეთი ნაბიჯი, ამხანაგო ევა, მთელ გლენობას ალტაცებაში მოიყვანს, — ეუბნებოდა ღიმილით, — თქვენ უარპყავით შემამულეთა გახრწნილი წრე, მშრომელთა მყვლეფელების ბუნაგი!.. თქვენი საქმეა მშობლების უსამართლობაც კი არ დაინდევით, თამამად დადექით ჩაგრულების მხარეზე და გაბედულად გადაეშვით რევოლიუციის სიღრმეში... თქვენი გამოქცევა სამაგალითო იქნება, თქვენი სახელი რევოლიუციის ისტორიის ფურცლებზე აღიბეჭდება...

შალვას მუშაობა ერთი ასად გაცხოველდა ევას მისვლით. დაუშრეტელმა ენერგიამ იფეთქა მის არსებაში და მთელი მისი საქმიანობაც წარმტაცი საღებავებით გაციისკროვნდა.

ატივტივებული სახალხო მოძრაობა ფაფარაყრილ ზღვად ეხატებოდა, იმ ზღვად, რომელიც შიშის მომგვრელად გმინავდა და გალონებული ეხეთქებოდა ნაპირებს. თავისი თავი კიდევ ევასთან ერთად ზღაპრულ მეზღვაურად ეჩვენებოდა, რომელიც ხან რომ ვაეკაცურად იქნევს ნიჩაბს, ხანაც მრისხანე გამომეტყველებით აკვირდება აგორებულ უზარმაზარ ქავლს — აბა, საიდან ვეკვეთო ამ ვეშაპსაო.

მამის სახლში ყოფნისას თუ ევა ჩვეულებრივი ადამიანი იყო, დღეს იგი ყველაფრით განირჩეოდა უწინდელისაგან: გრძობითაც ლაპარაკობდა, ტუჩებსაც შესანიშნავად ამოძრავებდა, ლოყებზე და შუბლზედაც მომხიბლავად დაუთამაშებდა თმის რამოდენიმე ფრთა, წელთა მიმოტანაც მომხიბლავი ჰქონდა, გამოხედვა, ჩაფიქრება...

სად გაუქრა ჩვენ ბერს ის აზრები, რომელიც მას ქალების მიმართ ჰქონდა გამომუშავებული და პირადი დატკობის უარსაყოფად ჰქონდა აკინძული?

ყოველივე ეს სამუდამოდ დაიღუპა იმ წუთს, როცა ევამ იდაყვებ ზევით გაშიშვლებული თეთრი მკლავები ზედ ასხმულ ფუნთუშა ხელებით უზრუნველის მოძრაობით წაიღო თმის გასასწორებლად...

ის აზრები იმ წუთს შალვამ ისე მოიშორა, როგორც ძველი რამ ტანისამოსი, სხეულის შემბორკავი და ხელის შემშლელი: ისე გაწყვიტა მათი გრებილი, ვით ძველი არტახები მოზრდილმა ბავშვმა, რომელიც ძალით ჩაუკრავს დედას აკვანში.

ყოველივე ამას კარგად ამჩნევდა გამობრძმედილი ნესტორი, რომელიც ჯერ-ჯერობით ჩუმად იღიბებოდა და კმაყოფილებით ფიქრობდა: ევას ჩამოსვლის შემდეგ შალვამ საშინლად უმატა მუშაობას და დღე და ღამე ვერ გამაძლარა საქმიანობითო.

— შალიკო, კარგი მეგობრები ვართ და იმედია არ გეწყინება ერთი რამე რომ გკითხო, — ღიმილით მიმართა ერთხელ ნესტორმა.

— მითხარი, რას ბოდიშობ!

— ასრულდა თუ არა ჩემი ნათქვამი?

— რის შესახებ?

შალვა დაიბნა, გაწითლდა, ვითომდა ამოძრავა ენა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა...

— ევას შესახებ. რა ვუყოთ, კაცნი ვართ, ადამის შვილები, ყველანი ცოდვილნი ვართ, ცხოვრება რთული რამ არის, ბევრი რამ არის ძნელად გადასაქრელი...

— ამხანაგო ნესტორ, — მოახერხა ბოლოს შალვამ ავტორიტეტული ხმით, — თუ გიყვარდე, მაგ კითხვაზე პასუხს ნუ მომთხოვ, ეს პირადი ჩემი საქმეა და... შალვას ხმა ავტორითადა, გრძობები ყელში მიეზღინენ და ენაც გაუჩერდა, მის ტონს საყვედურის კილო კი დაეტყო.

— ბატონი ბრძანდებით, მე გავჩუმდები, მაგრამ ერთი რამ კი იცოდეთ: ეს მეორეჯერ გამაწყვეტინე ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ... მე მაინც სრულ სიმართლეს ვლაპარაკობ.

ცოლ ქმრობაზე ფიქრიც კი არ უნდოდა შალვას, ისე გატაცებული იყო რაღაც იდეალური მეგობრობით და ამხანაგურის დამოკიდებულებით.

განა არ შეიძლება, რომ მოწინააღმდეგე სქესის ადამიანები ისე დაუნეგობრდნენ ერთმანეთს, რომ არაფერი პროზაული არ იქნეს მათ შორის? განა უსათუოთ ცხოველურის კავშირით უნდა დასრულდეს ასეთი მეგობრობა?

— არა, ეს მეწვრილმანე ბურჟუაზიის შეხედულებაა, ხოცის მოთაყვანეთა მრწამსია, მე კი... მე დავამტკიცებ, რომ შემიძლია სრულიად უანგაროთ და ჩირქ-მოუცხებლად ვემსახურო მხოლოდ და მხოლოდ სულიერ კავშირს, ფიქრობდა დაუსრულებელი შალვა.

ამავე დროს მუდამ ევასთან ყოფნა უნდოდა, მუსაიფი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა... სიცილი, საერთო მხიარულება, ბავშვივით თამაში...

შალვას წარმოდგენით ეს უნდა გავრძელებულიყო წლიდან წლამდე, უკუნითი უკუნისამდე... ვერაფერს ამ მეგობრობას ვერ ჩაშლიდა, ვერაფერი ვერ შეაფერხებდა.

რა ვუყოთ, რომ ამ ბოლო ხანებში სასაფლაოზე მუსაიფის დროს ძალიან ახლო მიუსხდებიან ხოლმე ერთმანეთს, წამოსვლის დროს ხელი ხელ ჩაკიდებულნიც მოდიან და ხანდახან ტანისამოსსაც კი უსწორებენ ერთი მეორეს.

— რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივად დასრულდეს და ერთ მშვენიერ დღეს მე ცოლიან მოქალაქედ გავხდე? მაშინ... მაშინ მეც ხომ მოვყვები საერთო შაბლონში! მაშინ მეც ხომ ჩამითრია საერთო მიმდინარეობამ და ჩავიდინე ის, რაც უთვალავეჯერ ჩაუდენიათ სხვებს!..

ეს აზრი თავზარს სცემდა შალვას: ეს ხომ მისი დაღუპვა იქნებოდა, საზოგადო საქმის ლალატი, ამხანაგებში გამოთიშვა!

არა, შალვა ამას არ იზამს! რას იტყვიან ამხანაგები, როცა ამას გაიგებენ! ჩვენ საქმეზე გავუშვით, პარტიის დავალება უნდა შეესრულებია, გვიგონა ხამდვილი რევოლუციონერი იყო, ქვეყნისთვის თავდადებული და ამას კი ქალებთან დაუწყია არშიყობაო.

მართალია, ნესტორი ასე არ მოექცევა, მაგრამ იგი რაც უნდა იყოს მისი წრის არ არის. შალვა ინტელიგენტია, ნესტორი მუშა, შალვამ ბევრი რამ იცის, უსწავლია, მას ბევრი მიეცა და ბევრიც მოეთხოვება, ნესტორი კი..

კარგა ხანს ეთამაშა შალვა ცეცხლს, კარგა ხანს უკვიატა ანთებულ სან-

თელს, ვით განწირულმა ფარვანამ. მაგრამ ჯერჯერობით სამიში არაფერი მომხდარა. ეგონა, სამუდამოდ დავაღწიე ხიფათს თავიო, სულმა სძლია ხორცს და საბოლოოდ განისაზღვრა მისი მეზობლობისაგან, ეცინოთავესი საცხოვრებელი წრე, რომელსაც ის არასოდეს არ გადასცდებო.

და... ნაპრალისაკენ თავქვე დაქანებულმა, უცვებ განიზრახა უკან შემობრუნება... ის იყო ფეხი მოიმაგრა და უკან მოიხედა, რომ...

მაგრამ სწორედ ამ დროს გათავდა ყველაფერი: ორთავენი დარცხვენილნი აღდგენ ზევით და დიდხანს იყურებოდენ სხვა და სხვა თანჯრებიდან. ერთმანეთისათვის ხმა ვერ გაეცათ, ახალი ცხოვრების გზაზე უკვე ფეხგადადგმულნი, სულ სხვა უჩვეულო ადამიანებად გრძნობდენ თავს, ორთავე გარინდულნი იყვნენ და არც ერთს არ უნდოდა ცხოვრების ახალ გზაზე პირველს დაერღვია სიჩუმე. მხოლოდ დარცხვენილის ღიმილით თუ შეხედავდენ ერთმანეთს.

შალვა ხმის ამოუღებელივ მივიდა თავის ბინაზე. ასეთის გრძნობით გატაცებულს, მას ჯერ აუ გაუვლია დედა მიწის ზურგზე. ის გრძნობდა რომ უდიდესი და თანაც უსპეტაკესი რამ ცვლილება მოხდა მის არსებაში. გრძნობდა, რომ სურნელოვანი ნაში ებკურა მის არსებას. უძვირფასესი რაღაც შეიძინა მისმა სხეულმა. გამოუთქმელი ძალა შეიმატა სულმა და გულმა, ნელ-თბილი, განმაახლებელი და განმაცხოვებელი.

იწყება სულ ახალი, ჯერ განუცდელი ცხოვრება.

მერე, რა ტკბილია ახალი ცხოვრების ნაპირზე დგომა, ახალის ძალ-ღონით, ახალის იმედებით, ახალის აღტაცებით!

და ახალი მეგობრით...

ცოტა ხნის შემდეგ ნესტორი გამარჯვებას დღესასწაულობდა, შალვამაც ქედი მოიხარა მის წინაშე და გულახდილად უთხრა: ახლა კი დავრწმუნდი, რომ ჯერ კიდევ ბალღი ვყოფილვარო.

როცა შალვა ქალაქში ჩავიდა და კომიტეტს თავისი მუშაობის ანგარიში წარუდგინა, ერთმა ამხანაგმა მოხსენების განხილვისა და მოწონების შემდეგ ეშმაკურის ღიმილით სთქვა:

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მე მაინც უნდა განვაცხადო, რომ ამხანაგ შალვას სრული მოხსენება არ წარმოუდგენია: არ ვიცი, მან შეგნებულად დამალა, თუ შემთხვევით გამორჩა ერთი დიდი მხარე მისი იქაური მუშაობისა. საქმე შემდეგში გახლავსთ: მან, ჩვენმა პატივცემულმა ამხანაგმა—შალვა ღრუბელიანმა—ერთ თავადიშვილს ღირსებაც ახადა, მიწებიც ჩამოართვა და ბოლოს ქალიშვილიც წაართვა...

ატყდა საერთო სიცილი და ხარხარი. შალვა საშინლად გაწითლდა და არ იცოდა, რითი ემართლებია თავი. მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამხანაგები მეგობრულად იცინოდენ და არავის არ უნდოდა შალვასთვის შეურაცყოფა მიეყენებია.

რა ბედნიერი იყო შალვა იმ დროს!

მთელი ქვეყანა წარმტაც ედემს წარმოადგენდა, მომხიბლავ წალკოტს. ყველგან აღფრთოვანება და აღტაცება, ყველაფერში სიყვარულისა და აღმაფ-

რენის წყაროს ჩუხჩუხი, სიხარული და უსაზღვრო კმაყოფილება! სიცილი და შვეების ღალადისი!

შალვას სწამს სიყვარულის მარადისობა, განმაცოცხლებელი და აღმჩქეფი ძალა. გაუელვებს დედის გაფრთხილება: თავადის ქალი არ გაგიტანს, საშენო არ არისო; აგონდება ეს გულწრფელი რჩევა, მაგრამ... შალვას სწამს სიყვარულის მძლეთა მძლეობა, შემადუღებელი ძალა. ის მთებს შეატყუებს, აოა თუ ადამიანებს!

სიყვარული ყოველგვარ ნაპრაღს ანოასწორებს, ყველგან ხიდს გასდებს წყლოულს განკურნავს, დაცემულს აღადგენს...

იგი გრძნობდა, რომ მის სულიერ, და ხორციელ არსებას რაღაც გამოურკვეველი, სახელდაუდებელი და თანაც უალოესად სასიამოვნო ზრდა-გაფურჩქვნა და ვალვიება ეტყობოდა. მისი ცხოვრების მჩქეფავ ნაკადულს კიდევ უფრო მჩქეფავი, კიდევ უფრო აზვირთებული ნაკადი შეემატა... განუწყვეტელ ჩანჩქერად მიჩხრიალებდა ანკარა ამწვანებულ სერ-მინდვრებში. მებაროდა მზეს, მთვარეს, ჩიტს, ბუხანკალს... შალვას სხეული გამაგრდა, ერთ ხორც და ერთ სულ ქცეული ორი არსება გიჟურის აღმაფრენით გადათამაშებდა აბობოქრებულ ცხოვრების ზვირთებს და თავ გამეტებით მიიწევდა, სულ წინ, წინ... აქ საიდუმლო კრება გლეხის ნიწნურში, იქ მოწინააღმდეგეებთან სასტიკი კამათი! აგერ ვეებერთელა მიტინგი წითელის დროშებით, სისხლის ფერ იალქნების ქანაობა ზღვასავით მქშანავ ადამიანების თავებზე! დღეს ადმინისტრაციასთან შეტაკების ამბავი, დატუსალება, ჩოჩქოლი! ხვალ ციხიდან გამოტყვევა, ხვრელში გამოძრომა, გაფიცვები, პროკლამაციები... კიდევ მიტინგი, კიდევ გაფიცვა, კიდევ პროკლამაცია. წითელი რაზმები, ტერორისტული აქტები, თავსარდაცემული შემამულენი, ზეცაში ავარდნილი ცეცხლის ალი!.. ღელავს და ბობოქრობს მთელი ცხოვრება, რევოლიუციის გრიგალი მოედო კიდითგან კიდეს... სიხარული და კბილთა ღრჭენა... სიყვარული და უსაზღვრო სიძულვილი!.. სათნოება და შურისძიების გრძნობის გუზ-გუზი!

მთელი ერი ბორგავს, 'მფოთავს, იბრძვის, ხმაღს ღესავს!

არავინ იცის, რას მოუტანს ხვალინდელი დღე, როგორ გაუთენდება ღამე, როგორ დაულამდება... რას დაჰკარგავს, რას შეიძენს!.. ვრცელდება ათასნაირი ამბები, უთვალავი ზღაპრები. ერთი მეორეზე უკეთესი, ერთი მეორეზე წარმტაცი. შვეების ზღვაში ცურაობს ახლად ფრთა გაშლილი ოცნება, ჭიკჭიკებს, ვით ბუდიდან ახლად გადმოფრენილი მერცხალი. შალვაც აქ არის თავისი ევათი. აქ იბრძვის, აქ ბობოქრებს! ვინ დასძლევს დევ-გმირს? ვინ შეაფერხებს მის იდეალებს, ვინ გადუღდება წინ? ბედნიერია მშრომელი და ბედნიერია შალვაც!.. ვინ დათიშავს მათ, ვინ გამოგლეჯს მის პიროვნებას საერთო მეჯლისადან?!

ერთ სულ-ხორცად ქცეული ცოლ-ქმარი სამარადისოთ შედუღებია ატორტმანებულ ხალხს.

ეხ, ოცნებავ, ოცნებავ! რამდენჯერ დათუთქვია შალვას გული, როცა ყო-

ველივე ეს ციხეში მოჰკონებია! სად გაქრენ ეს ბედნიერი წუთები? ვინ შთანთქა, რომელმა ვეშაპმა? სად არიან ამხანაგები? ვინ დაასამარა საერთო აღფრთოვანება? რამ გაახშირა შავი ყორანის შავბედითი ძახილმა საღმარის მისი ევა? მომხიბლავი ევა, პირველი ქალი ახალი სიცოცხლის შექმნითი? განუსაზღვრელი რწმენის მომგვრელი, ბრძოლის ველისკენ მიმტაცი, საქაცობრიო იდეალთა გამაღვიებელი!..

ბევრჯელ, უთვალავჯერ, ამ შავ წელთა განმავლობაში, დილას თუ საღამოს, ღამე თუ დღე, სამშობლოში თუ უცხოეთში, რკინის ბადიან თანჯარაზე მიყრდნობილი, ბორკილების რახუნით გაბრუებული შალვა იგონებდა და... იგონებდა ამ ტკბილ დროს... ამ სანეტარო დროს...

იგონებდა და ტკბებოდა, იგონებდა და იტანჯებოდა!.. სად არის დღეს ყოველივე ეს? რა და არ იქნება? მოეჩვენა და არ განმეორდება?..

შალვამ იცის ისტორიის ჩარხის ბრუნვა, ცივი გონების ანგარიში ყოველთვის მის მხარეზეა, ათასჯერ ფიქრის და ნაფიქრის შეურყეველი დასკვნა ყოველთვის იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, მაგრამ ეს გული რომ ხანდობან მოუთმენლობას აჩენს, ტირილს რომ აპირებს და სულმოკლეობა იპყრობს!.. ვაი, თუ მოულოდნელად ჩაკვდეს ამ მიბნელებულ ჯურღმულებში, ვინ იქნება მისი დამტირებელი, თვალების დამხუჭავი? ვაი, თუ ისიც საბაზინო დროგით გადაათრიონ საბაზინო სასათლაოზე და უცხოეთის მიწამ შექამოს მისი სხეული! მაშინ..?

იმედით შეიღები ჰყავდა, „ჩემ სახელს ისინი განაგრძობენო“, მაგრამ მათი ამბავიც რომ არა იცის რა კარგა ხანია. რა მოუვიდათ, სად არიან? რად მოექცა ევა აგრე მკაცრად, რად? რა დაუშავა ისეთი? ან ეგების არც ის არის ცოცხალი?..

გულ ამომჯდარი შალვა მყისვე მიუჯდება თავის უცვლელ მეგობარს, აიღებს ხელში კალამს და სწერს გულის სიღრმიდან ამონაკენეს ელეგიებს. ტირის და თანაც ეტრფის წარსულს, ადიდება და კიდევ სწყევლის მას. ჰგოდებს, ვით იერემია... ცრემლით რწყავს თითვეულ სტრიქონს... ყელში ესკვნებიან მკრთალ ლოყებზე ჩამონაგორი ცრემლები. სულსა და გულს სდებს თითვეულ სიტყვაში, წრფელ გრძნობას, უწმინდეს განცდას. მაგრამ გაივლის წამი და... შალვაც ისევ ძველი შალვაა, შეუდრეკელი მებრძოლი, გულგაკაფებული ვაეკაცი!.. მისი სტრიქონებიც ფოლადისებურად წკრიალებენ, მისი სიტყვაც ხმალივით ეღვარებს, ყოველი ბგერა ჰაერს ჰკვეთს. რწმენა, აღტაცება, გაკლდევებული იმედიანობა, დაუცხრომელი სული. და... უკვე იძლია ციხე და მისი ბორკილი, უკვე დაემხო შავი სამეფო, განიპო ჯოჯოხეთის კრეტ-საბმელი!

იმედით ქცეული შალვა ისევ მახვილს ლესავს მტრის განსაგმირავად, ვაეკაცდება და თმას იზრდის ბიბლიურ სამსონივით. სწამს, რომ მომავალი მისია, ბორკილებს დაამსხვრევს, საპყრობილეს გაანგრევს და ისევ ნახავს აბობოქრებულ ცხოვრებას, აფრა-აშლილ წითელ იალქნიან ხომალდს, რომელიც უშიშრად გააპობს აგორებულ ზღვის ტალღებს...

XV.



შალვას ავადმყოფობას სერიოზული სახე არ მიუღივს, მივჯერებ. ათი დღე მაინც ლოგინში იწვა. ვინ არ ინახულა იგი ამ დროის განმავლობაში. მართალია, „ძველი გაუსწორებელი იდეალისტი“ მუდამ თავს ადგა და ყველას ემუდარებოდა: ნუ შეაწუხებთ ძვირფას სნეულს, მაგრამ მისი სიტყვები არავის არ სჯეროდა. მუწები, პარტიული ამხანაგები პატივისმცემლები, უბრალო მოქალაქენი, ქალი, კაცი, ყველა მის სანახავად მოდიოდა.

გაზეთებმა რამდენჯერმე ცნობა მოათავსეს შალვას ავადმყოფობის მიმდინარეობის შესახებ. საშინლად არ მოეწონა შალვას ეს გარემოება:

— რა საჭიროა ეს რეკლამა, — წყენით ამბობდა, ასეთ დროს რომელიმე პიროვნებაზე ასეთნაირად ყურადღების მიქცევა!

მოხდა ისე რომ სხვებზე გვიან შალვას ავად გახდომა სიმონიკა ებზიანიძემ გაიგო. დარცხვენილი შევარდა შალვას ოთახში და არ იცოდა რით ემართლებია თავი.

— შალვა, კვლარი ვიყო კი მირჩევნია! მომეჭრა თავი და ეს არის, გამოვწყდი ხალხში!.. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, მაპატიებ ამ შეცდომას, — გამიწყრა ღმერთი და ეს არის! შევრცხვი, მარა რაღა შევრცხვი! ღმერთმა შეაჩვენოს ჩვენი ბიჭები! გადამეკიდენ და მთელი სამი დღე და ღამე მაქეიფეს.

— ნუ შეწუხდები, ჩემო სიმონიკა, — ღიმილით ეუბნებოდა შალვა, — მჯერა შენი გულწრფელობა, ჩემო კუდაბიკა, მჯერა... ხა-ხა-ხა!

— ოხ, რა მეხსიერების კაცი ხარ, ამხანაგო შალვა! — სიცილით გააწყვეტინა სიმონიკამ, — კიდევ არ გაგავიწყდა ეს სახელი? ხა-ხა-ხა! კუდაბიკა, კუდაბიკა!.. ხა-ხა-ხა!..

ამავე დროს სიმონიკა გრძნობდა, რომ მის თავმოყვარეობას ერთგვარი განსაცდელი დაუდგა: მთელ იქაურ ქართველობას არწმუნებდა — ღრუბელიანი ჩემი „პირველი ამხანაგიაო“ და ახლა რითი ემართლებია თავი, რომ ეკითხათ: თუ პირველი ამხანაგი იყო, ავადმყოფობა რად არ გაცნობა, ან შენ რად ვერ გაიგე დროზე?

აქეთ ეცა, იქით ეცა: ექიმი ხომ არ მოვიყვანო, საქმელი თუ გაქვსო. მაგრამ ერთობ ნაწყენი დარჩა, რომ გასაკეთებელი არაფერი შეექნა — ყველაფერი უმისოდ იყო მოგვარებული.

— ნუ შეწუხდები, ჩემო სიმონიკა, მე ყველაფერი მაქვს, სულ ცოტა ხანში ფეხზედაც ავდგები, ჩემი ავადმყოფობა სულ იოლია.

— ღმერთს ექნას, ღმერთს ექნას! ამისთანა მომენტში შენისთანა კაცის ავადმყოფობა პირდაპირ უბედურობა იქნება! რა ეშველება მაშინ აქაურობას, შენოდენობა ვის შეუძლია გასწიოს? ის კი არა — მთელ ქალაქში იძახიან — დაგვლუპა შალვას ავადმყოფობამ, ვერაფერი გავიგეთ ამ ახალ საქმეებშიო, — იცრუა სიმონიკამ, რაც მაშინვე შეამჩნია შალვამ; მან ზედმიწევნით იცოდა სიმონიკას ხასიათი: მარტო ლაპარაკის კილოზე შეატყობდა, როდის იყო მისი ნათქვამი დასაჯერებელი და როდის არა.

სიმონიკა მაინც აფართო-ფურთდა და მალე შალვას მთელი პატრონობა მის ხელში გადავიდა.

სიმონიკამ განსაკუთრებით ისახელა თავი „ჩვენებურე საქმელების“ მომზადებაში. მთელი იქაური ქართველობა ფეხზე დააყენა მისი საქმეებისთვის მამულისშვილი ავით არისო“, — მერე რომ იცოდეთ, როგორ ბერავდა შალვას ავადმყოფობას და თავის როლს, როგორც მომვლელისას.

— დედა, დედა! კაცო, რა ავად იყო ჩვენი შალვა! მე რომ არ მოვსწრებოდი, სწორედ გლახად იქნებოდა მისი საქმე! როგორც ავად გამხდარიყო იმ სალამოსვე ტელეფონით დაეძახა. აბა მერე ეს რუსები რო მოცვინდენ, ეს კვატის ცხვირიანი ხალხი, ესა! ღმერთო, კი მომკალი! ჩვენს მოძმეს, სახელოვან მებრძოლს, მაგ უნიფორმებს მივანდობდი მოსაველელად! მაშინ მოკვდეს სიმონიკა ებზიანიძე! მერე რა ვუყვარ შალვას, რო იცოდეთ, რა ვუყვარ! აი, ციხეში ერთად რო ვიყავით, მაშინ... — და მოჰყვებოდა სიმონიკა გაუთავებელ ტრაბახსა და ზღაპრებს.

ქართველები მართლაც ძალიან დაინტერესდნენ შალვას ავადმყოფობით, და რითი არ სცემდნენ პატივს: საცივი, ლომი, მწვადები, შამფურზე გაწკიპარტებული ახალი ქათმები, რა არ იშოვეს? სასმელებით ხომ სულ მთელი ოთახი აუფსეს.

— აი, ღმერთი იპრიანებს მალე მორჩება. მაშინვე გავსწიოთ სამშობლოში... იქ უკვე გაზატხული იქნება ახლა, მშვენიერი სითბო და ნათესაები, ცოლშვილით! — უნდოდა დაემატებია სიმონიკას, მაგრამ თავი შეიკავა.

— რას ფიქრობ, ჩემო შალვა, როდის მივაშუროთ ჩვენ სამშობლოს? — ჰკითხა ერთხელ.

— მე ჯერ კიდევ ვერ წავალ სამშობლოში, — სთქვა შალვამ, — ჯერ კიდევ აქა ვარ საქირო, აქაც ბევრი საქმეა საკეთებელი.

— კი, მაგრამ სამშობლოს მაინც ვერ დაივიწყებს ადამიანი.

— დავიწყებით, რასაკვირველია, ვერ დავივიწყებთ, მაგრამ რევოლიუციონერისათვის სულ ერთია, სადაც უნდა იწოდეს — სამშობლოში, თუ უცხოეთში.

სიმონიკას არ მოეწონა ეს აზრი, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, შეატყო რომ შესაფერად ვერ გამოსთქვამდა აზრს და ამიტომ „კი, მაგრამ, მაინც“, — წარმოსთქვა რაღაც ყოყმანით.

შალვა სრული დარწმუნებული იყო, რომ მისი პირით შეურყვეველი ქეშმარიტება ღალატებდა, მას მთელის თავის არსებით სჯეროდა, რომ ნამდვილი რევოლიუციონერისათვის მართლაც სულ ერთი იყო, სად იმუშავებდა, ოღონდ მისი მუშაობა მტარვალთა წინააღმდეგ კი ყოფილიყო.

— ჩვენ, რევოლიუციონერები, მოვალენი ვართ ყველა ერში ერთნაირის თავგანწირვით და გულწრფელობით ვიმუშაოთ, — ეუბნებოდა იგი სიმონიკას, — ჩვენი იდეა საერთოა ყველა ერისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი: ქართველი, რუსი, თათარი, ფრანგი, ნემცი... ყველასთვის ისეთი ბედნიერება უნდა გვინდოდეს, როგორც ჩვენი მშობელ ერისათვის გვწადია. ჩვენ გვძულს ყველა

ერის მტარვალნი და სისხლის მწოველი, ჩვენ ერთნაირის სიძულვილით ვებრძვით, როგორც ქართველს, ისე რუს ბურჟუას, ისე ინგლისელ და გერმანელ კაპიტალისტს; ჩვენ ერთნაირის სიყვარულით ვეპყრობით ყველა ენისა მუშებს, ვინაიდან მათი ინტერესები ერთი და იგივეა. ქართველ მუშას, რუსს მუშას, თათარი მუშას, ყველა ერთნაირად იტანჯება, ყველა ერთ ტათაში იწვის. ამიტომ სულ ერთია, სადაც კი იმუშავენ რევოლუციონერი...

დიდ ხანს ელაპარაკა შალვა სიმონიკას ამ თემაზე, სიმონიკა გულდასმით უსმენდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გულის სიღრმეში სულ სხვას გრძნობდა.

— რა ვიცი, ყველაფერი კარგად ილაპარაკე, მაგრამ, ძმაო, რა დაგიმალო, ეს რუსუდანიები მაინც არ მომწონს! სად რუსი და სად ქართველი! არც ურია, არც თათარი, არც სომეხი!.. არ გახსოვს ვლასი? როდის იქნება მანიხვესტიო? ჩვენი ტუსალები ასე ანობდნენ: როდის იქნება რევოლუციაო. ქართველ კაცს, ძმაო, არაფერ არ მიჩვენია ქვეყანაზე, თუ გინდა მიძრაბე... რუსუდანების ხა-ხა-ხა... მარტო ქალებია მოსაწონი, სხვა კი... ამან!.. ამან!..

— შენ ცდები ჩემო კუდაბზიკ, ცდები! პატარა შოვინისტი ხარ...

როდესაც შალვა უკვე მოკეთდა, სიმონიკამ სამი „ზემლიაკი“ ასტუმრა, თანაც სიცილითა და ოხუნჯობით ბლომად მოიტანა „ჩვენებური საკმელები“.

— ღმერთმა ამოაგდოს რუსიცა და მისი ბორშიც, — ამბობდა, — ჩვენებურ ხარჩოს რამე ჯობია?.. ან კიდევ ნივრიან ქათამს და კარგად შეხუტკუნებულ გოჭს!.. შამფურზე კოხტად აცმულს!.. ახალი ნივრის წვნით ზედ წასმულს!.. ოხო-ხო-ხო!.. რაფა დაიბრაწება! პირდაპირ ნერწყვი მომდის!.. ნერწყვი!..

სტუმრად მისულ ქართველებიდან ერთი საჩაიეს პატრონი იყო, რაღაც ცოდვილიანი გამომეტყველების პატრონი, შალვას პირდაპირ ვერ უბედავდა შეხედვას და ლაპარაკის დროს სიმონიკას აჩერდებოდა.

მეორე „თავისუფალი პროფესიის“ ყმაწვილი იყო, მშვენივრად მორთული, სანამდის შალვასთან მივიდოდა, სიმონიკას არწმუნებდა — პარტიის კაცი ვარო, ხოლო შალვასთან ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს; ამიტომ სიმონიკა მაშინვე მიხვდა, თუ „რაც პარტიის კაცი“ იყო იგი.

მესამეც ძალიან ცდილობდა რევოლუციას გამოსარჩლებოდა, მაგრამ ის კი არ მოსწონდა, რომ არაყის თავისუფლად გაყიდვის ნებას არ იძლეოდნენ. როგორც მისი სიტყვიდან სჩანდა, ის სულ ორიოდუ დღის უკან დაბრუნებულ იყო სამშობლოდან და „რაღაც-რაღაცეები ჩამოეტანა ვასასყიდათ“. სიმონიკამ კარგად იცოდა, რას ერქვა ეს „რაღაც-რაღაცეები“, მაგრამ შალვასთან ხომ არ გაამხელდა.

„აა, შე მესპირტე, შენა, თუნუქის პერანგით რო დადიხარო“ ფიქრობდა სიმონიკა.

შალვას ძალიან ეამა თანამემამულეთა ნახვა, მაგრამ განსაკუთრებით ასიამოვნა იმ საჩუქარმა, რომელიც მიართვეს: ეს იყო ძველი ქართული გაზეთების მთელი შეკვრა.

სამშობლოდან გადმოხვეწის შემდეგ შალვას ქართული გაზეთი თვალითაც კი არ ენახა. იგი ალტაცებაში მოვიდა გაზეთების ნახვით და ხარბად დაუწყო

თვალთვლება, სულ დაავიწყდა ჩვენებური საკმელებიცა და სტუპოებიც. მთელი ღამე კითხულობდა, არ დაუტოვებია წაუკითხავი უბრალო განცხადებებიც კი. სამშობლო, საყვარელი სამშობლო, აი რა ელანდებოდა თბილისში! ათას-ნაირი მოგონებანი, უთვალავი ფიქრები, ნაცნობი ადგილები, ნაცნობი პირები, მეგობრები, ამხანაგები...

მხოლოდ გათენების ხანს მოხუჭა თვალები და მაშინაც სულ სიზმარში იყო: ვინ არ ნახა, ვინ არ მოელანდა! სად არ იყო, ვის არ ემუსაიფებოდა მეორე დღეს ხელ ახლად შეუდგა გაზეთების თვალთვლებას. მოულოდნელად წააწყდა შემდეგი სათაურის წერილს: „ბიბლიოგრაფიის მაგიერი. ლექსები კორდელისა“.

— ჩენი ლექსების გარჩევა, — ელვის სისწრაფით გაურბინა თავში და რაღაც სასიამოვნო მღელვარება იგრძნო, ერთიანად გაწითლდა.

შალვამ გულის ფანქვალით გადახედა წერილს, აგერ-აგერ ამოიკითხა და მაშინვე დარწმუნდა, რომ წერილის ავტორი უარყოფით უყურებდა იმის ლექსებს. ი. ითქოს ნემსი დაესო გულზე, და წერილის ბოლოში ავტორს დაუწყობებნა, იქ ეწერა: „ბედობნელი მკითხველი“.

„ნეტავი ვინ უნდა იყოს“? — გაიფიქრა და ისევ დაუწყობა წერილს კითხვა, ახლა უფრო მეტის დაკვირვებით.

„ბევრმა არც კი იცის ჩვენში, რომ მწერლობა ცხოვრების სარკეა, ურწმუნო თომებს მე ეხლავე დავანახებ ამას“, — სწერდა ავტორი დონიჯ შემოყრით, — „ჩვენ რომ პუშკინივით კარგი პოეტები გვყავდეს, მაშინ რა გვიქირდა“, „ჩვენში ყველა ლექსებს სწერს“, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ჩვენი კორდელი მუხლამდის ვერ მისწვდება“, „ბარათაშვილს კი წელამდის“, „იგი ვერ არის უუკოვსკივით კარგი მთარგმნელი“, „ლექსი ლერმონტოვივით ვერ გამოუდის“, „აგერ-აგერ ლექსების შინაარსს არა უშავს-რა, მაგრამ ფორმა კაპეიკათ არ ღირს“, „ქავჭავაძის ლექსივით მძიმეა, „აკაკის ლექსებივით მხატვროდია“, კარგი იქნებოდა, რომ რითმებით ეხმარა: ლევანი — მტევანი, ლოთი — ფოთი, ორი — ღორი და სხვ.

შალვას თანდათან ღიმილი მოსდიოდა, მისი წყენა უნებლიე გაღრვქამ დაფარა. რა უნდა მოეთხოვა ასეთის ავტორისაგან?

— საბრალო ავტორი და საბრალო ქართული გაზეთი, რომელსაც თავი სერიოზულ გამოცემათ მოაქვს! ნუ თუ ასე დაბლათ დგას ქართული პრესის კულტურული დონე? — ფიქრობდა შალვა.

იგი არასოდეს არ ყოფილა დიდი აზრის, თავისი ლექსების შესახებ. „გართმული პროზაა“ — იხშირად უთქვამს, სხვა პირობებში შეიძლება არც კი ცდილიყო მათ გამოქვეყნებას, შეიძლება სრულებითაც არ დაეწერა მაგრამ იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ასე გაბიაბურებაც არ შეიძლებოდა, სრულებით არ იყო ამის ღირსი მისი კრებული.

დიდხანს ფიქრობდა შალვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს კრიტიკოსი. ბოლოს ერთი შემოჰკრა ხელი ხელს და წამოიქაჩა:

— აა, ვიცი, ვიცი!.. ახლა კი ნივხვდი!.. ეს თუ ჩვენი „შაბლონი“ არ არის, მე არაფერი მეცოდინება!.. ის სწორედ რომ ბედობნელია და კიდევ მოიკორესპოდენტ-მოიჟურნალისტებს!.. საწყალი დიანოზა, წუწუნებდა.. მაგრამ რა ვაწყენინე ასეთი ამ კაცუნას, რომ ასე მომექცა? ის უფროდ ეგონებდა, რომ ეს ლექსები ჩემია, ის ყველა რედაქციებში და გამომცემლებში დაძვრება! რა ვაწყენინე ისეთი?

შალვას დიდხანს არ დასჭირვებია ამ საკითხზე ფიქრი, აკი მან მონათლა დიანოზა „შაბლონად“ და მას აქეთ ყველა შაბლონს ეძახდა. ბევრჯელ მოუნდომებია დიანოზას შალვასათვის სამაგიერო კბენა, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუხწევია.

— აა, დიანოზ, დიანოზ, ეხლა მიშოვე დრო? ღიმილით ამბობდა შალვა-ორგანოც რომ შესათფერი მოუნახავს, ყოჩაღ დიანოზ!.. კიდევ იტყვიან, ქართული პრესა არ მოიყვითლებსო!

XX.

შალვას თვალ წინ ედგა შუა ტანის წითური კაცი, რომელსაც წვერულვაში ხავსივით ჰქონდა გამხდარ ყბებზე და ტუჩებზე მიმაგრებული. ეს ბალნეულობა მსგავსად იმავე ხავსისა, ისე დაკვარკნილი იყო, რომ ვერ გაიგებდი — რომელი თავით ება პირის კანზე. ტანზე დიანოზას მუდამ სხვისი გამონაცვალის პიჯაკი და შალვარი ეცვა, ყოველთვის ძველი, ყოველთვის წვირიანი. შალვარის ტოტები მუდამ დაფოჩვილი იყო, ფეხსაცმელები ათ ადგილას დაკერებული, ისიც — რასაკვირველია — სხვისი გამონაცვალის. თავზე დატყლეული ქუდის შუა ადგილას, „ხედ კოკორიაზე“, რგვლად აჩნდა ოფლისა და თებოს ამონაჟონავი.

დიანოზა მუდამ წუწუნებდა, მუდამ ჩიოდა და მუდამ სხვას შენატროდა. ოხუნჯ და სიტყვა მოსწრებულ კაცად სთვლიდა თავის თავს, მაგრამ ძვირად თუ გაარკვევდით — როდის უცინოდა სახე და როდის უტიროდა: მისი შებურდული წითელი წვერულვაში, რომელსაც დროთა ვითარების გამო გამოხუნებაც კი დასტყობოდა, ერთნაირის ერთგულებით მალავდა დიანოზას ღიმილსაც და მწუხარებასაც.

ის ყველას ღარიბად და საწყალ კაცად მიაჩნდა: ჯიბეები, რომ ფულით ხავსე ჰქონოდა, მაინც სასესხებლად წავიდოდა; ათი ძველი შალვარი რომ ჰქონოდა მაინც გამონაცვალს გთხოვდათ, ქუდსაც, ფეხსაცმელსაც და საცვლებსაც თხოულობდა, როგორც თავისთვის, ისე ცოლ-შვილისათვის. თავისი თავი ლიტერატორად მოჰქონდა და თავის სიღარიბესაც ამით ამართლებდა.

— ებ, ძმაო, ასეთია ქართველი მწერლის ბედი, ის მუდამ სხვას შესთხოვსო, — ჩაილაპარაკებდა მასპინძლის გასაგონად, როცა გამონაცვალ შალვარს თავის კალათში ჩაჰკეცავდა.

თხოულობდა თავის ნაცნობებში, ანბანაგებში სრულად შეგობრულისა და ანბანაგურის კილოთი. თუ დაახვლებდა, არც რომელიმე გამოჩენილ ტუხ ვაქარს, თუნდ მემამულეს აუვლიდა გვერდს. გამორკვეული საქმე არასოდეს არ სჭერია. მუდამ გზაში იყო თავის მოხრდილ ჩემოდანით. რომელშიც მუდამ ედო

სათამაშო ბანკო, რალაც საცვლებისებური და საჭმელები ჩვენი პატარა სამ-
შობლო ათასჯერ ჰქონდა აღმა-დაღმა შემოვლილი, საქართველოს ყოველ კუთ-
ხეში ჰყავდა მეგობარი და დაახლოებული ნაცნობი. დეკანოზის მისწავლებელი,
მემამულე, ვაჭარი, საზოგადო მოღვაწე, ვინ არ იცნობდა დიანოზს? ყველას
„შენობით“ მიმართავდა და გაცნობისთანავე შინაურ კაცად იქცეოდა, ყველას
ისე შეეგუებოდა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, გზა და ხილის გაგებაც მო-
ხერხებულად იცოდა: სულ უბრალო რამე რომ დაენახა ადაძიანის ხელში, უსა-
თუოდ მოუწონებდა.

— ბიჭოს, ეს რა კარგი რამე გქონიათ! ღმერთს გეფიცებით, შესანიშნავი
რამ არის, — წამოიძახებდა გაოცებული.

— ოო, როგორ გეკადრებათ, ბატონო დიანოზ, ეს ნივთი არც ისე ჭვირ-
ფასია, თქვენ აზვიადებით!

— მაშ თქვენ არ გცოდნიათ, რა სიმდიდრის პატრონი ბრძანდებით?! ეს...
ეს ჩვენებური დაუდევრობაა, ქართველური დაუდევრობა, დიახ, დიახ...

ოჯახში შესვლისთანავე დიასახლისის გულის მოგებას შეუდგებოდა;
პირველი საშუალება ამ მიზნის მისაღწევად ბავშვები იყო.

— უჰ, რა ღამაში ბავში გყოლიათ, — შიამაძებდა ბავშვს და მაშინვე ხელში
აიყვანდა.

რომელი მშობელია რომ თავისი შვილი არ მოსწონდეს და თუ კიდევ
სხვა ვინმეც დაეთანხმება ამაში, მის გულს სამუდამოთ მოინადირებს. დიანოზმა
ეს კარგათ იცოდა და შესანიშნავადაც სარგებლობდა ამით.

მეორე საგანი, რაც აუცილებლად უნდა მოეწონებია, დიასახლისის ოჯა-
ხური ნიჭი, საჭმელების მზადება, ოთახების გემოვნებით მოწყობა და სხვა ასე-
თები იყო. დიანოზისათვის არასოდეს არ უმტყუნებია ისეთ ხერხებს, ის ყოველ
ოჯახში შინაურ კაცად ხდებოდა და წინა კარებზე უფრო ადრე უკანა კარებს
შეისწავლიდა ხოლმე.

ხანდიხან დიასახლისსაც კი ამოუდგებოდა გვერდით და სადილის გამზა-
დებაში მოეხმარებოდა, ან სურსათ-სანოვაგისთვის გაეგზავნებოდა.

ამავე დროს მოხერხებულად აგრძნობინებდა მასპინძელს, რომ ის ცნობი-
ლი ლიტერატორია: „ყველა რედაქციებში მიესვლება“, სულ იოლად შეუძლია
ამა თუ იმ პირის გაქიაქება: ამოეფარება ფსევდონიმს და შორჩა, ამტკიცოს
მერე გალანძლულმა, რომ იგი კურდღელია და არა აქლემი.

დიანოზა-თითქოს სხვათა შორის ამბობსო — და მასპინძელს გააგონებდა
რომ აკაკის პირადი მეგობარი იყო, ილიას კარგათ იცნობდა ნინოშვილის სა-
სარგებლოდ ფულები უგროვებია, ვაჟა-ფშაველასთან მიწერ-მოწერა აქვს, არა-
გვისპირელს ძალიან ემეგობრება.

დიანოზა ხაზს გაუსვამდა იმ გარემოებასაც, რომ მისი ნამდვილი სახელია
დიონისე, რომელსაც კავშირი აქვს ძველ საბერძნეთთან და მალე ყველა გაი-
გებს, რომ მან შექმნა დიდი ნაწარმოები, ღირსი ამ სახელისა. ჯერ-ჯერობით
კი ის „ცნობილი იყო“ მოკლე კორესპონდენციებით, ჩვენი დაბა-ქალაქებიდან
სათეატრო რეცენზიებით და სხვა ასეთებით.

საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ მთელ საქართველოში მის მეტი რედაქციებიდან ჰონორარს ვერ აიღებდა; შეუძლებოდა რედაქციის კონტორას და არ შეიძლებოდა, რომ ორიოდე გროში არ დაეძრო, უქრდუტენს — შემთხვევაში რედაქტორ-გამომცემელს ძველ-ჟილეტკას, ან შალვარს ~~საბრძენებელს~~ ჰონორარში.

ბევრი ირწმუნებოდა, რომ დიანოზა კალამს ბოროტადაც ხმარობს, პირად საქმეებზე ამუშაუებსო. ერთხელ, მაგალითად, რამდენიმე ათეულ მანეთად ერთი მეშამულის თხოვნით მეო რე გამოელანძლა გაზეთში. მერე გალანძლულთან მისულიყო და იქედანაც ცოტათი ხელის მოთბობით პირველ მეშამულისათვის ებასუხნა — თავის მიერ დაწერილ წერილზე თითონვე გაეცა პასუხი.

დიანოზამ რევოლიუციონურ მუშაობაშიც მიიღო მონაწილეობა: ყოველ შემთხვევაში ხალხში ახალი თაობის კაცად მოჰქონდა თავი და ცნობილ რევოლიუციონერებსაც ფეხებში ესკენებოდა.

ყველა კითხვა მისთვის ნათელი და განმარტებული იყო, არაფერზე და ფიქრება არ სჭირდებოდა, ქვეყანას გულლიათ შეჰყურებდა.

— ვინ არ იცის, რომ დღეს ქვეყანა ორათაა გაბობილი: აქეთ არის გამხმარი პროლეტარი და იქით მსუქანი ბურჟუა, აქეთ დგას მშვიერი და იქეთ სქდება მადლარი, აქეთ არის პატიოსნება და იქეთ არის უსვინდისობა, — დაიწყებდა დიანოზი...

შალვას არასოდეს არ უფიქრია, მწერალი გავხდებიო; მისი გზა ისეთი იყო, რომ თუ კი რაიმე აზრი ექნებოდა სხვებისათვის გასახიარებელი, პირდაპირ და უშუალოდ შეეძლო ამისი გადაცემა; შუამავლად ქალაქი არ სჭირდებოდა მაგრამ... ერთ უბედურ დღეს გაწყდა მოტივტივე სინამდვილესთან შემაერთებელი ძაფი, ჩაიქცა დამაახლოვებელი ხიდი და პირი აღო საწინელმა უფსკრულმა. და შალვაც იძულებული შეიქნა ახალი საშუალებებით გადაეცა სხვებისათვის თავისი გრძნობა, თავისი აზრი.

მასი მუღა? მადიებელი და მოჰქმედი ბუნება არ შეიძლებოდა ციხეს დამონებოდა, უპროტესტოდ მიელო მისი მომაკვდინებელი სიჩუმე და თითონაც გულჩათხრობილი მღუმარებად გადაქცეულიყო. შალვა არ იყო ისეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ სულსა და გულში ხედვით კმაყოფილდება; მას არ შეეძლო სხვების გარეშე, სხვებთან დაუკავშირებლად არსებობა და რაკი ადამიანებს ასე უწყალოთ მოგლიჯეს, ქალაქი და მელანი დაიმეგობრა.

მარტოდ მარტო, ყველასაგან დავიწყებული, რუხ კედლებ შუა მომწყვდეული, რუხად მორთული შალვა, ვინ იცის რამდენჯერ დაყრდნობია მბეუტავი სანთლის სინათლეზე ქალაქის ნაკლეჯს, ეს და იყო იმ დროს მისი გულის მალამო, სასოება და იმედი...

საწინელი სინამდვილის კალთაში დაგუბებული მისი უსაზღვრო სევდა, რომელშიაც შეუმჩნევლად იყო ჩათესილი ცხოვრების უსაზღვრო სიყვარული, კდემპოსილის თვალებით გამოაყურებოდა ნალვლიან სტრიქონთა შორის...

სანამდის სამშობლოს ციხეებში იყო ხანდიხან მაინც ახერხებდა თავისი ნაწერების ქართულ რედაქციებში საიდუმლოთ გაგზავნას, ხოლო რუსეთში გადაყვანის შემდეგ ეს შეუძლებელი შეიქნა. მრავალი ხელთნაწერი შეუგროვდა.

თებერვლის რევოლუციამდე ერთის წლის უკან შალვამ თავისი ლექსები პროკურორის ნებართვით ხელნაწერად გამოუგზავნა ერთ ამხანაგს სამშობლოში. ამხანაგმა ამ ლექსების გამოცემა მოახერხა. შალვამ მხოლოდ ის გაიგო ამ ამხანაგისაგან, რომ მისი ლექსები დაიბეჭდებოდა, მაგრამ როდის უნდა იცოდა. წიგნი ისე გამოსულიყო, რომ შალვას არ გაუგია და მხოლოდ დღეს შეიტყო ძველი გაზეთების საშუალებით.

აი, ეს წიგნი იყო, რომ გაგიჟებით უყვარდა სოფიკოს, ევას ქალს, რომელსაც ამ წიგნის ავტორი ვილაც უცნობი და გადამთიელი ეგონა 15—16 წლის ქალის უმანკო სულმა რაღაც გამოუთქმელი და გამოუსახავი იგრძნო კორდელის ლექსების სტრიქონებ შუა, რაღაც იდუმალი აზრი და გრძნობა გამოემუსაიფა მის სულსა და გულს.

კითხულობდა შეუბღალავი არსება და შეუმჩნევლად უნათესავდებოდა პოეტის ცრემლსა და სიხარულს, ტანჯვას და აღტაცებას; მათი სულები ერთმანეთს ეწებებოდნენ, განუყრელი ხდებოდნენ, დაუთიშველნი...

ჩუმი სევდა და სიციოცხლისადმი თავშეუყავებელი მისწრაფება, მძლავრი აღმაფრენის ზეცისაკენ ლტოლვა და მწვავე სინამდვილის ხუნდები, ფრთებ შეკრიბის და მიწაზე გართხმული არწივის გულის გამკმირავი ყივილი—აი რა ამოიკითხა და იგრძნო სოფიკომ ამ კრებულში. და საპასუხოდ მრავალჯერაც ჩააწვეთა ბროლის ცრემლები გადაშლილ ფურცლებში.

— ვინ უნდა იყოს ეს ტანჯული ადამიანი. ვინ? როგორ უყვარს საწყალს სიციოცხლე, როგორ შეტრფის თავისუფლებას, — ხშირად იტყოდა სოფიკო.

ევას თავხარს სცემდა ეს გარემოება, ცდილობდა თავიდან მოეშორებია ეს საშინელი წიგნი, მაგრამ ვერას გახდა.

შალვას დაღუპვის შემდეგ, ბედნიერების მოწადინე ევამ, მალე მოაწყო მისი ცხოვრების გეგმი, რომელიც მოულოდნელმა ქარიშხალმა ძალუძად გადისროლა დასაძირავად გაშლილ ზღვაში, უფნებლად გადარჩა კატასტროფას და კვლავ შესცურდა მყუდრო ნავთსადგურში; უკვე იალქნები დაშვებულია და უზრუნველად განაგრძობს ზღვის მდორე ტალღებში სასიამოვნო ქანაობას... ქარიშხალმა გადაიხარა, ზღვა დაწყნარდა, ანძები არ იზნიქებიან? მაგრამ... ჰოი, საშინელება! უცებ საიდანღაც ეს თავხარდამცემი წიგნი გამოტყვერება და ევას მყუდრო არსებობასაც ბოლო ედება, თითქოს შეურყეველ საძირკველზე დაყრდნობილი კოშკი ერთიანად ყანყალებს, დაქცევას აპირებს.

ვინ იცის რა მოჰყუება ამ წიგნის ოჯახში შემოსვლას! რომ გაიგოს სოფიკომ ავტორის ვინაობა! რას იტყვის ამაზე რეზო, რომელიც დარწმუნებული ყავს, რომ მისი პირველი ქმარი გარდაცვლილია! ბოლოს — რაც ყველაზე თავხარდამცემია — რას იტყვის მთელი ქალაქი, მთელი ქვეყანა! მაშინ ხომ დაილუპა ევა, ხომ მოვლო ბოლო მის კეთილდღეობას! განა იმიტომ იწვალა ამდენი, რომ აგრე მოლოდინელად დანგრეოდა თავზე ამდენის ტანჯვით აგებული ბედნიერების სასახლე? ოოხ, საშინელი წიგნი!.. ოოხ, მისი ავტორი!..

XVII



ცოტა ხნის შემდეგ შალვა ფეხზე წამოდგა და უჩინოდ დაეძინა ენერგიით შეუდგა მუშაობას. დაიწყო ისევ კრებები, მიტინგები, მუშაობები...

უკვე არ იყო; ნერვების ძირიანად შემწყვეტი ამბები, დაინგრა რაც დასანგრევი იყო, უკვე არ აკვირვებს თვალს ცანდის აწვდილ შენობათა ძირს და მხოტა, საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ ტრადიციული რწმენა — შეხედულებათა დაქვესკნელება და მათ აღგილებზე დამატყვევებელ და საოცნებო კოშკთა აღმართვა! შორს, შორს გაქრა ნოითხოვა შალვას არსებამ. მოწყენის ნაღვლით დატვირთული მისი სული ინსტიქტიურად მიისწრაფოდა უფრო ფართო პორიზონტისკენ, მისი ენერგია და სასიცოცხლო მაჯის ფეთქა უფრო მნიშვნელოვან და ვრცელ ასპარეზს შესტრფოდა. მისი გრძნობებისა და აზრებისათვის უკვე ვიწრო იყო ერთი ქალაქის სარბიელი. ამას გრძნობდა გულის სიღრმეში და ამასვე ამბობდა მის გარშემო შექმნილი მდგომარეობაც.

მეორე გრძნობა, რომელიც ძალუძად აფეთქდა შალვას არსებაში, — ეს იყო თვითანალიზი, საკუთარი გულის სიღრმეში ჭვრეტა, პირად მოგონებათა ფენებში ბეტიალი, სულის ხვეულებში ჩუმი სრიალი. საკუთარი „მე“, რომელიც ავადმყოფობის დროს ხელ ახლა იპოვა მან, ნელი-ნელ იპყრობდა მის არსებას და საშინელის სიძლიერით, გამაქვავებელის ძალით უჯდებოდა სხეულის ყოველ წერტილში...

— ნუ თუ მე უკვე თავისუფალი ვარ და ჩემი თავი მევე მეკუთვნის? — ფიქრობდა დაუსრულებლივ შალვა და ეს არსებითად უბრალო აზრი ხშირად ძირიან ბუდიანად არყევდა მისს სულსა და გულს, ერთიანად აზანზარებდა მის არსებას. — ჩემ ნებაზე შემოძლია ავდგე, დავჯდე, ჩავიცვა, დავიხურო, ვსვა, ვჭამო, ვიფიქრო, ვიგრძნო... ნუ თუ არავინ იცქირება ჩემი გულის ხვეულებში, არავინ მითვალ-თვალებს და მარტოდ მარტო ვარ ჩემს ნებაზე მიშვეებული?

უმოწყალოდ ფეხ ქვეშ ნათელი და მრავალ გზით ტლანქად განაზნექი მისი ნებისყოფა უმწეოდ ათრთოლდებოდა ამ ფიქრების დროს, ერთიანად იპყრობდა რალაც შიში და სულ აცახცახდებოდა. მაგრამ მსწრაფლ შეიპყრობდა სასიამოვნო აწმყოს გრძნობა და... არ იყო ამ დროს მისთვის არც ციხის მოგონება, არც ბორკილების რაჩხუნი და არც ნესტიანი საკანი.

— გუშინ ციხეში ვიდექი, დღეს კარში ვარ... რა უბრალოა ეს აზრი, მაგრამ რამდენი ტრაგიზმია შიგ ჩაქსოვილი! სულ უბრალო რამ არის დატუსალება, მცველები, ციხეში შესვლა და იქ დაბინავება, ირგვლივ შენ ნაირი ადამიანები, შენებურად მგრძნობი და მაფიქრალნი... მაგრამ ვინ იცის რას ნიშნავს შენის ფეხითვე შენს სამარეში ჩასვენება! არ არის შენთვის ჰაერი, გავლა-გამოვლის საშუალება, გონების ხალისი, ყოველ დღე და ყოველ წლივ სულ ერთი სურათი... ობი ედება სულსა და გულს, დამბლდება სხეული, გეზარება განძრევა, იღლება და იპოქსება სული...

შენს იქეთ სულ ორიოდ საყენის მოშორებით ჩვეულებრივი ცხოვრებაა, სიცოცხლე ჩქეტს, ხარობს, იფურჩქნება. საჭიროა სულ ორიოდ ჩვეულებ-

რივი ნაბიჯის გადადგმა და შენც სხვებივით იცხოვრებ, იახროვნებ, იგრძნობ, გაივლი...

რა უბრალოა ეს აზრი და თანაც რა საშინელია! უკრძნუნს...

შენის თვალებით ხედავ შენს სამარეს, მიწას გაყრისკენ, ჯერ იღებ, კუბოს თავს ლურსმებით გიჭედვენ, გესმით ჩაქუჩის საშინელი ხმა და პირში წყალ-დაგუბებულებით ხარ...

შენს გვერდით უმოწყალოთ იხოცებიან ადამიანები, შეუბრალებელნი, დაუტირებელნი, შენაც ასეთი ბედი მოგელის, წყლის მომაწოდებელი არავენ გეყოლება: გამშრალის ყვლით იხრიან, გამხმარის ენით, აცეცხლებულის თვალებით. წინდაწინვე იცი, რომ ასეთის ბედის ხარ და მაინც არ ყვირი, არ შებღავი ცასა და ქვეყანას, არ აყრუებ სამყაროს, ჩაგიქინდრია თავი და უენოდ დამონებხარ მწარე ბედს, გარდუვალ სინამდვილეს...

მხოლოდ ეხლა იგრძნო შალვამ ეს საშინელება. განთავისუფლების შემდეგაც ის კარგა ხნის განმავლობაში კიდევ არ ეკუთვნოდა თავის თავს: ფაქტები ხდებოდნენ და შალვაც ადასტურებდა მათ, ცხოვრების მდინარე მიჩქეფდა და შალვას ნავიც თან მიჰქონდა მიმდინარეობას, პირის შებრუნება მას არ შეეძლო, საკუთარ „მე“-ს ვერ გამოაჩენდა.

ამ ხნის განმავლობაში ყოველ წამს სხვისი ცხოვრების მოწესრიგებაზე ფიქრობდა, ხოლო თავისი თავი კი, საკუთარი პიროვნება ერთიანად დავიწყებული ჰყავდა.

ავადმყოფობისა და სულიერი მიწყნარების შემდეგ კი ხშირია ისეთი წამი, როცა იგი თავის „მე“-ს ჩაჰყურებს და ხან რომ ღიმილი ეუფლება მის სახეს, ხან კიდევ მოწყენა ევლინება მას.

ხან რომ ანკარა წყალია მისი წარსული, ანკარა მდინარე რომლის ბსკერზე ნემსის დანახვაც კი შეიძლება, ხანაც საშინელ მღვრიე სითხეს წარმოადგენს იგი და ვერას მოჰკრავ შიგ თვალს.

მშობლები... ცოლ-შვილი... ევა... სად არიან, რას შვებიან? ამათი მოგონება, რომ დაუშრეტელ ცეცხლის აღში ხვევს შალვას სულსა და გულს...

XVIII

შალვა გადასახლდა პეტროგრადში, სადაც პროვინციალური ოლქის დავალებით ესწრება სხვა და სხვა ყრილობებს: მუშათა საბჭოებისას, პარტიულს და სხვ. ყველა ამ ყრილობებზე შალვას ყოველთვის პასუხის მგებელ ადგილებზე ირჩევენ, ყველგან თვალსაჩინო როლს თამაშობს და საერთო ყურადღებას იპყრობს.

ამ ხანებში შალვა ღრუბელიანმა ორხელ მიიღო სამშობლოდან დეპეშა: რევოლუციონური ორგანიზაცია სთხოვდა ჩამოსულიყო და აქ, სამშობლოში, მიეღო მონაწილეობა რევოლუციონურ საქმიანობაში.

— განა სულ ერთი არ არის საერთო ინტერესებისათვის სადაც უნდა ვიმუშაოთ, — ამბობდა შალვა და პასუხიც ამგვარი გაგზავნა პირველ დეპეშაზე.

— რევოლუციის ტალღები სამშობლოს მთებსაც ეხეთქებიან, მაგრამ პი-

რადათ მე რა მდგომარეობაში ჩავარდები იქ ჩასვლისას: ცოლი, შვილები, მშობლები! ფიქრობდა იგი და თავხარდაცემული გაუბოლდა ამ კითხვებზე პასუხების გაცემას.

დაუდგა წამი, როდესაც პირადი გრძნობა მის არსებაში საზოგადოებრივს შეეტოქა და სრულებითაც არ ფიქრობს მის წინაშე ქედი მოიხაროს.

— ვსთქვით ჩავედი სამშობლოში და შევუდექი საზოგადო ასპარეზზე მუშაობას, ვცხოვრობ დედა ქალაქში... რა უნდა დაერქვას ჩემ საქციელს მაშინ, თუ მე არ მოვიკითხე ჩემი შვილები, ცოლი, მშობლები? წარმოვიდგინოთ, რომ მე არც ერთი მათგანი არ მიყვარს - არც შვილები, არც ცოლი, არც მშობლები და სრც მოვიკითხე ისინი; ვშრომობ ჩემთვის და ეს ჩემი სისხლნი და ხორცი არ მაგონდებიან. რა ვიქნებოდე მე ასეთ შემთხვევაში? განა ეს ზნეობრივადაც დასაშვებია იქნებოდა!

ასეთნაირად ჯერ არასოდეს არ მიდგომია იგი ამ საკითხს. მან მთელის თავის არსებით იგრძნო, რომ ნორმალურ პიროვნებას არას დროს არ შეუძლია პიროვნულ ცხოვრებას ზურგი შეაქციოს, თავისი თავი უარჰყოს და სხვის „მე“-ში გაიღესოს, სხვებს ემსხვერპლოს, სხვებს შეეწიროს. ეს იქნებოდა თავისებური ასკეტიზმი, რომელიც თვით ბუნებისაგან არის უარყოფილი და საზღვარ დადებული.

შალვა ხედავს, რომ ის აუცილებლად წავა სამშობლოში, სხვა გზა არ არის, დღეიდან მისი რუსეთში დარჩენა უკვე ხელოვნური იქნება: ძნელია იქ ყოფნა, სადაც გული არ ეთანხმება თავს.

მაგრამ რამდენი ხანია სამშობლოდან ცნობები არ მოსვლია! ეგების უკვე მიიცივალნენ მისი ტანჯული მშობლები!..

საწყალი დედა, საბრალო მამა!.. ძნელია ამ აზრთან შერიგება იმ შვილისათვის, რომელმაც ამდენი იმედი გაუცრუა უბედურ მშობლებს და თანაც ამდენი ტანჯვა ანახვა... ცრემლები მაინც დაეფრქვია ტანჯულთა გვანისათვის!..

ბოლოს და ბოლოს, შალვა ამ აზრსაც შეურიგდება: პატიოსნად იცხოვრებს, პატიოსნად მოსთელეს ეს წუთი სოფელი და მშვიდათ განისვენებენ ცივ საპარეში.

ეგების შვილების დახოცვასაც შეურიგდეს შალვა? მაგრამ ევა! ევა აშინებს მას, მისი მოგონება სცემს თავზარს და ერთიანად არყევს მისს სულსა და გულს.

როგორ დაახვედრებს ერთ დროს ასეთის აღტაცებით ნაკურობ გვირგვინს? შეუბღალავია მისი სარეცელი, თუ წაბილწული? როგორ დაიცვა ევამ თავისი წმიდა სიყვარული? ის სიყვარული, რომელმაც მას დაავიწყა დედა, მამა, ნათესავეები და სრულიად უცხო ადამიანს შეაუღლა? ვის ეკუთვნის ევას გული ისევ შალვას, თუ სხვა ვინმეს?

აი რაშია საშინელება!

რევოლიუციის დატრიალების შემდეგ მეოთხე თვის დასაწყისი იყო, რომ შალვა ღრუბელიანი მეორე კლასის კუბედან ჩაფიქრებული ათვალისწინებდა რუ-

სეთის თვალუწვდენ მინდვრებს, რომელიც ერთიანად დაეუფრა შემოსული პურის მოოქრულ თავთავებს. ირგვლივ დაუსრულებელი სივრცე, ყველგან ერთნაირი, ყველგან ერთფერი... მატარებელს თითქოს თავხარს სველად ეს უსაზღვრო მარტოობაში ჩათლული არე და, მსგავსად ვებერთელა მთელი ქუჩებისა, გამალებული მიიხლანხნებოდა კავკასიონის ქედისაკენ თავშესაფარის მოსაძებნად. საშინელის სიჩქარით გარბოდა, მაგრამ დაუსრულებელ ველების ზურგზე მისი სიჩქარე ხშირად ლოკოკინის მოძრაობას შეედრებოდა: მოძრაობის მოძულე თვალ გადუწვდენელი სივრცე, სხვის მოძრაობასაც—უმოძრაობად აქცევდა.

გულზე ხელებ დაკრებილი შალვა, ვაგონის ფანჯარაში გადმომდგარიყო და სულგანაბული ელოდა იმ წამს, როდესაც შორით დაინახავდა სამშობლოს ერთგულ დარაჯს—ქალარა თმა წვერიან კავკასიონის ქედს. თანაც ხშირად აბორიალებული მტვერისაგან თავდასაცავად თვალებს ხუჭავდა და მარჯვენა ხელით აწლილ თმას ისწორებდა.

— ტრაბ-ტრაბ... გაიძახოდა შეუჩერებელი ველთა სივრცით შეშინებული მატარებელი. და გაალებული გარბოდა.

ათის წლის უკან ამ გზით შალვა სამშობლოდან რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა. დახურულ ვაგონში იჯდა სხვა ტუსაღებთან ერთად და მხოლოდ სარკმლიდან ხედავდა ცის სინათლეს; ბორკილებში იყო ჩაჭედილი, ტანზე ძაღლის ტყავის ქურქი ეცვა და თავის შაქრიან-ჩაიან ტომსიკებზე დაყრდნობილი, სულის შემხუთავ ჰაერის სუნთქვით დაღლილი, წარბებ შეკრული მიჩერებოდა მის თანამგზავრს...

ტუსაღებით აღვსილი მთელი ვაგონი უუმძიმესი სევდით და გოდებით აყო დატვირთული: სამშობლოს მოწყვეტილნი ცივ რუსეთში მიემგზავრებოდნენ სამარეში ჩასასვენებლად, არც ერთი მათგანი არ მიელოდა სამშობლოში დაბრუნებას. იყო ყრუ გუგუნნი და უბსკერო სევდა!

ვინ იცის რა ცეცხლი ტრიალებდა ამ დროს შალვას გულში!

დამარცხებული მისწრაფება... გულზე მოგლეჯილი სამშობლო... ატირებული ცოლ-შვილი... აქვითინებული მშობლები... და.. სიკვდილის მისაღებად წამდგარი საკუთარი თავი!

მართალია, სადღაც, შორს, ცის-კიდურში, ხანდისხან, ციციანათელასავით გაეღვებდა ხსნის იმედი, გადარჩენის რწმენა, მაგრამ...

მაგრამ... დღევანდელ შავ ბედს რა უნდა შველებოდა!

შალვა ღრუბელიანი იმ დროს არარაობა იყო, მიწასთან გასწორებული, მოსპობილი, განადგურებული... კიდევ ერთი ნაბიჯი და მისი კვალიც კი ამოიშლებოდა წუთისოდლის ხსოვნიდან, ისე დაიღუბებოდა, რომ ჯვარსაც კი არავინ აუგებდა სასაფლაოზე.

მაგრამ, აი, შეტრიალდა ბედი და ის ციციანათელა, რომელიც ასე შორიდან უნათებდა ათის წლის უკან, დღეს უკვე ქვეყნის განმანათებელ ჩირაღდნად გადაიჭცა და შალვას კრული არსებობაც ერთიანად გაასხივოსნა. ერთ დროს საფლავისკენ მიმავალი შალვა, დღეს სიცოცხლისკენ მოდის. შალვამ გაი-

მარჯვა, შალვა ვერ დასძლიეს! მისი იმედი გამართლდა, ბოროტებს დამარცხებულია, სიმართლე ხარობს!..

ოოპ, რა ძალუმად სცემს შალვას არსებაში შეუდარებელი სიამაყე, ქედმოუხრელი „მე“ შეუპოვარ ადამიანისა, რომელიც ელოდა და ელოდება, იბრძოდა და გაიმარჯვა! რომელიც სალ-კლდესავით იდგა და მრავალ გზით უკუ აქცია მის და მოსასპობად გრგვინვით მოხეთქილი ტალღა.

დევემირის რწმენით აღჭურვილს მითიურ პრომეთეოსავით ხელთ ეპყრა ანთებული ყინვილილი და მაშვრალთა გასაბედნიერებლად მოისწრაფოდა მიწისაკენ...


და აჰა, დადგა ჟამი და ისიც გამარჯვებული უბრუნდა გამარჯვებულ სამშობლოს!..

ცა ფირუზ, ხნელეთ ზურმუხტო,
 ჩემო სამშობლო მხარეთ,
 ია და ვარდი დამკნარი:
 ხელ-ახლად განიხარეთ...
 ვერ ავიტანე ობლობა,
 სისხლის ცრემლები ვღვარეთ,
 წამძლია სულმა და გულმა,
 შენს ნახვას დავეჩქარეთ...

ასე მოღიღინებს აღფრთოვანებული შალვა და მის ღიღინს არ აქვს დასასრული.

სამშობლო მიწა-წყლის მოახლოვებამ გაურკვეველი სითბო გაუღვიძა ძარღვებში, გიჟურად აუჩუხჩუხა სისხლი და ყოველგვარი შიში დაავიწყა...

ოოპ, არც ერთი გეჟმაჟი ახალგაზრდის ძარღვებში ასეთნაირად არ ათამაშებულა გამარჯვების სისხლი!

მეგობრებო!.. ანხანაგებო!.. საყვარელო საქართველო!..

წიიინ... წიიინ!..

შორს ღრუბელი, შოთორს ეჭვები! შალვას ბედნიერება უნდა! წიიინ, წიიინ!.. სამშობლოში მოდის, გზა მიეცით!

ათი წელიწადია მას დასტირის!..

გესმით? ათი წელიწადი!

ღვიძლებში მოდის, მშობლიურ კერას უბრუნდება! ხელახლავ უნდა ემთხვიოს დედის გულ-მკერდს, ხელახლავ უნდა ჩაიდოს პირში მშობელი დედის ძუძუ!..

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
 სულის ჩამდგნელო მხარეთ,
 შენი ვარ, შენთვის მოვეკიდები,
 შენზედვე მკლოვიარეთ!..

ისევ ღიღინებს აღფრთოვანებული შალვა და მის ღიღინს არ აქვს დასასრული.

მატარებელი კი მოჰქრის... მოჰქრის...



გეჟე ნახშირი

რომანი

წიგნი მესამე

გეჟე ნახშირის ვასსალები

(გაგრძელება*)

§ 22.

ხოლი ჯერ კიდევ იმ აზრზე იდგა, რომ ჯესიმ ყველაფერი უნდა ისწავლოს, ყველაფერი გაიგოს, სულ ერთია, სურს ეს იმას, თუ არა. პატარებელი ვაჟიდოდა დაახლოვებით ორი საათის შემდეგ, ის ფიქრობდა იმაზე, რომ ეს ძვირფასი დრო, რაც შეიძლებოდა კარგად გამოეყენებია. მას გაახსენდა, რომ როზა მინეტტი დაბრუნდა თავის ქობში, ბავშვისთვის რომ ყური ეგდოს. უცებ მან წარმოიდგინა ჯესი მინეტტი პატარა ქობში, როზა მიმზიდველი და კეთილი იყო, პატარა ჯეროვი კი პირდაპირ მონაჯადოებელი.

— ჩემო ჯესი, — უთხრა მან, — მე მინდოდა, რომ შენ ჩემთან გაგვევლოს ცოტა.

— მაგრამ წვიმა რომ მოდის.

— დიდი უბედურება არ იქნება, თუ ტანსაცმელი გაგიფუჭდება; მაინც ბევრი გაქვს.

— არა მე ეგ არ მაფიქრებს...

— მე ისე მინდა, რომ წამოხვიდე...

— ძალიან მემძიმება, ხოლ; მე სტუმრად ვარ პერსისთან, და შეიძლება ეს არ ვსიამოვნოს იმას..

— მე ვკითხავ პერსის, ხომ არაფერი ექნება ამის საწინააღმდეგო, — გააწყვეტინა ხრლმა გათამაშებული სერიოზულობით.

— არა, არა, ეგ კიდევ უარესი! — ასეთ საკითხებს ჯესი იუმორისტულად ვერ შეხედავდა.

→ ვივი კესი იყო გარედ; სხვებიც ემზადებოდნენ გასასეირნებლად, ამის საწინააღმდეგო რომ არაფერი ჰქონია.

1) იხ. ჟურნ. „მნათობის“ № 3 (23).

— მე ვიცი ხოლ, მაგრამ იმათ ყველაფერი თავის რიგზე აქვთ ხრლმა გაიციანა.—კარგი, წავიდეთ, ჯესი. პერსი ჩემს ცოდვეს შენ არ მოგახვევს თავზე. შენ გრძელი გზა მოგელის და სუფთა ჩაქვთზე გავლა მოგიხდება.

ჯესი მიხვდა, რომ უნდა დაუთმოს, თუ არ სურს მას, რომ საბოლოოდ დაჰკარგოს მასზე გავლენა.

— კარგი,—გადაჭრით სთქვა ქალმა და გაქრა. ის დაბრუნდა სქელ ვუალში გამოხვეული, რომ დაეთარა სახე ცნობისმოყვარე რეპორტიორებისაგან, წყალშეუვალ პალტოში, კალოშებით და საწვიმარი ქოლგით ხელში.

ისინი აერიდენ მაღაროსთან შეგროვილ ხალხს და მივიდენ სოფლის ატალახებულ, მოუკირწყლავ უბანში, სადაც იტალიელები სცხოვრობდენ. ხოლს მიჰყავდა იგი ხელი-ხელ გაყრილი მოლირსული ღორტაპებისა და ორმოების მოშორებით.

მას უღრმესად აღელვებდა ასეთ პირობებში მისი მშვენიერი სახის ყურება და მისი ნაზი ხმის მოსმენა.

ის უამბობდა მას შინეტიის ოჯახის შესახებ, როგორ შეხვდა ის დიდსა და პატარა ჯეროის ქუჩაში, როგორ მიიღო ამ ოჯახმა იგი თავის სახლში და შიშის გამო იძულებული შეიქნა ხელახლა გაეშვა. მან მოუთხრო ჯესის სასწორის კონტროლიორის ამბავი, უამბო თუ როგორ დაატუსაღა ის ჯეს კონტონმა. მაგრამ ამ დროს ისინი უკვე მიადგენ შინეტის სახლს და ხოლი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ამ მძიმე ამბავის მოთხრობა.

— მე ვუამბე მისს არტურს, თუ რამდენს ხრუნავდით თქვენ ჩემზე.—უთხრა ხოლმა როზას,—და მას უნდოდა მადლობა გადაეხადა თქვენთვის ამის გამო.

— დიახ,—გრძნობით დაუმატა ჯესიმ, მე მადლობელი ვარ ყველასი. ვინც კარგად ექცეოდა ხოლს.

როზამ წაიდუღუნა რამდენიმე სიტყვა, პატარა ჯეროიმ გააწყვეტინა მას თავის მხიარული ხმით: „რატომ ეძახით მას ხოლს? მას ხომ ჯო ჰქვია!“

— შშ!—უთხრა როზამ, მაგრამ ხოლმა და ჯესიმ გაიციინეს.

— მე ბევრი სახელები მაქვს.—სთქვა ხოლმა.—როდესაც შენსავით პატარა ვიყავი, მე შეძახდენ ხოლს.

— ის გიცნობდა შენ მაშინ?—ჰკითხა პატარა ჯეროიმ.

— ჰო, მიცნობდა.

— ის შენი სულიკო ხომ არ არის?

როზამ დარცხვენით გაიციინა. ჯესი გაწითლდა და კიდევ უფრო მშვენიერი შეიქნა. ის ბუნდოვანად გრძნობდა განსხვავებას მანერებში, ეს ხალხი „სულიკოს“ არსებობას იღებდა ისე, როგორც ბუნებრივ მოვლენას და სრულებით არ მალავდა თავის ინტერესს ამისადმი.

— მაგრამ ეს საიდუმლოდ უნდა დარჩეს,—გააფრთხილა ხოლმა,—არ გაგვცო.

— მე ვიცი საიდუმლოს შენახვა,—მიმართა ჯეროიმ ჯესის. პატარა პაუ-

ზის შემდეგ მან დაუმატა ჩურჩულით: „ვინც ნორტ-ვალში მუშაობს იმან უნდა იცოდეს საიდუმლოს შენახვა.“

— მე გულით მჯერა!—სთქვა ხოლმე.

— ჩემი მამა სოციალისტია, — უთხრა ჯერრიმ ჯესის. შემდეგ განაგრძო თავისი აზრი: ჩემი მამა „ცეცხლის წამკიდებელია.“

— რა არის „ცეცხლის წამკიდებელი,“ — ჰკითხა ჯესიმ, რომ დაემტკიცებინა თავისი კეთილი განწყობილება.

— ღმერთო ჩემო! — წარმოსთქვა პატარა ჯერრიმ, — მაშ შენ არაფერი არ გცოდნია მალაროების შესახებ?..

— არა, — უპასუხა ჯესიმ. — მთავრად შენ.

— „ცეცხლის წამკიდებელი“ თუ არ იქნა, ნახშირიც არ იქნება, — უპასუხა ჯერრიმ. — საჭიროა აგრეთვე, რომ ცეცხლის წამკიდებელი კარგი იქნეს, თორემ მალარო აფეთქდება. ჩემი მამა საუკეთესო ცეცხლის წამკიდებელია ნორტ-ვალში.

— რას აკეთებს ის?

— არის ისეთი ბურღი გრძელი, — გრძელი როგორც ეს ოთახი, იმით ამობურღავენ ნახშირს. ხანდახან არის კიდევ საბურღავი მანქანები, მაგრამ ისინი არ გვიყვარს ჩვენ, ისინი სამუშაოს ართმევენ ხალხს. როდესაც ამობურღავენ, მაშინ მოდის ცეცხლის წამკიდებელი და წაუკიდებს ცეცხლს წამალს. ამისათვის საჭიროა, — პატარა ჯერრი სერიოზულად ლაპარაკობდა და ყოველ სიტყვას ხაზს უსვამდა, — რომ სპეციალური წამალი გქონდეს, რომელიც ალს არ იძლევა. და ძალიან კარგად უნდა იცოდე, თუ რამდენი წამალი სჭირდება ნახვრეტს. თუ ბევრი ჩასდე, ნახშირი დაიმსხვრევა ძალიან და სიცხეს დაგაყენებს ნახშირის მჭრელი მუშა, ცოტა თუ ჩასდევი, — მაშინ ბევრი მუშაობა დასჭირდება ხალხს და კიდევ სიცხეს დაგაყენებენ ამის გამო. ამიტომ არის საჭირო კარგი ცეცხლის წამკიდებელი.

ჯესიმ გადახედა ხოლს, და ხოლმაც მიხვდა, რომ ამგვარად მისი საცოლვე ბევრ რამეს ისწავლიდა, და აქეზებდა პატარა ჯერრის, რომ განეგრძო მას მალაროს მუშების ცხოვრების აღწერა, ეამბნა ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: მტყუანი სასწორი, ზედმეტი სამუშაოები, მექრთამე ზედამხედველები და მალაროს ხელისუფლება, ქარხნის დუქნები და კომპანიის დაქირავებული ბინები, სოციალისტი ავიტატორები და მუშათა კავშირების ორგანიზაცია.

პატარა ჯერრიმ გულახდილად წამოაყრანტალა მალაროს ყველა საიდუმლოებანი. — შენ შევიძლია იცოდე ყოველივე ეს, — შენიშნა მან სერიოზულად, — იმიტომ რომ შენ ჯოს სულიკო ხარ.

— შენ კი პატარა ანგელოზი ხარ! — წამოიძახა ჯესიმ.

— რა არის „ანგელოზი?“ — შეეკითხა მას პატარა ჯერრი.

§ 23.

ამგვარად დრო საამურად გადიოდა. მიუხედავად თავისი გაუთლელი გამოთქმებისა, პატარა ჯერრი ძალიან მოეწონა ჯესის; ხოლმე შენიშნა ეს და

მეტად გახარებული იყო. მას არ შეეძლო ჯესის ფიქრების წაკითხვა, და იმას ეჭვიც კი არ შეუტანია იმაში, რომ ბავშვისადმი გამომკლავნებულ სიმპატიას მხოლოდ გარეგნული იყო, რომ იმის უკან იმალებოდა მსუბუქი კლასის ცრუ შეხედულებებზე აღზრდილი თავდაპერა. ჰო, დღეს ეს პატარა ბავშვი მალაროებიდან პატარა ანგელოზია, მაგრამ რა იქნება ის, როდესაც დიდი გაიზრდება! ის გახდება ულამაზო, ჩვეულებრივი გარეგნობის მქონე, ათიოდე წლის შემდეგ მას ვეღარ გამოარჩევ სოფლის სხვა ქუჩიანი მცხოვრებლებისაგან. მასში, რომ უბრალო, მდაბიო ხალხი რაც ხანში შედის მით უფრო ფუჭდება, ჯესი იმის დასამტკიცებელ საბუთს ხედავდა, რომ ისინი მდაბალი მოდგმის, მდაბალი ჯიშისანი არიან. მისი აზრით, ხოლი დროსა და ძალას ჰკარგავს მხოლოდ, როდესაც ის ცდილობს, რომ როგორმე თავის თავს გაუსწოროს ისინი: უკან დაბრუნების დროს ის აუხსნის ხოლს ამას. ჯესი მშვენივრად ხვდებოდა, რომ ხოლმა ის აქ იმისთვის მოიყვანა, რომ გაანათლოს იგი,—და ეწინააღმდეგებოდა, როგორც ძველი ქვეყანა, ნაძალადეგ განათლებას. მაგრამ ის მაინც დაიმედებული იყო, რომ იარაღს ისევ ხოლის წინააღმდეგ მიმართავდა და ამგვარად მოარჯულებდა მას.

როდესაც კი გაათავა როზამ ბავშვის ძუძუს წოვება, ჯესიმ რამდენიმე სიტყვა სთქვა ყმაწვილის შავი თვალების შესახებ. ამ თემამ გაუხსნა მორცხე დედას ენა, და მათ შორის წეგობრული ბაასი გაიშართა. უცებ გარედ ხმაური გაისმა, რომელმაც ყველა ფეხზე წამოაყენა. ეს იყო ქალების ხმების გუგუნო; ხოლი და როზა ეცნენ კარებს. მომენტი კრიტიკული იყო. ნერვები ყველას უაღრესად დაჭიმული ჰქონდა.

ხოლმა გააღო კარი და დაიძახა: „რა ამბავია?“ ქალის ხმამ უპასუხა: „რაფერტი ნახეს!“

— ცოცხალი?

— ჯერ არ ვიცით კიდევ.

— სად?

— მეჩვიდმეტე გვირაბში. თერთმეტი ნახეს ერთად; რაფერტი, ახალგაზდა ფლენგენი, შვედი—ფოგანსენი. მათ ძლივსღა უდგიათ სული, ვერ დაპარაკობენ. არავის არ აძლევენ მათთან მიახლოების ნებას.

— გაისმა კიდევ სხვა ხმები, მაგრამ ის, რომელზედაც ხოლმა გასცა პასუხი, განსაკუთრებით თბილი იყო, უეჭველად ირლანდიული; მან შიიპურო ჯესის ყურადღება.

— ისინი მიმღებ პუნქტზე გადაიტანეს. ცოლებს უნდათ შეიტყონ რამე თავიანთი ქმრების შესახებ, არავითარი პასუხის მოცემა არა სურათ, ძალღებოვით ერეკებიან!

ხმამალლა ტირილმა გასწყვიტა ეს სიტყვები. ხოლი გავიდა ქოხიდან და მალე ისევ დაბრუნდა და თან ახალგაზდა ქალი მოიყვანა გახუნებული ჩითის კაბით და ბრწყინვალე ქერა თმისანი. ხოლს ხელი ეკიდა მისთვის; ის თითქოს ნახევრად გულშემოყრილი იყო და დრო გამოშვებით კვნესოდა: „ეს საშინელება არის, საშინელება!“ ხოლმა მიიყვანა იგი სკამთან, ქალი დაეშვა ზედ, დაი-

ფარა ხელებით სახე და აქვითინდა, თან რალაც გაურკვეველ სიტყვებს ამბობდა.

ჯესი განცვიფრებით უცქეროდა ახალგაზდა ქალს, ^{ქალს, რომელიც} მთელ იმ მღელვარებას, რომელსაც შეეპყრო იგი და რამდენიმედ კიდევაც ინაწილებდა მას; მაგრამ მაინც რალაც მხედრდებოდა მასში იმის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ეს საბრალოები იტანჯებოდნენ, მაგრამ რა საშინელ ხმაურსა სტებდა ეს საცოდავი არსება! მის მღელვარებას ნაწილობრივად შხამი და გაბრაზება ემჩნეოდა, და ჯესი ბრალად უთვლიდა მას ამ გარემოებას, როგორც ხოლის ველური სოციალური ენება, რომელიც მას ეგრე რიგად აშინებდა და ახევიანებდა უკან, ისე ეს რალაც გამომწვევი რამ ეგონა მას.

— ისინი როგორც ძაღლებს, ისე ერეკებიან ქალებს! — გაიმეორა ახალგაზდა ქალმა.

— მერი, — უთხრა ხოლმა, რომელიც ცდილობდა მის დამშვიდებას, — ექიმები გააკეთებენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია. ქალები მხოლოდ ხელს შეუშლიდნენ მათ.

— შეიძლება, მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, ჯო, ეს ხომ თქვენც იცით. მათ ამოიტანეს ზევიით გვამები, ზოგიერთი მათგანი ნაწილებად დაგლეჯილი ნახეს იქ, სადაც აფეთქება მოხდა, და არავის უფლება არა აქვს ნახოს ისინი; ესეც ექიმების გამოა? არა! მათ სურთ მხოლოდ, რომ მსხვერპლის რაოდენობის დაფარვის საშუალება ექნეთ. უნდა რომ თითო მკვდარს ხუთი ან ექვსი ფეხი შიაწერონ! აი ეს აგიყვებს ქალებს! მე ვნახე, როგორ შეეცადა მისის ცამბონი გარაჟში შესვლას, პიტ ხენემმა ჰკრა ხელი გულში და გამოაგდო გარედ. — მე მინდა წავილო ჩემი ქმარი! ყვიროდა იგი. — „რა გინდა რომ უქნა, ის გადაიქცა ხორცის ნაფლეთებად!“ — მე მინდა წავილო ეს ნაფლეთები!“ — „რათ გინდა? შესჯამ, თუ რას უჩამ?“

ჯესიმაც კი ზარდაცემულივით წამოიყვირა: უცნობმა ქალმა ისევ მიითვარა სახეზედ ხელები. ხოლმა რბილად დაადო მას მხარზე თავისი ხელი; „მერი, — ევედრებოდა იგი, — ყველაფერი ეს არც ისე საშინელია; ხალხი მაინც ამოიყვანეს“.

— რა იცით, რა ხდება? შეიძლება ძირს მალაროში რომელიმე გზებს ხურავენ. აი ეს არის ყველაზე საშინელი, რომ არ იცი თუ რა ხდება, რომ გაგეგონათ თქვენ, თუ როგორ ყვიროდა საბრალო მისის რაფერტი! ჯო, მე მეგონა თუ დანას მიყრიდნენ გულში! აბა იფიქრეთ, უკვე ნახევარი საათი გავიდა, რაც ის ამოათრიეს ზევით და ჯერ კიდევ არ უთქვამთ საბრალო ქალისათვის, ცოცხალია იგი თუ მკვდარი.

§ 24.

ხოლი სდუმდა რამდენიმე წუთს ფიქრებში წასული. მისთვის უცნაური იყო ის, რომ ასეთი ამბები ხდება მაშინ, როდესაც პერსი ხარიჯანის მატარებელი ჯერ კიდევ სადგურზე იდგა. ის ფიქრობდა — მიემართნა ისევ პერსისა-

თვის, თუ საკმაო იქნებოდა ორიოდ სიტყვა კარტრაიტისთვის ან კოტონის-თვის რომ ეთქვა.

— მერი, — დამშვიდებით უთხრა მან, — ნუ სწუხართ. ჩვენ უმჯობესად შევიძლებთ მივალწიოთ იმას, რომ უკეთ მოეპყრან ქალებს.

ის ჯერაც ისევ ტიროდა. „ჩვენ რა უნდა ვქნათ? ჩვენ ხომ ვინმეს ჩადიან, რაც თვითონა სურთ“.

— არა, — უპასუხა ხოლმა. — ეხლა ეს აგრე აღარ არის, მერწმუნეთ, რომ შეიძლება გაკეთდეს რამე. მე წავალ და მოველაპარაკები ჯეფ კოტონს.

ის მივარდა კარებს, მაგრამ ჯესიმ შეჰყვირა: „ხოლ!“ ხოლი გაჩერდა, თავის გაბრახებაში ზედამხედველებზე მას თითქმის სულ გადაავიწყდა ჯესი.

ის მიბრუნდა მისკენ, შემდეგ მერის შეხედა. მან დაინახა, როგორ მოიშორა უკანასკნელმა ხელები ნამტირალევი სახიდან, მწუხარე გამოშეტყველება გაოცებით შეიცვალა. — „ხოლ!“

— მაპატიე, — საჩქაროდ წარმოსთქვა მან, — მისს ბარკ, ეს კი ჩემი მეგობარი მისს არტური. — ის თითქოს დაჯერებულნი არ იყო მასში რომ ეს საკმაოა, და დაუმატა: ჯესი, ეს ჩემი მეგობარია მერი.

ჯესი არავითარ შემთხვევაში არა ჰკარგავდა თავის ზრდილობას. — მისს ბარკ, — წარმოსთქვა მან და ზრდილობიანად გაიღიმა. მერის არ ამოუღია ხმა, გაოცება არ შორდებოდა მის სახეს.

თავის აღელვებაში მან ჯერ თითქმის ვერც კი შეამჩნია უცნობი ქალი; ეხლა დაკვირვებით უცქეროდა მას და ყველაფერი გაიგო.

ეს ახალგაზდა ქალი მშვენიერი იყო, მშვენიერი ისეთი სილამაზით, რომელზედაც აქ, მაღაროებში, წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ; თავმდაბალი, და მიუხედავად საწვიმარი პალტოსი და კალოშებისა, ის მდიდრულად ჩაცმულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მერის ენახა მისს ოკალახანის მდიდრული ტყალეტები, მაგრამ აქ რაღაც სულ სხვა რამ იყო, რაღაც ფაქიზი, ძალდაუტანებელი, იშვიათი და შეუვანებელი ელფგანტობა. და ამ ახალგაზდა ქალს თითქოს რაღაც უფლებები ჰქონდა ჯო სმიტზე, უნცროს მაღაროა მუშაზე. საჭირო არ იყო პატარა ჯერრის განმარტება, რომ მერის ინსტანკტიურად მიეცნო ჰქმმარიტი კვალისათვის; ის მაშინვე მიხვდა, რომ სწორედ ეს არის „მეორე ქალი“.

და მერიმ უკებ მწარე სიმკეთრით იგრძნო, თუ რა ჭუჭყიანი და ძველი ჩითის კაბა აცვია მას, როგორი დიდი და მუშაობისაგან მოეხეშავი ხელება აქვს, რომ ფეხები წაკეცილ წულუბში უდკია, საიდანაც ლამის თითები გამოქვრეს გარეთ.

მაგრამ ჯესისაც ჰქონდა ქალური ყნოსვა; ის ხედავდა თავას წინაშე ლამაზ ახალგაზდა ქალს, რომლას სილამაზეს ის ვერ უარჰყოფდა, თუკა არ მოსწონდა კი, სილამაზე ძღაერი ჯანსაღობისა და ყოვლას დამძლევი ცხოველ მყოფელობისა.

ჯესი გრძნობდა საკუთარ ჯადოსნობას, მას შესწავლილი ჰქონდა მისი გულმოდგინედ მოვლა და შენახვა, და მან მაშინვე შენიშნა მეორე ქალის ყველა

დეფექტები — ლაქებ მოცხებული, ქუჩუიანი კაბა, დიდი ტლანჩი ხელები, წაქეცილი წულები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისთვის ნათელი იყო, რომ ქერათმიან შერის აქვს ერთი თვისება, რომელიც აქლია მას, ჯესის უჯესი არტური მაღაროების ამ ველური ვარდის გვერდით კაცს მუღუღნეჭდუქუჭრანქერის ნახსა და უფერულ შცენარეს.

მან შენიშნა, როგორ დაადო ხოლმა ხელი შერის მხარს, როგორ ელაპარაკებოდა ის იმას. ის კი ჯოს ეძახდა! მოულოდნელმა შიშმა მოიცვა ჯესი.

ისე, როგორც უნაკლულოდ აღზრდილმა ახალგაზდა ქალების უმეტესმა ნაწილმა, ჯესი არტურმაც ბევრი რამ იცოდა, იცოდა თითქმის იმაზე მეტიც, რაშიაც ის თავის თავს უტყუდებოდა. იცოდა საკმაოდ ბევრი იმის გასაგებად, რომ მდიდარი, უსაქმური ახალგაზდა კაცები არა სცხოვრობენ მაინცა და მაინც ყოველთვის, როგორც წმინდანები ან ასკეტები. მას ხშირად გაეგონა აგრეთვე მდაბალი კლასების ქალებზე, რომ ისინი მოკლებული არიან „ზნეობას“. რას ნიშნავდა ყოველივე ეს? როგორ უნდა ნოქცეოდა ისეთი ახალგაზდა ქალი, როგორიც შერი ბორკია. აყვავილებული, მზურვალედ მგრძნობიერი, თავის ბედით უკმაყოფილო — ხოლს, ასეთ განათლებულსა და მიმზიდველ ვაქს? რა თქმა უნდა ხოლი იზიდავდა მას; მასთან დაახლოვებით გაცნობის შემდეგ, არც ერთ ქალს არ შეეძლო არ გატაცებულიყო ხოლით. და ეს უნდა ცდილობდეს მოსწყვიტოს იგი მის მეგობრებს, მის წრეს, ბედნიერს, უზრუნველ მომავალს, რომელზედაც მას სრული უფლება აქვს. ამ ქალს ექნება შემდეგ მასზე გავლენა, ბნელი, საშინელი ძალა, რომელიც ორმაგად აშინებდა ჯესის, ვინაიდან იგი იღუმალებით იყო მოცული. შესძლებდა ეს ძალა შეუმჩნეველი გაეხადა ისეთი ნაკლები, როგორც არის ქუჩუიანი ჩითის კაბა, დიდი ტლანჩი ხელები და წაქეცილი წულები?

ჯესამ შეხედა ხოლს. ის ისეთი მართალი და კეთილშობილი მოეჩვენა მას, მისი სახე ისე იყო გახსნილი, ის თვით განხორციელებული პატიოსნება არის. არა, მას არ შეუძლია დაიჯეროს, რომ ხოლი ასეთი ცდუნების მსხვერპლი გახდებოდა.

ეს რომ ასე იყოს, ხოლი არასოდეს არ მოიყვანდა მას ამ ქოხში, სადაც შესაძლებელი იყო მისი შეხვედრა ამ ქალთან. მაგრამ შეიძლება ხოლი ებრძოდა ამ ცდუნებას, შეიძლება ის თავისდა შეუგნებლად კიდევაც გაეხა მახეში. ის მამაკაცი იყო და, მაშასადამე, ბრმა; ის მეოცნებეა და გასაკვირი არ იქნება მისგან ამ ახალგაზდა ქალის იდეალიზაცია და მისი სადა, პრიმიტიული, ყოველგვარ ეშმაკობას მოკლებული სახით წარმოდგენა.

ჯესი იბრძოლებს ხოლის გადასარჩენად, მოიგონებს გაცილებით უფრო ფაქიზ ხრიკებს, ვიდრე ეს ამ მაღაროს გოგოს ეცოდინება.

§ 25.

ქვეცნობიერი „მე“, ჩანომავლობითი სიმკაცრით სავსე არსება, რომელიც ხოლს არასოდეს არ წარმოედგინა, მთელი თავისი ძალით აიმართა ჯესი

არტურში. მან დაიხია უკან და უთხრა გულზედად: „ხოლ, ~~მოდო~~ აქ, თუ ღმერთი გწამს“.

ხოლი გაემართა მისკენ, ქალმა დაიცადა, ვიდრე ~~მისკენ~~ მიუახლოვდა.

— ნუ თუ შენ დავაფიწყდა, რომ უკანვე უნდა გამაცილო მატარებელში?

— არ შეგიძლია, რომ რამდენიმე წუთით შენც წამოხვიდე ჩემთან? — სთხოვა მან. — ეს ისეთ კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— როგორ უნდა გავიარო მე ამდენ ხალხში?

მისი ხმა უკვე თრთოდა, მშვენიერ წაბლისფერ თვალებში ცრემლები გამოჩნდნენ. „განა შენ არ იცი, ხოლ, რომ მე არ შემიძლია ავითანო ასეთი საშინელი სცენები? ეს საბრალო ქალი შეეჩვია მათ, მისი გრძნობები დაჩლუნგდნენ. მაგრამ მე, — მე, ო, წაშიყვანე, წაშიყვანე აქედან, ძვირფასო, ხოლ“.

როგორც დიდიხნის ნაცნობი ეხო, ისე გაისმა ხოლის ყურებში ეს კვილი ქალის დაცვისა და პატრონობის შესახებ. ის აღარ ფიქრობდა, ინსტიქტიურად იგრძნო ყველაფერი. მან საყვარელ ქალს ტკივილი მიაყენა, და თუმცა ეს საუკეთესო მისწრაფებით იყო გამოწვეული, მანიც იგი დიდი სიმკაცრეა იმის მხრით.

ხოლი სულ ახლოს იყო მისული მასთან, ის ხედავდა სიყვარულით სავსე თვალებს, ცრემლებს, ხედავდა როგორ შეთრთოლდებოდა ხოლმე ნაზი ნიკაპი. ჯესი ცუდათ გახდა, ხოლმა მოხვია ხელი, და იქ, ყველას წინაშე, ჯესიმ ნება მისცა მას მიეკრა იგი გულზე; ქალი ატირებული შესჩიოდა ხოლს თავისი ტანჯვის შესახებ. აქამდე ჯესი თავის დედის რჩევას მისდევდა და ძალიან ძუნწი იყო აღერსზე; ის არასოდეს არ სჩადიოდა ისეთ რამეს, რასაც თუნდაც უთამამესი ფანტაზია სიყვარულში გამოტეხად ჩასთვლიდა. მაგრამ ეხლა კი ჩაიდინა მან ეს, და მისი სული გამარჯვებას შეიმობდა, ვინაიდან ხედავდა, თუ როგორი გავლენა მოახდინა ამან ხოლზე. ის ისევ მას ეკუთვნის, დეე იცოდეს ამ მდაბიო ხალხმა ეს, დეე ეს „მეორე ქალმა“ იცოდეს.

მიუხედავად ამისა ჯესი არტურის გულში ტრიუმფთან ერთად ღრმა თანაგრძნობა აღიძრა ნორტ-ვალელ მუშებისადმი, ის კანკალებდა, როდესაც ისმენდა ამბავს მისსის ცამბონის ქმარის შესახებ; ასე რთულია ქალის ფსიხოლოგია, ასე რთულია ქალის ორგანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს მას ისტერიულიც იყოს და თავის მიზნის მისაღწევადაც გამოიყენოს ეს ისტერია.

ყოველ შემთხვევაში ხოლისათვის ნათელი შეიქნა, რომ საჭირო იყო მისი წაყვანა. მან მიმართა მერი ბორკს: „მისის არტურის მატარებელი მალე გადის. მე უნდა გავაცილო იგი უკანვე, შემდეგ კი წავიდეთ ერთად მაღაროსთან და ვნახავ რის გაკეთებაც შესაძლებელი იქნება.“

— კარგი, — სთქვა მერიმ. მისი ხმა მტკიცე იყო და ცივი. თუმცა ეს ხოლმა ვერ შენიშნა. ის მამაკაცი იყო და ამიტომ არ შეეძლო მიმხვდარიყო ქალის გრძნობებს, მით უმეტეს ორი ქალის გრძნობებს.

ხოლმა გამოიყვანა ჯესი ქობიდან. მთელი გზა ისინი თავგამეტებით იბრძოდნენ, ჯესი მოითხოვდა, რომ ის მასთან ერთად წასულიყო ნორტ-ვალდიდან. ის უკვე იმასაც კი აღარ დაეძებდა გამოიცვლიდა ხოლმე, თუ არა; თუნდაც ისე, როგორც არის, მაღაროს მუშის ქუჩიდან და გაემგზავროს იმათთან ერთად.

ჯესი აფიცებდა თავის სიყვარულს და ემუქრებოდა, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა, ეს იქნებოდა მათი უკანასკნელი შეხვედრა. ტირილიც კი დაიწყო ქუჩაში, და მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათ ქალები და ბავშვები ხედებოდნენ წინ და შეიძლება რეპორტიორებიც კი შეპყროდნენ, ნება მისცა ხოლს ხელი მოეხვივნა და ენუგეშებინა იგი.

ხოლი მეტისმეტად განცვიფრებული იყო, მაგრამ არ უნდოდა დაეთმო. პერსი ხარიგანის მატარებლით წასვლაზე ფიქრიც კი ზნეობრივ ზიზღსა ჰბადებდა მასში. მან აუხანა, რომ მას ქარივით შესძაგდა პერსი ხარიგანი და მისი მატარებელი. და ჯესიმ იგრძნო, რომ ის ხოლს აბრაზებდა მხოლოდ, რომ ხოლი მალე მთლად შეიძულეს მას, თუ ასე გაგრძელდა. ინსტიქტიური სიმარჯვით გაიხსენა მან ის, თუ როგორ სთხოვდა მას ხოლი აქ დარჩენას რომელიმე თანამგზავრ ქალებთან ერთად, დაეცა და ვიდრე ის მზად იქნებოდა.

ხოლს სიხარულით აუთრთოლდა გული, მაგრამ არ იცოდა მისი ფარული ზრუნვა; მან მხოლოდ ის იცოდა, რომ არცერთი ქალი არ გადასწყვეტდა შეურაცყოფა მიეყენებია პერსისა და თავისი აქ დარჩენით.

— შენ ამას სერიოზულად ამბობ, ჯესი, გენაცვალე? — სიხარულით შეეკითხა ხოლი.

ჯესიმ უპასუხა:

— მე ვუიქრობ, რომ მე შენ მიყვარხარ.

— კარგი ჩემო ძვირფასო, — უპასუხა ხოლმა, ჩვენ ვნახავთ, შეიძლება თუ არა ამის მოხერხება.

ვიდრე ესინი განაგრძობდნენ გზას, ჯესიმ დაუწყო ისევ რწმუნება, და ისიც, თავისდა შეუმჩნეველად დაეკვდა იმაში, თუ რამდენად სასურველი იყო დარჩენა ნორტ-ვალში. ქალი მზად იყო აესრულებია მისი სურვილი, მაგრამ ეს ძალიან აზარალებდა მას ჯესის მშობლების თვალში. ისინი დებეშას გამოგზავნიან, მოსთხოვენ, რომ მაშინვე დაბრუნდეს სახლში, ხოლო თუ კი არ დაუჯერათ, შექდევნი მატარებლით თვითონ ჩამოვლენ აქ; და ასე, სანამ ხოლმა თვითონ არ განაცხადა უარი თავის წინადადებაზე. ოა სარგებლობა უნდა ყოფილიყო იმის აქ დარჩენაში, თუკი ის მუდამ სახლში წასვლაზე იფიქრებდა და თავის მღელვარებას მასაც გადასცემდა. და სანამ საუბარი გათავდებოდა, ხოლმა აღიარა, ნორტ ვალი ჯესი არტურისათვის არ არის გაჩენილი, და რომ გამოტყინებული იყო ის, როდესაც მას მაღაროების გაცნობა უნდოდა იმისთვის.

ჯესის სურდა დაეტყუებინა ხოლისათვის დაპირება, რომ ის დასტოვებდა ნორტ-ვალს, როგორც კი უკან-სენელ კაცს ამოიყვანდნენ მაღაროდან; მან უპასუხა, რომ წამოვა. თუ კი რაიმე ახალი გართულება არ მოხდა. ჯესიმ სცა-

და ვითომც მიელო მისგან დაპირება ყოველ მიზეზის გარეშე, მაგრამ, როდესაც ვერ მოახერხა ეს და მატარებელთანაც თითქმის უკვე მისული იყვნენ, საბოლოოდ დაუთმო ხოლს.

მოიქცეს ისე, როგორც სურდეს, მხოლოდ ნუ დაიწვიწყებს, რომ ჯესის უყვარს იგი, რომ ის საჭიროა მისთვის, რომ მას უიმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია. რაც არ უნდა ჩაიდინოს ხოლმა, რაც არ უნდა ილაპარაკოს ხალხმა იმის შესახებ, — ჯესის მაინც სჯერა მისი, ჯესი მას არ მიატოვებს.

ხოლი მეტად აღელდა; მან მოხვია ჯესის ხელი და აკოცა ქოლგის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქუჩიანი ბავშვები ცნობისმოყვარეობით შესცუტებულენ მათ. ხოლმა კვლავ დაარწმუნა იგი თავის სიყვარულში, უთხრა, რომ ვერავითარი ინტერესი მალაროებისადმი ვერ წაართმევს ჯესის თავს იმას.

შემდეგ მან შეიყვანა იგი მატარებელში და გამოეთხოვა დანარჩენებს. მას ისეთი მოღუშული და დაღლილი სახე ჰქონდა, რომ ახალგაზდებმა ვერ გადასწყვიტეს სახუმაროდ აელოთ იგი, რასაც ისინი უეჭველად ჩაიდენდნენ სხვა პირობებში. როდესაც პლატფორმაზე მდგომი ხოლი მისჩერებოდა მიმავალ მატარებელს, მან უცებ იგრძნო, — და გრძნობამ თკითონ ხოლი მეტისმეტად გააოცა, — რომ მას სძაგან მისი სიყრმის მეგობრები. მისი გონება ამხედრდა ამის წინააღმდეგ, ის არწმუნებდა თავს, რომ მათ სხვა რამეს გაკეთება არ შეეძლოთ, რომ მათ არავითარი მიზეზი არ ჰქონიათ დარჩენისათვის, — მაგრამ მას მაინც სძაგდა ისინი.

ისინი მიეჩქარებიან იქ, სადაც მათ მოელის მხიარულება, ცეკვა, ფლირტი ქალაქს გარე კლუბში, ის კი ბრუნდება მალაროში, რომ როგორმე მისის მოუპოვოს ცამბონის ქმრის დასახიჩრებული გვამის ნახვის უფლება.

წიგნი მეოთხე.

მეფე ნახშირის ნება

§ 1

ბოლოს საბედისწერო მალაროს საიდუმლოება გამოიკვია. დაუღალავად მუშაობდა ბადიების მამოძრავებელი მანქანა, მძიმედ დატვირთული ბადიები ერთი მეორეს მოსდევდნენ ზევით და ისროდნენ მკედარაა და ცოცხალ გვამებს. ცოცხლებისა და მკვდრების ერთმანეთისაგან გარჩევა მხოლოდ მაშინ ხდებოდა შესაძლებელი, როდესაც განსაზღვრული დროის განმავლობაში მათ შეავბადს ჩაჰბერავდნენ. ხოლი იდგა ხშირი წვიმის ქვეშ და თვალ-ყურს ადევნებდა ხალხს. არასოდეს არ ენახა მას მთელ თავის სიცოცხლეში ასეთი შესაზარი, გულის გამგმირავი სცენები.

ეს სამარისებური სიჩუმე, როდესაც გამოჩნდებოდა ვინმე ახალი ცნობებით! ეს უეკოათ, საზარელი დაკივლება ქალის, რომლის იმედი თვალის ერთ დახამსამებაში იქმნა მოკლული, საუკუნოდ! ეს დუდუნი და თანაგრძნობის კვნესა, რომელიც გაირბენდა ბრბოში, გახარებული ძახილი, როდესაც

კარგი ამბავი მოვიდოდა! ყოველივე ეს აღელვებდა ხალხის სულს მზგავსად ქარიშხლისა, რომელიც თავთავს აღელვებს ყანაში.

რამდენი ამბები გადადიოდა პირიდან პირში მთელ ნორტ-ვალში წარმოუდგენელი ტანჯვისა და კიდევ უფრო წარმოუდგენელი გმირობის შესახებ მშიერ-მწყურვალ მუშეები. ოთხი დღე ისხდნენ მიწის ქვეშ და მაინც უარს ამბობდნენ მალაროს დატოვებაზე, მათ სურდათ დარჩენა, რომ სხვებს გადასარჩენად მიშველებოდნენ. წყვდიადითა და სიკვდილის მდუმარებით გარემოცული ხალხი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ქვიანი თაღებიდან ჩამოვარდნილი წვეთებით იკვებებოდა, ან მორიგეობით წვებოდნენ რომელიმე ადგილას, სადაც ცოტაოდენი წყალი დიოდა, ასველებდნენ შიგ ტანსაცმელს და სწოვდნენ მას. მაშველი რაზმელები ჰყვებოდნენ, თუ როგორ აკაკუნებდნენ ისინი ქვის ბარიკადებზე და პასუხად ესმოდათ შიგ მომწყვდული მუშების სუსტი სიგნალები, როგორ გოგებივით იწყებდნენ მუშაობას ბარიკადის დასანგრევად სანამ დასასრულ არ შესძლებდნენ მცირე ნახვრეტის გაკეთებას, მაშინ მათ ესმოდათ გახარებული ჟრიაშული. ხედავდნენ როგორ ენთებოდნენ წყვდიადში ადამიანთა თვალები, რომლებიც მოთმინებით ელოდნენ სანამ ნახვრეტი გადიდდებოდა იმ ზომამდე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საქმელისა და სასმელის მიწოდება.

ზოგიერთ ადგილას დიდი ბრძოლა დასჭირდათ ხანძართან. მაღაროში ხანძარის შტოები გაწვდილიყვნენ, ამავე დროს კი სავენტილიაციო მანქანა კვამლისა და ორთქლისაგან მალაროს ასუფთავებდა. ხანძარის ჩაქრობა ხალხისაგან დიდ თავგანწირვას მოითხოვდა, მაგრამ ისინი დაუფიქრებლად მიდიოდნენ წინ; ხომ შესაძლებელი იყო რომ შორეულ გვირაბებშიაც ყოფილიყვნენ დამარხული მუშეები კიდევ.

ხოლმა ნახა კოტონი ეხლა ლაზარეთად გადაქცეულ მიმღები პუნქტის კარებთან. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა მას შემდეგ, რაც პერსის მატარებელში კოტონმა ხოლის პიროვნების საიდუმლოება გაიგო. კოტონმა სულელურად და დარცხვენით გაიღიმა:

— აჰა! მისტერ უორხერ, თქვენ მაინც გაიმარჯვეთ—შენიშნა მან.

ხოლთან მცირე მოლაპარაკების შემდეგ კოტონმა ნება დართო რამდენიმე ქალს შესულიყვნენ მიმღებ პუნქტში, რომ შეედგინათ დაჭრილების სია და ეცნობებიათ ხალხისათვის მათი სახელები. ხოლი წავიდა მინიტტისთან, მეორე ბარკის მოსაყვანად ამ სამუშაოსათვის; მაგრამ როზამ აცნობა, რომ მეორე ბარკიც იმ წამშივე გამოვიდა გარედ, როგორც კი ისინი წავიდნენ და არავინ არ იცის თუ სად იმყოფება. მაშინ ხოლი მისსას დევიდისაკენ გაემართა. გადასწყვიტეს, რომ სახელწოდება „კომიტეტი“ უარეყოთ, ვინაიდან კოტონმა განაცხადა ერთხელ: „არც კი გამიმხილოთ დაწყევლილი კომიტეტის სახელი“.

ასე ვავიდა ლამე და შემდეგი დღის ნაწილი. ვიღაც მოხელემ მოუტანა ხოლს დაბეჭდილი კ ნვერტი, რომელშიაც კოტონის სახელზე გადმოგზავნილი დებეშა იდო ხოლისათვის:

„დაბეჭითებით გთხოვ დაუყოვნებლივ დაბრუნდეთ. ნომხდარი ამბავი მძიმედ იმოქმედებს მაშაზე. აღარ წემძლია მეტ ხანს დაუმალო“.

ხოლი მოიღუშა; ჰო, ხარიგანები სწრაფად შეუდგენ საქმეს. ის წავიდა ფოსტაში და გადასცა ტელეფონით: „ჩემის ანგარიშით ერთი ან ორი დღის შემდეგ უნდა დაებრუნდე. იმედი მაქვს, რომ შენ შესძლებ, მამის შემბრალებას, ვიდრე დაწვრილებით არ გაიგებ ჩემს თავგადასავალს. ბნბ—211151533“

დეპეშის შინაარსმა მეტად შეაწუხა ხოლი. მან წარმოიდგინა დაუსრულებელი დავა და კამათი ძმასთან, ახსნა-განმარტება და ბოდში მამის წინაშე მას მეტად უყვარდა მოხუცი მამა; რა სასიამოვნო იქნება, რომ ხარიგანის მიერ გაგზავნილი ვინმე მივიდეს მამასთან და შეაშინოს ყალბი ცნობებით!

ყველა ამ აზრებმა ხოლში აღძრეს სევდა სახლისადმი, მის წარმოდგენაში ცოცხლად წამოიჭრა გარე სამყარო მთელი მისი ცდუნებით. ადამიანისათვის, რომელიც შეჩვეულია ცხოვრების ძალიან კარგ პირობებს, არსებობს საზღვარი-რომლის იქით მას აღარ შეუძლია აიტანოს უვარგისი საქმელი, ბინძური ლოგინი და შესაზიზღებელი სურათები. ხოლს მოუშორებლად დასდევდა თან კლუბის რესტორანის წარმოდგენა, ჰგრძნობდა შემწვარის სუნს, ახალი გამომცხვარი ბულკის გემოს, ხედავდა თავის წინაშე მწვანე სალათს, ხილს, ათქვეფილი ნაღების სისპეტაკეს.

გაიარა კიდევ ერთმა ღამემ, გაიარა კიდევ ერთმა დღემ. ამოიღეს უკანასკნელი გვამები და გაგზავნეს პედროში, სადაც უნდა მომხდარიყო მსხვერპლის საერთო დასაფლავება—თითქმის მუდმივი ბედი მალაროების მუშებისა. ხანძარი შეწყდა მალაროში. მაშველმა რაზმმა ადგილი დაუთმო დურგლებს, რომლებიც შეუდგენ მალაროში დაზიანებული ადგილების შეკეთებას და გამაგრებას. რეპორტიორები წავიდნენ. ბილლი კიტინგმა მაგრად ჩამოართვა გამოთხოვების დროს ხოლს ხელი და დაჰპირდა, რომ მასთან ერთად კლუბში ისაუბრებდა. მოვიდა წითელი ჯვრის წარმომადგენელი და გახსნა სასაღილოები დამშეულთათვის იმ თანხით, რომელიც მისის კეტის მიერ გამართული ხელმოწერით შეგროვდა. ხოლს ის და დარჩენოდა, რომ გამოსთხოვებოდა მეგობრებს და დაჰპირებოდა მათ მომავალში თავის დახმარებას და ხელის შეწყობას. პირველი ადამიანი, რომელზედაც შეჩერდა მისი ფიქრი მერი ბორკი იყო. ჯესისთან შეხვედრის შემდეგ ხოლს აღარ უნახავს იგი, ხოლი მიხვდა, რომ ის განზრახ ერიდება მას.

სახლში არ დახვდა და რაფერტისთან წავიდა, რომ იქ ეგებ მაინც გავვოთუ რა იქნა იგი. ხოლი დარჩა იქ ცოტა ხანით, რომ გამოლაპარაკებოდა მოხუც ქალს, რომლის ქმარიც მან სიკვდილს გადაარჩინა.

მისის რაფერტიმ აცნობა ხოლს, რომ მისი ქმარი რჩება, მას უკვე ნება მისცეს ნახოს ხოლმე იგი. მიწის ქვეშ და ვიწრო პატარა გვირაბში მწოლარემ, უსმელ-უკმელად გაატარა მან ოთხი დღე და ღამე. მას ცოტაოდენი ყავა ჰქონდა თან, რომელსაც ის თავის ამბანაგებს უნაწილებდა. ის ჯერაც ვერ ლაპარაკობდა. ძლივს ანძრევდა ხელს და მხოლოდ თვალებში უბრწყინავდა სიცოცხლე, გრძნობიერი შემოხედვა იმისი ვინც მისის რაფერტის ოცდაათი წელზე მეტ ხანს უყვარდა ასე ძლიერ, მისი, რომელსაც იგი ერთგულებით ემსახურებოდა. მისას რაფერტი მადლობას აღავლენდა რაფერტის ღმერთისადმი

რომელმაც ის ასე სასწაულებრივად გადაარჩინა: ალბად ის უფრო ძლიერი იყო ვიდრე იოგანსონის პროტესტანტული ღმერთი, — გოლიათი შვედი რაფერტის გვერდით იწვა მაღაროში, მაგრამ ის ველარ გადააჩინეს და აჩოქა.

მიუხედავად ამისა ექიმმა უთხრა მისსის რაფერტის, რომ მოხუცი ირლანდიელი ვერასოდეს ველარ შესძლებს მუშაობას, მაგრამ მას არა სჯერა ეს. ექიმს არ შეუძლია ამის ცოდნა. რა თქმა უნდა, რაფერტი მოხუცია, მაგრამ სამაგიეროდ ის მაგრად არის ჯერ კიდევ; განა ექიმმა იცის, თუ რა შრომისა და ჯაფის ატანა შეუძლია კაცს, რომელსაც მთელი ოჯახი აწევს კისერზე? რაფერტი არ გაანებებს მუშაობას თავს რაიმე უბრალო ტკივილის გამო. მართალია, მის გარდა ოჯახს ტიმი ეხმარებოდა, კეთილი და მეტად მუყაითი ახალგაზდა, მაგრამ ექიმს უნდა ესმოდეს, რომ ასეთ დიდ ოჯახს არ შეუძლია თვრამეტი წლის ბაღლის ანაბარა დარჩეს. იყვნენ ოჯახში სხვა ვაჟებიც, მაგრამ ისინი მეტად პატარანი არიან და კანონის მიხედვით მათ ჯერ მაღაროში მუშაობის უფლება არა აქვთ. მისსის რაფერტიმ გამოსთქვა აზრი, რომ ცუდი არ იქნებოდა ცოტა ასწავლონ კანონთა შემდგენლებს — რაკი ისინი უკრძალავენ ბავშვებს მაღაროებში მუშაობას, მაშინ საშუალება მაინც გვიჩვენონ, თუ როგორ უნდა გამოვკვებოთ ისინი.

ხოლი თანაგრძნობით ისმენდა იმის მსჯელობას. ის აკვირდებოდა მას ლაპარაკის დროს და ამ დაკვირვებამ მეტი ასწავლა ხოლს, ვიდრე მისმა სიტყვებმა. მისსის რაფერტიმ წმინდათ შეასრულა სარწმუნოების ანდერძი: გამრავლდით. ინდუსტრიის გაუმადლარი ხალხისათვის მან სამი ვაჟი აღზარდა; ეხლა მას ქმარი და რვა შვილი გაუხდა საზრუნავად. ხოლი აძლევდა თავის თავს კითხვას, ბევრი დასვენების საათები ხვდა მას წილად, ღამეების გარდა ამ ორმოცდა ხუთი წლის განმავლობაში? ხოლს ყოველ შემთხვევაში არასოდეს აო უნახავს ის დასვენებული. აი ეხლაც კი, როდესაც ის აღიღებდა რაფერტის ღმერთს და აძაგებდა კანონების შემდგენლებს, მუშაობაში იყო გართული, ამზადებდა ვახშამს, ფუსფუსებდა, მოძრაობდა სწრაფად, როგორც მანქანა. ის გამბდარი იყო, და უდაბნო გავლილს ბებერსა და გაძვალტყავებულ ცხენს წაავადა, მის ლოყებზე ტყავი რეზინით იწელებოდა, ძარღვები კი ხელებზე ისე დადიოდნენ, როგორც ფორტებიანოს კლავიშები.

გაქირვებისა და სილატაკას აჩრდილი აშინებდა მას. ხოლმა ჰკითხა, როგორ ფიქრობს მოიქცეს ეხლა ის. ერთადერთი გამოსავალი, რომ შიმშილით არ დაიხოცონ, ეს იყო ბავშვების მიცემა თავშესაფარში. ამის მოფიქრებაზე ქალმა ისევ ტირილი დაიწყო და სლოკინით მოსდგა ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ექიმი შეიძლება შესცდა; ნახავს ის და ხოლიც ნახავს, რომ მოხუცი რაფერტი ორი კვირის შემდეგ ისევ შეუდგება მუშაობას.

§ 2

ხოლი ისევ ქუჩაში გამოვიდა. მზის ჩასვლის უამი იყო, ძირს ვაკე ადგილებში ალბად მზე ჩადიოდა. მთის წვერები პორფირით შეიმოსნენ. შემოდგომის

ჭაერი საკმაოდ სუსნიანი იყო. ბნელ ქუჩებში რაღაც ფიგურები მოძრაობდნენ. ისმოდა ხმაური. გაირბინა ხალხის ბრბომ. ხოლი მიეწია მას და იკითხა:

— ხომ არაფერი მომხდარა კიდევ?

ასიოდე ხმა აირია საერთო გუგუნში, როგორც ტალღების მზუილი. ხმების საერთო ქაოსში მან გაარჩია:

— წინ! წინ! კმარა, გვეყოფა, რაც ვითმინეთ! ვაშა!

— რა მოხდა?—ჰკითხა ხოლმა განაპირა კაცს. მან იცნო ხოლი და ყვირილით აუწყა ეს გარემოება ხალხს.

— ჯო სმიტი! აი სწორედ ეს გვინდოდა ჩვენ!

— მოდით აქ, ჯო! ილაპარაკეთ!

ვიდრე ხოლი მოიაზრებდა, თუ რაში იყო საქმე, მისი სახელი აუარებელი ხმების გუგუნმა დაჰფარა.

— საკმაოდ იარეს მათ ჩვენი ზურგით!

შემდეგ კიდევ უფრო მაღალი ხმა გაისმა:

— გვითხარი! გვითხარი ყველაფერი! გადი წინ!

მეზობელი სახლის კიბის საფეხურებზე ვილაც კაცი ავიდა. ხოლი საშინლად გაოცდა, როდესაც მასში ტიმ რაფერტი იცნო. ტიმი ყველაზე უფრო ცოცხალი და მხიარული კაცია მთელ ქვეყანაზე. ტიმი მუდმივი ღიმილით სახეზე, მოცინარი ცისფერი ირლანდიური თვალებით! მისი ქერა თმები აბურძგნილი იყო, სახე სიბრაზეს დაემანჭა.

— ის მკვდარია თითქმის!—ღრიალებდა იგი—მან დაჰკარგა ხმა, ის ველარ ხმარობს ხელებს! თერთმეტი წელი მუშაობდა მათთვის, ეხლა მას უბედურება შეემთხვა, რომელშიაც ისინი არიან დამნაშავენი, ის იყო კინალამ მთლად დაილუპა. ყოველმა თქვენგანმა იცის, ღმერთს გეფიცებით, რომ მთელი დანაშაული ამ საქმეში მათ ხდებათ!

— სწორეა! მართალს ამბობს!—გაისმოდა ხმები.—გვიამბე ყველაფერი!

— ისინი აძლევენ მას ოცდახუთ დოლარს და წამლობის ხარჯს თავის თავზე იღებენ. მერმე რას შეადგენს ეს მათთვის? ვერც კი მოასწრებს ის ფეხზე დადგომას, რომ გარედ გამოაგდებენ. თქვენ გახსოვთ, რომ ისინი სწორედ ასე მოექცენ პიტერკელენს!

— სწორეა! მართალია!

— ეს დაწყველილი ვექილები კი ხელის მოსაწერად ქალაქებს აპარებენ მაშინ, როდესაც ისინი ნახევრად გონებაშიხდილი არიან და ვერ ერკვევიან ხეირიანად საქმეში! მე კი, მე შემეძლო მეშველნა მისთვის, მაგრამ არ მიშვებენ შიგ! ღმერთს გეფიცებით, რომ ეს უკვე მეტის მეტია! რა ვართ, მონები ვართ თუ ძაღლები, რომ ასეთი მოპყრობის ნება მივსცეთ?

— ჩვენ ამას მეტს ველარ მოვითმენთ! ჩვენ ვერევით საქმეში, იყოს, რაც იქნება!—გაისმა ხმა.

— წინ!—დაიყვირა მეორემ—ძირს ეს ჯალათები!

ხოლმა შესძლო ბრბოში გაძრომა წინ.

— ტიმ!—დაუყვირა მან.—საიდან იცი ეგ შენ?

— იქ, ლაზარეთში ერთმა მუშამ ნახა ეს ყველაფერი.

— ვინ მაინც?

— მე არ შემიძლია დაეასახელო იგი, ვინაიდან მას ამის გამო სამუშაოდან დაითხოვენ. მაგრამ შენ კარგად იცნობ მას; ის მოვიდა და კიამბო მე ყველაფერი. მათ არა სურთ მისცენ ფული მოხუც მამაჩემს დასახიჩრების გამო!

— ისინი მუდამ ეგრე იქცევიან, — დაიყვირა უოჩოპმა, ინგლისელმა მალაროს მუშამ. — ამიტომ არ გვიშვებენ ჩვენ შიგ.

— ამგვარადვე მოექცენ მამაჩემსაც!

ხოლმა იცნო ახალგაზდა ბერძენის ანდის ხმა.

— ხვალ კი დილიდანვე მუშაობის დაწყებას აპირებენ მალაროში № 2! — ღრიალებდა ტიმი. — რომელი თქვენგანი წავა იქ ალექ სტონის წინამძღოლობით, რომელიც ხალხს ჯანდაბაში ჰგზავნის და ჯორებს კი არიდებს ხიფათს?

— ჩვენ არ ჩავალთ მალაროებში, ვიდრე მიღებული არ იქნება ზომები საშიშროების წინააღმდეგ! — ყვიროდა უოჩოპი. — მოაყარონ აგური, თორემ ჯანდაბას მუშაობა!

— მოგვცენ ნამდვილი წონა! — ყვიროდა მეორე ხმა. — ჩვენ მოვითხოვთ სასწორის კონტროლიორს, ჩვენ გვინდა სავსებით მივიღოთ ჩვენი ნაშრომი!

და ისევ შეჰყვირეს ყველამ ერთად:

ჯო სმიტ! გვითხარი სიტყვა! მოსცხე მათ კარგად! შენ იცი ეს!

ხოლი იდგა დაბნეული და გაოცებული მოულოდნელობით. ის თავის ბრძოლას დამთავრებულად სთვლიდა, აქ კი უცებ ახალი ბრძოლა გაჩაღდა! მუშები ენდობოდნენ მას, ისინი სთხოვდნენ მას შველას, როგორც ყველაზე უფრო თამამ შეამბოხეს. მხოლოდ რამდენიმემ იცოდა მათ შორის, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება.

ვიდრე ის ყოყმანობდა, საომარი ფრონტი იშლებოდა, ინგლისელი უოჩოპი შეხტა საფეხურებზე და მიმართა ხალხს სიტყვით. ეს იყო მოხრილი, მეტად გამხდარი კაცი, მაგრამ ეხლა კი ფილტვების არაჩვეულებრივი ღონე გამოააშკარავა. ხოლი განცვიფრებით უგდებდა ყურს ორატორის სიტყვას; ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ჩუმი, შეხედულებით ჭკუაჩლუნგი ადამიანი, მებრძოლის თვისებებით იქნებოდა აღჭურვილი. ტომ ოლსონმა სცადა ოდესღაც ჩამოეგდო მისთვის სიტყვა, მაგრამ მან უპასუხა მაშინ, რომ ეს იმას არ ესაქმება, და მათაც მიანებეს მას თავი. და ეხლა ის უცებ გამოდის და მრისხანედ ყვირის მთელი ქვეყნის გასაგონად.

— ისინი ყაჩაღები არიან! მკვლელები! გვატყავებენ, სადაც კი მოახერხებენ! მეყო რაც ვითმინე.

— ჩვენც გვეყო!

— კარგი, მაშ გაყოუცხადოთ ჩვენ იმათ ომი!

აქ უცებ ავტომობილით ჯეფ კოტონი მოვარდა სამი პოლისმენის თანახლებით. ბრბო გაჩერდა იმის პირდაპირ ბრძოლისათვის გამზადებული, მუშტებ მოღერილი, დაღრენილი კბილებით, როგორც გააფთრებული ქოფაკი. კოტონის სახე სიბრახით ანთებულიყო, მაგრამ ის მიხვდა, რომ აქ საქმის მდგომარეობა

რეობა სერიოზულია და გატრიალდა უკან დამხმარეთა მოხაყვანად. ბრბო სიხარულისაგან ღრიალებდა. ბრძოლა დაიწყო და პირველი გამარჯვება მას ერგო წილად.

უკრძინუნუნ
ბიზუნუნუნუნუნ

§ 3.

ბრბო სიმღერით და წყევა-კრულვით გაემართა ქუჩით წინ. ვილაცამ წამორწყო მარსელიეზა, და გაგიჟებული ცეცხლის ალივით ავიხვიზდა სიმღერის სიტყვები.

ბრბოში სხვადასხვა ეროვნების ჩაგ-ულები იყვნენ, ისინი თავთავიანთ ენაზე მღეროდნენ, მაგრამ სიმღერის აზრი არ იცვლებოდა ამით. მათ იმღერეს რამდენიმე კუბლეტი, შემდეგ ცალ-ცალკე ხმები შთაინთქენ საერთო გუგუნში; ზოგიერთები გავარდნენ სირბილით სხვადასხვა მიმართულებით, რომ ეუწყებინათ ყველასთვის მომხდარი ამბავი. მამაკაცები ქუდებს აქნევდნენ, ქალები — ზოგნი კივოდნენ ხელების გაწვდით, ზოგიც დადუმებული და თავხარდაცემული იდგა: რევოლუციონური ჰიმნებით ბავშვებს პურს ვერ აქმევ.

რამდენიმე კაცმა ასწია მაღლა და მხრებზე დაისვა ტიმ რაფეტი, რომ მას ხელახლა მოეთხოვა თავისი ანბავი. იმ დროს, როდესაც ის ლაპარაკობდა, მოვარდა ბებერი დედამისი, მოხუცი ქალის ხმამ დაჰფარა ბრბოს ხმაური:

— ტიმ! ტიმ! ჩამოდი ძირს! რა მოვდის?

ის ხელებს იმტვრევდა შიშისაგან გულგახეთქილი. შენიშნა უცებ ხოლი და მივარდა მასთან:

— მოაშორეთ, წაიყვანეთ აქედან, ჯო! ბალღი ჭკუიდან შეიშალა ნამდვილად! გაგვეყრიან, ვერაფერს ვერ მივიღებთ; რა გვეშველება მაშინ?

მისსის რაფერტიმ ისევე დაუწყო ძახილი შვილს, მაგრამ ის ვერ ამჩნევდა მას: ტიმი ვერსაღზე მიდიოდა ლაშქრით.

ვილაცამ დაიყვირა, რომ საჭიროა ლაზარეთში შევარდნა და დაჭრილების გადარჩენა „დაწყველილი ვეჭილებისაგან“. აქ გარკვეული მიზანი მაინც იყო და ბრბოც გაექანა ამ მიმართულებით, ხოლი ჩამორჩენილებს შეუერთდა, მასთან ერთად მიდიოდნენ ქალები, ბავშვები და ნაკლებ გულადი მამაკაცები, მათ გვერდით ჩაუქროლეს რამდენიმე მოხელემ და ზედ მხედველებმა. შემდეგ ჯეფ კოტონი გამოჩნდა, და ხოლმა გაიგონა, როგორ უბრძანა მან ერთ თავის მხლებელს, რომ კანტორიდან რევოლუციონერი მოეტანა მისთვის.

მოვიდა დიდი ჯექ ლევიდიც, შემდეგ ჯერრი მინეტტიც. ხოლმა გაიხმო ისინი განზე მოსალაპარაკებლად. ჯერრი ისე იყო აღფრთოვანებული, რომ ცეცხლი ეკიდა. დაიწყო, როგორც იქნა, დაიწყო ბოლოს — აჯანყება, რომელზედაც ის ამდენი წელიწადი ოცნებობდა. — რალას ვაგვიანებთ? რას ვაფრუშებულვართ იმის მაგიერ, რომ სიტყვები წარმოვსთქვათ და ხალხი დავრაზმოთ?

ჯექ დევიდა სიფრთხილეს ურჩევდათ: არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ეს აფეთქება არ ჩაქრება.

ჯერრიმ უპასუხა ამაზე, რომ ხალხის ასეთი აღელვებით შეიძლება ყველა-

ფერი გაკეთდეს. თუ ისინი სათავეში ჩაუდგებიან, ძალიან ადვილად მოხერხდება მოძრაობის ხელმძღვანელობა და ზუსების მჭიდრო კავშირის შენარჩუნება. განა ოლსონსაც ეს არ უნდოდა?

არა, შენიშნა ამაზე ჯექ დევიდმა, ოლსონი ცდილობდა დაეარაზმა მუშები და ამგვარად საერთო აჯანყება მოეწყო ყველა მაღაროებზე ერთად. ეს სულ სხვა საქმეა, ვიდრე აშკარა მოძრაობა ერთი მაღაროს ფარგლებში. განა ასეთ პირობებში შესაძლებელია გაძარჯვების იმედი ვიქონიოთ? თუ არა, მაშ უგუნურებაა ისეთი რამეს დაწყება, რასაც შედეგად მხოლოდ მუშების დათხოვა მოჰყვება.

ჯეროიმ ჰკითხა ხოლს, რა აზრის არის ის ამის შესახებ. ამგვარად ხოლი იძულებული შეიქნა ელაპარაკა. მისთვის ძალიან ძნელია იმსჯელოს ამის შესახებ, სთქვა მან, ვინაიდან საკმაოდ კარგად არ იცნობს მუშათა მოძრაობას, ის ნორტ-ვალში სწორედ იმიტომ მოვიდა, რომ უფრო დაახლოვებით შეესწავლა ეს საკითხი. ერთი მხრით, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ურჩიოთ მუშებს, რომ მათ კიდევ მეტ ხანს აძლიონ ძარცვა-გლეჯის ნება, ხოლო მეორე მხრით მოუფიქრებლად მოწყობილ აჯანყებაში დამარცხებულ მუშებს შეუძლიათ სულით დაეცენ და შემდეგ ძალიან ძნელი იქნება მათი ხელ-ახალი შეკავშირება.

ასე ლაპარაკობდა ხოლი, მაგრამ მას კიდევ სხვა მოსაზრებაც ჰქონდა, რომლის გამოთქმას ვერ ჰბედავდა იგი. ხომ ვერ ეტყოდა მართლაც და მართლაც ამ ხალხს: „რა თქმა უნდა მე მეგობარი ვარ თქვენი, მაგრამ მე თქვენი მტრების მეგობარიცა ვარ, და ამ საკითხში ჯერ ვერ გადამიწყვეტია, რომელს ვუერთგულო ამ ორ მხარეში. ზრდილობის მოვალეობა მაკავშირებს მე მათთან, ვისგანაც დამოკიდებულია თქვენი სიცოცხლე, გარდა ამისა, მე არ მინდა ვამწარო ის ქალი, ვიხედაც ჯვარის დაწერას ვაპირობ“. არა, ამის თქმა არ შეეძლო ხოლს მათთვის. მაგრამ უკვე ამგვარი ფიქრების არსებობამ გამოიწვია მასში ისეთი გრძნობა, თითქოს ის თავის თანამგზავრების მიმართ მართლა გამცემი ყოფილიყო; ხოლს თითქმის რცხვენოდა კიდევ მათთვის თვალეში ცქერა, მით უმეტეს, როდესაც ჯეროიმ იცოდა, რომ ხოლს რაღაც დამოკიდებულება აქვს ხარიგანებთან, და უყვებოდა ამ ამბავს ხოლის მეგობრებს: ერთიც უნახოთ და ჯაშუშად მიიღონ იგი?

ხოლმა შემსუბუქებით ამოისუნთქა, როდესაც ჯექ ლევიდი ენერგიულად გამოესარჩლა მის აზრს. ისინი მხოლოდ ხელში ჩაუცვივდებიან მტრებს, თუ მათ ნაადრევად დაიწყეს მთელი ეს საქმე. უნდა ვკითხოთ რჩევა ოლსონს.

— სად არის ოლსონი? — იკითხა ხოლმა. ლევიდმა უთხრა, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც ხოლი გააგდეს მაღაროდან, მან მოითხოვა ანგარიში და წავიდა შერიდანში ცენტრალურ მუშათა კავშირისათვის მოხსენების გასაკეთებლად. ვეჭვობ, რომ კიდევ დაბრუნდეს, მან უკვე მოაწყო აქ თავის პატარა უჯრედი და ამგვარად უკვე დასთვსა ნორტ-ვალში აჯანყების თესლი.

მაშინ მათ დაიწყეს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ შესაძლებდნენ რჩევის მიღებას ოლსონისაგან. ნორტ-ვალიდან არ შეიძლებოდა ტელეფონით ისე ლაპარაკი, რომ ვინმეს მხრით ყურის დაგდების შიში არ ყოფილიყო,

მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ პედროში სალამოს მატარებელი გადიოდა, და დიდი ჯეკი იმ აზრისა იყო, რომ რომელიმე მათგანი წასულიყო ამ მატარებლით. შერიდანი სულ ხუთმეტი ან ოცი მილით არის უკედრესაგან დაშორებული, შეიძლება პედროში მუშათა კავშირის რომელიმე წარმომადგენელიც იყოს, რომელიც შესძლებს მისცეს მათ დარიგება; თუ არა და მაშინ ქალაქთაშორისო ტელეფონით შეიძლება შერიდანიდან შეერთება და თხოვნა მუშათა კავშირის რომელიმე მეთაურისათვის, რომ ისარგებლოს ღამის მატარებლით და მეორე დღით პედროში ჩამოვიდეს.

ხოლმა, რომელიც არა ჰკარგავდა ჯერ კიდევ იმედს, რომ ამ საქმეში გარევა არ მოუხდება, ჯეკ დევიდს დაავალა ან ამოცანის სისრულეში მოყვანა. შემდეგ მათ შეაგროვეს რაც კი ჯიბეში ფული ჰქონდათ და ჩააბარეს ჯეკ დევიდს საგზაო ხარჯებისათვის. დევიდი დაუყოვნებლივ გაემართა სადგურისაკენ. ხოლმა და ჯერრიმ გადასწყვიტეს დამშვიდებით ელოდნათ და დაერწმუნებიათ ბრბო, რომ დაშლილიყვნენ.

§ 4

ხოლისათვის მოქმედების ასეთი პროგრამა მეტად ხელსაყრელი იყო, მაგრამ, როგორც თვით დარწმუნდა მაშინავე ამაში, ძალიან დაგვიანებული აღმოჩნდა იგი.

ის ჯერრისთან ერთად შეუერთდა ბრბოს, რომელიც ერთერთი ბარაკის წინ იდგა და ყურს უგდებდა ვილაცის სიტყვას. ლაპარაკობდა ქალის ხმა; მკაფიოდ, ბრძანების კილოთი გაისმოდა იგი სალამოს სიჩუმეში. მათ არ შეეძლოთ ორატორი ქალის დანახვა, მაგრამ ხოლმა მაშინვე იცნო ხმით იგი; მან ჩაავლო თავის თანამგზავრს ხელი ხელში:

— ეს მერი ბორკია!

ჰო, ეს სწორედ მერი ბორკი იყო. ეტყობოდა თითქოს მან მთლად გადარია ბრბო. ის იტყოდა რომელიმე ფრაზას, ბრბო უბასუხებდა ველური ღრიალით, ისევ ფრაზა და ისევ ველური ღრიალი. ხოლი და ჯერსი გაძვრენ წინ, რომ სიტყვები გაეგონათ ოოგორმე.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი თვითონ ჩავლენ მალაროში?

— არა, არ ჩავლენ;

— შესძლებდენ კი სხვაბრე, აბრეშუმებში და ძვირფას ქსოვილებში გამოწყობილი რომ ევლოთ?

— რა თქმა უნდა ვერა!

— ექნებოდა მათ ასეთი სუფთა, ნაზი ხელები?

— რა თქმა უნდა, არა!

— თქვენ რომ მტკიცედ იდგეთ და შეთანხმებით იმოქმედოთ, ისინი მუხლებზე დაეცემოდენ თქვენს წინაშე და ისე გთხოვდენ შერიგებას. მაგრამ თქვენ ლაჩრები ხართ და ისინიც სარგებლობენ თქვენი სილაჩრით! თქვენ გამყიდველები ხართ და ისინიც გყიდულობენ თქვენ ნაწილ-ნაწილ, გექცევიან ისე, როგორც უნდათ—და შემდეგ დამშვიდებული მიემგზავრებიან თავისთვის სწრაფი

მატარებლით, ხოლო თქვენ კი თავიანთი დამქაშების ანაბარა გტოვებენ, რომლებიც გამათრახებენ და გთელავენ ჩექმებით: რამდენი ხანი უნდა ითმინოთ კიდევ თქვენ ეს ყოველივე? რამდენი ხანი?

ბრბოს ღრიალმა ქუხილით გაიარა ქუჩა და გამოთარაყუნა ხეები.
— ჩვენ არ მოვითმენთ ამას! არ მოვითმენთ!

მამაკაცები აქნევდნენ მუშტებს, ქალები ყვიროდნენ, ბავშვები იგინებოდნენ და იწყევლებოდნენ.

— ჩვენ ვიბრძოლებით მათ წინააღმდეგ! ჩვენ აღარ ვიმუშავებთ მათთვის, როგორც მონები!

მაშინ მერიმ წარმოსთქვა ჯადოსნური სიტყვა:

— ჩვენ მუშათა კავშირი გვექნება!— დაიძახა მან.— შევეკრათ ერთმანეთს მტკიცედ, მაგრად, ერთად ყველანი! თუ მათ უარი განაცხადეს ჩვენი უფლებების აღიარებაზე, ჩვენი პასუხი იქნება გაფიცვა!

ბრბო აღრიალდა, ახმაურდა, მთებში გავარდნილი მეხივით გაისმა მისი გუგუნი. დიახ, მერიმ მონახა შესათფერი სიტყვა! მრავალი წლის განმავლობაში ვერავის გაუბედნა ნორტ-ვალში ამ სიტყვის წარმოთქმა, ეხლა კი ის ელვასავით შეიჭრა ბრბოში.

„გაფიცვა!.. გაფიცვა!.. გაფიცვა!“.. გაფიცვა!.. მათ თითქოს საკმაოდ ვერ გაიძღეს ამ სიტყვით თავიანთი სმენა. ზოგიერთებმა ცუდად გააჩჩიეს მერის ნალაპარაკევი, მაგრამ ეს სიტყვა კი ყველამ იცოდა: გაფიცვა! მათ გადათარგმნეს ეს ყველა ენებზე, ყვიროდნენ მას პოლონურად, ჩეხურად, იტალიურად, ბერძნულად. მამაკაცები ქუდებს აქნევდნენ, ქალები წინსაფარებს, ბინდში კი ყველაფერი ერთად იმას წააგავდა, თითქოს ქარიშხალმა რალაც უცნაურ მცენარეს გადურბინა თავზე და ყოველი მხრით სწეწავს მის ფოთლებს. მამაკაცები მაგრად ართმევდნენ ერთი-მეორეს ხელს, უცხოელები კისრებზე ეხვეოდნენ ერთმანეთს. გაფიცვა! გაფიცვა!“

— ჩვენ აღარა ვართ ამიერიდან მონები! — ყვიროდა ორატორი ქალი. — ჩვენ ადამიანები ვართ და ადამიანური ცხოვრება გვწადიან. ჩვენ ან ადამიანურად ვიმუშავებთ, ან არ ვიმუშავებთ სრულებით! ჩვენ არ გვინდა ვიყოთ ამიერიდან ცხოველების ჯოგი, რომელსაც ისინი ისე გარეკენ, როგორც ეს მათ მოეპრიანება! ჩვენ შევკავშირდებით, ვივლით ერთად—მხარ და მხარ! ან ყველა ერთად გავიმარჯვებთ, ან ყველანი ერთად დავიხოცებით შიმშილით! არავინ არ უნდა დაუთმოს, არავინ მოლაღატე არ უნდა იქნეს ჩვენს შორის! აღმოჩნდება თქვენში თუნდაც ერთი ისეთი, რომელიც თავის ამხანაგებს გასცემს?

ამის პასუხად გაისმა დამაყრუებელი ღმუილი, თითქოს მგლების მთელი ხროვა აყმუვლდა. აბა ერთი გვეჩვენოს ის, ვინც თავის ამხანაგების გაყიდვას ფიქრობს!

- წახვალთ თუ არა თქვენ მუშათა კავშირთან ხელი ხელს ჩაკიდებული?
- წავალთ, წავალთ!
- შეგიძლიათ დასდოთ ფიცი?
- ფიცს ვსდებთ!

მერიმ პათეთიური ეესტით ასწია ხელი ზეცისაკენ:

— დაიფიცეთ მთელი თქვენი სიცოცხლე, რომ თქვენ წამოხვალთ ჩვენთან ერთად, რომ არც ერთი თქვენგანი არ დაიხვეს უკან, ციფრე-გამარჯვებას არ მივალწევთ! დაიფიცეთ! დაიფიცეთ!

მუშებმაც ასწიეს ზეცისაკენ ხელი, ისე როგორც იმან:

— ვფიცავთ! ვფიცავთ!

— თქვენ ნებას არ მისცემთ, რომ დაგამარცხონ, თქვენ არ მისცემთ თქვენი დაშინების ნებას, არა?

— არა! არა!

— არ გასტეხოთ თქვენი სიტყვა, თქვენ მამაკაცები ხართ! არ გასტეხოთ! ამაშია ერთად ერთი იმედი თქვენი ცოლ-შვილის!

ახალგაზდა ქალი განაგრძობდა თავის სიტყვას, მან აანთო ხალხი ცეცხლოვანი სიტყვებით, ენერგიული ეესტებით — მასში თითქოს განხორციელებული იყო მაღალი, ცოცხალი სახე აჯანყებისა.

ხოლი განცვიფრებული უცქეროდა ორატორ ქალს, მისმს სიტყვამ გააოცა იგი. მისი თვალის წინ მოხდა ადამიანის სულის აღორძინების სასწაული, სასოწარკვეთილებიდან იშვა იმედი. აღორძინება გადაედო აგრეთვე იქ მოყრილ მთელ მასას: ხელემაწვდილი, აღელვებული ფიგურები ისე აკვირდებოდნენ მერის სიტყვებს, როგორც დიზიფორის ჯოხს.

ხოლი შეერთა, ის დაიბურო ტრიუმფის გრძნობამ. თვითონ ის უკვე ემზადებოდა გასაქცევად ამ ტანჯვის ქვეყნიდან: მაგრამ ეხლა იმედით გაშუქდა ნორტ-ვალი — ახლოა გამარჯვება, თავისუფლება!

მას შემდეგ, რაც ხოლი ნახშირის ბასეინში მოვიდა ის მიხვდა, რომ ამ ხალხის ცხოვრების ნამდვილ ტრაგედიას ფიზიკური ტანჯვა კი არ შეადგენს, არამედ სულიერი დაბეჩავება, დაყრუბული უსინათლო მდგომარეობა მათი სულის. ეს ახრი დღითი-დღე იდგამდა ფესვებს მის შეგნებაში, მას არწმუნებდა ამაში მისი ამბანაგების სიტყვები და ყოველივე ის, რის მოწამე თვითონ იყო. ტომ ოლსონმა ამის გამო ასე სთქვა: „ყველაზე დიდი უბედურება იმათ თავებშია, ვისი დახმარებაც ჩვენ გვინდა“. რა გზით შეიძლებოდა იმედის გაღვიძება ამ საშინელების სამეფოში? თვითონ ის, ხოლიც კი, ახალგაზრდა, თავისუფალი კაცი სასოწარკვეთილების საზღვართან მივიდა. ის ეკუთვნოდა საზოგადოების იმ კლასს, რომელიც შეეჩვია მბრძანებლობას: „გაკეთდეს ეს!“ ან „გააკეთე ის!“, და ყველაფერი კეთდება მათი ბრძანების მიხედვით. ამ მონებმა კი არასოდეს არ იცოდნენ, თუ რა არის ძალაუფლების გრძნობა, დაჯერება, ისინი შეეჩვიენ იმას, რომ სხვისი ნება ანადგურებს ყველა მათ ოცნებას ბედნიერებაზე, წარმატებაზე. მიუხედავად ამისა, ადამიანის სულის აღორძინება მაინც მოხდა! და ნორტ-ვალში აჰყვავდა იმედი. ხალხმა აჯანყება დაიწყო და მათ ხელმძღვანელობს მერი ბარკი.

ხოლის ხილვა სინამდვილედ გადაიქცა: მერი ბარკი სახე განათლებული, მისი თმები ოქროს გვირგვინივით ბრწყინავს; მერი ბარკი თოვლივით თეთრ ცხენზე, მას ტანთ აცვია რბილი, თეთრი, ბრწყინვალე სამოსელი, ის ჯანა

დარკს წააგავს ან სუფრაჟისტების ბელადს საზეიმო პროცესიის დროს. დიან, ის წინ უძღოდა ვეებერთელა ლაშქარს და ხოლის ყურებში სალაშქრო მარშის ხმები გაისმოდა.

ქართული

ყოველივე ამას მაშინ ხუმრობით ეუბნებოდა ხოლმე: მაგრამ ამ სიტყვებს ქეშმარიტი ხილვა ედო საფუძვლად, მათ უკან იმალებოდა ხოლის ნამდვილი რწმენა ამ ახალგაზდა ქალის ძალ-ღონისადმი. იმ დღიდან, როდესაც ხოლი პირველად შეხვდა მას, — როდესაც ის ოჯახურ საქმეში იყო გართული, — ის მიხვდა, რომ საქმე აქვს არა უბრალოდ ლამაზ, ახალგაზდა მუშა ქალთან, არამედ მაღალი სულიერი ორგანიზაციის ადამიანთან, განვითარებულ პიროვნებასთან. იერი იბედებოდა უფრო შორს და გრძნობდა უფრო ღრმად, ვიდრე ეს შრომის მონები. მიუხედავად გარეგნული თანასწორობისა, მისი მოთხოვნილებანი გაცილებით უფრო რთული იყო. როდესაც ხოლმა შესთავაზა მას თავის დახმარება, მოისურვა ეშოვნა მისთვის სხვა საქმე, მერიმ აგრძნობინა მას, რომ ის არა მარტო აუტანელი შრომისაგან განთავისუფლებას ცდილობს, არამედ მას სწყურია აგრეთვე სულიერი ინტერესით სავსე სიცოცხლე. უკვე მაშინ მოსდიოდა ხოლს ის აზრი თავში, რომ მერი უნდა გადაიქცეს თავის ამბანაგ მუშების აღმზრდელად და ხელმძღვანელად. მერის უყვარდა ისინი, იტანჯებოდა მათთან ერთად და იმათი გულისთვის, მისი სული იმ ზრუნვით იყო შეპყრობილი, რომ გაეგო მათი მწუხარების და ბედშაობის მიზეზი. მაგრამ ხოლის გეგმა წააწყდა მაშინ მერის ყოვლად უიმედო სასოწარკვეთილებას, მისმა პესიმიზმმა დაშალა და დაანგრია ხოლის ოცნება, მისმა ზიზლით სავსე შეხედულებამ შრომის მონებზე ფასი დაუკარგა ხოლის ყველა მისწრაფებებს მათი ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

და ეხლა კი მერის უცებ გადაუწყვეტია თავის თავზე აღება იმ როლის, რომელიც ხოლმა გამონახა მისთვის. კაცს ეგონებოდა, თითქოს მან ამ აბოზოქრებულ მასას თავისი საკუთარი სული შთაჰბერა. ის სცოცხლობდა ამ ხალხის სიცოცხლით, ინაწილებდა მათთან ერთად ყველა მათ ტანჯვას და ნალველს, და მათთან ერთად ამბოხების სულმა დაიპყრო იგი.

მაგრამ ხოლი მამაკაცი იყო და ამიტომ ასეთი არაჩვეულებრივი მეტამორფოზის ეტაპებში მას ერთი მომენტი გაეპარა: ის ვერ მიხვდა, რომ მერის მკერმეტყველობა მიმართული იყო არა მარტო ათასი რაფერტების, უოჩოპების და მალაროს სხვა მონებისადმი, არამედ ხვლებოდა კიდევ ერთ ახალგაზრდა ქალს — თითქოს უურნალის ყდიდან გადმოღებული სახის მქონეს, საწვიმარ პალტოში და თავზე ღია მწვანე ფერის ქუდით, რომლის გარშემო აბრეშუმის საგზაო ვუალი ფრიალებდა.

§ 5

მერის სიტყვა უეცრად გაწყდა. მუშების პატარა ჯგუფი ქუჩის მეორე ბოლოში გადავიდა. იქ ატყდა ხმაური და აყალმაყალი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ბოლოს მთელი დანარჩენი ბრბოს ყურადღება მიიზიდა. მერიმ გაუხვია განზე და პროცესია გაემართა ქვევით ქუჩის დაყოლებით.

მღელვარება ლაზარეთის შენობის წინ ასტყდა. ვესტიბიულში შესავალ-თან კომპანიის მოხელეებით გარსშემორტყმული კარტრაიტი და ალექსტონი იდგა. მათ შორის ხოლმა იცნო პრედოვიჩი, ჯონსონი, ჯექსონი, უფროსი ელამსი. ვესტიბიულის საფეხურებზე იდგა ტიმ რაფერტი და იმის უკან შეუპოვ-რად განწყობილი მუშების ჯგუფი.

ტიმი ღრიალებდა:

— გამორეკეთ იქედან ვექილები!

მთავარმა ზედამხედველმა დაიმდაბლა თავი პირადი განმარტებისათვის:

— იქ არავითარი ვექილები არ არიან, რაფერტი!

— ჩვენ არა გვჯერა თქვენი!

ბრბომ ღრიალით გაიმეორა ეს სიტყვები:

— ჩვენ არა გვჯერა თქვენი! ჩვენ თვითონ ვნახავთ!

— თქვენი შესვლა იქ არ შეიძლება!—დაიწყო განმარტება კარტრაი-ტიმა.

— შე შამაჩემთან მივდივარ!—ყვიროდა ტიმი.—მაქვს ხომ უფლება, რომ ვინახულო ჩემი მამა?

— თქვენ შეგიძლიათ ნახოთ იგი დილით, შეგიძლიათ წაიყვანოთ კიდე-ვაც სახლში. ეხლა კი სძინავს მას და, გარდა ამისა, თქვენ ვერ გაბედავთ სხვე-ბის შეწუხებას.

— მერმე თქვენ არ გეშინოდათ შეგეწუხებინათ ისინი თქვენი დაწყევ-ლილი ვექილებით?

ბრბომ გუგუნით დაუკრა კვერი ტიმის სიტყვებს და დაჰფარა კარტრაი-ტის პასუხი:

— არავითარი ვექილები აქ არ ყოფილან!

— ეს სიცრუეა!—ღრიალებდა უოჩოპი.— ისინი მთელს დღე დახეტია-ლობდნენ, ლაზარეთში, თქვენ ეს მშვენივრად იცით. სულ ვაი-ვუით გავრეკავთ ჩვენ მათ აქედან!

— წინ. ტიმ!—დაიყვირა პატარა ბერძენმა ანდომ და გაძკრა წინა რი-გებში. სხვებმაც დაიყვირეს „წინ“. ამ ყვირილით გამხნეებულნი რაფერტი შებ-ტა პირველ საფეხურზე.

— შე მინდა ვნახო ჩემი მამა!

და როდესაც კარტრაიტიმა ჩასჭიდა მას ნხრებში ხელები, მან დაი-ღრიალა:

— გამიშვით ხელი, მე თქვენ გეუბნებით!

აშკარა იყო, რომ მთავარ ზედამხედველს არ სურდა ძალის ხმარება; იმ დროს. როდესაც მას მაგრად ეჭირა ტიმი, მან უბრძანა ხალხს დაეხია უკან, მაგრამ ტიმს სიხელი აუდულდა ძარღვებში, მძლავრად გაიწია წინ. მაშინ კარ-ტრაიტიმა—შემოსაკრავად თუ შემოკვრისაგან თავის დასაცავად—ჰკრა ხელი და ჩამოაგდო კიბიდან ძირს. ბრბომ გაშმაგებით დაიღრიალა და გაქანდა წინ, მაგრამ ამ დროს ზემოთ მდგომმა კარტრაიტის კაცებმა რეეოლვერები ამოიღეს.

მდგომარეობა ნათელი იყო. შემდეგ წამში მალაროს მუშები აეარდებიან ხევით და მაშინ ატყდებოდა სროლა. თუ საქმე სროლამდე მივიდა, რით გათავდება ყოველივე ეს? გაათვრებულ ბრბოს შეუძლია გადსასწვან მთელი კომპანიის შენობა და არ დამშვიდდება მანამდე, სანამ კომპანიის ყველა წარმომადგენლებს არ გაჟღეტს.

ხოლმა გადასწყვეტა პირველად გვერდზე დაეჭირა თავი და არ გარეულიყო ამ საქმეში, მაგრამ ეხლა ის მიხვდა, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში უმოქმედობა სილაჩრე, ბოროტმოქმედება იქნებოდა მისი მხრით. ის გამოხტა წინ და ცდილობდა ყვირილით დაეხშო ხმაური:

— შეჩერდით, ბიჭებო! შეჩერდით!

ალბად ასეთ წამს არავის არ ათხოვებდენ ყურს მთელს ნორტ-ვალში; მაგრამ ხოლს ნდობა ჰქონდა მოხვეჭილი მუშებში, მან პატიოსნად მოიხვეჭა იმის უფლება, რომ ყური დაეგდოთ მისთვის. განა მათი გულისთვის არ იჯდა ის სატუშალოში? ხომ ხედავდენ ისინი იმას რიკულს იქით.

-- ჯო სმიტი!-- გაისმა აღელვებულ ბრბოში.

ხოლი გაძვრა წინ როგორც იქნა, სთხოვდა მუშებს დამშვიდებულიყვნენ მოითხოვდა სიჩუმეს.

— ტიმ რაფერტი! გაჩერდი!

და ტიმიც დაეშორჩილა, როდესაც იცნო მისი ხმა.

ხოლმა აირბინა კიბის საფეხურებზე ზემოთ, კარტრაიტი არ ცდილა მის შეჩერებას.

— მუშებო!— დაიყვირა მან.— შეჩერდით ერთს წუთს! ეს ხომ ის არ არის რაც თქვენ გინდათ! თქვენ ხომ ძალმომრეობის გაწევა არა გსურთ!

ის გაჩუმდა, მაგრამ ეს სიტყვები არა კმაროდა იმისათვის, რომ ხალხი დამდგარიყო, საჭირო იყო აეხსნა მისთვის, თუ რის მოპოება უნდა მას ნამდვილად. რამდენიმე წუთის წინ მან გაიგონა სიტყვა, რომელიც უიქველად შევიდოდა ყოველი მათგანის ყურში, და აი მან მოიკრაბა თავის ფილტვების მთელი ძალა და ესროლა იგი ბრბოს.

— ის, რის მიღწევაც ჩვენ გვინდა, რაც ჩვენთვის ასე საჭიროა— არის მუშათა კავშირი, გაფიცვა!

გაისმა აღტაცებული ღრიალი. არასოდეს არ აბობოქრებულა ამგვარად ბრბო! დიახ, სწორედ ამის მიღწევა უნდოდა იმათ! გაფიცვა! დაე შეაკავშიროს ისინი ჯო სმიტმა, დაე გაუძღვეს ის იმათ წინ! ერთხელ უკვე იყო იგი იმათ მეთაურად, ის ამის გამო მალაროდან გაავდეს. როგორ გაჩნდა ის აქ ხელახლა, ეს მათ არ იცოდნენ, მაგრამ, ასე თუ ისე, ჯო სმიტი მათთვის რჩეული საყვარელი კაცი იყო! ვაჟა! ისინი თუნდა ჯოჯობათში გაჰყვებიან მას!

მერმე რა ნერვები აქვა ამ ბიჭს! აი სდვას იგი ლაზარეოის კიბის საფეხურზე, ზედამხედველების ცხვირის წინ, და ლაპარაკობს მუშათა კავშირის შესახებ, ეს ვაჟბატონები კი ხელის შეხებასაც ვერ უბედავენ.

ბრბო აღტაცებული იყო. ისინი, ვინც ინგლისურიად ლნპარაკობდენ, თა-

ნაგრძობით ეხმაურებოდნენ იმის სიტყვებს, ხოლო, ვისაც არათუ არ ესმოდა ისინი სხვების აყოლით ბლაოდნენ.

ცხადია მათ არ სურდათ ძალა ეხმარათ, — სულ ერთად ესენ პრაქტიკულ სარგებლობას არ მოიტანდა. ისინი ერთად უნდა იყვნენ მხოლოდ, მჭიდროდ შეკავშირებული წარუდგენ წინ მტერს, — საჭიროა თავისუფალი ხალხის გამაერთიანებელი კავშირი. ისინი შექმნიან მუშათა კომიტეტს, რომელიც გამოიქვამება მათ. ეხლა იმათ ვეღარ დაითხოვენ იმის გამო, რომ ისინი თავის უფლებებს მოითხოვენ; მოელო ბოლო შავ სიას, ვეღარ გარეკენ აწი ხალხს, რომელიც გაბედავს იმის მოთხოვას, რაც მას კანონიერად ეკუთვნის.

§ 6

რამდენი ხანი შეუძლია კაცს იდგეს კომპანიის შენობის კიბეზე, როდესაც ზურგს უკან უფროსები დგანან, — და აწყობდეს მუშათა შეკავშირების საქმეს? ხოლი მიხვდა, რომ აუცილებლად საჭიროა რაიმე საშუალებით მოეცილებინა ბრბო ამ საშიში ადგილებისათვის.

— შეასრულებთ იმას, რასაც მე თქვენ გეტყვით? — ჰკითხა ხოლმა, და როდესაც ყველამ ერთხმად უპასუხეს, რომ შეასრულებენ, მან მიმართა იმათ წინადადებით:

— აბა იცოდეთ: არ იჩხუბოთ! არ ილოთოთ! თუ დღეს საღამოს თქვენ მთვრალს შეხვდებით რომელიმეს, მოურიდებლად დაიჭირეთ იგი, შეაჯექით ზედ და მაგრად ჩაავლეთ ხელი!

გაისმა სიცილი, ძახილი „ვაშა!“-ო, რა თქმა უნდა მაგრად იქნებიან; ეს ამოცანა თხიხელ თავებს მოითხოვს.

— რაც შეეხება მათ, ვინც ლაზარეთში იმყოფება, — განაგრძობდა ხოლი, ჩვენ ავარჩევთ კომიტეტს, რომელიც მათ საქმეს მიხედავს. ნუ ხმაურობთ უბრალოდ, ჩვენ არ უნდა შევაწუხოთ ავადმყოფები, მაგრამ იმავე დროს დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ არავინ სხვა არ შეაწუხებს იმათ. თანახმა ხართ ამაზე, თუ არა?

— ჰო, თანახმა ვართ!

— კარგი, — სთქვა ხოლმა, — იყავით ერთ წუთს დამშვიდებული.

მან მიმართა მთავარ ზედამხედველს:

კარტრაიტ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ლაზარეთში ჩვენ მიერ არჩეული კომიტეტი იმყოფებოდეს შემდეგ, როდესაც კარტრაიტმა სცადა შეკამათება, მან დაუმატა: — ნუ გამოტყინდებით მთლად, დასწყევლოს ღმერთმა! ნუ თუ თქვენ არ გესმით, რომ მე თქვენი სიცოცხლის გადარჩენა მინდა?

მთავარმა ზედამხედველმა არ იცოდა რა ექნა: ერთი მხრით მას ესმოდა, რომ თუ დაუთმობს, ეს ცუდად იმოქმედებს დისციპლინაზე; ხოლო მეორე მხრით ის ჰგრძობდა თუ რა საურთხე მოელოდა მას, მით უმეტეს, რომ ის არც თუ ძალიან ენდობოდა თავის ბუხპალტერებისა და კონტორის მოხელეების გმირობას და იარაღის მოხმარების ცოდნას.

— მაღე, გადასწყვიტეთ ბოლოს და ბოლოს, დასწყევლოს ღმერთმა! —

აჩქარებდა მას ხოლი. — მე აღარ შემძლია მეტ ხანს მუშების შეჩერება. მოდით გონს დაბოლოს, თუ არ გინდათ, რომ ყველაფერი გადიწვას ნორტ-ვალში.

— კარგი, — სთქვა კარტრაიტმა როდესაც ჩაიკლა კაქსის შექრაცყოფილი თავმოყვარეობა.

ხოლმა მიმართა მუშებს და აცნობა მათ, რომ მთავარი ზედამხედველი თანახმა არის, გაისმა საზეიმო ყიჟინა.

— ვინ წავა თქვენთაგანი? — იკითხა ხოლმა, როდესაც ხმაური მინელდა ცოტა, და დაიწყო მისკენ მიმართულ სახეების თვალიერი. ტიმი და უოჩოპი ყველაზე შესაფერისები იყვნენ, მაგრამ მას არ უნდოდა მხედველობიდან გაეშვა ისინი. მან გაიფიქრა ჯეროი მინეტტისა და მისის დევიდის შესახებ, მაგრამ დროზე მოაგონდა, რომ ისინი დიდ ჯეკთან ერთად შეთანხმდნენ, თავისი პატარა ჯგუფი არ გარიონ ჯერ საქმეში. მაშინ მას გაახსენდა მერი ბარკი; მან სულ ერთია მაინც, საკმაოდ შეანიშნიათ თავი, გარდა ამისა ზას ენდობოდა ხალხი, ხოლმა დაუძახა მერის და ერთ ამერიკელ ქალს, მისის ფერრისს. ორივე ქალი ავიდა ზევით. ხოლმა მიმართა კარტრაიტს:

— ეხლა მოდით და შევთანხმდეთ. ეს ქალები დაქრილებთან დარჩებიან, ელაპარაკებიან მათ და არ დაემორჩილებიან არავის განკარგულებას გარდა ევიმების და მოწყალებისა დებისა. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ, — წაიდუღუნა მთავარმა ზედამხედველმა.

— კარგი, — უთბრა ხოლმა. — იყავით, თუ ღმერთი გწამთ, ცოტა მაინც კეთილგონიერი და ნუ გასტებთ თქვენს სიტყვას. ხალხი უაღრესად ალეღვებულია, თუ თქვენ კიდევ უფრო გააბრაზებთ მას, მაშინ ყველა შედეგები თქვენ დაგატყდებით თავზე. უბრძანეთ თქვენს კაცებს წაეთრენ თავთავიანთ სახლებში, უმჯობესია სულ არ გამოჩნდნენ — არ არის საჭირო მაგათი გამომწვევი სურნობა თოვებით და მრისხანეთ დაღრეჯილი სახეებით.

ხოლმა აღარ დაუცადა კორტრაიტის პასუხს, მიუბრუნდა ბრბოს და ასწია ხელი სიწყნარის დასამყარებლად.

— მუშებო, ჩვენ დიდი ამოცანა გვაქვს წინ: კავშირის ორგანიზაცია. აქ, ლაზარეთის წინაშე, არ არის ადგილი ამისათვის, ჩვენ აქ ისედაც საკმაოდ ვიხმართ. მოდით ნელნელა დავიშალოთ და შესაკრებ პუნქტად ელექტრონის სადგური დაუნიშნოთ. კარგი?

ყველა თანახმა გახდა ამაზე. ხოლმა შეხედა, როგორ შევიდნენ ქალები ლაზარეთში, შემდეგ ჩამოირბინა კიბე და წაიყვანა ბრბო. ჯეროი მინეტტი სიხარულისაგან ათრთოლებული მივიდა მასთან, ხოლმა წაავლო ხელში ხელი და ალეღვებით წასჩურჩულა:

— იმღერე, ჯეროი! უმღერე მათ სიმღერა „დაგო!“

§ 7

მათ დაუბრკოლებლად მიადწიეს დანიშნულ ადგილს. იმავე დროს ხოლმა გამოიმუშავა გეგმა, თუ როგორ უნდა ეწარმოებინა მას ლაპარაკი ამ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთან. მან იცოდა, რომ ნახევარს ასე თუ ისე ესმის ინგ-

ლისური, მაგრამ მეორე ნახევარს სრულებით არააქერი გაეგება. რომ მისი ლაპარაკი ყველას გაეგოს, საჭირო იყო მუშების ეროვნულ ჯგუფებად დაყოფა და თითო ჯგუფზე თითო თარჯიმანის დანიშვნა.

უარყოფითი

ამან დიდი დრო მოინდომა და ბევრი ხმაური და მხარხარეობა დაიწყო. ვი-ვი გამოიწვია, — აქ პოლონელები — აქ ჩეხელები — აქეთ იტალიელები — იქით ბერძნები. ბოლოს, როდესაც განაწილება დასრულდა და თარჯიმანებმა თავთავიანთი ადგილები დაიკავეს, ხოლმა დაიწყო თავისი სიტყვა. ვერც კი მოასწრო ორიოდ სიტყვის თქმა, რომ წარმოუდგენელი ალიაქოთი ასტყდა. მთარგმნელებმა ერთად დაიწყეს ყველამ თარგმნა ისეთი ღრიალით, როგორც პარადზე, როდესაც ყველა ორკესტრები ერთად დაუკრავენ. ხოლი ჯერ გაშეშდა, ისე გააკვირვა იგი ამ ამბავმა, მაგრამ შემდეგ კი გულიანად გადიხარხარა. თარჯიმანები გაჩუმდნენ და მათაც გაიცინეს თავის მხრით. სიცილის ტალღებმა ტორტმანით გაიარეს ერთი მეორეზე ბრბოში და წამსვე შეიცვალა მთელი მისი სულიერი განწყობილება: აღვირახსნილმა გაცოფებამ და თავზე ხელაღებად გაშმაგებულ მხიარულებას დაუთმო ადგილი. ეს იყო ხოლის პირველი გაკვეთილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდოდა წაყვანა და ხელმძღვანელობის გაწევა ამ დიდ ბავშვებს, რომელთა განწყობილება ასეთი ცვალებადია და გრძნობები ასე შერყევი.

ხოლმა მიმართა სხვა გზას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ის ამბობდა მთელ თავის სიტყვას ბოლომდე, შემდეგ ჯგოფებს აყენებდნენ ერთი მეორისაგან ცოტა დაშორებით, რომ ყოველ მათგანს საშუალება ჰქონდა თავისუფლად ეგდო ყური თავის თარჯიმანისათვის. მაგრამ აქ ახალმა დაბრკოლებამ იჩინა თავი: უპირველეს ყოვლისა, როგორ შეეძლო მას შეეჩერებინა ორატორების მოხეტქილი მჭევრმეტყველება და შემდეგ, რა გზით დარწმუნდებოდა ის იმაში, რომ მისი სიტყვები სწორედ ითარგმნება მათ მიერ? ოლსონი აფრთხილებდა ხოლს მაძიებლებისა და პროვოკატორებისაგან, რომლებსაც მუშების სახით კომპანია მოგზავნიდა ხოლმე; როდესაც მოიხვეჭდნენ ნდობას მუშებში, ისინი აქეზებდნენ მათ ძალმომრეობაზე. და მართლაც ზოგიერთ თარჯიმანს ძალიან საეჭვო გარეგნობა ჰქონდა, და ხოლისთვის მეტად ძნელი იყო მათ მიერ გადათარგმნილი მისი ფრაზებისა და აზრის გაგება.

იყო აქ, მაგალითად, თარჯიმანი — ბერძენი, მეტად მხეცური გარეგნობის კაცი. ის ნადირივით ატრიალებდა თვალებს, თმები აბურძგვნილი ჰქონდა, ველური პათოსით აყრიდა იგი ფრაზებს თავის მსმენელებს. ის შემდგარიყო ბოჩკაზე, განათებული მალაროს ორი ლამფით, ათიოდე თავისი ტომის მუშით გარემოცული. ის აქნევდა ხელებს პაერში, ყვიროდა, ღრიალებდა. ამ სანახაობით დაეჭვებულმა ხოლმა ჰკითხა ინგლისურად მოლაპარაკე ერთ ბერძენს, თუ რის შესახებ ლაპარაკობს ამ წუთში ორატორი, და აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ უწყინარ მოთხოვნილებას აყენებდა, რომლის ძალით ნორტ-ვალში საქმე კანონის მიხედვით უნდა ეწარმოებინათ.

ხოლი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ამ გულმოდგინე ადამიანს, რომელიც ცდილობდა მთელი მიმიკური წარმოდგენა ეჩვენებინა. მან გადახნიქა უკან

მხრები, გამოჰიმა წინ მკერდი, კინალამ გადავარდა თავის ბოქიდან და ამავე დროს გამოსთქვამდა მშვიდობიან აზრს იმის შესახებ, რომ მომავალში მუშები ადამიანურად იცხოვრებენ. შემდეგ ის ჩაჯდა ფეხის წვეთებზე, ხეცოდნად ასლოკინდა, დახარა ძირს თავი და ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მოელოდა მუშებს, თუ ისინი დათმობაზე წავიდნენ. ბოლოს მან ჩაჰყო ხელი თავის სქელ თმაში და დაიწყო გლეჯა, სწია, სწია და შემდეგ ცალიერი ხელი უჩვენა მაყურებლებს, მერმე ისევ დაიწყო თმის გლეჯა ისეთი ძალით, რომ შეიძლებოდა მარტო ამ პროცედურის დანახვანე ეგრძნო კაცს ტკივილი და დაეყვირნა. ხოლმა იკითხა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს, მას უპასუხეს: „ის ამბობს: მიემხრეთ კავშირს! თუ მე ერთი თმა ამოვსწიე, ის ამოძვრება, ხოლო თუ ყველა ერთად ამოსწიე, ვერ ამოგლეჯავ.“

ხოლს მოაგონდა ეხოპისა და მისი იგაგების დრო.

თავის დროზე ტომ ოლსონმა მიუთითა ხოლს რამდენიმე ტენიკურ ხერხზე, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ უმეტარმა მასებმა შეიგნონ და აითვისონ ის, რასაც მათ ეუბნები. საჭირო იყო ერთი და იმავე აზრის რამდენჯერმე განმეორება, განმეორება იმდენჯერ, ვიდრე თვით ყველაზე ჩამორჩენილი მსმენელიც კი არ აითვისებდა სიტყვების შინაარსს, ვიდრე მის ტვინში მტკიცედ არ დამკვიდრდებოდა ის აზრი, რომ მუშების ერთად ერთი ხსნა სოლიდარობაში იმყოფება. როდესაც თარჯიმანებმა გაათავეს თავიანთი საქმე, ხოლმა ერთხელ კიდევ გაიმეორა მთელი თავისი სიტყვა თავიდან ბოლომდე, თან ცდილობდა ელაპარაკნა უბრალო ერთმარცლოვანი სიტყვებით და მაღაროებში გავრცელებული დამტვრეული ინგლისურით. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ის აჭრელბდა თავის სიტყვას ბერძნული, იტალიანური და სლოვაიანური სიტყვებით, რომელთა შესწავლაც მან ნორტ-ვალში ყოფნის დროს მოასწრო. ხდებოდა ხოლმე რომ მისი სიტყვებით აღფრთოვანებული თარჯიმანები იმ წამშივე გადასცემდნენ მათ თავიანთ მსმენელებს და მაშინ ხოლს უხდებოდა ლოდინი, ვიდრე ხელახლა არ დამყარდებოდა სიწყნარე. არ იყო საშიში, რომ მუშებს მოსწყინდებოდა ყოველივე ეს; ყველა ისინი მომთმენი იყვნენ, ბევრის ამტანი, თანაც ამ საქმეს მეტად სურთოხულად უცქეროდნენ.

თანდათან, აუჩქარებლად აუხსნა ხოლმა იმათ საქმის მთელი ვითარება: ისინი დაარსებენ მუშათა კავშირს, ნამდვილ კავშირს, საწევრო წიგნაკებით და არჩეული გამგეობით. მაგრამ ასეთი შეკავშირების საქმის ხელის მოკიდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება აზრი, თუ მათ მომავალშიაც ერთმანეთთან შეკავშირებული არსებობა უნდათ. ყველა ნაციონალური ჯგუფების წარმომადგენლები შეიკრიბებიან ერთად და გამორიშუაებენ მთელ რიგ რეზოლიუციებს, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად საერთო კრებას წარედგინება. შემდეგ მიღებულ რეზოლიუციებს აცნობებენ ზედამხედველებს; გაეგზავნება ცნობა, რომ არც-ერთი მაღაროს მუშა ნორტ-ვალში არ ჩაეშვება მაღაროში მანამდე, სანამ მუშების ყველა მოთხოვნილებები დაქანაყოფილებული არ იქნება.

ჯეროი მინეტტი, რომელიც კარგად იცნობდა კავშირების ორგანიზაციის საქმეს, ურჩევდა ეხლავე მოეხდინა წევრების ჩაწერა; ის ფიქრობდა, რომ

ადგილი ექნებოდა ერთგვარ ფსიხოლოგიურ ეფექტს, როდესაც ყველის ცალ-ცალკე გამოიძახებენ და ჩასწერენ მის გვარს. მაგრამ აქ მცირე დაბრკოლებები გადაეღობათ წინ. საჭირო იყო ფანქარი და ქალაღი, ხელეფი და მთელი თავისი ფული ჯექ დევიდს გადასცა გასამკზავრებლად: იქვედგულყო შეიქნა ესესხნა ფული და ისე გაეგზავნა კაცი საწერი ხელსაწყოს საყიდლად. გადასწყვიტეს, რომ ყოველი მათგანი, ვინც წევრად ჩაეწერებოდა, შეიტანდა იმავე დროს ათ ცენტს: ხარჯი დასჭირდება ტელეგრაფს და ტელეფონს, თუ საჭირო გახდებოდა გარეშე ძალის დახმარების თხოვნა.

ამოირჩიეს დროებითი კომიტეტი ტიმ რაფერტის, უოჩოპის და ხოლის შემადგენლობით, რომელსაც დაივალეს სიების შედგენა, შემოსული ფულის ანგარიშის წარმოება და ყველაფრის მოწმადება, რაც კი საჭირო იყო ხვალის საერთო კრებისათვის. გარდა ამისა, დანიშნეს თორმეტი ყველაზე უფრო ღონიერი და საიმედო მუშა კომიტეტის დასაცავად.

ამ დროს უკვე ფანქარზე და ბლოკნოტებზე გაგზავნილი კაციც დაბრუნდა. თარჯიმანები ჩაჯდნენ ძირს და შეუდგნენ მალაროს ლამფების შუქზე კავშირში ჩაწერის მსურველთა შეტანას სიებში, ამასთანავე ყოველი წევრად ჩაწერილი პირობას სდებდა, რომ დისციპლინასა და სოლიდარობას დაიცავდა. დასასრულ, მას შემდეგ, როდესაც საერთო კრება დილისათვის დანიშნეს, მუშები თავ-თავიანთ სახლებში დაიშალენ.

§ 8

დროებითი კომიტეტი მცველებითურთ ღამის გასათევად რემინიც კისას დაბინავდა სასადილო ოთახში. იქ ყველანი გაწვენ იატაკზე, არავინ ხელს არ უშლიდათ, და იმ დროს, როდესაც უმეტესი ნაწილი მათ შორის დამშვიდებით ხვრინავდა, ხოლმა და რამდენიმე მისმა ამხანაგმა შეადგინეს რეზოლიუცია მუშათა მოთხოვნილებებით, რომელიც, მათი ფიქრით, ხვალ უნდა გადაეცათ ზედამხედველთათვის. შემდეგ გადასწყვიტეს, რომ ხვალ დილის მატარებლით ჯერრი წავიდოდა პედროში, ჯექ დევიდისა და მუშათა კავშირის წარმომადგენლის სანახავად და მომხდარი ამბების მათთვის გადასაცემად. ეინაიდან კავშირის წარმომადგენლებს ალბად უეჭველად მაძიებლები—ადევნებენ თვალს, ამიტომ ხოლმა ურჩია ჯერრის პირველად მაქ კედერთან წასულიყო და ეთხოვნა მისთვის, რომ მას თავის სახლში მიეყვანა დიდი ჯეკი. გარდა ამისა ხოლმა მიანდო ჯერრის გამოეწვია ქალაქთაშორისო ტელეფონით „გაზეთის“ რედაქცია და ეცნობებია ბილლი კიტინგისათვის, რომ ნორტ-ვალში გაფიცვა დაიწყო.

ხოლს ათას საქმეზე უნდა ეფიქრნა, თავს შხუილი გაჰქონდა და თვალებს ძილი არ ეკარებოდა. უცებ მას ზედამხედველები გაახსენდნენ. რას აკეთებენ ეხლა ისინი? ალბად ვერც ისინი ახერხებენ დაძინებას.

შემდეგ მას გაახსენდა თავისი მეგობრები სასწრაფო მატარებლიდან და არ შეეძლო არ გალინებულიყო იმ აზრზე, თუ რა უჩვეულო მდგომარეობაში ჩავარდა ის ეხლა. მან ხმამაღლა გადიხარხარა, როდესაც მოავიდა, თუ რო-

გორ ამოდ ცდილობდა პერსი, რომ როგორმე გაეტყუებინა ხოლი ჰქედან. ან საცოდავი ჯესი. რა უნდა უთხრას ეხლა მას ხოლმა?



ხედამხედველებს არ მოუმართავთ არავითარი ზონებებისადმი ლამეს. როგორც კი ინათლა გაფრცულეები გაემართენ საერთო კრებისათვის დანიშნული ადგილისკენ, ზოგნა საუზმეს ჭამაც კი ვერ მოასწრო. ისინი მივიდნენ იქ პირდაუბანელი, თმებაბურძგნული; ერთმანეთს, ცოტა არ იყოს, შიშით ათვალთვლებდნენ, თითქოს არა სწამდათ, რომ ამ ლამით მათ ისე თამაშად და გაბედულად ეჭირათ თავი. მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ კომიტეტიც და მცველებიც თავის ადგილზე არიან, მხნეობა ისევ დაუბრუნდა მათ და მათში ისევ გაიღვიძა სოლიდარობის საუცხოვო გრძნობამ, რომელიც ყოველ მათგანს ძალის და ნებისყოფის მქონე ადამიანად აქცევდა.

აი დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა; სიმღერებმა და „ვაშას“ ძახილმა გამოათხიზლა ძილს გადაყოლილები, ისინიც მოვიდნენ მალე საერთო კრებაზე. მოკლე ხანში მოგროვდნენ მთელი სოფლის მამაკაცები, ქალები და ბავშვები.

მერი ბარკი მოვიდა ლაზარეთიდან, სადაც მან ეს ლამე გაათია. მას ჰქონდა ნაწამებრა, დაღლილი სახე, მაგრამ ბრძოლის სული ძველებურად მხურვალე იყო მასში. მან უამბოთ, თუ როგორ ესაუბრებოდა იგი აკადემიკოსებს; ბევრმა მათგანმა უკვე მოასწრო ხელის მოწერა ქალაქისათვის „პრეტენზიების უქონლობის შესახებ“ — დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა კომპანიას ზარალის ასანახლაურებელ საჩივრებისაგან. ზოგიერთები კი ყოყმანობდნენ ასეთი დოკუმენტების ხელის მოწერაზე, და მერიც დაბეჯითებით არწმუნებდათ, რომ არ მოეწერათ ხელი. ორმა ქალმა წინადადება მისცა მერის, რომ შეენაცვლებოდნენ, რათა მას ცოტაოდენი დასვენების და თვალის მოტყუების საშუალება ზაინც ჰქონოდა, მაგრამ მერის არ უნდოდა ძილი, მას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ის ვერასოდეს ველარ შესძლებდა დაძინებას.

ბოლოს ახლად შემდგარმა კავშირმა დაიწყო გამგეობის წევრების არჩევა. ყველას უნდოდა, რომ თავმჯდომარედ ხოლი ყოფილიყო. მაგრამ ხოლს არ სურდა თავის შებორკვა მეტისმეტად და ბოლოს ეს საპატიო სახელი მან უოჩოპს მოახვია თავზე. ხაზინადარ და მდივნად ტიმ რაფერტი აირჩიეს. შემდეგ აირჩიეს დეპუტაცია, რომელსაც მიახდევს კარტრაიტისათვის მუშების მოთხოვნები გადაცემა. დეპუტაციაში შევიდნენ: ხოლი, უოჩოპი, ტიმი, ერთი იტალიელი, გვარად მორჩელი, რომელიც მინეტტიმ ურჩიათ, ერთი სლოვიანთა ჯგუფის წარმომადგენელი, რუზიკი, და ბერძენი ძამაკი; ორივე უკანასკნელი დეპუტატი სერიოზული და საიმედო იყვნენ. უკანასკნელად „ვაშას“ ძახილით, სიცილით და ოხუნჯობით დეპუტაციაში მერი ბარკი აირჩიეს. ნორტ-ვალელი ქალისათვის ასეთი როლი სრულიად ახალი იყო, მაგრამ მერი მალაროს ნუსის შვილი იყო, მისი პატარა ძმაც მალაროში მსახურობდა, მაშასადამე მასაც უფლება ჰქონდა აღემალლებინა ხმა, როგორც ყოველ მამაკაცს ნორტ-ვალში.

§ 9.



შემდეგ ხოლმა წაუკითხათ იმ ლამით შედგენილი დეკლარაცია, რომელიც შემდეგ მოთხოვნილებებს შეიცავდა: მუშათა კავშირის შექმნის უფლება, ანასთანავე ეს მუხლი მოითხოვდა, რომ კავშირის წევრობისთვის არავის დათხოვას ადგილი არ ჰქონოდა; სასწორის კონტროლიორის დაუბრკოლებელი დანაშუნის უფლება; შემდეგ წარმოდგენილი იყო მოთხოვნილება, რომ მაღაროებში დანაყილი ვგური იფრქვეოდეს აფეთქებების თავიდან ასაცილებლად; მაღაროები გამაგრებული უნდა იყოს ისე, როგორც საჭიროა, ქვების ჩამონგრევის თავიდან ასაცილებლად; სანოვაგისა და სხვა საჭირო ნივთების შექმნის უფლება მუშებს უნდა ჰქონდეთ ყველგან, რომელი საწყობიც არ უნდა იყოს. ხოლი განსაკუთრებით იმ გარემოებას აქცევდა კრების ყურადღებას, რომ ყველა ეს უფლებები მინიჭებული აქვს მუშებს შტატის კანონებით, და სთხოვდათ მხოლოდ ამ მოთხოვნილებებით დაკმაყოფილებულიყვნენ. ერთმა რადიკალმა სცადა წინადადების შეტანა, რომ მოეთხოვათ ხელფასის გადიდება ათი პროცენტით, მაგრამ მცირე კამათის შემდეგ ეს წინადადება კრებამ უარჰყო. იგივე ბედი ეწია ერთი სინდიკალის—ანარქისტის წინადადებას, რომელმაც იტალიანური და ინგლისური ენების რაღაც ნარევზე ჩამოაგდო სიტყვა იმის შესახებ, რომ მაღაროები მუშებს ეკუთვნის და კომპრომისებზე წასვლა კი არ არის საჭირო, არამედ დაუყოვნებლივ უნდა გარეკონ მაღაროებიდან ყველა ხედაშხედველები.

ამ სიტყვის დროს ხალხში გაძვრა ანალგაზდა იტალიელი და გაიხმო ხოლი განზე, ის ეს არის სადგურზე იყო, ეხლა დილის მატარებელი მოვიდა და მან ნახა, როგორ ჩამობტენ მატარებლიდან ორმოციოდე სამხედრო შეხედულების კაცი, რომელთა ტიპს მაღაროს მუშები კარგად იცნობენ. როგორც ეტყობა ზედამხედველები გულმოდგინეთ რეკავდენ ტელეფონით მთელი ლამე: ამ რაზმის გარდა ავტომობილებით მოვიდა შეიარაღებული ხალხი მეზობელ მაღაროებიდან—„ნორტ-ისტერნიდან“, კანიონის ქვემოთ რომ მდებარეობს, და მთების იქით მახლობელ კანიონში მდებარე ბარელიდან.

ხოლმა აცნობა ეს ახალი ამბავი კრებას, რომელმაც მასში მხურვალე გულისწყრომა გამოიწვია. აი რას ფიქრობენ ეს ვაჟბატონები! ბელადებს დიდი შრომის გაწევა დასჭირდათ იმისათვის, რომ აღელვებული ბრბო დაეწყნარებიათ და ხოლმა ერთხელ კიდევ გამოაცხადა ლოზუნგი: არავითარ შემთხვევაში ძალადობა არ გასწიოთ! დაე მუშები დაეყრდნონ თავიანთ კავშირს, დაე იდგნენ ერთ მტკიცედ შეკრულ მასად, და მაშინ კომპანია დაინახავს, რომ დაშინებით არაფერი გამოვა და გაფიცვას ამით ვერ გასტეხს.

მუშები დასთანხმდნენ და დებუტაციაც გაემართა კომპანიის კონტორისაკენ. დებუტაციის უკან აღდგნებულმა ბრბომ მთელი ქუჩა გაქედა კანტორის შენობის წინ. უოჩოპმა, რომელსაც მუშათა მოთხოვნილებების ფურცელი ეჭირახელში, განაცხადა, რომ მათ მისტერ კორტრაიტთან სურთ მოლაპარაკება. დარაჯი წავიდა კანტორაში მოსახსენებლად.

შეგნებულად მიმართულ ენერგიას. ჩვეულებრივ მისი კონსტიტუციის სამკერვალო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩათვალიდეს, მაგრამ ეხლა მის ტანსაცმელშია ცხელი არაჩვეულებრივი რამ სჩანდა.

ხოლის შიში, რაც აქ მოდიოდა, თანდათან მატულობდა.

— რა მოუვიდა მამას? — წამოიძახა მან.

— მამა მშვენივრად ჰგრძნობს თავს, — იყო პასუხი, — ყოველ შემთხვევაში აქამდე.

— კი, მაგრამ რას ნიშნავს...

— პიტერ ხარიგანი დაბრუნდა ნიუ-იორკიდან და ხვალ უესტერნ-სიტიში უნდა მივიდეს. დარწმუნებული ვარ შენ გესმის რაც დაემართება მამას, თუ შენ დაუყოვნებლივ არ გაანებებ მთელ ამ ამბავს თავი.

ხოლის შიში უმაღლესე გაჰქრა.

— მეტი არაფერი? — წამოიძახა მან.

ძმა ათვალისებრად ახალგაზრდა მალაროს მუშას, მის ჭუჭყიან კონსტიტუციას კვარტლით შემოუოულ პირისახეს, აბურძგვნილ თმებს.

— შენ მე დეპეშა გამომიგზავნე, რომ ნორტ-ვალიდან წასვლას აპირებ.

— ჰო, მე მართლაც ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ამას ხელი შეუშალა მოულოდნელმა გარემოებამ: გაფიცვამ.

— კარგი, მაგრამ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს შენთან გაფიცვას? შემდეგ მოთმინებიდან გამოსულმა დაუმატა:

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სანამდე ფიქრობ რომ მიხვიდე?

რამდენიმე წამი ხოლი ჩუმად უცქეროდა ძმას; მიუხედავად იმისა, რომ ის აღელვებული იყო მეტად, მაინც არ შეეძლო არ გასცინებოდა.

— შემოიძლია ვიფიქრო, თუ რა სახითა გაქვს ყოველივე ეს წარმოდგენილი, ედუარდ. ეს გრძელი ამბავია, აჰ, მართალი გითხრა, არც კი ვიცი სიდან დავიწყო.

— მჯერა, — მშრალად უპასუხა ედუარდმა.

ხოლს ისევ გაეცინა.

ყოველ შემთხვევაში ამ საკითხში მაინც ვეთანხმებით ერთმანეთს. მე შინდოდა მოგლაპარაკებოდი ყველაფერზე, როდესაც მყუდროობა დამკვიდრდებოდა, რომ გიამბო აქაური პირობები...

ედუარდმა გააწყვეტინა:

— ხოლ, მე გთხოვ, ეგ არგუმენტი აქ სრულებით მოსატანი არ არის. მე სრულებით არ მესაქმება, თუ რა სამუშაო პირობებია პიტერ ხარიგანის ნახ-შირის მალაროებში.

ღიმილი გაჰქრა ხოლის სახეზე.

— შენ უფრო გესიამოვნებოდა, რომ ეს პირობები მე უორნერის მალაროებში შემესწავლა?

ხოლი ცდილობდა არ გაჯავრებულიყო, მაგრამ არ იყო ისეთი გზა, რომელზედაც მათ შეეძლოთ ერთმანეთთან შეთანხმება!

— ედუარდ, ჩვენ არა ერთხელ გვიკამათნია ამ საკითხის გამო, და შენ ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდი; მაშინ შენ შეგეძლო გეტქვა ჩემთვის, რომ მე ბალდი ვარ და უფლება არა მაქვს ექვი შევიტანო შენს მშენებდულების სამართლიანობაში. მაგრამ ეხლა მე უკვე ბალდი აღარ ვარ და ჩვენი დაფასულ სხვა ნიადაგზე უნდა გადავიტანოთ.

ტონმა, რომლითაც იყო ეს სიტყვები წარმოთქმული, უფრო გააოცა ედუარდი, ვიდრე თვით სიტყვებმა.

— აბა, რა ნიადაგია ეგ სხვა ნიადაგი?

— ამ საათში შე მთლად გაფიცვის საჭმეში ვარ გართული, არა მაქვს დრო, რომ აგიხსნა.

— მამის შესახებ სრულებით არ, ვინდა იფიქრო ამ სისულელით გატაცებულმა?

— მე მამაზედაც ვფიქრობ და შენზეც, ედუარდ, მაგრამ ეხლა ისეთი დრო არის, რომ...

— თუ ოდესმე ყოფილა შესაფერი მომენტი, ეს სწორედ ეხლა არის. ხოლმა ამოიხვნეშა ჩუმად.

— კარგი, დაჯექი; მე ვეცდები გაგაგებინო, თუ როგორ ჩამითრია ამ ამბავმა.

მან აუხსნა ძმას, თუ რა პირობები სუფევდა საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის ამ ციხეში. როგორც ყოველთვის, როდესაც მას ამის შესახებ ლაპარაკი უხდებოდა, ის ენთებოდა, ლაპარაკობდა მხურვალედ და გატაცებით, ისე როგორც მაშინ მოხელეების წინაშე პედროში, და იმგვარადვე, როგორც მაშინ მას მოუხდა თავისი მჭერმეტყველობის შეწყვეტა: ძმა იმდენად გაბრაზებული იყო, რომ თითქმის ყურს არ უგდებდა.

ძველი, ძველი ამბავი, ასე იყო ყოველთვის, რაც კი ხოლს თავისი თავი ახსოვდა. თითქოს ბუნების რალაც თამაშობა იყო, რომ ერთსა და იმავე მშობლებისაგან ორი ასეთ აბსოლუტურად სხვადასხვა ხასიათი წარმოიშვა. ედუარდი პრაქტიკული, საქმიანი კაცი იყო; მან ყოველთვის იცოდა, რაც უნდოდა და კიდევაც ახერხებდა მიზნის მიღწევას; ექვები, კითხვები და სხვა ამგვარი ზედმეტი გრძნობები მას არ აწუხებდენ, მას არაფერი ესმოდა იმ ხალხის, ვისი სულიც ზედმეტი ბალასტით იყო დატვირთული; მას არაფერი ესმოდა აგრეთვე „გატაცებული“ ხალხის.

წინად უფროსი ძმის პრესტიჟი მოქმედობდა ხოლზე. ედუარდი ლამაზი იყო. როგორც ახალგაზდა ელინური ღმერთი, ძლიერი და მტკიცე ნების პატრონი. დასრიალებდა ედუარდი ყინულზე, თუ მძლავრად აპობდა მხრებით ტალღებს, ან მიზანში ამოღებულ კაკაბს ჩამოაგდებდა ძირს—იგი ყოველთვის ჯან-ლონისა და სიმარდის განსახიერება იყო. გულის ტკენას იწვევდა მისი ყურის გდება, როდესაც ის დაცინვით დაიწყებდა ლაპარაკს „უაზრო მიქარვების“ შესახებ ან „სენტიმენტალობის“ გამასხარავენას—საჭირო იყო მაშინ მიემართნა კაცს შელისა და რესკინისათვის, რომ ისევ მოეპოებინა სიმტკიცე და გამანე-ვებულიყო.

ხოლი ბავშობიდანვე უფიქრდებოდა ცხოვრებას, მის ხასიათში იყო ისეთი რამ, რაიც აიძულებდა მას გაეგო და გაერკვია საგნების არსებითი მხარე, და მიუხედავად იმისა, რომ მას მეტად ბრწყინვალედ ერყვნებოდა მხარისა, მან მაინც მალე გაიგო, რომ ცხოვრების ზოგიერთი მხარეების მიმართ ედუარდი ბრმა არის სავსებით. მაგალითად, ხოლს რელიგიური საკითხები აწუხებდა: ის განიცდიდა სულიერ ტანჯვას, ისე როგორც ყოველი ჰაბუკი, რომელიც რწმუნდება მასში, რომ ბავშვობიდან თანშეზრდილი მისი რწმენა ნამდვილად ასე თუ ისე მაღალი შინაარსის ზღაპარი ყოფილა. ედუარდს, როგორც ყტყობოდა, არასოდეს ასეთი ეჭვები არ გამოეცადა. ის დადიოდა ეკლესიაში იმით, რომ ამას კარგ ტონად სთვლიდა, და კიდევ უფრო იმის გამო, რომ ერთ აბალგაზდა დამას, რომელზედაც ის ჯვარის დაწერას ფიქრობდა, ძალიან მოსწონდა, როდესაც ელევანტურად ჩაცმული ედუარდი მიჰყვებოდა მას დიდებულად მორთულ ეკლესიაში, სადაც უკრავდა მუსიკა, ყვავილები სურნელებას აფრქვევდნ და სადაც ის იმგვარადვე ელევანტურად ჩაცმულ ნაცნობებს ხედებოდა. ედუარდი სრულიად არანორმალურად სთვლიდა ასეთი სასიამოვნო ჩვეულების უარყოფას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ შეუძლებელია იწამო იონა ვეშაპის მუცელში.

ასე თუ ისე, ძმებ შორის ბრძოლამ შკაცრი ხასიათი მაშინ მიიღო, როდესაც ხოლი შეეხო ძმის საყოველღეო რელიგიას—მოგებისა და პროცენტების რელიგიას. პირველ ხანებში ხოლს არაფერი ესმოდა პრაქტიკული საქმის და ედუარდს უხდებოდა სწავლება მისთვის. ედუარდის სიტყვით, ქვეყნის კეთილდღეობა ძლიერთა შრომით არის შექმნილი; ამ ხალხს ჰყავს მტრები—ბოროტი ხალხი, რომელიც შურით დამწვარი და მდაბალი გრძნობებით გამსჭვალული ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ბოლო მოუღოს ამ გიგანტურ შენობას. პირველად ხოლი დაკმაყოფილდა ამ სატანური თეორიით, მაგრამ შემდეგ, როდესაც გადაიკითხა ბლომად წიგნები და თვითონაც დააკვირდა ზოგიერთ მოვლენას, მან ბევრი საეჭვო და სადაო რამ ნახა მასში. დასასრულს, ძმის სიტყვებისა და „მეამბოხეთა“ წიგნების ზეგავლენით ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს ადამიანთა ორი კატეგორია: ერთი მათგანი ზრუნავს სარგებლობაზე, მეორე—ხალხზე.

ნუ თუ ხარიჯანი ასე გამოიცვალა ამ ბოლო წლებში? როდესაც ედუარდი სტუდენტი იყო, ასეთი იდეების ხსენებაც კი არ იყო იქ; არასოდეს არ მოუვიდოდა ვინმეს თავში პროფესორების მასხარად აგდება და იუმორისტული, წკიპტურული სიმღერების შეთხზვა ფილანტროპ-ქველმოქმედებზე.

შემდეგ დადგა დღე, როდესაც ედუარდ უორნერი უფროსი დამბლად დაეარდა, და საქმე ედუარდ უორნერ უნცროსის ხელში გადავიდა. სამ წელიწადში მან აითვისა ნამდვილი მაღაროს პატრონის მსოფლგაგება და შეხედულებანი: ეს შეხედულებანი მასში მტკიცედ და წარუშლელად დამკვიდრდნ. მაღაროების მეპატრონე უნდა ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება იაფად იყიდოს მუშა ხელი, დაამუშაოს მოკლე ხანში რაც შეიძლება მასალის მეტი რაოდენობა და მიჰყიდოს საბაზრო თასებში მას, ვისი კრედიტიც ყოველ ეჭვს გარეშე იმყოფება. თუ ყოველივე ეს მიღწეულია, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ საქმე

წარმატებით მიდის. ის, ვინც გაჰბედავს კრინტის დაძვრას იმის შესახებ, რომ ამით შელახულია მუშების ინტერესი, ან სენტემენტალურად მოახროვნე აღამიანია, ან და თავხედია.

ედუარდი ძალიან შეაშფოთა იმ გარემოებამ, რომელიც სწორედ განაცხადა, რომ წარმოებასთან დაახლოვებით გაცნობისათვის ის ფიქრობს გაატაროს არდადეგები უბრალო მუშის სახით. მაგრამ საკითხის აწონდაწონის შემდეგ ედუარდი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ბოლოს და ბოლოს ცუდი აზრი არ არის: შეიძლება ხოლმე ვერ ნახოს ის, რასაც მოელის, და ფიზიკური შრომა მალე განკურნავს მას ყოველგვარი სულელური იდეებისაგან.

და აი ეხლა ეს ექსპერიმენტი დამთავრებულია, და ედუარდი უნდა გამოტენილიყო, რომ შედეგი მეტისმეტად არა სასურველი გამოდგა. ხოლი სრულებითაც არ დარწმუნებულია იმის სიმართლეში, რომ მუშათა კლასი ამბოხების სულით არის გაელენთილი, ხარმაცი და ყველაფერში გამოუსადეგარი, რომ იმას აუცილებლად ლაგანი უნდა ამოედოს მაგრად პირში; პირიქით, ის თვითონ შეიქნა აჯანყების დამწყები! ის გახდა ხარმაცების და უბადრუკების დამცველი, კლასობრივი სიძულვილის გამღვივებელი აგიტატორი, თავის საკუთარი მეგობრების და ძმის კომპანიონების მტერი.

ხოლს არასოდეს არ ენახა ედუარდი ასეთ ნერვიულ მდგომარეობაში. ხოლს უკვირდა ეს, სანამ დაბოლოს ძმამ არ უამბო, თუ რამ მოიყვანა იგი აქ ის იჯდა სადილად ამხანაგებთან როდესაც, დაახლოებით შუაღამისას, ის ტელეფონთან მიიწვია პერსი ხარიგანმა, რომელმაც აცნობა, რომ მან კარტრაიტი-საგან გაიგო, თითქოს ხოლმა ნორტ-ვალელ მუშებში ამბოხება მოაწყო და თვითონ ხელმძღვანელობს მას. ახალგაზდა ხარიგანმა ისე საშინლად გააშუქა მომხდარი ამბები, რომ ედუარდი დაუყოვნებლივ, როგორც იყო, ფრაკში, უბარგოდ გაეშურა სადგურისაკენ ლამის მატარებელზე მოსახვედრად.

ხოლი ძლივს იკავებდა სიცილს. მან წარმოიდგინა ძმის ღირსებით სავსე, უაღრესად ზრდილობიანი ფიგურა, თუ როგორ გამოდის ის დილით დასაძინებელი ვაგონიდან ფრაკში, ცილინდრით თავზე. ეხლა კი ედუარდ უორნერი უნცროსი, ყოველთვის ისეთი ელევანტური, კოსტიუმში ას ორმოცდაათ დოლარს რომ აძლევდა, იდგა მის წინაშე მოძველებულ ტანსაცმელში, რომელიც მან თორმეტ დოლარად და ორმოცდა რვა ცენტად იყიდა რომელიღაც ებრაელისაგან ნახშირის უბანში.

§ 11.

მაგრამ ედუარდი სიცილის გუნებაზე როდი იყო; მთელი მისი გონება მიმართული იყო იქითკენ, თუ როგორ გამოეყვანა ძმა ამ საშიშსა და სამარცხვინო მდგომარეობიდან, რომელშიდაც მან თავი ამოჰყო.

ხოლი მოვიდა ქალაქში, რომელიც ედუარდის კომერციულ ამხანაგებს ეკუთვნით, ის ჩაერია მათ საქმეში, ააჯანყა მუშები, შეარყია კერძო საკუთრების უფლება. ედუარდი ერთ წუთსაც არ დაეჭვდებოდა იმაში, რომ ნორტ-ვალში არა მარტო მალაროები და შენობები, არამედ ყველა მცხოვრებლები საყოველთაო სათბობი მასალის კომპანიის კერძო საკუთრებას შეადგენენ.

როდესაც ხოლი შეეცადა გამოეთქვა ცოტა სხვაგვარი შეხედულება, მან პასუხად მხოლოდ აღელვებული კაცის ყვირილი გაიგონა. ნუ თუ ქალაქი საყოველთაოდ სათბობი მასალის კომპანიის უენერგიოდ და უკანაპიროდ შესძლებდა არსებობას? თუ ნორტ-ვალში არ მოსწონთ მტუშებს საყოველთაოდ სათბობი მასალის კომპანიის პირობები, დაე მიბრძანდნ სამუშაოდ სხვა რომელიმე ადგილზე, ეს ხომ უბრალო საქმეა. მაგრამ არა, ისინი თავისუფლად რჩებიან აქ, თავისუფლად იღებენ ფულს საყოველთაოდ სათბობი მასალის კომპანიისაგან...

ეხლა ისინი უკვე აღარ იღებენ მას—შენიშნა ხოლმა.

ნუ აიღებენ, ეს მათი საქმეა—უბასუხა ედუარდმა.—მაგრამ დაე გაიფიცონ თავისი საკუთარი სურვილის მიხედვით, და არა გარედან მოსული აგიტატორების წაქეზებით. ყოველ შემთხვევაში უორნერების ოჯახი ვერ დაუშვებს, რომ ერთ ერთი მისი წევრი აგიტატორი იყოს.

შემდეგ ედუარდმა დაუხატა პიტერ ხარიგანის დაბრუნება. აუწერა მისი გააფთრება და ის ქარ-ბუჭი, რომელსაც ის უესტერნ სიტის კომერციულ წრეებში დააყენებს.

— ყველაფერი ეს წარმოუდგენელი, პირდაპირ დაუჯერებელი რამ არის! და სწორედ ეხლა, როდესაც ჩვენ ახალი მალაროების გახსნას ვაპირებთ და კრედიტის ყოველი დოლარი მნიშვნელოვანია ჩვენთვის!

— ნუ თუ ჩვენ საკმაოდ ძლიერნი არა ვართ იმისათვის, რომ პიტერ ხარიგანს ვებრძოლოთ?

— ჩვენ ისედაც ბევრი კონკურენტები გვყავს და არა გვაქვს არავითარი საფუძველი გავადიდოთ მტრების რიცხვი.

ედუარდი ლაპარაკობდა არა მარტო, როგორც უფროსი ძმა, არამედ აგრეთვე როგორც ოჯახის კომერციული საქმეების მწარმოებელი. როდესაც მამა ავად გახდა ზედმეტი ჯაფისაგან და ერთ საშინელ წუთში ენერგიული საქმის კაცისაგან საბრალო და ბავშვივით სუსტ დავრდომილად გადაიქცა, მაშინ ხოლისთვის ხომ სასიამოვნო იყო, რომ არის კიდევ ვიღაც ოჯახში, რომელსაც ესმის საქმეები, მან სიამოვნებით დაადო ამ საქმეების მთელი სიმძიმე ედუარდს მხრებზე, ხოლო თვითონ კი უნივერსიტეტში წავიდა და რალაც სიმღერებით თავს ირთობდა. ხოლს არავითარი მოვალეობა არ აწუხებდა, მისგან მოითხოვდნ მხოლოდ, რომ ჯოხი არ ჩაედოს იმ მექანიზმის ბორბლებში, რომელსაც მისი ძმა ამუშავებდა.

— შენ ნახშირის მრეწველობით სცხოვრობ; ყოველი დოლარი, რომელსაც შენ ხარჯავ, მოდის იქედან...

— მე ვიცი ეს, ვიცი!—წამოიძახა ხოლმა—სწორედ ეგ მაწუხებს მეც; ის შეგნება რომ მე ამ დაქირავებული მონების შემწეობით ვცხოვრობ...

— არა, მე სხვა რამე მაქვს მხედველობაში!

— ჰო, მაგრამ მე კი სწორედ ესა მაქვს მხედველობაში! აი ამიტომ მინდა ვიცოდე, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ეს ხალხი, რომელიც ჩემთვის მუშაობს, მინდა ვიცოდე, როგორ ექცევიან მათ. მე პატარა ბალლი აღარა ვარ. რომ ფრაზებით...

— შენ ხომ იცი, ხოლ, რომ ჩვენს მალაროებზე შეკავშირებული მუშები მუშაობენ.

— კი, მაგრამ რა ჰყრია მერე ამაში? როგორ ვაწარმოებთ საქმეს? ვაძლევთ მუშებს სწორ წონას?

— რა თქმა უნდა, მათ თავისი სასწორის კონტროლი უნდა ჰქონდეთ.

— მაშ, თუ ასეა, როგორ ვახერხებთ სხვა ფირმებისათვის კონკურენციის გაწევას?

— ეკონომიის საშუალებით.

— ეკონომიის? მე ვერ ვხედავ, რომ პიტერ ხარიგანი ფულებს აბნევდეს ხოლი ელოდა პასუხს, მაგრამ პასუხი არ იყო, მან განაგრძო:

— ალბად ჩვენ შესყიდული გვყავს სასწორის კონტროლიორი, ვიქრთამავთ მუშათა მეთაურებს!

ედუარდი ოღნავ გაწითლდა.

— რა საძაგლობაა ეს შენის მხრით, ხოლ! შენ მშვენივრად იცი, რომ მე ბინძურ საქმეებს ხელს არა ვკიდებ.

— მე სრულებითაც არა მსურს საძაგელი ვიყო, ედუარდ. მაგრამ შენც ძალიან კარგად იცი, რომ ბევრი საქმის კაცები ამბობენ, ვითომც ბინძურ საქმეს ხელს არა ჰკიდებენ, — ვინაიდან ამას სხვები აკეთებენ მათ მაგიერ. ავილოთ მაგალითად, პოლიტიკა. გვაქვს ჩვენც ჩვენი პოლიტიკური შექანიზმი? ჩვენაც ჩვენი მოხელეებით და ზედამხედველებით ვავსებთ ადგილობრივ საზოგადოებრივ თანამდებობებს?

ედუარდი სდუმდა,

— მე მინდა ვიცოდე ეს! მე არა მსურს დაბრმავებული ვიყო კიდევ!

— კეთილი, ხოლ; შენ გაიგებ ყოველივე ამას, მაგრამ ეხლა კი არა, თუ ღმერთი გწამს. თუ გინდა, რომ შენ ისე გიცქერდენ, როგორც სურღლოვან კაცს. — შესაფერისადაც დაიჭირე თავი. ხვალ საღამოს მოხუცი პიტერი უესტერნსიტიში იქნება. შენც კარგად იცი, ის მაშინავე გაგიყვებულე ხარივით გამოქანდება აქ ჩემთან, და თუ ვუთხარი, რომ მე ვერაფერი მოგიხერხე, თუმცა ბევრი გეხვეწე აქედან წასვლას, — ის მაშინ მამას მიმართავს.

ეს უკანასკნელი არგუმენტი იყო, რომლის იმედი კიდევ დარჩენოდა ედუარდს მას შემდეგ, რაც მან გამოსცადა ყველა საშუალებანი, ხოლზე გავლენის მოსახდენად.

— შენ არ უნდა დაუშვა ის მამასთან — შეჰყვირა ხოლმა.

— ამას ამბობ შენ, შენ, რომელიც მშვენივრად იცნობ მოხუც პიტერს! განა შენ არ იცი, რომ ის შესძლებს მამამდე მიღწევას თუნდაც ამისათვის მას სახლის კარების შემტვრევა დასჭირდეს? ის ეცემა ყელში საბრალო მოხუც მთელი თავის გაცოდებით. ხომ არა ერთხელ გაგაფრთხილა შენ ექიმმა, რომ ყოველი აღელვება მისთვის შეიძლება სიკვდილით გათავდეს. მე რა ვიცი როგორ შეხვდება ის ხარიგანის სიტყვებს. შეიძლება გაანჩხლდეს შეიძლება კიდევაც გამოგვეჭომაგოს. ის მოხუცია და სუსტი, თავის ჭკუაზედაც ვერ არის როგორც რიგია. ყოველ შემთხვევაში ის შენი გინების ნებას არ მისცემს მოხუც პიტერს და შეიძლება კამათის დროს გაუსკდეს გული და მოკვდეს. გინდა რომ შენი მეგობარი მუშების შესახებ ზრუნვის გარდა ესეც აიღო შენს სინდისზე?



კრიტიკა მხატვრობა
და
კუბლიცისტიკა



ფორმალური და ხელოვნების კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები. *)

I.

შემოქმედებითი გზების ყოველი შემობრუნება, ყოველი საგრძნობი სიახლე ლიტერატურის პრაქტიკაში, თავისთავად გულისხმობს განსხვავებულ ლიტერატურულ გაგებას, რაც განსაკუთრებულ კმედით ფორმულაში ყალიბდება. ეს არის ის, რასაც ლიტერატურულ credo-ს ან—*Parte politique*-ს უწოდებენ.

და მართლაც: თუ ლიტერატურის პრაქტიკა და მისი თეორია ერთიერთსადმი ფუნქციონალურ დამოკიდებაში იმყოფებიან, ცხადია, პირველის დინამიური მდგომარეობა, მისი ცვალებადობათა და გარდატეხათა პერიოდი, უკანასკნელისთვისაც ანალოგიურ მდგომარეობას გულისხმობს. აქედან სრულიად არ შეიძლება დავასკვნათ, თითქოს არსებობდეს იმდენივე პოეტიკა, რამდენიც შკოლა.

ხშირად ლიტერატურული შკოლა პერსონალური შედგენილობის კატეგორიაა. ხშირად ერთსა და იმავე პოეტიკაზე აღმოცენდებიან ლიტერატურული შკოლების მთელი ათეულები, როგორც, ასე ვსთქვათ, დიალექტური, ან ვარიანტული ბრუნვა ერთ და იმავე ლიტერატურული თვალსაზრისის. მაგრამ ლიტერატურის ისტორიისათვის ეპოქას მხოლოდ ისეთი მიმართულებები ქმნიან, რომელთაც თავისებური ლიტერატურული ორიენტაცია გააჩნიათ. ამის გარეშე არ არსებობენ ლიტერატურული რევოლუციები და ახალ მდინარებათა წარმოშობა. ამ დებულების საილლიუსტრაციო, ფაქტებით სავსეა უკანასკნელი წლების ლიტერატურის ისტორია.

მაგალითად: გერმანული ექსპრესიონიზმი, რომლის ხელოვნურმა რეზონანსმა იერიქონის საყვირს გადააქარბა და ერთის შეხედვით მძლავრ ლიტერატურულ მიმართებად გვეჩვენებოდა, ვერ გასცდა რეინის მეორე ნაპირს და თვითონ გერმანეთშიც იგი ყოველდღიურათ დავიწყებას უახლოვდება. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მიმართულების წარმოშობას, მისი ღრმა სოციალური მიზეზების გარეშე არ გააჩნდა განსაზღვრული ლიტერატურული თვალსაზრისი. ასეთივე ბედი ეწია ფრანგულ უნანიმოზმს, რომლის დეკლარატიულმა პათოსმა

*) ჩველა წერილი ფორმალისმის შესახებ, რომელიც კი ჩვენს ჟღენტოში დაიბეჭდება სადისკუსიო არის.

გაუძლო რამოდენიმე წელიწადს, მაგრამ, სწორედ იმავე მიზეზით, იგი ეხლა დაშლილია და ლიტერატურულ მათლიანობას არ წარმოადგენს.

ასევე ბოლოვდება შკოლათა რიცხვობრივი ჰეპატოზი რუსეთის უახლოეს პოეზიაში. და დასასრულ ყველაზე მეტად კულტურული ლიტერატურული პრობლემა: — პროლეტარული პოეზია: მთელი გაუგებრობა, ამ მიმართულების გარშემო, მთელი მასი გაურკვეველი მცნება, შედეგია სწორედ იმისა, რომ იგი კმაყოფილდება რა პოლიტიკურ და სოციალურ იდეოლოგიით, მოკლებულია საკუთარ მხატვრულ credo-ს. ამიტომ არის, რომ დღემდე არავინ იცნ, თუ რა არის პროლეტარული პოეზია და ეს არ იციან პირველ ყოვლისა პროლეტარულ პოეზიის თეორეტიკოსებში. ლიტერატურის ისტორიკოსი თანამედროვე პროლეტარულ პოეზიისაგან მიიღებს მხოლოდ მორეალისტო, მონატურალისტო, მოსიმბოლისტო, მოფუტურისტო პოეტებს. ისინი მოექცევიან ხსენებულ მიმართებათა ეპიგონების რკალში, რაც ერთი წუთითაც არ დაამცირებს მათ პოლიტიკურ და სოციალურ რევოლიუციონურ ღირსებას.

ეს არის პროლეტარული პოეზიის მომავალი და ამის წინად გაგებისათვის საჭირო არ არის წინასწარმეტყველება. ამისთვის ოდნავი ლიტერატურული პროგნოზიც საკმარისია. ასეთია ლიტერატურულ ორიენტაციის და პოლიტიკის მნიშვნელობა.

ქართული პოეზიის ახალი გზებით წარმართვა ეხლა ყველასათვის საგრძნობი ფაქტია და ამისი უარყოფა გარდა ფაქტიური შეცდომისა, ქართული კულტურის სასიცოცხლო პერსპექტივებისა და შიმდინარე რევოლიუციის კულტურული რეზონანსის უარყოფა იქნებოდა. თანამედროვე ქართული ლიტერატურა თავისი უახლოესი თაობის — მემარცხენე ფრონტის სახით უსწორდება დასავლეთისა და რუსეთის მარცხენა შემოქმედების ხაზს, რასაკვირველია ეროვნულ შემოქმედების ორგანიულ თავისებურებაში დარჩენით.

აღმოცენდა სრულიად ახალი და განსხვავებული ქართული ლექსი, პოემა, რომანი — საერთოთ ახალი ლიტერატურული პროექტია. და ეს არა ჩვეულებრივი ევოლიუციონური, სწორხანებრივი განვითარების საფეხურია, არამედ პირველი გარდატეხა და ნახტომები რაც სპეციფიკაა მთელი ჩვენი დროის კულტურული და სოციალური ცხოვრებას.

ასეთ პირობებში, ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში ახალი იდეების დაყენება სრულიად ბუნებრივა და გასაგები.

ახალი პოეზიის პარალელურად ვითარდება ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის ახალი გზები. ამ რიგათ ფორმალიზმის, როგორც ლიტერატურის თეორეტიულ შკოლის შემოჭრა ჩვენს ქვეყანაში სრულიად არ არის უბრალო გატაცება უცხოეთის „მოდური პრობლემებით“, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ; ის აუცილებელი ლოგიური შედეგია იმ ახალი ლიტერატურული მოძრაობისა, რომელიც დღითი დღე ძლიერდება და რომლის ერთ-ერთი ორიენტატორი ჩვენც ვართ.

ფორმალიზმი — პირველ ყოვლისა არის პოეტიკა მემარცხენე ლიტერატურის. ეს არის თეორეტიული განმტკიცება ახალ პოეზიაში დაყენებულ ქმედითი

მიღწევების. ამით აიხსნება, რომ ამ თეორიის სიმძლავრე, მისი ავტორიტეტი რუსეთში ფუტურისტულ პოეზიის პარალელურათ იზრდება და დრამატიკა; ამით აიხსნება, რომ ფორმალისტიკის თეორეტიული შეკობის სტრუქტურათ უკავშირდება მემარცხენე პოეტების შეკობას.

ლიტერატურის თეორიაში ფორმალისტიკის პრინციპების განმტკიცებამ შესცვალა ლიტერატურის ისტორიის მიმართებაც. ლიტერატურის ბუნების ამ ახალი თვალსაზრისით გაგებამ ლიტერატურის კვლევაც ახალი მეთოდოლოგიით წარმართა. ფორმალისტიკის პრინციპების ლიტერატურის გენეზისისათვის მიმარჯვება აყალიბებს ახალ მეთოდოლოგიას ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს არის ფორმალური, ან, როგორც ახალგაზრდა მეცნიერი—ეიხენბაუმი უწოდებს—მორფოლოგიური მეთოდი. აქ, ფორმალურ პოეტიკის პრინციპიალური მხარე გამოყენებულია ისტორიულ კვლევის მეთოდით. ამით ლიტერატურის ისტორიას მიეცა საკუთარი იმონენტური მეთოდი, შემოიფარგლა ამ მეცნიერების საგანი და ასე. ამრიგათ მორფოლოგიური, იმონენტური მეთოდოლოგიის წამოყენებით ლიტერატურის ისტორია დამოუკიდებელ მეცნიერებათ იქცა. ამ შეკობის მეცნიერული ნაყოფიერება და შედეგები საგრძნობია იმ ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომების სახით, რომლებიც გაერთიანებული არიან ე. წ. „პოეტურ ენის შემსწავლელ საზოგადოება“-ში (Общество изучения поэтического языка „ОПЯЗ“).

საქართველოში ფორმალისტიკის განსაკუთრებული ბედი იმაში მდგომარეობს, რომ აქ თვით პოეტები (მემარცხენე ფრონტიდან) გახდნენ ამ თეორეტიულ შეკობის პირველ აბოლოგეტებად. ჩვენში ლიტერატურულ აზროვნების დაბალი დონე და ქართული კრიტიკის კუსტარული მდგომარეობა, ცხადია ვერ გაუსწორდებოდა ახალი პოეზიის მიღწევებს. თეორეტიულ ანალიზის მაგიერ ქართული კრიტიკა და ჟურნალისტიკა უშვერი ლანძღვა-გინებით გამოეხმაურა მემარცხენე შემოქმედებას.

მაგალითად მოქ. ვალია ბახტაძე ჟურნალ „მნათობის“ № 11—12 (19—20)-ში თავის წერილში „ცხოვრება და ხელოვნება“, რომელშიც მოცემულია თანამედროვე ქართული მეტად თავისებური და საინტერესო გადაფასება, ფორმალისტიკის შესახებ შემდეგს სწერს:

„დემნა შენგელაიაზე საუკეთესოდ, მშვენივრად მტკიცდება მთელი უსუსურობა და უნიადაგობა ფორმალისტებისა, (კურსივი ჩვენია. ბ. ე.) რომლებიც მხოლოდ ფორმით, სიტყვით ფიქრობენ სიტყვიერ ხელოვნების შენებას.“

როგორც სჩანს, აქ საკითხი გადაჭრილია ნათლად და გარკვევით. ფორმალისტიკა გამოცხადებულია უსუსური და უნიადაგო მოვლენათ და ამ უსუსურობის და უნიადაგობის საილუსტრაციოთ საუკეთესო ნიმუშად წარმოდგენილია ჩვენი ლიტერატურული თანამებრძოლი, უკეთესი ქართველი რომანისტი დემნა შენგელაია, რომლის ლიტერატურული ღირსებას თვითონ ბახტაძეც აღიარებს.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე ლიტერატორის შურა დუდუჩავას აზრი.

იმევე ჟურნალის—„მნათობი“-ს მე 10 (11) ნომერში მან მოათავსა წერილი „ფორმალისტიკის ხელოვნება“-ში, რომელშიც სხვათა შორის შემდეგია ნათქვამი:

„ფორმალიზმი—ფორმის პროგრესს სავსებით აბარებს შინაარსის პროგრესს რის გამოც ფაქტიურად შეუძლებლად ხდის ლიტერატურის ისტორიას. ისტორიის უარყოფა ნიშნავს ხელოვნების განვითარების შეუძლებლობას, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ უდრის ხელოვნების შეუძლებლობას. ასეთია დასკვნა, რომელზედაც მიდის ფორმალიზმი“.

როგორც ხედავთ ფორმალისტიკის ვირტუალური გამოყენებით აქ აშენებულია მეტად ორიგინალური რთული სილლოგიზმი. დასკვნა მეტად თავისებურია და მოულოდნელი. თითქოს ფორმალიზმი ლიტერატურის თვითმკვლევლობის აპოლოგია იყოს. მაგრამ ამ დასკვნის მთელი უმართებულობა ხომ იმ ფაქტიური მდგომარეობითაც მტკიცდება, რომ სწორეთ ამ ფორმალური პროექტის ორიენტატორი პროექტები (ხლებნიკოვი, მაიაკოვსკი, პასტერნაკი, ასევეი და სხ. და სხ.) ქმნიან რუსეთში ახალ ლიტერატურულ სიკოცხლეს, ხოლო თვითონ მორფოლოგიურ ხელოვნებათ კვლევის თეორეტიკოსები და ისტორიკოსები (შკლოვსკი, არვატოვი, ეიხენბაუმი, იაკობსონი, იაკუბინსკი, ჟირმენსკი და სხ. და სხ.) ქმნიან ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის განსაზღვრულ მეცნიერულ დისციპლინას. ეს ხომ ისეთი ფაქტია, რომელიც სავსებით ობიექტიურად, ყოველგვარ სიმპატია—ანტიპატიის გარეშე უნდა დავიჯეროთ. მაშ, საიდან არის ეს თვითმკვლევლობა ლიტერატურის, და როგორ მიდის ამ დასკვნამდე ფორმალიზმი დუდუჩავას სილლოგისტიკით?! საიდუმლოება აქ ადვილი გასახსნელია; შემცდარი დასკვნა, შედეგია იმის, რომ არც ერთი წინამძღვარი ფაქტიური ჭეშმარიტებას საგნობრივად არ შეიცავს. როგორც ქვევით, ამ შრომის პოზიტიურ ნაწილში დავამტკიცებთ, არ არის მართალი, თითქოს ფორმალიზმი ფორმის პროგრესს აბარებდეს შინაარსის პროგრესს; არ არის მართალი, თითქოს ფორმალიზმი შეუძლოთ ხდიდეს ლიტერატურის ისტორიას. როგორც ვსთქვით: პირიქით, ლიტერატურის ისტორია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება სწორეთ მორფოლოგიური შკოლიდან იწყება და ამას ქვემოთ რომანადოთ დავასაბუთებთ) ფორმალიზმს, როგორც ლიტერატურის თეორიის ევოლუციის ისტორიის მეთოდ-, არ შეუძლია ხელოვნების განვითარება შეაჩეროს გას შეუძლოთ გახადოს; როგორც სჩანს დასკვნა მიღებულია ამდენ გაუგებრობით სავსე მოსაზრებებისაგან.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვალია ბახტაძის შეხედულებაც ფორმალიზმზე, აშენებულია სწორეთ ამ თეორიისა და მისი შემადგენელი პრობლემების არა სისწორით გაგებაზე. მაგალითად მისი მოსაზრებანი სიტყვის პრობლემაზე, ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზე და სხ. ნათელს ყოფენ, რომ აქ ფორმალიზმის მეტად თავისებური გაგებაა, არა ისეთი, როგორც თვით ფორმალისტებს ესმისთ თავისი თეორია და კერძოთ ეს პრობლემები... როგორც ქვევითაც დავინახავთ, მოქ. ბახტაძე ფორმალიზმს თავზე ახვევს ზოგიერთ ისეთ მოსაზრებებს, როგორც არც ერთ თეორეტიკოსს ამ შკოლისა არ უფიქრია და რომლებსაც საერთოთ ფორმალიზმთან საერთო არაფერი აქვთ.

ამ რიგათ ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით ოპოზიცია და გაუგებრობა ერთმანეთშია არეული.

თვითონ ფორმალისტიკაში თანამედროვე ლიტერატურისათვის გენერალური მნიშვნელობის პრობლემაა და მისი სათანადო გარკვევა არის ინტერესი არა რომელიმე ლიტერატურული შკოლის არამედ, საერთოდ ლიტერატურული დღევანდელობის. თუ რა დიდი ინტერესის შემცველია ეს საკითხი თავისთავად, ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსეთში ამ პრობლემის გარშემო გაცხოველებულ დისკუსიაში ჩაება არა მარტო ყველა ის, ვისაც უშუალო კავშირი აქვს ლიტერატურისა და მის თეორიასთან, არა მარტო ყველა კრიტიკული და ლიტერატურული შკოლები და პერსონები, არამედ ისეთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებიც, როგორც არიან ბუხარინი, ტროცკი და სხ. და სხ.

ჩვენ ვფიქრობთ წარმოვადგინოთ ფორმალისტიკის ნამდვილი და სწორი გაგება; და გავარკვიოთ ამ შკოლის ნამდვილი თეორეტიული ბუნება. როგორც ზემოთაც ავღნიშნე, აქ უნდა გაიჩნეს ფორმალისტიკაში, როგორც თეორეტიული პოეტიკის შკოლა და როგორც მეთოდოლოგიური შკოლა ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, უკანასკნელი მჭიდროთ უკავშირდება პირველს და ერთიანდება მასთან პრინციპიალურ მთლიანობაში, მაგრამ ამ ორი მომენტის ერთმანეთში არევა მაინც შეუძლებელია, მით უმეტეს სადისკუსიო მდგომარეობაში. ეს იქნება ჩვენი შრომის, ასე ვსთქვათ პოზიტიური ნაწილი.

ამ რიგით გარკვეულ პოზიციიდან ჩვენ უკვე საშუალება გვქონება მიღებულ დასკვნების მიხედვით გზა და გზა პოლემიკა ვაწარმოოთ ფორმალურ შკოლის ოპოზიციონერებთან—ეს იქნება ამ წერილის კრიტიკული ნაწილი.

ამ რიგით შესაძლებელი იქნება ერთსა და იმავე დროს ფორმალისტიკის თეორეტიული ახსნა და დასაბუთება და მისი დაცვაც. მაგრამ ვიდრე ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია კიდევ ერთი სერიოზული და მნიშვნელოვანი გაუგებრობის ლიკვიდაცია.

როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ფორმალური შკოლის ყველა საყურადღებო და უფრო მძლავრი მოწინააღმდეგენი — არიან მარქსისტები. ამით იქმნება ფაქტიური მდგომარეობა — ბრძოლა ფორმალისტებს და მარქსისტებს შორის. აქედან იქმნება ერთის შეხედვით მოსაჩვენარი ილლიუზია, თათქოს ფორმალისტიკაში თავისი თეორეტიული ბუნებით წარმოადგენდეს მარქსიზმის მოწინააღმდეგე შკოლას.

ასეთ შეხედულებას მით უფრო ეძლევა საფუძველი, რომ მის ძლიერ ავტორიტეტს გამოდის ისეთი პიროვნება, როგორც არის ტროცკი. — ტროცკი თავის წერილში: „Формальная школа поэзии и Марксизм“, ანვითარებს იმ აზრს, რომ ერთად ერთი თეორია, რომელიც საბჭოთა ნიადაგზე უპირდაპირდება მარქსიზმს, არის ხელოვნების ფორმალური შკოლა.

ფორმალისტიკის თეორეტიული ბუნების გარკვევა ქვემოთ, თავისთავად გამოარკვევს, რომ იგი მარქსიზმს არც ერთ წერტილში არ უპირდაპირდება. მაგრამ აქ საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ფორმალისტიკისა და მარქსიზმის დაპირისპირება შეუძლებელია ფორმალურადაც. როგორც უკვე ვიცით, ფორმალისტიკაში არის შკოლა ლიტერატურის თეორიაში (პოეტიკა) და მეთოდი ლიტერატურის ისტორიაში (გორფოლოგია), ამავე დროს მარქსისტული პოეტიკა,

ან მარქსისტული მეთოდოლოგია ხელოვნების კვლევისა — არ არსებობს. დღემდე არ არის გარკვეული და ჩამოყალიბებული მარქსისტული კვლევების მეთოდოლოგია. ამას გრძნობდა იგივე პლენხანოვი და არა ერთხელ აღუწერია მისი მოლოდინები ფრიჩეს. (მის მიერ დაწერილ წინასიტყვაობებში პლენხანოვის წერილებისათვის ხელოვნებაზე).

რომ ერთიანი მარქსისტული თვალსაზრისი ხელოვნებისა და კერძოთ ლიტერატურის მთავარ პრობლემებში დღემდე არ არსებობს, ამას ამტკიცებს რუსეთში თვითონ მარქსისტებს შორის წარმოებული ცხოველი პოლემიკა ხელოვნების საკითხებზე.

ამავე მდგომარეობის საუცხოვო ილლიუსტრაციას წარმოადგენს ახლოხან რუსეთში გამოცემული ორი დიდი ტომი მარქსისტული ქრესტომატიისა სათაურით: „Искусство в марксистском освещении“.

ამ ქრესტომატიებში თავმოყრილია თითქმის ყველა ავტორიტეტულ მარქსისტ-ლიტერატორების წერილები ლიტერატურის მთავარ პრობლემებზე და ნათლად გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაოდენი ურთიერთ წინააღმდეგობაა ამ მარქსისტ ავტორებს შორის თითქმის ყველა მნიშვნელოვან პრობლემების გარშემო. ეს ქრესტომატიები ცხადყოფი ილლიუსტრაციაა ნ. ჩუჟაკის (მარქსისტი) შემდეგი მოსაზრების:

„К какому бы вопросу в области марксистской эстетики мы бы ни подошли, везде и всюду, — если не считать труд несообразным, написанных вульгаризаторами марксизма, вы натываетесь на полное *tabula rasa*. „приходи, и начинай сначала“ *).

მეორე მარქსისტი ლიტერატორი მეტად სერიოზული მცოდნე მარქსიზმისა და თანამედროვე ხელოვნებისა ბიქტორ არვატოვი ამავე საკითხის შესახებ, ისეთივე გარკვეულობით და გადაჭრილობით, როგორც ჩუჟაკი — შემდეგს სწერს:

„Марксизм не имеет еще своей признанной методологии в искусствоведении и я решительным образом расхожусь с тов. Коганом, Фриче и Лебедевым-Полянским** в самом понимании вопросов искусства, в частности литературы“ ***) (კურსივი ჩვენია ბ. უ.).

მ. ფრიჩე, რომელიც თავის თავს მარქსისტულ კრიტიკის წარმომადგენლად და აგრეთვე პლენხანოვის უახლოეს მოწაფეთ სთვლის, თურმე ოდნავათაც ვერ ერკვევა მარქსიზმის ძირითად პრობლემებში, რის გამოც იგივე პლენხანოვი სწერდა:

„Нашим замороженным Фриче и Рожковым надо пожелать прежде всего и больше всего изучения современного материализма. Только марксизм может спасти их от схематизма ****).

*1) Н. Чужак „К диалектике искусства“. გვ. 3.

**1) სამივე ცნობილი მარქსისტ-ლიტერატორები არიან

**2) იხ. გაზეთი „Новости“ № 5.

**3*) Г. Плеханов. „Основные вопросы марксизма“.

ამ რიგით საკრით დასაბუთებულათ უნდა ჩაითვალოს ჩვენა დებულება, რომ დღეს-დღეობით მარქსისტული შკოლა ლიტერატურის თეორიაში, ან პოეტიკაში, არ არსებობს. ამიტომ იგი, არც შეიძლება დასაბუთებულად ფორმალურ შკოლასა. მით უმეტეს არ არსებობს მარქსისტული მეთოდოლოგია ხელოვნების კვლევისა და აქაც მარქსიზმისა და ფორმალიზმის დაპირისპირება შეუძლებელია. მეთოდოლოგიის მხრივ ფორმალისტებს უპირდაპირდება და ებრძვის შკოლა სოციოლოგიტების. ამ ბრძოლის თეორეტიულ ძირს ჩვენ ქვემოთ შევხებით, სადაც სპეციალურათ მეთოდოლოგიის პრობლემას შევხებით.

აქ კი, ფორმალიზმის თეორეტიულ დასაბუთებაზე გადასვლის წინ ჩვენ გვსურდა ხაზგასმით აღგვენიშნა, რომ მარქსიზმისა და ფორმალიზმის დაპირისპირებას არ გააჩნია არავითარი საუბრეველი და ფორმალიზმთან მიდგომა და მის გარშემო წარმოებულ დისკუსიას ახეთი განსაზღვრისაგან განთავისუფლებული უნდა იქნას.

ფორმალური პოეტიკა

II

მე-19 საუკუნის პოეზია თავისი მრავალგვარობითი კლასიფიკაციის მიუხედავად ერთ თეორეტიულ ფორმულაზე ერთიანდება. ეს არის პოეტების პოეტიკა, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე განმტკიცებულ კლასიციზმის პოეტიკის შენაცვლებით, გამოდის, როგორც თეორეტიული ფუძე გასული საუკუნის მთელი ლიტერატურისათვის.

პოეტების პოეტიკა აგებულია მისი სიტყვის სამწევროვანი სქემის პარალელურათ. მისი კონკრეტი აღნაგობა ასეთია: როგორც სიტყვაში არის სამი ელემენტი: ბგერით გაობიექტიურებული აზრი; წევრდამყოფი ბგერა—გარეგანი ფორმა და შინაგანი ფორმა—სინტეტური მომენტი, ასევე პოეზიაში არის იდეა;—სიტყვა—როგორც გარეგანი ფორმა, ხოლო შინაგანი ფორმა—გარეგანი ფორმასა და იდეის დამაკავშირებელი სინტეტური ელემენტი—არის სახე.*) ამ რიგით სახე—ეს არის პოეზიის მთავარი სპეციფიკა, და ამავე დროს მისი განმაპირობებელი ელემენტიც. სადაც არის სახე—იქ არის პოეზიაც. იდეა და მისი სიტყვიერი გამოხატულება—ეს ხომ ყოველგვარი ლიტერატურული ფაქტის ბუნებაა—მაგალითად მეცნიერული ლიტერატურის. ერთად ერთი სპეციფიკური თავისებურობა, (ამ გაგებით) რომელიც განასხვავებს პოეზიას ლიტერატურის ფართო არეიდან—არის სახე.

ეს თეორია მარტივათ ეგუება ხელოვნების იმ გაგებას, რომელიც მეტად გავრცელებულია დღემდეც და რომელიც შემდეგ ფორმულაში ყალიბდება: „ხელოვნება არის კვამარიტების უშუალო კვრეტა და სახეებით აზროვნება“.

ასეთი გაგება აერთიანებს მთელ რეალისტურ პოეზიას. რეალიზმი ამ

*) იხ. Потебня—„Мысль и язык“—თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი, მისი პოეტიკის—სიტყვის საერთო თეორიასთან დაკავშირებით—გაცნობისათვის იხ. Из лекции по теории словесности. Басни, Пословицы, поговорки:

შენთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც არა კონკრეტული ლიტერატურული შკოლა. რეალიზმში ვგულისხმობთ მთელ „ამსახველობითი“ პოეზიას, აქ შედის ემოციონალური რეალიზმი — ან რომანტიზმი; ყოფითი რეალიზმი ან ნატურალიზმი; შეგრძნებათა რეალიზმი — ან იმპრესიონიზმი და სხ. ამავე გაგებაზე ეყარებიან ესტეტიურ — მოდერნისტული შკოლები; მათ შორის ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი*) და სხ.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ დასახელებულ შკოლათა შორის არ იყოს სხვაობა. ჩვენი წერილის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, რომ ერთსა და იმავე პოეტიკაზე შესაძლებელია სხვადასხვა ლიტერატურულ შკოლების აღმოცენება. დასახელებულ შკოლათა შორის არის სხვა და სხვაობა: მაგალითად ერთი მათგანი პირდაპირი ხედვით ასახავს მოვლენას სხვა განცდათა ან შთაბეჭდილებათა მეშვეობით და სხ. მაგრამ მთელი ეს ლიტერატურული ეპოქა გამოდის ზემოდ აღნიშნულ ძირითად თეორეტიულ თვალსაზრისიდან. ან თვალსაზრისით დაკარგულია ხელოვნების ფუნქციონალური, დანიშნულებრივი დამოუკიდებლობა. რით განსხვავდება ხელოვნება ჩვენი შემეცნების სხვა სფეროებიდან, მაგალითად მეცნიერებიდან? ჭეშმარიტების ხილვა და აზროვნება ხომ პირდაპირი ბუნებაა ყოველი მეცნიერების. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ თუ მეცნიერება აზროვნებს ცნებებით, ხელოვნებაში აზროვნება სახეებით ხდება. დანიშნულებრივი განსხვავება არ არსებობს. ხელოვნების თავისებურება მხოლოდ იმაშია, რომ იგი იყენებს სახეს, როგორც ხერხს აზროვნების გაადვილებისა და გამარტივებისათვის.

აღნიშნული თეორიის კრიტიკას იძლევა თვითონ პოეზიის პრაქტიკა.

ყოველგვარი ლიტერატურული თეორია, თვით ნორმატიულ პოეტიკაშიც კი უნდა გამომდინარეობდეს პოეზიის ფაქტიურ პრაქტიკიდან.

როდესაც პოეზიის პრაქტიკის თვალსაზრისით გავსინჯავთ ძველი პოეტიკის დასკვნებს, აღმოჩნდება, რომ მისი ძირეული პრინციპი არ არის სწორი:

სახე არ არის პოეზიის ლოგიური და განმაპირობებელი ელემენტი. იგი პოეზიაში იხმარება, როგორც ერთ-ერთი სტილისტიური ხერხი და არავითარ ფუნქციონალურ პრიმატს არ ატარებს. ლექსები იწერებიან ისე, რომ მათში არწიარის არც ერთი სახე, მაგრამ მათი პოეტურობის უარყოფა არ შეიძლება. მაგალითად ჩვენს პოეზიაში: რუსთველი ნაკლებად სირგებლობს სახეებით და საერთოდ კლასიკური ეპოსისათვის სახე მეორე ხარისხოვანი სტილისტიურია ხერხია — აღლევგორიებისა, ეპიტეტებისა და სხვათა გვერდით. თუნდ ბესიკის პოეზიაც განტვირთულია სახეებისაგან (რასაკვირველია არა აბსოლუტურათ). შეიძლება აუარებელი მაგალითების მოყვანა პოეზიიდან, სადაც ლექსი არ შეიცავს სახეს და მაინც ის არის პოეზია.

სივერსის „სმენითი ფილოლოგიის“ შკოლამ, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ევროპასა და ამერიკის ლიტერატურათმეტყველებაში,

*) სიმბოლისტების პოეტიკის პოტენიიდან გამომდინარეობის ცხადყოფისათვის იხ.: Андрей Белый „Символизм“, „Жизнь Арона“ და სხ. აგრეთვე ვიანესლავ ივანოვის და ვალერი ბრაუსოვის ნაშრომები პოეტიკის საკითხებზე.

პოეზიის შთავარ შედეგათ სმენითი შეგრძნება გამოაცხადა. ამ შკოლის წარ-
მომადგენლები—რაინჰარდი, ჟრანს სარონი (ფრანგული და გერმანული ლექს-
ის ცნობილი შემსწავლელი) და სხ. გადაჭრით ამტკიცებენ, რომ პოეზიის
ამთვისებელი აპარატი ყურია და არა თვალი. მათის აზრით ლექსის დაწერილი
ტექსტი ეს იგივეა, რაც ნოტი მუსიკაში, რომელიც მხოლოდ გახშიანების შემ-
დეგ ლებულობს სიცოცხლეს. შეიძლება აქ გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ პოე-
ზიის მუსიკალური ბგერების უარყოფა შეუძლებელია. ჯერ კიდევ შილლერი
იტყოდა: „ლექსი იზადება და მწიფდება ჩემში, როგორც მუსიკა“.

გავიხსენოთ ე. წ. „ტაქტილიზმი“-ც. ეს უკანასკნელ წლების აღმოჩენა,
რომელიც პოეზიისაგან შეხებით შეგრძნებებს გულისხმობს.

ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ პოეზია არ ემყარება მარტო სახეს (ხედვი-
თი კატეგორია) და ის არ არის პოეზიის განმაპირობებელი, ლოგიური სპე-
ციფიკა.

ამით ირღვევა ძველი პოეტიკა, რომელსაც პოეზიის ერთათ ერთ თავისე-
ბურებათ სახე მიაჩნდა. ამით ირღვევა პოეტების ავტორიტეტული სქემაც. სახე
არ გამოდგება პოეზიის განსაკუთრებულობის, შემეცნების სხვა დარგებიდან
გამომყოფ ნიშნად. ამავე დროს არაეისთვის არის სადაო, რომ პოეზია (და სა-
ერთოთ ხელოვნება) სულიერი კულტურის საესებით სპეციფიური და თავისე-
ბური არეა, რომ ის განსხვავდება მაგალითად მეცნიერებისაგან, პუბლიცისტი-
კისაგან და სხ. და რაში მდგომარეობს ეს თავისებურება? ძველი პოეტიკა ამახე
უკვე ველარ უბასუხებს. მისი ერთად ერთი პასუხი უკვე დარღვეულია. და აქ
ჩინიდან არის ახალი გამოსავალი. ეს არის ახალი პოეტიკა — ე. წ. ფორმალური
შკოლის, რომელიც ხელოვნების სრულიად ახალ გაგებას აყენებს:

ხელოვნება არ არის აზროვნება, ის არ არის ჭეშმარიტების ძიება და
შემეცნების საშუალება. შემეცნება ისწრაფვის მოვლენების ხილვიდან—მისი
შეცნობისა და აზრული დაპრობისაკენ. ამ რიგათ შემეცნების და აზროვნების
გზა—არის შეგრძნებათა გამარტივება და ავტომატიზაცია. ხელოვნება—პირ-
იქით—შეგრძნებათა გართულებისა და ახალი აღთქმის მიმცემი პროცესია.

ხელოვნება ახალ ცხოველ შეგრძნებათა რეზერვუარია. მან უნდა მოგვცეს
ჩვენთვის უცხო და უჩვეულო განცდა: იგი უნდა იძლეოდეს ჯერ არ ყოფილ
შთაბეჭდილებებს. ამით ხელოვნება უბასუხებს ადამიანის ინსტიტუტურ სწრაფ-
ეას, რადგან ცხოვრება აღთქმათა და შთაბეჭდილებათა კომპლექსია.

ყოველგვარი ხელოვნება, მაღალია და ფასეული იმდენათ, რამდენათაც იგი
უფრო ცხოველ და ახალ შეგრძნებებს იძლევა. ასე უნდა გავიგოთ გიოტეს
ცნობილი თქმა: ხელოვნებაში ფასეული მხოლოდ შეუცნობელი მომენტებია,
რომლებიც ძნელად ექვემდებარებიან აზრს და ძნელად შესაცნობი არიან.

ამიტომ გზა ხელოვნების არის გაუცხოება და გასაოცრება (остранение)
ასეთია თავისებური ბუნება ხელოვნების. ამით განსხვავდება იგი შემეცნების
ყველა სფეროებიდან. როგორც ვხედავთ, ახალი პოეტიკის თვალსაზრისით, ხე-
ლოვნებას აქვს საკუთარი დანიშნულებრივი ფუნქცია, სრულიად განსხვავებული
სულიერი კულტურის სხვა რომელიმე ნაწილის ფუნქციისაგან.

ხელოვნება აქ გაგებულა არა როგორც განმეორება და ასახვა გარესკნელში არსებულ ნივთებისა და მოვლენების, არამედ თვითმყოფადი მხატვრული ფაქტების შენება. ასეთი მხატვრული ნივთების ღირებულება მოქცეულია მისივე იმონენტურ ბუნებაში და იგი ფასდება არა იმის მიხედვით, თუ როგორ გამოხატავს იგი მის გარეშე არსებულ იდეას ან მოვლენას, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენათ უპასუხებს იგი თავისთავად იმ დანიშნულებას, რომელიც ახასიათებს ხელოვნებას. ძველი პოეტიკის თვალსაზრისით პოეტური ფაქტი განიხილებოდა, როგორც ნიშანი, ეკვივალენტი მის გარეშე არსებულ მოვლენისა ან იდეის; ამიტომ აქ უმთავრესი იყო თვითონ იდეა ან მოვლენა, რომლის გამოსახვაც ევალენბოდა პოეტურ ფაქტს. თვითონ პოეტური ქმედობა—ეს იყო გამომსახველი საშუალება. ამიტომ იგი მოკლებული იყო საკუთარ იმონენტურ ღირებულებას და მასში ეძებდნენ მნიშვნელობას, ან შინაარსს.

ამიტომ არის, რომ პოეზიაში არსებობდა დაყოფა: ფორმა და შინაარსი. ფორმით ჩვეულებრივ ესმისთ თვითონ მხატვრული ქმედობა, მხოლოდ შინაარსად—ის იდეა, ან მოვლენა, რომელსაც იგი გამოხატავს.

ფორმალური პოეტიკის თვალსაზრისით უარყოფილია ლექსის ეკვივალენტური ბუნება. აქ ლექსი არის არა ნიშანი რაიმე მის გარეშე არსებულ მოვლენის, არამედ თავისთავად მხატვრული ფაქტი, რომლის მთელი რეზონანსი მოქცეულია მის იმონენტურ არსში. ამიტომ პოეზია ხასიათდება არა მნიშვნელობით (значение) არამედ დანიშნულებით (назначение). ეს არის თვისება ყოველგვარი პროდუქციისა და მათ შორის მხატვრული პროდუქციისაც.

გამოვალთ რა იმ დებულებიდან, რომ პოეზია იძლევა თავისთავად ღირებულ მხატვრულ ფაქტებს, ნათელი იქნება, რომ პოეზიაში არ შეიძლება გაირჩეს ფორმა და შინაარსი. ამის მაგიერ ახალმა პოეტიკამ იცის მასალა და ხერხი. მასალა რომელიც არსებობს თავისთავად, სტილისტიურ ხერხების მეშვეობით ქმნის, მხატვრულ ფაქტს, საკუთარი მხატვრული ფუნქციით. აქედან ცხადია ფორმალური პოეტიკის ცნობილი ფორმულა: ხელოვნება არის ჯამი სტილისტიურ ხერხებისა.

მართლაც მხოლოდ ფორმალური ხერხების საშუალებით შესაძლებელია აშენდეს მხატვრული ნივთი. აქედან გამოდის შემარცხენე პოეზიის დებულება, რომ პოეზია იძლევა რეალურ ნივთებს და არა ნივთების ილლიუზიას.

როცა პოეზიას გავიგებთ, როგორც გარესკნელში არსებულ მოვლენების ან ნივთების ეკვივალენტს, ცხადია აქ პოეზია ილლიუზიაა ამ ნივთებისა და არა თვითმყოფადი რეალური ნივთი. ხოლო ფორმალური პოეტიკა, ლექსის იმონენტურ ღირებულების აღიარებით მხატვრული ფაქტების თავისთავად არსებობას ამტკიცებს. აქედანვე დებულება შემარცხენე პოეზიისა: ხელოვნება არის არა ასახვა ცხოვრებისა, არამედ ცხოვრების მშენებლობა.

ებლა უკვე ცხადია, პოეზიაში ფორმის გადამწყვეტი ბუნება, განსაზღვრული დანიშნულების მხატვრული ფაქტი, ნიშნავს ფორმალურ მოვლენას. ამიტომ შემცდარია ის შეხედულება, რომელიც ცდილობს პოეზიაში ორი საწყისი

ნახოს, ფორმისა და შინაარსის სახით და მათ შორის რაიმე ერთიერთობაზე ილაპარაკოს.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ასეთ შეცდომას **„ფორმალიზმი“** უწოდებენ. **„ფორმალიზმი“** იგი ფორმას განმარტავს, როგორც საშუალებას, ხერხს შინაარსის გამოსახატავათ. გამოდის, რომ შინაარსი არის მიზანი, ფორმა—საშუალება. ასეთი დუალიზმი მოკლებულია ყოველგვარ გამართლებას. თუ არ არის ის—სწერს **დუდუჩავა**—რაც უნდა გამოიხატოს, შეიგრძნოს და განიცადოს, (ე. ი. შინაარსი—ბ. ე.) მაშინ ფორმაც ცარიელია და „ზაუმიკური“. მე ვამტკიცებ, რომ ცარიელი ფორმა ხელოვნებაში არ არსებობს. საერთოთ არ შეიძლება არსებობდეს ცარიელი ფორმა. და „ზაუმი-ც“ სრულიად არ ნიშნავს სიცარიელეს. „ზაუმის“ შესახებ ჩვენ ქვემოთ შეეჩერდებით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეზია მხოლოდ ფორმალური სრულყოფით უპასუხებს თავის დანიშნულებას; რომ იგი არის თვითმყოფადი მხატვრული ფაქტი. ამიტომ იგი (როგორც ფორმალური მოვლენა) არ შეიძლება იყოს საშუალება, და მასშივე იყოს მომენტი მიზნობრივი.

კიდევ მეტად შემცდარია ვალია **ბახტაძის** მოსაზრება ფორმისა და შინაარსის პრობლემაზე. ჩვენს მიერ ერთხელ უკვე დასახელებულ მის წერილში „ცხოვრება და ხელოვნება“ იგი ამყარებს ასეთ ანალოგიას. ფორმა—ტანთსაცემელი; შინაარსი—სხეული. და აქედან დასკვნა: კარგი ტანთსაცემელი ჩონჩხზე მიუღებელია; კარგი ტანთსაცემლისათვის საჭიროა ასეთივე სხეულიც, კარგი და მისაღები ფორმა—არარაობაა—ასეთივე შინაარსის გარეშე.

აქ მთელი გაუგებრობაა: ტანთსაცემელი და სხეული ერთმანეთისაგან დამოუკიდებლათ შეიძლება არსებობდენ. აბა სცადეთ და თუნდ თეორეტიულად წარმოიდგინეთ ცალკე არსებული ფორმა ან შინაარსი! გარდა ამისა, შეცდომა აქ იმაშიაც არის, რომ ტანსაცემელიც და სხეულიც ცალ-ცალკე ხასიათდებიან საკუთარი ფორმითაც და „შინაარსითაც“. როგორ ფიქრობთ, სხეულს არა აქვს თავისი საკუთარი ფორმა, ან ტანთსაცემელს არ აქვს თავისი საკუთარი შინაარსი? მაშ საიდან აშენდა ეს ანალოგია, თითქოს ტანთსაცემელი უდრიდეს ფორმას და სხეული შინაარსს? რა განსხვავებაა სხეულსა და ტანთსაცემელს შორის? ის, რომ განსაზღვრულ მდგონარგობაში ერთი მეორის შიგნით იმყოფება. და რომ ეს იყოს ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის განსაზღვრული, მაშინ ოთახი, რომელშიაც ვხივართ,—ფორმა ყოფილა, ხოლო ჩვენ თვითონ —შინაარსი.

ეს ანალოგია პრინციპიალურათ იგივეა რაც **ბახტაძის** ანალოგია და მისი ყოველად შეუფერებელი და გაუმართლებელი აზრი—ხელსახებია და ნათელი.

ვიმეორებთ: ახალი პოეტიკის თეალსაზრისით ფორმისა და შინაარსის დაპირისპირება შეუძლებელია. მხატვრული ფაქტი არის ფორმალური მოვლენა; მას აქვს განსაზღვრული დანიშნულება და იგი შენდება სპეციფიურ მასალისა და სტილისტური ფორმალური ხერხებისაგან.

თეორეტიული პოეტიკის შემადგენელი პრობლემები ჩვენს ლიტერატურაში სრულიად დაუმუშავებელია. ამით უნდა აიხსნას ის დიდი გაუგებრობა, რომ

ხშირათ პოეზიაში „წინაარსათ“ აცხადებენ სიუჟეტს და ეს უკანასკნელი მიჩნეულია სიტყვიერებითი ხელოვნების პრიმიტიულ ელემენტათ. ასეთი შეხედულება სავსებით შემცდარია. სიუჟეტი არ შეიძლება უბრალოდ აღესწავლოს შემოქმედების ფორმალურ მომენტს, რადგან იგი თავისთავად ერთ-ერთი სტილისტიური მოვლენაა, იგი მხატვრულ ფაქტში შედის როგორც მხატვრული შენების მასალა, ამდენათვე სიუჟეტი ორგანიული ნაწილია მხატვრული ფორმისა და მისი განკერძოებულათ წარმოადგენა შეუძლებელია.

გიოტეს ცნობილი ფორმულაა: თანამედროვე პოეტები ყურადღებით ეკიდებიან იმას, თუ „რაზე“ სწერონ, ავიწყდებათ კი რაც უმთავრესია—თუ „როგორ“ სწერონ.

ამ რიგათ სიუჟეტის გადამწყვეტი ფუნქცია ხელოვნებაში არ არსებობს. არასოდეს მხატვრული ფაქტი არ იზომება სიუჟეტის მიხედვით. ყოველი მხატვრული ფაქტის ღირსება მისი კონსტრუქციის თვისებრივობაშია. ეს „როგორ“ არის დამძლევი მომენტი ხელოვნებაში.

შექსპირის ყველა ტრაგედიების სიუჟეტი აღებულია უბრალო იტალიანურ ნოველებიდან. ამ სავსებით ურეზონანსო და არავისთვის საინტერესო ნოველებზე აშენდა ეს დიდი მხატვრული ღირებულება, და ვის შეუძლია სთქვას, რომ ამ ტრაგედიების მხატვრული სიმაღლე მათი სიუჟეტი იყოს. ის, რამაც ეს უბრალო ნოველების სიუჟეტებისაგან მსოფლიო რეზონანსის პოეტური ფაქტები მოგვცა, არის სწორეთ ის სტილისტიური ხერხები, რომელთა კომპლექსს ჩვეულებრივათ „ფორმას“ უწოდებენ და ჩვენის აზრით პოეზიის მთელი ბუნება ამაში მდგომარეობს. იგივე ითქმის „ქაუსტის“ შესახებ. მისი სიუჟეტი მოგზაურობდა ყოველი ქვეყნის და დროის ზეპირსიტყვაობასა და ლიტერატურაში, მაგრამ მისგან გამძლე მხატვრული ღირებულების მოცემა მხოლოდ გიოტემ შესძლო. უკანასკნელის პოეტურ ქმედობაში სიუჟეტი იქცა მასალათ, იმპულსათ მხატვრული შენებისა, რაც ფორმალურ ხერხების შერჩევაში მდგომარეობს. ასევეა ცნობილი „პრომეთეია“, ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“ და სხ.

დავაყენოთ საკითხი თეორეტულათ: ჩვენ უკვე საკმაოდ დავასაბუთეთ, რომ პოეზია არ არის მოვლენების და ნივთების ასახვა, ის ახალი მხატვრული ნივთების შენებაა. აქედან გამომდინარეობს, რომ პოეზიისათვის მის გარეშე არსებული მოვლენების (სიუჟეტი) ეკვივალენტური განმეორება—არარაობაა. პოეზია ყოველთვის გაჯრბის ამას. მისი გზა და მეთოდი ყოველთვის იყო გარესქნელში არსებულ ფაქტების გარდასახეობის გზით ახალ შეგნებათა მომცემ მხატვრულ ფაქტების პროდუქცია. რასაკვირველია ლიტერატურის ისტორიაში არის წინააღმდეგიც (თუნცა არ არსებობს ლიტერატურული ფაქტი მოვლენის სრულიად ადეკვატური ეკვივალენტის მოცემისა და ეს შეუძლებელიც არის) მაგრამ ეს არის გადაბრა პუბლიცისტიკასა და თუნდ მეცნიერებისაკენ.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოეზიაში შეიძლება სრულიადაც არ იყოს სიუჟეტი. არიან პოეტური ფაქტები, რომელთაც არავითარი სიუჟეტი არ გააჩნიათ და ისინი მაინც არიან მაღალი პოეტური მოვლენები. ეს არ ნიშნავს სიუჟე-

ტის აბსოლიუტურ უარყოფას და მის გამორიცხვას. მაგრამ მისი დამძლევი განმაპირობებელი ან პრიმიტიული ბუნება პოეზიაში არ არსებობს.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია, რომ სიუჟეტის სიუჟეტუა არ ვთანაბრება ლიტერატურის ევოლუციას. ერთსა და მხარე სიუჟეტზე შენდება ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებული პოეტური მოვლენები.

მართალი იყო ლოტცი, როდესაც სწერდა: ერთი და იგივე სიუჟეტის უსრულებელი ბრუნვა პოეზიაში—ეს ლიტერატურის ისტორიის მარადიული და ინსტიტუტური თვისება არისო. ამ რიგათ სიუჟეტის უცვლელობა ხელს არ უშლის პოეზიის ცვალებად განვითარებას. აქედან ცხადია, რომ მართალია ვიკტორ შკლოვსკის მოსაზრება, რომ ხელოვნებაში მთავარია ნივთების მიმართების თვისებრივობა (როგორ) ხოლო სულ ერთია სამყარო მიემართება სამყაროს თუ ბურთი—ბურთს (რაზე).

ვიმეორებთ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ სიუჟეტის მნიშვნელობის აბსოლიუტურად უარყოფას.

ხემოდ ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სახე (ინჟან) არ არის პოეზიის განმაპირობებელი და ლოგიური თვისება. ნიუხედავთ ამისა ფორმალური პოეტოკა სრულიადაც არ უარყოფს სახეს, როგორც სტილისტურ ხერხს და ამ პოეტოკის ორიენტატორი მემარცხენე პოეტები ხშირად ხმარობენ კიდევ მას. მაგრამ აქ სახე აღებულია არა როგორც აზროვნების გაადვილების საშუალება, არა აღქმის გაადვილების ხერხი, არამედ პიროქით, მისი გართულებისა და გახანგრძლივების, უცხო და მოულოდნელი განცდების ფუნქცია. სანიმუშოთ ქართული მემარცხენე პოეტებიდან:

სიმონ ჩიქოვანი.

„როგორც პებლები ლამპის შუშებზე გულს ღამეებიხეთქებიან“.

„თქვენი თვალები, ჩაძირული დამძიმებულ მტკვარში ქვებივით მე შენობები მოჰყვებიან არწივის ფრთიან სირაქლემებით“.

და დაწოლილი ნისლი პროსპექტზე სირაქლემებათ მისდევს ტრამვაებს (ფიქრები მტკვრის პირას).

ნიკოლოზ ჩაჩავა

„მთვარე გადმოისერის—ცა აშენდება“.

„მოქონდა ლელეს ტივები კუნძის ცანგალა ცალგან ბიკის პერანგზე“.

ჟანგო ლოლობერიძე

„თვალებიდან ისერის ხეტყის მასალას“.

„ნაბიჯებით ამზადებს შეშას“.

„ცხენის სირბილიდან ქუჩა დაიბადა“.

ბესარიონ ფლენტი

„აგდია მტკვარი მეტეხიდან მოტეხილ ბელტად და მტკვარზე უფრო ამღვრეული ტფილისის ღამე“.

პავლე ნოზაძე

„მე კარგათ ვიცი—ვიცნ ვააკეთა ვაჟა ფშაველა“.

ის არის სოველი პური მაღამ რევერენის თმებში გამოხვეული“.

ასეთი ფაქტების დაუსრულებელი ამოწერა შეიძლება ქართულ ფურც-
ლისტების პოეზიიდან. ასეთი სახეები ხშირია ღმრთა შენგელაიას პროზაში,
განსაკუთრებით მის „ტფილისი“-ში. სახეს ხშირობს ატყობილად თავის
პროზაში. მაგრამ როგორც ხედავთ აქ სახე არის სტილისტური ხერხი მო-
ლოდნელობისა და გაუცხოებისათვის აღებული.

ამ წერილის ფარგლებში ჩვენ არ შეგვიძლია შევეხოთ ფორმალური
პოეტიკის ყველა პრობლემებს, ჩვენ ვცდილობთ ძირითადი საფუძვლების განმ-
ტკიცებას და ისეთ პრობლემებზე შეჩერებას, რომლებიც ჩვენს ლიტერატურაში
უკვე თეორეტიულ ინტერესს ქმნიან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია
სიტყვის პრობლემა, რომელიც ამდენ გაუგებრობას და კამათს იწვევს თა-
ნამედროვე ლიტერატურის თეორიაში.

ფორმალური პოეტიკის ქრთ-ერთი ცენტრალური პრობლემა არის სიტყვის
პრობლემა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ახალი თვალსაზრისით პოეზიაში განიჩევა
არა ფორმა და შინაარსი, არამედ მასალა და ხერხი. ხერხათ ჩვენ გვესმის მთე-
ლი რიგი სტილისტური მეთოდებისა, რომელთა კომბინაციითაც შენდება ყო-
ველი მხატვრული ფაქტი (პოეტური სინტაქსისისა და პოეტური სემანტიკის
ელემენტები) რაც შეეხება მასალას—პოეტურ ქმედობის მთავარ მასალად ჩვენ
ვიღებთ—სიტყვას. ამ ნიადაგზე არსებობს მთელი გაუგებრობა. მაგალითად
ტროცკი თავის ცნობილ წერილს ფორმალისმის წინააღმდეგ ასე ათავებს:

„На формалистах лежит печать скороспелого поповства. Она поан-
виты: для них, „в начале бе слово“, А для нас в начале было дело.
Слово явилось за ним, как звуковая тень его“.

დაახლოვებით ასეთივე შეხედულებაზე სდგანან ანბ. ბახტაძე და დუდუ-
ჩავა. მათაც გონიათ, რომ ახალი პოეზია აყენებს „სიტყვის კულტს“. სიტყვის
ფერტიშიზაციას და სხ. აქაც საქმე გვაქვს მარტოოდენ გაუგებრობასთან. „სი-
ტყვასა“ და „საქმის“ დაპირისპირება—რასაკვირველია უაზრობაა პოეტიკაში.
პოეზიაში „საქმე“ ნიშნავს პოეტურ ფაქტების შენებას, ხოლო ამ ფაქტების მთავარ
საშენებელ მასალათ გამოდის სიტყვა. ამ რიგათ აქ არავითარ „კულტზე“ ან
ფერტიშზე არ არის ლაპარაკი. როგორც ყოველგვარ წარმოებას აქვს თავისი
მასალობრივი მხარე, ისე სიტყვიერებითი ხელოვნებისათვის მასალას წარმოად-
გენს სიტყვა.

გაუგებრობის მიზეზი კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ახალი პოე-
ზია შენდება არა იმ ენებრივ ფორმებით, რომელშიც მიმდინარეობს ადამიან-
თა ყოველდღიური სასაუბრო ენა. და ამ საკითხის თეორეტიული დაყენება
გვინდა ჩვენ აქ.

ჯერ კიდევ არისტოტელე გრძნობდა და აღიარებდა, რომ პოეზიის ენა
უნდა იყოს უცხო და საკვირველი; რომ პოეზია ჩვეულებრივი სასაუბრო ენით
განსაზღვრული არ არის. (იხ. მისი „პოეტიკა“).

მართლაც, პოეზია, რომლის ფუნქცია ემოციონალურ ჩეგავლენით, შთა-
ბეჭდილებებით განისაზღვრება, არ შეიძლება მოექცეს იმ ფორმებში, რომლითაც

ჩვენ ყოველდღიურათ ვსაუბრობთ. ჩვენ ვანსხვავებთ ენას, — როგორც კომუნიკაციის საშუალებას და ენას — როგორც მასალას პოეტური მშენებლობისათვის.

სოციალური სასაუბრო ენა მიიღტვის გამარტივებისაკენ, როგორც იარაღი ადამიანთა ურთიერთობისა. ამ ურთიერთობის გასაადვილებლათ იღებს უფრო და უფრო მარტივ ფორმებს. მისი ბუნება არის უფრო ადვილათ გამოსათქმელ და უფრო ადვილათ შესაგრძნობ ფორმებისაკენ სწრაფვა. ამით აიხსნება მაგალითად დისიმილიაცია (თანაბარ ბგერათა დაშლა) საკომუნიკაციო ენაში.

პოეტური ენის გზა საწინააღმდეგოა. იგი როგორც ემოციონალურ ზედმოქმედების იარაღი ყალიბდება უფრო რთულ სიტყვიერ კონსტრუქციაში. მისი ბუნება გამოთქმისა და შეგრძნების უფრო რთულ პროცესს გულისხმობს. ამით აიხსნება, რომ პოეტური ფრაზა არ კვდება წარმოთქმისთანავე. ამით აიხსნება პოეტური ენის ფიქსაცია და გამძლეობა.

ხომ ფაქტია, რომ პოეტური ენა წინააღმდეგ სასაუბრო ენისა, ხასიათდება ასიმილიაციის სხვა და სხვა ხერხებით (ალტერაცია, რითმა, ასონანსი და სხ.).

იაპონიის პოეტურ ენაში არის ბგერები, რომლებიც არ იცის იაპონურმა სასაუბრო ენამ. გარდა ამისა, ცნობილია მთელი რიგი ერების ლიტერატურა — შენდებოდა უცხო ენებზე. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ პოეზიის ენა არ არის ის ენა, რომელიც იხმარება ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობის პროცესში.

ჩვენ ვიცით, რომ ლინგვისტიკაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა ერთიანი, ნორმატიული სოციალური ენის არსებობა. და ეს იმიტომ, რომ ლინგვისტიკამ თავის დაკვირვების არეში ვერ ნახა ორი ემპირიული მოლაპარაკე ერთნაირი არტიკულიაციით და აკუსტიკით. ბევრი ლინგვისტი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური ენა, როგორც ინდივიდის თვისება და არავითარი სოციალური ენა არ არსებობს. ამ უკიდურესობიდან გამოსავალი შეიძლება ახალი ფრანგი ლინგვისტის — დესასიურის თეორიაში იყოს. მისი სისტემით არსებობს le langage (речь вообще), რომელშიც განირჩევა ორი მხარე — ენა კერძოთ (le langage) და ინდივიდუალური გამოთქმა (la parole) ამ დაყოფის ანალოგიურათ ჩვენ ვანსხვავებთ სოციალურ ურთიერთობის ენას პოეტური ენისაგან. ან უკეთ რომ ვსთქვათ — ენას და სტილს.

რასაკვირველია, პოეზიის ენა ემყარება და გამომდინარეობს სოციალურ ენისაგან, მაგრამ პოეზიაში იგი ლებულობს განსხვავებულ განწყვსრიკებას, სხვაგვარ კონსტრუქციას, ზოგჯერ სრულიად ახალ სემანტიკა, ყველა ამის შემდეგ ჩვენ ვღებულობთ სტილს, რაც განასხვავებს პოეზიას ჩვეულებრივ სასაუბრო ურთიერთობის ფორმებისაგან.

ხშირათ პოეზია სიტყვას იღებს, როგორც მორფოლოგიურ ბგერით მოვლენას. როგორც არა რისამე გამოხატულებას და ნიშანს, არამედ ნივთობრივ მასალას პოეტური კონსტრუქციისათვის.

ველიმარ ხლებნიკოვი, — რომელიც ახალი პოეტური ენის და საზოგადოთ ახალი რუსული პოეზიის საწყისების მომცემათ ითვლება, — სწერს: სიტყვაში

ორი ბუნებაა: აზრი და ბგერა; ხან აზრი არის მზე და მის გარშემო ბრუნავს ბგერა;—ხან პიროქით: ბგერა იქცევა მზეთ და აზრი ბრუნავს მის გარშემო. ამ მეტაფორაში მიგნებულია ის ჭეშმარიტება, რომ პოეზიის სიტყვა მიიღება, როგორც ბგერითი მოვლენა.

რამოდენიმე სიტყვა „ზაუმი“-ს შესახებ. ეს ერთ-ერთი ელემენტი ახალი პოეზიის პოეტური სინტაქსისა. ამხ. დუდუჩავამ იგი „აბსურდათ“ გამოაცხადა და მასა და ფორმალისმის შორის იგივეობის ნიშანი დასვა. რასაკვირველია ეს იგივეობა არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ფორმალისმი მთელი პოეტიკაა, „ზაუმი“-კი--ერთ-ერთი სტილისტური მოვლენა ამ პოეტიკაში. ამხ. ვალია ბახტაძეც და დუდუჩავაც ფიქრობენ, რომ „ზაუმ“-ი ისეთი ბგერათა უბრალო კომბინაციაა, რომელსაც არავითარი აზრი და დანიშნულება არ გააჩნია. არ არის ეს მართალი. „ზაუმს“ მართლა არა აქვს სოციალურათ განსაზღვრული, ნორმატიული შინაარსი, მაგრამ იგი ხერხია პოეტურ სიტყვათქმნისა და ახალი სახელდებისა.

სიტყვა ძველდება—სამყარო მუდამ ახალია.—იი არგუმენტი, რომლითაც პოეტს ეძლევა თავისუფლება ახალ სამყაროში ახალ მოვლენებს თავისებური სიტყვიერი კომბინაციით მიუდგეს.

„ზაუმი“—ეს არის ბგერათა ისეთი კომბინაცია, რომელსაც მანამდე არ გააჩნდა სოციალური მნიშვნელობა, მაგრამ ხდება რა იგი პოეტური კონსტრუქციის ძასალათ, იღებს განსაზღვრულ სემანტიურ მნიშვნელობას და შემდეგ შეიძლება სოციალური შინაარსითაც განისაზღვროს. ვის ექნება სითამამე „აბსურდათ“ გამოაცხადოს ხლებნიკოვის პოეზია, რომელიც უმთავრესათ აშენებულია „ზუმერ“-ის ენაზე.

რამოდენიმე ნიმუში ჩემი მეგობარი პოეტების ლექსებიდან:

„შარდალს შორდება ძილი
ძილდინა გაგულისდა
დღისური ქონდა ძილი
მთვარეზე გასულისდა“

(ნიკოლოზ ჩაჩავა—„შანდი და შროშანა“)

„აბრეშუმი შუმი
მაბრეშუმე
შარა
შართდაი
დამიდაბრეშუმე
თირისტარი აგებული
გუბე—გობი
გუბე დამიდაგებულე“

(ნიკ. ჩაჩავა—„აბრეშუმი თირისტარზე“)

და მთელი რიგი ამავე პოეტის ლექსებისა, რომლებიც აშენებულია ბგერათა ისეთ კომპოზიციაზე, რომელთაც მართლა არ აქვთ ნორმატიული შინაარსი, მაგრამ მაინც უდავოთ პოეტურ ღირებულებას ქმნიან.

ავილოთ—სიმონ ჩიქოვანის „მეკამეჩების ურმული“ (ქუროს. ლიტერატურა და სხვა) ან მისივე „საბა“ („ H_2SO_4 “) ამ ლექსებში „ზაუმი“-ს მეორედით, ახალ სიტყვათა კომბინაციით, ბგერითი პრინციპზე დამყარებული ლიტერატურით გადმოცემულია ლექსის იდეა და შესრულებული ლექსის თემატიკა. სანიმუშოთ რამოდენიმე სტრიქონი მისივე ლექსიდან „პრიმიტიული სიმღერის მასალა—ცირა“;

გამოგივლი შორს ბაიდებს რომ მიყევხარ გაბუტული
გამოგივლი მზით მდინარე დამშრალი და გამარგული
გამოგივლი მოთუთოს და უმბო ბბა
ბადე ბუდე მდინარე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს
ცირა შინდი—ობობებზე გადაფრინდი
უდე ბუდე
უდევს ბადე
და ბაიდებს
ობადები აბადია“.

როგორც ხედავთ, აქ ცალკე აღებული სიტყვების სოციალური ენის ნორმატიულობიდან გამოსვლა და მათი კონსტრუქციის არა ლოღიკურობა სრულიად ხელს არ უშლის მთლიანი შთაბეჭდილების მოცემას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზაუმი“ ლიტერატურაში არ არის სრულიად ახალი მოვლენა. მართალია, იგი წინათ ასე თვალსაჩინო არ იყო, მაგრამ მას მაინც მიმართავდნენ. „ზუმერი“ სიტყვები ჩვენ გვხვდება: ტოლსტოის, გორკის, გამსუნიის, როზანოვის და სხვათა ნაწერებში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხალხური პოეზია უმთავრესათ შინდება „ზუმერ“ ენაზე—რით ახსნით ამ მოვლენას? ხალხური შემოქმედებაც ხომ „აბსურდი“ არ არის.

არის ფაქტები, რომლებიც მოწმობენ „ზუმის“ სოციალურ მნიშვნელობასაც, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასასაბუთებლათ, რომ ახალი პოეზია „ზუმის“ მიღებით არ გადაჩეხილა არავითარ აბსურდში. „ზაუმი“ უნდა გავიგოთ არა როგორც პრინციპი და სავალდებულო მოვლენა, არამედ როგორც ერთ-ერთი სტილისტური ხერხი.



ისევ ფორმალისტურ პოეტიკის შესახებ

1. ხელოვნების ფუნქციანალური მნიშვნელობა, 2, ორი გადახრა: პუბლიცისტიკა და ფორმალისტიკა, 3, ფორმალისტურ პოეტიკის პრობლემები: ფორმა და შინაარსი, მასალა და ხერხი, 4. პოეტების პოეტიკა: სიტყვა და სახე. 5. სიტყვა რეალისტურ პოეტიკაში: ბგერითი და საზრიანი მომენტების სინთეზი. 6. „ზაუმი“. 7. ფორმალიზმი—როგორც აპოლოგია ლიტერატურული თვითმკვლევლობის. 8. მარქსიზმი და ფორმალიზმი ანუ ბესო ულენტიის „ნააზრევი“. 9. დასკვნა.

I

ფორმალისტურ პოეტიკის პრობლემებს ესთეტიურ კულტურის აღმშენებლობით ხანაში პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა. გარდამავალი ხანა ანოციერებს ნიადაგს არა მარტო ახალ წესწყობისათვის, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობისათვის, ის ჰქმნის აგრეთვე ახალ ყოფას, რაც თავის უმთავრეს გამოსახვას ჰპოულობს მხატვრულ კულტურაში; ამიტომაც ხელოვნების სპეციფიურ საკითხებს ახალი ყოფის შექმნის პერიოდში განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება. ამით აიხსნება ის ცხოველი დისკუსია, რომელიც გაიმართა ეურნალ „Ис-чать и революции“-ს ფურცლებზე ფორმალიზმის ირგვლივ. ამ დისკუსიამ შექმნა თავისებური ეპოქა რუსული მხატვრული კრიტიკის ისტორიაში.

ჩვენში მდგომარეობა ამ მხრივ ვერ არის მაინცა და მაინც სასუფეშო. ის რომოდე წერილი, რომელიც დაიბეჭდა „მნათობში“ და ერთი საჯარო დისკუსია, რომელიც მოაწყვეს ქართველმა ფუტურისტებმა ფორმალიზმის გარშემო—ვერ ამოსწურავს და ვერ შექმნის საზოგადოებრივ ინტერესს ყველა იმ საკითხებისადმი, რომელთა გარეშე საღი მხატვრული კრიტიკის განვითარება წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

დაწყებული დისკუსიით „მნათობმა“ აუცილებლათ ეს ნაკლი სძლია; ამიტომაც იღეა ამ დისკუსიის დროული და თანაც პრაქტიკული.

თანამედროვე ლიტერატურული ^{*}^{*}სინამდვილე უამრავ შკოლებსა და მიმართულებას იტევს; ის გაცხოველებული ბრძოლა, რომელიც სწარმოებს ამ მიმართულებათა შორის მეტყველია იმ გარემოების, რომ ესთეტიური აზრი ეძებს საღს და მყარ ლიტერატურულ ორიენტაციას, რომელიც ეპოქალურ მნიშვნელობას მიანიჭებს მხატვრულ შემოქმედებას, თუ კი რასაკვირველია, ამ უკანასკნელში გარდა ლიტერატურული ორიენტაციისა მოცემული იქნება საღი და ცოცხალი იღეა. ამ უკანასკნელ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: მხატვრული ნაწარმოების ცხოველმყოფლობა თავის-თავად ცხადია დამოკიდებულია არა მარტო ლიტერატურული „credo“-დან, მხატვრული სტილიდან; ბუნებრივათ იგულისხმება, რომ როდესაც საქმე გვაქვს მხატვრულ ნაწარმოებთან

საქმე გვაქვს განსაზღვრულ ლიტერატურულ ფაქტთან, *ე. ი. ისეთი მოვლენასთან*, რომელსაც თავის საკუთარი ლიტერატურული სტილი, საკუთარი credo გააჩნია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება არა მხატვრულ ფაქტთან, არა ლიტერატურულ მოვლენასთან. ამიტომაც ლიტერატურულ მიმდინარეობათა დაშლისა და გადაგვარების მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მარტო მხატვრული სტილის ქონება არ ქონებებში (რაც შინაგან წინააღმდეგობებში გახლართავდა ჩვენს აზროვნებას და მით შეუძლებლათ გახდოდა ამ უკანასკნელს), არამედ უმთავრესათ იმ საზოგადოებრივი იდეოლოგიის პრინციპიალურ მყარობაში, რითაც იკვებება ესა და თუ ის მხატვრული ნაწარმოები. ეს ელემენტარული ქეშმარიტება, რომელიც ისტორიული ფაქტებითაც მაგრდება არ ესმით ფორმალისტებს და განსაკუთრებით კი ეს ვერ გაიგო ბეხო ულენტი. ის სწერს: „ეპოქის ჰქმნიან ისეთი მიმართულებანი, რომელთაც საკუთარი ლიტერატურული ორიენტაცია გააჩნიათ“. ეს დებულება ცოცხალი ნიშნულია საოცარი წინააღმდეგობის: ნუ თუ შეიძლება არსებობდეს ისეთი ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მოკლებული იყვას საკუთარ „ლიტერატურულ ორიენტაციას? მაშ რით განსხვავდება ერთი მეორესაგან ლიტერატურული მიმდინარეობანი?—თუ არა ლიტერატურული „ორიენტაციით“, მხატვრული credo-თი? გასაოცარია ულენტის დებულება მით უფრო, რომ მისი (დებულება) ავტორი გვევლინება ფორმალისტის როლში, რომლის მსოფლმხედველობის მიხედვით მხატვრული და კერძოთ ლიტერატურული ფაქტი, მხოლოდ სტილისტიურ ხერხების ჯამია და მეტი არაფერი. ჩვენი ავტორი გრძნობს თავის დებულების შინაგან წინააღმდეგობას და სცდილობს ცოცხალი მაგალითებით იხსნას თავისი თავი ხელოვნურ ჩიხიდან. ის სწერს: „გერმანული ექსპრესიონიზმი, რომლის ხელოვნურმა რეზონანსმა იერიქონის საყვირს გადააქარბა და ერთის შეხედვით მძლავრ ლიტერატურულ მიმართულებათ გვეჩვენებოდა, ვერ გასცდა რეინის მეორე ნაპირს, და თვითონ გერმანეთში იგი ყოველდღიურ დავიწყებას უახლოვდება და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მიმართულების წარმოშობას მისი ღრმა სოციალური მიზეზების გარეშე არ გააჩნდა განსაზღვრული ლიტერატურული თვალსაზრისი. ასეთივე ბედი ეწია ფრანგულ უნანიმიზმს, რომლის დეკლარატიულმა პათოსმა გაუძლო რანდენიმე წელიწადს, მაგრამ სწორეთ იმავე მიზეზებით იგი ეხლა დაშლილია და ლიტერატურულ მთლიანობას არ წარმოადგენს“. მთელი გაუგებრობა პროლეტ. პოეზიის შედგენა იმისა, რომ იგი კმაყოფილდება რა პოლიტიკური და სოციალური იდეოლოგიით მოკლებულია საკუთარ მხატვრულ credo-ს და ამიტომ არის, რომ დღემდე არ იციან თუ რა არის პროლეტ. პოეზია და უპირველეს ყოვლისა არ იციან მისმა თეორეტიკოსებმა“. ამ რიგად გამოოდის, რომ ექსპრესიონიზმი „ყოველდღიურ დავიწყებას“ უახლოვდება, იმიტომ, რომ მას მხოლოდ სოციალური ორიენტაცია გააჩნია, რომ ის მოკლებულია საკუთარ მხატვრულ მრწამს და სხ. ანალოგიურ მდგომარეობას განიცდის—ავტორის აზრით—პროლეტარული პოეზიაც.

ულენტი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ექსპრესიონიზმი ეს არის უპირველეს ყოვლისა მხატვრული მიმართულება, და მაშასადამე მას, როგორც ასეთს, საკუთარი მხატვრული სტილი უნდა გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპრესიონიზმი მხატვრული მიმდინარეობა არ იქნება. მიპასუხოს

ელენტი: თუ ექსპრესიონიზმს „განსაზღვრული ლიტერატურული თვალსაზრისი“ არ გააჩნია რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ექსპრესიონისტული მიმართულება ლიტერატურული მიმართულებაა უპირველეს ყოვლისა? დაქუცავძის წყალობით განსხვავდება ერთმანეთისაგან ლიტერატურული შკოლები თქვენს ქვეყანაში?

ასეთია საკითხის თეორეტიული მხარე. კონკრეტი მდგომარეობა კი იქნება შემდეგ სურათს.

ექსპრესიონიზმი გაჩნდა გერმანეთში და განვითარდა უმთხვრესად მსოფლიო ომის შემდეგ. ექსპრესიონიზმის პირველი დასაყრდენი იყო პლასტიური ხელოვნება. შემდეგში ეს მიმართულება გაძლიერდა დრამატურგიაში, შეიქმნა სპეციალური ექსპრესიონისტული თეატრი, და ბოლოს — შეიქმნა მუსიკაშიც; თითქმის ხელოვნების ყოველი დარგი დაიპყრო ამ მიმართულებამ. იდეოლოგიურათ ეს იყო პროტესტი კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამით აიხსნება, რომ ექსპრესიონისტული შემოქმედება პაციფისტური თემებით იკვებებოდა. მისი ანტიბურჟუაზიული ბუნება ვერ ხდის მას რევოლუციონურ მიმართულებათ. მისი იდეოლოგიური credo „მიწასთან დაბრუნება“, მიწასთან დაბრუნება კი სოფლის იდილიის განცდაა, რაიც თავის მხრივ წარმოადგენს ჟან-ჟაკ რუსსოს იდეის რესტავრაციას. არსებითად კი ექსპრესიონიზმი სიმბოლისტურია.

შეტათ საყურადღებოა ამ შემთხვევაში ა. ლუნაჩარსკის შეხედულება.

„По существу экспрессионизм остается символическим... в формальном отношении он заразился все той же безудержной смелостью художественного субъективизма, который был развит поздними поколениями французских модернистов. В этом первое своеобразие экспрессионизма“. თავისებურია სტილი ექსპრესიონისტების. ლაკონიური, ნაკლებ გარკვეული, ხშირად სიბნელემდის მისული — სიტყვა. პერიოდულ წინადადებებს ექსპრესიონისტული შემოქმედება არ იცნობს. აზრს ექსპრესიონისტები გამოხატავენ რალაც ლოზუნგში, ვნებიან ამოძახებაში, მოკლე წინადადებაში. მაგრამ რადგანაც ასეთ გაუგებარ ამოძახებებზე შეუძლებელია დრამატული ნაწარმოების აშენება, „მათ გვერდით — ამბობს ლუნაჩარსკი — არსებობს მეორე ელემენტი загадочная речь, которая как будто бы непосредственно должна отразить подсознательное“. კაპიტალისტური სინამდვილე წარმოადგენილია როგორც გამექანოკებული სიცოცხლე. ამას ექსპრესიონისტები გამოჰხატავენ კონსტრუქტივიზმის იდეაში. მათ შემოქმედებაში კონსტრუქცია ნიშნავს სინამდვილის აშენებას მაშინის ყაიდაზე. აქ ის უპირდაპირდება ორგანიზაციის იდეას, სადაც მოცემულია არა მექანიკური კონსტრუქცია, არამედ ორგანიული სიცოცხლე. სინამდვილის ასეთმა გაგებამ შექმნა მეორე თავისებურობა ექსპრესიონისტულ სტილში: უსიცოცხლო სქემატიზმი. კაიზერის და საზოგადოთ ყველა ექსპრესიონისტულ პიესებში მომქმედებრებათ გამოდიან: ჯარისკაცი, ქალი, მსახიობი, მამაკაცი, ბავში, დედაკაცი ნაცრის ფერში და სხ. და სხ. აქ — სამართლიანად აღნიშნავს ლუნაჩარსკი — მოცემულია არა ტიპი, ე. ი. ფართო საზოგადოებრივი მოვლენა მხატვრულათ განხორციელებული ინდივიდუალობაში, არამედ სქემა.

ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო ექსპრესიონისტული სტილის შესახებ.

მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფათ, რომ ექსპრესიონიზმს გააჩნია თავისი საკუთარი სტილი, თავისი საკუთარი მხატვრული credo, რომელიც თავის მხრივ შედგება სინამდვილის წარმოდგენის, რეალისტურ-გამეჭვანიკებული მოვლენის; სინამდვილის კონსტრუქტიული ათვისების.

მაგრამ იმის და მიუხედავად, რომ ექსპრესიონიზმი არაა მოკლებული საკუთარ ლიტერატურულ თვალსაზრისს—ის მაინც თავის ბუნებრივ სიკვდილს უახლოვდება და ამის მიზეზი კი უნდა ვეძიოთ იმ იდეოლოგიაში, რომელიც მხატვრულათ მოცემულია ექსპრესიონულ შემოქმედებაში, მაგრამ რომელიც პრინციპიალურათ მიუღებელია რევოლუციონური მუშათა კლასისათვის. ჯან-ჯაკ რუსოს იდეა მიწასთან დაბრუნების შესახებ, რომელიც იდეოლოგიურ პრწამს შეადგენს ექსპრესიონისტ მწერლებისათვის, დღეს მხოლოდ კონსერვატიული ამბავია, მაშასადამე ამ იდეას აკლია სიცოცხლე და ასეთივე შემოქმედების უნარი ნასების ფსიხიკის ორგანიზაციაზე. მხატვრული სტილი არ არის გარანტია სიცოცხლის შენარჩუნების; ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს ევროპაში თეატრის კრიზისი: უდიდესი მხატვრული თეატრები ვერ ჰპოულა ბენ მაყურებელს, იმის და მიუხედავად, რომ ყოველი დადგმა ამ თეატრში შეიძლება უდიდეს მხატვრულ სიმალღეზე იყვეს აყვანილი. ამის მიზეზი არის სწორეთ ის იდეოლოგიური სიძუნწე, რაიც ახასიათებს ევროპის თეატრების რეპერტუარს.

ამ რიგად: 1. ექსპრესიონიზმში, როგორც განსაზღვრულმა ლიტერატურულმა მიმართულებამ, თავისი საკუთარი თვალსაზრისი გაამეფა ლიტერატურულ შემოქმედებაში. ეს თვალსაზრისი ხასიათდება გაუგებარ ამოძახილებით, ლაკონიური წინადადებებით და რაც მთავარია სქემატიზმით. ეს უკანასკნელი შედგება სინამდვილის გამეჭვანიკების, ნიშნავს სინამდვილის მეჭვანიკურ კონსტრუქციას შემოქმედებაში.

2. ექსპრესიონიზმი მიუხედავად საკუთარი ლიტერატურული credo-სი თავის ბუნებრივ სიკვდილს უახლოვდება და ეს იმიტომ, რომ ეს მიმართულება იდეოლოგიურათ მიუღებელი ხდება იმ კლასისთვის, რომელსაც თავისი ესტორიული მოღვაწეობის ქვაკუთხედათ მიჩნეული აქვს კაპიტალიზმის დამხობა არა „მიწასთან დაბრუნებისათვის“, არამედ კომუნიზმის დასამყარებლათ. არა პრინციპიალურმა იდეოლოგიამ შექმნა შესაფერისი სტილი ექსპრესიონიზმში ცხოვრების მეჭვანიზაციამ უსიცოცხლო სქემების ფორმებში ჰპოვა თავისი მხატვრული გამოხატულება.

ა. ლუნაჩარსკი ხელოვნების სპეციფიურობას ჰხედავს ფორმალურ მომენტში. უარყოფა ამ მომენტის ნიშნავს ხელოვნების უარის ყოფას. „უდაო ფაქტია ის რომ წმინდა მხატვრულ და ფორმალურ პრობლემებს კოლოსალური მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ ნაწარმოებში. მათი იგნორაცია ნიშანია დაცემის და ბარბაროსობის.“ (ლუნაჩარსკი. სტატია ვილჰელმ გაუზანშტეინის შესახებ). პროლეტარულ ხელოვნებისათვის ამ პრობლემებს კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამის მიზეზი იმ გარემოებებში უნდა ვეძიოთ, რომ იქ ეს პრობლემები სრულიად დაუმუშავებელია. ცენტრალურ კომიტეტის

ცნობილ რეზოლიუციაში „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში“ ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული: „თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარ ლიტერატურული ნაწარმოებისათვის, მაშინ ეს მოუპოვებია ასეთივე განსაზღვრული პასუხები ყველა საკითხებზე სამხატვრო ფორმის შესახებ.“ ლ. ტროცკიც ანიჭებს სპეციფიურ მნიშვნელობას ხელოვნებისათვის ფორმალურ მომენტს. მეტათ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოციოლოგიური საზომის გარდა მხატვრული ფაქტის შეფასებისათვის ტროცკი აუცილებლათ სთვლის ესთეტიურ მიდგომასაც. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია მისი შეხედულება დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ შესახებ: თქმა იმისა რომ „ღვთაებრივი კომედია“ ღირებულია ჩვენთვის იმით, რომ ის გვაძლევს წარმოდგენას განსაზღვრული ეპოქის განსაზღვრული კლასის ფსიქოლოგიისას, — ნიშნავს „ღვთაებრივი კომედიის“ გადაგდებას ხელოვნების სფეროდან. თუ მე ვლაპარაკობ, რომ „ღვთაებრივი კომედიის“ მნიშვნელობა იმაშია, რომ მისი საშუალებით ვეცნობი მე განსაზღვრულ კლასების განწყობილებას გარკვეულ ეპოქაში, მით ამ ნაწარმოებს ვაქცევ ისტორიულ დოკუმენტათ, რადგანაც, როგორც მხატვრულმა ნაწარმოებმა „ღვთაებრივმა კომედიამ“ უნდა უთხრას რაიმე ჩემს საკუთარს გრძნობებსა და განწყობილებას. აი ეს არის ძირითადი იმ ურთიერთობაში, რომელიც უნდა დამყარდეს მკითხველსა და მხატვრულ ნაწარმოებს შორის.. (К вопросу о политике Р. К. П. в худ. литературе. ლ. ტროცკის სიტყვა).

ამ პრობლემაზე ორ გადახრას გაუნოციერა ნიადაგი: ფორმალისტურსა და პუბლიცისტურს. ფორმალისტები ფიქრობენ, რომ ხელოვნება სხვა არაა, გარდა „სტილისტური ხერხების ჯამისა“ (შკლოვსკი), ანალოგიურ შეხედულებას ანიჭებენ ვილჰელმ გაუზენშტაინი. „რადგანაც ხელოვნება არის ფორმა, ამიტომ ხელოვნების სოციოლოგია უნდა იყვეს ფორმის სოციოლოგია. რასაკვირველია შინაარსის სოციოლოგია შესაძლებელიც და აუცილებელიცაა, მაგრამ ეს არ იქნება ხელოვნების სპეციფიური სოციოლოგია, რადგანაც ეს უკანასკნელი შესაძლოა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ როგორც ფორმის სოციოლოგია.“ გ. შკლოვსკი უფრო გარკვევით ლაპარაკობს: „ახალი ფორმა მოდის არა იმიტომ, რომ გამოსახოს ახალი შინაარსი, არამედ იმიტომ რომ შესცვალოს ძველი ფორმა, რომელმაც უკვე დაჰკარგა თვისი მხატვრულობა.“ („Связь приемов сюжето-сложения с общими приемами стиля“). „Искусство есть способ пережить делание вещи, а сделанное в искусстве не важно“ — (შკლოვსკი. „Искусство как прием). ამავე აზრებს იმეორებს ჩვენში ბესო ედენტი. საერთოთ ფუტურისშია სწორეთ ის მიმართულება, რომელმაც თავის შემოქმედებაში ისეთი აბსოლიუტური პრიმატი გაამეფა ფორმის, რომ საბოლოო ანგარიშში მივიდა „ზაუმამდე.“

მეორე გადახრა არ სცნობს ფორმალურ მომენტს, როგორც ხელოვნების სპეციფიკას. მთავარი მხატვრულ ნაწარმოებში, ამ გადახრის თანახმად, არის

შინაარსი—შინაარსი უნდა განვითარდეს ფორმის ხარჯზე. ესთეტიური მიდგომა მხატვრულ ფაქტთან აქ პრინციპიალურადაა უარყოფილი: სოციოლოგიური საზომის აბსოლიუტურმა ღირებულებამ ამ გადახრაში კატეგორიულად შეუძლებელი გახადა მხატვრული ნაწარმოების ესთეტიური შეფასება.

როგორც პირველი გადახრა, ისე მეორეც შეუძლებლად ხდიან ხელოვნების განვითარებას, მის ისტორიას. განვითარება ორ მომენტს ჰგულისხმობს განუყოფლად: „ფორმა იჭერს შინაარსს, შინაარსი ილტვის ფორმისაკენ.“ (არისტოტელე) თუ ეს ორი მომენტი არ არის, განვითარება შეუძლებელია. მხატვრულ ფაქტში ასეთი ხელოვნური დაყოფა ფორმასა და შინაარსზე არ არის. აქ ეს ორი მომენტი მონოლიტურ მთლიანობაშია. მხოლოდ თეორეტიული მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ხელოვნური დაყოფა იმისა, რაიც ბუნებრივად მხატვრულ ნაწარმოებში განუყოფელია.

ხელოვნების სფერო ქვემცნობიერთა სფეროა (сфера подсознательных процессов). „მხატვრულ შემოქმედებაში—ლაპარაკობს ტროცკი—ქვემცნობიერი პროცესები უდიდეს როლს თამაშობენ. ეს პროცესები ნელია, ზარმაცი და ნაკლებად მოწესრიგებულია იმიტომ რომ ისინი ქვემცნობიერი არიან.“ აქ მთავარია გრძნობიერება (чувственность) განცდა, იმიტომაა ბუნებრივი რომ სწერს: „здесь организуемым материалом является чувственный элемент в противоположность условному, интеллектуальному“. აქედან ცხადია, რომ ხელოვნებამ უნდა მოგვეცეს გრძნობათა ორგანიზაცია, ადამიანის ფსიხიკის დათანწყობება (სისტემატიზაცია). როგორაა ეს შესაძლებელი?—მხოლოდ და მხოლოდ ემოციონალური მომენტით. ეს მომენტი ბუნებრივად სავსებით სამართლიანად ხელოვნების კონსტრუქტიულ პრინციპად გამოაცხადა. ემოციონალური შემოქმედება ადამიანის ფსიხიკაზე მხატვრული ფორმების საშუალებით ხდება. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემოქმედებაშია ხელოვნების ფუნქციონალური მნიშვნელობა. ამის გამო მხატვრულ ნაწარმოებსა და ავტორს შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობა. ამ ურთიერთობის ბუნებისა და ხასიათის გაგება ნიშნავს ნაწარმოების შეფასებას, როგორც იდეოლოგიური, ისე ესთეტიური მხრივ. რას წარმოადგენს ხელოვნება ფორმალისტური პოეტიკის თვალსაზრისით? როგორია პრინციპიალური არსი რეალისტური პოეტიკის? პასუხი ამ ძირითად კითხვებზე შეჰქმნის იმ ფონს, სადაც ცხადად გაიზლება ყველა ის სადაო კითხვები, რომლებიც წამოყენებულია დაწყებულ დისკუსიაში.

წინასწარ კი ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ როგორც ფორმალისტური გადახრა, სადაც ფორმის პრიმატი აბსოლიუტურ სიმაღლემდეა აყვანილი და მით შინაარსი განიავებულია, ისე პუბლიცისტური, სადაც წინააღმდეგი მდგომარეობაა ე. ი. შინაარსის განვითარების იდეა წარმოდგენილი ფორმალურ მომენტების ხარჯზე—პრინციპიალურადაა შეუძლებლად ხდიან განვითარების მთავარ პირობას: შინაარსისა და ფორმის თანასწორ ღირებულებიანობას, რაიც უდრის ხელოვნების თვითმკვლელობას. დაწვრილებით ამის შესახებ შემდეგ.



ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი

I

მხატვრული ლიტერატურა უპირველეს ყოვლისა მასსიურ განცდისათვის და მოხმარებისათვის იქმნება. შემდეგი მუშაობა ეკისრება ლიტერატურის თეორიას. როგორი ურთიერთობაც არ უნდა არსებობდეს შემოქმედსა და ამთვისებელს შორის, როგორიც არ უნდა იყოს ურთიერთ გაგების ხარისხი — ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის თეორია ეხება თვით შემოქმედების პროცესს — მხატვრული ლიტერატურის კონკრეტულ მოვლენებს და ზოგჯერ ათვისების კანონებსაც იკვლევს.

თეორეტიული აზრის შეხება, მხატვრული ფაქტების მიმართ, წარსულში და თანამედროობის განაკვეთზეც, საერთო უსისტემოებით ხასიათდება.

ერთის მხრივ ბურჟუაზიული საზოგადოებრიობის და შემოქმედების საერთო დამახასიათებელი თვისება — ინდივიდუალიზმი — მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის მთავარი ნიშანი და მიმართულების მაჩვენებელი შეიქნა. ამ ხასიათის მიმართულების კრიტიკას, ერთი საერთო აბრა მიეკუთვნება **იმპრესიონისტული კრიტიკის** სასელწოდებით.

ხელოვნების ფაქტების გვერდის ახვევა, წინასწარ აღებული მზა შეხედულების ყალიბში, ან ისტორიულ-კულტურულ ტენდენციებში გათქვეფა, არსებითათა არ უდგება ხელოვნების თეორიის ნამდვილ და მეცნიერულ კვლევას.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთ პსევდო-მარქსისტების მიერ ნაწარმოები ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პუბლიცისტური მსჯელობით ამოიწურება.

მაგრამ იმ კრიტიკულ სისტემათა სიმრავლეს, რომელსაც ადგილი აქვს ლიტერატურის და საერთოთ ხელოვნების თეორიის სფეროში, უკანასკნელ ხანში ემჩნევა სათანადო დასაბუთების მქონე ორი პრინციპიალური პოზიციის გამოაშკარავება — **ფორმალური მეთოდი** (ფორმალიზმი) და **სოციალლოგიური თეორია**, როგორც ხელოვნების კვლევის მეთოდები.

პირველი (ფორმალიზმი) უშუალოდ ემყარება, ლიტერატურის მეცნიერების — პოეტიკის კანონებს. ის მხატვრული ლიტერატურის, ყოველგვარ სოციალ-ეკონომიურ და ბიოლოგიურ განპირობებიდან დამოუკიდებელ ფაქტებს იკვლევს, როგორიც არის ლიტერატურულ ფაქტების შინაგანი, მორფოლოგიური კანონ-შეზომილება და ცვალებადობა, ანუ ლიტერატურის სპეციფიკა.

მაგრამ ფორმალური მეთოდი აქ ჰკვეცავს თავის ანალიტიურ უნარს და

როგორც შემეცნების მთლიანობის გარეშე დარჩენის მასობრივ თეორია, მოკლებული რჩება ყოველგვარ სინთეტიურ დასკვნებს.

მეორე—სოციოლოგიაში, რომელიც მარქსიზმის მემორიალურ ხელმძღვანელობს, არ უარყოფს პოეტიკის მონაპოვარს, ლიტერატურულ სფეროში სპეციფიურ კვლევის სფეროში და ახდენს თვით ამ ფაქტების სოციოლოგიურ დასაბუთებას. ამისთვის ის მხატვრულ ნაწარმოების არსებობას და განვითარებას ხსნის გარეშე კაუზალური ურთიერთობის აღმოჩენით. აქ ლიტერატურის შინაგანი მორფოლოგიური აგებულობა, ფუნქციონალურ გამართლებას პოულობს, სოციალ-ეკონომიურ და მთლიან გარემოებასთან.

პოეტიკას ე. წ. იმ დისციპლინას, რომელსაც სრული პრეტენზია აქვს ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერება ეწოდოს, თავიდანვე ახასიათებდა განუწყვეტელი მეთოდოლოგიური ძიება. მაგრამ ამის მიუხედავად ერთიანი მეთოდოლოგიური სისტემა ჯერჯერობით არ შექმნილა.

ლიტერატურის მეცნიერება, რამოდენიმედ ენათ-მეცნიერების სფეროში თავსდება. ყოველ შემთხვევაში პრინციპიალური, მეთოდოლოგიური განსხვავება ამ ორ მეცნიერულ დისციპლინებს შორის არ არსებობს. გარდა იმისა რომ ლინგვისტიკა მთლიანად ენებრივ ფაქტებს იხილავს და პოეტიკა კი სტილისტიურ სისტემებს და მხატვრულ განსახიერების კანონებს ეხება.

ლიტერატურული ფაქტების განხილვა, მის სტატიურ გაკვეთაში, ე. ი. ის თეორეტიული განხილვა, რომელსაც ლიტერატურულ ნაწარმოებთან აღნაგობის ზოგადი ანალიზი იძლევა, თეორეტიულ პოეტიკის ფუნქციაში შედის.

მაგრამ ამ მხატვრული განსახიერების კანონთა წარმოშობა-განვითარების ანუ ლიტერატურულ შკოლების და სტილების ურთიერთ შენაცვლევების და ლიტერატურულ ტრადიციის და ლიტერატურულ სიხლის პრობლემებს ისტორიული პოეტიკა არკვევს, რომელიც ლიტერატურის ისტორიის კონკრეტულ დანიშნულებამდე მიდის.

II

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ფორმალურ შკოლის მთავარი წარმომადგენელი (შკლოვსკი, ეიხენბაუმი, ჟირმუნსკი და სხ.) განსაკუთრებული გაბრუნებით იცავენ ლიტერატურის მეცნიერების დამოუკიდებელ და სპეციალურ დისციპლინათ გამოყოფას: სადაც განხილვის ობიექტი ლიტერატურის სპეციფიურ მოვლენებს ემთხვევა. ამ სპეციფიურ მოვლენას ანუ ლიტერატურის მეცნიერების შესწავლის საგანს, ფორმა წარმოადგენს, რომლის გარეშე ხელოვნება არ არსებობს. (იხ. В. Епхелбаум „Вокруг вопроса о формах“). ამგვარად ფორმალური შკოლის შეხედულებით ლიტერატურის მეცნიერების მეთოდი, გამომუშავებულ უნდა იქნას ხელოვნების სპეციფიურ მოვლენის ანუ ფორმის შესწავლის თვალსაზრისით, ამისათვის საჭიროა ლიტერატურის მეცნიერების სპეციალ დისციპლინათ აღიარება, მისი სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება, რომელიც შესძლებს ლიტერატურულ ფაქტების კლასიფიკაცია უყოს და ლიტერატურულ ევოლიუციაში მიუჩინოს თავისი მორფოლოგიური ადგილი.

ლიტერატურულ ფაქტების გაჩენა და განვითარება ემორჩილება, ლიტერატურის შიგნითვე არსებულ მიზეზობრივ ურთიერთობას და არცერთი შეხვედრის წერტილი არ მოინახება რეალურ სინამდვილესთან, უფრო მეტად ხელოვნების, ხერხის და კულტურულ გარესკნელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. არსებობს ხელოვნების თავისებურება, ფორმა და მეცნიერებაც ლიტერატურის შესახებ ფორმის ანალიზიდან უნდა გამოდიოდეს, ამბობენ ფორმალისტები.

ფორმალურ შკოლის მეთოდოლოგიური ორიგინალობა მასში გამოიხატა, რომ ლიტერატურული ფაქტი, იგივე მხატვრული ნაწარმოები, ორი ფაქტორის მასალა და ხერხის მოცემულობათ დაყვას, რომელთაც თავისთავადი ღირებულება და დამოუკიდებელი განვითარების კანონები მიაკუთვნეს. მასალა და ხერხი, ამ შემთხვევაში მთლიანად ლიტერატურულ ფორმის ცნებას ემთხვევა.

რა ჩაითვლება პოეზიის მასალათ?

უპირველეს ყოვლისა სიტყვა. სიტყვა როგორც ლიტერატურული ფაქტის საშენი მასალა.

შინაარსს და პოეტურ თემატიკას ფორმალისტები მასალის ცნებაშივე ათავსებენ.

ხერხი კი არის სიტყვიერ მასხების ორგანიზაციულ ყალიბობის, ან მხატვრული განსახიერების საშუალება. ეს უდრის შემოქმედების პროცესს ანუ ლიტერატურულ ფაქტის გაჩენას.

ფორმალური მეთოდი ძირითადად სცვლის შეხედულებას ლიტერატურულ ფაქტის ფორმის დი შინაარსის შესახებ. ხელოვნურ ნაწარმოების ფორმათ და შინაარსათ დაყოფა პირობითია, ამბობენ ფორმალისტები. ნამდვილ მეცნიერულ კვლევას კი იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ისინი ერთ ესთეტიურ ობიექტში არიან გაერთიანებული. ყოველი ახალი შინაარსი აუცილებლათ გამოჩნდება ხელოვნებაში, როგორც ფორმა: შინაარსი რომელიც ფორმაში გამოსახულებას ვერ იპოვის, ხელოვნებაში არ არსებობს. (იხ. В. Жирмунский «задачи поэтики») ფორმა და შინაარსათ დაყოფა ესთეტიურ და არაესთეტიურ ფაქტებს განასხვავებს, მაშინ როდესაც მასალათ და ხერხათ დანაწილება, ხელოვნურ ნაწარმოების არსებით, სპეციფიურ მხარეს გულისხმობს.

შკლოვსკი არღვევს პოტებნიას ფსიხოლოგიურ პოეტიკას (იხ. сборник «поэтика» 1916 წ.), რომელიც ემყარებოდა ხელოვნების გაგებაზე, როგორც „სახეების საშუალებით აზროვნება“. წინააღმდეგ ის აყენებს პოეტიკის ახალ პრინციპს და განხილვის ობიექტს: ხელოვნება როგორც ხერხი... „...“თუ მეცნიერებას ლიტერატურის შესახებ, მეცნიერებათ სურს გახდეს, ის იძულებულია ამბობს იაკობსონი კ „ხერხი“ აღიაროს თავის ერთათ ერთ გმირათ (იხ. Якобсон «нов. русская поэзия»).

პოტებნია მხატვრულ ნაწარმოებს სამ ელემენტათ ჰყოფდა 1) გარეგანი ფორმა (ბგერა-რიტმი), 2) შინაგანი ფორმა (სახე) და 3) შინაარსი და იდეა. ამათში პოტებნია გადააწონ მნიშვნელობას აკუთვნებდა შინაგან ფორმას—სახეს და პოეტურობის მთავარ მნიშვნელათ სახეებას (образность) მოვლენას სთვლი-

და. სიტყვას სიმბოლიურობის თვისება ახასიათებს, ე. ი. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ნივთებთან დაკავშირებით, ახალ მნიშვნელობებს იძენს. ეს უღრის პოეზიის შინაგან ფორმის—სახის თვისებას და პოეტური ფუნქციის პოეტუკას სახის საფუძველზე აშენებდა.

ფორმალისში ამტკიცებს: სახეები ყოველთვის სუბიექტური არიან და დამოკიდებული ამთვისებლის განწყობილებაზე. ამიტომ სახე არ ჩაითვლება პოეტურ ენის მთავარ დამახასიათებელ თვისებათ. შეიძლება დაუშვათ რომ, პოეტური სახე, ერთერთი საშუალებათაგანია პოეტურ ენის შესაქმნელათ; მაგრამ რაც მთავარია და რაც განასხვავებს პოეტურ ენას პრაქტიკულ ენიდან, ეს იმაში მდგომარეობს, რომ პოეტურ ენის აგება შესაგრძობი დანიშნულებით ხდება. (ощутимость построения).

მათ ათვისების მოვლენების ანალიზიდან გამოყავთ შემდეგი მოსაზრება, რომ როდესაც ჩვენი მოქმედებანი და შეგრძობანი ჩვეულებრივი ხდებიან, მაშინ ისინი ჩვენთვის შეუმჩნეველი, ავტომატიური და შეუგრძობელი არიან.

... მაგრამ ცხოვრების შეგრძობა რომ დავიბრუნოთ, ვიგრძნოთ ნივთი, შევიგრძნოთ რომ ქვა გაკეთებულია ქვისგან, ამისათვის არსებობს ის, რასაც ხელოვნება ეწოდება. ხელოვნების მიზანს შეიცავს ნივთის შეგრძობა, შეხედვა მოგვცეს და არა ცნობა... ამიტომ ხელოვნების ხერხი არის ნივთების გაუნცაურების ხერხი. (прием остраения). იხ. В. Шкловский "искусство как прием".

პოეტურ ენაში შესაგრძობი შეიძლება შეიქნეს „სიტყვის აკუსტიური ან გამოთქმითი ან სემანტიური მხარე“ და ათვისების ავტომატიზმიდან გამოსაყვანათ, საჭიროა პოეტურ ნაწარმოების ისე აგება, რომ შესაგრძობი და ასათვისებელი გახდეს. მაშინ ხერხის მიზანიც მიღწეული იქნება.

ჩვეულებრივ ასოციაციების რიგიდან უნდა ამოვავლოთ ნივთი, უნდა შემოვებრუნოთ როგორც ცეცხლში შეშის ღერი... ნივთები ყოველთვის უჯანკდებიან პოეტებს, იშორებენ ძველ სახელს და ახალ სახელთან ერთათ, ახალ სახეს იღებენ... ახალი სიტყვა საგანზე ისე ჩანს, როგორც ახალი ტანსაცმელი: ეს ერთერთი საშუალებაა რომ საგანი შესაგრძობი შეიქნას.* (იხ. Шкловский „строение рассказа и романа.“)

ამგვართ შკლოვსკი ცდილობს ახალი „მეცნიერული პოეტიკა“ ხერხის პრინციპზე აავოს. მაგრამ პოეტებისას შკოლასთან პოლემიკური მიზნით, პოეზიის მეცნიერების საფუძველათ გულისხმობს მხოლოთ გარეგან ფორმას—ბგერა—რიტმის მოვლენებს. შეიძლება ამ ტენდენციურობის მიზეზი, ისიც იყოს რომ, ფორმალურ შკოლის თეორეტიკოსები და პოეტურ ენის შემსწავლელი საზოგადოება (ОШЯЗ И) ატმოსფერულათ იყო დაკავშირებული რუსული ფუტურიზმის პრაქტიკასთან. რის გამოც ყოველმხრივი დასაბუთება ერგო ე. წ. „ზაუმურ ენის“ პრობლემას. (იხ. შკლოვსკის და არვატოვის წერილები.).

თეორეტიული პოეტიკის გასაღების მონაბვის შემდეგ, ისინი გადადიან ისტორიულ პოეტიკის სფეროში ე. ი. როდესაც კვლევის პირდაპირ დანიშნულებას შეიცავს, მხატვრულ ხერხის თუ ხერხების კომპლექსის ისტორიულ საწყისის და განვითარების გამორკვევა.

ისტორიული პოეტიკის პრობლემას უმთავრესათ „გაუცნობების“ ხერხის ფორმულა განსაზღვრავს. ეს კი ლიტერატურულ ფაქტების დიალექტიკის ცნებას იტევს. ყოველი ახალი ლიტერატურული ფაქტი, ახალი *„ხერხი“* შენდება, რომელიც ძველის შენაცვლით გამოდის.

ამ გაგებით ყოველი ლიტერატურული კონსერვატიზმი და რევოლუციაც, რომელიც ზოგადათ ლიტერატურულ შკოლების და ჯგუფების ბრძოლაში გამოიხატება, მთლიანათ ლიტერატურულ ფორმების ევოლუციას ემთხვევა და ისტორიულ პოეტიკის კვლევის სფეროში შედის.

უფრო კონკრეტულათ:

განსაზღვრულ მხატვრული ხერხების კომპლექსი ქმედების უნარს ჰკარგავს. მასსიურათ გაფრცელების შემდეგ, უკვე ძველდება და ავტომატიურობაში გადასული, შემეცნების ყურადღებას არ იპყრობს. მაშინ დიალექტიურათ აღიძვრება განსაზღვრული ხერხის თუ ხერხთა კომპლექსის წინააღმდეგობა, რომელიც ნახმარ ხერხების კანონს უარყოფს და თავის ლიტერატურულ ნორმებს აწესებს. ამის შემდეგ ახალი წინააღმდეგობანი იჩენენ თავს: შემოქმედების ახალი მეთოდები. ეს კი სრულიათ გამოიხატავს ლიტერატურულ ევოლუციის დიალექტიურ პროცესს.

„ხელოვნება თავისი ტრადიციების დაწინის და დაპირისპირების ნიადაგზე ცხოვრობს, რომელთა განვითარება და სახეცვლილება, კონტრასტის, პარადიულობის, აღრევის და ძვრის პრინციპებით სწარმოებს. არავითარი მიზეზობრივი კავშირი, „ცხოვრებასთან“, ან „ტემპერამენტთან“ და ან „ფსიხოლოგიასთან“ მას არა აქვს. („იხ. В. Еяхенбаум. сквозь литературу“).

ფორმალისში მხატვრული ევოლუციის ფაქტებს თვით ხელოვნებაშივე არსებულ იმანენტურ ფაქტორებით ხსნის.

ამგვარათ ჩვენ ხელშესახები გავხადეთ ფორმალურ მეთოდის მთავარი პრინციპიალური დებულებანი: 1) ლიტერატურის მეცნიერების დამოუკიდებელ დისციპლინათ ჩამოყალიბების ცდა, რომელსაც ყოველგვარ მოსაზღვრე სფეროების და სოციოლოგიურ ექვივალენტის გარეშე მყოფი, კონკრეტულ პრობლემების სფერო მიეკუთვნება, 2) მხატვრულ ფაქტის კონსტრუქტიულ ნიშნათ ხერხის აღიარება და 3) ლიტერატურულ ევოლუციის მხოლოთ საკუთარ თვითმყოფად (самодовлеющий) კანონებით ახსნა.

ჩვენ ქვევით შევეხებით თუ რამდენათ მართებულია, ფორმალურ მეთოდის ამ მთავარ პრინციპების მიხედვით მეცნიერულ პოეტიკის ამოცანების განსაზღვრა. შემდეგ: როგორ ურთიერთობაში არის და შეიძლება იყოს, მარქსისმის მეთოდოლოგიური გაგება, ფორმალურ მეთოდის თეორეტიულ საფუძვლების მიზართ და რამდენათ გამოიყენებს ფორმალისმს, ხელოვნების კვლევის დიალექტიური-მატერიალისტური მეთოდი.

III

ფორმალისმის მეთოდოლოგიური სივიწროე, სწორეთ იმაში მდგომარეობს, როცა ის ლიტერატურის მეცნიერების მეთოდის დანიშნულებას, საზო-

გადოებრივ ურთიერთობით გამოვლენილ ყოველგვარ მსოფლმხედველობითი კარნახიდან მიჯნავს. ეს მაშინ როდესაც თვითონ ფორმალიზმის მეთოდოლოგიური ძიება, შეიძლება მის და შეუვანებლათ ე. წ. ფორმალურ მსოფლმხედველობას ანვითარებს, რომელიც მინავალ კლასის, ბუჩუკაშვილის რეაქციონურ აზროვნების და მისწრაფების ექვივალენტია.

ფაქტია რომ, ე. წ. იდეოლოგიურ ზედნაშენების მეცნიერული კლასიფიკაცია, ყოველ მეცნიერებისთვის, საკუთარ კონკრეტულ პრობლემების სფეროს გულისხმობს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, მეცნიერების ობიექტის შინაგანი კანონზებომილება და სპეციფიური მოვლენები, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სხეულის კანონებით აიხსნას, დამოუკიდებელი ყოველგვარ მოსაზღვრე, ან ძირითად განპირობებიდან, რომელნიც საზოგადოებრივ ეკონომიურ მოვლენების მთლიანობას შეიცავენ.

ფორმალიზმი კი სწორედ ლიტერატურის მეცნიერების აბსოლიუტურათ გამოცალკევების მოთხოვნილებას აყენებს. ამ მხრივ სამართლიანია მარქსისტ-ლენინისტების (ბუხარინის, ტროცკის და სხვ.) მიერ ფორმალიზმის წინააღმდეგ მიმართული დასაბუთება, სადაც ისინი, რელიგიის, უფლების, ეთიკის და სხვ. სფეროებთან პარალელის გატარებით ამტკიცებენ ფორმალიზმის, როგორც მეცნიერულ მეთოდის მეტაფიზიკურ სარჩულს და რეაქციონურ მნიშვნელობას.

ფორმალური მეთოდი ცდილობს ლიტერატურის მეცნიერების საგანის (შხატვრული ფაქტის) დამოუკიდებელი ბუნება, დამოუკიდებელ სუბსტანციით გამოაცხადოს. ამით უკვე ის იდეოლოგიურ ზედნაშენის, ანუ ფუნქციონალურ მოვლენის, სათანადო მეცნიერულ ახსნას სპობს და მეცნიერულ დისციპლინისთვის აბსოლიუტის კანონს აღიარებს.

ლიტერატურული ფაქტი უპირველეს ყოვლისა სოციალური მოვლენა არის. ყოველი შემოქმედება ამთვისებელს გულისხმობს. ამთვისებულის კრიზისი ახალი ლიტერატურული ფაქტის გაჩენას იწვევს. პოეტს, ლიტერატურულ ფაქტის შინაარსობრივ—თემატიურ მასალას თავისი სოციალური ჯგუფი უკარნახებს. პოეტი შემოქმედებით თავის სოციალურ ჯგუფს ემსახურება. მაგრამ ამავდროს ცხადია რომ, სპეციფიური მნიშვნელობა ამ მასალის შხატვრულ განხახიერებას ეძლევა. ეს კი პოეტის ოსტატობის და უნარის საქმეა.

ამიტომ პოეზიის მეცნიერების ამოცანები, ამ ორი მიმდევრო მომენტის სათანადო აღწერაში და შეფასებაში მდგომარეობს.

ფორმალურ მეთოდის მიერ აღმოჩენილი „გაუცნაურების“ ხერხი ეს ჩვენი უაღრესათ მანქანურ და ინდუსტრიულ კულტურის დინამიკის წარმოებულა. შკლოვსკიც აღიარებს რომ „ნივთები გარდაქმნიან ადამიანებსო“. (ЗОО ИЛИ „ШИШЬМА НЕ О ЛЮДВИ“). ეპოქის დინამიკა, რომელიც ნივთეულ კულტურის ერთერთი ტენიკური კოეფიციენტი, იდეოლოგიის იმ ტიპზედაც ვრცელდება, რომელსაც ხელოვნება ეწოდება.

მიუხედავათ იმისა რომ, შკლოვსკი გონება-მანვილათ ერკვევა, ხელოვნების და ლიტერატურის სპეციფიურ პრობლემების რიგში, მიკროსკოპიულათ იხილავს ლიტერატურულ დეტალს, ააშკარავებს ნივთების ტაქტილიურ ზეგავ-

ლენას. ფსიქიკაზე, ამის მიუხედავად ის მაინც ნაპირა „მოსაზრებებს“ ეთმობა:

„ხელოვნება ყოველთვის თავისუფალია ცხოვრებიდან და მისი ფერის მიხედვით, ქალაქის სიმაგრეზე დაკიდებულ დროშის ფერისაა. არ იცნობაო“. ის ოდნავადაც არ ცდილობს, ხელოვნების ხერხის მოვლენებს და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ფაქტორებს შორის რაიმე მიხეზობრივი კავშირი მონახოს, რომელიც ლიტერატურულ ფაქტის კვლევის პორიზონტს უფრო გაათართოვებდეს.

თვითონ ფორმალისტების წრეშიაც გამოჩნდნ რევიზიონისტები, რომელნიც ფორმალურ მეთოდს ფორმალისტურ მსოფლმხედველობათ გადაქცევაში ბრალს დებენ. (იხ. O. Валцель „проблеми формы в поэзии“. ჟირმურსკის წინასიტყვაობა). მართალია ჟირმუნსკი ცდილობს შესწორება შეიტანოს შეკლავსკი. ეიხენბაუმის თეორეტიულ მოსაზრებებში და ლიტერატურულ ფაქტის შექმნის პროცესზე, გარეშე კულტურული გარესკნელის გავლენა აღიაროს, აგრეთვე დაუშვას რომ, გარდა წმინდა მორფოლოგიური კვლევისა, შესაძლოა ფსიხოლოგიური, სოციალოგიური და სხვა მიდგომანი, მაგრამ ჟირმუნსკი როგორც არა მარქსისტი, თავის რევიზიონიზმით ახალ ნაპრალს აჩენს. ის კულტურული გარესკნელის ბუნების, განსაზღვრული ეპოქის „მოლიან სასიცოცხლო სწრაფვას“ (elan vitae) უჭოლებს, რომელიც თითქოს უნდა განაპირობებდეს ლიტერატურულ ფაქტის ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ლიტერატურული ფაქტი მატერიალისტური სოციოლოგიის შეფასების გარეშე დარჩენილი, თავის ირგვლივ ახალ მეტაფიზიკურ სიმაგრეს იშენებს და კიდევ უფრო ბნელდება ლიტერატურის მეცნიერების კვლევის საგანი.

ფორმალიზმის ნეთოდოლოგიური პლიუსი სწორეთ იქარის, სადაც ის შემოქმედების „საიდუმლო“ პროცესს ფარდას ხდის, ყოველგვარ მისტიურ ტანსაცმელიდან აშიწვლებს და მეცნიერების ორიენტაცია ლიტერატურულ ფაქტის ძვლებამდე დაყავს, რაც მხატვრულ ნაწარმოების მასალის და მის დამმუშავებულ ხერხების, ანუ ფორმის სტრუქტურას უდრის, რომელიც თავის მოცულობაში პოეტურ ენის ფონეტიურ, —სინტაქსიურ—სემანტიურ და კომპოზიციურ ხერხებს გულისხმობს. ყველა ეს კი ერთ სტილიურ მთლიანობაში აღებული, ემოციონალური ზედ-მოქმედებისთვის მოცემული ფაქტია ¹⁾.

მაგრამ შემცდარია ფორმალიზმი იქ სადაც ამტკიცებს რომ, თითქოს იდეოლოგიურ ორიენტაციას, მისივე ტერმინოლოგიით შინაარსობრივ-თემატიურ

1) ზოგი ფორმალურ მეთოდსა და ერთერთი ფონეტიკურ ხერხის, ე. წ. „ზაუმის“ მოვლენას შორის იგივეობის ნიშანს უსვამს. (იხ. „მნათობი“ №(18) ამხ. დუდუჩავას წერილი „ფორმალიზმი ხელოვნებაში“). ეს კი ჩვენი შეხედულებით შეცდომა არის. ფორმალიზმი ჩვენ უნდა შევაფასოთ, როგორც ლიტერატურის მეცნიერების (პოეტიკის) მეთოდოლოგიური მოვლენა. რაც ვხვება ერთად „ზაუმის“ მხატვრულ ღირებულებას, ეს სხვა საკითხია ყოველ შემთხვევაში „ზაუმის“ მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს, სიტყვის დამმუშავების ერთ-ერთ ლაბორატორიულ ნიმუშად, მაგრამ „ზაუმის“ თვითადი ღირებულების აღიარება, როგორც პოეტურ ენის „ფონეტიურ ზღვარის“ თვითმიზანი, მიუღებელია. მაგრამ ლაბორატორიული ნაუმი იმდენათ მისაღებია, რამდენათ ამას აუცილებელი მნიშვნელობა აქვს ენის კულტურისათვის.

დ. რ.

მასალას, არავითარი გავლენა არ ქონდეს მხატვრული ხერხების გაჩენა-განვითარებაზე. მაშინ როდესაც არსებობენ სოციალურათ განპირობებული თემები, რომელნიც ძირითადად განსაზღვრავენ პოეტის შემოქმედების საზღვრებს.

მაშასადამე აქ საკითხი ისმება თუ როგორი გავლენა აქვს ფორმაზე სოციალურ პირობებს, მაგრამ ისიც უნდა ვიგულისხმოთ რომ, ფორმას საკუთარი სხეულის სპეციფიურობა ახასიათებს.

მხატვრული ევოლუციის ასახსნელათ, რომელიც ისტორიული პოეტიკის კვლევის სფეროში შედის, ფორმალური მეთოდი იგივე შეცდომებს უშვებს, როგორც თეორეტიულ პოეტიკის ამოცანების გარკვევის დროს აღვნიშნეთ.

ლიტერატურული ფაქტები იცვლება, მაგრამ ეს ცვალებადობა დამოუკიდებელ რიგში სწარმოებს, როგორც საკუთარ სხეულში მოძრაობა.

ამ გაგებით ნეკრასოვის პოეზია ისტორიულათ პუშკინის კანონის უარყოფით აიხსნება. ფორმალისტების აზრით პოეზიის განვითარება, ლიტერატურულ რიგის გარეშე მოტივებით არ წარმართება. ეს მაშინ როდესაც ნეკრასოვის ლიტერატურულ ხერხებს ორგანიული კავშირი აქვს მაშინდელ ხალხოსნურ ეპოქის სამოქალაქო მოტივებთან. ეს კი ლიტერატურულათ გამოისახა როგორც პუშკინის მაღალ პოეტურ ენის დაწვევა პრაქტიკულ ენის დონემდე.

ლიტერატურული შკოლები და ჟანრები იცვლებიან. სიმბოლიზმის ლიტერატურულ კოდექს არღვევს ფუტურიზმის მიმართულება. ამავე დროს ეს ლიტერატურული ცვლილებები, ძირეულათ დაკავშირებულია, სოციალურ-კულტურულ ცვლასთან, რომელიც თავის მხრივ ეკონომიურ ფაქტორზე და საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე არის დამოკიდებული. თუმცა ხელოვნურ ფაქტებს და ძირეულ საფუძვლებს შორის ურთიერთობის გამოკვეთვა სოციოლოგიურ ანალიზის სირთულეს ეკუთვნის.

განა შეიძლება ლიტერატურულ თაობების ბრძოლა არსებობისთვის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების გარეშე გამოვაცხადოთ? მაგალითი:

„моя поэзия здесь не нужна
да и пожалуй сам я здесь не нужен“

ს. ესენინი.

„и хорошо у нас в стране советов
можно жить работать можно дружно.“

ვლ. მაიაკოვსკი.

განა შეიძლება ამ ორი ლიტერატურული ფაქტის შეფასებისათვის მხოლოდ მორფოლოგიური ანალიზით დაკმაყოფილება, მაშინ როდესაც ერთ და იმავე ტერიტორიაზე მცხოვრები, სოციალურ მდგომარეობით განსხვავებული ორი პოეტი, ერთი ფიზიკურათ თავს იკლავს და მეორე საბჭოთა კავშირის მხატვრული გემოვნების დიქტატორათ აცხადებს თავს?

ყოველ ლიტერატურულ შკოლას აქვს თავისი შემოკლებითი მეთოდი ანუ მხატვრულ ხერხების კომპლექსი, რომელითაც ის დიალექტიურ წინააღმდეგობას უწევს წინამავალ ლიტერატურულ ფაქტებს.

მაშასადამე მხატვრული ფაქტის ევოლუციის ასახსნელათ პირველ რიგში, დიალექტიურ განვითარების გასწვრივ, მისი მორფოლოგიური სტრუქტურა უნდა გამოირკვეს.

მაგრამ ამავე დროს ლიტერატურული ფაქტის სრული გამოკვლევისთვის თანაბარ მნიშვნელობის მოთხოვნილებას წარმოადგენს სოციოლოგიურ ექვივალენტის დაყენება, სადაც პოეზიის იმანენტურ ფაქტებს, მატერიალისტურ სოციოლოგიის ფართო ანალიზი მთლიანათ ამოსწურავს, როგორც ლიტერატურის მეცნიერების ობიექტს.

ნამდვილათ ასე შეიძლება ფორმალიზმის გამოყენება, მარქსიზმის მეთოდოლოგიურ აუცილებლობასთან შეფარდებით, როდესაც ლიტერატურული ფაქტი სრულ აბსნას პოულობს.

ამ მიზნით რევოლუციონური ახალი მწერლობის (რამ-ის) დეკლარაციაში წამოყენებული იყო ხელოვნების კვლევის დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი.

„20“ ხელოვნების ფაქტების და მისი ისტორიული განვითარების შეფასება, დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდით, რომელიც იტევს როგორც თეორეტიულ, ისე ისტორიულ (მორფოლოგია) პოეტიკებს.“

(იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1926 წ. მარტი, № 67).

ფორმალური მეთოდი მხატვრულ ნაწარმოებში განმსოლოებული მასალის და კონსტრუქციის (ხერხის) მოვლენებს იკვლევს. ეს არ არის საკმაო.

სოციალური მოხმარება განსაზღვრავს, მხატვრული კონსტრუქციის მოთხოვნილებას. ლიტერატურის მეცნიერების მეთოდმაც, ეს ორი მომენტი უნდა აღნუსხოს სათანადო დასკვნებისთვის.

დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი იკვლევს, როგორც მხატვრულ ხერხების იმანენტურ ფაქტს (მორფოლოგია), ისე ამ ფაქტის სოციალურ განპირობების და დანიშნულების პრობლემებს.



ქართველთა
წიგნწერის
კავშირისთვის

კვლავითი გათოღის უსახებ ლიტერატურაში

ვ. კოტეტიშვილმა თავის წიგნში „ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ. დღევანდლამდე“ სცადა „ახალი კუთხით მისვლა სალიტერატურო კვლევა-ძიების განხილვისადმი“. ის სწერს, რომ მან „დიდი სიფრთხილით და შიშით აღძრა ისეთი საკითხი, როგორც არის ლიტერატურის მეცნიერების მეტოდოლოგიური მხარე“. ყოველი ახალი გამოკვლევის ღირებულება განიზო-მება იმით, არის თუ არა ნაჩვენები სწორი გზა კვლევისა, მიუხედავად „ახალი კუთხით მისვლისა“.

ბირადად ჩვენთვის მნიშვნელოვანია „შეხავალი“; განზრახვა გვაქვს შევა-ჩიროთ მკითხველის ყურადღება შრომის ამ ნაწილზე, რადგან ავტორის, რო-გორც მკვლევარის, ყრბი სწორედ აქ არის მოცემული.

რა არის ლიტერატურა? აი ძირითადი საკითხი; ავტორი აღნიშნავს ამ ცნების გარკვევის სიძნელეს, რაც გამოწვეული იყო, მისი აზრით, იმით, რომ ეს სიტყვა სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა აზრით იხმარებოდა; მას სურს თავიდან აიცილოს „მოქანავე“ ცნება და მიმართოს საკითხის სწორ ლოგიურ გადაწყვეტას. ავტორი ურიგდება ამ პრობლემის ირგვლივ არსებულ ცნებათა აოფე-დარევას და გვაძლევს განმარტებას იმისას, თუ რა არის სიტყვიერება, მწერლობა, ლიტერატურა; ის ეძებს იმ პრინციპს, რომელიც მტკიცედ შემო-ფარგლავს „სიტყვიერ თხზულების ყველა ფორმებს“, შემდეგ ეძებს ფაქტების იმ რიგს, რომელნიც შესწავლის ობიექტად უნდა იქცეს, ავტორი აღიარებს, რომ ეს ცნება (ლიტერატურა) საზღვრებ შემოუხაზავია და ამას ამბობს მიუ-ხედავად იმისა, რომ ქვევით ის სავსებით შემოფარგლავს ლიტერატურის საზ-ღვრებს.

უნდა აღვნიშნოთ და ამას მკითხველიც შეამჩნევს, რომ ის არეგ-დარევა, რომელიც ლიტერატურის შესახებ მის ცნობიერებაში შეიქმნა, უსაფუძვლოდ ის თვით მეცნიერებას მიაწერს. ცხადია, არავინ არ გაიზიარებს იმ მსჯელო-ბას, რომელიც გაშალა ავტორმა ლიტერატურის შესახებ. მან არ იცის გარ-კვეულად რას დაეყრდნოს სალიტერატურო განხილვის მასალის შერჩევაში— ფორმას თუ შინაარსს; ერთ შემთხვევაში ის უპირატესობას ფორმას აძლევს, იმავე დროს მას სურს გამოყოს სპეციალური ფაქტები, მოვლენები, ესე იგი გულისხმობს შინაარსს; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ავტორი ვერ მონახავს ვერც ურყევ ფორმებს და ვერც ფაქტებს და ეს საქროც არაა—ჰუმანურ მეცნიე-რებათა სფეროში არ არსებობს ასეთი მტკიცე, ურყევი საზღვარი, რადგან აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა მასალას კი არა აქვს, არამედ მკვლევარის მიერ აღებულ თვალსაზრისს, რომლითაც ის ამა თუ იმ მასალის განხილვას უდგება. ერთი და იგივე მასალა მრავალმხრივ განიხილება და შეისწავლება; სალიტე-რატურო კვლევა-ძიება ან განხილვა იქნება ისეთი, რომელიც სპეციალურ სა-

ლიტერატურო საკითხებს წამოაყენებს; ცხადია, მეცნიერულ ლიტერატურულ კვლევა-ძიების არსებობა თვით მკვლევარის მიმართებაზეა და მკვლევარის სუბიექტიურად და ობიექტიურად იმ მეტოდის მართებულობაზე, რომელიც ამ მეცნიერების შინაბუნებას ეგუება, მას ანვითარებს და მის არსებობას ამართლებს. ამაზეა ავტორი გვიპასუხებს, რომ მთავარი მხატვრული ნაწარმოებია, აღნიშნავს უთუოდ ასეთ ნაწარმოების სპეციფიურ თვისებებსაც, რა თქმა უნდა ეს შესაძლებელია, ეს საგანია სალიტერატურო კრიტიკისათვის, ხოლო მეცნიერულ კვლევისათვის ეს ძირითადი არ არის და უმნიშვნელოვანია. ცხადია, ეს უკანასკნელი უფრო ფართოდ სვამს საკითხს და ურყევ ფარგლებით თავის კვლევის გზას არ ზღუდავს.

სალიტერატურო ცნებათა მართებულ გარკვევისათვის ავტორი პირდაპირ გადადის სიტყვიერების, მწერლობის, ლიტერატურის განმარტებაზე; ასეთი თანამიმდევრობა, მისი აზრით, გამართლებულია თვით განვითარების ბუნებრივ მსუღელობით და აგრეთვე იმით, რომ მათ შორის არსებობს განსხვავება, განვითარების მომენტებით განსაზღვრული. ჩვენ უნდა ვთქვათ გადაჭრილად, რომ ასეთ განსაზღვრას სასკოლო ხასიათი აქვს და მიუღებელია; ეს ერთგვარი სქოლასტიზმიც არის. ავტორი ამბობს რომ „სიტყვიერება არის შემოქმედების უძველესი ფორმა“; გაუგებარია, რა სახის სიტყვიერებაზეა აქ ლაპარაკი; ის სიტყვიერება, რომელსაც თვით ავტორი მხედველობაში იღებს (ხეპირი), მის მიერ არჩეულ პრინციპს მასალის შერჩევისას არ ეგუება, აქ ძალიან ნაკლები იყო „მხატვრობა“. მაგრამ ავტორი ლაპარაკობს „მრავალ საუკუნეან ეპოსზე“ და ამტკიცებს, რომ ეს არის შემოქმედების უძველესი ფორმა. ამის შესახებ უკანადაც უნდა გავიხიაროთ ის ეხლა საკმაოდ ცნობილი დებულება, რომ ეპოსი მისი წმინდა სახით არ არის „უძველესი“ ფორმა ხალხურ პოეზიისა; წინედ ამ აზრს გულუბრყვილოდ 60 წლების მითოლოგები ამტკიცებდნენ, ხოლო ამ მითოლოგების შეხედულების ჩვენ დროში განმეორება, როდესაც სავსებით აღდგენილია პირველ ყოფილ შემოქმედების ხასიათი (ლეტურნო, ბიუხერი, გროსსე), ერთგვარი ჩამორჩენილობაა — იდლიურ-იდეალისტური შეხედულება ხალხურ შემოქმედებაზე უკვე გაქარწყლებულია. სიტყვიერების უძველესი ფორმა არ იყო ეპოსი; ეს უკანასკნელი ხინკრეტიულ ერთეულის ხანგრძლივ დიფერენციაციის შედეგია; ეს ეპოსი მრავალდროის პროფესიონალიზმმა შექმნა, დამუშავებულ პოეტურ სკოლამ, ამჟღავნებს კლასობრივ იდეალოგიას. ცხადია, ასეთ ეპოსს წინ უსწრებს მწერლობა. მწერლობა და სიტყვიერება ორგანიულ კავშირში იმყოფებიან, ურთიერთ შემოქმედებაში, მეცნიერება არკვევს ამ შემოქმედებას და ეს ასეც ხდება, ხოლო ავტორის მიერ აღნიშნული თანამიმდევრობა მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. საკითხის დიდი გამარტივებაა ის, როდესაც ავტორი ამბობს, რომ ეპოსის შემქმნელი ხალხია „უპიროვნო და უსახელო“, თუ რომელიმე სიტყვიერი ნაწარმოები „ჯერ“ კიდევ სცოცხლობს“, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის არის უძველესი ფორმა შემოქმედების.

მწერლობა, ავტორის შეხედულებით, არის წარწერები, ქრონიკები, კალენდრები, საგელები, ნუსხები და მრავალი სხვა პრაქტიკული ხასიათის დოკუ-

მენტები; შემდეგ მწერლობა იქცევა „მსოფლმხედველობის ფიქსაციის იარაღად,“ რადგან ზნეობრივი სისტემები წერილობით ხასიათს იღებენ — იდეალური ელემენტები ნაწარმოების სახით ხორციელდებიან, მაშინ მწერლობას სცელის ლიტერატურა. ეს უცნაური მსჯელობა უპირველეს ყოვლისა გაკვირვებას იწვევს: მწერლობა პრაქტიკულ მოთხოვნილებათა საშუალებაა, ლიტერატურა — იდეალის, ასეთი დაპირისპირების გამართლება შეუძლებელია; ცხადია, ეს არის ძირითად შეცდომის შედეგი; ავტორს მაინც დამაინც სურს გამოყოს ლიტერატურა და დაინახოს ის სიტყვიერების და მწერლობის გარეშე, ეს სქოლასტიციზმია: შეუძლებელია განცალკევება ისეთ ცნებების, რომელნიც არსებითად ერთმნიშვნელოვანია და ერთ და იმავე მოვლენას ხსნიან. ცხადია, არავინ არ გულისხმობს ლიტერატურას მწერლობის გარეშე და მწერლობას და სიტყვიერებას ლიტერატურის გარეშე. რა თქმა უნდა, ფაქტები სრულიად არ ამართლებს ავტორის მოსაზრებებს მწერლობის პრაქტიციზმზე და მის იდეალურ გარდაქმნაზე. ზნეობრივი მომენტი მოცემულია არა მარტო ლიტერატურაში, არამედ სიტყვიერებაშიც) ¹⁾ აქ კიდევ უფრო მძაფრად, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ როგორც სიტყვიერება ისე ლიტერატურა ამტკიცებს და არღვევს ზნეობრივობას! ეს კიდევაც ასე ხდება და საერთოდ ზნეობრივ მომენტის მოტანა ლიტერატურულ მოვლენების ახსნისათვის სრულიად უმნიშვნელო რამ არის. მკითხველისთვის გაუგებარია, რა სახის ზნეობაზე და იდეალიზმზეა აქ ლაპარაკი: ავტორს სწყურია ხაზი გაუსვას ლიტერატურის უანგარობას რაც, ლიტერატურის განვითარების არა სწორი გაგებაა; თვით ავტორისათვის საწინააღმდეგოდ გაშუქებული, რადგან ცოტა ქვეით ავტორს სურს აღნიშნოს ის გავლენა, რომელსაც ლიტერატურა განიცდის ცხოვრების პირობებიდან. ვულგარული უტილიტარიზმის უარყოფა ვერ ისხსნის ლიტერატურას საერთო სარგებლიანობის წრიდან — ის იდეოლოგიის მნიშვნელოვანი ელემენტია, აშკარა სახის ზედნაშენი. უანგარო ხასიათი არ აქვს დანტეს „ღვთაებრივ კომედიასაც“ — კი. ზოგადად ამის შესახებ ვერ კიდევ ვ. მარქსი ამბობდა — „არ უნდა ვიფიქროთ, რომ წვრილ ბურჟუაზიის და მედუქნების წარმოდგენანი დაშორებულნი არიან მათზე ისე, როგორც ცა მიწას; ამოცანების წამოყენება, გადაწყვეტა, საერთოდ მათი თეორია ნაკარნახევია მატერიალურ ინტერესებით და იმ მდგომარეობით, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.“ ფართოდ აქვს დაყენებული ეს საკითხი ტროცკის — „მორალი, ზნეობა, ხელოვნება სხვა და სხვა მხარეა საზოგადოებრივ განვითარების ერთი პროცესის. იმ დროსაც კი როდესაც პოეტი ფანტასმაგორიებს ქმნის, მაშინაც ის ვერ სცილდება რეალ ცხოვრებას, მასში მოცემულ მასალას“; სამართლიანია რენანის შეხედულებაც — პოეტი იმ შემთხვევაშიაც, როდესაც არ იღებს ცხოვრებას, მას გაურბის, უაღრესად მასზეა დამოკიდებული; ლიტერატურის უანგარობის მტკიცება მაშასადამე უნაყოფო პრობლემაა, ეს გარემოება ლიტერატურის განვითარების პროცესიდან არ გამომდინარეობს და ამისათვის ზერელე და უმნიშვნელოა. თავის თავად კი ეს, საკითხი მეტად მეტად მარტივია — სიტყვიერება, ლიტერატურა, მწერლობა — ერთ მნიშვნელოვანი ტერმინებია;

¹⁾ ავტორის გაგებით.

შესაძლებელია მათი ერთი მეორის, მაგიერ ხმარება, მიუხედავად იმისა რომ დასაწყისში მათი პირდაპირი მნიშვნელობა ვიწრო და მეორე ხარისხოვანი იყო; შემდეგ მოხდა მათი პირველი მნიშვნელობის მივიწყება და მხოლოდ მხარეების გაფართოვება, მაშასადამე ლიტერატურა (ნაბეჭდი ასო) მხოლოდ ტროპი სინეკდოხურ ხასიათისა; ტერმინი სიტყვიერება კი რუსულია, ევროპულ ენებში მას უდრის „ფოლკლორი“, ეხლა კი სიტყვიერებას ივივე მნიშვნელობა აქვს, რაც ლიტერატურას.

ტერმინების ასეთ განსაზღვრის შემდეგ ავტორს სურს მოახდინოს მასალის შემოთარგვლა—დეტერმინაცია; ის იღებს ამ დეტერმინაციის ყველაზე უფრო მარტივ სახეს—„ლიტერატურა—მხატვრული მწერლობა“, ან ლიტერატურა არის პოეზია, რაც ერთი და იგივეა. რადგან მეცნიერულ კვლევის საგანი პოეზიაა, ავტორი ცდილობს გამოიხატოს ობიექტიური პრინციპი ამ მასალის შერჩევისათვის. ის იზიარებს ფორმის და შინაარსის გათიშულობის შესაძლებლობას; სწერს—„შინაარსი ფორმის ეძებსო“; თითქოს შესაძლებელი იყოს უფორმო შინაარსის წარმოდგენა. მისთვის მხოლოდ ფორმა არის „თვით მიზანი“ და სხვა მიზანი შემოქმედებას არა აქვს; სილამაზე და მხატვრულობა ინტერესის გარეშე სდგას; დასამტკიცებლად მოყავს კანტის სიტყვებიც: „ლამაზია ის, რაც აუცილებლად ყველას მოსწონს თავისი წმინდა ფორმით“, ავტორი დასძენს, რომ „ეს არის სილამაზის თუ ესთეტიურის ერთად ერთი პოზიცია“, ამისდა მიხედვით ავტორს გადაწყვეტილად მიაჩნია საკითხი, თუ რომელი ნაწარმოები უნდა იქნეს მიჩნეული მხატვრულად, „რომ იგი მოექცეს სპეციალურად გაგებულ ლიტერატურის სქოლიოში“. ასეთი პრინციპის დასახვა მეცნიერულ კვლევისათვის შეუწყნარებელი და მეტის მეტად სახიფათოა. არც ერთი მკვლევარი ასეთ შეხედულებას არ გაიზიარებს და კიდევაც არ იზიარებს. უპირველესად ყოვლისა ეს არის ძველი პსევდო-კლასიკურ შეხედულების აღდგენა¹⁾. შეუძლებელია მეცნიერება ასცილდეს ემპირიულ-პოზიტივისტურ გზას და გაყვეს განყენებულ აბსტრაქციებს! აქ ისეთი სუბიექტივიზმი იშლება, რომელიც ხელის შემშლელია არა მარტო მეცნიერულ კვლევა-ძიებისა, არამედ უბრალო მსჯელობისთვისაც კი. ავტორს ვერ გაუგია, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ფორმის და შინაარსის შორის მიმართება; ანგარიშს არ უწევს მთლიანობის პრინციპს; კერძოდ იმას, რომ ფორმის და შინაარსის განსაზღვრის საკითხი ეს სუბიექტიური მიდგომის შედეგია, დამოკიდებული იმ პრობლემაზე, რომლის გადაწყვეტა მკვლევარს სურს; რომ ფორმა და შინაარსი არის ორი მხარე ერთ და იმავე მოვლენის. ცხადია, კვლევა-ძიების პროცესში ისმება საკითხი ფორმის და შინაარსის შესახებ, მაგრამ ეს არის თვით მკვლევარის მიერ მიღებული თვალსაზრისი; შემოქმედების პროცესში კი ორივე მომენტი მთლიანად მოცემულია; ფორმის ძიებაც ეს იმავე დროს შინაარსის ძიებაც არის. მაშასადამე შეუძლებელია ითქვას, რომ ფორმა არის „თვით მიზანი“. ავტორს სურს დაეყრდნოს ფორმალისტურ შეხედულებას და განაახლოს ის; ავტორის ეს ცდა დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით მისივე

1) ბუალო, გოტტშედი და სხვა.

ქვემოდ წარმოებულ განხილვის ნიმუშების მიხედვით, სადაც წარმოყენებულია მრავალი არა ფორმალისტური ხასიათის საკითხები. ავტორი მიმართავს კანტის ავტორიტეტს; მაგრამ ვერ ითვალისწინებს იმას, რომ კანტის ნესტეორიული მოძღვრებას⁹⁾ სტატიური და არა დინამიური ხასიათი აქვს, რომ ამ მხრივ მასზედ უფრო გამოსადეგია მეტოდოლოგიურად ჰეგელის დიალექტიკა. ცნობილია ის, რომ მხატვრობის (სილამაზის) დაყენება ინტერესის გარეშე კანტმა ვერ შესძლო და სილამაზის ტიპების გარკვევის დროს ის ვერ ახერხებს უანგარობის პრინციპის დაცვას; გარდა წმინდა სილამაზისა, ის გულისხმობს სილამაზის მეორე სახესაც—შებოჭილს (anhängende) რომელშიაც მოცემულია ერთგვარი დაინტერესების მომენტი, ესეიგი ფორმა არა თავისთავად ჰარმონიული და მოსაწონია, არამედ შეთანხმებული რომელსაზე მიზანთან, მაგალითად, სახლი, ტაძარი და სხვა; აქ უკვე უანგარობას აღარ აქვს ადგილი, ასეთია სილამაზის მესამე სახე—ამაღლებული (Erhabene). ჩვენის აზრით, უფრო კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ამ საკითხის ირგვლივ გაეშალა ფართო სოციოლოგიური ანალიზი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დარვინმა, კ. მარქსმა, გროსემ, ბიუხერმა და მრავალმა სხვა ფრანგ და გერმანელ მკვლევარმა; ამ მხრივ რამოდენიმედ პლენანოვის ნაწერებიც გამოსადეგი შეიქმნებოდა. ფორმალისტური შეხედულება, როგორც ვიცით, ვერ დაიცვა თვით კანტმა, მით უმეტეს ეხლა უნაყოფოდ უნდა ჩაითვალოს ცდა ამ მოძღვრების განახლებისა. ყოველ შემთხვევაში ეს არ არის საკითხის განხილვისადმი „ახალი კუთხით“ მისვლა. ავტორის მიერ არჩეული გზა არ ჩაითვლება ნაყოფიერ გზად.

ავტორის მეტოდოლოგიური მრწამსი შემდეგ დებულებებშია გამოხატული—მეტოდი არის „მხატვრული შემოქმედების კვლევის საშუალება“ და „მხატვრული შემოქმედების ისტორიის გამოკვლევის“. პირველი მოითხოვს „პიროვნულ შემოქმედების გარკვევას“, მეორე კი „ლიტერატურულ ევოლუციას“. ჩვენის აზრით, მეცნიერული კვლევა-ძიება ასეთ ორმაგ მიზანს ვერ დაისახავს. ერთი ის, რომ პირველი მისი პირდაპირი საქმე არ არის და კიდევაც ეს რომ მისი მთავარი მიზანი ყოფილიყოს, ეს შეუძლებელია, რადგან პიროვნული, ინდივიდუალური გასაგებია მხოლოდ საერთო ევოლუციის გათვალისწინების ფონზე. სხვანაირად ეს არის განსაზღვრა ინდივიდუალურის და ტრადიციულის — ისტორიკო-ლიტერატურულ კვლევა-ძიების უპირველესი მიზანი; ევოლუციის გათვალისწინება სხვანაირად არც შეიძლება, მაგრამ ამ საკითხის წამოყენების აუცილებლობას ავტორი ვერ გრძნობს; ცხადია, ამ ძირითად საკითხთან დაკავშირებულია მრავალი სხვა დამატებითი სახის პრობლემები, ძიებანი, რისი გადაწყვეტისათვის არსებობს უკვე საკმაოდ დამუშავებული აპარატი, შექმნილი რუსეთში ნიჭიერ აკად. ილ. ვესელოვსკის მიერ, საფრანგეთში—ლანსონის და გერმანიაში—შერერის. ავტორი განზრახ გაუობის ერთს მეტოდს, მიმართავს მეტოდოლოგიურ პლიურალიზმს, რაც კვლევას ეკლექტიურ ხასიათს აძლევს, თბიეკტიური კვლევა ძირითად საკითხის წამოყენებას მოითხოვს. ავტორი ცდილობს დასახოს „შემოქმედების საერთო განვითარების გზა,“ ახდენს ფორმის და

⁹⁾ „მსჯელობის ღონების კრიტიკა.“

შინაარსის მხატვრულ ანალიზს (!), მაგრამ ეს საქმეს ვერ შეველიხ, ხელის შე-
ძლებულია, რა თქმა უნდა, სუბიექტივიზმი. მას სურს განიხილოს ნაწარმოები
„სრულიად დამოუკიდებლად, როგორც ერთად ერთი მხატვრული მოვლენა“;
ცხადია, მეტოდოლოგიურად ეს დაუშვებელია, საწინააღმდეგოა „მეტოდური“
მეტოდის, რომლის წარმოებას ის ჩვენ გვპირდება, მაგრამ ასეთ განხილვას
ვერ ახერხებს; ეს უბრალო ვერბალური აპლიკაცია არის და მეტი არაფერი.

ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ნაწარმოების ახსნა თვით შემოქმედების
განსაკუთრებულ თვისებებით; გარკვეული არ არის, თუ როგორ უნდა მოხდეს
და როდის? რაოდენამედ ეს შესაძლებელია, ხოლო ობიექტიურ მასალების გან-
ხილვის შემდეგ. ო. ბიოვის მიერ შემოღებული ეს მეტოდი მრავალ შეცდომათა
საბაზი შეიქნა. საერთოდ უნაყოფოა მსჯელობა ავტორის თვისებების შესახებ
მხოლოდ მისი ნაწარმოების მიხედვით, ასეთია მაგალითად, მსჯელობა ლერ-
მონტოვის, ეუკოესკის, კარამზინის ბარათაშვილის ან რომელიმე თანამედროვე
პოეტის შესახებ მათი ნაწარმოების მიხედვით. ვინ დაუჯერებს, მაგალითად 13
წლის ლერმონტოვის აღიარებას, თითქოს მან უკვე განვლო „გარყვნილების
წლები“ ან კარამზინის სენტიმენტალიზმს, რომელიც წკებლავდა გლებებს, ან
ეუკოესკის „სულიერ სიმშვენეირეს“ (die schöneseele), რომელმაც, სხვათა შორის,
ხაკვდილით დასჯის რეგლამენტი შეიმუშავა! ავტორი საერთოდ მხედველობაში
არ იღებს შემოქმედების სოციალურ მხარეს და სუბიექტივიზმით არის შებოქილი.
სალიტერატურო კვლევის დასაწყისი მისთვის „ავტორის ჩვენება“, საბოლოო
ფილოლოგიური ანალიზი. ასეთი წესით აშენებული გამოკვლევა უპირველესად
ყოველსა არევ-დარეულია; ავტორთა ჩვენება არის მასალა და არა „მეტოდი“,
ფილოლოგიური მეტოდიც კვლევის ბოლოს მოქცეული—გაუგებრობაა. საკამათო
არ არის ის, რომ ფილოლოგიური ანალიზი წინ უძღვის ყოველ სახის მეტო-
დის მოხმარებას და თავის თავად დიდ „შავ“ მუშაობას მოითხოვს. ეს არის მა-
სალის წინასწარი შეფასება-დალაგება (meditatio).

ავტორს არ ნოსწონს წინანდელი ესთეტიკოსები, რადგან ისინი განყენე-
ბულად ახროვნებდნ, ჩვეულებრივად მხოლოდ ნაწარმოების ორ მხარეს აღნიშ-
ნავდნ—წარუვალს და წარმავალს; ნაკლებ ყურადღებას აქცევდნ ისინი უკა-
ნასკნელს (წარმავალს)—ავტორის თავისებურობას. სილამაზე, სიკეთე და ქეშ-
მარიტება მათთვის მხოლოდ სუბიექტიური ცნებები იყვენ, ისინი ხელოვნებას
ავალებდნ მარადიულ და უცვლელი პრინციპის დაცვას. ავტორის ასეთი მსჯე-
ლობის გამართლება ყოველად შეუძლებელია. ესთეტიკოსებისათვის დამახასიათე-
ბელი არ არის ნაწარმოებში წარუვალის და წარმავალის აღნიშვნა; ასეთ სა-
კითხს არკვევენ ისტორიულ სკოლის მეცნიერებიც. საერთოდ ხშირად ხდება
ყოველ ნაწარმოების მნიშვნელოვან და უმნიშვნელო მხარეების აღნიშვნა; ეს-
თეტიკოსების სუსტი მხარე ამაში კი არ მდგომარეობს; მიუღებელია ესთეტი-
კოსების მეტაფიზიკური დოგმატიზმი, რაც თავის თავად გულისხმობს კრიტი-
კის დამყარებას ურყევ განყენებულ პრინციპზე. შეცდომაა ყველა იდეალისტ-
ესთეტიკოსების ერთ ჯგუფში მოთავსება; მაგალითად, სულ სხვაა პლატონი,
შელინგი, კანტი და ჰეგელი. ეს უკანასკნელი არ იზიარებს სტატიურობის

პრინციპს და დიალექტიკის მამამთავარი შეიქმნა, ფორმალურად მაინც. ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ესთეტიურ კრიტიკამ დარეინისტულ მოძღვრების დიდი გავლენა განიცადა და ამ ნიადაგზე ევოლუციონური ესთეტიკური შეიქმნა (ენგ-კენი, ბრიუნეტერი და სხვ.). არც ის დებულებაა მარტინდელის ესთეტიკოსებისათვის სილამაზე, სიკეთე, ჭეშმარიტება (ტრიადა) იყოს მხოლოდ სუბიექტიური ცნება; პირიქით, მათთვის უფრო დამახასიათებელია ობიექტივიზმი; საერთოდ იდეალისტური მისტიციზმი ობიექტიურ თვალსაზრისიდან უფრო ვითარდება. საკმაოა მოვიგონოთ პლატონის, პელინგის, ჰეგელის შეხედულება; პლატონის თქმით, სილამაზის იდეა გარდაუვალი და აბსტრაქტიულია; კერძო მოვლენები კი წარმავალი, სილამაზის იდეა განყენებულად არსებობს, მას არავითარი დროული თვისებები არ მიეწერება; ადამიანის თვალწინ იშლება უშრეტი ზღვა სილამაზისა (τα μαρμαρα τῆς καυμῆς); ეს სილამაზე კი ობიექტიურ სილამაზის იდეის მკრთალი ანარეკლია. პლატონის შეხედულება გაიზიარა პელინგმა, კანტმა, ჰეგელმა, შოპენჰაუერმა, შილერმა და მრ. სხვამ. მაგალითად ჰეგელი ისე, როგორც შოპენჰაუერი, ფიქრობს, რომ ნებატრული შემოქმედება არის იდეის ნათელყოფა ფორმის საშუალებით; ხელოვნებაც ობიექტიურ იდეის ხორცშესხმაა. ჰეგელისათვის ესთეტიური თეზისი—ბუნების სილამაზეა, ესე იგი სილამაზე აღებული ობიექტიურად. სუბიექტიური სილამაზე მხოლოდ მისი ანტი-თეზისია. არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ყოველ ესთეტიკოს სსწამდა ცნობილ ტრიადის განუყოფელობა (სილამაზის, სიკეთის, ჭეშმარიტების), მაგალითად, ვინკელმანი—ეს ცნობილი ელინისტი სილამაზეს მხოლოდ გარეგან პლასტიურ სიმშვენიერეში ხედავდა და მას ზნეობრივ სიკეთეს არ უკავშირებს. მაშასადამე ის, რაც ავტორის მიერ ნათქვამია ესთეტიკოსებზე, სინამდვილეს არ შეეფერება. ავტორი გამოდის რელიატივისტურ პრინციპის დამცველად. ეს სამართლიანიცაა, მაგრამ მეტის მეტია თქმა იმისა, თითქოს „ნაფტონის კანონებიც კი ერთ დროს შეიძლება სადილზე სათქმელ ანეგდოტად დარჩეს“.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ისტორიულ მეთოდს კვლევისას. მისი აზრით, ეს მეთოდი ესთეტიურ მეთოდის მოადგილეთ გამოჩნდა და ესთეტიკოსების წინააღმდეგ წავიდა. ამ დებულებაში სრულებით არ არის აღნიშნული საქმის ნამდვილი ვითარება, რადგან არსებობს ისტორიული ესთეტიზმიც. საწინააღმდეგო მიმართებაში იმყოფებიან ისტორიზმი და დოგმატიზმი, მაგრამ წინააღმდეგობის აღმოჩენა შეუძლებელია გარეშე თანაარსებობისა; ჩვენ არ გვესმის რას ნიშნავს ეს „მოადგილეობა“; მიმართულებათა ბრძოლა ყოველთვის სწარმოებს, მაგრამ ეს ძირითადი ევოლუციის შედეგია, საზოგადოებრივ საფუძველის ცვლის. ხოლო მიმართულებათა თანაარსებობაც ამ გარემოებით აიხსნება, მათი საფუძველის არსებობით—ან ტრადიციით. რა თქმა უნდა, სასკოლო ხასიათი აქვს ისეთ მსჯელობას, როდესაც ამბობენ, რომ რეალისტურმა მიმართულებამ შესცვალა რომანტიული, ან სენტიმენტალურმა პსევდოკლასიკური; მათ შორის, ცხადია, არ იყო პირდაპირი სახის რეაქცია. ფაქტიურად ცნობილია ის რომ რომანტიზმი და რეალიზმი დროთა ვითარებაში თანაარსებობენ, აგრეთვე სხვა მიმართულებებიც; ხოლო ამ თანაარსებობას

ხელს უწყობს ობიექტიური მიზეზები—რადგან ყოველი მიმართულება თავის ძირითად „გარემოს“ გამოხატველია და ეს გარემო ხომ ერთი არ არის. კეო-ძოთ ისტორიული მეტოდი კვლევისა საუკეთესოდ თავსდება მხოლოდ ესტეტიურ მეტოდთან და მაგალითად, გერვინუსი ისტორიული კვლევის შემამთავარი იმ დროს მოღვაწეობდა, როდესაც ესტეტიური კრიტიკა ვითარდებოდა; უკანასკნელმა მიიღო რა ევოლუციონური სახე მოაღწია ჩვენ დრომდე და ესტეტიკურ ინტენტივულ ესტეტიკის სახით არსებობს ეხლაც. ცხადია, რომ ო. ბითვი არ ჩაითვლება ისტორიულ მეთოდის დამაარსებლად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პერდერს და გერვინუსს.

დიდ ადგილს უთმობს ავტორი იმის მტკიცებას, რომ მხატვრული შემოქმედების საშუალებით შესაძლებელია ისტორიულ სინამდვილის აღდგენა. ავტორი მძაფრად აღნიშნავს იმას, რომ რეალობა უფრო მკაფიოდ იშლება პოეზიაში, ვიდრე „მეცნიერულ დისერტაციებში—წვალებით გამოყვანილ დასკვნებში ან იმ დოკუმენტებში, რომელნიც არქივში ალაგია.“ ავტორი უპირობოთ ღებულობს ღებულებას—„მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების ანარეკლია“, მაშასადამე პოეზია არის „სარკე“ ცხოვრების. ასეთია ავტორის მრწამსი და ფილოსოფია! არის ეს საკითხისადმი „ახალი კუთხით“ მისვლა. თუ არა, ეს, ჩვენის აზრით, ნათელია ყველასთვის, ვინც კი ოდნავ იცნობს სალიტერატურო კვლევა-ძიებას. ამ საკითხზე ჩვენ აუცილებლად უნდა შევჩერდეთ.

ჯერ კიდევ კ. შარქსმა აღნიშნა, რომ „საზოგადოების სტრუქტურა და მისი ხასიათი გავლენას ახდენს ადამიანის პსიქოლოგიაზე, მის შეხედულებაზე, გრძნობაზე და იდეალებზე.“ საერთოთ ყოველ ადამიანის გონება სოციალურად განსაზღვრულია. სამართლიანათ ამბობს ტროცკი, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, ხელოვნებაში სრული უმოძრაობა შეიქმნებოდა. ყოველი პოეზია უდიდესი საშუალებაა ამა თუ იმ კლასის მისწრაფების, გრძნობის და იდეალების გამოხატვისათვის. ხელოვნება ორგანიული ნაწილია ერთ მთლიან ისტორიულ პროცესში; იდეალისტები ვერ ამჩნევენ ისტორიულ განვითარების მთლიანობას; ისინი მხედველობაში არ იღებენ მის დინამიკას, მათთვის ისტორიული პროცესი სრულიად ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ საწყისების შეერთებაა, აქ ესტეტიური გამოყოფილია პოლიტიკურისაგან, ეკონომიურისაგან, უფლებრივობისაგან. ასეთ შეხედულებას, ცხადია, ეხლა არავინ არ იზიარებს; ხოლო ჩვენ ავტორს დიდი მიდრეკილება აქვს სუბსტანციონალიზმისკენ. ლიტერატურა აშკარა სახის ზედნაშენია, მაგრამ რას ნიშნავს ეს? უპირველეს ყოვლისა ეს სახელმძღვანელო პრინციპია ლიტერატურის ევოლუციის ასახსნელად. გარკვეულად ამის შესახებ ლუნაჩარსკი შემდეგს სწერს: „არის ისეთი ზედნაშენი, რომელიც ეკონომიკასთან უმეშვევოდ დაკავშირებულია, მაგრამ არის კიდევ შედარებით უფრო დამოუკიდებელიც, ეს არის ზედნაშენი იდეოლოგიურ ხასიათის, ასეთია ლიტერატურა.“ რას ავალეებს მკვლევარს შარქსისტული მეტოდი? მხოლოდ იმას, რომ მან ახსნას ამა თუ იმ ეპოქის მიმართულება, ლიტერატურული მოვლენა, ზემოდ აღნიშნულ მთავარ მიზეზზე-

ბით, კერძოდ ის, თუ რისთვის და ვინ მოითხოვა ეს თუ ის მხატვრული მიმართულება, ფორმა, ვის მხატვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს ის. მხატვრული შემოქმედების მამოძრავებელი ელემენტი ეკონომიკა არის, ამას/ის ახდენს ახალი კლასის წარმოშევით, მისი მიმართებით ახალ ფორმებზე უმჯობესი, კულტურულ და პოლიტიკურ წარმატების გამო. მაგრამ ეს უნდა იქნას, რომ კლასი თავის წილიდან მთლიანად წარმოშობს ახალ მიმართულებას. მხატვრული შემოქმედება ვერ გაექცევა წარსულში დაგროვებულ სიტყვიერ მასალას, მხატვრულ საშუალებებს. მხატვრული შემოქმედება ამ მხრივ არის რთული გარდაქმნა ძველი ფორმების ცხოვრების ახალ იმპულსებით, ისეთ იმპულსებით, რომლებიც მხატვრის პიროვნების გარეშე სდგანან. დიდი მნიშვნელობა ეძლევა მაშასადამე ტრადიციულ ელემენტების გათვალისწინებას. ასეთი მიზანი კვლევა-ძიებას აკად. აღ. ვესელოვსკიმ დაუსახა; ამ მხრივ ის მარქსისტულ კოიტეკის წინამორბედი: ვესელოვსკი მკაფიოდ გამოხატავს კვლევის მთავარ მიზანს; ისტორიკო-ლიტერატურულია ისეთი კვლევა. როდესაც გამოირკვევა ის, თუ როგორ ხდება „ახალ შინარსის, ცხოვრების ვითარების მიერ მოცემულის, შექმნილის ყოველ ახალ თაობით, ძველ სახეებთან შედუღება ამ აუცილებლობის ფორმებთან.“ ამ დებულებაში ერთგვარი რკინისებური კანონი ისახება, რომელიც პოეტის ინდივიდუალობის გარეშე სდგას და ფართო სოციალურ განხილვას მოითხოვს. ლიტერატურული ევოლუცია ამ ფორმების გართულებაა, თვით ლიტერატურა კი „საზოგადოებრივ აზრის ისტორია, რომელიც სიტყვაშია აღბეჭდილი.“ ეხლა საინტერესოა, როგორია პოეტის ღირებულება, როგორც ისტორიული დოკუმენტების? ეს ღირებულება ყოველ შემთხვევაში ისეთი არ არის, როგორც ეს ავტორს წარმოუდგენია. პოეტის მიხედვით ისტორიები რომ იწერებოდეს ეს ძალიან ადვილი და სახალისო საქმე იქნებოდა. არც ერთი სერიოზული ისტორიკოსი ამას არ განიხილავს; რადგან ისტორიულ მეცნიერებაში სასტიკი დილეტანტიზმი გამეფდებოდა: ია შეხედულება, თითქოს პოეტია იყოს „სარკე“ ცხოვრების წმინდა წყლის იდეალისტურ-ნაროდნიკული შეხედულება და შეიცავს მისტიციზმის ელემენტებს. მარქსისტული განხილვა ამ გზაზე ვერ დადგება; სინამდვილის აღდგენა პოეტის მიხედვით ლოგიური შეცდომაა, ეს არის ჯადოსნური წრე (Circulus vitiosus). ჩვენის აზრით, შეუძლებელია ელინთა ცხოვრების აღდგენა მხოლოდ პომპროსის პოემების მიხედვით, ან ქართულ ცხოვრების—„გვეგვის ტყაოსნის;“ ვინ არ იცის, რომ ტურგენევის რომანებში ინტილიგენციის ცხოვრება, „პომეშიკური აზნაურული ბუდეები“ იდეალიზაციით შეფერადებულია. შესაძლებელია თუ არა, თანამედროვე აღმშენებლობის აღდგენა ახალ პოეტების ნაწერებით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ უსათუოთ არა, ეს ნაწერები ისტორიული მასალაა, ისტორიკოსი მას მიმართავს ამა თუ იმ მოვლენის დასურათებისათვის, მაგრამ „მხოლოდ“ მას ვერ დაეყრდნობა; მისთვის მთავარი მაინც ნამდვილი დოკუმენტია, შესაძლებელია ისეთიც, რომელიც არქივშია მოთავსებული. მხატვრული ნაწარმოების ჩვენება მისაღებია იმდენად, რამდენადაც მას ხვდა ობიექტური მასალები უჭერენ მხარს და ამართლებენ.

მეტოდოლოგიურად აუცილებელია ლიტერატურულ მოვლენების ხსენა სოციალურ მიზეზებით, ხოლო პირველი გადასვლა მხატვრული ნაწარმოებით სოციალურ სინამდვილის აღდგენა დაუშვებელია; აქ ადგილი უნდა ჰქონდეს იმ რთულ-ანალიზს, რასაც ავტორი ანგარიშს არ უწევს; განსაკუთრებით კმა, რომ მხატვრულ შემოქმედებაში აღვილი აქვს იდეალიზაციას და გარდაქმნას. ჯერ კიდევ პლენანოვმა სთქვა, რომ „გენიოსი თანამედროვეებს წინ უსწრებს, ის უფრო ადრე გაიგებს საზოგადოების ახალ მიმართების დედა-აზრს; ის საზოგადოების ან კლასის ესთეტიურ განწყობილებას საუკეთესო გამოხატულებას აძლევს.“ მათ განცდის გამოხატვისათვის შესაფერისს სიტყვათა რიტმს პოულობს; აფართოვებს პიროვნების, კლასის, ერის შინაგან სფეროს. შკაფიოდ სწყვეტს ამ საკითხს ლუნაჩარსკი; მისი თქმით „პოეზია არ არის ფოტოგრაფია“ ეს შეუძლებელიც არის, რადგან არ არსებობს ისეთი სიტყვაც კი, რომელიც სინამდვილეს უტყუარად აღნიშნავდეს; საერთოდ ადამიანის ბუნების თვისებაა არ გადმოქცევს ის, რაც ხდება. ის ან მოუმატებს, ან შეამცირებს—„ლიტერატურის ძირი სიცრუეა“. 1) ლიტერატურა არის სინამდვილის გარდაქმნა, მისი მხატვრული ორგანიზაცია; ესე იგი ეს არის სინამდვილის შეცვლა, გარდაქმნა ხელოვნების კანონების მიხედვით ობიექტიური კვლევის საპირობა, ფართო მასალებით სარგებლობა სწორედ ამ „გარდაქმნით“ არის გამოწვეული.

ბოლოს თავის „შესავალს“ ავტორი ამთავრებს აღიარებით, რომ მისთვის მხოლოდ სამი მეტოდია მისაღები—ისტორიული, შედარებითი, ევოლუციონური. ეს სამი მეტოდი არ არის; არსებითად აქ ორი მეტოდია—შედარებით-ისტორიული და ევოლუციონური. პირველი ემორჩილება მეორეს, როგორც მთავარს. ავტორის სიმბატიები მაინც ისეთ კრიტიკისკენაა მიმართული, რომელიც „ხსნის შემოქმედებას და თვით იქცევა შემოქმედებათ“; ასეთი კრიტიკის წინაშე მეცნიერებამ დროშა ძირს უნდა დაუშვას; ისტორიულად ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა არის ეს კრიტიკა, რომელიც „შემოქმედებათ“ იქცევა და რა ღირებულება აქვს მას. ეს არის უდროო ცდა ბელინსკის ტიპის კრიტიკის რესტავრაციისა, სრულიად ბუნებრივი სალიტერატურო კრიტიკაში და დაუშვებელი კვლევა-ძიებაში. უნდა მოხდეს ამ „შესავალის“ სრული გადამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ახალგაზრდობის განვითარებას ის ხელს ვერ შეუწყობს.

1) Борень литературы—ложь Жг. зап. евр. литер. т. 1; Стр. 19.



მე-II ინტერნაციონალის ნგრევის სათავეებთან

მე-II ინტერნაციონალის დანგრევა 1914—1918 წ. წ. ომის დამდევს „უცებ“ არ მომხდარა, როგორც ზოგ ამხანაგს ჰგონია. ცრუმორწმუნოებასავით მკვიდრად გაიღვა ფესვები იმ შეხედულებაში, ვითომც მისი დამხობის მიზეზი ომი ყოფილიყოს. მეორე მხრით, გულმოდგინედ ვრცელდებოდა ის აზრი, რომ ინტერნაციონალი მშვიდობიანობის იარაღია, ომის დროს კი მას ეძლევა შვებულება, რომლის ხანგრძლივობა ომის გათავებაზეა დამოკიდებული (კაუტსკი). მაგრამ საკითხის ასე დაყენება ჩვენ სრულებით არ გვეინტერესება. მისი უცნაურობა მისსავე უაზრობას უდრის.

ჩვენ გვეინტერესება ინტერნაციონალის, როგორც სოციალისტური ინტერნაციონალის, მხოლოდ „უეცარი“ დამხობის „თეორია“.

რღვევის მიზეზად მართლა ომი გადაიქცა თუ არა? ან შეიძლება მანამდისაც ვერ მიდიოდა კარვად მარქსიზმის საქმე მე-II ინტერნაციონალში? ცხადზე უცხადესია, რომ ალბად იყო უფრო ღრმა მიზეზები, რომლებიც არსებობდნენ, ასე ვსთქვათ. ოფიციალურ დამხობამდის; უეჭველია, ლალატის, გამბობლობის რალაც ფესვები არსებობდა ინტერნაციონალის სხვა და სხვა პარტიის რიგებში. მაგრამ როგორია ეს მიზეზები, ფესვები, ჩანასახები—აი ამოცანა, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. ერთის შეხედვით ადამიანს ეჩვენება, რომ ეს სრულიად ამაო შრომაა. ჩვენ კი ასეთი აზრი შეცდომად მიგვაჩნია, ვინაიდან ფართო მასა მოკლებულია საშუალებას გამოიყენოს უმდიდრესი ისტორიული ლიტერატურა და კრიტიკულად გადაათვალიეროს ძირითადი საპროგრამო და პრინციპიული ხასიათის ნაშრომები, სოციალიზმის ზოგიერთი თვალსაჩინო მოღვაწისა. ჩვენც არ ვკისრულობთ, რასაკვირველია, ამ დიდ შრომას. ჩვენ გვსურს გავითვალისწინოთ მხოლოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია მე-XIX საუკუნის 70-იან წლებიდან მე-XX საუკუნის დამდეგამდის—900 წლებამდის.

რალა უეჭველად გერმანიისაო? იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ ის იყო მე-II ინტერნაციონალის მთავარი ხელმძღვანელი პარტია, მის ხმას დიდ ყურადღებით ექცეოდნენ ყველა დანარჩენი პარტიები, მისი თეორეტიკოსები მარქს-ენგელსის საუკეთესო განმმარტებლებლად ითვლებოდნენ; კიდევ იმიტომ, რომ

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბედ-იღბალი მე-II იმპერატორის ბედ-იღბალიც იყო (გარდა რუსეთისა, რის შესახებაც ქვემოთ გვეჩვენება/ლაპარაკი).

წინდაწინვე უნდა შევნიშნო, რომ ჩემს ამოცანას ~~სრულყოფილად~~ არ შეადგენს ამ პარტიის დადებითი მუშაობის ანალიზი. ის უამრავსაა და უკმაყოფილოა.

საჭიროდ მიმაჩნია ამ შენიშვნას ხაზი გაუსვა, რადგან, შესაძლებელია ეს შრომა ზოგიერთს ცალ-მხრივად მოეჩვენოს.

1. მრფხარების შრილობადის 1891 წ.

ა) ზოთის შრილობადის.


არა მგონია საჭირო იყოს, რომ დაწვრილებით ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რას წარმოადგენდა მუშათა კლასი მე-XIX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში.

იმახსენებთ, მხოლოდ რომ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ სამრეწველო განვითარებამ საკმაოდ წინ წაიწია. მაგრამ კაპიტალიზმს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა თავისი მუშაობა, სწარმოებდა ხელოსნობის რღვევა და კაპიტალის ოდნავ შესამჩნევი კონცენტრაცია. ხელოსნები, რიცხვის მხრივ, ერთნახევარჯელ აღებატებოდნენ პროლეტარიატს, ხოლო სოფლის მეურნეობა გაბატონებული იყო ორსავე ჯგუფზე.

წერილი ბურჟუაზიის გადარიბება და პროლეტარიატის უნუგეშო მდგომარეობა (რაც დამახასიათებელია ახლად ჩასახული სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქისათვის), აიძულებდა მათ დიდი ყურადღება მიექციათ ყოველგვარ პოლიტიკისათვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მათ ეგონათ, რომ შულცე-დელიჩის მიერ მოწყობილი საკრედიტო, ნედლი მასალისა და სხვა ამისთანა ამხანაგობანი იმ ორგანიზაციებად მოეგლინებოდნენ, რომლებიც დაიხსნიდნენ მათ გაჭირვებისაგან. მაგრამ ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს შეეძლო შევნიშნა, რომ ასეთი საშუალებით მდგომარეობა არ გაუმჯობესდებოდა, თუნდაც იმ უბრალო ფაქტის გამო, რომ ამ ამხანაგობათა სულისჩამდგმელი იყო პროგრესიული ბურჟუაზია—პროგრესისტების პარტია. ეს ამხანაგობანი, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გასძლებდნენ,—თითო-ორი „ბედ-იღბლიან“ ადამიანს შეიძლება არგეს რამე კიდევ, მაგრამ მასსას ვერაფერი უშველეს.

და აი, დიდა გასავალი ეძლევათ ხუცებს და ქადაგებას, რომ ადამიანი ამ ქვეყნიურ ტანჯვა-გაჭირვებისათვის იმ ქვეყნად იქნება დაჯილდოებული. მაგრამ ქადაგების იმედითაც დიდხანს ვერ კმაყოფილდება კაცი,—იწყება პროლეტარიატის დამოუკიდებელი მოძრაობა, რომელსაც თან ახლავს ბუნდოვანი წარმოდგენა პროლეტარიატის განთავისუფლების გზების შესახებ. ეს მოძრაობა დაიწყო ეგრეთ წოდებული „განმანათლებელი“ ფერეინებით, რომელთა რიცხვი 1863 წელს 104 უდრიდა, მაშინ როდესაც, რეაქციას ჰქონდა 368 ევანგელიკური „ახალგაზრდობის კავშირი“ და 188 კათოლიკური კავშირი ქარგლებისა. ამგვარად, რეაქციას უფრო დიდი კავშირი ჰქონდა გაბმული მუშებთან, ვიდრე ბურჟუაზიას.

ვინ ხელმძღვანელობდა ამ „განმანათლებელ ფერეინებს“? საკმარისია და-



ვასახელოთ ისეთი პირნი, როგორც, მაგ., ალბერტ ლანგე (ნიერკანტიანელი) შულცე-დელიჩი, ფრანც დუნკერი, მაქს ვირტი, მაქს ჰირში, — რომ დაერწმუნდეთ თუ რას ასწავლიდენ ეს ვაჟბატონები მუშებს. აშკარაა, რომ არავითარ „დაწყველილ“ საკითხებს ისინი არ ეხებოდნენ.

ლონდონის გამოთენაზე (1864 წ.) გასაგზავნად მუშათა შორის არჩევნები ხდებოდა. ამ უმნიშვნელო ფაქტთან ერთად დაიწყო მუშათა გამოფიზლება და თავი იჩინა „ფერეინების“ ფარგლების გადალახვის აშკარა მისწრაფებამ. ეს მოძრაობა იმით დამთავრდა, რომ შეიქმნა „ლაიპციგის ცენტრალური კომიტეტი“ მუშათა ყრილობის მოსაწვევად; შემდეგ კი ფერდინანდ ლასალის უაქტიურეს მონაწილეობით და ხელმძღვანელობით 1861 წლის მაისის 23 შეიქმნა „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირი“. მთელ მუშათა კლასთან შედარებით კავშირში შედიოდა უმნიშვნელო ნაწილი, მაგრამ „კავშირს“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მსოფლიო მოძრაობის ისტორიაში. საჭირო არ არის შევჩერდეთ „კავშირის“ ისტორიის გადმოცემაზე — ეს არც შეადგენს ჩემს ამოცანას; — შევჩერდეთ მხოლოდ იდეოლოგიაზე „კავშირისა“, რომელიც ლასალისა და მისი დოქტრინის სრული გავლენის ქვეშ იძყოფებოდა. ამიტომ შევეხეთ ძირითად პრინციპიულ საკითხებს, რომლებსაც ლასალი პირველ რიგში აყენებდა.

ლასალი რომ მარქსისტი არ იყო — პიონერებმაც კი იციან. მუშათა კლასს უკვე ხელთ ჰქონდა მარქსის ისეთი ნაწარმოებნი, როგორც მაგ. „ფილოსოფიის სილატაკე“ (1846 წ.) „კომუნისტური მანიფესტი“ (1848 წ.) „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1859 წ.), ისტორიული შრომები და ბრავალი სხვა, რასაც ლასალი იცნობდა, სხვათა შორის, მარქსთან მიწერ-მოწერის საშუალებით და რამაც საძირკველი ჩაუყარა ახალ მსოფლმხედველობას — მარქსიზმს. მიუხედავად ამისა ლასალი ბაინც თავის პოზიციას შერჩა და ამტკიცებდა, რომ საქონლის წარმოების კანონები შეიძლება მოისპოს საქონლისავე წარმოების ნიადაგზე.

აქედან გამომდინარეობს მისი სახელგანთქმული მწარმოებელი ასოციაციები სახელმწიფო კრედიტის დახმარებით. ეს საკითხები ლასალს არ წამოუყენებია, არამედ მანამდისაც არსებობდნენ. უკანასკნელში მან მხოლოდ შემდეგი შესცვალა: „თვითდახმარების“ ადგილი „სახელმწიფოებრივ დახმარებას“ დაატერინა. საზოგადოება, სადაც ბატონობს საქონლის წარმოება (ე. ი. კაპიტალისტური საზოგადოება) მას სუუს შესცვალოს უკლასო საზოგადოებად; ამ საზოგადოებას, მისი აზრით შეგვიძლიან მივალწიოთ მწარმოებელი ასოციაციების შემწეობით, რომლებმაც უნდა იარსებონ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით.

მისი მეორე მოთხოვნილებაა — საყოველთაო არჩევნები. რა მნიშვნელობას აწერდა ლასალი საყოველთაო არჩევნებს? ის ამბობდა, რომ თანამედროვე სახელმწიფო კრედიტებს არ გაიღებს მწარმოებელი ასოციაციებისათვის. საამისოდ მისი იძულებაა საჭირო. მაგრამ როგორ უნდა მოხერხდეს ეს იძულება?.. „საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით!“ — „მაშინ ეს მოთხოვნილება, ამბობს ლასალი, აღძრული იქნება საკანონმდებლო კრებებზე, მაშინ შესაძლებელი იქნება

გონებისა და მეცნიერების საშუალებით ამ ჩარევის საზღვრებისა, ფორმებისა და ღონისძიებათა გარკვევა, მაშინ (შეგიძლიანთ გული დაიმწყვიდოთ) ის პირები, ვისაც ესმით თქვენი მდგომარეობა და თქვენი ^{ქრისტეანული} ~~ქრისტეანული~~ ^{ქრისტეანული} ~~ქრისტეანული~~ აზრიან, აღჭურვილნი მეცნიერების იარაღით, შესძლებენ დაგეხმარონ და დაიცვან თქვენი ინტერესები. თუ კი თქვენი საქმის წარმომადგენელნი უმცირესობას შეადგენენ, მაშინ თქვენ, საზოგადოების უსახსრო კლასებო, ბრალი უნდა დასდოთ თქვენსავე თავსა და თქვენს ცუდ არჩევნებს“. „საყოველთაო საარჩევნო უფლება მუშათა წოდების მარტო პოლიტიკური პრინციპი კი არ არის, არამედ სოციალური, ძირითადი პრინციპიცაა, ყოველგვარი სოციალური დახმარების ძირითადი პირობაა“. (მომყავს მერინგის „გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიიდან“. ტ. მე-IV, გვ. 42—43). ¹⁾ მაშ ასე, ეცადეთ პარლამენტში გაიყვანოთ თქვენი წარმომადგენლების უმეტესობა და საქმე გაჩაჩხულია. ასე უსისხლოდ, მშვიდობიანად ხორციელდება სოციალიზმი. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ლასალს არ ესმოდა, თუ რა არის **სახელმწიფო!**

ყური დაუგდოთ, რას ამბობს იგი ამ საკითხის შესახებ: „სახელმწიფოს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ განახორციელოს... თავისუფლების განვითარება, ადამიანთა მოღვაწის განვითარება თავისუფლებისათვის“. „სახელმწიფოს მიზანს... შეადგენს ადამიანის დადებითი განვითარება და პროგრესიული სრულყოფა. სხვა სიტყვები რომ ვიხმართო, ადამიანის დანიშნულების განხორციელება, ე. ი. დამყარება კულტურისა, რომლის უნარიც კი ადამიანთა მოღვაწის შესწევს: სახელმწიფო არის კაცობრიობის აღმზრდელი და განმაფთხებელი თავისუფლების მიმართულებით“ (იხ. ფ. ლასალი „მუშაკთა პროგრამისათვის“, გვ. 31—32). ჩვენის შეხედულებით—სახელმწიფო არის ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დაჩაგვრის ორგანო, ლასალის შეხედულებით კი სახელმწიფო ნამდვილი საგანძურია. ეს იმიტომ დაემართა ლასალს, რომ ის ვერ ხედავს კლასთა ბრძოლას. აბა, ყური დაუგდეთ: „მაშასადამე, ვინც აცხადებს მუშათა წოდების იდეას საზოგადოების გაბატონებულ პრინციპად ²⁾ იმ აზრით, როგორც მე თქვენ აქ გიჩვენეთ, ის არ სცნობს საზოგადოების კლასთა გათიშვას და მტრობას; პირიქით ის მორიგებას აღიარებს“ (იხ. იქვე გვ. 25). შემდეგ ის გადადის ამ თეზისის განმარტებაზე მორალურ მოსაზრებათა დახმარებით.

ამ შეხედულებათა უფრო უკეთესად ჩამოყალიბებას ჩვენ ვკითხულობთ „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირის“ წესდებაში (იხ. მერინგი ტ. მე-IV, გვ.

¹⁾ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლასალი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა, ოღონდ კი გერმანიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება განხორციელებულიყო. მაგ., ის ძალიან ხშირად ხვდებოდა ბი ს მ არ კ ს (გრაფის ცოლის გარცხეულდტის საშუალებით) და ორ თავის ძირითად საკითხის შესახებ ელაპარაკებოდა: საყოველთაო საარჩევნო უფლების მინიჭებისა და მწარმოებელ ასოციაციებისათვის სახელმწიფო კრედიტების შესახებ. მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა.

²⁾ მუშები თავისთვის არავითარ პრივილეგიებს არ მოითხოვენ, არამედ სურთ დაამყარონ თანასწორობა.

392): „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირის“ სახელწოდებით ~~ქვემოთ~~ ხელის მომწერნი აარსებენ გერმანულ საკავშირო სახელმწიფოებისათვის კავშირს, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობიანის და ლეგალური ~~ქვემოთ~~ მეტადრე ხაზოგადობრივი აზრის მიმხრობის საშუალებით, იბრძოდეს ~~ქვემოთ~~ სახელმწიფოთა, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების დახამყარებლად. ამასთანავე კავშირი გამომდინარეობს იმ რწმენიდან, რომ მხოლოდ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საშუალებით მოხერხდება გერმანელ მუშათა წოდების სოციალური ინტერესების საკმაო წარმომადგენლობა და კლასობრივ წინააღმდეგობათა ნამდვილი მოსპობა საზოგადოებაში“. რატომ მოგყავთ ეს ციტატები, — ხომ ყველამ იცის, რას წარმოადგენდენ ლასალელები, — მეტყვიან მე.

— მომყავს იმიტომ, რომ ამ სიტყვებშია მოქცეული ყველა ქვეყნისა და ყველა ერის სოციალ-დემოკრატიის მთელი ახლანდელი პრაქტიკა. ვანა ტყუილად წამოაყენეს გერმანელ სოციალ-დემოკრატებმა ლოზუნგი: „უკან ლასალისაკენაო“. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ვთხოვთ შკითხველს, დაიხსომოს ეს ციტატები.

ამგვარად, სიტყვა, რომ არ გაგვიგოდებდეს, ნათქვამის მიხედვით შეგვიძლიან შევნიშნოთ, თუ რა იდეებით ასაზრდოებდენ გერმანიის მუშათა კლასს მისი გამოფხიზლების დროს. ზედ დაუმატეთ კიდევ ხუცესთა ყოველგვარი ორგანიზაციები, პირშ-დუნკერების ორგანიზაციები, რომლებიც აერცელებდენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას და თქვენ გაიგებთ, თუ რა სიძნელით იკვლევდა გზას მარქსიზმი მუშათა მასებში.

გადავიდეთ ახლა აიზენახელებზე.

1863 წელს, როცა ძლიერი რევოლუციონური მოძრაობა დაიწყო, ლასალმა მოაწყო „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირი“. დემოკრატიულმა ბურჟუაზიამ ამ კავშირს დაუბირდაპირა და შეჰქმნა გერმანელ მუშათა ფერეინების ფედერაცია. ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია საქსონიის ორგანიზაცია იყო, რომელიც საქსონიის სახალხო პარტიაში (ბურჟუაზიულში) შედიოდა.

მაგრამ წლითი-წლობით გაზრდილი რევოლუციონური მოძრაობისა და მუშათა კლასის გაძლიერების ზეგავლენით ამ ფერეინებში თანდათან ჩამოყალიბება იწყო კლასობრივმა თვითშეგნებამ. ამას ხელი შეუწყო ვილჰელმ ლიბკნეხტის აგიტაციამ; მას უკვე იმ დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მარქსთან და ენგელსთან, მაგრამ ჯერ კიდევ ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენის იყო მარქსიზმის შესახებ. მალე იწყო ბურჟუაზიულ აზროვნებისაგან განთავისუფლება და მარქსიზმის მხარეზე გადასვლა, (თუმცა ეს „მარქსიზმი“, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, მეტად პრიმიტიულად ქონდა გაგებული), — ავგუსტ ბებელმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პომავალმა მუდმივმა ბელადმა. პარტიის ბელადად იგი შეიქნა პარტიის დაარსების დღიდანვე და სიკვდილამდის ბელადადვე დარჩა. არ შევეხებით დაწვრილებით იმას, თუ როგორ სწარმოებდა მუშათა ფერეინების რადიკალიზაცია 1868 წლამდის.

1868 წელს მათ უკვე თავისი ორგანო ჰქონდათ „დემოკრატიული კვი-

რეული“, რომელსაც ვ. ლიბკნეხტი ხელმძღვანელობდა. ეს წელი მუშათა ფერეინების ისტორიაში ახალი გზის აღმნიშვნელ წელიწადად გამოიქცა. მუშებს აღარ აკმაყოფილებდა ცეკვა, სხვადასხვაგვარი განმანათლებლები და სხვა ამისთანა რამ. ყოველ დღეს ახალ-ახალი მწვავე სოციალ-ეკონომიური ხასიათის საკითხები მოჰქონდა. ამიტომ, ვასაკვირველი არ არის, რომ როდესაც ნიურნბერგში 1868 წლის სექტემბრის 5 შეიკრიბა მე-V ყრილობა, მაშინ ბებელმა და საერთოდ ყრილობის უმრავლესობამ კატეგორიულად წამოაყენეს პროგრამის მიღების საკითხი „I ინტერნაციონალის სტატუტების მიმართულებით“. რასაკვირველია, ბურჟუაზია ცდილობდა ეს არ მომხდარიყო, იგი უმცირესობად აღმოჩნდა და ყრილობა დასტოვა. ყრილობამ მიიღო პროგრამა: ეს პროგრამა სოციალ-დემოკრატიული არ ყოფილა, ყრილობა არ ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად. მიუხედავად ამისა, ყრილობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდი ნაბიჯის წინ გადადგმას წარმოადგენდა. ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამას მკაფიოდ გამოსახული მიმართულება არ ჰქონებია; იგი მოუწოდებდა ვისაც ჯერ არს „მიმბრობოდა მუშათა საერთაშორისო ასოციაციის მისწრაფებებს“.

დემოკრატიული ბურჟუაზიისაგან ასე ორგანიზაციულად გამოყოფის შემდეგ, „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირშიაც“ და მუშათა ფერეინების ფედერაციაშიაც, რომელთაც ნიურნბერგის ყრილობაზე თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ, თავისთავად დაისვა საკითხი ამ ორი პარტიის გაერთიანების შესახებ. ერთი წლის განმავლობაში, ხანგრძლივი გაწა-მაწიის შემდეგ 1869 წლის აგვისტოს დამდევს მოხერხდა საერთო ყრილობის მოწვევა. მღელვარე სხდომის შემდეგ გამოიქცა, რომ გაერთიანებას არაფერი უხერხდება და თვითთულმა ორგანიზაციამ აიზენახში საკუთარი ყრილობა გამართა. გერმანელ მუშათა ფერეინების ფედერაციამ ახალი სახელწოდება მიიღო: „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“, ბებელის მიერ წინდაწინვე მოფიქრებული გეგმის თანახმად. მიღებულ იქნა ახალი პროგრამა.

რანაირი იყო იგი? ლიბკნეხტმა განაცხადა, რომ აიზენახის პროგრამა მეცნიერული სოციალიზმის უკანასკნელი დასკვნააო. მართალია ეს თუ არა? არა, მართალი არაა. ხოლო ლიბკნეხტის განცხადება გვიჩვენებს, რომ მას ნათლად ვერ ჰქონდა წარმოდგენილი მეცნიერული სოციალიზმი.

მართლაც, რას ვკითხულობთ ამ პროგრამაში? პირველ პუნქტში ნათქვამია: „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ცდილობს, რომ შექმნას თავისუფალი ხალხური სახელმწიფო“. განა ეს მარქსიზმია? შემდეგ, მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „არსებული პოლიტიკური და სოციალური პირობები მეტის-მეტად უსამართლოა“. როგორც მკითხველი ხედავს, აქ მორალისტის მიდგომაა საკითხთან და არა მარქსისტისა. შემდეგ ლაპარაკია ცნობილ „შრომის სრული პროდუქტის“ შესახებ, რაც გვიჩვენებს საკმაო უზრუნველობას თეორეტიული ეკონომიის დარგში, — და აგრეთვე ჩვენ ვხედავთ ლასალის სარწმუნოების სიმბოლოს, რაც ყველაზე უფრო ყურადსაღებია. „კოოპერატიულ

საქმისათვის სახელმწიფოს დახმარება და სახელმწიფო კრედიტის თავისუფალ მწარმოებელ ამხანაგობებისათვის დემოკრატიული გარანტიებით.

აი, პროგრამის ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტი. რასაკვირველია, აქ ძალიან მცირე რაშია მარქსიზმისა და ფრიად ბლომადაა ^{ჩანს} მაგრამ რატომღაც პარტიის ბელადი ამას მეცნიერულ სოციალიზმს უწოდებს. ამგვარად, საპროგრამო-პრინციპიულ საკითხებში არაფერი განსხვავება არ იყო აიზენახელებსა („მარქსისტებსა“) და ლასალელებს შორის, ამიტომ ცხოვრებას უნდა ეკარნახა გაერთიანების საჭიროება. მაგრამ მთელი ექვსი წელიწადი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში ორივე პარტიაში ვერაფერი ისწავლა და მარქსიზმისაკენ ოდნავადაც კი ვერ წაიწია; გაერთიანება მოხდა გოთის ყრილობაზე 1875 წელს.

ბ) გოთის ყრილობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აიზენახელებმა ვერაფერი ისწავლეს, ლასალელები კი თავის პოზიციას შერჩნენ. აიზენახელების თავში არეული თეორეტიული დომხალი ხელუხლებლად დარჩა. მათ შორის ერთად-ერთი, ცოტად თუ ბევრად, სწორედ მოახროვნე ადამიანი იყო იოსებ დიცგენი. ბურჟუაზიულ ისტორიკოსს ბოკლს ლიბკნეხტი სთვლიდა უდიდეს მეცნიერად, რომელმაც ასალი გზები აღმოაჩინა ისტორიული მეცნიერების დარგში, ისევე როგორც მარქსმა სოციალურ მეცნიერებათა დარგშიო. (იხ. მერინგი: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია“. ტ. მე-IV, გვ. 59). ბოლოსა და ბოლოს თვით აიზენახელები ამბობდნენ: „ორგანიზაციის მხრით აიზენახელები ვიყავით, პრინციპებისა და აგიტაციის მხრით ლასალელებიო.“ (იხ. იქვე გვ. 60). მათი ორგანო მეტის-მეტად სტუმართმოყვარე იყო, იქ თავშესაფარს ჰპოებდნენ პროდონისტებიც (მიულბერგერი) და „კათედერ-სოციალისტებიც.“ ყველაფერ ამას ასალებდნენ მარქსიზმის უახლეს გამომჟღავნებად. ის, რაც ლასალელებსა და აიზენახელებს ანსხვავებდა, იყო არა პრინციპიული-საპროგრამო საკითხები, არამედ პროფმოძრაობის საკითხები.

მაგრამ მას შემდეგ, რაც კავშირების შესახებ რეაქციონური კანონი გამოვიდა, ყველა დაბრკოლება გადალახული იქნა, გაერთიანება და რეაქციისათვის მასობრივი წინააღმდეგობის გაწევა გადაუდებელ აუცილებლობად გადაიქცა. 1874 წლის შემოდგომიდან იწყება მოლაპარაკება, რასაც შედეგად მოჰყვა 1875 წლის თებერვლის 14-ისა და 15-ის თათბირები. ამ თათბირზე შემუშავებულ იქნა ახალი გაერთიანებული პარტიის ორგანიზაციის (წესდების) პროექტი და პროგრამის პროექტი. წესდება შედგენილ იქნა მთლიან აიზენახელების ყაიდაზე, ლასალელები კი მით უფრო ადვილად დაეთანხმნენ მათ, რომ პრაქტიკამ გამოააშკარავა ლასალელების ორგანიზაციული აღმშენებლობის უფარვისობა. პროგრამის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ აქ საქმე უფრო ცუდად იყო. მერინგი ამის შესახებ შემდეგს ამბობს: „...იგი (პროგრამის პროექტი. გ. დ.) კომპრომისს წარმოადგენდა ლასალელებისა და აიზენახელების წინანდელ პროგრამებს შორის, მაგრამ კომპრომისი ფორმის მხრით უფრო გაცი-

ლებით მეტი იყო, ვიდრე არსებითად არც ერთ ფრაქციას არ ესაჯიროებოდა, რომ თავის რწმენათაგან რაზე დაეთმო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უმთავრეს პუნქტებში ორივე „ფრაქციის რწმენა ერთმანეთს ეკუთვნებოდა“ (იხ. ტ. მე-IV. გვ. 91). თუმცა მერინგი ლასალელების მიმართ განსაკუთრებული სიმპატიით არის გამსჭვალული, მაგრამ ეს დებულება აბსოლუტურად სწორია. ჩვენ ამაში ზემოთ დავრწმუნდით ორივე პარტიის პროგრამების გარჩევის დროს. თვითონ მარქსი ბრაკეს სწერს 1875 წლის მაისის 5, რომ პროექტი „კოალიციონური“; მას მხედველობაში ჰქონდა აიზენახელებისა და ლასალელების წინანდელი პროგრამები, იგი იქვე ამბობს შემდეგს:

„... საზღვარგარეთ გავრცელებულია სრულიად შემცდარი აზრი, რომელსაც პარტიის მტრები გაულმოდგინედ ამაგრებენ. ვითომც ჩვენ აქედან (ლონდონიდან—გ. დ.) ვხელმძღვანელობდეთ ყვეთწოდებულ აიზენახურ პარტიას. მაგალითად, ახლახანს დაბეკდილს რუსულ ბროშურაში ბაკუნინი პასუხისგებას მე მაკისრებს... ამ პარტიის ყველა პროგრამისა და სხვა ამისთანაებისათვის.“ აქედან, სხვათა შორის, სრულიად აშკარად სჩანს, რომ მარქსი იმ ხანებში ნაკლებად ერგოდა პრაქტიკულ მუშაობაში, რომელსაც მიზნად ექნებოდა აიზენახელების პროგრამაში წარმოუდგენელი აბღა უბდის გასწორება; ჯერ ერთი იმიტომ რომ მარქსი მთელ თავის ოროს ანდომებდა „კაპიტალის“ მე-II და მე-III ტომების დამუშავებას, რის დამთავრება მაინც ვერ მოასწრო, მეორეც—ის ჰაჟიკრობდა რომ მოძრაობა თავისთავად მიიყვანდა მათ პროგრამის ძირიანად შეცვლის აუცილებლობამდის. რომ ეს ასეა და არა სხვანაირად, მარქსის შემდეგი სიტყვები ამტკიცებს: „... თუ აიზენახის პროგრამაზე შორს წასვლა არ შეიძლებოდა,—პირობებმა ამას ხელი არ შეუწყო.—მაშინ საჭირო იყო მარტო შეთანხმების დადება საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედებისათვის“ (ლაპარაკია გოლის პროგრამის პროექტის შესახებ—გ. დ.). ამაზე ნათლად არ შეიძლებოდა თქმა: მე პასუხს არ ვაგებ აიზენახელების სისულელისათვის, ვფიქრობდი, რომ თითონ გაისწორებდენ ამ სისულელეს გოთის ყრილობაზე, მაგრამ უაზრობა გამოვიდაო. „პროგრამა საერთოდ არაფრად გარვა, გარდა იმისა, რომ ის კურთხევას წარმოადგენს ლასალის საწმუნოების სიმბოლოსათვის...“ ყველა ეს ციტატი აოღებულია ბრაკესთან გაგზავნილ წერილიდან, რომელიც დართული აქვს „შენიშვნებს პროგრამის პროექტზე“ 1875 წლის მაისის 6. ამაზე უკრო აღრე პროექტის კრიტიკა მოგვცა ენგელსმა—1875 წლის მარტის 18/28. მაშასადამე ყრილობამდის ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი (ყრილობა მაისის 27 მოხდა).

პროექტის კრიტიკა მოგვცეს მარტო მარქსმა და ენგელსმა კი არა, არამედ თვით მუშებმაც დასავლეთ გერმანიის ყრილობაზე. პარტიამ კი მთლიანად იგი მოიწონა და მიიღო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თეორეტიულად პარტიაც და მისი ბელადებიც ჯერ ეერ მომწიფდენ მარქსის მხიხათვის. მაშრილათი აიხსნება, რომ მარქსმა და ენგელსმა გაანიავეს მხოლოდ ლასალელები, აიზენახელები კი თითქოს არაფერ შუაში იყვნენ? იმით აიხსნება, რომ (მერინგს აქაც უნდა დავეთანხმოთ) მარქსი მხედველობიდან უშვებდა, რომ პროგრამის

პროექტი სისწორით გამოხატავდა ორივე ფრაქციის თეორეტიკული შეხედულებებს; ის ჰფიქრობდა, რომ აიზენახელები დაეუფლენ მეცნიერულ კომუნიზმს და ყველა მის ლოლიკურ დასკვნებს! ბებელი თავის მემუარებში ეცხადებდა: „რასაც ორივე ლონდონელი მოხუცი (მარქსი და ენგელსი) მარქსინციპალიური ხასიათის დათმობად სთვლიდენ, ის ჩვენ მხოლოდ სტრუქტურულ მანჯოვრად მიგვაჩნდა.“ კარგი ტაქტიკური მანჯოვრაა, როდესაც პროგრამაში შეაქვთ ისეთი პუნქტი, სადაც ნათქვამია: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სოციალური საკითხის გადაჭრისათვის გზის გასაკვლევად, მოითხოვს სოციალისტურ მწარმოებელ ამხანაგობათა დაარსებას სახელმწიფოს დახმარებით და მუშა ხალხის დემოკრატიულ კონტროლ ქვეშ. მწარმოებელი ამხანაგობანი უნდა შებქმნას მრეწველობასა და მიწათმოქმედების დარგში ისეთი მასშტაბით, რომ მათგან წარმოიშვას მთელი წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია“. — ამაზე მარქსმა სამართლიანად შენიშნა: „არსებულ კლასობრივ ბრძოლის ადგილს სავახეთო გამოთქმანი იტერს: „სოციალური საკითხი“, რომლის „გადაჭრასაც“ „ამხადებენ“. „მთელი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია“ „წარმოიშვება“ არა საზოგადოების გარდაქმნის რევოლიუციონური პროცესის გზით, არამედ „სახელმწიფოს დახმარებით“... შემდეგ ამისა მარქსი გარდამავალ პერიოდის კლასიკურ განსაზღვრას გვაძლევს: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შუა მოქცეულია ერთი საზოგადოების მეორე საზოგადოებად რევოლიუციონური გარდაქმნის პერიოდი. მას შეეფერება პოლიტიკური გარდამავალი პერიოდიც, როდესაც სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლეთარიობის რევოლიუციონურ დიქტატურას.“. საჭიროება არ მოითხოვს, რომ შევჩერდეთ ყველა საკითხებზე, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ მარქსიზმთან და რომლებსაც ბებელი ტაქტიკურ „მანჯოვრად“ სთვლიდა. ამის შესახებ მკითხველები ბევრს გაიგებენ „გოთის პროგრამის კრიტიკაში“.

ამგვარად, მიუხედავად მარქსისა და ენგელსის კრიტიკისა, გოთის ყრილობაზე ლასალისეულ პროგრამის მიღება იმას არ გვიჩვენებს, რომ აიზენახელებმა რამე დასთმეს თავის თეორეტიკულ შეხედულებებიდან: (ეს რომ ასეც ყოფილიყო, პროგრამის მიღება ამტკიცებს, თუ რამდენად არ აფასებდენ თავის შეხედულებებს ის პირნი, რომელნიც თავის თავს მარქსისტებს უწოდებდენ); თვით აიზენახელებს არაფერი გააჩნდათ და რა უნდა დაეთმოთ? ლასალისეული პროგრამის მიღება მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ აიზენახელებიც იმავე შეხედულებებისანი იყვნენ, როგორცაც ლასალელები.

მართალი იყო მცხოვანი მერინგი, როდესაც ამბობდა: „ლასალიანობა სამუდამოდ ჩაქრა გოთის დღეებში, მაგრამ ეს დღეები ყველაზე ნათელი დღეები იყო ლასალის დიდებისათვის“.

გაერთიანებულ პარტიაში უმრავლესობას ლასალელები შეადგენდენ — 16.000-დის იყვნენ, აიზენახელები კი — 9.000 იყვნენ. ხელმძღვანელ ორგანოებში თანამიმართება უდრიდა 60% - 40%. ყველა აიზენახელი რომ მარქსისტი ყოფილიყო კიდევ, ასეთ თანამიმართებას თეორეტიკულ სიწმინდეზე უნდა ემო-

ქმედა (ასეც მოხდა). მაგრამ მარქსსა და ენგელს ღრმა რწმენა ჰქონდათ პროლეტარიატისა, ჰფიქრობდნენ, რომ ისინი გამოასწორებდნენ საქმეს, მიუხედავად პარტიის ბელადების უვარგისობისა. სწორედ ამით აიხსნება ყველაფერი მეგობარი აშკარად არ გამოსულან და არ განუცხადებიათ კარგი შემოქმედებასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. ენგელსი სწერს (ბუბელს) 1875 წლის ოქტომბრის 12: „ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შორის თუნდაც ერთი კრიტიკულად მოაზროვნე ტვინის პატრონი გამოჩენილიყო, ის ამ პროგრამის ყველა დებულებას სათითაოდ გაარჩევდა, გამოამკლავებდა თვითეული დებულების ნამდვილ შინაარსს, ყველას ხელშესახებდა დაანახევებდა უაზრობას, გამოარკვევდა წინაუკმობას და ეკონომიურ იაღლიშებს... და მთელ ჩვენ პარტიას სასაცილოდ გახდიდა. ამის მაგიერ, ბურჟუაზიულ გაზეთების ვირებმა ეს პროგრამა სრულიად სერიოზულ რამედ მიიჩნიეს, მასში ის ამოიკითხეს, რაც შიგ არ არის და კონგუნისტურ ყაიდაზე გაიგეს. როგორც სჩანს, მუშებიც ასე იქცევიან. მხოლოდ ამ გარემოებამ შოგვცა ნება მარქსსა და მე, არ უარგვეყო ასეთი პროგრამა. ვიდრე ჩვენი მოწინააღმდეგენი, და აგრეთვე მუშები, ამ პროგრამაში ჩვენს შეხედულებებს კითხულობენ, მანამდის დუმილი გვეპატიება“.

ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება — წვრილ-ბურჟუაზიული „სოციალიზმის“ ნაშთები მძიმე ლოდად აწვენენ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც 12 წლის დამოუკიდებელი მოძრაობის დროს წინ კი არ წავიდა, არამედ უკან დაიხია, მარქსიზმისაკენ კი არ მიიმართებოდა, არამედ პირშ-დუნკერ ანობისაკენ, ბრენტანობისაკენ და სხვ.

გ) თეორიული სისუსხე

ნათქვამიდან აშკარაა, რომ სოციალ-დემოკრატია ორტოდოქსალურ-მარქსისტული პარტია არ იყო, როცა დაიწყო თავისი მოღვაწეობა მუშათა კლასის ორგანიზაციისა და განათლებისათვის. მაგრამ მარქსის „კაპიტალის“ I ტომი და მისი და ენგელსის ისტორიული შრომები დღითიდღე თავის საქმეს აკეთებდა. სოციალ-დემოკრატია უკვე დიდ ძალას წარმოადგენდა, იგი აკავშირებდა დაახლოებით 40.000 წევრს, მისი გავლენა კი უფრო შორსა სწვდებოდა, მას ჰქონდა 23 პოლიტიკური ორგანო. 1877 წელს სოციალ-დემოკრატის კანდიდატებმა რაიხსტაგის არჩევნების დროს 493.477 ხმა მიიღეს; პროფკავშირების წევრთა რიცხვი აღიოდა 50.000-დის. ეს პრაქტიკული წარმატება უფრო და უფრო იზრდებოდა და საჭირო იყო სათანადო თეორეტიული მომზადებაც. მაგრამ ამ მხრივ საქმე ძალიან ცუდად იყო „მისმა პრაქტიკამ საგრძნობლად გაუსწრო თეორიას“ (მერიინგი). ამის დადასტურებას განსაკუთრებით აშკარად გვიჩვენებს სოციალ-დემოკრატული ფრაქციის მოღვაწეობა რაიხსტაგში, სადაც ფრაქციის წევრებმა ვერ შესძლეს საქმიანი რამ ჩამოეყალიბებინათ ბისმარკის ღონისძიებათა გამო, თუნდაც, მაგალითად, პროტექციონიზმისა ან რკინის გზების გასახელმწიფოებრიობის, და სხვა საკითხების შესახებ. სოციალ-დემოკრატი დებუტატები, ვისაც როგორც მოვპრიანებოდა, ისე იღებდნენ მონაწილეობას კენჭის ყრაში: ზოგი მომხრე იყო, ზოგი წინააღმდეგი, ზოგი თავს



იკავებდა. მკაფიოდ გამოსახული იდეალისტური ელფერი ელთ პარტიულ ორგანოებს, მაგალითად „ახალ საზოგადოებას“ (ციურიხში) და „მომავალს“ (ბერლინში), რომლებსაც ფ. ვიდე და ჰეპბერგი უძღვებოდნენ. ამ ორგანოებისათვის სოციალიზმი იყო გრძნობისა და მორალის საკითხი, და არა მტკიცე აუცილებლობისა. ამგვარად სოციალიზმს გამოცლილი ჰქონდა მეცნიერული ფესვები და უტოპიად გადაიქცა. ყველაზე მეტად და უმთავრესად ისინი უნდებოდნენ მომავალი საზოგადოების მოწყობის საკითხებს.

მარქსი და ენგელსი ჯერ-ჯერობით არ ერეოდნენ ამ ისტორიაში, თეორეტიული სისუსტე კი მით უფრო დიდდებოდა. თავივლად იფურჩქნებოდა „კათედერ-სოციალიზმი“ და თანდათან უფრო მეტ მომხრეებს იზიდავდა სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან. განსაკუთრებით თვალსაჩინო პიროვნებად ითვლებოდა „კათედრის სოციალისტებს“ შორის ევგენი დიურინგი და დიდი სიმპატიებიც ჰქონდა მას მოხვეჭილი.

რას წარმოადგენდა იგი?—„... ის იყო დამცველი პოლიტიკური რადიკალიზმისა, რომელიც თავის იდეალებს ხედავდა ბაირონსა და შელლიში, მარატსა და ბაბიოფში, კომუნის მოღვაწეებში.“ „ის არ იცნობდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას და დიდ უტოპისტების მსგავსად მას დასაყრდნობ პუნქტად მიაჩნდა რევოლუციონური ბურჟუაზიის განმანათლებელი ლიტერატურა, მაგრამ ამ გზით ის უტოპიაში ეფულობოდა. „დიურინგის სწავლას ძლიერი მიმზიდველი გავლენა უნდა მოეხდინა სოციალ-დემოკრატიის სწორედ გონებრივად ყველაზე უფრო ცოცხალ ელემენტებზე, რომელთაც ვეღარ აკმაყოფილებდა ლასალის სააგიტაციო თხზულებანი, მაგრამ მათთვის მარქსის „კაპიტალიც“ ჯერ ვერ გადაიშლებოდა მთელი თავისი ისტორიული შინაარსის მრავალფეროვნებით“ (მერიხგი—„გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორია“ ტ. მე-IV, გვ. 128—9). როდესაც ეს ვაგბატონი გამოვიდა, დაეუფლა სოციალ-დემოკრატიის მასებს და თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ბებელიც კი, და საერთოდ თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატები, მაშინ მარქსმა და ენგელსმა საფრთხე დაინახეს და გადასწყვიტეს გამკლავებოდნენ.

ენგელსმა მოათავსა თავისი წერილები გაზეთში „წინ“, რომელთა კრებული შემდეგ ცალკე გამოვიდა „ანტი-დიურინგის სახელწოდებით. ჩვენ არ შევჩერდებით დიურინგის ნოდურებაზე—ეს იქნებოდა ენგელსის „ანტი-დიურინგის“ შინაარსის გადმოცემა. საქართველოში აღინიშნოს, რომ პარტიის ყრილობაზე ენგელსის წინააღმდეგ გამოვიდა „ბელადების“ მთელი წყება და წინადადებას იძლეოდა, რათა ენგელსს შეეწყვიტა თავისი წერილების ბეჭდვა; ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ გაზეთი მასობრივია, პოლიტიკური და იქ სრულებითაც არ უნდა დაეთმოს ადგილი აკადემიკოსების კამათსო. მე უკვე აღვნიშნე, რომ ბებელი დიურინგის გავლენის ქვეშ მოექცა (სანამ ენგელსმა „ყური არ აუწია“); მაგრამ კარგად ვერ მიდიოდა ვ. ლიბკნეხტის საქმეც. როდესაც ენგელსი დიურინგთან კამათს იწყებდა, მარქსთან მიწერილ წერილში 1876 წლის მაისის 26 პირდაპირ ამბობდა: ვილჰელმ ლიბკნეხტს „... დიდი სურვალი აქვს... გაასწოროს ჩვენი თეორიის ნაკლებობაო“ (ენგელსი ამას, ცხადია ირონიით ამ-

ბობს—გ. დ.) ... „ამასთანავე ლიბკნეხტი მისწრაფებას იჩენს, რომ თეორეტიულად რაც შეიძლება მეტად დამოუკიდებელი იყოს ჩვენგანაღ—შემდეგ ენგელსი ამბობს—ვ. ლიბკნეხტი „სრულიად მოკლებულია ყოველგვარი თეორიის...“

უკეთეს მდგომარეობაში არ ყოფილა მუშათა მასაც. მას ასახრდობდნენ ლასალიანობის, დიურინგიანობის, პირშ-დუნკერიანობის და სხვათაგან შეზავებულ შეჭამანდით. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის ჟურნალებისა და გაზეთების სიუხვისა, მარქსი 1877 წლის ივლისის 18 ენგელსს სწერდა: „ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ნამდვილი სოციალისტური მეცნიერული ჟურნალი გამოდიოდესო“. ამით მარქსი გარკვევით აღნიშნავდა არსებულ ჟურნალების უვარგისობას. ის „არა საიმედოდ“ სთვლიდა „ახალ ქვეყანასაც“, „წინ“-საც და სრულიად სამართლიანად უარჰყო წინადადება, რომ ჟურნალ „მომავალში“ ეთანამშრომლა (1877 წლის ივლისტოს 1-ის წერილი).

აი, მარქსის მეტის-მეტად ძვირფასი შენიშვნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შესახებ იმ პერიოდში: „გერმანიაში, ჩვენ პარტიაში, არა იმდენად მასხებს შორის, რამდენადაც მის ბელადებს შორის („მუშებსა“ და პრივილეგიან კლასების პირთა შორის) სიღამძლის ხუნი ტრიალებს. ლასალელებთან კომპრომისმა მარტო სხვა და სხვა ნახევარ მსწავლელებთან არ გამოიწვია კომპრომისი, როგორც, მაგალითად, ბერლინში (იხილე Most-ი) დიურინგთან და მის „თაყვანის მცემლებთან“; კომპრომისი გამოიწვია აგრეთვე მოუმიწიფებელ სტუდენტების და „უბრძნეს“ დოქტორების მთელ ბანდასთან; მათ მიზნად დაისახეს მიეცათ სოციალიზმისთვის „უფრო მაღალი იდეალისტური“ მიმართულება, ე. ი. სოციალიზმის მატერიალისტური ბაზის ადგილი უნდა დიეკირა ახალ მითოლოგიას და მის ღმერთებს: სიმართლეს, თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას (fraternite)“. შემდეგ მარქსი ამ მიმართულების ტიპიურ წარმომადგენლად ასახელებს ჰეპბერგს და მის ჟურნალს (პარტიულს) „მომავალს“ და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გერმანიის მუშათა მოძრაობა უკან იხევს. წერილ-ბურჟუაზიულ უტოპიისკენ, რომელიც „ხელახლა დაეუფლა მათ გონებას“ (წერილი ზორგეს, 1877 წლის ოქტომბრის 19).

დ). გაჯანსაღებისაკენ

ასეა თუ ისე თეორეტიული გაწყალ-წყალების საფრთხე ფრიად დიდი იყო. ამ საფრთხეს მკვეთრი ძახილი ჩასცა ენგელსმა თავისი „ანტი დიურინგით“ და ატმოსფერაც თითქოს იწმინდებოდა. ამავე დროისთვის (1878 წ.) გამოცემულ იქნა კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, რამაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია ჰერქვეშ ჩარეკა. პირველი შეფიქრიანების შემდეგ ორგანიზაციები ისევ წელში გასწორდნენ, შეეგუენ ახალ გარემოებას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გაჯანსაღების გზას დაადგნენ და იწყეს ზრდა მარქსიზმის დროშის ქვეშ. „სოციალ-დემოკრატია“ შვეიცარიაში ედ. ბერშტეინის რედაქტორობით და მეცნიერული ჟურნალი „ახალი დრო“ კ. კაუცკის რედაქტორობით ხელს უწყობდნენ პარტიული მასების თეორეტიულ განვითარებას. ეს გამო-

ენგელსის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდნენ, რომლებიც ახლა პარტიის საქმეებში უფრო ახლო მონაწილეობას იღებდა (მარქსი გარდაიცვალა 1883 წელს — სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გამოსაქმნის მიზნით 5 წლის შემდეგ). მაგრამ ენგელსი მარტო ამ ჟურნალსა და გაზეთს — „ნიუსტრატანელს“ — არ იტოვებდა. რეინსტავის ფრაქცია ბებელის საშუალებით მჭიდროდ იყო მასთან დაკავშირებული და შინაური და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხებისათვის მისგან ღირებულებებს იღებდა (ისევე როგორც ლენინი ხელმძღვანელობდა ჩვენს ფრაქციას სახელმწიფო სათათბიროში და მთელ კონსპექტებსა და თეზისებს ამღებდა ტრიბუნაზე გამოსვლებისათვის).

მიუხედავად ამისა პარტიაში ჯერ კიდევ მთლად კარგად არ მიდიოდა საქმე. მე, რასაკვირველია, მესმის ამ მდგომარეობის მიზეზები, მაგრამ მინდა მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა. ჩვენ ზემოდ უკვე ვთქვით, რომ „სოციალ-დემოკრატი“ და „ახალი დრო“ ხელს უწყობდნენ მასების განათლებას მარქსიზმის მიმართულებით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „სოციალ-დემოკრატიის“ პოზიცია ყოველთვის არ იყო უმწიკვლო. მაგალითად, ენგელსი 1880 წლის აპრილის 1-ს ბეკერს სწერდა ამ გაზეთის შესახებ: „დღეს რევოლიუციას ჰქადაგობს, ხეალ კი ძალდატანებით გადატრიალებას უდიდეს უბედურებად სთვლის“. ის უწოდებს გაზეთს „შეხდულულ-წვრილმანურს“, ფილისტერულ-წვრილ-ბურჟუაზიულს“, რომელსაც იწონებენ „ბელადები“. სარბიელზე ჩნდება შემდეგი დროის რევიზიონისტი ფოლმარი, რომელიც ჰქადაგებს დაუყოვნებლივ სოციალისტურ გადატრიალებას (სწორედ ისე, როგორც პარვეს-ტროცკი 1905 წელს) და ყველას პროლეტარიატის ვარდა „მთლიან რეაქციონურ მასად“ სთვლის, რის გამო ენგელსმა ბერნშტეინს მაგრა მოატხანინა თავი. მაინც გაზეთი ამის შემდეგ სწორ გაზეთდგებოდა ენგელსის საქმეში ჩარევის გამო; ამის შესახებ შეგვიძლიან წარმოდგენა ვიქონიოთ ბერნშტეინისადმი მიმართულ ენგელსის მრავალ წერილებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია „კ. მარქსის და ფ. ენგელსის არქივის“ I წიგნში.

ასეა თუ ისე, მარქსიზმი თანდათან ეუფლებოდა გერმანულ სოციალ-დემოკრატიების უმრავლესობის გონებას; 1887 წელს ენგელსს შეეძლო მხოლოდ შემდეგი ეთქვა: „... სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში — პარლამენტის ფრაქციითურთ — წვრილ-ბურჟუაზიულ სოციალიზმს თავისი მომხრეები ჰყავს. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ასეთი წევრები აღიარებენ მეცნიერული სოციალიზმის ძირითად აზრებს და იმ მოთხოვნების მიხედვით უწონილობას, რომ წარმოების ყველა საშუალება გადაიქცეს საზოგადოებრივ საკუთრებად, მაგრამ ამ მოთხოვნების განხორციელებას შესაძლებლად აცხადებენ მხოლოდ შორეულ მომავალში და როდის დადგება ეს მომავალი გაურკვეველია. ამგვარად, ახლანდელ დროისათვის რჩება მხოლოდ სხვა და სხვა გვარი სოციალური პლასტიკები, და გარემოების მიხედვით, თანაუგრძნობენ კიდევ „მშრომელი კლასის ევრეთწოდებულ აწივისადმი“ ურეაქციონურეს მისწრაფებებს (იხ. წინასიტყვაობა „ბინის საკითხისათვის“). შემდეგ ის მიუთითებს ასეთ მიმართულებების ატცილებლობაზე და სთვლის მას არასაშიშ მოვლენად „ჩვენი ნუშების სალი გო-

ნიერების საკვირველი ძალის პირობებში“. არც მარქსს, არც ენგელსს არასოდეს არ ჰქონიათ „ბელადების“ იმედი, მათი სისულელის გამოსწორება თვით მასებს შეუძლიანთო. საჭირო იყო პროლეტარიატის ძალეზნობის გასაოცარი რწმენა, რომ ამგვარად ელაპარაკათ. ასე შეეძლოთ ლაბსკიშის მხარეს და ენგელსს, რომელნიც თავის შეხედულებათა დადასტურებას ყოველდღე ხედავდნენ იმ ეპოქაში, როდესაც „ბელადები“ ამქლავებდნენ თავის სრულებითაც ანა „კაჟისებურ“ სახეს (გოთის პროგრამა, დიურინგიანობა და სხვ.).

ამგვარად, სოციალისტების ხაწინააღმდეგო საგანგებო კანონის ეპოქა იმავე დროს იყო ეპოქა მარქსიზმის ჩანერგვისა სოციალ-დემოკრატიის წრეებში; იგი იზრდებოდა მარქსიზმის ნიშანქვეშ. ამისი დამამტკიცებელია ეროვნულ-პროგრამა, მაგრამ იგივე პროგრამა გვიჩვენებს, რომ სოციალ-დემოკრატია მარქსიზმისათვის ჯერ არ მომწიფებულიყო.

II. ერუშრტის ურილობის შემდეგ.

1. ლაცემის დასაწყისი

1890 წელს მოისპო საგანგებო კანონი სოციალისტების წინააღმდეგ. რითი აიხსნება ეს? ხსენებული კანონის ბატონობის დროს სოციალ-დემოკრატია სწრაფი წარმატების გზას დაადგა და საქმეს ასწორებდა თავის საქმიანობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დარგებში. მრეწველობა ვითარდებოდა სწრაფის ტემპით მას შემდეგ, რაც მრეწველობას შეუშაბუნეს ისეთი „კაჟური“, როგორიც იყო „ფრანგული მილიარდები“ (გერმანიამ კონტრიბუცია მიიღო საფრანგეთ-გერმანიის 1870-71 წლების ომის შემდეგ). შინაური ბაზარი გაქედილი იყო, და როდესაც გერმანია გამოვიდა მსოფლიო ბაზარზე, მაშინ ყველა ადგილი დატაცებული იყო ინგლისისა და საფრანგეთის მიერ. საჭირო იყო ბაზრების ხელში ჩაგდება საკუთარი პროდუქტების გასასაღებლად. გერმანიის ბურჟუაზია ხედავდა, რომ ბისმარკის პოლიტიკა სახელმწიფოს ფარგლებში სიკეთეს არ მოიტანდა. სოციალ-დემოკრატია არ დაღუპულა, როგორც ელოდნენ, არამედ განუწყვეტლივ ძლიერდებოდა, და რაკი ეს ასე იყო, იგი იარაღით აღჭურვილი ჯნდა გამოსულიყო თავის უელემენტარეს ინტერესების დასაცავად (ტყუილად არ იყო, რომ ენგელსი ახლო ხანში მოელოდა რევოლიუციას), ყველა გრძნობდა რევოლიუციის მოახლოებას. გერმანიის ბურჟუაზიას კი მაღა ნხოლოდ ახლა ეღვიძებოდა. საღმა კლასობრივმა ყნოსვამ უკარნახა ბურჟუაზიას მორიგება მოეხერხებინა სახელმწიფოს შიგნით, ხელფები გაენთავისუფლებინა შინაურ ფრონტზე, რათა თავისუფლად ემოქმედა საგარეო ფრონტზე სათანადო ადგილების მოხაზვეჭად. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მოისპო კანონი სოციალისტების წინააღმდეგ.

მაგრამ რას ვხედავთ ამის შედეგად სოციალ-დემოკრატიის რიგებში? ბუშბერაზულ დაბნეულებას. მოელოდნენ რევოლიუციას და რევოლიუციის მაგიერ კი მიიღეს ლეგალიზაცია. მათ ეგონათ, რომ ბურჟუაზიამ შიშისაგან აღარ იცოდა—რა ექნა, ის კი არა და ლეგალური არსებობის უფლება მიანიჭა. და-

იწყოს „ახალი კურსი“. ყველაზე უფრო მერყევი ვინც იყვნენ, დაიწყეს გადაგება, რომ უკეთესია სრულებითაც აღარ ვილაპარაკოთ რევოლუციის შესახებ. დადგა ძველ ღირებულებათა რევიზიის პერიოდი (ეფუღეზი) მოძრაობის მრუდი, მარქსიზმის შეთვისების მხრით, საერთოდ უკვე დაბნეული მიიმართება.

მაგრამ მოვიგონოთ ფრიად საინტერესო დებატები ერფურტის ყრილობაზე, და მის შემდეგ პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გარშემო. ცნობილია, რომ ყრილობაზე წარმომადგენლები პყავდათ მემარჯვენეებს და მემარცხენეებს, პარტიის გამგეობას კი ორთაშუა პოზიცია ეჭირა. მემარჯვენეების ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენელი ფოლმარი იყო. აი რას ამბობდა იგი ყრილობაზე: სერიოზული ადამიანები თავისთვის იღეაღს ჰქმნიან, მაგრამ ამავე დროს მათ იციან თუ რა გრძელია გასავლელი გზა, მრავალრიცხოვანია დასაძლევი დაბრკოლებანი. ისინი ანგარიშს უწყვენ იმ გარემოებას, რომ წარსულთან ათასი ძაფით გადაბმული წყობილება უცებ ვერ დაუთმობს ადგილს ცხოვრების ახალ წესებს; ყოველი ევოლიუცია თანდათანობით ხდება, საჭიროა ყველაფრის მონდომება და ყველაფრის მოპოებისათვის ბრძოლა, მაგრამ დაპურობა კი ნაწილ-ნაწილად უნდა ხდებოდეს“. შემდეგ უკვე არგუმენტაციებია „პოეზიის“ დახმარებით. „გრძელსა და ნარეკალით მოფენილ გზაზე დამდგარნი მოგზაურნი ვერ შეინარჩუნებენ თავის ძალღონეს მხოლოდ თავის იმედების საგანთა ხილვით, რომელნიც მათ ენატებათ ბუნდოვანსა და შორეულ სივრცეში, თორემ თავის მიზნის მიღწევამდის ძალიან ადრე დაიხოცებიან შიმშილისა და წყურვილისაგან“. და შემდეგ იქვე განაგრძობს: „აი ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვანდომოთ კერძო მოთხოვნილებებს, რომელნიც დააკმაყოფილებენ ყოველი წუთის აუცილებელ საჭიროებათ და რომელთაც ყველაზე მეტი შანსები აქვთ განხორციელებისათვის. ჩვენ ამ მოთხოვნილებებს უნდა მოვახმაროთ მთელი ძალღონე ჩვენი პროპაგანდისა, ჩვენი დემონსტრაციებისა და რწმენისა, უნდა მოვახმაროთ დახელოვნება და სიმედვრე კამათის დროს, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ვაგლენაც“. (იხ. მილიო „გერმანიის სოციალ-დემოკრატია“-გვ. 610).

აი ის ჰანგები, რომელთაც ახლაც გაიგონებთ თვითთელი მენშევიკისაგან. დაუგდეთ კიდევ ყური. ის მოითხოვდა, რომ „პარტია აშკარად და თამამად დასდგომოდა პრაქტიკული პოლიტიკის გზას... და რეფორმისტული პოლიტიკის სისტემატიზაცია მოეხდინა“. რასაკვირველია, მემარცხენეებმა წინააღმდეგი აზრები სეტყვასავით მიაყარეს. რა პოზიცია დაიჭირა პარტიის გამგეობამ? მან სხვა ვერაფერი მოახერხა იმის გარდა, რომ „მიუთითა მემარცხენეებს „რეფორმისტული მოღვაწეობის საჭიროებაზე და ძალდატანებაზე და ძალდატანებითი პოლიტიკის საშიშროებაზე, ფოლმარს კი ოპორტუნიზმის საფრთხეზე და რევოლუციონური დროშის მალლა დაჭერის საჭიროებაზე (იქვე). სოლომონ ბრძენიც კი მეტის-მეტად კმაყოფილი იქნებოდა ასეთი გადაწყვეტილებისა... მაგრამ თავი დაეანებოთ ფოლმარს, იგი ტიპიური არ არის გერმანიის სოციალ-დემოკრატისათვის იმ პერიოდში. შევეხოთ ლიბკნეხტსა და ბებელს.

ლიბკნეხტი: რა იქნებოდა, ჩვენ რომ პარლამენტში უმრავლესობა გვეყოლოდა? „ჩვენ რომ იმდენივე ხმა და იმდენივე ძალა გვექონოდა რამდენიც ბურჟუაზიულ პარტიებს, მაშინ რაიხსტაგი ჩვენთვისაც ისევე სასარგებლო იქნებოდა, როგორც სხვა პარტიებისათვის არის ამ უამად სასარგებლო, „საკანონმდებლო ურდულები და რაზა-კოჭაკები“ ჩვენ ისევე კარგად დაგვეხმარებოდა, როგორც ჩვენს მოწინააღმდეგეებს ეხმარება... მე ამით სრულებითაც არ მინდა ისა ვსთქვა, რომ საკანონმდებლო გზით ყველა საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა; მაგრამ დაე მაჩვენონ სხვა რომელიმე გზა, რომ მიზანს მიგვალწევინოს“. „რასაკვირველია, ბევრის აზრით, არსებობს სხვა უფრო გაბედული საშუალება:—ეს არის ძალდატანება“. აი ჩვენ ვემზადებით ამისთვისაო. — „მაშინ ჩვენ მივიღებთ ანარქიას“. „რევოლუციონრობის რაობას საშუალებანი კი არ შეადგენენ, არამედ მიზანი. ძალდატანება—აი ის, რაც უკვე ათასი წლებია რომ რეაქციონურ ფაქტორს წარმოადგენს.“

ასევე ლაპარაკობდა ბებელიც: „იმ კითხვაზე, თუ რა უნდა მოხდეს თანამედროვე თოფებისა და მაქსიმის ზარბაზნების ხანაში რევოლუციის დროს, რომელსაც სულ ბევრი რომ ვიანგარიშოთ, რამდენიმე ასი ათასი კაცი მოახდენს,—მე ახლახანს დრეზდენში უპასუხე: ისე გაგვკლეტენ, როგორც ბელურებსა მეთქი (მოწონ. ყრილობ. ნბრივ). ახლა, როდესაც ბუმბერაზულ წარმატებასთან გვაქვს საქმე არა მარტო სამხედრო დარგში, არამედ პოლიტიკურშიაც, მეტადრე კი ეკონომიურ დარგში, ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ, სოციალისტებს შეგვიძლიან მიზანს მივალწიოთ ბურჟუაზიული პარტიის იარაღით, მაგალითად, ბარიკადების ამართვით, ეს იმის ნიშანი იქნება რომ საშინლად შევცდეთ, იმის ნიშანი იქნება, რომ სრულებით ვერ ვაფიგოთ იმ გარემოს ხასიათი, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით (ყრილობა—სწორეა!) როგორც ჩვენი პოზიცია სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ სრულიად განსხვავდება ყველა კლასებისა და ყველა ძველი პარტიების პოზიციისაგან, სწორედ ასევე ჩვენი საბოლოო მიზნის მიღწევისათვის ჩვენ უნდა მივმართოთ სრულიად ახალ გზებსა და სრულიად ახალ საშუალებებს“. ეს საშუალებანია მშვიდობიანი. პარლამენტალური.

განა ეს ორტოდოქსი მარქსისტების ენაა? ასე ლაპარაკობდენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელნი და ბელადები. მაგრამ ესენი ხომ წინად სრულ სხვას ამბობდენ! აი, მაგალითად, ლიბკნეხტის სიტყვები, 1869 წელს წარმოთქმული:

„რა მიზანი აქვს ჩვენი პრინციპების განმარტებას რაიხსტაგში?—ნუ თუ ამ კრებულას წევრთა მორჯულება? ამის იმედით ყოფნა მარტო გულუბრყვილობა კი არა, სისულელეც იქნებოდა. ეს ისევე მიხანშეწონილი იქნებოდა, როგორც მაგალითად ის, რომ ჩვენი პრინციპების განმარტება ზღვის ტალღების წინაშე დაგვეწყო,—ეს ყოველ შემთხვევაში ისე სასაცილო არ იქნებოდა“... „სოციალიზმი წარმოადგენს არა თეორიის საკითხს (?—გ. დ.), არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძალ-ღონის საკითხს,—ისეთ საკითხს, რომელიც შეიძლება გადასწყდეს არა პარლამენტში, არამედ მხოლოდ ქუჩაში, ბრძოლის ველზე

როგორც ძალ-ღონის ყოველი სხვა საკითხი, როგორც ხელმწიფეობის, ისე ერებისათვის ძალდატანება არის ის, რასაც საბოლოო სიტყვა ეკუთვნის“. „ვთქვათ, როგორც ფიქრობენ „სოციალიზმის პოლიტიკური უმჯობესობები“, რომ პარლამენტის უმოაგლესობა ჩვენს ხელშია, თქვენ გგონიათ — უმჯობესობა გრანდიოზულ დადგენილებებს მიიღებს და ახალი დროება დაიწყება? სრულებითაც არა, მოვა ჯარისკაცების ერთი როტა, გარეკავს სოციალისტურ უმჯობესობას; თუ ეს ვაჭბატონები უდრტვინველად არ დაემორჩილებიან თავის ბედ-იღბალს, მაშინ რამდენიმე პოლიციელი მათ ადგილობრივ საპატიმროში წაიყვანს და იქ საკმაოდ მოკლილნი იქნებიან, რომ თავის დონკინოტობის შესახებ იფიქრონ“.

თუმცა აქ პატარა გაუგებრობაა სოციალიზმის შესახებ, მაგრამ საერთოდ ეს არის ენა ნამდვილი რევოლუციონერისა, რომელიც ჯერ გარყვნილი არაა „პარლამენტის კრეტინიზმით“. გადავიდეთ ახლა ერფურტის კონგრესის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწილზე — პროგრამაზე.

კომინტერნის მე-II კონგრესზე იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჩვენ ამჟამად გვეინტერესება, ლენინი კრისპინს შემდეგს უპასუხებდა: „ერფურტის პროგრამაში არაფერია ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არაა, 1902, — 1903 წლებში რომ ჩვენი პარტიის პროგრამას ვიმუშავებდით, თვალწინ ყოველთვის ერფურტის პროგრამა გვედგა, ამასთანავე, — პლუხანოვი საგანგებოდ აღნიშნავდა შემდეგ გარემოებას: თუ ერფურტის პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ლაპარაკი არ არისო, ეს თეორეტიულად შეცდომაა, პრაქტიკულად კი ოპორტუნისტების წინაშე მხდალ დათმობას წარმოადგენსო“. მართლაც, მოვიყვანოთ პროგრამიდან სათანადო პუნქტი: იქ ნათქვამია, „მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ აუცილებლობის გამო პოლიტიკურ ბრძოლას წარმოადგენს. მუშათა კლასს არ შეუძლიან აწარმოოს თავისი ეკონომიური ბრძოლა, არ შეუძლიან განავითაროს თავისი ეკონომიური ორგანიზაცია პოლიტიკურ უფლებათა გარეშე. ის ვერ განახორციელებს წარმოების საშუალებათა გადასვლას საზოგადოების მფლობელობაში, თუ ჯერ „პოლიტიკურ ხელისუფლებას არ დაეპატრონა“. ამ პუნქტამდის აწერილია, თუ როგორ სწარმოებს კაპიტალიზმის განვითარება, რა შემხარავ პირობებში, ძარცვა-გლეჯის ფორმებით მიმდინარეობს იგი, როგორ ხდება მუშათა კლასის გალატაკება და უღმობელი ექსპლოატაცია, — ყველაფერი ეს ისე ოსტატურად არის აწერილი, რომ ყურებს გაკვვეტინებთ; თქვენ ელით, რომ აი დაიგრიან-ლებენ ზარბაზნები და ბარიკადებზე მებრძოლი პროლეტარიატი დაამყარებს „პროლეტარიატის რევოლუციონერ დიქტატურას“ (მარქსი). მაგრამ, უცებ თქვენ გესმით პატარა „ბაც“... და თანაც ვაზნა თურმე უტყვიო ყოფილა... როგორც ხედავთ ამაოდ გამოუქვეყნებია ენგელსს თავისი და მარქსის კრიტიკა გოთის პროგრამისა; პროგრამის ავტორს, კაუცკის, ვერაფერი უსწავლია.

ერფურტის პროგრამის ვრცელ კომენტარიაშიც, რომელიც კაუცკის ეკუთვნის, დაჩაჩანაკებული სული მოსჩანს. გოთის ყრილობის შემდეგ ბუმბუ-

რახული პროგრესის მიუხედავად „მარქსიზმი, როგორც მთლიანი მათემატიკური მახედველობა“ (პლენაროვი) ბევრ „ბელადისათვის“ ცხრა-კლიტურში მოქცეულ წიგნად დარჩა.

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
საზღვრო

2. კიდევ ერთი ნაბიჯი უკან

მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი საქმე. ერფურტის ყრილობის შემდეგ ერთი წელიწადი გავიდა და კაუცკიმ რიტინჰაუზენის წინააღმდეგ გამოუშვა ბროშურა-„წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა“. ამ ბროშურაში ავტორი პირველივე სტრიქონებით ყურებს გვიქედს შემდეგი... ენციკლიკით: „მას შემდეგ რაც არსებობს მუშათა სოციალისტური მოძრაობა, არსებობს აგრეთვე მუშათა კლასის მისწრაფება, რომ მოიპოვოს გავლენა პარლამენტზე, თვით პარლამენტშიც, რათა ამ გზით მიაღწიოს პოლიტიკურ ხელისუფლებას“. „მაგრამ, განაგრძობს აქვე კაუცკი, ამავე დროს თვით სოციალისტებს შორის ამ მისწრაფების მოწინააღმდეგენი არსებობენ“, ე. ი., უეჭველია, იმ მისწრაფების მოწინააღმდეგენი, რომ მუშათა კლასმა მიაღწიოს პოლიტიკურ ხელისუფლებას საპარლამენტო გზით. თითონ, რასაკვირველია, ამ ოპორტუნისტულ პოზიციაზე დგას და არ ეთანხმება ოპორტუნისტების მოწინააღმდეგეებს, ე. ი. არ ეთანხმება მარქსისტულ შეხედულებას პარლამენტარიზმზე. ეს რომ მართლაც ასეა, შემდეგითაც სჩანს: „ისინი (კაუცკის მოწინააღმდეგენი—გ. დ.) წარმომადგენლობის სისტემას ყველაზე შესაფერ იარაღად სთვლიან ბურჟუაზიისათვის, შეძლებულ კლასებისათვის ისინი ამბობენ, რომ პარლამენტი, თავისი ბუნებით, საუცხოო იარაღს წარმოადგენს კაპიტალისტთა ბატონობისათვის“ (გვ. 6). კაუცკი ედავება ამ სრულიად სამართლიან შეხედულებას. მართალია, რიტინჰაუზენი წვრილ ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე იდგა. იგი ჰფიქრობდა, რომ „სახალხო კანონმდებლობა“ ის პანაცეია არისო, რომელსაც შეუძლიან იხსნას მუშათა კლასი კაპიტალიზმის დროსაო. მაგრამ აქედან სრულებითაც ის არ გამომდინარეობს რომ კაუცკის, თუ კი ის მარქსისტი-ორტოდოქსი იყო, მეორე უაზრო, არამარქსისტული პოზიცია დაეჭირა და გადავარდნილიყო სხვა ოპორტუნისტულ უკიდურესობაში: „სახალხო კანონმდებლობას“ კი არა, არამედ პარლამენტს შეუძლიან იხსნას პროლეტარიატი კაპიტალიზმის დროს.

მაშ ასე, კაუცკი ფიქრობს, რომ „პარლამენტი... მეუფეა და სახელმწიფოში ყოველგვარი ხელისუფლების სათავეს წარმოადგენს“. „პარლამენტის უმრავლესობის ნებისყოფა უზენაეს კანონად იქცევა: ლუდოვიკო მე-XIV მსგავსად უმრავლესობას შეუძლიან სთქვას: სახელმწიფო მე ვარო. მეფენი და მინისტრები მის მონებად ხდებიან“ (გვ. 32). აი ესეც. „ვითომ“ „მარქსისტული“ შეხედულება პარლამენტარიზმზე.—დაიპყარით უმრავლესობა პარლამენტში და თქვენ გადარჩენილნი იქნებით—ეუბნება კაუცკი მუშებს. აქედან სჩანს, თუ რა ძლიერი ყოფილა ლასალიანობის გავლენა გერმანიის სოციალ-დემოკრატიაზე. კაუცკიმ ვერ გაიგო, არ იცის მარქსისტული შეხედულება სახელმწიფოზე, თორემ ასე არ იმსჯელებდა. 1884 წლის მარტის 24 ბერნშტეინთან მიწერილ წერილში, ენგელსი ამბობს: „... არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბურჟუაზიის ბატონობის

თანამიმდევრობით ფორმას სწორედ დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს... მაშასადამე, პარლამენტი წარმოადგენს დემოკრატიის მხოლოდ თვალის სეირს. წარმოების საშუალებანი და მთელი დოვლადი ბურჟუაზიის ხელშია, არმია, პოლიცია მას უვარდება ხელში; და პარლამენტი მხოლოდ სოციალისტური უმრავლესობა აღმოჩნდეს კიდევ, იგი უმწეო იქნება და ვერაფერს გაარიგებს.

მაგრამ კაუცკის თავისი აუხირობია: „მხოლოდ პოლიტიკაში ბრმა ადამიანს შეუძლიან ამტკიცოს, რომ წარმომადგენლობის სისტემა საყოველთაო საარჩევნო უფლების ბატონობის დროსაც უზრუნველყოფს ბურჟუაზიის ბატონობას... დიას, მხოლოდ გაქანებულ ოპორტუნისტს შეუძლიან ამტკიცოს ასეთი უაზრობა, მხოლოდ მას შეუძლიან უარყოფს მარქსიზმის ის სრულიად აშკარად დებულება, რომ ბურჟუაზიის ბატონობისათვის ყველაზე მარჯვე მართვა-გამგეობის სწორედ ეს ფორმაა. კაუცკი განაგრძობს „ორტოდოქსალური“ მარქსიზმის „დაცვას“. ყური უგდეთ: „უკვე ახლა (დაწერილია 1892 წ.—გ. დ.) აშკარა ხდება, რომ ნამდვილ საპარლამენტო რეჟიმს ისევე წარმატებით შეუძლიან იარაღად გამოადგეს მუშათა კლასის დიქტატურას, როგორც კარგ იარაღად ადგება ბურჟუაზიის დიქტატურას“. დაუჯერებელი ეგონება ადამიანს, მაგრამ სწორედ ასე სწერია, შავად თეთრზე, თქვენ აქ ვერაფერსა ხედავთ 1848 წლის რევოლუციისა და, მეტადრე, 1871 წლის პარიზის კომუნის გამოცდილებების შესახებ. მარქსი კი სწორედ ამ რევოლუციათა გამოცდილებას ემყარებოდა, როცა ამბობდა: ყოველი ნამდვილი რევოლუციის წინასწარი პირობა ის არის, რომ დაიმსხვრეს, დაინგრეს ძველი სახელმწიფო აპარატი. კაუცკის კი ამის გაგონებაც არა სურს—ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აპარატი ისევე გამოსადეგია პროლეტარიატისათვის, როგორც ბურჟუაზიისათვისაო. განა ეს მარქსიზმი? მაგრამ, ისევე ყური დაუგდოთ: „მუშათა კლასი, ალბად, უცებ ვერსად ვერ მიაღწევს სრულ პოლიტიკურ ხელისუფლებას (გვ. 82), არამედ ბურჟუაზიასთან შეთანხმებით,—დავამთავრებდით კაუცკის აზრს.

ჩვენ აქამდის ყველას გვეგონა, რომ კაუცკი იმ პერიოდში, საუცხოო მარქსისტი იყო, ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ,—ის თავიდანვე არ ყოფილა ორტოდოქსალური მარქსისტი, როგორც სჩანს მოყვანილ ციტატებიდან, რომელნიც დაუწერია არა 1914—26 წლებში, არამედ 1892 წელს.

3. „შპან დახვევა ბრძოლდება“

თავი დავანებოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ძალიან საინტერესო ყრილობებს და გავყვეთ ქვემოთ: 1895 წელს, დაახლოებით იანვარ-მარტში ენგელსი სწერს შესავალს მარქსის ნაწარმოებისათვის „კლასობრივი ბრძოლა საფრანგეთში“. მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთი მამამთავრის როგორც ყველა სხვა ნაწარმოებში, ისე ეს შესავალიც, რევოლუციონრობით არის აღსავსე. მაგრამ სწორედ ამ რევოლუციონრობის წყალობით კარგად ვერ წავიდა შესავლის საქმე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ც. კ.—მა, იმის გამო, რომ რეაქციონერები ამზადებდნენ ახალ საგანგებო კანონს სოციალისტების წინა-

აღმდეგ, ამოშალა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე რევოლუციონური ადგილები და ისე მოათავსა გახეთს „წინ“-ში. ის იმდენად დამახინჯებული გამოდგა, რომ ბერნშტეინმა დასაყრდნობ პუნქტად გაიხუფა მისი რევიზიის დროს. როგორც თითონვე სთქვა, ენგელსი გადაბქტყნის კანონების მშვიდობიან თაყვანისმცემლად“. ენგელსი სთხოვს კაუცკის, აღადგინოს დედანი და იმ საბით მოათავსოს, რომ „ეს სამარცხვინო შთაბეჭდილება გაქარწყლდეს და თან ჰპირდება: „მე ძალიან გარკვევით გამოუხატავ ამის შესახებ ჩემ აზრს ლიბკნებტს და აგრეთვე იმათ, (ვინც უნდა იყვნენ ისინი) რომლებმაც საბაბი მისცეს მას დაემახინჯებინა ჩემი აზრი.“

ეს პირნი არამც თუ აღიარებდნენ რევიზიონისტულ, ოპორტუნისტულ აზრებს, არამედ ამახინჯებდნენ ჯერ კიდევ ცოცხალი ენგელსის აზრებს.

ენგელსი არასგზით, არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ სთმობდა თავის და მარქსის თეორეტიულ პოზიციას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტი და მისი მიმდევარნი სხვა შენედეულებისა იყვნენ, — ძალიან ხაეჭვო პრაქტიკული პოლიტიკის გულიხათვის ჩსინი სთმობენ თეორეტიულ პოზიციებს, პრინციპებს. ამ დამახინჯებული აზრების ნიადაგზე იწვრთნებოდა მთელი გროვა პარლამენტის კრუტინებისა, პარტიული მოხელეებისა, წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენტების მთელი ბანდა, რომლებიც ბოლოსა და ბოლოს მუშათა კლასსაც სწამლავდნენ. ასეთი ხალხის სულიერი განწყობილება პოზიერ ნიადაგსა ჰპოებს მაშინ, როდესაც არ არსებობს რევოლუციონური სიტუაცია, როდესაც ჩვეულებრივ ვითარდება მოღუწება, როდესაც წვრილ რეფორმისტულ საქმეებისათვის მიზანი იკარგება და მას სქელი ბურჟუაზი პფარავს. არ მოვიყვან იმ ადგილებს, რომლებიც ცკ-მა ამოშალა, ვისაც ვინტერესება მიმართოს „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის არქივის“ პირველ წიგნს. სადაც ამხ, რიაზანოვის წერილში მთლად აღდგენილია ენგელსის დედანი. აქ უნდა აღინიშნოს მხოლოდ შემდეგი: გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ თავის ბედადების კეთილი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით 1891 წლიდან კიდევ ერთი ნაბიჯი გადახდგა უკან.

1. უწესრიგოდ დახევა

განვაგრძოთ ჩვენი გზით სიარული. ამ „შემთხვევის“ დღიდან ერთი წლის შემდეგ, 1896 წელს ბერნშტეინმა „ყუმბარა“ ესროლა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას, გამოუწვა თავისი ჰერასტროტესეულად განთქმული წიგნი „სოციალიზმის წინამძღვარნი.“ ამ წიგნის ლეიტმოტივებს შეადგენდა ორი ფრთა-ასბმული დებულება: „უკან კანტისკენ“ და „მოძრაობა ყველაფერია, მიზანი — არაფერი.“ როგორ შეეგება სოციალ-დემოკრატია „ახალ“ შესიას.. ზოგი, როგორც მიღებულა, აღტაცებით შეხვდა (ფოლმარი, დავიდი, აურერი და სხვა.) ზოგი ამკარა მოწინააღმდეგედ გამოვიდა და ორტოდოქსიას იცავდა (პლენბანოვი და სხვ.), ზოგი კიდევ ისე... არც აქეთ-არც იქით (კაუცკი).

ჩვენ აქ სრულებით არ გვეინტერესება ბერნშტეინის თხზულებათა გარჩევა.

ეს საქმე ძალიან შორს წაგვიყვანდა; თუმცა მე-II ინტერნაციონალის ახლანდელი პოზიცია სრულიად უდგება ამ წირვა-გამოსულ რევინიონისტის „მოდერნობას.“ აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ბერნშტეინს არაფრამან მისი თოფის წამალი არ გამოუგონია, მან ძალიან კეთილხინდისიერად შეაქურა ერთ გროვად ყველა ის თეორეტიული რუევა ხეტიალი, რაც თავის რიგებში გერმანიის ხოციალ დემოკრატას გააჩნდა. მაგალითად, კაუცკის ძალიან მოსწონდა მისი ნეოკანტიანობა, ფოლმარს, დაეიდს, აუერს და სხვებს „მისი“ ეკონომიური და ისტორიული თვალსაზრისი. საერთოდ, ეს ადამიანი ყველას აკმაყოფილებდა, როგორც მეძავი ქალი. (როდესაც ვამბობ „ყველას“, მე მხედველობაში არა მყვანან ორტოდოქსალური მარქსისტები). თუ როგორია კაუცკის „ორტოდოქსია“, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კიდევ შემდეგი: პლენაროვი საშინლად უკმაყოფილო იყო, რომ კაუცკი ათავსებდა მეცნიერულ ეურნალ „ახალ დროში“ რევინიონისტულ წერილებს. ამ ხასიათის წერილი მისწერა მან კაუცკის. 1898 წლის მაისში პლენაროვმა პასუხად მიიღო წერილი, სადაც შემდეგსა გვითხულობ (სხვათა შორის, ეს წერილი პირველად გამოქვეყნებულია 1925 წლის იანვარში ვენის, ეურნალი „ბრძოლის“ 1 №-ში): „... მე უნდა აშკარად აღვიარო, რომ ნეოკანტიანობა ყველაზე ნაკლებად მაწუხებს. მე არასოდეს ფილთსოფიაში ძლიერი არ გყოფილვარ, და თუმცა სრულიად (? გ. დ.) ვდგევარ დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისზე, მაგრამ მაინც შგონია, რომ მარქსისა და ენგელსის ეკონომიური და ისტორიული თვალსაზრისი საჭიროების დროს შეეთავსება ნეოკანტიანობასაც.“

ამგვარად, კაუცკი ჯერ თეორეტიულად „არიგებდა“ მარქსიზმს ნეოკანტიანობასთან, 1914 წლიდან კი შემდეგ კლასში გადავიდა, — პრაქტიკულად დაუწყო „შორიგება“. კაუცკის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მარქსიზმი მთლიანი დაოჩა, მისი მოძრაობა წინ წავიდა ლენინის გენიალური გონების შემწეობით: თითონ კაუცკი კი უდიდესი მალლობის — ლენინიზმის კეარცხლ-ბეკთან გდია, საიდანაც ეს ვაჟბატონი ქონდრის კაცად მოსჩანს.

ან ციტატის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ მოხდა, რომ ბერნშტეინის ძირითად ლოზუნგს — „უკან კანტასაკენ“ — სათანადოდ არ შეეხო კაუცკი თავის წიგნში „ანტი-ბერნშტეინი“.

ბერნშტეინის რევინიონიზმს უნდა გამოეწვია მისი გამორიცხვა პარტიიდან. ეს იმდენად ცხადია, რომ წინააღმდეგის თქმა სასაცილოც კია. მაგრამ პარტია სხვა აზრისა იყო. პარტიიდან ბერნშტეინის დაუთხოვნელობა იმით აიხსნება, რომ პარტიაში მან ჰპოვა ძალიან ბევრი აშკარა მოძხრე; მაგალითად, ლიუბეკის ყრილობაზე 1901 წელს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „პარტეიტაგი აუცილებლად სთვლის რა თვითკრიტიკას... იმ იმედით რომ ამბ. ბერნშტეინი შეიგნებს თავის შეცდომას და ამის შესაფერად შესცვლის თავის საქციელს, (პარტეიტაგი) გადადის მორიგ საქმეებზე.“ ასეთი გაუჩუქისებურ რეზოლიუციას მხარი დაუჭირა 166 კაცმა, წინააღმდეგი იყო 71 ბერნშტეინელი, კაუცკი და ბერნშტეინმა კი თავი შეიკავს.

მათავარმა პარტიულმა ორგანოებმა მეგობრული პოზიცია დაიკარგეს ბერნ-შტეინის მიმართ. თითონ ბერნშტეინი ამბობდა, რომ პარტიის ყრილობების მიერ მის გამტყუნებას ყოველთვის ეფენერული ხასიათი ექნებოდა. ბერნშტეინმა კი ერთ თავის სიტყვაში აღნიშნა: „ჩვენ ვიმყოფებით მუდმივად ხუთთვიანი გახუნების პროცესში.“ ამ შემთხვევაში პლენარული სრულიად ნართალი იყო, როცა ამბობდა: „ვინ ვის დამარხავს, ბერნშტეინი სოციალ-დემოკრატიას თუ სოციალ-დემოკრატია ბერნშტეინსაო?“ ეს წინასწარმეტყველურად აღსრულდა. მაგრამ ამ სიტყვებში მოქცეული იყო წინადადება, რომ პარტიისაგან ჩამოეშორებინათ არა მარტო ბერნშტეინი, არამედ მთელი ის სულისკვეთება და მთელი ის ბანდა, რომელნიც მას ასახრდობდნენ. თქმა არ უნდა, პარტიას ვერ აღმოაჩნდა თავის შორის საკმაო ძალა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო რევიზიონიზმისათვის, სწორედ იმიტომ, რომ თვით პარტია იყო რევიზიონიზმით მოწამლული. აი რასა სწერს ე. ი. ლენინი პლენაროვს 1899 წლის მარტის 22: „ბერნშტეინის შესახებ შემიძლიან ესთქვა, რომ, რასაკვირველია, „მისი თეორია“ სუსტზე-სუსტია; საქმე რომ მარტო მას შეეხებოდეს, ბერნშტეინისაგან კვალიც კი არ დარჩებოდა, მაგრამ ის პარტიაში ძალიან ძლიერი იმდინარეობის გამოშხატველია და ამ აზრით მისი სოციალური მნიშვნელობა გაცილებით აღემატება მის ინდივიდუალურს, ინტელექტუალურ ძალ-ლონეს.“ ამაშია საკითხის რაობა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოებაც, რომ ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგედ პირველად გამოვიდა სწორედ პლენაროვი. როგორც დავინახეთ კაუცკი მარტო სტუმართმოყვარეობისა და მეგობრობის გულისათვის კი არ ათავსებდა ბერნშტეინის წერილებს მეცნიერულ ჟურნალ „ახალ დროში“, არამედ რევიზიონიზმის ბევრ „აღმოჩენას“ სინატივით ეკიდებოდა კიდევ. ამით აიხსნება „ორტოდოქსი“ კაუცკის მოწოდება, რომ პარტიას მადლობა გადაეხადა ბერნშტეინისათვის, რამაც გამოიწვია პლენაროვის დიდი გაოცება, შემდეგ კი აშკარა პროტესტი.

ამით გავათავოთ ჩვენი მიმოხილვა. შეგვეძლო განგვეგრძოთ გამოკვლევა, მაგრამ ჩვენ მიზნად დავისახეთ მიმოგვეხილა საქმე მხოლოდ ჩვენი საუკუნის დამდეგამდის გაუკეთოთ რეზიუმე.

1) გერმანიის სოციალ-დემოკრატია მოღვაწეობის დასაწყისში, ჩასახვის დროს, არ იყო მარქსისტული პარტია. მასში ბატონობდა წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი. შემდეგ ის შეუერთდა ლასალელების პარტიას, (1875 წელს), რომელიც რასაკვირველია, აგრეთვე არამარქსისტული იყო. ამ ორი პარტიის დაახლოება, შენდევ კი შეერთებაც, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ იდეოლოგიურ, პრინციპიალურ-საპროგრამო საკითხებში მათ არაფერი ანსხვავებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. აიზენახელები რომ მართლაც მარქსისტები ყოფილიყვნენ) ისინი ე. ი. აიზენახელები მარქსის რჩევას უნდა მიპყროლოდნენ: **შეთანხმება** დაედოთ რეაქციის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის, ან, ლასალელებს უნდა მიეღოთ მარქსისტული პროგრამა. მაგრამ ვინ შესთავაზა მათ ეს პროგრამა? აიზენახელებს ეს არ შეეძლოთ ჩაედინათ, მათ

პირიქით მხედველობაში არ მიიღეს მარქსის კრიტიკა. მარქსსა და ენგელსს უფრო იმიტომ ჰქონდათ საბუთი საქმის ვითარების უკმაყოფილონი/ყოფილი-ყვნენ, რომ ისინი ლასალელებს საიმედოებად არა სთვლიდნენ, არც მათ გადამწყვეტ მომენტში შეეძლოთ დამდგარიყვნენ ბარიკადების მტარე მხარეს.

2) სოციალისტების წინააღმდეგ საგანგებო კანონის შემოღების შემდეგ, პარტიამ სწრაფი ზრდა იწყო მარქსიზმისაკენ. ამას ხელს უწყობდა: მარქსისა და მეტადრე ენგელსის ახლო მონაწილეობა პარტიის საქმეში; აგრეთვე შექმნილი პირობები და უახლოესი რევოლუციონური სიტუაცია.

საერთოდ ამ პერიოდში 1891 წლის ერფურტის ყრილობამდის მოძრაობის მრუდი გვიჩვენებს უფრო მეტსა და მეტს მიახლოებას ორტოდოქსალურ მარქსიზმისაკენ.

3) მაგრამ ერფურტის ყრილობამ გვიჩვენა არა მარტო მარქსიზმის ბუმბერაზული ზრდა და გავლენა, არამედ ისიც, რომ პარტია ვერ ამაღლდა ორტოდოქსალურ მარქსიზმამდის (პროგრამაში პროლეტარიატის დიქტატურის არ აღნიშვნა და სხ. და სხვ.). იწყება რევიზიონიზმი, რომელსაც პარტიამ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო ვერ მოუღო, თითონ ის იყო დაავადებული სისხლნაკლებობით მარქსიზმის საქმეში.

4) ორტოდოქსალური მარქსიზმისათვის მოუმწიფებელი პარტია უკან-უნან იწყებს მოძრაობას. მრუდი გვიჩვენებს უკვე არა ამაღლებას, როგორც ეს იყო ერფურტის ყრილობამდის, არამედ საერთოდ და მთლიანად დაქვეითებას, რამაც თავისი დაგვირგვინება ჰპოვა 1914 წელს. სახელმწიფოს, პარლამენტარიზმის და დემოკრატიის საკითხში პარტია ორივე ფეხით მოიკოჭლებდა, ამ საკითხების მარქსისტული გაგება კი არ ბატონობდა, არამედ ლასალური.

რაკი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ხელში ჩაგდება ისე შეიძლება, რომ წინასწარ მისი აპარატი არ დაინგრეს; რაკი პარლამენტი ერთად-ერთი გზაა სოციალიზმისაკენ, აქედან ძნელი არ არის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს „სამშობლოს“ დაცვის იდეამდის მისვლა. ამ პუნქტში სხვანაირი გაგება შეუძლებელია. აი რას ამბობს ამ საკითხის შესახებ ამხ. ბუხარინი: თუ „მე-II ინტერნაციონალის გაფურჩქვნის ეპოქაში“ ეპიგონების მარქსიზმი ამახინჯებდა მარქს-ენგელსის თეორიას სახელმწიფოს შესახებ და ხელისუფლების დაპყრობა ისე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს აპარატის დაუფლება, მაშინ ეპიგონების ამ მარქსიზმს სრულიად ლოლიკურად უნდა გამოეყვანა დასკვნა მის დაცვის შესახებ; ეს აპარატი ხომ ჩვენი იქნება. პროლეტარიატი ხომ დაინტერესებულია, რომ დაიცვას იგი ნგრევისაგან“—ირონიისა ამბობს ამხ. ბუხარინი.

ის იმ საკითხის შესახებ, რომელიც ჩვენ ამ უამად გვეინტერესება, ამბობს: „მცირედენი გამოწაკლისის გარდა, მე-II ინტერნაციონალის ეპოქის მარქსიზმი და, სხვათა შორის, კაუცკის მარქსიზმიც, ნამდვილად ორტოდოქსალური არ ყოფილა. მაგალითად, მთელი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

დაუსრულებელი გათახსირება იყო ბებელის ხელშიაც, კაუცკის ხელშიაც და პლехანოვის ხელშიაც კი, სხვებზე რომ აღარაფერი უნდა ვთქვათ." (იხ. „Красная новь“ №№ 1 და 2. 1921 წლისა). ბიბლიოთეკა

5) ამრიგად, გერმანიის სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ ყოფილა ორტოდოქსალურ მარქსისტულ პარტიად. ორტოდოქსიის ტერმინი განმარტობი იყო რუსული სოციალ-დემოკრატია, მისი ბოლშევიკური ფრაქცია, მისი ბელადი — ლენინი. მაშასადამე, განვითარება ასე მიიმართება: მარქს-ენგელსი, პლехანოვი (1902—1903 წლებამდის), ლენინი და მისი ბოლშევიკური, კომუნისტური პარტია, და არა ისე როგორც ზოგიერთები ფიქრობენ: მარქს-ენგელსი, მე-II ინტერნაციონალი (1914 წლამდის), ბოლშევიზმიო.

აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ ჩვენ ხელს ვიღებთ მე-II ინტერნაციონალის მემკვიდრეობაზე. ჩვენ ვიღებთ კარგ მემკვიდრეობას (ასეთი კი მას ჰქონდა, ცუდ მემკვიდრეობას მასვე უტოვებთ, ჩვენ ეს არ გვესაჩიროება.



წერილები სპარსეთიდან

(დასასრული)

საბჭოთა კავშირის მისია თეირანში

საბჭოთა კავშირის მოქალაქენი მისსიაში გამოცხადდით. ამ დროს წარმომადგენლად იყო ბ. ზ. შუმიაცი. ქალაქის შუაგული. უდიდესი ბაღი, მაღალი გალავანით შემოვლებული, ფართე შესავალი კარებით. ზედ ამართულია წითელი ბაირადი ვარსკვლავით, ნამგლით და ჩაქუჩით. ბაღის შესავალში ასონილი ფიჭვის და ქადრის ხეები, ძირს მწვანე მოლი, ყვავილები ნაირ-ნაირი. ეს ბაღი ეკუთვნოდა თურომე დიდ პირს, სახელმწიფო მოხელეს, ვინმე ათაბეგს, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩამომავლობით ქართველი ყოფილა.

ბაღში მთელი ტყეა ფიჭვთა და ქადართა ხეებისა, რამდენიმე ტბა ხელოვნურად გაკეთებული—სავსე წითელი და სხვა ჯურის თევზებით.

ტბების გარშემო და მის მიდამოში კიდევ მთელი ზღვა ნაირ-ნაირი ყვავილების, ვარდების, რომელნიც ზამთარშიც კი ჰყვავიან. ბუჩქები და ხეხილი, ყოველნაირი ატამი, ვაშლი, მსხალი, ტყემალი, ვაზი და კიდევ ისეთი მცენარე-ნიც, რომელნიც ჩვენში არც კი მოიპოვებიან. მთელი ბაღი მოქსოვილია პაწია მიხვეულ-მოხვეული გზებით. გარედან ჩუხჩუხით შემორბის კლდის წყარო, რომელიც ხელოვნურათაა გამოყვანილი 8-10 ვერსის სიშორიდან და მხოლოდ მისიის საკუთრებას შეადგენს. ეს წყარო მოუსვენრად დარბის ბაღის ერთი კიდედან მეორემდე, უვლის გარს მთელი დღე და ღამის განმავლობაში, რწყავს აცოცხლებს მცენარეულობას და ავსებს ტბებსა და პაუზებს.

ბაღში რამდენიმე სახლია აშენებული მისიის საქიროებისთვის და თანამშრომელთა საცხოვრებლად. წარმომადგენლის სახლის და კანცელარიის წინ ფართე მოედანი, სადაც ყრილობის დროს რამდენიმე ათეული ათასი კაცი ეტევა. ასეთი ყრილობა-მიტინგი წელიწადში რამდენჯერმე იმართება. საბჭოთა კავშირის მისია ამ მხრივ დიდათ განსხვავდება სხვა სახელმწიფოთა მისიებისაგან. სხვაგან არავითარი ამის მსგავსი არ ხდება, სიჩუჩე, რაღაც საიდუმლოება, მუდმივი კარდახშულობა. არ იცი, ვინ რისთვის შედის და გამოდის. ჩვენი მისსია კი სხვაა. რევოლიუციის ყოველ წლის თავზე, და აგრეთვე სხვა შესანიშნავ დღეებშიც,—მუდამ უშველებელი მიტინგი, მთელი ზღვა ხალხისა, მეტ წილათ მდაბიო სპარსელებისა, რომელთაც აკვირვებთ სიტყვები, წითელი მორთულობა, განათება. ჰაერში შუშხუნების ელევა, ხმაური, და სინემატოგრაფი, (რასაკვირველია, უფასო), სხვა და სხვა ყრების და რევოლიუციის ცხოვრებიდან, წარმოდგენა ეზოში იმართება. ამის მზგავსს რამეს თეირანში ვერ შეხვდება სპარსელი მდაბიო.

ამიტომ ამ დროს მისი ბალი სავსეა ხალხით, სპარსელი ბევრს რამეს ხედავს და ისმენს ისეთს, რასაც ამ ბალის კედლის გარეთ ვერც ერთი გაბუდული ვერ გაიმეორებდა, თუნდ იმის მეათედსაც, რადგან ამ კედლების შიგნით შეიძლება ასეთი აზრების და იდეების თანხმობა წარმოქმნა.

ასეთი მიტინგი-ზეიმი ყოველთვის გვიან თავდება, ღამის 11-12 საათზე და ყველანი დიდათ კმაყოფილნი მიდიან თავიანთ ბინებისაკენ.

საბჭოთა კავშირის მისსია უსათუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა სპარსეთის ცხოვრებაში. მას უსათუოდ ახალი რამ შემოაქვს აქაურ ცხოვრებაში. ის ხალხი, რომელიც მთელი საუკუნოებით განიცდიდა შაჰის და მის მოხელეთა თვითნებობას, ყოველად უფულებო, უქონელი, რომელსაც მხოლოდ ჯოხებით და მათრახებით სცემდნენ, რომლისთვის დახშული იყო ყველა კარები გარდა ციხისა, დღეს საბჭოთა კავშირის მისსიაში უშიშრად შედის; ქედმოხრით თავს აღარავის უკრავს, ხალხით ისმენს ახალ სიტყვას და ესმის, რომ ნანახი და გაგონილი რაღაც ახალი მოვლენაა, ახალი ხალხია, აღჭურვილი ახალის იდეებით და ახალი ქვეყნიდან მოსული.

რასაკვირველია, ასეთი ცოცხალი ხალხი—სპარსელი, ყოველთვის ადვილად გაიგებს და ამის ნაყოფიც უკვე სჩანს. სჩანს მათს დამოკიდებულებაში, ლაპარაკში. მათს სახეზე და მუდამ მშვიდათ გამომხიროლს შავს თვალებში. „ურუსი“ ძალიან მოსწონს სპარსელს. იცის, რომ „ურუსი“ კომუნისტია, მაგრამ ამ სიტყვასაც შეაჩვია ყური. სიტყვა „კომუნისტი“ ბევრისთვის ახალი ამბავი აღარ არის. სრულიად უბრალო საუბრის დროს, უბრალო მდაბიომ ადვილად გაიგო, რომ სამართლიანია წოდებრივი გათანასწოება, მიწის დარიგება, და რომ ასეთი რამ „სპარსეთშიც არ იქნებოდა ცუდი“.

ასეთი ფსიხოლოგიის შექმნა მართლაც დიდი საქმეა. სპარსეთის მომავალი რევოლუციის ნიადაგი, იმ რევოლუციის, რომელიც ოდესმე ხალხის შუაგულიდან უნდა დაიწყოს, თანდათან მზადდება სპარსეთში.

თანამშრომელთათვის ხომ მისსია საიმედო თავშესაფარია. რაც უნდა შეემთხვას ჯერ უნდა მისსიას მიმართოს.

მისსიაც თავის მხრივ მუდამ მზათაა დახმარებისათვის. ყოველი ინიციატივა მისსიიდან გამოდის. ამ ორ-სამს წელიწადში მოსამსახურეთა მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა. გაიხსნა მშვენიერი კლუბი, სადაც ხშირად იმართება წარმოდგენები, კონცერტები, აჩვენებენ სურათებს, მეტ წილად უფასოდ, ან მცირე ფასით.

არის სამკითხველოც—ბრავალგვარი თანამედროვე წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით. გაიხსნა სასწავლებელი, ამბულატორია, სადაც წამალი და საექიმო დახმარება სრულიად მუშაია. ზაფხულობით დაიქირავეს მოსამსახურეთათვის სააგარაკო სახლები, მოაწყვეს იაფი, ყოველდღიური მიმოსვლა ავტომობილით. დაარსდა წრეები, სადაც სწავლობენ სახელმწიფო აღმშენებლობის საფუძვლებს, პოლიტიკურ ეკონომიურ კითხვებს, იმართება სასპორტო გასართობ-საგარჯიშოები, და სხვა ისეთი, რომელიც საჭიროა სპარსეთში მცხოვრებისთვის.

ამ უამად საბჭოთა მოსამსახურეთა და მოქალაქეთა რიცხვი რამდენიმე

ასეულს აღწევს. თვიური ჯამაგირი თანამშრომლის უფროს 130-200 მანეთს და მეტსაც, იმის მიხედვით, თუ ვინ რა თანამდებობას ასრულებს.

საბჭოთა მოსამსახურეებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ ~~წილები~~ შაქარი, ფართალი და ყოველივე რაც საჭიროა, შედარებით დაკლებულ წესებში.

საბჭოთა დაწესებულებებში საკმაოდ არიან სპარსელები, რომელნიც საბჭოთა თანამშრომლების ყველა უფლებებით სარგებლობენ. მხოლოდ ნება არ აქვთ პროფკავშირის წევრობისა, როგორც სპარსელ მოქალაქეთ, რაც შედეგია საბჭოთა კავშირის და სპარსეთის შორის დადებულ პირობისა.

კაჯართა დინასტიის გაუქმება

შარშან ოქტომბრის 31 მეჯლისის დადგენილებით გაუქმებულ იქნა კაჯართა დინასტიის მეფობა. მოწვეული უნდა იქნეს დამფუძნებელი კრება, რომელიც შეიმუშავებს კონსტიტუციის წესებს ახალი დამატებით.

ჯამჭურს, ე. ი. პარლამენტს—რესპუბლიკას ეყოლება პრეზიდენტი. დროებითი მთავრობის და ჯარის უფროსათ დაინიშნა რეზა ხან პეპლევი, რომელიც იყო და არის ფაქტიური გამგე სპარსეთისა.

პირველი ცდა ამ გეგმის განხორციელებისა ზაფხულშიც იყო. მაგრამ რეზა ხანი იმ დროს დამარცხდა. მან კიდევაც დასტოვა თეირანი და წავიდა კუმში, ვინ იცის რა მიზნით, მაგრამ იგი მეჯლისმა კვლავ მოიწვია თავის თანამდებობაზე.

მეჯლისი იძულებული იყო მოეწვია იგი, რადგან მან, მეჯლისმა მაშინვე დეპეშა მიიღო რეზა ხანის მომხრე ჯარის უფროსისაგან: „მოვდივარ ჯარით თეირანზე“.

მას შემდეგ კვლავ შეამზადეს ნიადაგი და დღეს სისრულეში მოიყვანეს.

ხალხს ჯერ არა აქვს შეგნებული რესპუბლიკის მნიშვნელობა. ბევრი განმარტებაა საჭირო, რომ მან გაიგოს და შეითვისოს ახალი მოვლენის სიღრმე. „რეზა ხანი შაჰათ დადგაო“—გაიძახოდნენ ქუჩებში და სახლებში.

მაინც ეს მოვლენა—კაჯართა დინასტიის გაუქმება—დიდ ცვლილებას შეიტანს სპარსეთის ხალხის ფსიხოლოგიაში.

სპარსეთის ხალხი ხედავს, რომ მის გარშემო მრავალი ცვლილებები ხდება. ოსმალეთში წითელი ფესკების გაუქმებამ დიდი ინტერესი გამოიწვია სპარსეთშიც. სპარსელს ჯერ მაგრათ ახურავს თავისი შავი კორუა ქუდი. მისი შეცვლისთვის რამდენიმე კაცს სცემეს ქუჩაში. ასეთი ფანატიზმით ხვდება ყოველ ახალ მოვლენას სპარსელი.

კაჯართა დინასტიის გაუქმების გამო გაანთავისუფლეს ექვსი პოლიტიკური დამნაშავე, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ მისჯილი; დაუკლეს პურის ფასი გირვანქაზე 1/2 კაპიკი; ქალებს ნება მიეცათ საღამოობით უმთავრეს ქუჩაზე გავლისა, ხოლო კაცებს სასტიკად აეკრძალათ მათთან ლაპარაკი.

ეს, რასაკვირველია, სვინიდისის დასამშვიდებელი კანონია. მთავრობას ბევრი რამის შეცვლა და გაკეთება შეეძლო. ჯეოჯერობით კი მხოლოდ შაჰის სასახლე გაანთავისუფლა ზედმეტი ელემენტებისაგან. შაჰის ჭონებას ბეჭედი დაადო და სახელმწიფო საკუთრებად აღიარა.

ეს არის ახალი ცვლილების შედეგები ჯერ-ჯერობით. ამ ხნის განმავლობაში — ზედიზედ სამი დღე — ზეიმს იხდიან. ქალაქის დაწესებულებანი საუცხოოდ არიან განათებული. ისვრიან მაშხალებს, გვრავინავენ ხარბაზნები. მოედნებზე და მეჯლისის წინ უკრავს მუსიკა — სხვადასხვა აზიურ და ევროპულ ჰანგებს.

ერთი სიტყვით, ზეიმა. მაგრამ ზეიმი ერთი წრის, ზედა უფნების, ვინც დღეს სპარსეთის პატრონია და გამარჯვებული.

ხოლო ქვედა ნაწილი, მდაბიო ხალხი ამ ზეიმში მონაწილეობას არ იღებს. ის უფრო შიშით, თვალვებ-დაქვეტილი და პირლია შესცქერის ახალ მოვლენას და ჰგონია, რეზა ხანი უკვე შაჰის ტახტზე დაბრძანდაო. სხვა ცვლილება მას ვერ წარმოუდგენია. სპარსეთი უშაჰოთ! ამიტომ მას არაფერს ეკითხებიან, და სწორეთ ამიტომ მისთვის ჯერ ძალიან ცოტა რამ კეთდება. ახალი ცვლილებების წინააღმდეგ არაფერს გამოსულა, მაგრამ ცხადია, მას მტრები საკმაოდ ჰყავს.

სპარსეთის მთავრობა არ არის თავისუფალი გარეშე ძალისაგანაც. აქ ყველა ევროპელი თავის პოლიტიკას აწარმოებს, უფრო აქტიურს — ინგლისი. ინგლისის „ობეკუნობა“ აქ აშკარაა, მაგრამ მას საბჭოთა რუსეთის ინტერესებიც ხვდება წინ და იძულებულია ზოგჯერ უკან დაიხიოს.

სპარსეთის მთავრობაც ანგარიშს უწევს ორივეს და სასწორს ხან აქეთ ხადახრის, ხან იქით. დინასტიის გაუქმებაში უმთავრესი როლი ინგლისმა ითამაშა. იგი არ ერიდება არაფითარ ხარჯს, რომ სპარსეთის მთავრობა თავისკენ გადახაროს. მას დიდი ანგარიშები აქვს გასასწორებელი. რკინის გზის გაყვანა და ნავთის კონცესიები მომავალში დიდ ბატონობას უქადის მას, თუ მიზანს ძიადწია, მაგრამ საბჭოთა კავშირმა, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის საქმეებში ჩარევას უარჰყოფს, შეუძლებელია ინგლისის პოლიტიკა უყურადღებოთ დასტოვოს. საბჭოთა კავშირი, რომ გზას არ უღობავდეს, ინგლისი ერთ ლუკმად გადალლაპავდა სპარსეთს. ინგლისი კივი ანგარიშის საბელმწიფოა. იგი ლითონის საშუალებით აკეთებს თავის საქმეს სპარსეთში. მათ ჰყავთ მრავალი პოლიტიკური აგენტები, ფულით მოსყიდული, რომელთაც თავის სასარგებლოთ ალაპარაკებენ. ასეთი პოლიტიკური აგენტები ბევრი არიან. ეს მათი ხელობაა, მათი შემოსავლის წყაროა. ისინი ითვლიან ფულებს და ამის მიხედვით ატრიალებენ პოლიტიკურ ღერძს. ასეთ ორმაგ პოლიტიკურ ჩიხშია დღეს სპარსეთის მთავრობა, და თვითონაც ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს. ასეთი პოლიტიკა, რასაკვირველია, მას შორს ვერ წაიყვანს და შესაძლებელია უფრო გააძლიეროს ოპოზიცია მარცხნით, რომელიც მიუთითებს უფრო ფართო დემოკრატიულ გზაზე.

30 ოქტომბრის მეჯლისის ე. ი. ბახარისტანის წინ, არეულობის დროს ღამით მოჰკლეს გაზ. „ნასახეთ“-ის რედაქტორი. ეს მკვლელობა შემთხვევით მოვლენად არის გამოცხადებული, მაგრამ ცხადია, რომ მას პოლიტიკური სარჩული უდევს.

ეს ორი-სამი წელიწადია, რაც სპარსეთი მუდმივ დუღილს განიცდის. ცხადია, იგი მალე არ დაცხრება. მას ბევრი იარები აქვს, ბევრი ტყვილები

აწუბებს, ამის საფასურით წარმოდგენა მხოლოდ სპარსეთში ცხოვრებით შეიძლება. თითქმის წარმოუდგენელი და საოცარია საბჭოთა რუსეთის და სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებათა სხვაობა, ასეთი განსხვავება უსაბუთოდ კმის! სასარგებლოდ ლაპარაკობს, ვინც განახლების და წმინდა სოციალისტური გზაზე შემდგარი. სპარსეთს სხვა გამოსავალი კარები არა აქვს. მან აღრე თუ გვიან უნდა გაალოს თავის ძველი და ახალი ქალაქების კარები, რომელნიც ასე ლამაზათ მოუჩუქურთმებია, მაგრამ მაგრათ კი ჩაუკეტია. იგი უნდა დაადგეს იმ სწორსა და აუცილებელ გზას, რომელიც გაიარა რუსეთმა, უამგზოთ სპარსეთი დახშულ კედლებში, ყვაფილებით მოთუთულ ჰაუზების გარშემო, ყალიონის ბოლში, ტყბილ ოცნებაში გართული, მომავლის მწარე შედეგებით დარჩება.

ასე თუ ისე, კაჯართა დინასტია გაუქმებულია. ამ გვარეულობის პირველმა წარმომადგენელმა, მძვინვარე აღამაჰმად ხანმა, თავის ტახტს, სხვათა შორის, თბილისის ნანგრევებიც დაუდო საფუძვლად.

მე ვნახე კაჯართა გვარეულობის საფუძვლის უკანასკნელი დაქცევა, განადგურება.

ქვეყნიერება ბრუნავს. ისტორია აღბათ ყველას თავისას მიუზღავს, უცვლელი არაფერია!..

კაჯარი მოკვდა!..

სპარსეთის მომავალი

რაც უნდა ძველი იყოს სპარსეთი, რაც უნდა ღრმა იყოს მისი რწმენა წარსულის ზნეჩვეულებათა და ადათების შენახვისა, რაც უნდა ბევრი იკიფლონ მისმა მოღებმა თავების ჩეხვისა და სხეულის რკინებით დასახიჩრებაზე, იგი მაინც ვერ ასცდება იმ მსოფლიო ტალღებს, რომლებმაც უკვე გადალახეს ყველა საზღვრები და თავაშვებით მოუქცნენ ჩინეთის კედლების შიგნით.

თუ თავის დროზე ევროპამ მიიღო აზიისგან საოწმუნოებისა და ფილოსოფიის საფუძვლები და პირველათ იგრძნო სიტკბა პოეზიისა, მაგიერათ, ახლა დიდის სიუხვით უბრუნებს ცეცხლის ალში დაფერილს იდეებს ახალი გარდაქმნისას, რომელიც ერთად ერთი გზაა მომავლისაკენ მიმავალი.

სპარსეთი დიდის სიფრთხილით, წმინდა აზიურის იქვიანობით უცქერის ევროპას, მაგრამ მისი გზა მაინც რქითკენ მიდის. სპარსეთის ცხოვრების ახალი ჩანასახები ევროპიულია: მისი ჯარის მორთულობა, გაწვრთნა; ახალი კანონების შემუშავება; პროექტები რკინის გზების გაყვანის შესახებ; გაფართოება ქუჩების, გაწმენდა და გალამაზება მოედნების, რომელნიც დღემდე სანაგვეს ჰგავდა; შეხლა-შეტაკება მეჯლისში და მის წინ ქუჩაში; ქვების და თოფების დაშენა მოწინააღმდეგეთაგან ქვეყნის აშენების ნიადაგზე. რეზა ხანმა უკვე შექმნა ძლიერი ცენტრალური მთავრობა. თვითონ რეზა ხანი მდაბიოთა წრიდან მოდის და თუ იგი ვერ ვერ წასწვდა სპარსეთის ძველ გველვეშაპს საფასურით, თუ იგი იძულებულია ხშირათ ორ სკამზე იჯდეს, მაინც იგი ახალი ძალის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს, მან ორი წელიწადი ამყოფა ძველი შაჰ კარის ბჭესთან, როგორც გლახა, მათხოვარი, რომელიც სამოწყალოდ ისევ

თავის დრომოკმულ შაჰობას თხოულობდა. მაგრამ მისი პასუხი ის იყო, რომ მისი ძმა—პირველი მემკვიდრე მარმარილოს ტახტის, გაძევებული იქნა—მშვიდად, უწყინრად, რომელსაც გარდა ყოველივე ქონების ჩამორთმევისა ორი კაცი გააყოლეს, რომ საზღვარზე არ დაჰგვიანებოდა.

და დღეს თუ ზოგიერთების წარმოდგენით და მტკიცებით რეზა ხანი, როგორც წარმომადგენელი უზენაესი უფლების, შაჰის გვირგვინზედაც ოცნებობს, ეს ოცნება თავის ბრჭყვიალა მიმზიდველობით დღეს ვერ შეჰქმნის ნაპოლეონის მედიდურობას, მის სიდიადეს.

შაჰობის იდეა მოკვდა ძველს სპარსეთში; ვინც იმის მკვდრეთით აღდგენას შეეცდება, თუნდ ისეთი ენერჯის კაცი, როგორიც რეზა ხანია, იგიც იმ ცდას გადაჰყვება საბოლოოვით.

რუსეთის რევოლიუციის გავლენა სპარსეთში აშკარაა. რაც უნდა ბევრი მაგინებელი ჰყავდეს ძველი წესების დამცველთაგან, მაინც წითელ ბაირალს დიდის დაკვირვებით და იმედით მასჩერებია მდაბიო წრის ხალხი. ამის საბუთი ბევრია. აქ კომუნისტური იდეა წამოყენებულია, როგორც ერთად ერთი მოპირდაპირე ძველი იმპერიალისტური იდეებისა. სპარსელმა მოქალაქემ იცის „ბალშევიკი“—„კომუნისტი,“ ხოლო სხვა სოციალისტებზე წარმოდგენაც არა აქვს.

თუ რაშეს ლაპარაკობს აქ უცხოელი საბჭოთა კავშირის შესახებ (რასაკვირველია, ცუდს), მას უსათუოდ მიზანში ამოღებული მხოლოდ კომუნისტები ჰყავს. ეს დაპირისპირება ჰქმნის ორი პოლიტიკის შეჯახებას სპარსეთში და აქ იწყება სპარსეთის მთავრობის ორ სკამზე ჯდომა. მან ჯერ მოხერხებულად წაიყვანა საქმე, ყოველ შემთხვევაში უკეთ, ვიდრე კაჯარების დროს იყო. ავიღოთ თუნდ საკონცესიო საკითხები: სპარსეთი ეკონომიურად განუვითარებელი ქვეყანაა. მას უჭირს დღეს დამოუკიდებელი ცხოვრება. მისი მიწის ნიადაგში ბევრი სიმდიდრეა დაფარული. მის დამუშავებას ცოდნა უნდა, ფული, ტექნიკური საშუალებანი. ეს საშუალებანი კი მას არ მოეპოვება, ამიტომ იგი იძულებულია ასეთი რამ სხვისი საშუალებით და დახმარებით შეჰქმნას. და აი, ამ ნიადაგზე იგი ყველას ხელს უწვდის, ელაპარაკება ამასაც, იმასაც, მაგრამ ხედავს, რომ თუ ერთს გაუღიმა, მეორე გაუჯავრდება, მესამე სულ მტრად გადაეკიდება და თვითონაც არაა ამ შემთხვევაში გამბედავი, რომ ერთბაშაო გასწყვიტოს კავშირი თავის ძველ ტრადიციულ სიზანტესთან და თანამედროვე ევროპიელის რისკი უკანასკნელ საკითხად დააყენოს, რადგან ზოგიერთ რამეში მასაც ცოდვა მიუძღვის, მისი კერძო ინტერესებიც შეილახება. ამიტომ ასეთი საკითხები აქ მუდამ გაუთავებელია და გაჭიანურებული საოცარ სიგრძემდე, რომელსაც თავი და ბოლო არ უჩანს.

სახელმწიფო კი რჩება ერთს წერტილზე გაყინულივით, ან და ისეთივე ტაატით მიდის, როგორც მისი ქარავენები საცალფეხო გზებზე, სიცხისგან მოდუნებული მძიმე ტვირთის ქვეშ—მშიერ-მწყურვალ, მაგრამ მაინც აუჩქარებელი აქ კი ვეფხვის ხახტომია საჭირო—გაბედული, გამოანგარიშებული და გონიერ საფუძველზე დამყარებული.

დღევანდელი მთავრობის შემაღლენლობა, სამწუხაროთ, არ არის ასეთი ფიციბი ბუნების. მათი ნახტომები ჯერ მათს ეზო-ნიღამოს არ გაშორებია. აქ ისინი ძალიან ბევრსა ხტიან, ძალიან მოხერხებით, მაგრამ სწავლით კი არა, არამედ სიმაღლით.

სამწუხაროთ, აქაურ რევოლიუციებს არასოდეს არ ჰქონიათ სიღრმე ოკეანის, სადაც დაინახებოდა ხალხის გული წმინდა, გამჭვირვალე, უანგარო, გამონებატველი მრავალ ფიქრთა და მისწრაფებათა და მუდამ სამართლიანი.

აქაური რევოლიუციები ხდებოდა შაჰის ტახტის გარშემო და 1905 წ. თუ გაშორდა მას მცირე მანძილზე, ისიც უცხო ელემენტების გავლენით და დაბნარებით.

სპარსეთის რევოლიუციას მუდამ აღრმავებდენ გარეშე ელემენტები. ამაში იყო თვით რევოლიუციის სისუსტე. და როგორც კი ეს გარეშე ძალა შესუსტდებოდა, მაშინვე რევოლიუციაც იწყებდა უკან სვლას. და ძალა-უფლებაც გადადიოდა არარევოლიუციონერთა ხელში, რომელნიც ისევ ძველს კალაპოტში აყენებდენ ქვეყნის საქმეს.

თვით სათარხანი და ქუჩუქხანი, მიუხედავად მათის გულწრფელობისა, ავიდნენ რევოლიუციის სიმაღლემდე, და იმ დროს, როდესაც უნდა გადალახულიყო უკანასკნელი საზღვარი, ისინი უკან იხევდნენ. მათ ებრძოდნენ ისინი, ვინც უკიდურესი და სწორი გზისკენ უთითებდნენ. ამან დაღუპა ისინი. ქუჩუქხანი გაიყინა მთებში, თოვლის ნიავექარში, მარტოდ-მარტო, უმწეო, მშვიერი. ამის შემდეგ წარმოიშვა ახალი ძალა, რომელმაც უარჰყო შაჰი, მაგრამ მის უფლებებს და ქონებას კი შეურიგდა, ხელში ჩაიგდო იგი, შეალამაზა გარეგნულათ, ახალის სამოსით, და ძველი კანონის უვარგისობა ძველი პატრონის უვარგისობად გამოაცხადა.

სტყუოდნენ ძველი პატრონები: შაჰ და მისი ძმა, ეს ორი უბედური, რომელთაც ბედმა ყველაფერი მისცა სახელმწიფო ჭკუის და უნარის გარდა, მართლაც, ნამდვილი პარაზიტები და ყოველად უვარგისნი იყვნენ. მათ მხლებელთა და ცოლებს კი აუარებელი ხარჯი სჭირდებოდათ. მათი განდევნა სპარსეთის შიწიდან აუცილებელი იყო. მათი დინასტიის გაუქმება კიდევ ზედმიწევნით საქირო. მაგრამ შეცვლა ძველის ისევ ძველით, რომელსაც არა აქვს სწორი მომავალი—ეს ისტორიის უკან დაბრუნებაა ერთის მხრივ.

თვითმპყრობელობის შეცვლა თვითმპყრობელობით—თავისთავად არაფერს ნიშნავს, რაც უნდა ლიბერალური იყოს იგი. ევროპის ისტორია იმითია მდიდარი, რომ მანარხიას თითქმის ყოველთვის რესპუბლიკა მოსდევდა. ამ მხრივ ოსმალეთმაც გაუსწრო სპარსეთს, იმ სპარსეთს, რომელიც თავის წარსულით არავის არ ჩამოუვარდება.

სპარსეთის ხალხს რესპუბლიკა არ ესმისო. შარშან, როდესაც ჯამჭურის გ. ი. რესპუბლიკის გამოცხადება უნდოდათ, რეზა ხანს ქვეები დაჟმინეს, მაგრამ არა სპარსეთის ხალხმა, არამედ სულ სხვამ, სხვა ინტერესებით გამსჭვალულმა: ხალხის პარაზიტმა—იმან, ვინც კარგათ იცის თავისი კერძო საქმე.

ამბობენ, თვით ჯამჭურის იდეა ოინბაზობა იყო. ძალიან ჰგავს ეს სი-

მართლეს. დღევანდელი მთავრობა იყო მაშინაც. როგორც მაშინ, ისე დღეს იგი ყოველის შემძლებელია. რესპუბლიკის წამოყენებით და მისი დანგრევით მან ნიადაგი მოუმზადა ძველი დინასტიის დანგრევას და ახალისა და ახალს. ახალი დინასტია, ცხადია, არაფერს წაართმევს იმათ, ვინც ახლა — მასს მხარს უჭერს. მოხდა გვარების შეცვლა. ცარიელი ტახტი, რომლის ძველი პატრონი პარიზის კოკოტკების ხელზე კოცნით იყო გართული და გაბრუებული, დაიჭირა მეორემ — უფრო გაბედულმა, საქმის კაცმა, რომელმაც შეჰქმნა იარაღის ძალა და სახელმწიფო საქმეებში რამდენიმე ნაბიჯიც წინ წასდგა.

სპარსეთის ახალ პატრონს ახასიათებენ, როგორც გონიერს, უშიშარს, რომელიც არ თაკილობდა დღემდე ხელით შეხებებს, სიტყვიერ შეურაცხყოფას და დაწიბვლას, თუ კი მისი თავმოყვარეობა ამით დაკმაყოფილდებოდა.

ფაქტია: მან გზაზე ავტომობილით გაელის დროს, თოდესაც მარტოდ მარტო მიდიოდა, სცემა ორ ახალგაზრდა სპარსელს, რადგან მათ თავი არ დაუკრეს დროზე. გაჯავრებულმა შესამეს საცემრადაც გაიჭრა, რომელიც იქვე იდგა ქუდმოხდილი. მაგრამ შესამემ უცებ ქუდი დაიხურა — არა სპარსული, და ცემას გადარჩა. ეს ახალგაზრდა სომეხი იყო, საბჭოთა დაწესებულების თანამშრომელი.

არა სპარსელებს კი რეზა ხანი დიდის ხათრით და პატივით ებყრობა.

ვისიც ჯავრი აქვს რეზა ხანს, თავისთან მიიხმობს, ხელიდან ფეხამდე „გაუმასპინძლებდა“, მოარჯულებს და წარმატებასაც მისცემს.

ასე შიადწია მან შაჰის ტახტამდე. ნ დეკემბერს პირველად გამობრძანდა ნასრედდინ შაჰის ოქროს კარეტით.

პირველად სასახლიდან გამოვიდა ცხენოსანი ჯარი დროშით, წითელ ყვითლად მორთული, ფრანგულ ყაიდაზე: ლენტებით, ფოჩიანი ქუდებით. შემდეგ ქვეითა ჯარი გამოვიდა, ისიც ისევე კობტად ჩაცმული, მწყობრად დარაზმული. შუაში მოდიოდა თვითონ რეზა ხანი, კარეტაში მჯდომი, მარტო. ხელი მუდამ ყურუმალთან ეჭირა სალამის ნიშნად. ხალხი ტაშს უკრავდა და სალამს აძლევდა. ხოლო თვითონ ნიკაპი გულზე დაეზჯინა და ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა შეკავებული ღიმილით. მას უკან მოსდევდნ ისევე გამოწყობილი კავალერია და ჯარი, რომელთაც შიადილეს თავის სახლამდე. უკრავდა მუსიკა. მისდევდნ ავტომობილებით და ეტლებით დიდი პირები. სასახლეში მიულოცეს მას დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

ასე შეამზადა მან შაჰობის ნიადაგი. ჯერ ტახტზე არ ასულა, მაგრამ ტახტი მისია. უკანასკნელი სიტყვა დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის, რომ შემდეგ ტახტი სამემკვიდრეოდ გამოაცხადოს. დამფუძნებელი კრება კი იმას იტყვის, რაც რეზა ხანს უნდა, რეზა ხანმა იცის ეს და მისი სახე დამშვიდებულია. ამისთვის მას ქვებს აღარ დაუშენენ, გინებას აღარ დაუწყებენ, მოლალატეს არ დაუძახებენ ქუჩის მეამბოხენი. ამისთვის დაამშვიდა მან მთელი სპარსეთის მოამბოხენი და განდგომილი შეიხები.

შეიხ ხეზელი თავის შვილით თეირანში ჰყავს თავის ეფლად დატყვევებული, მშვენიერს ბინაზე. ქურთების და ბახტიარების ხანებიც კარგა ხანია აქ ჩამორეკა. იქ კი, ამ კეთილშობილ ტყვეთა სამფლობელოებში, სანთების მოხელეები დააყენა და საარჩევნო ხმები მიიღო. ასე დაიარა მახერის ქუჩის და დაიმორჩილა მთელი სპარსეთი. ამის შემდეგ აღვილი შეიქნა მარმარილოს ტახტზე ასელა.

როგორ შეხვდა ასეთ დიდ მოვლენას სპარსეთის ხალხი? ისე, ვითომ მის სავსე კალოზე ყვავს გადაეფრინოს და ერთი მარცვალიც არა წაელოს რა. ერთი „აქში“ რა არის, ისიც კი არ უთქვამს.

რეზა ხანი ჯერ შაჰი არ იყო, ჯერ ისევ მისი ოცნება ნახევრადაც არ იყო ხორც შესხმული, რომ უკვე გაიძახოდნენ: რეზა ხანი შაჰ არისო. შაჰის შეცვლა შაჰით ვითომც ერის ცხოვრებაში უბრალო რამ იყოს. ვითომ არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო.

ასე გულგრილად უყურებს ამ მოვლენას არა თუ ხალხის მდაბიო ნაწილი, რომელმაც ჯერ საიმისო არაფერი იცის, და რომელსაც არაფერს ეკითხებიან, არამედ მოინტელიგენტო ნაწილიც, რომელიც კარგად იცნობს ქვეყნის ისტორიას. ამ ინტელიგენციის უმეტესობა უბრალო მაყურებელია, როგორც ქუჩაში გამვლელი: ის სწორეთ იმ დროს გამოვა გარეთ, როდესაც გაიგებს, დღეს ესა და ეს ახალი ამბავიაო. ამ ახალ ამბავს კი, თუნდაც შაჰის შეათჯერ გამოცვლა იყოს, იგი არხეინად შეჰყურებს.

თუ რამე ხდება, ისევ თითო-ოროლა პირის გავლენით, ან სტიქიურად, რაც მოკლებულია დადებით საქმიანობას.

სპარსეთის ცხოვრებაში, რეზა ხანის შაჰად გახდომის აქტიც რომ ავილოთ, უსათუოდ გარეშე დიპლომატიის ხელი ურევია.

უცხო დიპლომატიას თავის ანგარიშები აქვს სპარსეთში. იგი სპარსეთის ხალხის ქონებას ჯერ რომელიმე სპარსულ ბობოლას ჩაუწყობს ჯიბეში და მერე კი თავის ჯიბეში გადააწყობს. ეს ჯიბე თავის დღეში არ გაივსება, იმდენათ კანიერი და ღრმაა იგი. მაგრამ არც ძირი გაეხვევა, რომ სპარსეთის მხისგან დამწვარ მიწაზე ერთი შაური დაეცეს და დარჩეს სანიმუშოდ. ამ ჯიბეს გააქვს აუარებელი სიმდიდრე. დედაქალაქის ქუჩებზე კი ასობით დაიარებიან სამათხოვროდ ხელგაწვდილნი, მოკლებულნი ადამიანურ ფერს და ხორცს, რომელთაც ღრეჯისა და ტირილის მეტი არაფერი შეუძლიანთ. აქ ბევრჯერ ნახავთ ქუჩაზე დაგდებულს, სიმშოლისგან და სენისგან მკვდარს. ნახავთ ჩადრში გამოხვეულ დედაკაცს კედელთან მიგდებულს და მოტიროლს საშინელის ხმით, რომელიც თავის და თავის ოჯახის საცოდაობაზე მოსთქვამს, რომ ეს აქ—ქუჩაზე და ისინი იქ—სახლში სიმშოლით იხოცებიან, და ნატრობს სიკვდილს. მას სახე დაფარული აქვს, მაგრამ მისი საცოდავი ლაპარაკის კილო აშკარად ჰყოფს მის სიდუხჭირეს.

ასეთ ქალაქში მთავრობას არა აქვს ერთი საავადმყოფოც, რომ—მშიერებს თავი დაეანებოთ, თვით სნეულებს და კირიანებს შველა მაინც მიეცეს.

და ამის შემდეგ გულგრილად ცქერა ისეთი მოვლენის, როგორც დინასტიის, დინასტიით შეცვლაა, იმ დროს, როდესაც უკიდურესი მდგომარეობა ბობოქრობს და მისი მგეჭქსედი ნაწილი უკვე წითელბ ~~მ~~ ~~დ~~ ~~რ~~ ~~ი~~ ~~შ~~ ~~ე~~ ~~შ~~ ~~ი~~ ~~ხ~~ ~~ს~~ ადაიფარა, სპარსეთის ინტელიგენციას არ ეპატიება.

მოხდა უკანასკნელი გარდატეხა სპარსეთის ზედაფენების ცხოვრებაში. ეს არის ნაბიჯი წინ, მაგრამ იმდენად მცირე, რომ იგი ხალხის გულის სიღრმემდე ვერ მიაღწევს.

12 დეკემბერს, 1925 წ. დამფუძნებელმა კრებამ გადასცა რეზა ხანს შაჰის უზენაესი უფლება, კონსტიტუციის დაცვით, და დაუმტკიცა იმის შვილს შემკვიდრეობა. 260 დეპუტატიდან ხმა მისცა 257-მა.

წინა დღით გამოვიდა გასასყიდათ რეზა ხანის იაფფასიანი სურათი. იქეთ-იქეთ უსხედან შაჰაბაზი, ნადირ შაჰ, ჯამშიდი. წინ—ჯავშნიანი ავტომობილი, ჯარისკაცნი თოფებით. თვითონ ტახტზე ზის. გვირგვინს ადგამენ თავზე ანგელოზები.

დღეს იგი შაჰია. ყველა სპარსელი გეტყვით,—ეს სჯობია ძველსო. პირველს დღეებში მას ბევრი ნადიმი გაუშართეს. მიიღო ძვირფასი საჩუქრები. აკაკი ხოშტარიამაც მიართვა მრავალი ქანდაკება მარმარილოსი, რომელნიც ახლაზან ჩამოიტანა იტალიიდან. შაჰმა დიდი მადლობა გადაუხადა: „მე ჯერ ისეთი სახლი არა მაქვს, რომ ამათი შესაფერი იყოს. ავაშენებ ახალს, დავალაგებ და სიამოვნებით მოგიწვევთ პირველს ნადიმზეო“.

მეათე დღეზე შაჰ მიიწვია თეირანის უდიდესმა ვაჭარმა—ბუშირმა. მთელი ქუჩა დაჰფარა ნაირ-ნაირი ხალჩებით და ელექტრონის აუარებელ ლამფებით.

და მიდიან დღეები აზიურის სიმშვიდით. მზე. თბილი დღეები. ნელი სუნთქვა დილის დაწმენდილ, მსუბუქ ჰაერზე. ისევ მზე. აქ არ არის ღამის სიმძიმე. ცა მოწმენდილი, მუდამ ვარსკვლავთა ჯარით სავსე, მთვარე კაშკაშა ღამის პირზე და დილით მიბნედილი, როგორც მორცხვი პატარძალი ქორწილის მეორე დღეს.

ასეთია თეირანის დღე და ღამე.

ასე მიდის სპარსეთის ცხოვრება.

გიგლიოგრაფია



ქართული

მინილ ჯავახიშვილი: 1 „პატარა დედაკაცი“ „სრული განაჩენი“.

სახელგამი 1926 წ.

ქართულს პრესაში არა ერთხელ აღნიშნულა, რომ მინილ ჯავახიშვილი განსაკუთრებული მოვლენაა ქართულს პროზაში, რომ ამ უკანასკნელის რენესანსი არა მარტო ქრონოლოგიურად არამედ არსებითათაც უკავშირდება მის ლიტერატურულ საქმიანობას. ამ ფაქტის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ მინილ ჯავახიშვილმა შემოქმედებით გაიგო რომანის დედა-ძარღვი: სიუჟეტის გარეშე მხატვრული პროზა უსიცოცხლო და უშინაარსო კომბინაციაა სიტყვების და, როგორც ასეთი, მოკლებულია ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას.

მინ. ჯავახიშვილმა არა მარტო აღმოაჩინა სიუჟეტი თავის შემოქმედებას, არამედ კიდევ სძლია ის მხატვრულად: სიუჟეტის ორგანიული, ბუნებრივი გაშლა შესაფერ სტრუსაც ჰქმნის; ამდენათ ფორმისა და შინაარსის მონოლიტობა შემოქმედებაში ყოველ მხრივ უზრუნველყოფილია. ამაში მდგომარეობს შინაარსის მხატვრული ძლევა.

მინ. ჯავახიშვილის შემოქმედება კიდევ თავის მრავალ ფეროვანებითაა საყურადღებო: მის შემოქმედებაში ყოველი მომენტი ჩვენი ცხოვრებისა ნახულობს თავის შესაფერისს ადვილს და ლირიული მომენტი ისე ორგანიულადაა შექსოვილი ფაბულის განვითარებასთან, რომ იქმნება, უსათუოდ მხატვრული მთლიანობის ძლიერი შთაბეჭდილება.

აღნიშნულ მოთხრობათა კრებულში შესულია ის მოთხრობები, რომლებიც დაიბეჭდნენ „მნათობში“. მაგრამ აქვეა აგრეთვე სრულიად ახალი მოთხრობები, როგორც მაგ. „პატარა დედაკაცი“, „ორი განაჩენი“ და „მართალი აბდულოაჰ“. კრებულში მოთავსებულია მოთხრობა „მუსუსი“, სადაც მოცემულია სოფლის ცხოვრების ერთი სურათი

მთელი თავისი გულწრფელური გულუბრყვილობით; ხოლო „ორი განაჩენში“ მინ. ჯავახიშვილმა მხატვრული სისწორით დაგვანახვა ის ტრაგიული მომენტი, რაიც განიცადა გულუბრყვილო მენახშირემ თავის ლირიულ განცდათა სხეანაირ მიმართულების გამო.

კრებულში შესულია აგრეთვე „მართალი აბდულოაჰ“, რომელმაც მიიღო პირველი საკონკურსო პრემია. არ იქნება გადამეტება, თუ ვიტყვით, რომ „მართალი აბდულოაჰ“ შედევრია მხატვრული შემოქმედების: აქ თქვენ გაპყრობით და ვიტაცებთ არა მარტო გულუბრყვილობის კვანძის ბუნებრივი გაშლა თავისი ტრაგიული მომენტებით, არამედ ის სტილიც, რომელიც ბუნებრივად, სავსებით გამოხატავს აბდულოაჰის საშინელ განცდებს.

„პატარა დედაკაცში“ სრული სისწორით არის მოცემული ადამიანის სულის კვეთება. ფაბულა მარტივია. მის გაშლას არ შეუძლია მკითხველის დაპყრობა; აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ვერ შეხვდებით ვერც ერთს მომენტს გადამლაშებისა და გაშარებებისა. ამისდა მიუხედავათ მაინც უნდა ითქვას: თემა არც ფსიქოლოგიურათ, არც სოციალურად ყურადსაღები არ არის. აბა ვისთვის უნდა იყვეს საინტერესო ის ამბავი, თუ როგორ სქესობრივ იმპონტენციით შეპყრობილმა განკურნების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის ცოლს, ან და ამ უკანასკნელის ტანჯვის და სხვა მამაკაცთან ცხოვრების მომენტები.

საზოგადოთ მინ. ჯავახიშვილს უყვარს მსუბუქი უანრი. განსაკუთრებით ეს სჩანს აღნიშნულ კრებულში. ეს ფაქტი ოდნავათაც არ ამცირებს მის მხატვრულ ღირებულებას.

მინ. ჯავახიშვილი აუცილებლათ ქარ-

თველი კელლერმანია. როგორც ამ უკანასკნელმა შესძლო საოცარის ოსტატობით ლირიული და სოციალური ნომენტების მხატვრული გაერთიანების საშუალებით უდიდესი სოციალური მოვლენის შემოქმედებით ძლევა, და მით შექმნა ნამდვილი შედევრი მხატვრული პროზისა („Tunnel“), ისე მიხ. ჯავახიშვილიც შესძლებს მსუბუქი ფანოის შემოქმედებას მოსცილდეს თუ კი, რასაკვირველია, თავის შემოქმედების მასა-

ლათ ის აიღებს არა იმას რასაც მეორე თუ მესამე ხარისხოვანი ადგილი უკავია ჩვენს სინამდვილეში, არამედ იმ ძირითადს, რითაც განისაზღვრება ეს სინამდვილე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის ერთ ერთი პირობა არის: ის, რომ მიხ. ჯავახიშვილი ნამდვილი შემოქმედია. მასალის შერჩევა ავტორის იდეოლოგიის საკითხია...

მ. ბ.

3. ქიქოძე. შემოქმედება თუ თვითმკვლელობა!

თბილისი 1926 წ.

ქართული მხატვრული კრიტიკა ჩვენში მეტის მეტათ მოიკოჭლებს. ეს გარემოება სხვათა შორის იმ ფაქტშიც მქლავნდება, რომ კრიტიკა ფაქტიურათ ავტორის აზრების აპოლოგიათ არის მიჩნეული. განსაკუთრებით ამაში დახელოვნდნენ მწერლები „ცისფერი ყანწები“-დან.

მეორე ხელის შემშლელი პირობა არის სრული დაუმუშავება მხატვრული კრიტიკის პრობლემების. აქ ერთმანეთში არეულია ის მთავარი და ძირითადი, რაიც მხატვრულ კრიტიკის შემოქმედებას განსახლვრავს, და ის რაც სკოლური სწავლების სისტემაში შედის.

ოსკარ უალდი ამბობდა, რომ მხატვრული კრიტიკა იგივე შემოქმედებააო. ისიც აღსანიშნავია, რომ შემოქმედების ამ სახის საშუალებით მკითხველი ავტორს უკავშირდება და მით ამცლავნებს საზოგადოებრივ კულტურულ დონეს.

3. ქიქოძის აღნიშნული ბროშიურა ხასიათდება სწორეთ მეორე ნაკლით: პრობლემების არ გაგება და ამდენათ შეფასება ლიტერატურული სინამდვილის.

ბროშიურაში ავტორი ეკანათება შემოქმედების ფორმალურ საკითხში ამხ. შ. დუდუჩავას. ქიქოძე ბრალს სდებს

დუდუჩავას ფორმალისტურ გადახრაში. აქ ის იშველიებს პლებანოვს, ლელევიჩს და სხ.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამხ. ქიქოძეს სრულიად არა აქვს გაგებული ღირებულება და ბუნება ფორმალური მხარისა მხატვრულ შემოქმედებაში. ამას ავტორი ააშკარავებს იმ დებულების კრიტიკაში, რომელიც წამოაყენა ამხ. დუდუჩავამ: „ხელოვნება ფორმისა და შინაარსის მონოლიტური ერთიანობაა.“ კურობულია ქიქოძის განცხადება, თითქოს ეს დებულება გაუხენშტაინს ეკუთვნოდეს.

საერთოთ პოლემიკურ ნაწილში ამხ. ქიქოძე ხასიათდება თავის ლიტერატურულ მოწინააღმდეგეთა აზრის აბსოლუტურ არ გაგებით.

ავტორი ეკანათება აგრეთვე ს. დევდარიანს. აქ ამხ. ქიქოძეს ადგილად არ ღალატობს მარქსიზმი და მრავალ დამახასიათებელ დებულებასაც აყენებს. მაგალითად: „ტყუილად ხომ არ ვეძახით ხელოვნებას მსოფლ-შეგრძნობას და არა უბრალო იდეოლოგიას?“ აქ აუცილებლათ ტერმინოლოგიურ დომხალთან გვაქვს საქმე: თითქოს „მსოფლ-შეგრძნობა“ ან „უბრალო იდეოლოგია“ ერთმანეთს ეწი-

წინააღმდეგება; მაგრამ — ამისდამიუხედავათ — ახრი აუცილებლად სწორია. ხელოვნება არ არის მხოლოდ იდეოლოგია. მაგრამ თუ ეს ესეა როგორ არის შესაძლო ამ დებულების დაპირდაპირება იმ დებულებასთან, რომელიც დაპარაკობს: „ხელოვნება ფორმისა და შინაარსის მონოლიტია“?

დუდუჩაეისთან კამათით გატაცებულმა ჭიჭოძემ თვისი უკანასკნელი დებულება, რომელიც მან ს. დევდარიანის

წინააღმდეგ წამოაყენა სავსებით დივიწყა. შემდეგ ამ ჭიჭოძე ეხება ქართულ ლიტერატურულ წინააღმდეგობას და მხატვრული კრიტიკის ამოცანებს საქართველოს პირობებში.

ბროშურა ლამაზათაა გამოცემული. ღირს 30 კ. ავტორი გრძნობს ხელოვნების კულტურას გამოცემაში, მხოლოდ მსჯელობაში კი....

ტ. ნ.

სარედაქციო კოლეჯია:

მ. ბახტაძე.

ნ. კახიანი.



ქართული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა.

გვერ.

საძარტველო.

1. ხანდრო შანშიაშვილი—ამბოკარი	5
2. იროდიონ ევდოშვილი—ღედა	57
3. ი. მოსაშვილი—გამოთხოვება სოფელთან	59
4. გრიგოლ რობაქიძე—გველის პერანგი (გაგრძელება)	62
5. კონ. ლორთქიფანიძე—ტყემლეტი	93
6. ვ. მაღაქიაშვილი—სამნი (გაგრძელება)	94

დასავლეთი.

7. უპტონ სინკლერი—მეფე ნახშირი. (გაგრძელ.) თარგ. კ. ჭიჭინაძისა	121
--	-----

კრიტიკა, მხატვრობა და პუბლიცისტიკა.

8. ბ. ჟღენტი—ფორმალიზმი დახელოვნების კვლევის მეთოდოლო- გიური პრობლემები	161
9. შ. დუდუჩავა—ისევ ფორმალისტურ პოეტიკის შესახებ	178
10. დავით რონდელი—ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი	184
11. ნიკო ქუთათელაძე—კვლევითი მეთოდის შესახებ ლიტერა- ტურაში	193
12. გ. დევდარიანი—მე-11 ინტერნაციონალის წგრევის სათავეებთან.	203
13. ა. ჭელიძე—წერილები სპარსეთიდან (დასასრული)	227

ბიბლიოგრაფია.

14. შ. ბ.—მიხეილ ჯავახიშვილი: 1. „პატარა ღედაკაცი“, 2. „ორი განაჩენი“	237
15. ტ. ჩ.—პ. ჭიქოძე შემოქმედება თუ თვითმკვლელობა	238